ძიებანი
საქართველოს არქეოლოგიაში



№20 2011

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Georgian National Museum

ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი
OTAR LORDKIPANIDZE CENTRE OF ARCHAEOLOGY

ძ ი ებ ა ნ ი

საქართველოს არქეოლოგიაში

№ 20

D Z I E B A N I

Journal of the Georgian Archaeology

თბილისი 2011 Tbilisi

UDC (უაკ) 902(479.22)
ძ-531

რედაქცია: **გ. კვირკველია** (რედაქტორი)
გ. გამყრელიძე
დ. კაჭარავა
ზ. მახარაძე
მ. წერეთელი
მ. ჩარკვიანი (*მდივანი*)

Editors
of the volume: **G. Kvirkvelia** (editor-in-chief)
M. Charkviani
G. Gamkrelidze
D. Kacharava
Z. Makharadze
M. Tsereteli

ISSN 1512-0589

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2011
Georgian National Museum, 2011

სარჩევი

საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 2008-2009 წლებში
FILD INVESTIGATIONS IN 2008-2009

თენგიზ მეშველიანი, აბესალომ ვეკუა, ნანა რუსიშვილი, ელისო ყვავაძე, რუსუდან ჩაგელიშვილი, ნინო ჯაყელი

სახელმწიფო გრანტის „მონადირე-შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა საქართველოში“ ფარგლებში 2008-2009 წწ. ჩატარებული საველე არქეოლოგიური სამუშაოებს ანგარიში 9

T. Meshveliani, A. Vekua, N. Rusishvili, E. Kvavadze, R. Chagelishvili, N. Jakeli

The results of the archaeological expeditions of 2008-2009 of the State Science grant "From Hunter-Gatherers to Agro-Pastoral Societies in Georgia" (Summary) 20

თენგიზ მეშველიანი, ელისო ყვავაძე, ნინო ჯაყელი

ჭიათურა-საჩხერის ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2008-2009 წლებში ძუძუანას მღვიმეში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში 28

T. Meshveliani, E. Kvavadze, N. Jakeli

Results of the Chiatura-Sachkhere Stone Age International Archaeological expedition of 2008 (Summary) 31

კახა კახიანი, ვაჟა სადრაძე, ალექსანდრე ორჯონიკიძე, ლერი ჯიბლაძე, მერაბ ძნელაძე, ელგუჯა ღლიღვაშვილი

ჭობარეთის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე და სამაროვანზე 2009 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება 33

K. Kakhiani, V. Sadradze, A. Orjonikidze, L. Jibladze, M. Dzneladze, E. Ghlighvashvili

Archaeological Studies Carried Out on Chobareti Early Bronze Age Settlement Site in 2009 (Summary) 39

გურამ კვირკველია, ბიძინა მურვანიძე, ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ალექსანდრე ორჯონიკიძე

არქეოლოგიური გათხრები გრაკლიანის გორაზე 2009 წელს 47

G. Kvirkvelia, B. Murvanidze, V. Nikolaishvili, A. Orjonikidze

Archaeological excavations on graklianis gora in 2009 (Summary) 55

ინგო მოტცენბეკერი, გოდერძი ნარიმანიშვილი

სანთის არქეოლოგიური ექსპედიციის 2009 წლის ანგარიში 68

I. Motzenbekker, G. Narimanishvili

Report of the 2009 Santa Archaeological Expedition (Summary) 73

ბიძინა მურვანიძე, ნინო შანშაშვილი, მარინე კვაჭაძე, ოლეგ ბენდუქიძე

არქეოლოგიური გათხრები სოფ. დარაქოიში 85

G. Narimanishvili, E. Qvavadze. R. Davlianidze, B. Murvanidze, N. Shanshashvili, M. Kvachadze, O. Bendukidze

Archaeological Excavations in the Village of Darakoi (Summary) 90

რევაზ დავლიანიძე, ბიძინა მურვანიძე, ნინო შანშაშვილი, მარინე კვაჭაძე, გოდერძი ნარიმანიშვილი

არქეოლოგიური გათხრები სოფ. ხადიკსა და ბზისწყლის ხეობაში 101

R. Davlianidze, B. Murvanidze, N. Shanshashvili, M. Kvachadze, G. Narimanishvili

Archaeological Excavations in the Village of Khadik and in the Bzistsqali Valley (Summary) 105

გოდერძი ნარიმანიშვილი, რევაზ დავლიანიძე, ბიძინა მურვანიძე, მარინე კვაჭაძე, ნინო შანშაშვილი
არქეოლოგიური გათხრები სოფ. საყდრიონში....118
G. Narimanishvili, R. Davlianidze, B. Murvanidze, M. Kvachadze, N. Shanshashvili.
Archaeological Excavations in Saqdrioni Village (Summary) 122

დავით ლომიტაშვილი, ზურაბ თვალჭრელიძე, ნინო ქებულაძე, ნიკოლოზ მურღულია, მარინე ბოკერია, ელისო ყვავაძე, იან კოლვინი, პოლ ევერილი, ბენ ნილი, ჯეინ ტიმბი
ქართულ-ინგლისური ექსპედიცია ნოქალაქევში 2008-2009 წლების სეზონის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში 133
D. Lomitashvili, Z. Tvalchrelidze, N. Kebuladze, N. Murghulia, M. Bokeria, E. Qvavadze, I. Colvin, P. Everill, J. Timby, B. Neil
Report on the Field Work on 2008-2009 by the Georgian-British Nokalakevi Archaeological Expedition (Summary) 140

ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე
არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში, გელათსა და მოწამეთაში 2008-2009 წლებში....153
O. Lanchava, R. Isakadze
Archaeological Studies in Bagrat Church, Gelati And Motsameta in 2008-2009 (Summary) 161

ბიძინა მურვანიძე, გელა გიუნაშვილი, ირმა ბერძენიშვილი, ელეონორა სახვაძე
ქ. ბოლნისში 2008 წელს შესრულებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში....170
B. Murvanidze, G. Giunashvili, I. Berdzenishvili, E. Sakhvadze
Report of The Work Carried Out In Bolnisi in 2008 (Summary) 172

სტატიები
ARTICLES

ოთარ ჯაფარიძე
კავკასიის წინა აზიის სამყაროსთან ურთიერთობის საკითხისათვის....178
O. Japaridze
On the Interrelation of Caucasus With Near East World (Summary) 192

გიორგი ჯავახიშვილი
უძველესი ხანის ქართული ხელოვნება (კერამიკული დეკორი, მცირე პლასტიკა, მშენებლობა)....197
G. Javakhishvili
Ancient Georgian Art Ceramic Decor, Minor Plastic Art, Construction (Summary)....201

მედეა მენაბდე
რამდენიმე განმარტება სიონის ნამოსახლარის თარიღის შესახებ 203
Medea Menabde
Some Remarks on the Date of the Sioni Settlement (Summary)....206

ნინო შანშაშვილი
ადრებრინჯაოს ხანის სახლის მაკეტები სამხრეთ კავკასიიდან....209
Nino Shanshashvili
Early Bronze Age House Models from the South Caucasus (Summary)....215

ალექსანდრე ორჯონიკიძე
ბედენის კულტურა. მეცნიერული აზრის განვითარების ისტორიიდან....222
A. Orjonikidze
Bedeni Culture. On The History of the Development of Scholarly Tought (Summary)....232

ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ანზორ სიხარულიძე, გივი ინანიშვილი, შოთა ირემაშვილი
მცხეთის შემოგარენში აღმოჩენილი ბრინჯაოს საბრძოლო-საპარადო ცული....236
V. Nikolaishvili, A. Sikharulidze, G. Inanishvili, Sh. Iremashvili
A Bronze Fighting Ceremonial Axe Discovered in Surroundings of Mtskheta (Summary)....238

ნინო გომელაური
აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის მცირე პლასტიკისა და გრაფიკულ გამოსახულებათა მიხედვით....240
Nino Gomelauri
Interrelation of the Late Bronze – Early Iron Age Cultures of Eastern Georgia Referring to the Plastic Art and Engravings (Summary)....244

ლერი ჯიბლაძე
ახალი ინფორმაცია ნაოხვამუს ნამოსახლარზე....251
L. Jibladze
Fresh Information from the Naokhvamu Site (Summary)....252

ქეთევან რამიშვილი
„ფანტასტიკური ცხოველის“ გამოსახულებები კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლებზე....255
K. Ramishvili
Representattions of "Fantastic Animal" on Artisan Items of Colchis Culture (Summary)....261

ზურაბ ბრაგვაძე
ვანის და საირხის შედარებითი ისტორიისათვის....272
Zurab Bragvadze
For the Comparative History of Vani and Sairkhe (Summary)....277

გელა გამყრელიძე
ბერძნულ გრაფიტოიანი სინოპური და კოლხური ამფორები ქალაქ ფოთი-ფასისის კონტექსტში....279
Gela Gamkrelidze
Sinopean and Colchian Amphoras with Greek Graffiti in the Context of the Town of Phasis (Poti) (Summary)....284

ქეთევან ჯავახიშვილი
რესპუბლიკური ხანის რომაული პორტრეტული გემები (საქართველოში მოპოვებული გლიპტიკური მასალების მიხედვით)....289
K. Javakhishvili
Roman Portrait Gems of the Republican Period According to Glyptic Material Discovered in Georgia (Summary)....296

კახი წერეთელი
წილკნის აკლდამის ბერძნულ წარწერაში მოხსენიებულ სასულიერო პირთა ეთნიკურ-კონფესიური კუთვნილების საკითხისათვის....299
K. Tsereteli
Towards the Ethnic-Confessional Affiliattion of the Ecclasiastics Mentioned in the Greek Inscription of the Tsilkani Vault (Summary)....301

ნოდარ ბახტაძე

ნაქალაქარ ნეკრესის მიდამოებში ახალაღმოჩენილი სამების სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევის შედეგები 303

N. Bakhtadze

The Results of an Archaeological Study of the Sameba Monastic Complex Newly Discovered in the Vicinity of the Former Citysite of Nekresi (Summary) 309

თინა აბულაშვილი

გამოფენა „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“ 318

T. Abulashvili

Shota Rustaveli and an Exhibition Reflecting His Time (Summary) 321

გახსენება
IN MEMORIAM

ბესარიონ მაისურაძე **323**

შემოკლებათა განმარტება 325

Abbreviations 325

ავტორთა საყურადღებოთ 327

ვ უ ლ ო ც ა ვ თ !

ოთარ ჯაფარიძე 90 წლისაა

16 სექტემბერს, საქართველოს არქეოლოგიის პატრიარქს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ ოთარ ჯაფარიძეს 90 წელი შეუსრულდა.

1939 წლიდან, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, დღემდე, მთელი ცხოვრება ბატონი ოთარი ერთგულად ემსახურება არქეოლოგიას, საქართველოს უძველესი კულტურის კვლევას.

მისი მოღვაწეობის მასშტაბი და მაღალი ღირებულება დიდი ხანის კარგადაა ცნობილი, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ, სხვათა შორის – უაღრესად დროული შესანიშნავი გამოცემების გამოც. ეს არის ჭეშმარიტად ტიტანური სამუშაო, რომელიც ავტორს ასზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში აქვს შესრულებული.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ო. ჯაფარიძე დატოვეს ასპირანტურაში. 1944 წლიდან მუშაობას იწყებს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში.

1948 წელს მან ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და იგი მიიწვიეს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, ახალი დისციპლინის „არქეოლოგიის საფუძვლების“ წასაკითხად.

1952 წლიდან ბატონი ო. ჯაფარიძის მოღვაწეობა ძირითადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული. 1962 წელ ს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაციაც. 1963 წელს იგი აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრის პროფესორად. 1967 წელს, მაშინ, როდესაც აღმიშნულ კათედრას ცალკე გამოეყო არქეოლოგიის კათედრა, მას სათავეში ჩაუდგა ო. ჯაფარიძე. ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იგი დაუღალავად ემსახურებოდა ამ კათედრას. 1968-1982 წწ. ო. ჯაფარიძე შეთავსებით მუშაობდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. 1982 წლიდან მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში. ამჟამად არის ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის და საქართველოს ეროვნული მუზეუმის საპატიო მრჩეველი.

1979 წელს ო. ჯაფარიძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1995 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ბატონი ო. ჯაფარიძის შრომები უმთავრესად საქართველოს და კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურების კვლევა-ძიებისადმია მიძღვნილი. მისი ადრეული ნაშრომები ეძღვნება კოლხური კულტურის შესწავლას. მის მიერ შემუშავებული კოლხური ცულების კლასიფიკაცია, დღესაც ყველაზე მიღებულ კლასიფიკაციად რჩება. მი სი ამ პერიოდის ნაშრომებში განსაზღვრულია აგრეთვე კოლხური კულტურის არეალი, საწარმოო ცენტრები, ქრონოლოგიური ჩარჩოები და სხვ. შემდგომ პერიოდში ო. ჯაფარიძე ბრინჯაოს კულტურის ადრეულ საფეხურებს იკვლევს.

ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლების შესწავლისადმია მიძღვნილი მისი ორი სქელტანიანი მონოგრაფია - „ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში“ და „ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე“. ეს უკანასკნელი საეტაპო ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს კავკასიის ბრინჯაოს ხანის შესწავლის საქმეში.

ო. ჯაფარიძის შემდეგდროინდელი ნაშრომები შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურის კვლევას ეხება. ამ საკითხების კვლევასთან დაკავშირებით მას არაერთი საყურადღებო სტატია თუ წერილი აქვს გამოქვეყნებული. შუაბრინჯაოს ხანის კვლევას მიეძღვნა მისი

ორი მონოგრაფია ერთი სახელწოდებით - „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“. პირველი მათგანი 1960 წელს დაისტამბა. მასში ავტორი დამაჯერებლად აჩვენებს, რომ თრიალეთური კულტურა გენეტიკურად არის დაკავშირებული ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურასთან, თრიალეთურ კულტურას ბევრი საერთო აქვს წინა აზიის თუ ევროპის სინქრონულ კულტურასთან. მეორე მონოგრაფიაში განხილულია ზურტაკეტში 1959-1964 წწ. გათხრილი ყორღანები, რომლებიც თავინთი ვრცელი დასაკრძალავი დარბაზებით, მშენებლობის ტექნიკით, იქ მოპოვებული არქეოლოგიური არტეფაქტებით შესანიშნავ მასალას იძლევა თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომების ეკონომიკური თუ სოციალური კულტურის დასადგენად. ო. ჯაფარიძე ამავე ნაშრომში აღნიშნავს, რომ თრიალეთური კულტურა წინააზიური კულტურების გარკვეულ გავლენას განიცდიდა, მაგრამ იგი მაინც ადგილობრივ ნიადაგზეა აღმოცენებული.

შუაბრინჯაოს ხანის კულტურის კვლევას ეხება საკმაოდ საინტერესო ნაშრომი - „მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1970-1977 წწ.)“, სადაც განხილულია ო. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი თრიალეთური კულტურის ახალი მძლავრი კერა.

ო. ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვემო ქართლის გაერთიანებულ ექსპედიციას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ადრესამიწათმოქმედო კულტურის კვლევას. ამ კულტურის მრავალ პრობლემატურ საკითხს მიუძღვნა ბატონმა ოთარმა არაერთი საინტერესო ნაშრომი.

1978-1982 წწ. ო. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მარტყოფის მიდამოებში აღმოჩენილი და შესწავლილია ადრე ყორღანული კულტურის ძეგლები, რომლებსაც შემდეგში ავტორმა ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა „ქართველი ტომების ადრეული ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში. ადრეყორღანული კულტურა“, სადაც განხილულია ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ცხოვრებაში მიმდინარე მნიშვნელოვანი გარდაქმნების პროცესი, მოცემულია იმ დროის საზოგადოების ეკონომიკური განვითარების, კულტურული დონის, გარე სამყაროსთან ურთიერთობის, ეთნიკური ხასიათის ძვრები და სხვა საკითხები.

ოთარ ჯაფარიძე იმ იშვიათ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც შეუძლია ღრმა განზოგადოება არქეოლოგიური მასალის, მისი ისტორიულ წყაროდ ქცევა. იმდროინდელი საზოგადოების სურათის წარმოჩენა მის მთლიანობაში. დღეისათვის, საქართველოს ნეოლით-ბრინჯაოს ხანაზე გაბატონებულ მოსაზრებას შეიძლება ვუწოდოთ კუფტინ-ჯაფარიძის პარადიგმა. ესეც აღსანიშნავია, თუ სათანადოდ დაფასებულია ბორის კუფტინის ღვაწლი ქართულ მეცნიერებაში, ესეც ბატონ ოთარ ჯაფარიძის დიდი დამსახურებაა.

ბატონი ოთარი შესანიშნავი აღმზრდელია, იგი ყოველთვის მზად არის ხელი გაუმართოს ახალგაზრდა კოლეგებს. ბევრი ჩვენთაგანი გადაუხდელ ვალშია მასთან კეთილგანწყობისთვის, მხარდაჭერისთვის. მოწაფეებისთვის და კოლეგებისთვის ბატონი ოთარ ჯაფარიძე სამაგალითო არის არა მარტო მეცნიერებაში, არამედ როგორც პიროვნება. მას ყოველთვის აინტერესებს რა ხდება საზოგადოებაში, მის ირგვლივ, - პოლიტიკა, განათლება, ხელოვნება, ლიტერატურა . . . ნამდვილი პატრიოტი და ჭეშმარიტი ინტელიგენტია.

ბატონი ოთარი ყოველთვის გახსნილია ახალი იდეებისთვის, დოგმატიზმი მისთვის უცხოა. არქეოლოგია ვითარდება, ახალი აღმოჩენების შუქზე ბევრი დებულება იცვლება და ბატონი ოთარი მუდმივად ამ ცოცხალი პროცესის წინა ხაზზეა, რაზეც მოწმობს მისი ბოლოდროინდელი ნაშრომები, თუნდაც ამ კრებულში გამოქვეყნებული სტატია.

ვუსურვებთ ბატონ ოთარს დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას.

რედკოლეგია

თენგიზ მეშველიანი, აბესალომ ვეკუა, ნანა რუსიშვილი, ელისო ყვავაძე, რუსუდან ჩაგელიშვილი, ნინო ჯაყელი

სახელმწიფო გრანტის „მონადირე-შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა საქართველოში" ფარგლებში 2008-2009 წწ. ჩატარებული საველე არქეოლოგიური სამუშაოებს ანგარიში

საწურბლიას მღვიმე

კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს მიერ გაცემული 2008 წლის (22.10.08-7.12.08) № 18.08.2498 და 2009 წლის (14.09.09-28.10.09) ნებართვების შესაბამისად, მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოები წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ყუმისთავში მდებარე საწურბლიას მღვიმეში. ექსპედიცია დაფინანსდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) მიერ 2007 წელს გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული პროექტით „მონადირე-შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა საქართველოში".

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ თენგიზ მეშველიანი (პროექტისა და ექსპედიციის ხელმძღვანელი), ნინო ჯაყელი (ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე), აბესალომ ვეკუა (პალეონტოლოგი), ნანა რუსიშვილი (პალეობოტანიკოსი), რუსუდან ჩაგელიშვილი (გეოლოგი), ნიკოლოზ ვანიშვილი (ზოოარქეოლოგი), მოწვეული არქეოლოგი კარლო კალანდაძე და არქიტექტორი ჯავარ სალია.

საწურბლიას მღვიმე მდებარეობს ქვედა ცარცული ასაკის, მასიური ტექსტურის მქონე ნაცრისფერ პელიტომორფულ კირქვებში და გააჩნია ჩრდილო-აღმოსავლეთის ექსპოზიცია. მღვიმე 1975 წელს აღმოაჩინა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქუთაისის მხარის ქვის ხანის შემსწავლელმა ექსპედიციამ პროფ. ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით. მღვიმე ითხრებოდა 1976, 1985-1988, 1990-1993 წლებში კარლო კალანდაძის ხელმძღვანელობით (ტაბ. I). საწურბლიაში სამი კულტურული ფენაა გამოყოფილი: ენეოლითი, ნეოლითი და ზედაპალეოლითი. ჩვენი პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა მღვიმის თანამედროვე მეთოდებით გათხრა, რისთვისაც ჩავატარეთ წინასწარული სამუშაოები. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მღვიმის უმეტესი ნაწილი არაა გათხრილი, რაც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ძეგლი. 1993 წლიდან ამ მღვიმეში სამუშაოები არ ჩატარებულა, ამიტომაც 2008 წელს დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა მის გასასუფთავებლად და გათხრებისათვის მოსამზადებლად. ამის შემდეგ ხელახლა, კომპასის საშუალებით აიგეგმა მღვიმის მთლიანი ფართობი 1ჩ1 მეტრიანი კვადრატებით, ნულის ხაზი და კვადრატების ბოლოები დაფიქსირდა მეტალის ტროსებით და საღებავით. აიგეგმა როგორც მღვიმის შიდა, ასევე მისი გარეთა ფართობი (ტაბ. II). როგორც მოსალოდნელი იყო, ძველი გათხრილი კვადრატები არ დაემთხვა ახალს, ძველ საველე დავთრებში ზუსტად არაა მითითებული სიღრმეები და კვადრატები, რაც საკმაოდ ართულებს ძველი და ახალი გათხრებიდან მომდინარე მონაცემების შედარების საშუალებას. ამიტომაც განვიხილავთ მხოლოდ ჩვენს მიერ ჩატარებულ სამუშაოებს და მის შედეგებს.

2008 წ. გაითხარა 4 კვადრატი მღვიმის დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებთან, I38 და I39 კვადრატები მღვიმის შესასვლელში, ჩრდილოეთ კედელთან, S20 და S21, მღვიმის სიღრმეში, დასავლეთ კედელთან. 2009 წ. გავაგრძელეთ მუშაობა S20 და S21 კვადრატებზე, რადგან ფენები

კარგად იყო დაცული და პარალელურად გავხსენით ოთხი ახალი კვადრატი R18, R19 და S18, S19. დაახლოებით 20 სმ-ის აღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მასალა ზედაპალეოლითური ხასიათის იყო, ამიტომაც გადაწყდა, მღვიმის აღმოსავლეთ კედელთან, იქ, სადაც წინა წლებში სავარაუდოდ არ მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები, გაგვეხსნა ახალი კვადრატები, რათა ზედაპალეოლითზე უფრო ადრეული ფენები გვენახა. ეს კვადრატებია: A^1 14,15, B^1 14, 15 და C^1 14, 15 (იხ. ტაბ. II).

S20 და S21 კვადრატებიდან მომდინარე მასალა და სტრატიგრაფია, ჩვენი აზრით, დაურღვეველი ფენებიდან მომდინარეობს, ამიტომაც მას უფრო დეტალურად განვიხილავთ. S20-S21 კვადრატების (ტაბ. IV_1) სიგრძე 0,90 მ-ია. ჩრდილო კედელი*:* ჰუმუსიანი ფენა, მცირე რაოდენობით შეიცავს ყავისფერ თიხნარს და კირქვის ღორღს, რომელიც მასალის 10 %-ს შეადგენს. სიმძლავრე – 5-9 სმ. მუქი ყავისფერი თიხნარი (ფენის 60%), სხვადასხვა ზომის (4ჩ4ჩ3, 5ჩ4ჩ2,15ჩ5ჩ3, 25ჩ15ჩ7 სმ) დაუხარისხებელი, ნახევრადკუთხედი კირქვის პსეფიტური ჩანართებით. მათი რაოდენობა განსაკუთრებით დიდია ფენის ქვედა ნაწილში და კედლის აღმოსავლეთ საზღვართან. სიმძლავრე – 30-35 სმ. მუქიყავისფერი ალევრიტი, მკვრივი, მიკროშრეებრივი ტექსტურით. ცენტრში კირქვის ლოდი, რომლის სიდიდე – 47ჩ23ჩ35 სმ-ია. ჭრილის ფსკერზე აღინიშნება ნახშირიანი, რკინის ჰიდროჟანგითა და კარბონატით გამდიდრებული 1-1,5 სმ სიმძლავრის მქონე შრეების მორიგეობა. სიმძლავრე – 44-55 სმ. სამხრეთ კედელი*:* ჰუმუსიანი ფენა, კირქვის ღორღითა და ყავისფერი თიხნარით. სიმძლავრე – 5-8 სმ. მელანჟირებული ფენა – მუქი ნაცრისფერი თიხნარი მასალის 70%, ძვლის ფრაგმენტებით, კირქვის ღორღის ჩანართებით (მასალის 25%). ფენის საგებში ნახშირის 2-3 სმ სიმძლავრის ფენა, რომელიც ვრცელდება აღმოსავლეთ კედლიდან და ისოლება 53 სმ-ში. სიმძლავრე 30-38 სმ. მოყავისფრო-მოჟანგისფრო ალევრიტი, მკვრივი, ნახშირის ერთეული ნატეხებით. ჭრილის მარჯვნივ კირქვის ლოდი, რომლის ნაწილიც დასავლეთ კედელზე გვხვდება. ასევე მცირე ზომის კირქვის რამდენიმე ჩანართი. სიმძლავრე – 53-60 სმ. დასავლეთ კედელი: ჰუმუსიანი ფენა. სიმძლავრე 5 სმ. მუქი ყავისფერი თიხნარი (მასალის 50%), ნახევრადკუთხედი კირქვის სხვადასხვა სიდიდის დაუხარისხებელი პსეფიტოლიტებით. მცირე რაოდენობით ნახშირის ნატეხებითა და ძვლის ფრაგმენტებით. სიმძლავრე 25-30 სმ. შემდეგი ფენა შედგება სამი ლოდისგან, რომელთა ზომებია: 65ჩ40ჩ38, 50ჩ40ჩ20, 45ჩ30ჩ20 სმ. შუა ლოდი გამოქვაბულის ჩრდილო კედელზე არსებული დაბრექჩირებული ანთროპოგენული კედლის ნაწილია, ხოლო დანარჩენი ორი კი – გამოქვაბულის ამგები ქანებია, რომლებიც აქ, სავარაუდოდ, ჭერის ან კედლების ჩამოქცვის შედეგად მოხვედრილა. შემავსებელი – მოყავისფრო-მოჟანგისფრო ალევრიტი, პელიტური მინარევებით (მასალის 40%). სიმძლავრე – 55-60 სმ. აღმოსავლეთი კედელი: ჰუმუსიანი ფენა, კირქვის ღორღითა და ყავისფერი თიხნარით, სიმძლავრე 10 სმ. მელანჟირებული ფენა, სადაც უწესრიგოდაა გაბნეული ნახევრადკუთხედი კირქვის პსეფიტოლითები, ცალკეული ნახშირისა და ძვლის ფრაგმენტები. შემავსებელი – მუქი ყავისფერი ალევრიტი (საერთო მასალის 70%). ფენაში აღინიშნება ნახშირის 1,5 სმ შრე, რომელიც ვრცელდება სამხრეთ კედელზე, ხოლო ჩრდილოეთის მიმართულებით კი 65 სმ-ზე ისოლება. სიმძლავრე – 32-46 სმ. მკვრივი, მოყავისფრო-მოწითალო (წითელი ფერი გამოწვეულია რკინის ჰიდროჟანგით) ალევრიტი, ალაგ-ალაგ პელიტური მინარევებით (საერთო მასის 90%). ფენაში ერთეული რაოდენობით გაბნეულია კირქვის ნახევრადკუთხედი მასალა (5ჩ7,1ჩ15, 20ჩ12 სმ). ასევე ცალკეული ნახშირის ნატეხები. კედლის ჩრდილოეთ მიმართულებით, ზემოდან 87 სმ-ზე 2-2,5 სმ-იანი ნახშირის შუა შრე, რომელიც სამხრეთით 38 სმ-ში ისოლება. სიმძლავრე 45-60 სმ.

S20 და S21-ის I ფენაში პირველი 5 სმ. არეულ არქეოლოგიურ მასალას შეიცავს, რის შემდეგაც მოდის დაურღვეველი ფენა. I ფენაში მასალა ცოტაა და შედარებით უსახო, ხოლო II ფენაში მასალის რაოდენობა მატულობს, როგორც რაოდენობრივად ასევე ტიპოლოგიურად (ცხრილი 1). წინასწარულად შეიძლება ითქვას, რომ II ფენა მეზოლითურ ხანას განეკუთვნება, თუმცა I ფენაში S20a კვადრატში -4.10-4.15 მ სიღრმეზე უკვე გამოჩნდა ჩასართი სამკუთხედი. ასეთივე სამკუთხედი, უფრო დახვეწილი ფორმის, და 2 ცალი სეგმენტი ნანახია S21b-ში II ფენაში. მასალაში აღსანიშნავია მიკროლამელები, რეტუშირებული და გვერდდაბლაგვებული, ასევე ჩვეულებრივი საფხეკები ძირითადად ანატკეცებზე დამზადებული, საჭრისები, შუალა და გვერდის, დაკბილული იარაღები, 2 ცალი უსახო ნუკლეუსი, 5 ძვლის იარაღი (ტაბ. IV_2) და მოლუსკებზე (9 ცალი) (ტაბ. IV_3), ნიჟარაზე (7 ცალი) დამზადებული მძივები (ტავ. IV_4). თითქმის ყველა კვად-

რატში ნანახია რიყის ქვის იარაღების ფრაგმენ-ტები, ასევე კერამიკის ფრაგმენტები. მასალის ინტესივობა S20-სა და S21-ში მატულობს -4.40 სმ-დან.

A`14-15, B`14-15, C`14-15 კვადრატები მღვიმის აღმოსავლეთის კედელთან მდებარეობს (ტაბ. IV_5). სამხრეთ კედელი – თხრილის ზედაპირი უსწორმასწოროა, მისი სიმაღლე იცვლება ჰორიზონტალურ ჭრილში: აღმოსავლეთით 56 სმ, ცენტრი 61 სმ, დასავლეთით კი 34 სმ. ღია ყავისფერი თიხნარი, ფხვიერი, არამკვრივი, რომელშიც უწესრიგოდაა განლაგებული ნახევრადკუთხედი სხვადასხვა ზომის კირქვის ღორღი (2ჩ3, 5ჩ7, 3ჩ8, 5ჩ11 სმ), ცენტრში სამი კირქვის ლოდი (17ჩ17ჩ7, 13ჩ14ჩ5, 19ჩ14ჩ7 სმ), ჰორიზონტის სიმძლავრე არათანაბარია – 8-19 სმ. მოყავისფრო-მოჟანგისფრო თიხნარი, შედარებით მკვრივი და წვრილმარცვლოვანი. შრეში უწესრიგოდაა განლაგებული მცირე ზომის ნახშირის ნატეხები და კირქვის ღორღი (10-15%), ჰორიზონტის საგებში კირქვის მცირე ზომის ნატეხების (1ჩ1, 2ჩ1 სმ) შუაშრე (სიმძლავრე 1-3 სმ), რომლთა გამოფიტვის გამო, კედელზე აღინიშნება კარბონატის თეთრი მინაფიფქი. ამ ფენაში დასავლეთ საზღვართან გვხვდება სამი ცალი კერამიკის ნატეხი, ერთი ძვალი და დიდი რაოდენობით ნახშირი. მთელ ფენაში გვხვდება რკინის ჰიდროჟანგის მცირე ზომის (d=2-3 მმ) კონკრეციები. სიმძლავრე 22-39 სმ. ჩრდილოეთ კედელი – არათანაბარი ზედაპირის მქონე ღია ყავისფერი თიხნარი, იშვიათად კირქვის დაკუთხული ღორღით. სიმძლავრე10-15 სმ. კედელს გასდევს მოწითალო-ჟანგისფერი პალეოიატაკი, ნახშირით, სიმძლავრით 3-5 სმ, რომელიც ცენტრში 3-4 სმ იკარგება და ისევ გრძელდება ბოლომდე. მუქი ყავისფერი მკვრივი თიხნარი, შეიცავს ნახშირს, კარბონატისა და რკინის ჰიდროჟანგის მცირე ზომის კონკრეციებს. სიმძლავრე 16-23 სმ. დასავლეთ საზღვართან კირქვის დიდი ლოდია, 120ჩ67ჩ30 სმ. აღმოსავლეთი კედელი: ყავისფერი თიხნარი, სხვადსხვა ზომის კირქვის ღორღით (მასალის 10%), იშვიათად ნახშირის შემცველი. ორი კირქვის პსეფიტოლითი (9ჩ9ჩ1, 8ჩ5ჩ4 სმ). მუქი ყავისფერი, ოდნავ მკვრივი თიხნარი, კირქვის უწესრიგოდ განლაგებული ღორღით (7-10%). ფენა შეიცავს ნახშირის ნატეხებსა და ჟანგისფერ ჩანართებს. კედლის ჩრდილო საზღვართან, 28 სმ სიგრძისა და 1-3 სმ სიძლავრის მოწითალო-ჟანგისფერი პალეოიატაკი, რომელიც ისოლება სამხრეთით. სიმძლავრე 30-38 სმ.

შურფის პრეპარაციის დროს მასალა ძალიან მცირე რაოდენობით ამოდიოდა, უკვე ნიადაგის გარეცხვის შემდეგ არტეფაქტების რაოდენობა გაიზარდა, მაგრამ ძირითადად უსახო ნივთებით (ცხრილი 2).

ყველა კვადრატში, ქვის მასალასთან ერთად, კერამიკული მასალაცაა, ძირითადად პატარა ნატეხები, რომლის განსაზღვრა ძალზე ძნელია, სულ რამდენიმე ნატეხია პროფილით და გარკვეული ორნამენტით, სავარაუდოდ, ნეოლით-ენეოლითური პერიოდის (ტაბ. IV_6).

B`14b-ში გამოჩნდა რიყის ქვების ორი წყება, რომელიც E-W მიმართულებით იყო განლაგებული, სადაც აღმოჩნდა ადამიანის კბილები და ძვლის, კერძოდ, ნეკნის რამდენიმე ფრაგმენტი. ეს ალბათ კ. კალანდაძის მიერ გათხრილი სამარხის ნარჩენებია. ხოლო C`15 ჭრილის N და E კედელთან, 255-260 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა ორი ორმო, რომელიც მუქი ჰუმუსითაა შევსებული და ჩაჭრილია მოწითალო-მოყვითალო (ენეოლითურ?) ფენაში. აღსანიშნავია, რომ ამ ორმოებში მასალა პრაქტიკულად არაა, თუ არ ჩავთვლით ერთ დაკბილულ გატეხილ ლამელას. B`15c-ში –280-290 სმ სიღრმეზე და B`15a 290-296 სმ სიღრმეზე გამოჩნდა წითელი იატაკი.

რაც შეეხება ქვის მასალას, უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოო გადანაყარში ჭარბობს მწვანე ფერის კაჟი, რომელიც ძალიან კარგი ხარისხისაა და იარაღების დასამზადებლად გამოიყენებოდა. ჯერჯერობით ერთი რეტუშირებული ანატკეცის გარდა (ტაბ. IV_7), ვერც ერთი იარაღი ვერ ვნახეთ. ობსიდიანის ანატკეცები დაახლოებით 5%-ია, თუმცა არც ერთი იარაღი, მხოლოდ ერთი პატარა ნუკლეუსის დამუშავების დროს მიღებულია ანატკეცი (ტაბ. IV_8). იმავე კვადრატში და სიღრმეზე აღმოჩნდა პატარა ზომის კაჟის სეგმენტი. ნუკლეუსები ცოტაა, სულ 4 ცალი. ერთი მათგანი კარენეს ტიპის და პატარა ზომის ამორფული. საინტერესო ნივთია – ე.წ. ლეკალოს ტიპის იარაღი (ტაბ. IV_9), რომლის მსგავსი ნივთები თარიღდება ნეოლითით [გრიგოლია 1977], თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ლეკალოს ტიპის იარაღები მრავლადაა კოტიას კლდის მღვიმის მეზოლითურ ფენაში [Bar-Oz et al. 2009]. მასალის ნეოლითურ ხასიათზე მეტყველებს ასევე ისრისპირი (ტაბ. IV_{10}) და რიყის ქვის ჩაქუჩი (ტაბ. IV_{11}), თუმცა ნამგლისპირის აღმოჩენა ამ თარიღს ცოტა საეჭვოდ ხდის. თარიღების გარეშე რაიმე დასკვნის გამოტანა ძნელია, ამიტომაც ჩვენ ავიღეთ ნახშირის ნიმუშები და საანალიზოდ გავგზავნეთ, რომლის შედეგებიც მოგვიანებით გა-

ხდება ცნობილი.

პალეონტოლოგია. 2008 წელს I38-39, S18-20 კვადრატებში მოპოვებულია დიდი ზომის ცხოველთა 242 ძვალი, აქედან განისაზღვრა 162 და ეკუთვნის 14 სახეობას (ცხრილი 3) (მღრღნელების გარდა), ფაუნის სია მოითხოვს დაზუსტებას, განსაკუთრებით დასადგენია, როგორია ამ ფაუნაში შინაური ცხოველების წილი. აღსანიშნავია, რომ ფაუნაში ბევრია ახალგაზრდა ინდივიდთა ძვლები, განსაკუთრებით ღორის. ფაუნის შემადგენლობაში თევზისა და თახვის არსებობა, ძეგლის მდინარესთან სიახლოვეზე მეტყველებს.

2009 წელს გათხრების შედეგად მოპოვებულია დიდი ზომის ხერხემლიანის 81 ნაშთი (ცხრილი 3), ხოლო პატარა ზომის ხერხემლიანის (მღრღნელები, ამფიბიები, ფრინველები) 100-მდე ნაშთი. პატარა ზომის ცხოველების ნაშთები ნაწილობრივ დამუშავებულია, დანარჩენი მასალის განსაზღვრა მიმდინარეობს. დიდი ზომის ხერხლემლიანებიდან 2009 წლის (კვადრატები: A`14-15, B`14-15, C`14-15) მასალის მიხედვით დადგენილია: წყვილჩლიქოსნები: დომბა, ჯიხვი, შველი, ირემი, ღორი. მათ შორის სავარაუდოა იყოს შინაური საქონელიც, რაც შემდგომ კვლევას საჭიროებს, მტაცებლები: მგელი, მღვიმური დათვი, მურა დათვი, ტყის კატა, თრითინა, წავი, მღრღნელებიდან: კურდღელი (ლაგომორფა), წყლის მემინდვრია, ტყის თაგვი, ბიგა, ტყის მემინდვრია, მწერიჭამიები: ზანგელა, თხუნელა, ამფიბიები: ბაყაყი, ქვეწარმავლები: გველი, ხვლიკი.

ზოგადად საწურბლიას ფაუნა მოზაიკური ლანდშაფტის ამსახველია. ძირითადად წარმოდგენილია ტყის ბინადარი ფორმები (გარეული ღორი, ტყის კატა, თრითინა, შველი, ირემი). შედარებით გაშლილი, ღია ლანდშაფტის მოყვარულებია კურდღელი, ნაწილობრივ დომბა, ხვლიკი, ზოგიერთი მემინდვრია. საწურბლიაში აშკარად წყლის მოყვარული ფორმებიდან გვხვდება წავი, რომელიც მდინარეებშიც არჩევს ტყით დაფარული ნაპირების უბნებს, აქვეა ბაყაყი და წყლის მემინდვრიაც.

ფაუნის მიხედვით, ცხადია, ეს ძეგლი წყალთან ახლოს მდებარეობდა (წავი, ბაყაყი, წყლის მემინდვრია), ხოლო ჰავა იყო შედარებით ტენიანი და თბილი. ფაუნის იერი დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლით-ნეოლითის ფაუნის ანალოგიურია. ამ ფაუნაში ახალი ელემენტია წავი, რომელიც დღემდე არ შეგვხვედრია დასავლეთ საქართველოს ფაუნის შემადგენლობაში, თუმცა, ალბათ, ბინადრობდა ამ რეგიონში ადრეც.

პალეობოტანიკა. პალეობოტანიკური კვლევის მიზნით მღვიმის დასავლეთ ჭრილში (I38-39, S20-21) 2008 წელს დამუშავდა ნიადაგის 29 ნიმუში ფლოტაციის მეთოდით და ყველგან დაფიქსირდა ბოტანიკური მასალა, რომელიც წარმოადგენს მცენარეთა განამარხებულ ნაყოფებსა და თესლებს, მათი იდენტიფიკაცია მოხდა სტერეოსკოპული მიკროსკოპით, გვარებისა და სახეობების დონემდე. მორფოლოგიურ ნიშანთა კომპლექსის მიხედვით განისაზღვრა მცენარეთა 35 სახეობა. არქეობოტანიკური მასალა წარმოდგენილია სარეველა და ველურ მცენარეთა ფართო სპექტრით (ცხრილი 4). ზედაპალეოლითურ და მეზოლითურ ფენებში მასალა სახეობრივად თითქმის ერთნაირია. I ფენაში სახეობათა მრავალფეროვნება შეიძლება აიხსნას კულტურული ფენის არევით.

2009 წელს მღვიმის აღმოსავლეთ ჭრილში (A`14-15, B`14-15, C`14-15), და დასავლეთ ჭრილში (S20-21) აღებული 14 ნიმუშიდან ბოტანიკური მასალა აღმოჩნდა 8 ნიმუშში. განისაზღვრა 15 სარეველა და ველური მცენარე. ამ კვადრატებიდან მომდინარე მასალა არ გამოირჩევა სახეობრივი მრავალფეროვნებით, დომინირებს ტყის ელემენტი, მდელოს ელემენტები და სარეველა მცენარეები.

პალინოლოგია. საწურბლიას პალინოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ როგორც პალინოლოგიური, ასევე არაპალინოლოგიური ნამარხების კომპლექსი სხვადასხვა ფენაში განსხვავებულია. განსაკუთრებით საინტერესოა ის შრეები, სადაც ჩანს გამოქვაბულში ადამიანის ცხოვრების კვალი. გარდა საკვები მცენარეების მტვრის დიდი რაოდენობისა, დაფიქსირებულია უამრავი ხის მერქნის ტრაქეალური მიკროსკოპიული უჯრედები, რომელიც აქ დაწვის შემდეგ შემორჩა. ხის მერქნის უჯრედები ბევრია ქვედა ფენებში. აქვეა ნაპოვნი ძვლის კრისტალები და სელის ბოჭკო. ძვლის კრისტალებიც, სავარაუდოდ, ადამიანის კვების ნარჩენები უნდა იყოს.

ზედა ფენებში, იქ, სადაც ადამიანის ცხოვრების კვალი ქრება, სპექტრებში აღარ აღინიშნება ხის მერქნის უჯრედების დიდი რაოდენობა. არ არის ძვლის კრისტალები და არანაირი სელის ბოჭკო. სამაგიეროდ, ბევრია ნაკელის სოკოს სპორები, ტკიპების ნაშთები და ცხოველთა პარაზიტული ჭიების კვერცხები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საწურბლიას გამოქვაბულს ცხოველები დაეპატრონენ.

საწურბლიას მღვიმის შესწავლა მომავალ

წელსაცაა დაგეგმილი, წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ მღვიმის დასავლეთ და აღმოსავლეთ კედელთან გაკეთებულ ჭრილებში მხოლოდ მეზოლითური და ფინალური ზედაპალეოლითის დამახასიათებელი მასალაა ნანახი, ხოლო აღმოსავლეთ ჭრილში ნეოლოთ-ენეოლითური.

დაზვერვები

ჩვენი პროექტის „მონადირე-შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა საქართველოში" მიხედვით 2008 წელს სამუშაოები ვაწარმოეთ ანასეულ I-სა და ანასეულ II-ზე, მამათში, ურთასა და გურიანთაში, ხოლო 2009 წელს – ქობულეთში, ოდიშსა და პალურში, რათა შეძლებისდაგვარად მოგვეპოვებინა ახალი მონაცემები.

სამხრეთ კავკასიაში პირველი ე.წ. „ნეოლითური" ძეგლი ოდიში აღმოჩნდა 1936 წელს და განისაზღვრა მეზოლითური და ნეოლითური ფენების შემცველ ძეგლად [კალანდაძე 1939]. არსებობდა მოსაზრება, რომ ოდიში ერთფენიანი ძეგლია [Хоштария 1940; Формозов 1953]. გასული საუკუნის 40-60 წწ. საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო ე.წ. „ნეოლითური" ძეგლების სისტემატური აღმოჩენა-შესწავლა, გაითხარა ათობით „ნეოლითური" ძეგლი თუ დროებითი სადგომი, როგორიცაა 1940 წ. აღმოჩენილი ურთა [Хоштария 1940], 1941 წ. კისტრიკი [Лукин 1950], 1951-52 წწ. მრავალფენიანი ძეგლის – საგვარჯილეს II ფენა „გვიან ნეოლითად" დათარიღდა [Киладзе 1953], 1957 წ. სოფ. ნიჟნაია შილოვკაში აღმოჩნდა ნეოლითური ნამოსახლარი, სადაც აღმოჩნდა უძრავი ფენა [Формозов 1962]. 1958 წ. ნეოლითური ძეგლები აღმოჩნდა ანასეულში, ექადში, ნარუჯაში, ვაკიჯვარში, გოშველში, საირმიასა და მერიაში. 1959 წ. დაიწყო დაზვერვითი სამუშაოები აჭარაში (ი. გრძელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, ალ. რამიშვილი), სადაც მიაკვლიეს ხუცუბნის და ქობულეთის ნამოსახლარებს, 1950 წ. მამათი [ნებიერიძე 1964] და 1963 წ. გურიანთა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილი ყველა ეს ე.წ. ნეოლითური სადგომი მდებარეობს მდინარისპირა, შემაღლებულ ტერასებზე ან მთისწინა ბორცვებზე. მოპოვებული მასალის შესწავლის შედეგად შემუშავდა საქართველოს „ნეოლითის ქრონოლოგია" და ნეოლითური ძეგლები დაიყო ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად [Формозов 1962]. პირველ ჯგუფში გაერთიანდა ოდიში, კისტრიკი, ანასეული II და ნიჟნაია შილოვკა, მეორე ჯგუფში კი სოჭი-ადლერის ტიპის ძეგლები. ა. ფორმოზოვმა გამოყო კავკასიის ნეოლითური კულტურის ორი ფაზა, ორი თანმიმდევრული ეტაპი – ადრეული, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია მეზოლითური ნიშნები და გვიანი – განვითარებული ნეოლითისათვის დამახასიათებელი ინდუსტრიით. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მკვლევარი (ალ. კალანდაძე კ. კალანდაძე, ს. გოგიტიძე, ლ. ნებიერიძე, ზ. წერეთელი), რომელიც ამ საკითხს შეეხო, აღნიშნავდა, რომ არც ერთი ძეგლი არ იყო სტრატიფიცირებული, მასალის უმეტესი ნაწილი აკრეფილია ზედაპირულად, ან მომდინარეობს დარღვეული ფენებიდან [ნებიერიძე 1972: 67].

ენციკლოპედიური განსაზღვრებით [Encyclopedia of Human Evolution and Prehisrory, 2000: 475] ნეოლითი ადამიანის განვითარების ისტორიაში ხასიათდება დასახლების წარმოშობით, ცხოველთა მოშინაურებით. ახალი ქვის ხანის ქვის ინდუსტრია ხასიათდება გახეხილ-გაპრიალებული იარაღებით, პრიზმული ნუკლეუსებიდან მიღებული მიკროლითებით, ნამგლის ჩასართებით, ამ დროის მოსახლეობა იყო არა მონადირე-შემგროვებელი, არამედ მათი ეკონომიკური ორგანიზაცია იყო მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. ზემოთ ჩამოთვლილ არც ერთ ძეგლზე ამ მახასიათებლების ერთობლიობა არ აღინიშნება.

განვიხილავთ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგებს: საველე მეთოდიკის შესახებ: პირველ რიგში განვსაზღვრეთ ძეგლების კოორდინატთა სისტემა, გასათხრელი ფართობი აიგეგმა 1ჩ1 მ კვადრატებად, რომელიც თავის მხრივ დაიყო მეოთხედ კვადრატებად. ვიღებდით 5 სმ სიღრმის მიწის ფენას, რომელიც ირეცხებოდა 1ჩ1 სმ საცერში, დარჩენილი მასალა მუშავდებოდა. ყველა მონაცემი დაფიქსირებულია სათანადო მონაცემების აღნუსხვით, მასალა გატარებულია საველე დავთარში.

ანასეული I „ნეოლითური" სადგომი მდებარეობს ოზურგეთის სამხრეთ დასავლეთით, 1.5 კმ-ში. ჩაის სახელმწიფო ინსტიტუტის ტერიტორიაზე არსებული ოზურგეთის ტელევიზიის რეტრანსლიაციის კუთვნილ ფართობზე, დაახლოებით 500 კვ.მ-ზე, ზედაპირულად იკრიფება მასალა. ძეგლი აღმოაჩინა 1958 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით. ანასეული I-ის კოორდინანტებია: N41°54`718``, E41°58`845``, ზღვის დონიდან 157 მეტრზე მდებარეობს. ფართობი ავგეგმეთ, საორიენტაციო წერტილად ავიღეთ შუაში მდგარი სატელევიზიო ანძა. ანძიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2

მეტრში გავაკეთეთ სადაზვერვო შურფი (ტაბ. III_{2-3}). შურფი გაითხარა 80 სმ-ზე, სადაც დადასტურდა 2 ფენა: I – კორდოვანი ფენა; II – წითელი თიხნარი. კორდოვანი ფენის სისქე სხვადასხვა ადგილას მერყეობს 20-25 სმ. ძირითადი მასალა მოიპოვება ჰუმუსოვან, კორდოვან ფენაში, თუმცა ერთეული აღმოჩენებია თიხნარ ფენაში, 20-35 სმ სიღრმეზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს L11-12 კვადრატების საზღვარზე მასალის მცირედი კონცენტრაცია (ტაბ. III_4). რაც შეეხება მასალას ხასიათს, ჯერჯერობით ასეთი სურათია: არც ერთი ნუკლეუსი, ძალიან ცოტაა ანატკეცი და ქერცლისებური ანატკეცები, ძირითადად ლამელები; ბევრია იარაღი, წარმოების გადანაყარი პრაქტიკულად არაა. ეს ალბათ იმაზე მიუთითებს, რომ ძეგლი ნასახლარი კი არა, დროებითი სადგომია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაა ფაუნა და კერამიკა, მხოლოდ ე.წ. თიხის გუნდები. გახეხილ-გაპრიალებული იარაღები არაა, ვნახეთ მხოლოდ 2 ცალი შურდულის ქვა (ტაბ. V_1). ინვენტარი ძირითადად ობსიდიანზეა დამზადებული (ტაბ. V_{2-4}), რომელიც, სავარაუდოდ, ჭიქიანის ადგილსაპოვებელიდან მომდინარეობს. არაა ძვლის იარაღი. უნდა აღინიშნოს რბილი ქანისაგან დამზადებული ნივთების არსებობა (ტაბ. V_5), რომელიც ფორმით გვიანდელი პერიოდის ძვლის საპრიალებელს გავს (შესაძლებელია ფორმით მოქანდაკეების „სტეკებს“ შევადაროთ).

ანასეული I-ის შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ამ კომპლექსის სახით საქმე გვაქვს კავკასიაში დღემდე უცნობ, მეზოლითური ტრადიციების მქონე, ადრენეოლითის ხანის ძეგლთან“ [ნებიერიძე 1972: 70]. არც ერთი კომპონენტი, რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ, არ მიანიშნებს მის ნეოლითურობაზე. მწარმოებლური მეურნეობის დამადასტურებელი არც ერთი ფაქტი არაა ნანახი. ანასეული I-ში, ჩვენს მიერ აღმოჩენილი მასალის დათარიღება ძალიან ძნელია. 2008 წელს ნანახი ნახშირის ნიმუშზე OS-72158R მიღებულმა ანალიზმა 5.645 B.C. კალიბრირებული წელი დააფიქსირა. ერთი თარიღით რაიმე დასკვნების გაკეთება ძნელია, რამდენიმე ნიმუში აღებული გვაქვს, ველოდებით შედეგებს.

ანასეული II ლიტერატურაში მითითებული ადგილმდებარეობის მიუხედავად, და გამთხრელთა პირადად მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ანასეული II, რომელსაც „მიწის ციხედაც“ მოიხსენიებენ, ადგილმდებარეობას ვერ მივაგენით. მხოლოდ ჩაის სახელმწიფო ინსტიტუტის (ბ-ნ ვ. ცანავა) დახმარებით, მივაგენით მცირე ზომის მასალის ადგილსაპოვებელს. ბ-ნ ვალერიანის თქმით, ის თვითონ მონაწილეობდა ამ ძეგლის აღმოჩენაში და იმ ადგილზე, სადაც მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოები, დღეს მოიპოვება ძალიან გვიანდელი კერამიკა, ერთეული უსახო კაჟის ნივთი. ამ ადგილსაპოვებელის კოორდინატებია: N41°54`068``, E41° 58`451``, ზღვის დონიდან 115 მეტრზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ანასეულ II-ზე, მეტეოროლოგიური პირობების გამო სადაზვერვო შურფის გავლება ვერ მოვახერხეთ.

მესამე ძეგლი, სადაც ჩვენ შევძელით საკონტროლო შურფების გაკეთება არის სოფ. გურიანთას ტერიტორიაზე მდებარე „ციხის ფერდის“ უბანი. ესაა კონცხი, რომელსაც წარმოშობს მდ. სკვირდინი. ძეგლი ვახტანგ კვერღელიძის კარმიდამოშია, მისი კოორდინატებია: N41°57`120``, E41°56`501``, ზღვის დონიდან 63 მეტრზე. დაახლოებით ნახევარ ჰექტარის ფართობზე იკრიფებოდა მასალა, რომელიც ინახება ოზურგეთის მუზეუმში. ამ ტერიტორიაზე გავაკეთეთ 3 შურფი, 1.5ჩ3 მ, რომლის სიღრმე დაახლოებით 1 მეტრია (ტაბ. III_5). მასალა ჩნდება ჰუმუსოვან ფენაში. კულტურული ფენა არ აღმოჩნდა. ჰუმუსის ფენა პირდაპირ დევს წითელი სტერილური ფენის თავზე. სულ 18 რაოდენობის უსახო მასალა. სამწუხაროდ, ვერ მივაგენით მამათის ე.წ. ნეოლითურ ძეგლსაც. პირადად ქ-ნი ლამარა ნებიერიძის შეტყობინებით, ძეგლი მდებარეობს სოფ. მამათში, ადგილ კოხას უბანში. მივაგენით აღნიშნულ ადგილს ადგილობრივი მცხოვრებლების დახმარებით. ეს ადგილი მდებარეობს ხარხამეთას ღელის ნაპირზე სოფ. მამათისა და ზიმითის საზღვარზე. მისი კოორდინატებია: X 0254052, Y 4652718, ზღვის დონიდან 40 მეტრზე. სამწუხაროდ, ვერც ერთი ნივთი ვერ ვნახეთ. ასევე, გარშემო 5 ჰექტარის მიდამოს დაზვერვის შედეგად არ აღმოჩნდა არცერთი არტეფაქტი და არც კულტურული ფენა. 2-3 ადგილზე ვნახეთ გვიან ფეოდალური კერამიკის ფრაგმენტები.

ურთა, მდებარეობს ზუგდიდის რაიონში, მისი კოორდინატებია N42°25`579``, E41°51`108``, ზღვის დონიდან 56 მეტრზე. ძეგლი აღმოაჩინა 1940 წელს ნ. ხოშტარიამ ენგურის ხეობაში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვების დროს სოფ. ურთასა და ურთას მთაზე [Хоштария 1940]. ავტორი ამ მასალას ოდიშის თანადროულად მიიჩნევდა და ადრე ნეოლითით ათარიღებდა. 2003 წელს ადგილობრივი სკოლის მასწავლებლის ვ. დაგარგულიას შეტყობინებით, ჩვენ მოვინახულეთ ურთა. მან გვაჩვენა მის საკარმიდამოში

მოპოვებული მასალა, რომელიც, ერთი შეხედვით, ფანქრისებური ნუკლეუსების სიმრავლეზე დაყრდნობით, ეპიპალეოლითურ-მეზოლითური ხასიათისაა. აღნიშნულ წელს ჩვენ გავავლეთ სადაზვერვო შურფი, სადაც ჰუმუსოვანი ფენის ქვეშ ვნახეთ დარღვეული თიხნარი. მასალა, რომელიც აღმოვაჩინეთ იმავე ხასიათის იყო, თუმცა ვერც ერთ ფანქრისებულ ნუკლეუსს ვერ მივაგენით.

საანგარიშო წელს კოორდინატების და ძეგლის გავრცელების დასადგენად ვიყავით სოფ. ურთაში. დავადგინეთ, რომ მასალა ვრცელდება დაახლოებით ნახევარ ჰექტარზე. გავაკეთეთ 3 შურფი. ერთი – მასალის გავრცელების პერიფერიაზე, დანარჩენი ორი – მის შუა ნაწილში. სურათი იგივეა, ჰუმუსოვანი ფენის გარდა, მასალა სიღრმეში არ ვრცელდება (ტაბ. V_7). ტიპოლოგიურად მასალა მეზოლითური ხანისაა (ტაბ. V_{8-11}).

2009 წელს დაზვერვები ჩავატარეთ ქობულეთში, ოდიშსა და პალურში. ყველა ეს ძეგლი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და გათხრილია სხვადასხვა დროს სხვადასხვა არქეოლოგის მიერ. ისინი განსაზღვრეს, როგორც სხვადასხვა პერიოდის ნეოლითური ძეგლი [აფაქიძე და სხვ. 1959: 53-67; გრიგოლია 1977; კილაძე 1951; ნებიერიძე 1972; ნებიერიძე 1993; ფხაკაძე 1992; Лукин 1950]. რაკი ჩვენ ეჭვი შევიტანეთ მათ დათარიღებაში, შევეცადეთ დაზვერვითი გათხრებით გამოგვერკვია ეჭვის საფუძვლიანობა.

ჩატარდა დაზვერვითი გათხრები ე.წ. ნეოლითური ხანის ნამოსახლარ ქობულეთზე, რომელიც 1961 წ. აღმოჩნდა [გოგიტიძე 1977]. ს. ხუცუბნიდან 3 კმ-ის და კურორტ ქობულეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 კმ დაშორებით. მდ. კინტრიშის ტერასის კიდეების გასწვრივ გაივლო 5 პატარა საკონტროლო თხრილი, რომელმაც მცირე მასალა გამოავლინა, აღსანიშნავია, რომ არტეფაქტები მხოლოდ ჰუმუსში მოიპოვებოდა 0.3-0.5 სმ სიღრმეზე. 1973 წ. იქ ჩატარდა მცირემასშტაბიანი გათხრები და გაკეთდა 8 საკონტროლო თხრილი, გათხრები გაგრძელდა 1974 წელსაც. გამოვლენილია ე.წ. ბუდეები და კერები, რომელიც ქვაყრილებითაა დაფარული. მასალის ანალიზის საფუძველზე მკვლევარი ასკვნის, რომ ნამოსახლარი ადრენეოლითური ხანისაა, სადაც ადამიანი ხანგრძლივად ცხოვრობდა და იარაღსაც იქ აკეთებდა.

გათხრების დაწყებისას ჩვენ ვიხელმძღვანელეთ ბ-ნ ს. გოგიტიძის წიგნში არსებული ტოპოგეგმით. ჩვენ გამოვიყენეთ ტოპოგეგმის SO სექტორი, რომელიც უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და გავაკეთეთ 5ჩ5 მ შურფი (ტაბ. VI_1). აღმოჩნდა, რომ ეს ადგილი ძირითადი ნასახლარის პერიფერიაა. არქეოლოგიური მასალა ჩვენც ჰუმუსოვან ფენაში აღმოვაჩინეთ, ჰუმუსის ქვეშ ყვითელ თიხნარში მასალები პრაქტიკულად არ არის. ბ-ნ ს. გოგიტიძის ნაშრომში გეგმაზე აღნიშნულია, რომ SO სექტორში, მათ შორის, სადაც ჩვენც ვაწარმოებდით გათხრას, არსებობდა ე.წ. სახელოსნო კერები, ბუდეები, სადაც მასალის კონცენტრაციაა დაფიქსირებული. როგორც ჩანს, ანალოგიურ „კერა-სახელოსნოს“ ჩვენც მივაგენით, რომელიც არასწორი ფორმისაა და დაახ. 70 სმ-ის სიღრმისაა და შევსებულია როგორც ზედაპირიდან ჩაყრილი არტეფაქტებით, ასევე თანამედროვე რკინითა და შუშებით (ტაბ. VI_2), რაც სრულიად გამორიცხავს იმას, რომ იგი ნეოლითური ხანისაა. ჩვენ მიერ გათხრილ ტერიტორიაზე გამოჩნდა ე.წ. „წყლის არხი“ (ტაბ. VI_3), რაც წარმოადგენს თანამედროვე დროის, დაახლოებით 50-70 წლის წინანდელ გათხრილ სადრენაჟო არხს. რიყის ქვების კონცენტრაცია პირველად რაღაცა ნაგებობის ნაშთი გვეგონა, მისი გაწმენდისას აღმოჩნდა, რომ ეს უბრალოდ ქვების გროვაა.

მეორე შურფი გავავლეთ მდ. კინტრიშის ნაპირზე ძირითადი შურფის SE მიმართულებით, სადაც ლითოლოგია და მასალის განლაგება იგივეა.

ამას ყველაფერს ემატება მასალის წინასწარული ანალიზი, სადაც ვერ ვნახეთ ნეოლითისათვის დამახასიათებელი ვერც ერთი ნივთი. ძირითადად აქ წარმოდგენილია ფინალური ზედაპალეოლითური მასალა.

ლ. ნებიერიძის ნაშრომში „დასავლეთ საქართველოს ნეოლითი“ [ნებიერიძე, 1972] დაწვრილებითაა მითითებული ოდიშის ადგილმდებარეობა. აღწერიდან ჩანს, რომ საქმე გვაქვს უზუსტობასთან. აღნიშნულია, რომ ძეგლი მდებარეობს სოფ. ლედგებიაში, მდ. ჯუმის მარჯვენა ნაპირის ზეგანზე, მითითებულია 273 მ ზღვის დონიდან, ამ ძეგლის დასავლეთი ნაწილი, თითქოს ჩადის მდ. ენგურში. რეალურად მდ. ენგური მდებარეობს თითქმის 12 კმ-ში. მაინც გამოვიყენეთ შემდეგი მითითებები: ლედგებია, მდ. ჯუმი და სოფ. კორცხელი და დავიწყეთ ამ მიდამოების დაზვერვები სოფ. კორცხელსა და ოდიშის (ყოფილი ლედგებია) საზღვარზე. აღმოვაჩინეთ ზეგანი, რომელიც დაახლოებით 330 მ-ზეა ზღვის დონიდან და ამჟამად იქ დგას მაგთის ანძა, რომლის მისასვლელთან გზის ჭრილში

ვნახეთ პირველი ნივთები: კაჟის ლამელა, საფხეკი და სხვა უმნიშვნელო არტეფაქტი. ამის მერე დავიწყეთ ადგილის საფუძვლიანი დაზვერვა. ანძიდან სამხრეთით გაკეთდა პირველი შურფი. მასალა მხოლოდ კორდოვან ფენაშია, ისიც მცირეოდენი. პირველი სიგნალი, რომ ჩვენ სწორედ მივდივართ ძეგლის მიმართულებით, იყო ზედაპირზე ნანახი გახეხილ-გაპრიალებული ცული (ტაბ. VI_4), მიმდებარე პლატოზე დაახლოებით 500 მ რადიუსზე გავაკეთეთ 14 შურფი (ტაბ. III_1). ჭრილებში მცირე რაოდენობის მასალა ყველგან ამოდიოდა და ყოველთვის კორდოვანი ფენიდან. ერთ-ერთ პლატოს ასასვლელ გზაზე, მივაგენით გახეხილ-გაპრიალებულ ცულს და მასთან ერთად კაჟის მასალის საკმაოდ დიდ კონცენტრაციას. ამის შემდეგ ავედით პლატოზე, რომელსაც ჰქვია დგებია-სუკი, რაც ნიშნავს დგებუაძეების გორას, რომელიც დაახლოებით ნახევარ ჰექტარზეა გადაჭიმული და სადაც დათესილია ჩაი. სწორედ ჩაის პლანტაციის პერიფერიაზე, ზეგანის აღმოსავლეთ ნაწილში გათხრილმა შურფებმა გამოავლინა მასალის საკმაოდ დიდი კონცენტრაცია. კვადრატებიდან ამოღებულ ნიადაგს ვცრიდით, მაგრამ მასალა იქაც ძალიან მცირერიცხოვანი იყო. მასალა, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ კორდოვან ფენაშია და ისეთივე ხასიათისაა, როგორიც ეროვნულ მუზეუმში დაცულ კოლექციებში (კოლ. № 6-58: 1-896). ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მასალა ზედაპირულია და ურღვევი კულტურული ფენა არაა ნაპოვნი.

კვლევის შემდგომი ობიექტი იყო ბ-ნ გ. გრიგოლიას მიერ გათხრილი ძეგლი „პალური“, რომელიც ზუგდიდის მუზეუმის კოლექციაში შესულია, როგორც „ჟირ სუკი“ (ტაბ. VI_5). მასალა გამოქვეყნებულია გ. გრიგოლიას წიგნში „ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი პალური“ [გრიგოლია 1977]. ძეგლი აღმოაჩინეს 1969 წელს, სოფ. პალურის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ჩვენ ვნახეთ ორი გორა, რომლებიც განლაგებულია NE-SW მიმართულებით და რომელიც დღეს დაფარულია ძალიან ხშირი ტყის საფარით და მაჩვის უამრავი სოროთი. მასალა ზედაპირზე არსად ჩანს. შევხვდით ორ ადამიანს, რომლებიც თავის დროზე მუშაობდნენ ბ-ნ გურამთან და მიგვიყვანეს შურფთან, რომელსაც ის თხრიდა. გავწმინდეთ ძველი შურფის აღმოსავლეთი ბორტი (ტაბ. VI_6), ჭრილის სიღრმე დაახლოებით 90 სმ-ზე, რომლის შემდეგ უკვე დედაქანია. ბ-ნ გურამის მიერ აღწერილი ფენები სახეზეა: ზევიდან ქვევით – ჰუმუსი, მოყავისფრო-მოშაო თიხნარი რომელშიც ბევრი რიყის ქვაა და შემდეგ მოდის ნაცროვანი ფენა, რომელიც დევს 10 სმ-ის ნაცრისფერ-რუხ ფენაზე, ეს უკანასკნელი კი დედაქანზე. მასალა თითქმის არაა, მხოლოდ ჰუმუსში აღმოჩნდა რამდენიმე შავად გაპრიალებული კერამიკა და უსახო ანატკეცი.

2008-2009 წლის საველე-დაზვერვითმა სამუშაოებმა და ამ საკითხზე გამოქვეყნებული ლიტერატურის ანალიზმა, გაამტკიცა ჩვენი ეჭვი იმის შესახებ, რომ არც ერთი ეს ძეგლი არაა მწარმოებლური ეკონომიკის მატარებელი მოსახლეობის მიერ დატოვებული ნამოსახლარი. არც ერთ ძეგლზე, რომლის რევიზიაც ჩვენ მოვახერხეთ, ამ კულტურისათვის დამახასიათებელი და აუცილებელი კომპონენტი არაა დადასტურებული. არც საცხოვრებლის კვალია, არც ფაუნისტური მასალაა, არაა კერამიკა, არაა ძვლის იარაღები, ნამგლის ჩასართები თუ ნეოლითისათვის დამახასიათებელი სხვა ნივთები. და, რაც მთავარია, არაა კულტურული ფენები, მასალა მხოლოდ ჰუმუსოვან ფენაში მოიპოვება. თუმცა წამოიჭრა საკმაოდ დიდი სამეცნიერო პრობლემა, რა ტიპის დასახლებასთან და რა კულტურის მატარებელ მოსახლეობასთან გვაქვს საქმე. ყველა ეს ე.წ. დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლი ჰგავს ერთმანეთს სტრატიგრაფიით, არქეოლოგიური მასალით და გეოგრაფიული ადგილმდებარეობით. ჩვენი აზრით, აუცილებელია გაგრძელდეს შემდგომი კვლევა ამ ძეგლების რაობის გასარკვევად. როგორც ჩანს, ადამიანთა ჯგუფები აქ სეზონურად, ძალიან მცირე დროით მოდიოდა, ამიტომაც კულტურული ფენები ძალზე სუსტია. წინასწარულად შეიძლება ასეთი ტიპის ძეგლები ეპიმეზოლითად განისაზღვროს, ხოლო ნეოლითად განისაზღვროს მღვიმური ძეგლების „ენეოლითად“ წოდებული ფენებიდან მოპოვებული მასალა, რომელიც უფრო ზუსტად ასახავს დამჯდარ მეურნეობას.

გასული საუკუნის 80-იან წლებში, სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ გაშუქდა ე.წ. „მეორადი პროდუქციის რევოლუციის“ საკითხი, რაც ნიშნავს რძის და მისგან წარმოებული პროდუქტების გამოყენების დაწყებას. პირველად ეს საკითხი წამოჭრა ა. შერატმა [Sherratt 1981]. ის მიიჩნევდა, რომ რძის პროდუქტების გამოყენება უფრო გვიანი მოვლენაა, ვიდრე ცხოველთა დომესტიკაცია, რაც აიხსნება იმით, რომ ადამიანის ორგანიზმი ისეა მოწყობილი, რომ არ შეუძლია გადაამუშაოს ლაქტოზა [Sherratt, 1983, Helmer and Vigne, 2007, Greenfield 2010], დედის რძის შემდეგ არც ერთი ცხოველი რძით არ იკვებება,

ალბათ იგივე მოვლენასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ისიც, რომ ადამიანმა ჯერ რძის პროდუქტიდან მიიღო მეორადი პროდუქტი და ასე დაიწყო მისი გამოყენება. ჩვენი აზრით, „მეორად რევოლუციასთან“ უნდა იყოს დაკავშირებული კერამიკის გამოყენების აუცილებლობა და, რაც მთავარია, ისეთი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის შექმნა, სადაც არსებობს ძლიერი დასახლება და საქონლისათვის ბაგეების არსებობის შესაძლებლობა, რაც ადამიანს აძლევს საშუალებას, თავისი მოთხოვნილების მიხედვით არეგულიროს საქონლის დამაკების ინტენსიობა. შესაძლებელია, რომ რძის და რძის პროდუქტების მიღება ჯერ წვრილფეხა საქონლისაგან დაიწყო, რადგან მათი მოთვინიერება უფრო მარტივია. ასეთი ეკონომიკის არსებობა კი მტკვარ-არაქსული კულტურის მატარებელ საზოგადოებაში იქნებოდა შესაძლებელი.

ცხრილი 1.

S20-21 კვადრატების ტიპოლოგიური სია, საწურბლიას მღვიმე

დასახელება	ზედაპირი	I ფენა	II ? ფენა	დამწვარი იატაკი	II ფენა	სულ
კერამიკა	2	77	10	6	48	141
იარაღი		24	7	1	53	75
ანატკეცი	4	86	24	2	154	257
ლამელა		19			117	135
მიკროლამელა		19	1	1	77	98
პირველადი ანატკეცი		10		1	12	23
პირველადი ლამელა					3	3
პირველადი სხვა						
განივი ანატკეცი					5	5
სამწახნაგა ანატკეცი					1	1
ნ.დ.ა სხვა					1	1
სასაჭრისე ანატკეცი					1	1
ნუკლეუსი					2	2
ანამტვრევი		14	2	2	25	43
კაჭარი		1				1
ქერცლ. ანატკეცი	23	136	11	6	241	394
სულ	29	386	46	19	740	1181

ცხრილი 2.
A`, B`, C` კვადრატების ტიპოლოგიური სია, საწურბლიას მღვიმე

დასახელება	რაოდენობა
იარაღი	19
პ.მ. ანატკეცი	9
პ.მ. ლამელა	3
პ.მ. სხვა	-
ანტკეცი	172
ლამელა	24
მიკროლამელა	23
ნდა განივი	5
ნდა სამწახნაგა	-
ნდა სხვა	1
სასაჭრისე	1
კაჭარი	1
ნუკლეუსი	4
ანამტვრევი	44
წვრილი და ქერც.	362
სულ:	668

ცხრილი 3.
ფაუნის სია I38-39, S18-20 კვ. საწურბლიას მღვიმე

დასახელება	ძვლების რაოდენობა
ცხენი	2
დომბა ან შინაური ძროხა	40
კეთილშობილი ირემი	26
ჯიხვი	32
შველი	11
ღორი	27
მელა	2
მგელი	1
მურა დათვი	16
შინაური ძაღლი ?	1
კურდღელი	1
თახვი	1
თხუნელა	1
თევზი	1

ცხრილი 4. პალეობატანიკური მასალა, საწურბლიას მღვიმე

	Species	საწურბლიას მღვიმის პალეობოტანიკური მასალის სახეობრივი შემადგენლობა													
		ადგილი													
		ფენა I	ფენა I	ფენა I	ფენა I	ფენა I	ფენა I	ფენა I	ფენა I	ფენა I	ფენა II	ფენა II	ფენა II	ფენა IV	ფენა I
		კვ j39c	კვ j38a	კვ l38b	კვ l39a	კვ s20d	კვ s20d	კვ s21d	კვ s21c	კვ s21a	კვ s21b	კვ s20b	კვ s21d	კვ s210	კვ s20c
		H=3.05-3.10	H=3.05-3.10	H=3.10-3.15	H=3.15-3.20	H=4.00-4.05	H=4.10-4.15	H=4.25-4.30	H=4.30-4.35	H=4.30-4.35	H=4.35-4.40	H=4.40-4.50	H=4.45-4.50	H=4.40-4.45	H=4.05-4.10
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1	Agrimonia eupatoria L.														
2	Ajuga reptans L.	+								+					
3	Bidens tripartita L.				+										
4	Carex sp.	+				+							+		
5	Chelidonium majus L.	+	+	+		+									
6	Chenopodium album L.	+	+			+				+					
7	Hypericum perforatum L.	+	+												
8	Lactuca saligna		+												
9	Lapsana communis L.												+		
10	Lycopus exaltatus L.					+									
11	Origanum vulgare L.														
12	Oxalis corniculata L.														
13	Panicum sp.											+		+	
14	Physalis alkekengi L.				+					+			+		
15	Phytolacca decandra L.	+	+	+	+	+	+	+					+		+
16	Plantago sp.														
17	Polygomun dumetorum L.	+			+					+					
18	Polygonum convolvulus L.	+	+	+		+						+			
19	Polygonum lapathifolium L.	+	+												
20	Potentilla recta L.		+			+				+			+		
21	Ranunculus sp.														
22	Rubus fruticosus-type	+	+		+				+	+			+	+	
23	Rubus saxatilis L.	+		+		+						+			
24	Salvia sp.	+	+			+		+		+					
25	Sambucus racemosa L.	+	+	+		+				+	+	+		+	
26	Scirpus silvaticus L.	+	+			+								+	
27	Scutellaria sp.														
28	Setaria glauca (L.) P.B.	+	+					+							
29	Sideritis montana L.									+					
30	Solanum nigrum L.	+	+			+		+		+	+	+		+	
31	Urtica sp.							+							
32	Verbena officinalis L.					+									
33	Veronica sp.														
34	Viola hirta L.		+			+		+					+	+	
35	Vitis sp.	+					+								+

ცხრილი 4-ს გაგრძელება

	Species	ადგილი														
		ფენა I	ფენა I	ფენა I	ფენა I	ფენა I	ფენა I	ფენა I	ფენა I	ფენა I	ფენა II	ფენა II	ფენა II	ფენა II	ფენა II	ფენა II
		კვ I38 b	კვ I38 d	კვ I3ad	კვ I38a	კვ I38d	კვ s21b	კვ s20c	კვ s20d	კვ s21b	კვ s20c	კვ s20a	კვ I29c	კვ s20c	კვ s20a	კვ s20
		H=3.05-3.10	H=3.05-3.10	H=3.10-3.15	H=3.15-3.20	H=3.25-3.30	H=4.00-4.o5	H=4.05-4.10	H=4.05-4.10	H=4.15-4.20	H=4.20-4.25	H=4.25-4.30	H=3.25-3.30	H=4.35-4.40	H=.440-445	H=.470-4.80
		15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29
1	Agrimonia eupatoria L.					+					+					
2	Ajuga reptans L.		+		+	+		+								
3	Bidens tripartita L.					+										
4	Carex sp.		+	+					+							
5	Chelidonium majus L.			+	+		+						+			
6	Chenopodium album L.		+	+	+	+	+	+				+	+			
7	Hypericum perforatum L.															
8	Lactuca saligna															
9	Lapsana communis L.															
10	Lycopus exaltatus L.							+								
11	Origanum vulgare L.		+	+					+							
12	Oxalis corniculata L.				+											
13	Panicum sp.															
14	Physalis alkekengi L.		+	+	+			+				+				
15	Phytolacca decandra L.	+	+	+	+			+	+	+	+		+			
16	Plantago sp.				+											
17	Polygomun dumetorum L.															
18	Polygonum convolvulus L.															
19	Polygonum lapathifolium L.															+
20	Potentilla recta L.		+	+					+		+					
21	Ranunculus sp.								+							
22	Rubus fruticosus-type			+	+				+		+			+	+	
23	Rubus saxatilis L.			+												
24	Salvia sp.						+									
25	Sambucus racemosa L.		+		+						+		+	+	+	
26	Scirpus silvaticus L.															
27	Scutellaria sp.															
28	Setaria glauca (L.) P.B.		+													
29	Sideritis montana L.															
30	Solanum nigrum L.				+			+	+		+	+	+	+	+	+
31	Urtica sp.							+								
32	Verbena officinalis L.		+		+											
33	Veronica sp.										+					
34	Viola hirta L.			+	+											
35	Vitis sp.		+					+	+							

T. Meshveliani, A. Vekua, N. Rusishvili, E. Kvavadze, R. Chagelishvili, N. Jakeli

THE RESULTS OF THE ARCHAEOLOGICAL EXPEDITIONS OF 2008-2009 OF THE STATE SCIENCE GRANT "FROM HUNTER-GATHERERS TO AGRO-PASTORAL SOCIETIES IN GEORGIA"

Summary

Stationary archaeological expeditions were held in Satsurblia Cave (Tskhaltubo district) in 2008-2009 within a scientific grant. The territory was previously excavated in 1976, 1985-1988, 1990-1993. After planning and dividing the area into squares, 4 trenches were opened. It can be predicted that the material coming from the trenches in the West (squares R18-19, S20-21) and the North (squares 138-89) parts are of Mesolithic and Upper Paleolithic origin. As for the East part (squares A1,B1,C1), the material is of Neolith-Eneolithic character. It is also worth mentioning that as a result of boulder explosions in previous years, the undisturbed layers appear after 20-30 centimeters from the surface. Sedimentologic, Paleoanthropologic, Palynologic and Paleobotanic researches have been carried out.

Archaeological surveys were done in Anaseuli I and II, Mamath, Urtha, Guriantha, Kobuleti, Odishi and Paluri. Controlling trenches were made in all the places listed above except Anaseuli II and Mamati. Only after the revision of the area did the characteristic signs of the territories reveal themselves; there are no traces of buildings or fauna and only a small amount of characterless ceramics and bone weapons as well as Neolothic stone tools have been found. Most importantly, there are no cultural layers and material can only be found in the humus layer. We assume that tribes came here for certain seasons and short periods of time which explains the weakness of cultural layers. These types of layers can be thought Epimesolithic.

The lack of ceramics on Neolothic sites can be explained by "Secondary Product Revolution" which is connected with secondary milk processing. The latter might have been developed in social-economic groups such as Kuro-Araksian culture.

ლიტერატურა

აფაქიძე ა., ბერძენიშვილი ნ., გობეჟოშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., ჯაფარიძე ო., ხოშტარია ნ. 1959: საქართველოს არქეოლოგია. თბილისი.

გოგიტიძე ს. 1977: სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა. თბილისი.

გრიგოლია გ. 1977: ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი. პალური. თბილისი.

კალანდაძე ალ. 1939: მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში: ოდიშის არქეოლოგიური გათხრები. – ენიმკის მოამბე, ტ. IV, 3, გვ. 363-371.

კილაძე ნ. 1951: ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან. – მსკი, ნაკვ. 29, გვ. 237-64.

ნებიერიძე ლ. 1964: მამათის ნეოლითური ხანის ნაშთები. – ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XIV სამეცნიერო კონფერენცია, გვ. 43.

ნებიერიძე ლ. 1972: დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბილისი.

ნებიერიძე ლ. 1993: დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები. ავტორეფერატი.

ფხაკაძე გ. 1992: ენეოლითი და ადრებრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში. – საქართველოს არქეოლოგია, ტ. II, გვ. 216-280.

Киладзе Н. З. 1953: Многослойной археологический памятник "Сагварджиле". – САНГ, т. XIX, № 9, გვ. 261-267.

Лукин А. Л. 1950: Неолитическое селище Кистрик близ Гудаут. – СА, XII გვ. 247-286.

Формозов А.А. 1953: Из истории передвижения груп первобитного человека в эпоху мезолита. – СЭ, № 1, გვ. 168-172.

Формозов А.А. 1962: Неолит Крима и Черноморского побережия Кавказа. МИА, № 102. Москва.

Хоштария Н.В., 1940: Археологические разведки в басейне р. Энгури. ხელნაწერი.

Encyclopedia of Human Evolution and Prehistory, 2000: Neolithic, Ed. Eric Delson et al, Garland Publishibg, Inc., pp. 475-479.

Greenfield H. J., 2010: The Secondary Product Revolution: the past, the present and the future. – World Archaeology, 42(1), pp. 29-54.

Helmer D. and Vigne J.D. 2007: Was milk a "secondary product" in the Old World Neolithisation process? Its role in the domestication of cattle, sheep and goats. – Anthropozoologia, 42(2), pp. 9-40.

Sherratt A. 1981: Plough and pastoraligm: aspects of the secondary products revolution. – Patterns of past: Studies in Honour of D. Clark. Hodder I., Isaac C., Hammond N. (eds). Cambridge University press, Cambridge, pp. 261-305.

Sherratt A. 1983: The secondary exploitation of animals in the Old World. – World Archaeology, 15 (1), pp. 90-109.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – საწურბლიას მღვიმე, ძველი გათხრები.

ტაბ. II – საწურბლიას მღვიმე, 2008-2009 წწ.

ტაბ. III – 1. ოდიშის ნასახლარზე გაკეთებული შურფები; 2-3. ანასეულ I-ზე გათხრილი სადაზვერვო შურფები; 4. მასალის კონცენტრაცია, ანასეული I; 5. გურიანთა, გათხრილი შურფები.

ტაბ. IV – 1. საწურბლიას მღვიმე, კვ. S20-21-ის შურფი; 2. ძვლის იარაღები საწურბლიას მღვიმიდან; 3. მოლუსკის მძივები საწურბლიას მღვიმიდან; 4. ნიჟარის და ძვლის მძივები, საწურბლიას მღვიმე; 5. საწურბლიას მღვიმე, კვ. A`,B`,C` შურფი; 6. კერამიკული მასალა, საწურბლიას მღვიმე; 7. რეტუშირებული ანატკეცი, მწვანე კაჟი, საწურბლიას მღვიმე; 8. ობსიდიანისა და კაჟის იარაღები, საწურბლიას მღვიმე; 9. ლეკალოს ტიპის კაჟის იარაღი, საწურბლიას მღვიმე; 10. ისრისპირი კაჟის, საწურბლიას მღვიმე; 11. რიყის ქვის ჩაქუჩი, საწურბლიას მღვიმე.

ტაბ. V – 1. შურდულის ქვა, ანასეული I; 2-4. ობსიდიანის მასალა, ანასეული I; 5. „სტეკები", ანასეული I; 6. გურიანთას შურფი; 7. ურთა, გათხრილ შურფში მასალის კონცენტრაცია; 8-11. არქეოლოგიური მასალა ურთადან.

ტაბ. VI – 1. ქობულეთი, გათხრილი კვადრატები; 2. ე.წ. „ბუდეები", ქობულეთის ნასახლარი; 3. წყლის არხი, ქობულეთის ნასახლარი; 4. რიყის ქვის ცული, ოდიში; 5. პალურის ნასახლარი; 6. გათხრილი შურფი პალურის ნასახლარზე.

DESCRIPTION OF PLATES

Pl. I – Satsurblia cave, old excavations.

Pl. II – 2008-2009 excavation seasons at Satsurblia cave.

Pl. III – 1. Trenches on Odishi site; 2-3. Excavated trenches at Anaseuli I; 4. Concentration of the material at Anaseuli I; 5. – Excavated tranches at Gurianta.

Pl. IV – 1. Satsurblia Cave, squeres S20-21; 2. Bone tools, Satsurblia Cave; 3. Beads on molluscs, Satsurblia Cave; 4. Beads on shells and bone, Satsurblia Cave; 5. Satsurblia Cave, squeres A`,B`,C`; 6. Fragments of pottery, Satsurblia Cave; 7. Retauched green flint flake, Satsurblia Cave; 8. Obsidian and flint tools, Satsurblia Cave; 9. "Lekalo" tape tool flint, Satsurblia Cave; 10. Flint arrowhead, Satsurblia Cave; 11. Stone hammer, Satsurblia Cave.

Pl. V – 1. Projectile stone tool, Anaseuli I; 2-4. Obsidian Artefacts, Anaseuli I; 5. "Stiks", Anaseuli I; 6. The trench, Gurianta; 7. Concentration of artefacts in the tranch, Urta; 8-11. Artefacts from Urta.

Pl. VI – 1. Excavated area in Kobuleti; 2. – So called "nests", Kobuleti; 3. "Watter channel", Kobuleti; 4. Stone axe, Odishi; 5. Paluri settlement; 6. Trench at Paluri site.

ტაბ. I


საწურბლიას ეხი
წყალტუბოს რ-ნი
სოფ. ყუმისთავი
პირობითი ნიშნები
საველე ლაბორატორია
1985-1959 წლებში გათხრილი ფართობი
1990 წელს გათხრილი ფართობი
1991 წელს გათხრილი ფართობი
საძიებო თხრილები
ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა
საწნახელი (ქვის)
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23
a b c d e f g h i j k l m n o


საწურბლიას
მღვიმე
2008 წ.
0 1 2 3 4
მ
A B C D E F F H I J K L M N O P Q R S T U V W X Y Z
G` F` E` D` C` B` A`
საწნახელი


SOUNDING8
VYSHKA
AXE
POTTE
SOUNDING 1
SOUNDING9
SOUNDING3
033
SOUNDING5
SOUNDING7
041
SOUNDING10
SOUNDING6
SOUNDING11
SOUNDING12
SOUNDING14
SOUNDING15
150 m
overzoom

1


N ჭრილი
12
11
10
10
20
30
40
50
60
70
80
90
100
W ჭრილი
L
M
N
10
20
30
40
50
60
70
80
90
100

2


S ჭრილი
10
11
12
კორდოვანი ფენა
წითელი თიხნარი
ოფსიდიანის ლამელა
მასალის კონცენტრაცია


E ჭრილი
N
M
L
0
1
m
N

3


L
M
N
მასალის
კონცენტრაცია

4


S ჭრილი
კორდოვანი ფენა
წითელი თიხნარი
0
1
მ
S
T

5

1

2

3



4



5

6



7



8

9

10

11

ტაბ. V





1

2



3



4

5

6

თენგიზ მეშველიანი, ელისო ყვავაძე, ნინო ჯაყელი

ჭიათურა-საჩხერის ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2008-2009 წლებში ძუძუანას მღვიმეში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს № 18/08/2565, 3.07.2007 წლის არქეოლოგიური სანებართვო მოწმობის (№ 13) საფუძველზე, ჭიათურა-საჩხერის ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია[1] მუშაობდა ძუძუანას მღვიმეში 2008 წლის 25 ივლისიდან 9 აგვისტოს ჩათვლით. ექსპედიციის დაფინანსებას უზრუნველყოფს ჰარვარდის უნივერსიტეტი 1996 წ. დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც მოქმედებს 2010 წლამდე.

ძუძუანას მღვიმეში (ჭიათურის რ-ნი, სოფ. მღვიმევი) გათხრებს 1966-1975 წწ.-ში აწარმოებდა ბ-ნი დავით თუშაბრამიშვილი [თუშაბრამიშვილი 1969]. სამუშაოები მიმდინარეობდა მღვიმის შესასვლელში, რომელმაც მოიცვა დაახლოებით 40 მ² ფართობი. გამოიყო 2 ფენა; I-ენეოლითური და II – ზედა პალეოლითური. II ზედაპალეოლითურ ფენაში 8 ლითოლოგიურად და კულტურულად განსხვავებული ფენა გამოიყო. 1983 წელს სამუშაოები განაახლა თ. მეშველიანმა, ხოლო 1996 წლიდან აქ მუშაობს ერთობლივი (საქართველო-აშშ-ისრაელი) საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია თ. მეშველიანის ხელმძღვანელობით [Meshveliani et. all 1999]. განახლებული გათხრები მიმდინარეობდა ორ უბანზე. პირველი, მღვიმის შესასვლელში, დ. თუშაბრამიშვილის გათხრების გასაფართოებლად, ე.წ. ქვედა ჭრილში – კვადრატები F-I 9-7 და J-K 12-11 და ე.წ. ზედა ჭრილში – G-H 24-21, 19-15 კვადრატებში (სურ. 1). დღეს სულ გათხრილია 24 მ². ქვედა ჭრილში აღებულია 4.5 მ სიღრმის ფენები, ხოლო ზედა ჭრილში – 3.25 მ. ითხრება მეოთხედი კვადრატები 50ჩ50 სმ, 5 სმ სისქის ფენის აღებით, გათხრილი მიწა ირეცხებოდა 2ჩ2 სმ საცერში და შემდეგ მუშავდებოდა.



სურ. 1. ძუძუანას მღვიმის გეგმა

გეოარქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ქვედა ჭრილში გამოიყო ოთხი სტარტიგრაფიული ფენა (A-D). არქეოლოგიური მასალით ყველაზე მდიდარი C ფენაა, ზედა ჭრილში ძირითადად გამოიყო D და C ფენა და მათ თავზე ნაკლები სიმძლავრის B ფენა. C ფენა, თიხნარში კირქვის შემადგენლობის ცვლილების მიხედვით, დაიყო 5 შრედ და ზევიდან ქვევით დაინომრა C1-დან C5-მდე.

2008 წელს დაგეგმილი გვქონდა შეგვეერთებინა ზედა და ქვედა ჭრილები მასალის, თარიღების, ლითოლოგიის შესადარებლად, მაგრამ რუსეთ-საქართველოს ომის გამო ვერ მოხერხდა გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულება, ამიტომაც დეტალური ანალიზისაგან თავს შევიკავებთ.

1 ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: თენგიზ მეშველიანი (ექსპედიციის ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი), ნინო ჯაყელი (ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, საქართველოს ეროვნული მუზეუმი), ერეკლე ქორიძე (მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი), ელისო ყვავაძე (პალინოლოგი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი), მაია მაკარიძე (ასისტენტი, ევროპული ფონდი „ჰორიზონტი“), ოფერ ბარ-იოზეფი (პროფესორი, ფიბოდი მუზეუმი, ჰარვარდის უნივერსიტეტი, აშშ), ზინოვი მაცკევიჩი (დოქტორანტი, ჰარვარდის უნივერსიტეტი, აშშ), ანნა ბელფერ კოჰენი (პროფესორი, ჰიბროუს უნივერსიტეტი, ისრაელი) და ასევე ჰიბროუს უნივერსიტეტის სამი სტუდენტი.

საანგარიშო წელს გავხსენით G23, H23, I14, I15, I16, I17, H11, H12, H13, H14, H15, H16, H17. მუშაობა ამ კვადრატებზე სხვადასხვა ინტენსიობით მიმდინარეობდა. შემაერთებელი ჭრილის გაკეთება ვერ მოვახერხეთ. ფენათა მიხედვით არქეოლოგიური მასალის ტიპოლოგია იგივეა, რაც წინა წლებში [Meshveliani et al., 2004, მეშველიანი და სხვ. 2010]. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იარაღებს ამზადებდნენ ადგილობრივი კაჟისაგან, რადიოლიტისაგან, რომელიც მოიპოვება მღვიმის ახლოს პლატოზე და მდინარის კალაპოტის მიდამოებში. დიდი რაოდენობის უსახო და წუნიანი ანატკეც-ანამტვერევები, ასევე იარაღები, ნედლი მასალის დაბალ ხარისხზე მეტყველებს. ყველა ფენაშია ძვლის იარაღები და ორნამენტირებული ნივთები, ნაკლებად იყენებდნენ რქას. კაჟთან შედარებით ობსიდიანი ცოტაა, რომელიც მოჰქონდათ სამხრეთ საქართველოდან, დაახლოებით 100-80 კილომეტრის მანძილიდან (Adler 2003).

ვაიცმანის რადიოკარბონული დათარიღების ინსტიტუტში გაკეთდა მღვიმეში აღებული ნახშირისა და ძვლის ნიმუშების დათარიღება (იხ. ცხრილი 1), ტაბულაზე მოცემული სხვადასხვა კვადრატიდან და სიღრმიდან მიღებული თარიღების სერიიდან ჩანს, რომ ფენებს შორის 5.5-7.000 წლის ჰიატუსია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ დროს ადამიანმა მღვიმე მიატოვა. მაგალითად, D და C ფენათა ჩამოყალიბების კონტაქტის დროს, დიდი ნალექიანობის, აცივების დროს, როგორიცაა გვიანი გამყინვარების მაქსიმუმი, რაც ჩანს C და B ფენათა კონტაქტში და ახალგაზრდა დრიასის დროს, B ფენის ჩამოყალიბების შემდგომ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ წინაბორეალურ და ბორეალურ პერიოდში, როცა კლიმატური პირობები გაუმჯობესდა, მღვიმე მაინც მიტოვებული იყო.

კლიმატური ცვლილებები კარგად ჩანს პალინოლოგიურ კვლევის შედეგებში [მეშველიანი და სხვ. 2010]: D ფენის ჩამოყალიბებისას კლიმატი მუდმივად ცვალებადი იყო, ყველაზე ქვედა შრეებში ჩანს სითბოსმოყვარულ მცენარეთა სპექტრი, მაგალითად, ველური ვაზი (*Vitis silvestris*), თხილი (*Corylus*) და მუხა (*Quercus*). შემდგომში იზრდება არიდიზაცია და საბოლოოდ ჩამოყალიბდა უფრო მშრალი კლიმატი, ხოლო D ფენის ზედა შრეებში, C-სთან კონტაქტში, მცენარეთა მტვერის კომპლექსიდან ჩანს, რომ მოხდა კლიმატური პირობების გაუარესება, რაზედაც მიუთითებს არყის ხის (*Betula*) მტვერი, არ ჩანს მაღალმთიანი ტყის საფარის მცენარეები და სითბოსმოყვარული ელემენტები. ამასთან ერთად მატულობს ავშნიანების როლი. ავშნის (*Artemisia*) მტვრის დიდი რაოდენობა ამ შემთხვევაში მშრალ და ცივ კლიმატზე მიუთითებს. ლანდშაფტის სტეპურ ელემენტებზე, ავშნის გარდა, მარცვლოვანების (*Poacae*) და ნაცარქათმიანების (*Chenopodiaceae)* მტვრის მარცვლების რაოდენობის ზრდა მეტყველებს.

C ფენის პალინოსპექტრი მდიდარია სარეველა ბალახების მტვერით, რომელიც თან ახლავს ადამიანს. ესენია მრავალძარღვა (*Plantago*), ჭინჭარი (*Urtica*) და ღორის ბირკა (*Xanthium*), ვარდკაჭაჭა (*Cichoridae*) ყველაზე მრავლადაა წარმოდგენილი. ხე-მცენარეების ისეთი მტვერია დაფიქსირებული, რომელიც უფრო თბილი და ნოტიო კლიმატური პირობებისთვისაა დამახასიათებელი. ესენია ლაფანი (*Pterocarya pterocarpa*), კაკალი (*Juglans regia*), მუხა (*Quercus*), ცაცხვი (*Tilia*), თხემლა (*Alnus barbata*), თხილი (*Corylus*), ვაზი (*Vitis silvestris*) და ფიჭვი (*Pinus*). განახშირებული მერქნის ნაშთები მიუთითებს, რომ მღვიმეში ცეცხლს ანთებდნენ. ტყის გვიმრის სხვადასხვა სახეობის სპორების არსებობა (*Asplenium ruta-murraria*, *Ophioglossum vulgatum*, *Adiathum*, *Polystichum*) ამყარებს მოსაზრებას, რომ C ფენის ჩამოყალიბებისას იყო თბილი კლიმატი. აქ აღმოჩენილი სოკო გლომუსის სპორები და წყალმცენარე Zygnema და Spirogia-ს ნაშთები ნოტიო და ზომიერი კლიმატური პირობების ცვალებადობის მაჩვენებელია.

B ფენის (იხ. დიგრამა, ტაბ. I) ჩამოყალიბებისას საგრძნობლად კლებულობს სითბოსმოყვარული ელემენტები. ამ ფენაში თავის მაქსიმუმს აღწევს სუბალპური და ალპური მცენარეულობის მტვრის მარცვლების რაოდენობა. ამის კარგი მაგალითია დეკა (*Rhodendron caucasica*). დეკას მტვერის დიდი რაოდენობა და ასევე სხვა მაღალმთიანი მცენარის არსებობა მიუთითებს, რომ მღვიმის მიდამოებში იმ დროს ალპური ზო ლი არსებობდა. კარგად ჩანს, რომ B ფენის წარმოშობის პირველ ეტაპზე მღვიმის მიდამოებში სუბალპური და ალპური ლანდშაფტები არსებობდა. შემდგომში კი კარგად ჩანს, რომ აციების მეორე ეტაპი უფრო ნოტიო უნდა ყოფილიყო. ძუძუანას მიდამოებში წიწვოვანი ტყე (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი) არსებობდა მცირე ზომის წიფლის მტვრის მარცვლების არსებობა ტანბრეცილი წიფლნარის გავრცელებაზე მეტყველებს. აციების ეს პერიოდი ხანმოკლე იყო, მაგრამ შედარებით მკაცრი.

A ფენის მცენარეთა მტვრის სპექტრი საგრძნობლად განსხვავდება ზედაპალეოლითური ფენების შემადგენლობისაგან. ჩნდება მიწათმოქმედების არსებობის დამადასტურებელი ნიშნები. ესენია ხორბალის და სხვა სათესი მარცვლოვანების მტვერი. გამოჩნდა კულტურული ვაზის მტვრის მარცვლებიც, რაც მევენახეობის არსებობის დასტურია. კარგად ჩანს ადამიანის ჩარევა ბუნებრივ პირობებში, კერძოდ, ტყის განადგურება.

საანგარიშო წელს აღებული პალინოლოგიურმა კვლევამ, დაადასტურა სელისა და მატყლის ბოჭკოების არსებობა [Kvavadze et al. 2009] ძუძუანას ზედაპალეოლითურ ფენებში.



სურ. 2. B ფენის პალინოლოგიური დიაგრამა

T. Meshveliani, E. Kvavadze, N. Jakeli

RESULTS OF THE CHIATURA-SACHKHERE STONE AGE INTERNATIONAL ARCHAEOLOGICAL EXPEDITION OF 2008

Summary

The mail goal of the expedition of 2008 was to connect the two Lower and Upper areas of the excavation to correlate the results and the obtaned data. On the basis of geoarchaeological observations the entire sequense in the Lower area was devided into four stratigraphic units (A-D), in the Upper area was uncovered part of the sequence, namely units D, C and rare residuse of B at the top.Unit C was sub-divided on the basis of changes in thr nature of clayeley deposit and the inclusions of small limestone fragments into five sub-units, numbered from top to bottom as C-1 through C-5. The palinological analysis has shown clear differences between pollen spectra of all the defined units. The radiocarbon datings of the deposition sequence exposed that between different units were the chronological gaps of ca. 5.5-7.000 years. It can be explaned that the cave was abandoned by inhabitants during the time when too much precipitation made this karstric cave (between units D and C) or colder periond, such as the Late Glasial Maximum (between units C and B) and during the Younger Dryas (following unit B). The archaeological data from the unites are the same as was reported.

ლიტერატურა

თუშაბრამიშვილი დ. 1969: ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში. – სსმაე, ტ. I, გვ. 3-11.

მეშველიანი თ., ყვავაძე ე., ჯაყელი ნ. 2010: ჭიათურა-საჩხერის ქვის ხანის შემსწავლელი საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2007 წელს ძუძუანას მღვიმეში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში. – ძიებანი, № 19, გვ. 5-16.

Adler D.S., 2003: Late Middle Paleolithic patterns of lithic reduction, mobility and land use in the Southern Caucasus. PhD dissertation, Harvard University.

Kvavadze E., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A., Boaretto E., Jakeli N., Matskevich Z., Meshveliani T., 2009: 30.000 Year-Old Flacx Fibers. – Scince, 325(5946), p. 1359.

Meshveliani T., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A., Jakeli N., Kraus A., Lordkipanidze D., Tvalchrelidze M., Vekua A. 1999: Excavations at Dzudzuana Cave, Western Georgia (1996-1998): preliminary results. – Prèhistoire Europèen, 15, pp.76-86.

Meshveliani T., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A. 2004: Paleolithc in Western Georgia. – The Early Upper Paleolithic beyond Western Europe, University of California press, ed. P.J Brantinham, S.L. Kuhn and K.W. Kerry, pp.129-143.

ცხრილი 1. ძუძუანას მღვიმეში მიღებული რადიოკარბონული თარიღები

Layer	Material	Square	Elevation	Lab #	$\delta^{13}C$ ‰ PDB	Age ^{14}C BP ± 1σ	Age Cal BP ± 1σ
A	Bone			TB 315a		5700±130	6,372-6,649
A	Bone			TB 315b		6300±170	6,992-7,373
A	Bone			TB 316a		4600±130	5,073-5,461
A	Bone			TB 316b		5500±92	6,207-6,391
A	Charcoal	K11a	315-325	RTT-5700		5560±40	6,318-6,393
B	Bone	I9a	465-470	RTT-3282		11500±75	13,272-13,529
B	Bone	I9a	420-425	RTT-3821		13250±70	15,770-16,591
B	Bone	H7a	525-530	RTT-3278		13860±90	16,890-17,300
C	Bone	I9c	565–570	RTA-3433	-18.9	21220 ± 200	24,997-25,763
C	Bone	I8d	570–575	RTA 3434	-19.4	20980 ± 150	24,728-25,551
C	Bone	H9c	575–580	RTA 3435	-18.7	21930 ± 190	25,874-26,734
C	Bone	H8d	590–595	RTT 3822	-18.99	20620 ± 155	24,290-24,886
C	Bone	G8c	600–605	RTT 3823	-19.1	23240 ± 200	27,592-28,227
C	Charcoal	G9a	635–640	RTT 4341	-25.2	23125 ± 175	27,231-28,124
C	Charcoal	H7a	635–640	RTT 4339	-26.5	22490 ± 180	26,725-27,645-
C	Bone	G22b	170-175	RTT 5741	-18.5	25,300±570	29,574-30,943
C	Bone	H19b	255-260	RTT 4334	-18.9	20333 ± 155	23,954-24,598
C	Bone	I 18c	285-290	RTT 5742	-18.5	20400±320	23,898-24,766
C	Bone	I 17d	295-300	RTT 5743	-18.8	21200±350	24,860-25,888
C	Bone	I 19c	320-330	RTT 5744	-19.0	19920±300	23,410-24,285
C	Bone	I 18b,d	300-310	RTT 5746	-18.4	20700±340	24,201-25,172
D	Bone	F7b	630–635	RTA 3436	-18.9	27150 ± 300	31,638-32,072
D	Bone	G9d	635–640	RTA 4338	-23.9	27450 ± 275	31,833-32,354
D	Bone	F7b	635–640	RTA 3437	-18.58	27400 ± 300	31,798-32,326
D	Bone	F7b	640–645	RTT 3438	-19.2	30350 ± 400	34,228-34962
D	Charcoal	G8b	630–635	RTT 4340	-25.9	26990 ± 260	31,531-31,937
D	Charcoal	G9c	645–660	RTT 4336	-23.4	26320 ± 260	30,759-31,520
D	Charcoal	G6a	685–695	RTT 4701	-23.8	32140 ± 500	35,682-37,558
D	Bone	I 19a	390-400	RTT 5745	-18.9	27260±775	31,165-32,689
D	Bone	I 18b	410-420	RTT 4747	-18.6	29445±1015	32,784-34,550

სურათების აღწერილობა

ტაბ. I – ძუძუანას მღვიმის გეგმა

ტაბ. II – B ფენის პალინოლოგიური დიაგრამა

DESCRIPTION OF FIGURES

Pl. I – Plan of Dzudzuana Cave

Pl. II – Palynological diagram of layer B

კახა კახიანი, ვაჟა სადრაძე, ალექსანდრე ორჯონიკიძე, ლერი ჯიბლაძე,
მერაბ ძნელაძე, ელგუჯა ღლიღვაშვილი

ჭობარეთის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე და სამაროვანზე 2009 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება

ჭობარეთის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭობარეთის ჩრდილოეთით 800-900 მ დაშორებით, ორ მთას შორის უნაგირისებურად ჩაზნექილ, დატერასებული სამხრეთი კალთის მკვეთრად დახრილ მინდორზე, ზღვის დონიდან 1610-1620 მ. სიმაღლეზე (ტაბ. I; II_1). საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაზიანებული არქეოლოგიური ობიექტის გადარჩენის მიზნით მესამე ეტაპის გათხრითი არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა ასპინძა-ახალციხის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის ზონაში (GPS კოორდინატები: 343514.972, 4605531.036-დან 343294.141, 4605490.274-ის ჩათვლით).

წინასწარული ვიზუალური დაკვირვების შედეგად ჩანდა, რომ ნამოსახლარის სიგრძე 250-270 მ-ს შეადგენდა. შემდგომმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ძეგლი 700-800 მ-ზე ვრცელდებოდა. ჭრილში და მოსწორებულ დერეფანში აკრეფილი თიხის ჭურჭლის ნატეხები მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებდა. არქეოლოგიური ობიექტი, რომელიც სოფ. ჭობარეთის თავზე, ჩრდილოეთით, მდებარეობს, ოთხი გორისაგან შექმნილ ვულკანურ წარმონაქმნს წარმოადგენს. ამ ოთხი გორიდან ორზეა გამოვლენილი ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი.

გორები ვიზუალურად იქნა შესწავლილი. აღმოჩნდა, რომ აღმოსავლეთიდან პირველი გორის თავი ხელოვნურადაა მოსწორებული. ამ გორას ადგილობრივი მოსახლეობა „სატიკნეს“ ეძახის. იქვეა ახლახანს აღმართული ჯვარი, რომელსაც მლოცველები „ამაღლების“ დღეს საკლავს სწირავენ. გორის თავზე წაგრძელებული ოთხკუთხედის გეგმარების სათავსოები იხაზება, მათი ნაწილი სამხედროების მიერ გაჭრილი სანგრებითაა დაზიანებული. გორა ვიზუალური დაცვითი ფუნქციის თვალსაზრისით სტრატეგიული მნიშვნელობისაა. იგი კონტროლს უწევს მტკვრისა და ურაველის ხეობებს. ორივე გორის სამხრეთი კალთა ხუთი (?) საკმაოდ ფართო ტერასითაა წარმოდგენილი. გათხრითი სამუშაოები შეეხო მშენებლების მიერ დაზიანებულ მხოლოდ ორ, №№ 4-5 ტერასას. იმჟამინდელი ტოპოგრაფია დროთა განმავლობაში ზემოდან ჩამორეცხილი მთის ქანებისა და კულტურული ფენების დალექვის გამო ძნელად იკითხება. ბუნებრივია, დაზიანებული, ხშირ შემთხვევაში გადაჭრილი არქეოლოგიური ობიექტების სტრატიგრაფიის დადგენა მნიშვნელოვან სირთულეებს უკავშირდებოდა. მიუხედავად ამისა, ცალკეულ შემთხვევაში მოხერხდა სათავსოს, სამეურნეო ორმოსა და სამარხის სტრატიგრაფიისა და, აქედან გამომდინარე, ქრონოლოგიური კავშირურთიერთობის მეტ-ნაკლებად გარკვევა.

გადარჩენითი სამუშაოების ჩატარების შედეგად დაზიანებულ არქეოლოგიურ ობიექტზე შევისწავლეთ: 1) ოთხი სათავსო-სახლის ნაშთი (ტაბ. II_5; V_{3-4}); 2) თხუთმეტი სამეურნეო ორმო (ტაბ. II_{2-4}; V_{1-3}); 3) ცხრა სამარხი (ტაბ. II_{5-8}; III_{1-3}; V_{4-8}).

საცხოვრებელი სახლის მხოლოდ ოთხ ნაშთს მივაკვლიეთ. გაირკვა, რომ ისევე როგორც ამირანის გორაზე, საცხოვრებელი სახლები ტერასულად განლაგებულ, ნახევრად მიწაში ჩადგმულ, წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის, ერთოთახიან (?) ნაგებობებს წარმოადგენდნენ (ტაბ. II_5; V_{3-4}).

ნაგებობების დაზიანებისა და ფრაგმენტულობის გამო მათი სრული ზომები ვერ დადგინდა. თუ № 1 სახლის იატაკის შემორჩენილი ნაწილის მიხედვით ვივარაუდებთ სიგანე 4-4,5 მ შეადგენდა. რიგით № 2 სათავსოს ზურგის კედლის საფუძველზე კი – 6,8 მ-ს. იგივე შეიძლება ითქვას № 4 სახლის ზურგის კედლის შესახებაც, რომლის შემორჩენილი სიგრძე 4,8 მ-ია (ტაბ. II_5; V_4). მათგან განსხვავებით, ქვედა ტერასაზე (№ 4) გათხრილ № 3 სახლს გვერდითი კედლებიც გაჩნდა (ტაბ. V_3). მისი სიგრძე 4,3 მ-ია. საშენ მასალად გამოყენებულია ბაზალტის შედარებით მცირე ზომის ქვები. არ გამოვრიცხავთ თიხის ან ტალახის ხსნარზე კედლების აგებას, მითუმეტეს, რომ ბათქაშის გადამწვარი ფრაგმენტები ნამოსახლარზე აქა-იქ იჩენდა თავს. საყურადღებოა, რომ სათავსოს ზურგის კედელი ქვებით

ცალპირადაა ნაგები და ძირიდან ჩრდილოეთისკენ ოდნავ გადახრილ, ვულკანური წარმოშობის დედაქანს ეყრდნობა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, შენობის ზურგის კედლის გასაძლიერებლად, იგივე ხერხს იყენებდნენ ადრებრინჯაოს ხანის ახალციხის ამირანის გორაზეც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახლების იატაკი თხელი, ალიზისებური მასით (სახლი № 1) ან ტალახითა და ნაცროვანი ფენით (სახლი № 3-4) იყო მოლესილი. სახლის იატაკის დონეზე, ორ შემთხვევაში (სათავსო № 1 და № 2) სამეურნეო ორმო გაითხარა, ხოლო იატაკის ქვეშ (სახლი № 4) დერგსამარხი.

ჩვენი აზრით, გათხრების პროცესში შენიშნულ ერთ მნიშვნელოვან კანონზომიერებაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება. ტექნიკით დაზიანებულ ტერასაზე ჭრილში ბუდობებად განლაგებული სათავსოების „იატაკის“ დონეები მეტნაკლებად სხვადასხვაა და შეესაბამება კონკრეტულ რელიეფს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტერასული გეგმარების სათავსოების გამართვის პროცესში, ითვალისწინებდნენ ბუნებრივ რელიეფს და ამის საფუძველზე მართავდნენ ჰორიზონტალურ, ოდნავ დახრილ იატაკს. ასე რომ, გვერდიგვერდ გამართული სათავსოების იატაკის დონე, რელიეფიდან გამომდინარე, სხვადასხვაა. ტერასულად განლაგებულ სახლებში ეზოდ ქვედა ტერასაზე არსებული ნაგებობის ბანური სახურავი გამოიყენებოდა.

ვიძლევით სახლების ნაშთების აღწერას:

ნაგებობა № 1 აღმოჩნდა № 6 თხრილში, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0.5 მ სიღრმეზე. წარმოადგენს სათავსოს ნაშთს. ჭრილში არსებული კულტურული ფენის გაწმენდის პროცესში გამოვლინდა 0,02-0,04 მ სისქის მოყვითალო-მოყავისფრო ფერის, კარგად მოტკეპნილი იატაკი. დაზიანებული იატაკიდან ჩრდილოეთ მხარეს გაიწმინდა დედაქანზე ცალპირად ამოშენებული ზურგის კედლის ნაშთი (სიგრძე 1,5; სიგანე 0,3; სიმაღლე 0,4 მ), რომელიც ძლიერი ცეცხლის კვალს ატარებდა. სათავსოს იატაკი, რომელიც 4,3 მ სიგანეზე ვრცელდებოდა, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან უწესრიგოდ დაწყობილი ქვებით იყო შემოზღუდული, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს რამდენიმე მოზრდილი ბრტყელი ქვა იდო, რომელიც სათავსოში გამართულ № 13 სამეურნეო ორმოს ეხურა თავზე. იატაკზე აქა-იქ ბათქაშის ფრაგმენტები, ნაცარი, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები და მტკვარ-არაქსული კულტურის თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა.

ნაგებობა № 2 აღმოჩნდა № 16 თხრილში, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0.5 მ სიღრმეზე. წარმოადგენს სათავსოს ნაშთს. უდიდესი ნაწილი ტექნიკით იყო დაზიანებული. შემორჩენილი იყო ზურგის კედელი. იატაკი და განივი კედლები განადგურებული აღმოჩნდა. ზურგის კედელი, მოთეთრო ფერის დედაქანზე, მცირე ზომის ბაზალტის ნატეხი ქვითაა ნაგები. კედელს ემჩნევა დეფორმაციის კვალი. სათავსოს კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გაითხარა სამეურნეო ორმო № 11, რომლის ზედა ნაწილი იატაკთან ერთად ტექნიკას დაუზიანებია. სამეურნეო ორმოში ნაცარი, ნახშირის ნაშთი, ძვლოვანი მასალა და თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა.

ნაგებობა № 3-ის ნაშთი მეთერთმეტე და მეთორმეტე თხრილებს შორის ქვედა ტერასაზე (№ 4) გაითხარა (ტაბ. V_3). ნაგებობა იქ გამავალი გაზის მილის ქვეშ დადასტურდა. ზედა ნაწილი ტექნიკით იყო დაზიანებული. იმის გამო, რომ მილის ქვეშ მუშაობა უსაფრთხოების თვალსაზრისით არ იყო რეკომენდირებული, ვერ მოხერხდა სათავსოს მთლიანი გათხრა. პრეპარაციის შედეგად გაიწმინდა ზურგის კედელი, აღმოსავლეთი და დასავლეთი მხარის კედლების ნაწილები. შემორჩენილი სიმაღლე – 1,3 მ, ზურგის კედლის სიგრძე – 3,7 მ, აღმოსავლეთი და დასავლეთი მხრის კედლები დაახლოებით 0,6-0,7 მ-ზე გაიწმინდა. სათავსოს ზურგის კედლის ზედა ნაწილი ორ რიგად, ზოგან სამ რიგად დალაგებული მცირე ზომის ბაზალტის ქვებითაა წარმოდგენილი. მის ჩრდილოეთ მხარეს გაითხარა ორი (№ 7 და № 8) სამეურნეო ორმო და ერთი (№ 7) სამარხი, რომლებიც სტრატიგრაფიულად ზედა ტერასას (№ 5) მიეკუთვნება.

ნაგებობა № 4 აღმოჩნდა მეოთხე თხრილში (ტაბ.II_5; V_4). სახლის იატაკი თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 0,75 მ სიღრმეზე დაფიქსირდა. სამხრეთი ნაწილი ტექნიკის მიერ იყო დაზიანებული. შემორჩენილი იყო ზურგისა და დასავლეთი გრძივი კედლის ნაშთი. სათავსოს სიგანე 4,8 მ-ია. აღმოსავლეთი გრძივი კედლის გამოვლენა ვერ მოხერხდა.

ჩრდილოეთი კედელი იმავე ხერხითაა ნაგები, როგორც № 2 და № 3 ნაგებობის ზურგის კედლები. ზურგის კედლის სიგანე 0,25-0,3 მ-დე მერყეობს. სათავსოს ინტერიერის შემორჩენილ ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ბაზალტის საშუალო ზომის ქვებით შედგენილი კერის ნაშთი აღმოჩნდა, რომელშიც მოზრდილი ქილის ყელი იყო ჩადგმული. კერის ჩრდილოეთ და დასავლეთ მხარეს თაროსებური შემაღლება გაიწმინდა.

მოტკეპნილი, 2-3 სმ სისქის იატაკის ქვეშ დერგ-სამარხი აღმოჩნდა.

ჭობარეთის მსგავსი, ტერასულად გამართული ქვით ნაგები, წაგრძელებული ოთხკუთხა ფორმის ერთოთახიანი შენობები აღმოჩენილია თეთრიწყაროს, სამშვილდის, ამირანის გორის, დიღმის, ღრმახევისთავის, ბადაანისა და ადრებრინჯაოს ხანის სხვა ძეგლებზე [გობეჯიშვილი 1978: 18; მირცხულავა და სხვ. 1992: 71-72; ჩუბინიშვილი 1963: ტაბ. II-III; ორჯონიკიძე 2004: სურ. 23].

ნამოსახლარის ზოგადი დახასიათებისთვის არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. „სამეურნეო“ თუ „საკულტო“ დანიშნულების ორმოებს, რომელთა მცირე ნაწილი ჩვენს მიერ გათხრილ სათავსოებს მიეკუთვნება.

პირველ სათავსოს ეკუთვნოდა სამეურნეო ორმო № 13. მეორე სათავსოს № 11 სამეურნეო ორმო, ხოლო დანარჩენის კუთვნილების საკითხი ღიად დარჩა.

ჩვენი აზრით, ზედა ტერასას (№ 5) ეკუთვნის №№ 2-3, 5-11, 14 სამეურნეო ორმოები, ხოლო დანარჩენი №№ 1, 4, 12-13, 15 ქვედა ტერასის (№ 4) კუთვნილებას წარმოადგენს.

სამეურნეო ორმოების ნაწილს გადახურვის ნიშნები გააჩნდა.

სამეურნეო ორმო № 1 აღმოჩნდა № 6 თხრილში, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 0,35-0,4 მ სიღრმეზე. ჭრილში მსხლისებური ფორმისაა. ზედა ნაწილი ტექნიკით იყო დაზიანებული. დმ. ყელთან – 0,9 მ; ძირთან 1,4-1,5 მ; სიღრმე – 1,1 მ. შესაძლოა, იგი პირველ სათავსოსაც ეკუთვნოდა. ორმოში ნაცარი, ნახშირის ფრაგმენტები, საქონლის ძვლები და თიხის ჭურჭლის ნატეხები დადასტურდა.

სამეურნეო ორმო № 2 აღმოჩნდა № 7 თხრილში, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 0,5-0,6 მ სიღრმეზე, ჭრილში მსხლისებური ფორმისაა. სამხრეთი მხარე ტექნიკით იყო დაზიანებული. დმ. ყელთან – 0,7 მ; ძირთან – 1,3 მ; სიღრმე – 1,4 მ. ორმო შევსებული იყო ნაცრით, ბაზალტის ქვის ნატეხებით, ნახშირის ფრაგმენტებითა და თიხის ჭურჭლის ნატეხებით.

სამეურნეო ორმო № 3-ის ნაშთი აღმოჩნდა № 9 თხრილში, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 0,35-0,4 მ სიღრმეზე. ჭრილში მსხლისებური ფორმისაა. სამხრეთი მხარე ტექნიკით იყო დაზიანებული. დმ. ყელთან – 0,7 მ; ძირთან – 1,5 მ; სიღრმე – 0,8 მ. ორმოში ნაცარი, რამდენიმე თიხის ჭურჭლის ნატეხები და ობსიდიანის დაზიანებული ისრისპირი აღმოჩნდა.

სამეურნეო ორმო № 4 აღმოჩნდა № 11 თხრილში, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 0,6-0,7 მ სიღრმეზე; ჭრილში ძირისაკენ ოდნავ გაფართოებული, ცილინდრული ფორმისაა. ზე და ნაწილი ტექნიკით იყო დაზიანებული. დმ. ყელთან – 1,2 მ; ძირთან -1,4 მ; სიღრმე – 1,3 მ. ზემოდან რამდენიმე მოზრდილი ბრტყელი ქვა ეხურა. ორმო შევსებული იყო ნაცრით, საქონლის ძვლებით, ნახშირის ფრაგმენტებით, თიხის ჭურჭლითა და მათი ნატეხებით (ტაბ.$II_{2,3}$; V_1).

სამეურნეო ორმო № 5, აღმოჩნდა №10 თხრილში, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 2,5 მ სიღრმეზე. ზედა ტერასაზე (№ 5) არსებულ სათავსოს უნდა ეკუთვნოდეს; ჭრილში მსხლისებური ფორმისაა. სამხრეთი მხარე ტექნიკით იყო დაზიანებული. დმ. ყელთან – 0,8 მ; ძირთან – 1,1 მ; სიღრმე – 1,1 მ. ორმოში ნაცარი, ნახშირის ფრაგმენტები, მსხვილფეხა საქონლის ძვლები და თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა (ტაბ.II_2; V_1).

სამეურნეო ორმო № 6, აღმოჩნდა № 10 თხრილში, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზე; ზედა ტერასაზე (№ 5) არსებულ სათავსოს უნდა ეკუთვნოდეს. ჭრილში ზემოთ გაფართოვებული, ცილინდრული ფორმისაა. სამხრეთი ნაწილი ტექნიკით იყო დაზიანებული. ჭრილში კარგად იკითხებოდა ორმოს გადახურვის ნაშთი – ქვის ფილები. ორმოში ნაცარი, ნახშირის ფრაგმენტები, საქონლის ძვლისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა (ტაბ.II_2; V_1).

სამეურნეო ორმო № 7, აღმოჩნდა № 11 თხრილში, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 0,35-0,4 მ სიღრმეზე; ჭრილში მსხლისებური ფორმისაა. დმ. ყელის – 0,9 მ; ძირის – 1,2 მ; სიღრმე – 1 მ. ზედა ნაწილი ტექნიკით იყო დაზიანებული. ორმო მცირე ზომის ბაზალტის ქვებით, ნაცრითა და თიხის ჭურჭლის ნატეხებით იყო შევსებული (ტაბ. V_2).

სამეურნეო ორმო № 8, აღმოჩნდა № 11-12 თხრილში, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 0,4-0,6 მ სიღრმეზე; ჭრილში მსხლისებური ფორმისაა. დმ. ყელის – 0,9 მ; ძირის – 1,1 მ; სიღრმე -1,75 მ. ზედა ნაწილი ტექნიკით იყო დაზიანებული. ორმოში ნაცარი და თიხის ჭურჭლის ნატეხები დადასტურდა.

სამეურნეო ორმო № 9, აღმოჩნდა № 12 თხრილში, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 1,1 მ სიღრმეზე (ზედა ტერასა, № 5); ჭრილში ცილინდრული ფორმისაა, პირისაკენ ოდნავაა გადაშლილი. დმ. ყელის – 1,05 მ; ძირის – 0,75 მ; შემორჩენილი სიღრმე – 0,9 მ. ორმოში ნაცართან

ერთად საქონლის ძვლები, თიხის ჭურჭლის და სადგრის ნატეხები გამოვლინდა.

სამეურნეო ორმო № 10, აღმოჩნდა № 13 თხრილში, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 0,7 მ სიღრმეზე. გეგმაში ცილინდრული ფორმისაა. სამხრეთი ნაწილი ტექნიკით იყო დაზიანებული. ორმოში მხოლოდ ნაცარი გამოვლინდა.

სამეურნეო ორმო № 11, აღმოჩნდა № 16 თხრილში, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 0,7-0,9 მ სიღრმეზე. გადაჭრილი იყო ტექნიკის მიერ. შემორჩენილი ნაწილის მიხედვით ჭრილში ცილინდრული ფორმისაა. დმ. – 0,6-0,7 მ. შემორჩენილი სიღრმე – 0,25-0,27 მ. ორმოში ნაცარი, საქონლის ძვლის ფრაგმენტები და თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა.

სამეურნეო ორმო № 12, აღმოჩნდა № 17 თხრილში (ქვედა ტერასა, № 4), თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე. ტექნიკით ძლიერ იყო დაზიანებული. გეგმაში ოდნავ ასიმეტრიულ წრეს წარმოადგენდა. დმ. – 1,2-1,3 მ. შემორჩენილი იყო 0,08-0,1 მ-ის სისქის ნაცროვანი ფენა, რომლის ქვემოთ თიხის ჭურჭლის ნატეხებზე მიცვალებული (სამარხი № 5) იყო დაკრძალული.

სამეურნეო ორმო № 13, აღმოჩნდა № 6 თხრილში, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე. ორმო № 1 სათავსოს ეკუთვნოდა, რომლის იატაკის დონეზე გაიწმინდა გრძელი და ბრტყელი ბაზალტის ქვებით წარმოდგენილი ორმოს სახურავი. ორმო ჭრილში მსხლისებური ფორმისაა. ყელის დმ. – 0,5 მ; ძირის – 0,7 მ; სიღრმე – 0,9 მ. იატაკზე რამდენიმე ბაზალტის ქვა, ნაცარი, საქონლის ძვლები და დაზიანებული ფიალა გაიწმინდა.

სამეურნეო ორმო № 14, აღმოჩნდა № 12 თხრილში (ზედა ტერასას № 5 ეკუთვნოდა). გაჩნდა ქვაყრილი. დმ. – 0,85 მ. ჭრილში წაგრძელებული მსხლისებური ფორმისაა. ყელის დმ. – 0,85 მ; ძირის – 0,8 მ; სიღრმე –1,8 მ. ორმოში ნაცარი, ძვლოვანი მასალა და თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა.

სამეურნეო ორმო № 15, № 6 თხრილში მერვე სამარხის ქვეშ აღმოჩნდა. ჭრილში მსხლისებური ფორმისაა. შეიმჩნეოდა ძლიერი ცეცხლის კვალი. ორმოში ნაცარი, ნახშირის ნატეხები, საქონლის ძვლები და თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა.

გადარჩენითი სამუშაოების წარმოების პროცესში, საკვლევი ობიექტის არეალში, ცხრა სამარხი მოექცა. მათგან 7 ბაზალტის ტეხილი ქვით აგებული აკლდამაა. ერთი (№ 5) სამეურნეო ორმოშია (ორმო № 12) გამართული, ერთიც (№ 9) დერგსამარხია, მეოთხე სათავსოს იატაკის ქვეშ.

აკლდამები, როგორც აღინიშნა, წარმოადგენს ბაზალტის სხვადასხვა ზომის, უსწორმასწორო ქვებით მშრალი წყობით ნაგებ სამარხებს (სიგრძე – 1,3-2,5 მ; სიგანე – 1,1-2 მ; სიღრმე – 0,8-1,1 მ შორის მერყეობს). აკლდამები გადახურული იყო ბაზალტის საშუალო და მოზრდილი ფილებით, რომლებიც ხის მოკლე ძელებს ეყრდნობოდა. მიცვალებულს, როგორც ჩანს, სამარხის აღმოსავლეთ (№ 1-3, 7, 8) ან დასავლეთ (სამარხი № 4) კედელში საგანგებოდ ჩადგმული მოზრდილი ფილის – „კარის“ გვერდზე გადაწევის მეშვეობით შეასვენებდნენ, ადრეულ მიცვალებულს გვერდზე ან კუთხეში მიხვეტავდნენ და მოგვიანოს მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილს, თავით აღმოსავლეთით (№ 1-3, 8), სამხრეთით (№ 4) ან ჩრდილოეთ (№ 7) მხარეს კრძალავდნენ.

აკლდამებში, როგორც აღინიშნა, დაკრძალული იყო ერთი (№ 1, 3-4, 7-8) ან რამდენიმე (№ 2) მიცვალებული. ჩატანებული ინვენტარით ზემოაღწერილი სამარხები დიდად არ გამოირჩეოდნენ: მაგალითისათვის № 1 სამარხში თიხის ჭურჭელი და ძვლის კვირისტავი, მეოთხეში ძვლის კვირისტავი, მერვეში კი ერთი დერგი დადასტურდა.

საყურადღებოა რამდენიმე სამარხი (№ 2, 8) რომელთა იატაკი მოზრდილი დერგისა და სხვა თიხის ჭურჭლის ნატეხებით იყო მოგებული. ესეც, როგორც ჩანს, დაკრძალვის რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული.

№ 12 სამეურნეო ორმოში ასევე თიხის ჭურჭლის ნატეხებზე ერთი მიცვალებული აღმოჩნდა დაკრძალული. ორმოში მიცვალებულის დაკრძალვის შემთხვევები, იშვიათად მაგრამ სინქრონულ სამაროვნებზე მაინც გვხვდება (ღრმახევისთავი, წეროვანი და სხვ.).

შედარებით იშვიათია დერგში, იატაკის ქვეშ მიცვალებულის დაკრძალვა (სათავსო № 4).

სამარხი № 1, თხრილი № 8, ბაზალტის საშუალო და მოზრდილი ქვებით აგებულ აკლდამას წარმოადგენდა. სამხრეთი მხარე და სახურავის ძირითადი ნაწილი ტექნიკით იყო დაზიანებული. აკლდამა დამხრობილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის სიგრძივ ღერძზე. სიგრძე – 2,1 მ; შემორჩენილი სიგანე – 1,3 მ; სიღრმე – 1,3 მ (ტაბ. II_6; V_5).

აღმოსავლეთ კედელში ჩადგმული იყო ბაზალტის მოზრდილი, ბრტყელი ქვა, რომელიც

შიდა მხრიდან საფეხურად ჩადგმულ გრძელ ლოდს ეყრდნობოდა, გარედან კი შედარებით მცირე ზომის ქვებით იყო შემაგრებული. მის ქვეშ, აკლდამის „კარის“ (ქვის) თავისუფლად სამოძრაოდ, ჭრილში სპეციალურად ამოღებული ორმო დადასტურდა. ოცდაათ წლამდე წლოვანების მამაკაცი დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით აღმოსავლეთისაკენ (სქესი და ასაკი აქაც და ქვემოთ განსაზღვრულია ანთროპოლოგ ლ. ბითაძის მიერ). მისთვის დერგი (ტაბ. VI, 4_4) და ძვლის კვირისტავი (ტაბ.VI, 4_1) ჩაუტანებიათ. როგორც ჩანს, შემდგომში სამარხი აღარ გამოუყენებიათ. იატაკის გაწმენდისას მიცვალებულის წინ, ჩრდილო კედელთან, ხის ძელის ჩასადგმელი ორმო დაფიქსირდა.

სამარხი № 2, თხრილი № 12, ბაზალტის მოზრდილი ქვებით აგებულ აკლდამას წარმოადგენდა (ტაბ. II_7, V_6). სამხრეთი მხარე ტექნიკით იყო დაზიანებული. სახურავი ბაზალტის მოზრდილი ბრტყელი ქვებით იყო წარმოდგენილი. როგორც ჩანს, გადახურვა სამარხის გვერდით კედლებსა და ნაწილობრივ ხის ძელებს ეყრდნობოდა. დამხრობილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთ სიგრძივ ღერძზე. აკლდამის სიგრძე – 2,5 მ; სიგანე – 1,8 მ; სიღრმე – 0,9 მ. აკლდამა აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,85 მ სიღრმეზე. აღმოსავლეთ კედელში ჩადგმული იყო ბაზალტის ბრტყელი ქვა. შიდა მხრიდან იგი საფეხურად ჩადგმულ გრძელ ლოდს ეყრდნობოდა. როგორც ჩანს, იქაც ეს ქვა ე.წ. კარის ფუნქციას ასრულებდა. სამარხი კოლექტიურია: დაუკრძალავთ ოთხი მიცვალებული, რომელთაგან ორი (ადრეული) 25 და 50-55 წლამდე ასაკის მამრი მიხვეტილია ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. მნიშვნელოვანია რიგით მესამე, 18-20 წლამდე მამრობითი სქესის მიცვალებულის პოზა და ადგილი. ისიც დასავლეთისკენაა არაბუნებრივად დასვენებული; ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ჯერ კიდევ ქსოვილებდაუშლელი გადაიტანეს დასავლეთისაკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს დაკრძალული ახალგაზრდა ინდივიდისთვის (მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით აღმოსავლეთისაკენაა დაკრძალული) ადგილი გაანთავისუფლეს.

სამარხის იატაკი მოგებული იყო თიხის ჭურჭლის მოზრდილი ნატეხებით, რომელთა უმეტესობა მიცვალებულების მიხვეტის პროცესშია დასავლეთ ნაწილში თავმოყრილი (ტაბ. VI,4_{8-9}).

სამარხი № 3, თხრილი № 17; ბაზალტის მოზრდილი და ბრტყელი ქვებით, მშრალი წყობით, ნაშენი აკლდამაა. სამხრეთი მხარე ტექნიკით იყო დაზიანებული. სახურავი ბაზალტის მოზრდილი, ბრტყელი ქვებითაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, ნაგებობის გვერდით კედლებსა და ხის ძელებს ეყრდნობოდა. სამარხი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთის ღერძეა დამხრობილი. აკლდამის სიგრძე – 1,8 მ; შემორჩენილი სიგანე – 1,1 მ; სიღრმე – 0,85 მ-ია. მიწის თანამედროვე ზედაპირიდან – 0,35-0,4 მ. აღმოსავლეთ კედელში ჩადგმულია ბაზალტის ბრტყელი ქვა – ე.წ. კარი. სამარხი ინდივიდუალურია. მიცვალებული (მოზარდი) დაკრძალულია მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთისაკენ. მისთვის ინვენტარი არ ჩაუტანებიათ (ტაბ. II_8).

სამარხი № 4, თხრილი № 17; ბაზალტის მცირე და საშუალო ქვებით, მშრალი წყობით ნაშენი, ოდნავ ასიმეტრიული, წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის სამარხია (ტაბ. II_8; V_7). სამხრეთი მხარე ტექნიკითაა დაზიანებული. სამარხი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით იყო დამხრობილი. აკლდამის სიგრძე – 1,35 მ; სიგანე – 1 მ; სიღრმე – 1 მ. მიწის თანამედროვე ზედაპირიდან – 0,7 მ. სხვებისგან განსხვავებით ბაზალტის ბრტყელი ქვა სამხრეთ კედელშია ჩადგმული, ე.წ. კარი-შესასვლელი. მამრობითი სქესის 40-50 წლამდე მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მისთვის კვირისტავის გარდა (აღმოჩნდა მიცვალებულის ზურგს უკან) ინვენტარი არ ჩაუტანებიათ (ტაბ. VI,4_2). სამარხის ჩრდილო ნაწილში დაფიქსირდა 50-60 წლამდე ასაკის მდედრობითი სქესის მიცვალებულის ქვედა ყბა.

სამარხი № 5, თხრილი № 17; გამართული იყო № 12 სამეურნეო ორმოში (დმ. 1,2 მ.). თიხის ჭურჭლის ნატეხებით მოგებულ იატაკზე დაუსვენებიათ 30-35 წლამდე ასაკის მამაკაცი, თავით ჩრდილოეთისკენ. ინვენტარი არ ჩაუტანებიათ (ტაბ. II_8).

სამარხი № 6, თხრილი № 5; ფაქტიურად განადგურებულია ტექნიკის მიერ. შემორჩენილია სამარხის ჩრდილოეთი კედლის ნაშთი. სიგანე – 0,9 მ; სიღრმე – 0,35 მ; მიწის თანამედროვე ზედაპირიდან შემორჩენილი კედლის პირი – 1,2 მ. მცირე ზომის ბრტყელი ქვებით მშრალი წყობითაა ნაშენი. მიცვალებული და ინვენტარი ვერ დავადასტურეთ.

სამარხი № 7, თხრილი № 11; ბაზალტის მოზრდილი ქვებით აგებულ, ოთხკუთხედის ფორმის

სამარხს წარმოადგენდა. სახურავის ზედა ნაწილი ტექნიკით იყო დაზიანებული. სავარაუდოდ სამარხის გადახურვა, რომლის მცირე ნაწილი იყო წარმოდგენილი, გვერდით კედლებსა და ხის ბოძებს ეყრდნობოდა. სიგრძე –1,4 მ; სიგანე – 1,1 მ; შემორჩენილი სიღრმე – 0,7 მ.

NNE კედელში ბაზალტის ბრტყელი ქვა (შესასვლელი კარი?) იყო საგანგებოდ ჩადგმული. სამარხში 5 წლამდე ასაკის ბავშვი დაუკრძალავთ, ხელფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ინვენტარი არ ჩაუტანებიათ.

სამარხი № 8, თხრილი № 6; ბაზალტის მოზრდილი ქვებით აგებულ, წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის აკლდამას წარმოადგენდა (ტაბ. $III_{1,2}$; V_8); ბაზალტის ორი ბრტყელი ქვით იყო გადახურული; დადასტურდა, რომ გადახურვა გვერდით კედლებსა და ხის ძელს ან ძელებს ეყრდნობოდა. დამხრობილი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის სიგრძივ ღერძზე. აკლდამის სიგრძე – 1,5 მ; სიგანე – 1,1 მ; სიღრმე – 0,9 მ. მიწის თანამედროვე ზედაპირიდან – 0,75-0,8 მ. აქაც, აღმოსავლეთ კედელში ჩასმულია ბაზალტის ბრტყელი ქვა-კარი. შიდა მხრიდან იგი იატაკზე საფეხურად ჩადგმულ გრძელ ქვას ეყრდნობოდა, გარედან კი ბაზალტის ქვითაა შემაგრებული. სამარხში ორი ინდივიდი დაუკრძალავთ. პირველი, მდედრობითი სქესის მიცვალებული, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეშია მიხვეტილი; მეორე, მდედრობითი სქესის 30-40 წლამდე ასაკის მიცვალებული, კერამიკის ნატეხებით მოგებულ იატაკზე, ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთ მხარეს იყო დასვენებული. საყურადღებოა, რომ თავი ქვის სასთუმალზე ედო. მისთვის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს თიხის ქილა (ტაბ.$VI,4_5$) ჩაუტანებიათ.

სამარხი № 9, თხრილი № 4; დერგსამარხს წარმოადგენდა (ტაბ.II_5; III_{3-4}; $VI,4_7$). გამართული იყო მეოთხე სათავსოს იატაკის ქვეშ, ჩრდილო-დასავლეთი კედლის სიახლოვეს. სამარხის სამხრეთი მხარე ტექნიკით იყო დაზიანებული. გვერდზე გადაქცეულ მოზრდილ დერგში ჩაუსვენებიათ ახალგაზრდა ინდივიდი, ხელფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. მიცვალებულისთვის ინვენტარი არ ჩაუტანებიათ.

ჭობარეთის ნამოსახლარზე და სამაროვანზე დაფიქსირებულ იქნა, როგორც ქვისა და ძვლის ნივთები, ასევე კერამიკა. ქვის ნივთებიდან გვხვდება სხვადასხვა ჯიშის ქვისგან დამზადებული ნავისებური ფორმის ხელსაფქვავები, ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები. სამკუთხა ფორმის, სწორფუძიანი ობსიდიანის ისრისპირი, რომელიც ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზეა გავრცელებული [ორჯონიკიძე 2004ა:28]. სამარხებში გამოვლინდა ძვლის კვირისტავები (ტაბ. III_8; $VI,4_{1,2}$).

ნამოსახლარზე საკმაოდ მრავლად აღმოჩნდა კერამიკული მასალა. ესაა მორუხო-მოყავისფროდ, ნაცრისფრად, შავად და მოვარდისფროდ გამომწვარი ქილები, დერგები (ტაბ. III_{4-6}; IV_{5-7}; $VI,4_{4-9}$), სასმისები, კოჭბები, ჯამები, ბადიები და სხვ. (ტაბ.$III_{1,3,4}$; $VI,1$). გვხვდება ასევე სადგარი (ტაბ. IV_8; $VI,1_{27}$) და კერა (ტაბ. III_7).

წარმოდგენილი თიხის ნაწარმი ტიპიური მტკვარ-არაქსულია, მასში შეიძლება გამოიყოს ადრეული და გვიანდელი მასალები. დიდუბე-კიკეთის ჯგუფის თიხის ნაწარმის არსებობა ძეგლს მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების ძირითად არეალში აქცევს.

გათხრების დროს საანალიზოდ აღებული იქნა პალინოლოგიური და პალეოზოოლოგიური კვლევისათვის საჭირო ნიმუშები. პალინოლოგიური მონაცემები (28 ნიმუში) დამუშავდა ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის პალინოლოგიურ ლაბორატორიაში ე. ყვავაძის მიერ. მონაცემთა სამმა ჯგუფმა (სამეურნეო ორმოები, სათავსოები, სამაროვანი) აჩვენა, რომ წარმოდგენილი მასალა ერთი დროისაა – ძვ.წ III ათასწლეულის და იმდროინდელ პალეოეკოლოგიურ პირობებს ასახავს. როგორც აღნიშნავენ, ამ პერიოდში მესხეთ-ჯავახეთში გაცილებით თბილი და ნოტიო კლიმატი იყო. ითესებოდა ხორბლის რამდენიმე ჯიში. მოჰყავდათ შვრია, ფეტვი, ქერი და სხვა მარცვლეული კულტურები. აქვეა მიკვლეული კაკლის, თხილისა და კულტურული ვაზის მტვერი.

მეორე მხრივ, პალეოზოოლოგ ო. ბენდუქიძის მიერ ჭობარეთის ნამოსახლარზე აკრეფილი და შესწავლილი პალეოზოოლოგიური მასალის საფუძველზე (გამოიყო თხის, ცხვრის, ბატკნის, ძროხის, მოზვერის და დომბის ძვლები) გამოითქვა მოსაზრება, რომ აქ მესაქონლეობა საკმაოდ მძლავრად იყო განვითარებული.

ჭობარეთის ნამოსახლარი და სამაროვანი, წინასწარული მონაცემების საფუძველზე, ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება.

K. Kakhiani, V. Sadradze, A. Orjonikidze, L. Jibladze, M. Dzneladze, E. Ghlighvashvili

ARCHAEOLOGICAL STUDIES CARRIED OUT ON CHOBARETI EARLY BRONZE AGE SETTLEMENT SITE IN 2009

Summary

The Early Bronze Age site of Chobareti lies within 800-900 m to the north of v. Chobareti, Aspindza district – on a steeply inclined field on the southern slope of two mountains, in a saddle. like depression.

An archaeological expedition of the Georgian National Museum worked on the site for one month. It studied a) the remains of the houses; b) household economy pit, and c) 9 burials.

The dwelling-houses, with terraced arrangements, are one-room elongated quadrangular buildings – half in the ground. The household pits studied are pear-shaped, occasionally of cylindrical form. Some of them contained more-or-less damaged clay vessels, ashes and bones. In the rest, only ashes, charcoal and osseous material came to light. Of the burials – crypts built of split stone and burials in vessels. On one occasion a household economy pit was used as a burial.

Among the clay vessels brought to light on the site Early and Late Kura-Araxes culture specimens may be identified. Boat-shaped querns, obsidian flakes also occur. A triangular arrowhead was found. In the burials bone whorls were attested.

Palynological evidence has shown that several varieties of what were sown in the vicinity of Chobareti, oats, millet, barley.

According to palaeozoological data, animal husbandry was developed fairly well.

On the basis of preliminary data, Chobareti is datable to the end of the 4th and first half of the 3rd millennium BC.

ლიტერატურა

გობეჯიშვილი გ. 1978: თეთრიწყაროს ნასოფლარი. თბილისი.

მირცხულავა გ., ორჯონიკიძე ალ., მინდიაშვილი გ., ჯაფარიძე ო. 1992: ადრებრინჯაოს ხანის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. – ო.ჯაფარიძე (რედ.), საქართველოს არქეოლოგია, ტ. II. თბილისი, 70-124.

ორჯონიკიძე ალ. 2004: მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისი.

ორჯონიკიძე ალ. 2004ა: ქვის ისრისპირები საქართველოდან. – ძიებანი, №13-14, 24-35.

ჩუბინიშვილი ტ. 1963: ამირანის გორა. თბილისი.

ტაბულების განმარტება

ტაბ. I – სამშენებლო დერეფანში მოქცეული ჭობარეთის ნამოსახლარისა და სამაროვნის ტოპოგრაფიული გეგმა.

ტაბ. II – ჭობარეთის ნამოსახლარისა და სამაროვნის სამეურნეო ორმოები და სამარხები.

ტაბ. III –ჭობარეთის სამაროვნის სამარხები, კერამიკული მასალა და ძვლის კვირისტავები.

ტაბ. IV –ჭობარეთის ნამოსახლარსა და სამაროვანზე აღმოჩენილი კერამიკული მასალა

ტაბ. V –ჭობარეთის ნამოსახლარის ნაგებობები, სამეურნეო ორმოები და სამარხები.

ტაბ. VI – ჭობარეთის ნამოსახლარის ნაგებობებში, სამეურნეო ორმოებსა და სამარხებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – Topographical plan of Chobareti site and burial-ground within the construction corridor.

Pl. II – Household-economy pits and burials of Chobareti site and burial-ground.

Pl. III – Burials, ceramic material and bone whorls of Chobareti.

Pl. IV – Ceramic material found on Chobareti site and burial-ground.

Pl. V – Structures, household pits and burials of Chobareti.

Pl. VI – Archaeological material discovered in buildings, household pit and burials of Chobareti site.


4605500
343400
343500
343600
ეპიზოდური ნიადაგები
სარეკოგნოსცირებადი
სარეფერენტული
საკვლევრადი ტერიტორია

ტაბ. II

1

2

3

4

5

6

7

8



1



2

3

4

5

6



7

8

ტაბ. IV

1

2

3

4

5

6

7

8


W
O
№ 6
№ 5
№ 4
0 10 20 30 40 50
1
2
N
O
W
0 20 40 60 80 100
3
N
4
N
W
O
5
6
N
7
N
W
O
N
S
8

ტაბ. VI



1



2



3



4

**გურამ კვირკველია, ბიძინა მურვანიძე,
ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ალექსანდრე ორჯონიკიძე**

არქეოლოგიური გათხრები გრაკლიანის გორაზე 2009 წელს

გრაკლიანის გორა მდებარეობს კასპის რაიონში, საქართველოს ცენტრალური საავტომობილო გზის პირას, მდ. ლეხურასა და თორთლას ხერთვისში. გორა სამკუთხა მოყვანილობისაა, ვიწროვდება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მას სამხრეთ-დასავლეთიდან მდ. თორთლა საზღვრავს, ხოლო აღმოსავლეთიდან – მდ. ლეხურა. გორა დასავლეთისკენ თანდათან დაბლდება სოფ. გამდლისწყაროს მიმართულებით. მის აღმოსავლეთით სოფლები სამთავისი და იგოეთია. გორის ზედაპირზე, რომელიც დაახლოებით 740 მ სიმაღლეზე მდებარეობს ზღვის დონიდან, გამოირჩევა რამდენიმე სხადასხვა ზომის ბორცვი და სხვა მცირე შემაღლება, ასევე ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით გადაშლილი სერი (ტაბ. I_1).

გრაკლიანის გორაზე გასული საუკუნის 70-იან წლებში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციამ ი. გაგოშიძის ხელმძღვანელობით, შეისწავლა ელინისტური ხანის კოშკი. 1998 წლის მაისში, სოფლების იგოეთისა და სამთავისის ტერიტორიებზე მიმდინარეობდა ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები, რომლის დროსაც დაზიანდა რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლი, მათ შორის გვიანანტიკური ხანის ნაქალაქარი, ქვევრსამარხები და ელინისტური ხანის ციტადელის მიმდებარე ნაგებობები. 2001 წელს გრაკლიანის გორის აღმოსავლეთ ნაწილში არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ნასტაკისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნინო მირიანაშვილის ხელმძღვანელობით გაჭრა რამდენიმე თხრილი. დაფიქსირდა ნაგებობების ნაშთები, ინტენსიური კრამიტყრილი. 1,40-1,50 სიგანის კედლები აგებული იყო რიყის ქვების ორრიგიანი წყობით, ზედ დაშენებული ალიზის აგურებით. მოპოვებულმა მასალმა მის გამთხრელს მისცა საშუალება ძეგლი ძვ.წ. II-ახ.წ. I სს-ით დაეთარიღებინა [მირიანაშვილი 2003: 53-64]. 2008 წელს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გორის სამხრეთ ფერდობზე მეორე ეტაპის სადაზვერვო სამუშაოები ჩაატარა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ რ. დავლიანიძის ხელმძღვანელობით, რომელმაც დაადასტურა აქ ელინისტური ხანის გარკვეული ნაგებობებისა და ფენების არსებობა. ამავე წლის გაზაფხულზე ამ ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა აწარმოა შპს „გიორგი გვინჩიძე-ინდმეწარმე“-ს მიერ ორგანიზებულმა ექსპედიციამ, ხოლო ამავე წლის შემოდგომაზე და მომდევნი წლის გაზაფხულში – ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ვ. ლიჩელი). გამოვლინდა საცხოვრებელ ნაგებობათა მთელი წყება და არქეოლოგიური ფენები, რომლებიც მოიცავდა არქეოლოგიურ ობიექტებს დაწყებული ბრინჯაოს ხანიდან ვიდრე გვიანელინისტური ხანით დამთავრებული.

გრაკლიანის გორის თხემის მთელი ტერიტორიის ზედაპირზე მეტნაკლები ინტენსივობით იკრიფება კერამიკული ფრაგმენტები და ხელსაფქვავების ნატეხები. აღმოჩნდა რამდენიმე ქვის იარაღიც, მათ შორის აშელური პერიოდის ბიფასი.[1]

კომპანია *„BP Exploration (Caspian Sea) Ltd., Georgia”* და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად ბაქო-სუფსის მილსადენის ტრასის იმ მონაკვეთზე, რომელიც გადის „გრაკლიანის გორის“ თხემზე, 2009 წლის აპრილში და ივნისში ჩატარდა II ეტაპის სადაზვერვო ხასიათის არქეოლოგიური სამუშაოები.[2]

გამოკვლეული ტერიტორია თავდაპირველად მოიცავდა დერეფანს სიგრძით დაახლოებით 640 მ, სიგანით 20-25 მ (WREP KP 109-109+640 მ), შემ-

1 განსაზღვრა ნიკოლოზ თუშაბრამიშვილმა.

2 ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ არქეოლოგები მერაბ ძნელაძე, ალექსანდრე ორჯონიკიძე, ვახტანგ შატბერაშვილი, სულხან ხარაბაძე, დავით სულხანიშვილი, მხატვარ-არქიტექტორი თამარ სახვაძე, ტოპოგრაფი ალექსანდრე თევზაძე; კამერალურ სამუშაოებში მონაწილეობა მიიღეს არქეოლოგებმა ვახტანგ ნიკოლაიშვილმა, ბიძინა მურვანიძემ, მაია ჩარკვიანმა, თინა კახელიშვილმა, ანთროპოლოგმა მარინა ჭკადუამ, პალეოზოოლოგმა ოლეგ ბენდუქიძემ.

დგომ ეს დერეფანი გაგრძელდა დასავლეთისკენ 560 მ-ით და საბოლოოდ 15-20 მ ინტერვალებით დადებული 50-ზე მეტი თხრილის საშუალებით გამოვიკვლიეთ 1.2 კმ სიგრძის მონაკვეთი (WREP KP 109-110+200 მ). თხრილების ზომები იყო 5×2 მ. ზოგიერთ შემთხვევაში ძეგლის ხასიათის დაზუსტების მიზნით მოხდა მათი გაფართოება. ყველა თხრილი დაინომრა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (ტაბ. I_2).

ზოგადად, მთელი ეს ტერიტორია განიცდიდა ძლიერ ანტროპოგენურ დაწოლას. ის გამუდმებით იხვნებოდა, მათ შორის პლანტაჟური გუთნით, რამაც გამოიწვია აქ არსებული არქეოლოგიური ობიექტების დაზიანება-განადგურება, არტეფაქტების ურთიერთშერევა და მათი დიდ მანძილზე გადანაცვლება. ამის შედეგია ის უამრავი კერამიკული ფრაგმენტი, რომელიც ვიზუალურად კარგად ჩანს მიწის დღევანდელ ზედაპირზე. ამდენად, თხრილებში ძირითადად დაფიქსირდა ნაბრუნები ფენები, რომლებშიც ერთმანეთში იყო არეული ადრებრინჯაოს ხანისა და გვიანანტიკური ხანის ფრაგმენტები. განადგურებას მეტნაკლებად გადაურჩა მხოლოდ დედაქანში ჩაღრმავებული სტრუქტურები (სამარხები, სამეურნეო ორმოები, ნახევარმიწური) და ზოგიერთ შემთხვევაში გვიანანტიკური ხანის ნაგებობების რიყის ქვით ნაგები საძირკვლები.

მასალის უდიდესი ნაწილი მოპოვებული იქნა №№ 1-15 თხრილებში. № 15 თხრილის დასავლეთით შესწავლილ ფართობში უძრავი არქეოლოგიური ობიექტები ან მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა. მოპოვებული მასალის დიდი ნაწილი ჩალისფრად ან ვარდისფრად გამომწვარი კერამიკის ფრაგმენტებია, ძირითადად უსახო, თუმცა არის სადა პირისგვირგვინების, ოვალურგანივკვეთიანი ყურებისა და ძირების ფრაგმენტები, ქვევრების ნატეხები შემკული დაკეჭნილი რელიეფური ზოლებით. ყურადღებას იქცევს № 3 თხრილში ნაპოვნი ჭურჭლის ფრაგმენტები, მოჩალისფრო-მოყვითალო თიხის. შემორჩენილია ძირისა და გვერდების 9 ფრაგმენტი. ზედაპირი შემკულია ამოღარული, ტალღისებური ორნამენტით (ტაბ. IX_{17}). მსგავსი კერამიკა, აღმოჩენილი ლოჭინში, რუსთავში, ურბნისში და სხვაგან, ძირითადად თარიღდება ახ.წ. IV-VI სს-ით [აბრამიშვილი, ჭილაშვილი 1962:201; ჭილაშვილი 1964: 99-100; მანჯგალაძე 1985:58, სურ. 319; რამიშვილი 1979: 17, ტაბ. 4, სურ. 600]. არც თუ იშვიათად გვხვდებოდა ბრტყელი, გვერდებაკეცილი, ან ღარიანი, წითელი წერნაქით დაფარული კრამიტის ფრაგმენტები, ძირითადად დამახასიათებელია ქართლის ახ.წ. პირველი საუკუნეების ძეგლებისათვის [ძნელაძე 1997: 9-11, ტაბ. II; Дзнеладзе 1991: 1-8, ტაბ. II]. მსგავსი ნაწარმი განვითარებული შუასაუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს [შდრ. ჯღამაია 1980: 34-37].

საინტერესოა ჭურჭლის კედლის ერთი ფრაგმენტი – თხელკედლიანი, მოჩალისფროდ გამომწვარი, ზედაპირნაპრიალები, მოხატული მოწითალო საღებავით – მხარზე გასდევს ფართო სარტყელი, რომლისგან ქვემოთ ეშვება მოკლე ზოლები. მათ ქვემოთ ნახევარრკალისებური ზოლების რიგია მოთავსებული (ტაბ. IX_{16}). ეს მოხატული კერამიკის ერთადერთი ნიმუშია გრაკლიანის გორის ჩვენი გათხრებიდან. არ არის გამორიცხული მისი ელინისტური ხანისადმი მიკუთვნება, ვინაიდან სწორედ ამგვარად მოხატული კერამიკა გვხვდება ქართლის ძვ.წ. II-I ს-ის ძეგლებზე [ნიკოლაიშვილი, ნარიმანიშვილი 1995: 58-96, სურ. 821-822, 832.].

სხვა ხასიათის მონაპოვარიდან აღსანიშნავია № 3 თხრილში აღმოჩენილი მომწვანო-მოცისფრო ფერის გამჭვირვალე მინის ფრაგმენტი რელიეფური ჩაღრმავებებით – ფაცეტებით (ტაბ. IX_{15}). ამგვარი ტექნოლოგიითა და შემკულობით შესრულებული ჭურჭელი ახ. II-IV სს-ში ფართო არეალზეა ცნობილი [Кунина 1997: 36-40], მათ შორის საქართველოშიც – მცხეთაში, ზღუდერში, კლდეეთში, ძალისაში, ჭერემში [ჩხატარაშვილი 1982: 123-138, ტაბ. XXX_{1-4}; ჩხატარაშვილი 1987: 78-97; მამაიაშვილი, ჯავახიშვილი 1984: 90, ტაბ. XXXVI, XLIV].

გვიანრომაული ხანის ფრაგმენტებთან ერთად თხრილებში დადასტურდა გაცილებით უფრო ადრეული, მტკვარ-არაქსული კერამიკა. ეს არის სპეციფიკური, ვარდისფერსარჩულიანი, ყავისფრად ან შავად ნაპრიალები ჭურჭლის კედლების ცალკეული, ძირითადად უსახო ფრაგმენტები. აღსანიშნავია იმავე № 3 თხრილში აღმოჩენილი ისრისპირი, მცირე ზომის, ყუნწიანი, ფრთადაშვებული, დამზადებული ყავისფერი კაჟისაგან, მცოცავი რეტუშით ორმხრივ დამუშავებული (ტაბ. I_5). ის მიეკუთვნება ყუნწიანი ისრისპირის I_4 ტიპს, რომელსაც საქართველოს არაერთ ადრეული ხანის ძეგლზე ვხვდებით. განსაკუთრებით ფართო გავრცელება მან ჰპოვა მტკვარ-არაქსის კულტურაში, რომლის დასრულების შემდეგ ამგვარი ისრისპირების დამზადების ტრადიცია საქართველოში თითქმის მთლიანად ისპობა [ორჯონიკიძე 2004: 25]. ამ ტიპის ისრისპირი ცნობილია მტკვარ-არაქ-

სის კულტურის ისეთი ძეგლებიდან, როგორიცაა ქვაცხელა [ჯავახიშვილი, ღლონტი 1962: ტაბ. IV], ბეშთაშენი [Жоржикашвили, Гогадзе 1974: ტაბ. 33], ციხიაგორა [მახარაძე 1994: ტაბ. XXXIII], ოზნი [Жоржикашвили, Гогадзе 1974: ტაბ. 26], ნაჩერქეზევი [ჯაფარიძე 1961: ტაბ. 22], და სხვ.

მეტ-ნაკლებად შემონახულ მდგომარეობაში აღმოჩდა ერთმანეთისაგან დიდი ქრონოლოგიური დაპაზონებით დაცილებული სამი ეპოქის ნაშთები.

მტკვარ-არაქსული ხანის აღნიშნული მონაპოვრის გარდა დადასტურდა ამ ეპოქის ორი სამეურნეო ორმოც – №№ 8 და 10 თხრილებში.

№ 8 თხრილში აღმოჩენილი, გეგმაში მრგვალი მოყვანილობის ფორმის მქონე ორმო ნაწილობრივ დაზიანებული იყო უფრო გვიანდელი, № 3 სამარხით (ტაბ. I_3, II). ორმოს პირის დიამეტრია 0.70 მ. ორმო ყვითელი ფერის თიხნარ დედაქანშია ჩაჭრილი. ორმოს ყელი 0.40-0.45 მ სიღრმემდე თითქმის ვერტიკალურად ჩადის ქვემოთკენ და შემდეგ მკვეთრად განიერდება სიღრმეში – ორმო მსხლისებურ კონტურს იღებს. ფსკერი დაფიქსირდა 0.90 მ სიღრმეზე. აქ ორმოს დიამეტრი უკვე 1.35 მ შეადგენს. ორმო შევსებული იყო მუქი ფერის მიწით, რომელშიც ერია რიყის ქვები, ძვლები, მტკვარ-არაქსული იერის მქონე კერამიკული ფრაგმენტები და სხვა მასალა. აღმოჩენილი არტეფაქტები ორი კატეგორიისაა – თიხის ჭურჭლის ნატეხები და ხელსაფქვავების ფრაგმენტები. გამოირჩევა შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი (9 ფრაგმენტი) და ლეგა-მოვარდისფრო ან მოყავისფრო ნიმუშები (16 ფრაგმენტი). ორმოს ფსკერთან აღმოჩნდა მტკვარ-არაქსული ჭურჭლის მოზრდილი ფრაგმენტი (ტაბ. I_7). ეს არის ტოლჩა თუ ბადია, შავლეგაპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი, მხარზე და პირზე შერჩენილი ყურის ნაშთით; აქვს გადაშლილი პირი, გამოყვანილი ყელი, რომელიც წიბურით გადადის ზედა ნაწილში განზიდულ კორპუსზე და ვიწრო, ბრტყელი ძირი. ამ ფორმის ჭურჭელი კარგადაა ცნობილი ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებულ მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურს მიკუთვნებულ ძეგლებზე. განსაკუთრებით მრავლადაა წარმოდგენილი ის შიდა ქართლში როგორც ნამოსახლარებზე, ისე სამარხებშიც: ხიზანაანთგორის D-B ფენებში [კიკვიძე 1972: სურ. 13-15, ტაბ. XX_1, XXIV_2], ქულბაქებზე [ჯაფარიძე 1961: სურ. $2_{4,5}$, $3_{2,3}$], ძაღინაში [ჯაფარიძე 1961: სურ. 44], ამირანის გორაზე [ჩუბინიშვილი 1963: ტაბ. VIII_1], ოზნიში [Жоржикашвили, Гогадзе 1974: ტაბ. 2120], არადეთის ორგორის სამარხებში [Koridze, Palumbi 2008: Pl. 13_2], ტახტიძირის სამარხებში [Jalabadze, Palumbi 2008: Pl. 3_4], ქვაცხელას სამაროვანზე [Ghlonti, Ketskhoveli, Palumbi 2008: Pl. 10_3, 12_1, 133] და სხვ.

ამავე ორმოში ქვის (ბაზალტის) ხელსაფქვავებიცაა დაფიქსირებული, ნალისებური ფორმის, სხვადასხვა ზომის (ტაბ. I_6).

კიდევ ერთი, თიხნარ დედაქანში ჩაჭრილი ორმო, გამოვლინდა № 10 თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში (ტაბ. I_4, გეგმაზე № 2) – ზარისებრი მოყვანილობის, შემორჩენილი ზედა დმ – 1.30ჩ1.40 მ; ძირის დმ – 1.45ჩ1.55 მ; სიღრმე – 0.80-0.85 მ. ორმოს ფსკერზე აღმოჩნდა ნავისებური ხელსაფქვავის ფრაგმენტი. ორმოში გამოვლინდა მტკვარ-არაქსული კერამიკა, წარმოდგენილი სქელ და თხელკედლა შავპრიალა-ვარდისფერსარჩულიანი და მოყავისფრო ფერის სხვადასხვა ჭურჭლის კედლების უსახო ფრაგმენტებით.

აღსანიშნავია, რომ № 10 თხრილის დასავლეთით მტკვარ-არაქსული იერის ფრაგმენტების გავრცელება წყდება.

მომდევნო, უკვე **გვიანბრინჯაოს ხანას**, განეკუთვნება № 8 თხრილში აღმოჩენილი ორი სამარხი (ტაბ. II).

სამარხი № 1 გამართული იყო ყვითელ თიხნარ დედაქანში ამოჭრილ ორმოში. მისი ზომებია 1.10ჩ1.50; ორიენტირებულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სამარხი ორმოს შევსებაში 0.30 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მართკუთხედი მოყვანილობის ნამგლის კაჟის ჩასართი ორმხრივ დაკბილული კიდეებით (ტაბ. III_9). სამარხი ორმოს სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე, მის ზედა დონეზე, შუა ნაწილში, აღმოჩნდა ცხოველის (ხარის) თავის ქალა, რქებით დაბლა ჩაშვებული.

მიცვალებული, 35-45 წლის ქალი, იწვა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ, მარცხენა გვ ერდზე, ფეხებმოკეცილი, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ და სახით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. იდაყვებში მოხრილი ხელების მტევნები მარცხენა ლოყის ქვეშ ჰქონდა ამოდებული. მიცვალებული დამრეცათაა ჩაწოლილი, ისე, რომ თუ თავის ქალა მის წინ მდგომი ქოთნის პირისგვირგვინის დონეზეა დაფიქსირებული, ფეხები თითქმის სამარხის ძირს აღწევს. მიცვალებულის კისრის არეში აღმოჩნდა სარდიონის მძივები, დახეთქილი, 91 ცალი და გაუმჭვირვალე მინის, ბოლოშევიწროვებული ფორმის, ღია მოყავისფრო ფერის ორი

მძივი (ტაბ. III_6); მიცვალებულის ზურგს უკან, სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელთან, იდგა ამოღარული ტალღოვანი ორნამენტით შემკული ჯამი (ტაბ. III_1); მიცვალებულის წინ, სამარხის ცენტრალურ ღერძზე, რამდენიმე ჭურჭელი იყო მოთავსებული: სადღვებელი (ტაბ. III_8) იდგა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კიდესთან, მიცვალებულის სახის წინ; მიცვალებულის მუცლის არეში აღმოჩნდა მეორე ქოთანი (ტაბ. III_{10}), საკმაოდ კარგად შემონახული; მის ძირში, ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან, იდო ბრონჯაოს მახათი (ტაბ. III_4) და ჯამი (ტაბ. III_2); მომცრო ზომის ქოთანი (ტაბ. III_3) აღმოჩნდა სამარხის ჩრდილოეთ კუთხეში. ამ ჭურჭლის შიგთავსში აღმოჩნდა ბატკნისა თუ თიკნის ჩონჩხის ნაწილები. კიდევ ერთი ჭურჭლის (ტაბ. III_7) ფრაგმენტები აღმოჩნდა მიცვალებულის მენჯის ძვლების ქვეშ. აქვე დაფიქსირდა სარდიონის ათიოდე მძივიც (ტაბ. III_5). იქმნება შთაბეჭდილება, რომ მიცვალებული იწვა რაღაც კონსტრუქციაზე, ალბათ სარეცელზე, რომლის ქვეშაც იყო შედგმული № 6 ჭურჭელი, ჩამსხვრეული ამ კონსტრუქციის ჩაწოლის შემდეგ.

სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, კედლის გასწვრივ, აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის (ბატკნისა თუ თიკანის) სრული ჩონჩხი, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე. კიდევ ერთი ამგვარი ცხოველის თავის ქალა და ცალკეული წვრილი ძვლები აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მიცვალებულის ფეხებთან, № 4 ჭურჭლის გვერდით. გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა, ზემოთხსენებული ხარის თავის ქალის გარდა, ძროხისა თუ ხარის სხვა ძვლებიც – ორი პირველი ფალანგა, ერთი მეორე ფალანგა და ორი მაჯის ძვალი.

კიდევ ერთი გვიანბრინჯაოს ხანის სამარხი გაითხარა № 8 თხრილის აღმოსავლეთიდან მომატებულ ნაწილში.[3] სამარხი № 3 ორიენტირებულია NWW-SEE ღერძზე, ორმოს ზომებია 1.50ჩ1.10 მ. მისი ფსკერი დედაქანში 0.25 სმ-ითაა ჩაღრმავებული (ტაბ. II). სამარხში ორი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა. პირველი მათგანი, 10 წლის ბავშვის (სქესი ვერ დგინდება) იწვა სამარხის ჩრდილოეთი კედლის გაყოლებაზე, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთისაკენ, ხელ-ფეხმოკეცილი. ხელები სახის წინ ეწყო. მიცვალებულის ძვლები ცუდი დაცულობისაა, აკლია ხერხემლის მალები და ქვედა კიდურები. თავის არეში აღმოჩნდა მცირე ზომის ბიკონუსური მოყვანილობის ჭურჭელი (ტაბ. III_{12}), ხოლო მკერდის არეში – ორყურა ქოთანი (ტაბ. III_{13}) და ლანგარი (ტაბ. III_{15}). ქოთანში იდო წვრილფეხა საქონლის ნეკნების ფრაგმენტები. მეორე მიცვალებული (17-25 წლის ქალი) იწვა სამარხის სამხრეთი კედლის გაყოლებაზე, მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთისკენ, ხელ-ფეხმოკეცილი. ძვლები უკეთესი დაცულობისაა, მაგრამ გაკვირვებას იწვევს, რომ მას აკლია შუბლისა და ზედა ყბის ნაწილები. მიცვალებულის კისრის არეში დახეთქილი სარდიონის მძივები აღმოჩნდა (ტაბ. III_{14}). სამარხი ორმოს დასავლეთ კიდეში სადღვებელი იყო მოთავსებული (ტაბ. III_{11}).

სადღვებლები ფართოდ არის გავრცელებული მთელ ამიერკავკასიაში – მინგეჩაური (აზერბაიჯანი) [Асланов, Ваидов, Ионе 1959: 48-49], რედკინ ლაგერი [Мартиросян 1964: 200], შირაკავანი (სომხეთი) [Торосян, Хникян, Петросян 2002: табл. XLIII]; შიდა ქართლი: სამთავრო [ჩუბინიშვილი 1957], ნარეკვავი [დავლიანიძე, სადრაძე 1993: 100], ფლავისმანი [მაკალათია 1930: 232-240], კასპი [ბარამიძე 1965: 44], ხოვლე [მუსხელიშვილი 1978: 17]; თრიალეთი: ბეშთაშენი, წინწყარო [Куфтин 1941: 57-60]; ქვემო ქართლი: მადნისჭალა [თუშიშვილი 1972: 28-54], პანტიანი [Тушишвили, Амиранашвили 1979: 91-96, табл. XXXIV; Тушишвили, Амиранашвили 1985: 21-28, табл. XXVI.]; კახეთი: ნასადგომარი [ფიცხელაური, მენაბდე 1982: 126-141], და სხვ. აღნიშნული ძეგლები გვიანბრინჯაოს ხანით არის დათარიღებული. ცნობილია როგორც უყურო, ისე ყურიანი სადღვებლები. უყურო სადღვებლები თუ შუაბრინჯაოს მიწურულიდან არა [აბრამიშვილი 1978: 71], გარდამავალი ხანის საფეხურიდან მაინც ჩნდება და ფართოდ ვრცელდება ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე [ფიცხელაური 1973: ქრონოლოგიური ტაბულა LXIX]. მოგვიანო ხანაში სადღვებლები თითქმის არ იცვლიან ფორმას, მათ მხოლოდ უჩნდებათ ყური. ეს კარგად ჩანს სამთავროს სამაროვნის მაგალითზე, სადაც რკინის ნივთებიან კომპლექსებში მხოლოდ ყურიანი სადღვებლები გვხვდება. თრიალეთის და მინგეჩაურის მასალების მიხედვითაც ყურიანი სადღვებლები უფრო მოგვიანოა და მათი თარიღი რკინის ხანის დასაწყისს ემთხვევა [ბარამიძე 1965: 44].

გრაკლიანი გორის სადღვებლებიან სამარხებში ერთში ქალია დაკრძალული, მეორეში ქალი და ბავშვი. აღნიშნული გარემოება თითქოს მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ, სამთავროს

3 ადამიანების ძვლოვანი ნარჩენების განსაზღვრა ანთროპოლოგმა მარინე ჭკადუამ.

სამაროვნის მაგალითზე, მამაკაცების სამარხებში უპირატესად ყურიანი სადღვებლებია დაფიქსირებული, ქალისაში კი – უყუროები [ოქროპირიძე 1985: 20-26].

№ 1 და № 3 სამარხებში აღმოჩენილი ორი ჯამი და ლანგარი ფორმის მიხედვით სწორგვერდიანი ლანგრების და ჯამების ჯგუფს მიეკუთვნება. ამ ტიპის ჭურჭლისთვის დამახასიათებელია გადაშლილი, ბაკომომრგვალებული პირი, შვეული გვერდი, მკვეთრად ან ნაკლებად გამოხატული წიბო, უქუსლო ან დაბალქუსლიანი ბრტყელი ძირი. რაც შეეხება ორნამენტის იმ სახეს, რომლითაც შემკულია № 1 სამარხის ორი ჯამი და № 3 სამარხის სადღვებელი და ლანგარი – ორ კონცენტრულ ღარს შორის მოქცეული ან მხოლოდ ტალღური ზოლები – ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოტივია გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკული ნაწარმისთვის. მსგავსი ფორმისა და შემკულობის ჯამები და ლანგრები აღმოჩენილია ნარეკვავის სამაროვანზე, სადაც ზოგადად ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება [ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: ტაბ. XCV].

ბიკონუსური ფორმის კოჭობი ფართოდაა გავრცელებული. ქრონოლოგიურად მათ დიდი დიაპაზონი გააჩნიათ. გრაკლიანის გორის № 3 სამარხის მსგავსი ბიკონუსური ფორმის ჭურჭელი ბევრგან არის აღმოჩენილი: კობალას [Тушишвили, Амиранашвили 1985: 21-28, табл. XXV; Тушишвили, Амиранашвили 1982: 47-56, табл. XXI], სამთავროს [კალანდაძე1980: 137-172, სურ. 924], დიღმის [Абрамишвили, Апресов, Кахиани, Окропиридзе, Татишвили 1979: 48-54, табл. XVII], ნაცარგორის [Рамишвили 1995: 69-75, табл. 112] სამაროვნებზე.

გრაკლიანის გორის ორივე კომპლექსი II-I ათასწლეულების მიჯნით, ძვ.წ. XI-IX საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

ამ პერიოდის ნაშთები გრაკლიანის გორის სხვა თხრილებში არ დადასტურებულა.

მესამე პერიოდი, **გვიანრომაული ხანა** (ახ.წ. III-IV სს.), წარმოდგენილია როგორც ყველა თხრილში მოპოვებული არტეფაქტების უმრავლესობით, ასევე ცალკეული ნაგებობების ნაშთებით და სამარხებით.

№ 5 და № 8 თხრილებში დაფიქსირდა რიყის ქვით ნაგები კედლების საძირკვლის ფრაგმენტები (ტაბ. IV_{1-4}), მაგრამ გვიანანტიკური ხანის ნაშთების განსაკუთრებული კონცენტრაცია აღინიშნა №№ 13-15 თხრილების ზოლში.

თხრილი № 13. ორიენტირებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, GPS კოორდინატები 0450253/4650023. თხრილის სამხრეთ ნაწილში გამოვლინდა რიყის ქვებით ნაგები რამდენიმე კედლის ფრაგმენტი. მათი ურთიერთმიმართება ჯერჯერობით გაურკვეველია (ტაბ. IV_{5-7}). მათგან ჩრდილოეთით დაფიქსირდა მატერიკულ ყვითელ თიხნარში ამოკვეთილი საკმაოდ დიდი ზომის ჩაღრმავება, როგორც ჩანს, ნახევარმიწური (ტაბ. IV_{5-6}). ნახევარმიწურის ცენტრალურ ნაწილში მისი სიღრმე დღევანდელი მიწის ზედაპირიდან 0.95 მ სიღრმეზე ფიქსირდება. მიწურში ჩაშვებული აღმოჩნდა წრიული მოყვანილობის ორმო, რომლის ნაწილი დასავლეთით, გაუთხრელ ფართობში გადის. მისი დიამეტრი 1.10 მ-ია (ტაბ. V_7).

თხრილში აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების მიხედვით ჩანს ფენათა შემდეგი მონაცვლეობა: 1. ჰუმუსნარევი, მუქი ფერის, ნაბრუნები ნიადაგი (0.40 მ სიმძლავრის); 2. ნაცროვანი, ქვაღორღიანი (0.30 მ სიმძლავრის); 3. მუქი ფერის ნიადაგი ნახშიროვანი ჩანართებით (ტაბ. IV_5).

პირველ, ჰუმუსნარევ ფენაში აღმოჩნდა მოვარდისფროკეციანი უსახო კერამიკული ფრაგმენტები. უნდა აღინიშნოს ქვაყრილისა და კედლის წყობის დონეზე აღმოჩენილი კრამიტის ფრაგმენტები, აქედან ორი პროფილიანია, ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტის, ორივე წითელი წერნაქის კვალით (ტაბ. VII_{1-2}).

მეორე, ნაცროვან ფენაში კერამიკის რაოდენობა მატულობს. სულ აღირიცხა 406 ფრანგმენტი. აქედან უმრავლესობა ჭურჭლის კედლებია. მათ შორის ათიოდე კრამიტის ფრაგმენტიცაა. პროფილიან ფრაგმენტებში (ტაბ. VII_{3-26}) გამოირჩევა: ქვევრების რელიეფურსარტყლიანი კედლები; სადა, გარეთ თანაბრად გადაშლი პირის გვირგვინები; დერგის ოთხკუთხაგანივკვეთიანი პირის გვირგვინი; ბრტყელი ძირები; სადა, ოვალურგანივკვეთიანი ყურები; ერთ ყურს ზედა ნაწილში კოპი აქვს მიძერწილი, მეორე წითლადაა შეღებილი და ნაპრიალები; დაფიქსირებულია პირმოყრილი ჯამები; აღსანიშნავია დოქების პირ-ყელის სამი ფრაგმენტი, ყელზე რელიეფური სარტყლებითა თუ წიბოებით. კერამიკის მთელი ეს კრებული ზოგადად გვიანრომაული ხანით უნდა დათარიღდეს. დამათარიღებელი მნიშვნელობა, წითლად შეღებილი კრამიტის გარდა, ყელწიბოიან დოქებსა თუ ხელადებს აქვთ. ამგვარი დოქები ძირითადად დამახასიათებელია ქართლის ახ.წ. II-IV სს-ის ნამოსახლარებისა და სამაროვნებისათვის [ნიკოლაიშვილი 1993: 2, 85].

ოსტეოლოგიურ მასალაში განისაზღვრა ღორის, ცხენის, ძროხის და ცხვრის ძვლების ფრაგმენტები.[4]

მესამე ფენა დაფიქსირდა ნახევარმიწურის ქვემო ნაწილში. მასალის რაოდენობა ამ ფენაში კლებულობს (სულ 57 ფრაგმენტი), უმეტესობა ჭურჭლის მოვარდისფრო ან ლეგა ფერის უსახო ფრაგმენტებია. პროფილიანი ფრაგმენტებიდან (ტაბ. VII_{27-34}) შეიძლება აღინიშნოს ყელწიბოიანი დოქის ფრაგმენტი და თხელკედლიანი მოჩალისფროდ გამომწვარი ჭურჭლის კედლის ორი ფრაგმენტი, რომლებიც შემკულია შიდა მხრიდან წნეხვით გამოყვანილი რელიეფური კოპების რიგით (ტაბ. VII_{33-34}). ამგვარი კოპებით შემკული ჭურჭელი ასევე ძირითადად გვიანრომაული ხანისთვისაა დამახასიათებელი [ნიკოლაიშვილი 1993: 85].

ძვლოვანი მასალა ამ ფენიდან უფრო მცირერიცხოვანია: ცხენის სხივის ძვალი და ქვედა ყბის ფრაგმენტი; ძროხის ქვედა ყბის ნაწილი.

თხრილი № 13[1]. ორიენტირებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, GPS კოორდინატები: 0450235/4650033.

ზედა, ჰუმუსნარევი, 0.30 მ სიმძლავრის ფენის ქვეშ აღმოჩნდა ქვა-ღორღიანი კონგლომერატული დედაქანი. ფენაში მცირე რაოდენობით აღმოჩნდა კერამიკის ძირითადად უსახო ფრაგმენტები, სულ 22 მოჩალისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი ჭურჭლის ნატეხი. გამოიყოფა ქვევრის კედლების სამი ფრაგმენტი ზედაპირზე რელიეფური ორნამენტირებული ზოლებით (ტაბ. VIII_{1-3}).

დედაქანში ჩაჭრილი აღმოჩნდა ხუთი ორმო (ტაბ. V_1). ორმო № 1 მდებარეობს თხრილის დასავლეთ კიდეში, დმ – 0.45 მ, სიღრმე – 0.30 მ. შევსებაში კერამიკის ერთადერთი უსახო ფრაგმენტი აღმოჩნდა. №№ 2-4 ერთ ჯგუფად მდებარეობდნენ თხრილის ჩრდილოეთ კედელთან. ორმო № 2, დიამეტრი 0.70 მ, სიღრმე დედაქანის ზედაპირიდან – 0.30 მ. შევსებაში არანაირი მასალა არ აღმოჩენილა. № 3, დიამეტრი 0.50 მ, სიღრმე დედაქანის ზედაპირიდან – 0.35 მ. შევსებაში აღმოჩნდა რამდენიმე უსახო კერამიკული ფრაგმენტი. № 4 ორმო აღმოჩნდა თხრილის უკიდურეს დასავლეთ კიდეში. მისი დიამეტრი – 0.60 მ, სიღრმე დედაქანის ზედაპირიდან – 0.40 მ. ამ ორმოში ჩადგმული იყო მცირე ზომის ქვევრი თუ დერგი, მოჩალისფროდ გამომწვარი, კეცი ქვიშანარევი, ჩანართებიანი, სამფენოვანი. პირი გარეთ გადაშლილია, პირისგვირგვინი ოთხკუთხაგანივკვეთიანი, ზედა ზედაპირი ბრტყელი, ჰორიზონტალური, გარეთა – მომრგვალებული; ყელი დაბალი, მხრები თანაბრად დაქანებული, ძირი ბრტყელი. კორპუსზე ყელიდან დაწყებული ძირამდე ირგვლივ შემოუყვება დაკეჭნილი რელიეფური სარტყლები, ერთმანეთისაგან 6-8 სმ-ით დაშორებული. აკლია მუცლის ნაწილი, თუმცა მოხერხდა მიახლოებით მისი გრაფიკული რეკონსტრუქცია. პირის დმ – 30 სმ, ძირის დმ – 16 სმ, მიახლოებითი სიმაღლე – 80 სმ (ტაბ. VIII_4).

ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა ორმო № 5 თხრილის აღმოსავლეთ კიდეში (ტაბ. V_1). ზარისებრი მოყვანილობის, სიღრმე 1,45 მ, პირის დმ 1.30 მ-ია, ძირის – 2,20 მ. შევსებაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სამზარეულო და სუფრის ჭურჭლისა და კრამიტის ფრაგმენტები, ხელსაფქვავების ნატეხები (ტაბ. VIII_{5-25}). სულ აღინუსხა 711 ფრაგმენტი, აქედან 360 ლეგა-მოშავო ფერის, 351 – მოვარდისფროდ გამომწვარი. კერამიკული ფორმებიც თანაბრად ნაწილდება ამ ორ ჯგუფს შორის: კრამიტი, ორი ფრაგმენტი, ღარიანი და ბრტყელი. ღარიანი კრამიტი წითელი წერნაქითაა დაფარული. მრავალრიცხოვანია პირ-გვერდის ფრაგმენტები, სადა, გარეთ თანაბრად გადაშლილი, მომრგვალებული, ზოგჯერ დაბრტყელებული პირის კიდით. ორი პირის გვირგვინი დერგებისაა, მოჩალისფრო-მოვარდისფრო, პირის კიდე გარეთ ჰორიზონტალურად გადმოკეცილი, ოთხკუთხაგანივკვეთიანი; ჯამები, ნახევარსფერულტანიანი, პირმოყრილი, 2 ცალი; ყელწიბოიანი დოქების რვა ფრაგმენტი; ძირების 38 ფრაგმენტი, სხვადასხვა ზომის ჭურჭლის; სადა, ოვალურგანივკვეთიანი ყურები. მეტნაკლებად განსხვავდება ერთი ყური, რომლის ზედა ნაწილში კოპია დაძერწილი; ორი ფრაგმენტი დერგისა თუ ქვევრის ნატეხებია, გარეთა ზედაპირზე რელიეფური ჰორიზონტალური ზოლით. კერამიკული მასალის გარდა ორმოში დაფიქსირდა ორი ხელსაფქვავის ფრაგმენტი, ორივე ბაზალტის, ნავისებური ფორმის. ორმოში აღმოჩნდა აგრეთვე ირმის, ძროხის, კანჯრის, ცხენისა და ღორის ძვლები.

მორფოლოგიური ნიშნებითა და კეცის ფერით მოპოვებული კერამიკა გვიანანტიკური ხანით უნდა დათარიღდეს.

თხრილი № 14. ორიენტირებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, GPS კოორდინატები: 0450229/4650050.

კორდოვანი და მის ქვეშ მდებარე მუქი ფე-

4 ექსპედიციის მიერ მოპოვებული ოსტეოლოგიური მასალა განსაზღვრა ოლეგ ბენდუქიძემ.

რის ნაბრუნები მიწის მოხსნის შემდეგ თხრილის მთელ ფართობზე 0.50 მ სიღრმეზე დაფიქსირდა მატერიკული გრუნტი – მოყვითალო თიხნარი მასში შერეული რიყისა და კირქვის ქვების კონგლომერატით. ამ დონეზე გამოიკვეთა სხვადასხვა სიღრმისა და დიამეტრის, ჭრილში კონუსური მოყვანილობის ორმოების მთელი წყება, რომლებიც რიგ შემთხვევაში ურთიერთს ჭრიდნენ (ტაბ. $V_{2,7}$). თხრილის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილ ორმოში აღმოჩნდა საკმაოდ დიდი ზომის ქვევრის ქვედა ნაწილი. მისი მთლიანად აღდგენა ვერ მოხერხდა, მაგრამ მოხდა მისი გრაფიკული რეკონსტრუქცია (ტაბ. IX_1). მოყავისფროდ გამომწვარი, პირისგვირგვინი ოთხკუთხაგანივკვეთიანი, ყელი მხრებისკენ თანაბრად გაფართოებული, ტანი კვერცხისებური, ძირისკენ თანაბრად შევიწროვებული, ძირი ბრტყელი. ტანი მთელ სიმაღლეზე, მხრებიდან ძირამდე, შემკულია რელიეფური, ერთმანეთისაგან 7-8 სმ-ითაა დაცილებული სარტყლებით. მხარზე მდებარე სარტყელი გრეხილი თოკისებური რელიეფითაა შემკული, დანარჩენი სადაა. პირის დმ – 42 სმ, ძირის დმ – 18, მუცლის დმ – დაახლოებით 120 სმ, სავარაუდო სიმაღლე – 176 სმ. მსგავსი კვერცხისებურტანიანი და რელიეფურზოლიანი ქვევრები გავრცელებულია გვიანრომაული ხანის ნამოსახლარებზე [ნიკოლაიშვილი 1993: 15-16]. რამდენიმე ორმოს კონუსური მოყვანილობა იმაზე მიუთითებს, რომ ისინიც ქვევრების ჩასადგმელად იყო განკუთვნილი. კიდევ ორი ორმო გაიწმინდა თხრილის დასავლეთ კედელთან. ორმოები ერთმანეთს კვეთს და მათ შორის გამმიჯნავი კედლის დადასტურება ზედაპირიდან მხოლოდ 1 მეტრის სიღრმეზე მოხერხდა. ორივე ჩაჭრილია ღორღიან გრუნტში და ზარისებრი ფორმა აქვთ – პირი ვიწროა, ძირი კი განიერი, ფსკერი – ჰორიზონტალური. ორმოებში სხვადასხვა სიღრმეზე აღმოჩნდა ქვევრის გვერდისა და პირის ფრაგმენტები, ხშირად შემკული ჰორიზონტალური რელიეფური ზოლებით (ტაბ. IX_{2-9}). მოპოვებულია აგრეთვე წვრილკეციანი, შავად, მოწითალოდ და ჩალისფრად გამომწვარი კერამიკის ფრაგმენტები. თხრილში აღმოჩენილი კერამიკული მასალა მოვარდისფრო ან ლეგა მოშავო ჭურჭლის კედლის ფრაგმენტებია, შესაბამისად 137 და 67 ერთეული. ეს არის უმთავრესად თხელი და საშუალო სისქის კეცის მქონე ჭურჭლის ფრაგმენტები, ზოგჯერ წვრილი პარალელური ღარებით შემკული. პროფილიანი ფრაგმენტებიდან ნაპოვნია: სადა, გარეთ თანაბრად გადაშლილი, მომრგვალებული ან ოდნავ შებრტყელებული პირის გვირგვინები; სადა, ბრტყელი ძირები; ყური, ოვალურგანივკვეთიანი და ოვალურხვრელიანი, მოყავისფროდ გამომწვარი; ჭურჭლის (დოქისა თუ ჩაფის) წიბოიანი ყელის ფრაგმენტი; აღსანიშნავია მრგვალი ხელსაფქვავების ნაწილები, დისკოსებრი მოყვანილობის. ერთ ფრაგმენტს შემორჩენილი აქვს ცენტრალური ხვრელი (ტაბ. IX_{10-11}).

თხრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ქვევრის გვერდით აღმოჩნდა სამარხი № 2 (ტაბ. $V_{2-3,8}$) – კლდოვან კონგლომერატში ამოკვეთილი ორმო, ზომებით 1.20ჩ0.50 მ, უშუალოდ ქვევრისთვის გამართულ ორმოს ებჯინებოდა. ორმო ორიენტირებულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი არ არსებობს – ან მორღვეული იყო ქვევრისათვის ორმოს ამოჭრის დროს, ან, თუ ის ქვევრზე უფრო გვიანდელია, ამ კედლად სწორედ ქვევრი გამოიყენეს. მიცვალებული – 16-22 წლის ახალგაზრდა მამაკაცი – იწვა მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ, სახით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ხელის მტევნები თავქვეშ ჰქონდა ამოდებული. თავის ქალა ძლიერ ჩაჭყლეტილი, დანარჩენი ძვლები კარგი დაცულობის. შუბლთან იდო მცირე ზომის ცალყურა კოჭობი (ტაბ. VI_2), უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით – წაგრძელებული პროპორციების წითლად ნაპრიალები, ვიწროყელიანი, ყელწიბოიანი დოქი (ტაბ. VI_1). ამ ორ ჭურჭელს შორის სამარხის კედელზე, მიცვალებულის სახის წინ, მიყუდებული იყო ბრინჯაოს მცირე ზომის ოდნავ ამობურცული სარკე, ემჩნევა ამალგამირების ნიშნები (ტაბ. VI_3). მიცვალებულის ჩონჩხის ალაგებისას მისი მარცხენა ხელის თითის ფალანგაზე აღმოჩნდა ვერცხლის ბეჭედი გემით. გემა ექვსწახნაგა მუქი მოწითალო ფერის სარდიონის, რომელზეც მწერის (ხოჭო? ფუტკარი?) საკმაოდ რეალისტური და კარგად დამუშავებული გამოსახულებაა ამოკვეთილი (ტაბ. VI_4).

მოწითალოდ გამომწვარი ხელადის ანალოგიები საქართველოში აღმოჩენილია ურბნისში – ახ.წ. IV ს-ით დათარიღებულ ხის სარკოფაგში (№ 3) და საირხეში, № 6 ორმოსამარხში, რომელიც ამავე დროით თარიღდება [ჭილაშვილი 1964: 72, სურ. 30, ტაბ. XXII_3; ნადირაძე 1975: 47-48, სურ. 8]. ტოლჩისებური სასმისები ფართოდაა გავრცელებული და დამახასიათებელია ზოგადად გვიანანტიკური ხანის (ახ.წ. II-IV სს.) სამაროვნებისათვის [ნიკოლაიშვილი 1993: 49-83, 85]. რაც შეეხება სარკეს, მსგავსი ნაკეთობანი ცნობი-

ლია ქართლის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მცხეთაში, ახ.წ. II-IV სს-ის სამარხებში [Иващенко 1980; მანჯგალაძე 1985: 43-108]. ვერცხლის ბეჭედი გემაზე მწერის გამოსახულებით მრავალრიცხოვან ანალოგიებს პოულობს ანტიკურ სამყაროში. ძვ.წ. V ს-ის შუახანებით თარიღდება ოქროს ფარაკიანი ბეჭედი, რომელზედაც ფუტკარია გამოსახული [Boardman 1975: fig. 77]; ფუტკარია გამოსახული ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრის ბეჭდის სარდიონის გემაზე [Antike Gemmen 1968: სურ. 395b]; რომაული ხანით თარიღდება ბუზებისა და ფუტკრების გამოსახულებიანი სარდიონის გემების წყება სოფიის მუზეუმიდან [Димитрова-Милчева 1980: სურ. 218-220. განსაკუთრებით ახლოს დგას ჩვენ გემასთან ახ.წ. III ს-ის ექვსწახნაგა სარდიონის გემა ფუტკრის გამოსახულებით იმავე მუზეუმიდან [Димитрова-Милчева 1980: სურ. 221]. საქართველოში ფუტკრის გამოსახულებიანი მსგავსი გემა ცნობილია კარსნისხევის სამაროვნის № 32 სამარხიდან [ნიკოლაიშვილი 1993: 80, ტაბ. CV_{12}, CVI_5]. მსგავსი ფორმის ბეჭდები აღმოჩენილია ურბნისში, გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე [ჯავახიშვილი 1972: 48, ტაბ. XII_{57}].

ამდენად, სამარხი შესაძლოა ახ.წ. III-IV სს-ით თარიღდებოდეს.

თხრილში გამოვლენილი ქვევრებისა და ხაროების კომპლექსი, როგორც ჩანს, წარმოადგენდა სამეურნეო დანიშნულების სათავსის ნაწილს, რომელშიაც გამართული იყო მარანი და ბეღელი. არ არის გამორიცხული, რომ ის № 13 და 13′ თხრილებში გამოვლენილ ნაშთებთან ერთად ერთ სამეურნეო კომპლექსს შეადგენდა. ყოველ შემთხვევაში, მათი თანადროულობა ეჭვს გარეშეა. სამარხი თითქოს ამ სამეურნეო სათავსის მიტოვების (?) შემდეგ უნდა გამართულიყო.

თხრილი № 15 (ტაბ. V_4). ორიენტირებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, GPS კოორდინატები 0450199/4650069. კორდოვანი და მუქი ფერის ნიადაგის აღების შემდეგ 0.40 მ სიღრმეზე თხრილის მთელ ფართობზე გაშიშვლდა მატერიკული ყვითელი ფერის თიხნარი გრუნტი. ფენაში აღმოჩნდა უსახო კერამიკის გარკვეული რაოდენობა – ძირითადად მოვარდისფროდ გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტები, სულ 102 ერთეული. პროფილიანი ნატეხები ცოტაა – ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტის ორი ფრაგმენტი, წითელი წერნაქის კვალით; დერგის პირ-გვერდის ფრაგმენტი, მოყავისფრო-მოწითალოდ გამომწვარი, პირის გვირგვინი ოთხკუთხა განივკვეთიანი, ყელი შვეული (ტაბ. IX_{12}); ქოთნის პირის გვირგვინის ფრაგმენტი, მოყავსიფრო-მოშავოდ გამომწვარი, სადა, გარეთ ძლიერ გადაშლილი (ტაბ. IX_{13}); ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტები, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, სადა; ქვევრის გვერდის ფრაგმენტი, რელიეფური ნაჭდევიანი სარტყლებით შემკული. თხრილის დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა ბაზალტის ხელსაფქვავის სამად გატეხილი ფრაგმენტი, მრგვალი, შუა ნაწილი შესქელებულია და ეტყობა ხვრელი კვალი; გრაფიკულად აღდგენილი დიამეტრი 41.6 სმ ტოლია (ტაბ. IX_{14}). ამ ჯგუფის სამხრეთით დაფიქსირდა მცირე ჩაღრმავება ყამირ ფენაში (ორმო № 1), რომელშიც დიდი ზომის რიყის ქვა იყო ჩაჭედილი. ორმოს დმ – 0.20-0.30 მ. ორმოში აღმოჩნდა მოვარდისფროდ გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტების მცირე რაოდენობა (7 ერთეული), მათ შორის თიხის ჭურჭლის პირ-გვერდისა და ძირ-გვერდის თითო ფრაგმენტი. ანალოგიური ჩაღრმავებები იკითხებოდა თხრილის ცენტრალურ ნაწილში (ორმოები №№ 2 და 3). № 3 ორმოს თავზეც მოზრდილი რიყის ქვა იდო. ამ ორმოების შევსებაში რაიმე არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა. თხრილის აღმოსავლეთ კედელთან აღმოჩნდა სქელკედლიანი ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები.

თხრილი № 15`. ორიენტირებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, GPS კოორდინატები 0450162/4650088. ნაბრუნები მუქი ფერის ჰუმუსნარევი ნიადაგი, 0.50 მ სიმძლავრის. შეიცავდა სხვადასხვა ჭურჭლის უსახო ფრაგმენტებს, მათ შორის ნაცრისფერკეციანი შავზედაპირიანი (39 ფრაგმენტი); მოვარდისფრო-მოჩალისფრო (36 ფრაგმენტი); ყავისფერკეციანი (8 ფრაგმენტი). პროფილირებული ფრაგმენტებიდან შეიძლება დასახელდეს სადა, გარეთ თანაბრად გადაშლილი პირის გვირგვინები და ოვალურგანივკვეთიანი ყურების ფრაგმენტები. ამ დონეზე თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა წვრილქვაღორღიანი კონგლომერატული დედაქანი, ხოლო დასავლეთ ნაწილში – მოყვითალო თიხნარი.

თხრილის დასავლეთ კიდეში ორი მრგვალი მოყვანილობის მცირე, არაღრმა ორმო აღმოჩნდა (ორმოები №№ 1 და 2), 0.60 და 0.40 მ დიამეტრის, რომელთა შევსებაში კერამიკის ცალკეული ფრაგმენტები დაფიქსირდა (ტაბ. V_5). № 1 ორმოში აღმოჩნდა ცალკეული ძირ-გვერდის ფრაგმენტები; ქვევრის კედლის ფრაგმენტები, შემკული რელიეფური სარტყლებით. № 2 ორმოში აღმოჩნდა დერგის პირის გვირგვინის ფრაგმენტი, ოთხკუთხაგანივკვეთიანი; ქოთნის პირის გვირგვინის ფრაგმენტი, სადა, გარეთ თანაბრად

გადაშლილი; ოვალურგანივკვეთიანი ყურის ფრაგმენტი; ჭურჭლის ძირგვერდის ფრაგმენტები.

თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, აღმოჩნდა სამარხი, ბავშვის (ასაკი 2 წელი ±6 თვე), რიგით № 4, გამართული უშუალოდ დედაქანის ზედაპირზე (ორმო, როგორც ჩანს, უშუალოდ მიწაში იყო ჩაჭრილი, დედაქანის დაუზიანებლად). მიცვალებული იწვა მარჯვენა გვერდზე, მკვეთრად მოხრილი კიდურებით, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ხელის მტევნები ედო პირისახის წინ (ტაბ. V_{5-6}). ძვლების ალაგებისას გულმკერდისა და ყელის არეში აღმოჩნდა წვრილი მძივები, ნახევრადგამჭვირვალე, ლურჯი მინის, მრგვალი, გამჭოლნახვრეტიანი. უმრავლესობას ეტყობა მოვერცხლვის კვალი (ტაბ. VI_5). ეს მოვერცხლილობა იქერცლება. მძივების დმ მერყეობს 0,6-0,8 სმ შორის.

2009 წლის დაზვერვითი ხასიათის სამუშაოების შედეგები გრაკლიანის გორაზე გარკვეულ პერსპექტივებს ქმნის აქ გათხრების გასაგრძელებლად

G. Kvirkvelia, B. Murvanidze, V. Nikolaishvili, A. Orjonikidze

ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS ON GRAKLIANIS GORA IN 2009

Summary

Graklianis Gora lies in Kaspi district, near the Georgian central motorway, at the confluence of the Lekhura and Tortla rivers. The hill is triangular in shape, narrowing toward south-east (pl. I).

On the entire surface of the Graklianis Gora crest with more or less intensity one comes across ceramic, including tile, fragments, pieces of pithoi. Several stone tools were also found, including an Acheoulian period biface. Generally speaking, this territory came under strong anthropogenic impact. It was continuously plowed with a deep plow, which caused the destruction of the archaeological sites, mixing up of artifacts and their displacement to long distances.

According to the contract signed between the company "BP Exploration (Caspian Sea) Ltd., Georgia" and the Georgian National Museum, in April and June 2009, a 1.2 km long section of the Baku-Supsa Pipeline route that passes along the crest of Graklianis Gora exploratory archaeological work was carried out (pl. I_2).

The trenches largely revealed plowed layers, in which fragments of Early Bronze Age and Late Classical artifacts were mixed. Only structures deep in the bedrock (burials, household pits, semi-dugouts) and in some cases the foundations built of cobblestone of the Late Classical period survived destruction. The greatest part of material was obtained from trenches 1-15. No stationary archaeological objects or important material was found in the area studied to the west of trench 15. A large part of the material brought to light constitute fragments of Late Roman period straw-coloured or pink pottery.

Pottery of the Kura-Araxes period is represented by separate, largely plain, fragments of walls of pink-lining, brown or black polished pottery. Note should be made of a flint arrowhead found in trench 3 (pl. I_5). Besides, a pear-shaped pit of this period was discovered, with a partly damaged, later burial (pls. I_3, II). It was filled with cobblestone, bones, ceramic fragments of Kura-Araxes appearance, and fragments of querns (pl. I_6). A large fragment of a mug was found at the bottom of the pit (pl. I_7). Its parallels are known well from sites of a developed stage of the Kura-Araxes culture dated to the first half of the 3rd millennium BC.

Two burials (pls. II-III), discovered in trench 8, belong to the next, Late Bronze Age. Remains of a woman, aged 35-45[5] were found in burial 1. She lay along the south-east wall of the burial, on her left side, in crouched posure, with head oriented SW. The palms of her hands, bent at the elbows, were placed under her left cheek. In the area of her neck, behind the occiput, in front of the scull, at the shoulder-blade and in the area of the belly cornelian beads of cylindrical form were found. Behind the back of the corpse there was a bowl, while in front several vessels were placed: two pots and a bowl. At the bottom of one pot there lay a bronze awl. Another smaller pot was found in the northern corner of the burial. It contained bones of the skeleton of a lamb. Fragments of one more vessel were found under the thigh bones of the deceased. The impression is that the deceased lay on a couch, under which this vessel had been put.

5 The osseous remains of humans were determined by the anthropologist Marine Chkadua.

The skeletons of two deceased were found in another grave. One of them, a 10-years old child, lay along the northern wall of the burial, on its right side, with head to the west, in crouched posture; its hands lay in front of the face. In the area of its head a biconical vessel was found, in the area of the chest a two-handled pot and a tray. The pot contained fragments of sheep or goat. The other deceased (a woman aged 17-25 years) lay along the south wall of the grave, on her left side, with head oriented W, in crouched posture. Cornelian beads were found in the area of her neck. Large pots stood at the western edge of the burial.

Both burials may be dated to the turn of the 2nd-1st millennia (11th-9th cent. BC). No remains of this period have been recorded in other trenches of Graklianis Gora.

The third period – Late Roman – is represented by most of the artifacts, found in all trenches, and remains of separate structures and burials. Only fragments of the wall foundations have survived (pl. IV_{1-4}). Special concentration of remains of this period has been registered in the area of trenches 13-15 (pls. IV_{5-7}-V). These are cobblestone foundations and remains of semi digouts, household economy pits, etc. The ceramic complex connected with them is dated to the 3rd-4th cent. AD (pls. VII-IX).

Trench 14 yielded a burial of this period (pl. $V_{2-3,8}$) – a pit cut in the rocky conglomerate 3, sized 1.20×0.50 m; it abutted the hole designed for a wine jar. The deceased – a young man, aged 16-22 – lay on his right side, crouched, head oriented NW, face to SW, palms under the head. The skull was strongly indented, the other bones well preserved. A small one-handled lamp lay at the forehead, further south-east – a narrow necked red-polished jug of elongated proportions. Between these two vessels, on the wall, in front of the face of the deceased there was a small sized, slightly bulging mirror amalgamated with silver. At removing the skeleton of the deceased a silver finger-ring with a cornelian gem was found on a finger of the left hand; the gem bears an image of a bee or fly carved out (pl. VI_{1-4}). This burial is dated to the 3rd-4th cent. AD.

One more burial of the same period was found in trench 15, arranged immediately on the bedrock surface (the pit appears to have been cut in the soil, without damaging the bedrock). The deceased – a child, aged 2.5 years – lay on the right side, with sharply bent limbs, head oriented SE, the palms lying in front of the face (pl. $VI_{5-6)}$. At picking up the bones small round beads were found in the area of the chest and neck, the beads being of semi transparent blue glass. Most of them bear traces of silvering (pl. VI_5).

ლიტერატურა

აბრამიშვილი რ. 1978: თრელის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი, არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

აბრამიშვილი რ., ჭილაშვილი ლ. 1962: ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები. – სსმმ, 23-B, 197-206.

ბარამიძე მ. 1965: კასპის სამაროვანი. – მსკა, ტ. IV, 31-66.

დავლიანიძე რ., სადრაძე ვ. 1993: ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი. თბილისი.

თუშიშვილი ნ. 1972: მადნისჭალის სამაროვანი. თბილისი.

კიკვიძე ი. 1972: ხიზანაანთგორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. თბილისი.

მაკალათია ს. 1930: ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი. – სსმმ, ტ. V, 1930, 223-240.

მამაიაშვილი ნ., ჯავახიშვილი ქ. 1984: ჭერემის გვიანრომაული ხანის სამაროვანი. – კაეშ, ტ. VI, 77-107.

მანჯგალაძე გ. 1985: სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები. – მცხეთა, ტ. VII, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბილისი, 43-108.

მახარაძე ზ. 1994: ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი. თბილისი.

მირიანაშვილი ნ. 2003: ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია მილსადენის მშენებლობის ზონაში 2001 წელს. – მილსადენის არქეოლოგია, II. თბილისი, 53-64.

მუსხელიშვილი დ. 1978: ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბილისი.

ნადირაძე ჯ. 1975: ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

ნიკოლაიშვილი ვ. 1993: კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება. თბილისი.

ნიკოლაიშვილი ვ., გავაშელი ე. 2007: ნარეკვავის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

ნიკოლაიშვილი ვ., ნარიმანიშვილი გ. 1995: წიწამური, III. – მცხეთა, ტ. X, არქეოლოგიური კვლევის შედეგები. თბილისი, 58-96.

ორჯონიკიძე ა. 2004: ქვის ისრისპირები საქართველოდან. – ძიებანი, № 13-14, 24-35.

რამიშვილი რ. 1979: ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. თბილისი.

ოქროპირიძე ნ. 1985: გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის სამთავრული კერამიკა (ხელნაწერი) თბილისი.

ფიცხელაური კ. 1973: აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს). თბილისი.

ფიცხელაური კ., მენაბდე ც. 1982: გადრეკილის არქეოლოგიური ძეგლები თბილისი.

ჩუბინიშვილი ტ. 1957: მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

ჩუბინიშვილი ტ. 1963: ამირანის გორა. თბილისი.

ჩხატარაშვილი მ. 1982: მინის ნაწარმი ლამაზი გორიდან. – ფსაძ, IV, 123-137.

ჩხატარაშვილი მ. 1987: მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძართან აღმოჩენილი მინის ნაწარმი (1958-1964 წწ.). – ფსაძ, V, 78-97.

ძნელაძე მ. 1997: საქართველოს ანტიკური ხანის სამშენებლო კერამიკული მასალები (კრამიტი). თბილისი.

ჭილაშვილი ლ. 1964: ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი.

ჯავახიშვილი ა., ღლონტი ლ. 1962: ურბნისი, I. თბილისი.

ჯავახიშვილი ქ. 1972: ურბნისის ნაქალაქარის გემები. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1961: ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბილისი.

ჯღამაია ჯ. 1980: სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში. თბილისი.

Абрамишвили Р. М., Апресов Л. А., Кахиани К. К., Окропиридзе Н. И., Татишвили Т. И. 1979: Итоги археологической экспедиции экспедиции Дигомского ущелья. – ПАИ в 1976 году, 48-55.

Асланов Г. М., Ваидов Р. М., Ионе Г. И. 1959: Древний Мингечаур. Баку.

Дзнеладзе М. 1991: К изучению черепиц античной Иберии – Картли. Тбилиси.

Димитрова-Милчева А. 1980: Антични геми и камеи. София.

Жоржикашвили Л., Гогадзе Э. 1974: Памятники Триалети эпохи ранней и средей бронзы. Тбилиси.

Иващенко М. М. 1980: Самтаврские погребения первых трех веков н.э. Мцхета, т. III, Результаты археологических исследований. Тбилиси.

Кунина Н. З. 1997: Античное стекло в собрании Эрмитажа. Санкт-Петербург.

Куфтин Б. А. 1941: Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.

Мартиросян А. А. 1964: Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван.

Рамишвили А. Т. 1995: Археологические раскопки в Хашурском раионе. – ПАИ в 1987 году, 69-74.

Торосян Р. М., Хникян О. С., Петросян Л. А. 2002: Древний Ширакаван. Ереван.

Тушишвили Н., Амиранашвили Дж. 1979: Итоги работ археологической экспедиции Алгетского ущелья. – ПАИ в 1976 году, 91-97.

Тушишвили Н., Амиранашвили Дж. 1982: Результаты полевых работ археологической экспедиции Алгетского ущелья. – ПАИ в 1979 году, 47-57.

Тушишвили Н., Амиранашвили Дж. 1985: Результаты полевых исследований экспедиции Алгетского ущелья. – ПАИ в 1982 году, 21-28.

Antike Gemmen in Deutschen Sammlungen. Teil 1, Griechischen Gemmen von minoischen zeit zum späten Hellenismus. München, 1968.

Boardman J. 1975: Intaglios and rings. London.

Ghlonti L., Ketskhoveli M., Palumbi G. 2008: The cemetery at Kvatskhelebi. – Ancient Near Eastern Studies, 19, 153-184.

Jalabadze M., Palumbi G. 2008: Kura-Araxes tombs at Takhtisdziri. – Ancient Near Eastern Studies, 19, 117-123.

Koridze I., Palumbi G. 2008: Kura-Araxes tombs at Aradetis Orgora. – Ancient Near Eastern Studies, 19, 125-152.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1. ტოპოგრაფიული გეგმა; 2. აეროფოტო №№ 1-19 თხრილების განლაგების ჩვენებით; 3. თხრილი № 8, მტკვარ-არაქსული ხანის ორმო; 4. თხრილი № 10, მტკვარ-არაქსული ხანის ორმო; 5. კაჟის ისრისპირი; 6. ხელსაფქვავები; 7. ბადია.

ტაბ. II – თხრილი № 1, სამარხები №№ 1 და 3, გეგმები და ჭრილები.

ტაბ. III – 1-10. № 1 სამარხის ინვენტარი; 11-15. № 3 სამარხის ინვენტარი.

ტაბ. IV – 1-2. № 5 თხრილში აღმოჩენილი კედლის ნაშთები; 3-4. № 8 თხრილში აღმოჩენილი კედლის ნაშთები; 5-7. ნაგებობის ნაშთები № 13 თხრილში.

ტაბ. V – 1. თხრილი № 13[1], გეგმა და ჭრილები; 2. თხრილი № 14, გეგმა და ჭრილები; 3. თხრილი № 14, სამარხი № 2, გეგმა და ჭრილები; 4. თხრილი № 15, გეგმა და ჭრილები; 5. თხრილი № 15[1], გეგმა და ჭრილები; 6. თხრილი № 15[1], სამარხი № 4, გეგმა; 7. თხრილი № 14, საერთო ხედი, ფოტო; 8. თხრილი № 14, სამარხი № 2, ფოტო.

ტაბ. VI – 1-4. სამარხი № 2, ინვენტარი; 5. სამარხი № 4, მძივები.

ტაბ. VII – კერამიკული მასალა № 13 თხრილიდან.

ტაბ. VIII – კერამიკული მასალა № 131 თხრილიდან.

ტაბ. IX – 1-11. მასალა № 14 თხრილიდან; 12-14. მასალა № 15 თხრილიდან; 15. ფაცეტირებული მინის ფრაგმენტი № 3 თხრილიდან; 16. წითლად მოხატული ფრაგმენტი № 9 თხრილიდან; 17. კერამიკის ფრაგმენტები № 3 თხრილიდან.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – 1. Topographic plan; 2. Aerial photo showing the disposition of trenches 1-19; 3. Trench 8, pit of the Kura-Araxes period; 4. Trench 10, pit of the Kura-Araxes period; 5. Flint arrowhead; 6. Querns; 7. Bowl.

Pl. II – Trench 1, burials 1 and 3, plans and sections.

Pl. III – 1-10. Grave goods of burial 1; 11-15. Grave goods of burial 3.

Pl. IV – 1-2. Remains of wall discovered in trench 5; 3-4. Remains of wall found in trench 8; 5-7. Remains of a structure in trench 13.

Pl. V – Trench 13′, plan and sections; 2. Trench 14, plan and sections; 3. Trench 14, burial 2, plan and sections; 4. Trench 15, plan and sections; 5. Trench 15′, plan and sections; 6. Trench 15′, burial 4, plan; 7. Trench 14, general view, photo; 8. Trench 14, burial 2, photo.

Pl. VI – 1-4. Burial 2, grave goods; 5. Burial 4, beads.

Pl. VII – Ceramic material from trench 13.

Pl. VIII – Ceramic material from trench 13′.

Pl. IX – 1-11. Material from trench 14; 12-14. Material from trench 15; 15. Faceted glass fragment from trench 3; 16. Red painted fragment from trench 9; 17. Fragments of pottery from trench 3.


8450000
8450500
8451000
739,9
3.0
662,6
- 2,0
740
-2,0
4.0
r. Tortla
8
15
+3,0
67
60

1

2

3

4



5







6



7

ტაბ. II


თხრილი № 8
N
II - II
I - I
ორმო
სამარხი № 1
სამარხი № 3
0 0.5 1 2 m
სამარხი № 1
0 0.5 1
N
10 20 30
1 m

სამარხი № 1



სამარხი № 3



ტაბ. IV



1

2



3

4



5

6

7


თხრილი № 13¹
I - I
III - III
II - II
0.00
1.75
2.20
0.70
0.50
0.45
1.30
N
0 0.5 1 2 m

1


N
0.90 m
0.70 m
1.40 m
1.60 m
1.00 m
თხრილი № 14
I - I
II - II
III - III
IV - IV
0.00
1.45
1.80
0.30
0.75
2.10
0.95
1.60
1.70
0 0.5 1 2 m

2


სამარხი № 2
N
0.00
0.50
0.68
0.95
0.30
I - I
II - II
1.20
0 10 20 30 40 50 1

3


N
თხრილი № 15
№ 1
№ 2
№ 3
I - I
II - II
III - III
0 0.5 1 2 m

4


თხრილი № 15¹
სამარხი № 4
I - I
II - II

5

სამარხი № 4

6

7

8

ტაბ. VI




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
0 2

ტაბ. VIII




1
0 8 16
2
0 2
3
4
5
0 2
6
7
8
9
0 2 4
10
11
0 4 8
12
13
0 2 4
5 cm
R = 20.8 cm
14
0 4 8
15
0 2
16
17
0 2

ინგო მოტცენბეკერი, გოდერძი ნარიმანიშვილი

სანთის არქეოლოგიური ექსპედიციის 2009 წლის ანგარიში

შესავალი. სოფ. სანთა მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. სოფელი გაშენებულია წალკის წყალსაცავის ნაპირზე. სოფლის ტერიტორიაზე არაერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს, რომელთა შესწავლა XIX ს-ში დაიწყო. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა XX ს-ის 30-40-იან წლებში ბ. კუფტინის მიერ ჩატარებულ სამუშაოებს [Куфтин 1941].

1999 წელს სოფლის სამხრეთით, წალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე ბ. კუფტინის მიერ გათხრილი I ყორღანის სიახლოვეს რამდენიმე გაუთხრელი ყორღანი, ვრცელი სამაროვანი და გვიანი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი დაფიქსირდა [ნარიმანიშვილი 2000: 48]. წყლის მუდმივი ზემოქმედება აქ განთავსებული არქეოლოგიური ძეგლების დაზიანებას და განადგურებას იწვევს. ამიტომ, წყალსაცავის ზონაში მოქცეულ არქეოლოგიურ ძეგლებზე გადარჩენითი სამუშაოების ჩატარების მიზნით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაიგეგმა ეროვნული მუზეუმისა და გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი პროექტი – „თრიალეთი (კულტურული პროცესები ძვ.წ. III-II ათასწლეულში)“. პროექტი 5 წლიანია (2010-2014 წწ.), მის ძირითად მიზანს თრიალეთის ყორღანების, საკულტო-სარიტუალო კომპლექსებისა და ნამოსახლარების გათხრა წარმოადგენს.

პროექტის სამუშაო გეგმის დაზუსტების მიზნით 2009 წელს დაიგეგმა მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებდა წალკის წყალსაცავის ზონაში მოქცეული ნამოსახლარების, ყორღანების და სამაროვნების მდგომარეობის დაფიქსირებას, გასათხრელი ობიექტების შერჩევას და სოფ. სანთასთან მდებარე, LI ყორღანის სარიტუალო გზის შესწავლას. საველე სამუშაოები წარიმართა 2009 წლის 10 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე, მასალის ლაბორატორიული დამუშავება კი 20 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე მიმდინარეობდა. საველე და ლაბორატორიულ სამუშაოებში მონაწილეობდნენ: 1. მურვანიძე ბიძინა – არქეოლოგი; 2. დავლიანიძე რევაზი – არქეოლოგი; 3. შანშაშვილი ნინო – არქეოლოგი; 4. კვაჭაძე მარინე – არქეოლოგი; 5. ელისო ყვავაძე – პალინოლოგი; 6. ლიანა ბითაძე – ანთროპოლოგი; 7. თევზაძე ალექსანდრე – ტოპოგრაფი; 8. ტატიშვილი გიორგი – არქიტექტორი; 10. სახვაძე ელეონორა – მხატვარი; 11. ესვანჯია ინგა – მხატვარი; 12. ნარიმანიშვილი დიმიტრი – მაგისტრანტი; 13. ნატროშვილი მიხეილი – მაგისტრანტი; 14. კარელიძე გიორგი – მაგისტრანტი; 15. კოწოწაშვილი ელზა – სტუდენტი; 16. თამაზაშვილი ქეთევანი – სტუდენტი.

პრეისტორიული და ისტორიული კონტექსტი. სოფ. სანთას ძველი სახელი უწყლოა. უწყლო მდებარეობდა „მდ. ქციის მარცხენა მხარეს, კოხაჯ-ცრიცის და ერან-თურანის ხევებს შუა, ცრიცის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ფარეხას ჩრდილოეთით“ [ლორთქიფანიძე1935: 351: ქსძ 1965: 325]. 1721 წლის აღწერით უწყლოში ითვლებოდა 1 მებატონე (სულეიმანიშვილი), 4 გამომღები და 2 ბოგანო ყმა: მამასახლისი ესტატე, ელიაშვილი გიორგი, გულაიზაშვილი ასლამაზა, ნურალა, ბოგანო ლამაზა მოლაშქრე, ბოგანო გზირი [მასალანი 1907: 52]. XIX ს-ის მიწურულს სანთის მოსახლეობა შეადგენდა 60 კომლ ბერძენს [Такаишвили 1913: 53]. ამჟამად სოფელში რამდენიმე კომლი ბერძენიღა დარჩა.

სოფლის ცენტრში სამების ეკლესია მდებარეობს. ეკლესია ააშენეს ბერძნებმა 1874 წელს ძველი ქართული ეკლესიის ნანგრევებზე. იგი წარმოადგენს გუმბათიან ნაგებობას და აშენებულია დამუშავებული ქვის კვადრებით. ეკლესია გეგმაში ჯვრის ფორმისაა და აღმოსავლეთიდან სამნაწილიანი შვერილი აფსიდა აქვს. ეკლესია შემოზღუდულია გალავნით, რომელსაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეს კარიბჭები აქვს. ექ. თაყაიშვილის მოგზაურობის დროს ეკლესიას გუმბათი უკვე ჰქონდა. ექ. თაყაიშვილის სიტყვებით, ძველი ეკლესია უგუმბათო ყოფილა და გათლილი ქვებით ნაგები. შესასვლელის თავზე დიდი ქვა დებულა, რომელზეც ასომთავრული წარწერა იყო ამოკვეთილი. ექვთიმეს ეს ქვა ეკლესიის კედელთან, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში უნახავს დადებული. ის ამჟამად ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, მეორე

რიგშია ჩაშენებული. წარწერა ათი სტრიქონისაგან შედგება და თაყაიშვილი ასე კითხულობს: „სახელითა ღმრთისათა, მეოხებითა ყოვლად წმიდის მარიამისათა ღვთისმშობლისათა, ესე ეკლესია მეორედ ავაგნე თეოდორე ხუცე(სმა). დავიწყე ეს ეკლესიაი, დავდევ ბალავარი ზეობასა რატ ერისთავისასა, ადიდნე ღმერთმან, მეოხედ სულისა ჩემისა და სალოცველად მშობელთა ჩემთათვს, ამინ“ [Такаишвили 1913: 53-54]. ექ. თაყაიშვილი სანთის ეკლესიას XI-XII სს. ათარიღებს. სავარაუდოა, რომ სანთის ეკლესიის მშენებლობა რატი I დროს, IX ს-ის 80-იან წლებშია დაწყებული – „დავდევ ბალავარი ზეობასა რატ ერისთავისასა“. მისი მშენებლობა კი ბაღვაშთა თრიალეთში დაბრუნების შემდეგ, 1027 წლის ახლო ხანებში უნდა დასრულებულიყო – „ესე ეკლესია მეორედ ავაგნე“.

სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში წმ. გიორგის სამლოცველო დგას. ის აგებულია ძველი ეკლესიის ნანგრევებზე და წარმოადგენს მცირე ზომის დარბაზულ ნაგებობას. სამლოცველოს შემოვლებული აქვს გალავანი, რომლის ჩრდილოეთ კედელში XIX ს-ის ბუხარია ჩაშენებული. აგებულია XX საუკუნეში. სოფელში წმ. ხარლამპის ორი სამლოცველოა. პირველი დგას წმ. გიორგის სამლოცველოს დასავლეთით 200 მ-ზე. ის წარმოადგენს მცირე ზომის დარბაზულ ნაგებობას. წმ. ხარლამპის მეორე სამლოცველო კი სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, სამების ეკლესიის მახლობლად დგას. სამლოცველო აგებულია ძველი შენობის საძირკველზე. იგი წარმოადგენს მცირე ზომის დარბაზულ ნაგებობას. აგებულია XX საუკუნის ბოლოს. წმ. გიორგის ეკლესიის დასავლეთით წმ. დიმიტრის სამლოცველოა. ის წარმოადგენს მცირე ზომის დარბაზულ ნაგებობას. სამხრეთიდან აქვს თაღისებური შესასვლელი. სამლოცველოს დასავლეთით შუა საუკუნეების ეკლესიის ნაშთია შემორჩენილი. გადაკეთებულია XIX-XX სს-ში. სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 1,5 კმ-ის დაცილებით, მინდორში, წმ. სარას სამლოცველო დგას. ის წარმოადგენს XIX ს-ში აგებულ მცირე ზომის დარბაზულ ნაგებობას. აფსიდის კედელში ჩადგმულია ქვა ჯვრის გამოსახულებით. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთაზე, წმ. პეტრესა და პავლეს სამლოცველო დგას. ის აგებულია XIX ს-ში, ძველი ეკლესიის ადგილზე, წარმოადგენს დარბაზულ ნაგებობას. სამლოცველოს მახლობლად დევს ქვა (1,55ჩ1,17 მ), რომელსაც მოზრდილი ნახვრეტი (0,70ჩ0,73 მ) აქვს (ერატიპა) [მელიქსეთ-ბეგი 1938]. სამლოცველოს ქვემოთ, სანთის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე, ბ. კუფტინს უინვენტარო ქვაყუთები გაუთხრია [Куфтин 1937: 15].

სოფ. სანთის (უწყლო) ჩრდილოეთით აღმართულ მთის თხემზე (ზღვის დონიდან 1739 მ), ბუნებრივი ტბის პირას „ციკლოპური“ სიმაგრე და ნამოსახლარი მდებარეობს. სიმაგრე ორი, ქვედა და ზედა ნაწილისაგან შედგება. ორივე სიმაგრის კედლები აგებულია მსხვილი ლოდებით დუღაბის გარეშე. ქვედა სიმაგრე სანთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მის შუა ნაწილში, კლდოვან შვერილზე დგას, რომელსაც ქედისაგან უნაგირისებური ჩაღრმავება ყოფს. ციხე-სიმაგრე საკმაოდ დიდი ლოდებით, მშრალი წყობითაა ნაგები. მას ოთხკუთხა ფორმა აქვს და შემოზღუდულია 2,5-3 მ. სისქის კედლებით. ჩრდილოეთის მხრიდან ზღუდეს ახლავს სამი ცილინდრული კოშკი. დაცული მოედნის ცენტრალურ ნაწილში ვერტიკალურად აღმართული დიდი ქვა დგას. ქვედა სიმაგრის შენების ტექნიკა განსხვავდება თხემზე მდებარე სიმაგრისაგან, რაც შეიძლება მათ ქრონოლოგიურ სხვაობაზეც მიუთითებდეს. ქვედა სიმაგრეზე მცირე სამუშაოები ბ. კუფტინმა ჩაატარა. მისი დღიურის მონაცემების მიხედვით, სიმაგრეზე გავლებულ თხრილში რამდენიმე ფენა დადასტურებულა. ზედა ფენა შუა საუკუნეების მასალებს შეიცავდა, ხოლო ქვედა ფენაში, რომელშიც მძლავრი ხანძრის კვალი დაფიქსირდა, გვიანი ბრინჯაოს ხანის შავად გამომწვარი, გაპრიალებული და ჭადრაკული ორნამენტით შემკული ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა. ეს დამწვარი ფენა ქვევითაც გრძელდებოდა, მაგრამ თხრილი დედაქანამდე ვერ იქნა დაყვანილი და ამდენად, ამ ადგილის სრული სტრატიგრაფია არ გაგვაჩნია [Куфтин 1936: 71-72, 74, 78]. ზედა სიმაგრეს რამდენიმე ათეული ჰა ფართობი უკავია. შთამბეჭდავია თხემის ცენტრში აგებული კედელი, რომელიც სიმაგრეს ორ ნაწილად ჰყოფს. მისი სიგრძე 100 მ-მდეა, სიგანე 5-6 მ. შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 2 მ-ია. სასიმაგრო კედელი სანთის ქედს გარდიგარდმო კვეთს. დიდი ლოდებით ნაგები ეს კედელი გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ გაურკვეველი რჩება, თუ რისგან და როგორ იცავდა იგი [Куфтин 1937: 148], რადგანაც კედელი ერთ დასახლებას ყოფს ორად. ნაგებობები და სხვა დამცავი კედლებიც ბაზალტის დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებითაა აშენებული. სიმაგრის ტერიტორიაზე კარგად ჩანს სახლების კონტურები. 1991 წელს გაითხარა ერთი სახლი. იგი მდებარეობს ნამოსახლარის ცენტრალურ ნაწილში. მისი შიდა ზომებია 4,5ჩ3,6 მ. შემორჩენილი სიმაღლე 0,75

მ-ია. კედლები ნაგებია დიდი და საშუალო ზომის ბაზალტის ქვით. კედლების სისქე 1,1-1,2 მ-ია. იატაკი ბაზალტის დედაქანზეა გამართული. კარი გაჭრილია ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. მისი სიგანე 1,0 მ-ს უდრის. სახლში საკმაოდ მცირე არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა. აღსანიშნავია ობსიდიანის მინარევებიანი, ხელით ნაძერწი, უხეში კერამიკა, ისეთივე, როგორც საბეჭდავის „ციკლოპურ“ ნამოსახლარზე დაფიქსირდა. ტაფისებური ჭურჭლების ნაწილს პირზე დაკეჭნილი ორნამენტი აქვს და პირს ქვემოთ გამჭოლი ნახვრეტები ახლავს. აქვე აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი შავპრიალა კერამიკის ფრაგმენტებიც. ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია ბაზალტისაგან დამზადებული სანაყი და ობსიდიანის რეტუშირებული ლამელა [ნარიმანიშვილი და სხვ. 2004].

სანთის ციკლოპური ნამოსახლარი ერთ-ერთი ყველაზე დიდი დასახლებაა, რომლის სიგრძე 1300 მ-ია, სიგანე 100-130 მ. არქეოლოგიური მონაცემებით ძეგლი ძვ.წ. XIII-XII სს-ით თარიღდება. ნამოსახლარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენაა წაგრძელებული და რამდენიმე უბნისაგან შედგება, რომელთა შორის გამოკვეთილი ადგილი უკავია ერთიან ზღუდეში მოქცეულ ცენტრალურ დასახლებას (430ჩ140 მ). სიმაგრის აღმოსავლეთით და დასავლეთით გაუმაგრებელი უბნებია განთავსებული. სასიმაგრო სისტემა ცენტრალურ ნაწილში გადაკეტილია მძლავრი კედლით (სიგანე 3,5-4,0 მ), რომელშიც ვიწრო (1,4 მ სიგანის) კარია გაჭრილი. კარებთან, კედელს მიშენებული ჰქონია საფეხურები. მათი კვალი დღეს აღარ შეინიშნება. ეს მონაკვეთი 1937 წელს აზომილი აქვს ვ. წილოსანს.

სოფლის მიდამოებში ყორღანების რამდენიმე ჯგუფია გამართული (ტაბ. I_1). ერთი ჯგუფი განლაგებულია სანთის სამხრეთით 1,0 კმ დაცილებით, სოფ. სანთიდან წყალსაცავისაკენ მიმავალი გრუნტის გზის აღმოსავლეთით. სამ ყორღანს ბ. კუფტინმა მიაკვლია, რომელთაგან ერთი (III) 1936 წელს გათხარა კიდეც, მეორე ყორღანის (ანტონინ თეფესი) გათხრა დაიწყო, მაგრამ არ დაუსრულებია. ყორღანების ამ ჯგუფის გარშემო კიდევ რამდენიმე მცირე ზომის ყორღანია. ყველა მათგანი ქვამიწაყრილიანი ყორღანების ჯგუფს მიეკუთვნება. თარიღდება შუაბრინჯაოს ხანით. ყორღანების მეორე ჯგუფი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 300 მ-ზე, მინდორში, სადაც სამი მოზრდილი და მათ გარშემო არსებული მცირე ყორღანები შეინიშნება. ყველა მათგანი მიეკუთვნება ქვაყრილიანი ყორღანების ჯგუფს. ყორღანების მესამე ჯგუფი მდებარეობს სანთიდან სამხრეთ-დასავლეთით 500 მეტრის დაცილებით. ისინიც ქვაყრილიანი ყორღანების ჯგუფს მიეკუთვნება.

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 0,6 კმ-ის დაცილებით, ნერონ-დერესის სამაროვანი და ნამოსახლარი მდებარეობს. დასახლება ძირითადად ნერონ-დერესის ხევის მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული, სამაროვანი კი – ხევის მარცხენა ნაპირზე. სამაროვანზე 1936-37 წლებში კუფტინმა გათხარა ანტიკური ხანის რვა სამარხი [Куфтин 1941: 30-34; გაგოშიძე 1982; Гагошидзе 1975]. სამაროვანი ძვ.წ. I საუკუნით თარიღდება. სამარხების თავზე შუასაუკუნეების ნაგებობის კედლები გაიწმინდა. ხევის ფლატეს მარჯვენა ჭრილში კარგად ჩანს ნამოსახლარის ნაშთები. კულტურული ფენა 40 მეტრის სიგრძეზე ვრცელდება. ჭრილში დაფიქსირდა მიწური სახლები, რომლებიც ხანძრის შედეგად ჩანს დანგრეული. ნამოსახლარზე გათხრები არ ჩატარებულა, მაგრამ აქ შეგროვებული მასალების მიხედვით ის გვიანელინისტურ ხანას უნდა მიეკუთვნოს. მოპოვებულ მასალებს შორის გამოირჩევა, გაცილებით ძველი რეტუშირებული საფხეკი.

სანთიდან სოფ. ჯინისისაკენ მიმავალი გზის მშენებლობის დროს, სოფლიდან 1,0 კმ დაცილებით, ნერონ დერესის ხევის სათავესთან, ადგილ „ჩაირლიხში“, 1936 წელს კუფტინმა სასანური ხანის შვიდი ქვაყუთი გათხარა [Куфтин 1936: 78-79; Куфтин 1941: 21]. მას სანთაშივე გაუთხრია პართული ხანის სამარხები [Куфтин 1941: 24]. სოფლის დასავლეთით, სანთიდან სოფ. ხაჩკოისაკენ მიმავალ გზასთან, ადგილ „მარალინ დერესში“, 1937 წელს, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამაროვანზე ცხრა ქვაყუთი გაითხარა [Куфтин 1936: 107-108; Куфтин 1941: 50-55]. 1939 წელს, სოფლის დასავლეთ ნაწილში, ნიკოლოზ ასლანოვის ეზოში ბ. კუფტინმა ორი სამარხი გათხარა. სანთის მკვიდრმა ი. მურადოვმა ბ. კუფტინს სოფელში ნაპოვნი თიხის ორი ჭურჭელი გადასცა [Куфтин 1941: 20-22], ამხა სავოვს კი სოფლის ტერიტორიაზე ქვაყუთი უნახავს, სადაც ღია ფერის თიხის ჭურჭლები და რკინის ნივთები უპოვია [Куфтин 1936: 73]. 1912 წელს კონსტანტინე ასლანოვის სახლის ეზოში აღმოჩნილი ბრინჯაოს ნივთები საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული [Куфтин 1936: 118].

ძეგლის ადგილმდებარეობა და ძირითადი მონაცემების მოკლე მიმოხილვა. LI ყორღანი სოფ. სანთის სამხრეთით 2,5 კმ-ის და სოფ. წინწყაროდან 2,0 კმ-ის დაცილებით, წყალსაცავის

ნაპირზე მდებარეობს. LI ყორღანი წლის უმეტეს დროს წყლის ქვეშაა მოქცეული. ამ ადგილზე წყალი არ არის ღრმა (მაქსიმუმ 1,0 მ), ამიტომ წყალსაცავში წყლის დონის მცირედ დაკლების შემთხვევაშიც, ყორღანი წყლისგან თავისუფლდება. ტალღების მოქმედების შედეგად ყორღანის მიწაყრილი დღეისათვის აღარ არსებობს.

1936 წელს ბ. კუფტინმა ამ მიდამოებში სამი ყორღანი (I, II, IV) გათხარა. მათ შორის ადრეულია IV ყორღანი (ადგილობრივი მოსახლეობა კარანტინს ეძახდა), რომელიც ადრებრინჯაოს ხანით თარიღდება. ის სოფ. სანომერსა და წინწყაროს შორის მდებარეობდა. ორივე ეს სოფელი დღეს წყლის ქვეშაა მოქცეული. IV ყორღანი I ყორღანის სამხრეთ-დასავლეთით 0,7 კმ-ითაა დაცილებული. ამჟამად ის წყალსაცავის ფსკერზეა მოქცეული. წყალმცირობის დროს კარგად ჩანს მისი ბორცვი. ყორღანის წვერზე მცირე სამლოცველო იდგა. ფერდებზე დღესაც მრავლად გვხვდება გვიანი შუა საუკუნეების საფლავის ქვები, რომლებზეც ადამიანები, ცხოველები და სხვადასხვა სამეურნეო და საბრძოლო იარაღია გამოსახული. I და II ყორღანები LI ყორღანის აღმოსავლეთით 400 მეტრის დაცილებით არის გამართული. ორივე შუაბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება [Куфтин 1941; Жоржикашвили, Гогадзе 1974]. I ყორღანის ყრილი დღესაც კარგად ჩანს (ტაბ. I_2; II_1), II ყორღანისა კი, რომელიც გათხრამდეც დაბალი იყო, თითქმის აღარ შეინიშნება. აღსანიშნავია, რომ I ყორღანის გარშემო კიდევ ხუთი ყორღანია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ზომებით II ყორღანს არ ჩამოუვარდებიან, ამ ყორღანებმა რატომღაც ბ. კუფტინის ყურადღება ვერ მიიპყრო. XLVII და LI ყორღანები კი II ყორღანს რამდენჯერმე აღემატება.

XLVII და LI ყორღანების მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელი სამაროვანია გამართული. სამარხების ნაწილი XLVII ყორღანის ქვაყრილშიცაა ჩაშვებული. 1999 წელს, როდესაც XLVII ყორღანის გათხრა დაიგეგმა, მის ტერიტორიაზე რამდენიმე სამარხი გაითხარა. სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით, ისინი ძვ.წ. VIII-VI სს. თარიღდება. ამ სამარხების თანადროული ნამოსახლარი I ყორღანის სამხრეთით, 100 მ-ის დაცილებით გამოვლინდა. დასახლება მდ. ქციას მარცხენა ნაპირზე ყოფილა გაშენებული. 1999 წელს გამოვლენილ იქნა 9 სახლი. სახლები ძლიერაა დანგრეული, შემორჩენილია ქვით ნაგები საფუძვლის ნაშთები. სახლებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კერამიკული მასალა, აღსანიშნავია ქვის სამეურნეო იარაღები და ერთი შუბისპირი. ჩვენს მიერ გამოვლენილი სამარხები და ნამოსახლარი, როგორც ჩანს, წინწყაროს სამაროვანს ეკუთვნის, რომელიც ბ. კუფტინმა გათხარა 1937 წელს. მაშინ 77 სამარხი გაითხარა და ძვ.წ. IX-VII სს. დათარიღდა [Куфтин 1937; Куфтин 1941; მენაბდე, დავლიანიძე 1968: 5-97].

1949 წლის შემდეგ, როდესაც წალკის წყალსაცავი შეივსო, LI ყორღანი და მისი მიმდებარე ტერიტორია წყლის ქვეშ მოექცა. მხოლოდ 1999 წელს გახდა შესაძლებელი ამ ტერიტორიაზე დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება, რასაც მანამდე არქეოლოგიისათვის უცნობი, ყორღანებთან დაკავშირებული სარიტუალო-საპროცესიო გზების დაფიქსირება მოჰყვა [ნარიმანიშვილი 2009]. განსაკუთრებით გრანდიოზული ჩანდა XLVII ყორღანთან მიკვლეული გზა, რომლის სიგრძე 400 მეტრადეა (ტაბ. I_2; II_1), სიგანე კი 7 მეტრს უდრის. I და XLVII ყორღანების მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი არქეოლოგიური გათხრები 1999 წელს ჩატარდა, მაგრამ მისი გაგრძელება შემდგომ წლებში, უსახსრობის გამო, ვეღარ მოხერხდა. მხოლოდ 2009 წელს გახდა შესაძლებელი გათხრების განახლება. თუმცა ისევ ფინანსური შეზღუდულობის გამო, გადაწყდა არა XLVII ყორღანის, არამედ LI ყორღანის გათხრა, რომელიც უფრო მცირე ზომისაა. განსხვავება ისაა, რომ XLVII ყორღანს მიწისზედა სამარხი კამერა აქვს, LI ყორღანი კი ორმოიანია.

გათხრების დაწყებამდე LI ყორღანის ტერიტორიაზე, მიწის ზედაპირზევე შეინიშნებოდა წრიული ქვაყრილი, რომლის დიამეტრი 25-26 მ იყო. საშუალო და წვრილი ქვებით შედგენილ ქვაყრილს კი აღმოსავლეთიდან სარიტუალო გზა ებჯინებოდა. ყორღანის შესწავლა ძირითადად ორი გარემოების გამო გადაწყდა: 1. მას გააჩნია სარიტუალო გზა, რაც მისი, ყორღანის ყრილის და სამარხი კამერის ურთიერთმიმართების შესწავლის საშუალებას იძლევა; 2. ის უფრო მომცროა, ვიდრე XLVII ყორღანი, რომლის შესწავლაც ჩვენს ძირითად მიზანს წარმოადგენს.

ქვაყრილის გასუფთავების შემდეგ გაირკვა, რომ ყორღანს აქვს ბაზალტის ქვებით შედგენილი კრომლეხი, რომლის გარე დიამეტრი 22-23 მ, შიდა კი 14-15 მ-ია. კრომლეხის გარე და ში და წრეები ბაზალტის დიდი ქვებით არის შედგენილი. მათ შორის მოქცეული არე კი, რომლის სიგანე 4.0 მ-ია, საშუალო და წვრილი ქვებითაა შევსებული. კრომლეხის გარეთა წრეზე სარიტუალო გზა არის მიდგმული, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენაა დამხრობილი, შეინიშნება ოდნავი გადახრა. გზა საანგარიშო

წელს 30.0 მ სირძეზე გაიწმინდა (თუმცა აშკარაა, რომ მისი სიგრძე უფრო მეტია), სიგანე კი 4.5 მ-ს უდრის (ტაბ. II_2; III; IV). გზის სამხრეთი და ჩრდილოეთი კიდეები დიდი ზომის ბაზალტის ქვებითაა შედგენილი, შუაში შედარებით პატარა ქვებია ჩაწყობილი. მიუხედავად იმისა, რომ გზის კონსტრუქციისათვის ნაპრალები წვრილი ფრაქციის ბაზალტის ქვითაა შევსებული. ასეთივე ქვებით ყოფილა მოსწორებული გზის ზედაპირიც, რომლის კვალიც გზის საკმაოდ დიდ მონაკვეთებში ფიქსირდება.

სარიტუალო გზა კრომლეხის გარე წრის ქვებს უერთდება. სარიტუალო გზისა და კრომლეხის შეერთების ადგილის პრეპარაციამ აჩვენა, რომ გზის კიდეების გასწვრივ, კრომლეხის გარე პირიდან შიდა პირამდე მიემართებოდა ერთ ხაზზე დაწყობილი დიდი ქვების რიგი, რომელიც კედლის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ყორღანის ამ მონაკვეთში კრომლეხის შიდა პირის ქვებს სამარხი კამერის ქვაყრილიც ებჯინება. ეს ყრილი გამართულია კრომლეხის ცენტრში და მართკუთხა ფორმა აქვს (ტაბ. IV_2; VIII_{1-2}). ყრილის სიგრძე აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 12.0 მ-ია, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 6.0 მ-ს აღწევს. ქვაყრილის ზედაპირი საშუალო (15ჩ20; 15ჩ30 სმ) და წვრილი (5ჩ10; 8ჩ10 სმ) ბაზალტის ქვებისაგან შედგებოდა. ყრილის კიდეებს სამი მხრიდან მოზრდილი ქვები ჰქონდა შემოწყობილი. აღმოსავლეთით კი, სადაც ყრილი კრომლეხს ებჯინება, დიდი ქვები არ დაფიქსირდა. სამარხ კამერაზე გამართულ ქვაყრილსა და კრომლეხის შიდა წრეს შორის თავისუფალი არე იყო დატოვებული. ამ ფართობზე მხოლოდ ორ ადგილზე იყო რამდენიმე ცალი მცირე ზომის ქვების პატარა გროვა.

ამდენად, გათხრებით დაფიქსირდა, რომ სარიტუალო გზა, კრომლეხის შევსებაში გამოვლენილი, ერთ რიგად დაწყობილი დიდი ქვები და სამარხი კამერის ქვაყრილი ერთ მთლიანობას ქმნის. სამივე ეს კომპონენტი გეგმაში ერთ, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილ ხაზს წარმოადგენს, რაც არა მხოლოდ მათ კონსტრუქციულ ერთობაზე, არამედ ყორღანის ესთეტიკურ მხარესა და შესრულებული რიტუალის იდეურ დატვირთვაზეც მიუთითებს.

ამდენად, გათხრის პროცესში რამდენიმე კითხვა წარმოიშვა: 1. დასრულდა თუ არა სარიტუალო გზა კრომლეხთან; 2. როდის მოხდა კრომლეხის გარე წრის ამ მონაკვეთის შევსება; 3. რატომ არ აქვს კრომლეხს ამ მონაკვეთში შიდა წრე; 4. რა ფუნქცია აქვს კრომლეხში მოქცეულ მონაკვეთს; 5. რატომ ებჯინება სამარხი კამერის ქვაყრილი კრომლეხის ქვებს; 6. რა კონსტრუქციული თავისებურებებით ხასიათდება კრომლეხის ქვეშ მოქცეული გზის ნაწილი. ამ საკითხების გარკვევაზე იყო დამოკიდებული ორმოიანი ყორღანების არა მხოლოდ კონსტრუქციისა და მშენებლობის ტექნიკის გარკვევა, არამედ სარიტუალო გზის, ყორღანის ყრილის (კრომლეხის) ურთიერთმიმართების დადგენა და თითოეული მათგანის ფუნქციის გარკვევა. ამ მიზნით დავიწყეთ კრომლეხის იმ მონაკვეთის გათხრა, რომელიც სარიტუალო გზასა და სამარხი კამერის ქვაყრილს შორის იყო მოქცეული. მოხერხდა მხოლოდ ქვების ერთი ფენის აღება, რადგან დაიწყო გადაუღებელი წვიმები. გასათხრელ ფართობზე მოეწყო დროებითი გადახურვის კონსტრუქცია, რომლის ქვეშაც მოექცა ეს მონაკვეთი და სამარხი კამერა (ტაბ. V_1; VI_1).

სამარხი კამერა ყვითელ გრუნტშია ჩაჭრილი (ტაბ. V_2; VI_2; VII_1). კამერაზე გამართული ქვაყრილის აღება ფენა-ფენა განხორციელდა. გაირკვა, რომ ის მთლიანად ქვითაა შევსებული. ზედა ფენებში შედარებით მცირე ზომის ქვები (0,2ჩ0,3 მ) გვხვდება, ქვემოთკენ მათი ზომები იზრდება (0,4ჩ0,5 მ). 2,2 მ-ის სიღრმეზე სამარხ კამერაში წყალმა გამოჟონა. სიღრმეში ჩასვლის კვალობაზე წყლის დებიტმა მოიმატა, ამიტომ, იძულებული გავხდით საველე სამუშაოები შეგვეწყვიტა. ჩვენი აზრით, სამარხი კამერის საერთო სიღრმე 5-6 მ უნდა იყოს. ამდენად, იატაკამდე კიდევ დარჩა 3-4 მ-ის სისქის ქვაყრილი.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ ყორღანს გააჩნია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე დამხრობილი, გრუნტში ჩაჭრილი სამარხი კამერა. ქვაყრილის აღების შემდეგ, მისი სიგრძე 9,5 მ-ია, სიგანე კი 5,75 მეტრი. აღმოსავლეთით ის დრომოსში გადადის. ყორღანი, როგორც ჩანს, გაძარცვულია, ამაზე უნდა მიუთითებდეს კამერის ცენტრში, 2,0 მ სიღრმეზე აღმოჩენილი დიდი ზომის თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომელთა შორის ორნამენტირებული ცალებიც გვხვდება (ტაბ. IX).

უამინდობის გამო 2009 წელს დაგეგმილი სამუშაოები ვერ დასრულდა (ტაბ. VII_2). ობიექტური მიზეზების გამო გათხრები ვერც 2010 წელს განხორციელდა. LI ყორღანის შესწავლის დასრულება 2011 წელს არის დაგეგმილი. აღსანიშნავია, რომ ამ ყორღანის გათხრა არაერთ კითხვას გასცემს პასუხს. მიუხედავად იმისა, რომ წალკაში არაერთი ყორღანი და სამაროვანია გათხრილი, სანთასთან, წყალსაცავის ტერიტორიაზე გა-

მოვლენილი ყორღანის შესწავლა, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრით, რომ პირველად იქნება გათხრილი ყორღანი, რომელსაც სარიტუალო გზა ახლავს; დადგინდება გზის, კრომლეხის და სამარხი კამერის ურთიერთმიმართება. ეს კვლევა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ასეთი ტიპის ყორღანები არა მარტო თრიალეთში, არამედ ყორღანების გავრცელების არეალშიც არ არის შესწავლილი. ამდენად, სანთის ასეთი ტიპის ყორღანის შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კავკასიის, არამედ ევრაზიის სივრცისთვისაც, სადაც ყორღანული დაკრძალვის წესი ფართოდაა გავრცელებული.

I. Motzenbekker, G. Narimanishvili

REPORT OF THE 2009 SANTA ARCHAEOLOGICAL EXPEDITION

Summary

The village of Santa is situated on the bank of Tsalka reservoir, on the territory of Tsalka municipality. In connection with the construction of the Tsalka hydroelectric power station in the 1930s B. Kuftin carried out archaeological excavations in the enviroment of the village. Most of the sites happened to be in the zone of the future reservoir. Kuftin had not enough time to study all the sites, and they were submerged, causing their damage. In order to conduct salvage work at the archaeological sites in the zone of the reservoir, a joint project – „Trialeti (cultural processes in the 3rd-2nd millennia BC)“ was planned at the Georgian National Museum and the Archaeological Institute of Germany. The project was to be implemented in 2010-2014, its main objective being excavation of Trialeti barrows, cult-and-ritual complexes and former settlement sites.

In 2009 the plan envisaged the study of the ritual road near barrow LI, close to v. Santa. Barrow LI lies 2.5 km south of v. Santa and within 2.0 km of the village of Tsintsqaro. Barrow LI has a 25-26 m circular stone embankment. The outer diameter of the cromlech is 22-23 m, the inner 14-15 m. A ritual road joins the cromlech from the east. In 2009 the road was cleaned at the length of 30 m (though its length is obviously more), the with is 4.5 m. At this section of the barrow the stones of the inner mouth of the cromlech abut on the stone embankment of the burial chamber, which are in the centre of the cromlech and are right-angled in shape (length 12.0 m, width 6.0 m). The burial chamber is cut in yellow soil. It is wholly filled with stones. Relatively small stones occur in the upper layers, their size growing with depth. At the depth of 2.2 m in the burial chamber water seeped out, its output increasing with depth, which forced us to discontinue field work. The work done has shown that the barrow has a burial chamber cut in soil and oriented along the eastern line. Following the removal of the stone embankment, the length of the burial chamber is 9.5 m and width 5.75 m. In the east it passes into a dromos. The barrow appears to have been robbed, as indicated by fragments of a large clay vessel at the depth of 2.0 m, in the centre of the chamber, including ornamented ones. According to this material, the barrow is assigned to an early stage of the Middle Bronze Age.

The work planned for 2009 failed to be completed. Excavation of the barrow will answer many questions – study of the barrow near Santa, on the territory of the reservoir is important from the viewpoint that here for the first time a barrow was dug that has a ritual road leading to it; digging will determine the interrelationship of the road, the cromlech and the barrow. This study is important for the reason that barrows of this type have been studied not only in Trialeti but in the area of occurrence of barrows. Hence study of such barrows is significant not only for the Caucasus area but for Eurasian area as well, where the custom of barrow interment was widespread.

ლიტერატურა

გაგოშიძე ი. 1982: თრიალეთის სამაროვნები, III. თბილისი.

ლორთქიფანიძე ი. 1935: ქვემო ქართლი. თბილისი.

მასალანი 1907: მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა XVIII საუკუნეში. რედ. ექ. თაყაიშვილი. თბილისი.

მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938: მეგალითური კულტურა საქართველოში. თბილისი.

მენაბდე მ., დავლიანიძე ც. 1968: თრიალეთის სამაროვნები. თბილისი.

ნარიმანიშვილი გ. 2000: ძვ.წ. II ათასწლეულის სარიტუალო გზები თრიალეთში. – ძიებანი, № 5, 47-51.

ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ., შანშაშვილი ნ., მელიქიძე შ. 2004: წალკის ექსპედიცია 1990-1992 წლებში. – საკძ, 123-128.

ნარიმანიშვილი 2009: სიახლენი თრიალეთის კულტურაში. თბილისი.

ქსძ 1965: ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. თბილისი.

Гагошидзе Ю. 1975: К датировке могильника Нерон-Дереси. – მაცნე, № 2, 90-100.

Жоржикашвили, Гогадзе 1974: Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тбилиси.

Куфтин 1936. Дневник. рукопись.

Куфтин 1937. Дневник. рукопись.

Куфтин 1941. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.

Такаишвили 1913: Археологические экскурсии, разыскания и заметки. ИКОИМАО. вып. III. Тифлис.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ I – 1. ტოპორუკა წალკის წყალსაცავის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გათხრილი ყორღანების აღნიშვნით; 2. XLVII ყორღანის სარიტუალო გზა; უკანა პლანზე I ყორღანი.

ტაბ. II – 1. I და XLVII ყორღანების ხედი ვერტმფრენიდან; 2. LI ყორღანის კრომლეხის და სამარხი კამერის ქვაყრილის ხედი სამხრეთიდან.

ტაბ. III – 1-2. LI ყორღანის კრომლეხის, სამარხი კამერის ქვაყრილისა და სარიტუალო გზის ხედი დასავლეთიდან.

ტაბ. IV – 1. LI ყორღანის კრომლეხის და სამარხი კამერის ქვაყრილის პრეპარაცია; 2. LI ყორღანის სარიტუალო გზის, კრომლეხის და სამარხი კამერის ქვაყრილის ხედი აღმოსავლეთიდან.

ტაბ. V – 1. გადახურული სამუშაო სივრცე; 2. სამარხი კამერისა და დრომოსის გათხრილი ნაწილის ხედი დასავლეთიდან.

ტაბ. VI – 1. გადახურვის კონსტრუქციის ნაწილი;. 2. სამარხი კამერის საერთო ხედი აღმოსავლეთიდან.

ტაბ. VII – 1. სამარხი კამერის და დრომოსის ხედი დასავლეთიდან; 2. ყორღანის საკონსერვაციო სამუშაოები.

ტაბ. VIII – 1. LI ყორღანის კრომლეხის და სამარხი კამერის გეგმა; 2. LI ყორღანის გენგეგმა.

ტაბ. IX – LI ყორღანში აღმოჩენილი მასალა.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – 1. Topographical map indicating the barrows excavated at the Tsalka reservoir and its adjacent territory; 2. Ritual road of barrow XLVII. In the background barrow I.

Pl. II – 1. View of barrows I and XLVII from the helicopter; 2. View of the stone embankment of the cromlech and burial chamber of barrow LI.

Pl. III – View of the cromlech, stone embankment of the burial chamber and ritual road of barrow LI from the west.

Pl. IV – 1. Preparation of the cromlech and stone embankment of cromlech LI; 2. View of the ritual road, cromlech and burial chamber embankment of barrow LI from the east.

Pl. V – 1. Roofed work space; 2. View of the excavated part of the burial chamber and the dromos from the east.

Pl. VI – 1. Part of the roofing design; 2. General view of the burial chamber from the east.

Pl. VII – 1. View of the burial chamber and the dromos from the west; 2. Conservation work at the barrow.

Pl. VIII – Plan of the cromlech and burial chamber of barrow LI; 2. General plan of barrow LI.

Pl. IX – Material found in the barrow.

ტაბ. I


1550
1562
1525
1520
1515
1505
1500
1497,7
1499,9
1495
1493
III
LI
XLVII
II
I
XLVIII
IV
VI
V
VII
IX
VIII
XVII
XXII
XI
XVI
XV
L
X
Kurgan
Kurgan mit Ritualstrassen
Autostrasse
Staudammniveau
Kunstliche Plattform
XV
Nr. der Kurganen
0 200 400 600 800

1

2



1

2

ტაბ. III

1

2

1

2

1

2

1

2

1

2



1



2


1
0 2 4
2
0 1 2 3
3
0 2 4
4
5
0 2 4 6
6
0 4 8 12
7
0 2 4
8
9
10
0 2 4 6
11
0 2 4
12
0 2 4

გოდერძი ნარიმანიშვილი, ელისო ყვავაძე, რევაზ დავლიანიძე,
ბიძინა მურვანიძე, ნინო შანშაშვილი, მარინე კვაჭაძე, ოლეგ ბენდუქიძე

არქეოლოგიური გათხრები სოფ. დარაქოიში

არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს ქვემო ქართლში, წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, წალკიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით 15 კმ-ის დაშორებით სოფ. დარაკოვთან. ანტიკური ხანის ნამოსახლარი გაშენებული ყოფილა დღევანდელი სოფ. დარაკოვის აღმოსავლეთით, მდ. ქციას მარჯვენა ნაპირზე. რელიეფი, რომელზეც განლაგებულია ნამოსახლარი, წარმოადგენს ფერდობს, რომელიც დაფერდებულია სამხრეთისაკენ, სადაც მდ. ქციის მარჯვენა ნაპირს ებჯინება (ტაბ. I). ნამოსახლარი ზღვის დონიდან 1594-1600 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს. აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე მისი სიგრძე უდრის 600 მეტრს, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 700 მეტრს. დარაკოვის ნამოსახლარზე ჩატარებული კვლევის მიზანი იყო ბუნებრივი პროცესებისა და ნავთობსადენისა და გაზსადენის სამშენებლო პროექტთან დაკავშირებით სამშენებლო სამუშაოების დროს გამოვლენილ არქეოლოგიურ ობიექტზე გადარჩენითი სამუშაოების ჩატარება. სამუშაოები დააფინანსა TC და SCP კომპანიამ. დარაკოვის ნამოსახლარის გათხრა 2008 წლის 1 სექტემბერს დაიწყო და 16 ოქტომბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. საველე და ლაბორატორიულ სამუშაოებში მონაწილეობდნენ ვაჟა სადრაძე, გოდერძი ნარიმანიშვილი, ელისო ყვავაძე, რევაზ დავლიანიძე, ბიძინა მურვანიძე, ნინო შანშაშვილი, მარინე კვაჭაძე, ოლეგ ბენდუქიძე, გიორგი ბერიძე, გიორგი კარელიძე, დიმიტრი ნარიმანიშვილი, თამუნა მელაძე. ნამოსახლარი ჩვენს მიერ შესასწავლად შერჩეულ ფართობს დიდად სცილდება და 20 ჰა ფართობს მოიცავს. მთელი ეს ტერიტორია აიგეგმა ტოპოგრაფიულად. დაიფარა ნაკვეთების და კვადრატების ბადით (ტაბ. II), დაინომრა I-X ნაკვეთი, რომელთა ზომებია 18ჩ24 მ. გასათხრელ ფართობში მოქცეული ნაკვეთები 6ჩ6 მ. კვადრატებად დაიყო, საჭიროების შემთხვევაში კვადრატები 2ჩ2 მ და 1ჩ1 მ მონაკვეთებად დანაწილდა. გაითხარა 9 სახლი, 20 სამეურნეო ორმო და 2 ხარო.

სახლი № 1 მდებარეობს XXVII ნაკვეთის მე-4-9 კვადრატებში, დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სახლი დაზიანებულია (ტაბ. III). ჰუმუსის მოხსნის შემდეგ გამოვლინდა კედლების ჩაქცევის შედეგად წარმოქმნილი ინტენსიური ქვაყრილი, რომელიც დიდი და საშუალო ზომის ქვებისგან შედგებოდა. ქვაყრილის ალაგების შემდეგ დაფიქსირდა 0.4-0.5 მ სისქის ფენა, რომელიც დამწვარი ალიზის, მიწის და ძელების ნაშთებს შეიცავდა. დამწვარ ფენაში დაფიქსირდა ძელების სამი დონე. ზედა დონე 0.15-0.2 მ დიამეტრის ძელებისაგან შედგება. საშუალო დონეც ისეთივე ძელებს შეიცავს, როგორიც ზედა დონეზე გვხვდებოდა. აქვე დაფიქსირდა წვრილი ტოტებისა თუ წნელების ანაბეჭდები. ქვედა დონე უშუალოდ იატაკზე დაფიქსირდა. აქ გამოვლენილი 0.2-0.3 მ-ის დიამეტრის ძელები დაფარული იყო ტოტებისა თუ ძელების 0.05-0.08 მ-ის სისქის ფენით. სახლი ნაგებია დიდი და საშუალო ზომის ქვით (ტაბ. IV_3). ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის სიგრძე 7.50 მ-ია, სიგანე 0.60 მ. შემორჩენილია ქვის წყობის 5 რიგი. მისი შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლეა 1.20 მ. სამხრეთ-დასავლეთი კედელი ყველაზე ძლიერაა დაზიანებული. კედლის შემორჩენილი სიგრძე 4.30 მ-ია, სიგანე 0.45 მ. სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის სიგრძე 5.20 მ-ია, სიგანე 0.40 მ, შემორჩენილი სიმაღლე 0.94 მ. სახლის ჩრდილოეთი კუთხე და მიმდებარე ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის ნაწილი ადრევე, სახლის ფუნქციონირებისას ჩანს დაზიანებული. განახლების დროს ძველი კედლის დაზიანებული ნაწილი ადგილზე დაუტოვებიათ და ინტერიერის შემცირების ხარჯზე ახალი კედლები ამოუყვანიათ. ამ დროს უნდა მოეზღუდათ სახლის ჩრდილოეთი ნაწილიც. ზღუდე მაღალი არ არის. იგი ძირითადად, შედგენილია ცერზე დაყენებული ქვის ფილებით, რომელთა სიმაღლე 0.30-0.70 მ-ს უდრის. შემოზღუდული ადგილის ფართობი 10 $მ^2$ შეადგენს. ამავე დროს ჩანს განახლებული იატაკიც, ზღუდის შიგნით მოქცეული ნაწილი ქვის ფილებით ყოფილა მოგებული, რომელიც იატაკის განახლების შემდეგ, თიხატკეპნილი იატაკის ქვეშ მოექცა. ზღუდე უშუალოდ ებჯინება აღმო-

სავლეთ კედელს, ჩრდილოეთის კედელთან კი ისეა გამართული, რომ მის გასწვრივ არსებულ „მერხს“ ორად ყოფს. ნაგებობის ფართობი დაახლოებით 52.6 m^2 შეადგენს. ინტერიერი მარტივია, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ღუმელია გამართული, დასავლეთ კედელზე საკურთხეველია მიდგმული, ჩრდილოეთი კედელს, ღუმელის გაყოლებით, ქვით აშენებული და თიხით გადალესილი მერხი მიუყვება. იატაკის ერთი ნახევარი თიხატკეპნილია, მეორე ნახევარი ქვაფენილიანია. ქვაფენილი ძირითადად სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაიწმინდა, დანარჩენი ფართობი თიხატკეპნილ იატაკს ეკავა. სახლს ბანური გადახურვა ჰქონდა, რომელიც სავარაუდოდ ეყრდნობოდა კედლისპირა სვეტებს – პილასტრებს და შუა ბოძებს. სახლის დასავლეთ კუთხესთან ღუმელის ნაშთი აღმოჩნდა, რომელიც ზურგით მიდგმული ყოფილა ჩრდილო-დასავლეთ კედელზე. ღუმელი ძლიერაა დაზიანებული. სახლის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან, თითქმის შუა ნაწილში, გაიწმინდა კარგად დაცული, წაგრძელებული ფორმის, ოდნავ ასიმეტრიული საკურთხეველი (ტაბ. IV_2). ქვით თიხაზე ნაგები საკურთხევლის კონსტრუქციაში ნაპირებთან ჩართულია ხის ძელები და ერთიანად ბათქაშითაა შელესილი. საკურთხევლის ზომებია: სიგრძე 2.72 მ, სიგანე 1.12 მ, სიმაღლე 0.48 მ-ია. საკურთხევლის ზედაპირი, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნახევარზე, თანაბრადაა ჩაზნექილი და კარგადაა მოლესილი. საკურთხევლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან აქვს თახჩა (ზომები: 1.16ჩ0.40ჩ0.30 მ). საკურთხეველს ჩრდილო-დასავლეთიდან ებჯინება ქვატალახით ნაგები თარო (1.36ჩ0.34 - 0.46ჩ0.30 მ), რომელიც სამხრეთ-დასავლეთ კედელზეა მიდგმული, თაროზე რიყის ქვის სანაყებია დაწყობილი. საკურთხევლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 1.3 მ-ის დაშორებით, გაიწმინდა ხარო, რომლის კედლებიც ბაზალტის ფილებითაა მოპირკეთებული. მისი ზომებია: პირის დმ – 0.84 მ, ძირის დმ – 0.70 მ, სიღრმე – 0.84 მ. ხაროს იატაკის ფილები ფარავდა. № 1 სახლის ინტერიერში ძველი ფენებიც დადასტურდა. კერძოდ, საკურთხევლის წინ გაიწმინდა ორმოს ნაშთი, რომლის დმ – 0.92 მ, სიღრმე – 0.20-0.30 მ. მასში ისეთივე სახის კერამიკა აღმოჩნდა, როგორიც სახლის იატაკზე. თუმცა, ორმო სახლის თიხატკეპნილი იატაკით იყო დაკონსერვებული. უფრო ძველი, №№ 15-16 ორმოები სახლის დასავლეთი კედლის ქვეშ დაფიქსირდა. სახლის თიხატკეპნილ იატაკზე მრავლად დაფიქსირდა სხვადასხვა ზომისა და ფორმის თიხის ჭურჭლის ნატეხები. № 1 სახლში კერამიკის გარდა აღმოჩნდა: თეთრი პასტის ერთი და თიხის ორი მძივი; ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტი; ღორის ფალანგისგან დამზადებული ამულეტები; ძვლისაგან დამზადებული ქარქაშის ნაწილი; ლულოვანი ძვლის მილაკები; თხის რქა, ოდნავ გაპრიალებული ზედაპირით; ბაზალტისა და რიყის ქვის ხელსაფქვავები, სანაყები და სასრესები. № 1 სახლში მრავლად აღმოჩნდა შინაური და გარეული ცხოველების ძვლები, მათ შორისაა ძროხა, ხარი, ცხვარი, თხა, ცხენი, ღორი, ძაღლი, მელია, დათვი, მემინდვრია, თევზი, მაჩვი, ირემი, შველი, ვირი, კამეჩი (ან დომბა) და ფრინველები.

სახლი № 2 მდებარეობს XX ნაკვეთის მე-6, 9 და XXVII ნაკვეთის მე-4, 7 კვადრატებში (ტაბ. III). № 2 სახლი მიდგმული ყოფილა № 1 სახლზე. № 2 სახლის პრეპარაციის შედეგად გაირკვა, რომ ის ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილი და კედლების მცირე ფრაგმენტები. ინტერიერიდან შემორჩენილა თიხატკეპნილი და ქვაფენილიანი იატაკის მცირე ფრაგმენტები და ღუმელის ნაშთი, რომელიც გამართული ყოფილა ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. ეს სახლი უფრო ძველია, ვიდრე № 3 სახლი, რომელიც № 2 სახლის დანგრევის შემდეგაა აგებული. № 2 სახლში მხოლოდ კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი აღმოჩნდა.

სახლი № 3 მდებარეობს XX ნაკვეთის მე-6, 9 კვადრატებში (ტაბ. III). დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. მისი სამხრეთი ნაწილი დაზიანებულია. შემორჩენილა სახლის ჩრდილოეთი, ზურგის კედელი, აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების ფრაგმენტი. ჩრდილოეთი კედლის სიგრძე 4.0 მ-ია, დასავლეთი კედლის შემორჩენილი სიგრძე კი 3.0 მ-ს უდრის, აღმოსავლეთისა კი 0.8 მ-ს. კედლები ნაგები ყოფილა ფლეთილი ქვით. შემორჩენილია წყობის 1-4 რიგი. ინტერიერიდან შემორჩენილია თიხატკეპნილი იატაკი და ღუმელის ნაშთი. პრეპარაციის შედეგად იატაკის ორი ფენა დაფიქსირდა. იატაკის ორივე დონე № 14 ორმოს ფარავს. № 3 სახლში თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი და ცხენის, ცხვრის, ძროხის, ხბოს და ირმის ძვლები აღმოჩნდა.

სახლი № 4 XX ნაკვეთის მე-4, 5, 7-9 კვადრატებში გაითხარა (ტაბ. III). დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. სახლს ჩრდილოეთიდან № 5 სახლი ესაზღვრება. სახლის გათხრისას 3 დონე გამოიყო. A დონეს მიეკუთვნება სახლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გამოვლენილი ზე

და კედლის ნაწილი. ის დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთით. კედელი აღმოსავლეთ ნაწილში კრავს კუთხეს და ჩრდილოეთისაკენ მიემართება. კედელი ნაგებია ბაზალტის ქვითა და თიხით. შემორჩენილია სათავსოს თიხატკეპნილი იატაკი და ქვაფენილის ფრაგმენტები. ამავე დონეს უნდა ეკუთვნოდეს ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთი კუთხის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილი ქვის ფილებით შედგენილი ოთხკუთხა საკურთხეველი (სიგრძე 0.80 მ, სიგანე 0.50 მ), რომელზედაც იდო ბაზალტის ხელსაფქვავი. B დონე დაფიქსირდა A დონის მოხსნის შემდეგ, როდესაც ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დასავლეთი კედლის შემორჩენილი ნაწილი გაიწმინდა. კედელი დამხრობილია სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით, ნაგებია ბაზალტის ქვითა და თიხით (ზომები: სიგრძე 2.10 მ; სიგანე 0.25-0,40 მ; სიმაღლე 0.60 მ), შემორჩენილია ქვის წყობის 3 რიგი. B დონის იატაკი თიხატკეპნილია, ალაგ ჩანს დამწვარი დანახშირებული ლაქები. სახლის **B** დონეს მიეკუთვნება თიხა-ალიზითა და ქვით ნაგები მერხი, რომელიც ჩრდილოეთის კედელს ემიჯნება, აღმოსავლეთი კედლის სიახლოვეს ნახევარრკალს კრავს და აღმოსავლეთის კედლის პარალელურად სამხრეთით მიემართება. იმავე დონისა უნდა იყოს სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილი ქვის ფილებით შედგენილი „საკურთხეველი". მისი ზომებია 0.60ჩ0.60 მ, სიმაღლე – 0.50 მ (ტაბ. V_5). სახლის ყველაზე ადრეულ, C დონეს მიეკუთვნება დედაქანზე აგებული შენობა, რომლის კონტურები პრეპარაციის შედეგად თითქმის მთლიანად გამოიკვეთა. მისი ფართობი მიახლოებით 50 $მ^2$ შეადგენს. სახლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის გაწმენდისას გამოჩნდა თიხის აბაზანისებრი საკურთხეველი (ტაბ. V_5). დამხრობილია სამხრეთ-ჩრდილოეთის ღერძზე. საკურთხეველს წაგრძელებული ოვალის ფორმა აქვს. გარშემო დაბალი ბორტი შემოუყვება. შიდაპირი სწორი აქვს (მისი ზომებია: სიგრძე 1.60 მ; სიგანე 0,60-0,70 მ; ბორტის სისქე 0,20 მ). საკურთხევლის ჩრდილოეთი ნაწილი შედიოდა (B დონის) განახლებული კედლის ქვეშ და ებჯინებოდა (C დონე) ადრეულ კედელს. ამდენად, **C** დონის ჩრდილოეთი კედელი და თიხის საკურთხეველი თანადროულები არიან. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოგვიანო ფენის (B დონე) გამართვისას დაუზიანებიათ ადრეული (C დონე) საკურთხეველი, როგორც ჩანს, მოგვიანო პერიოდში ხდება ნაგებობის შეცვლა-განახლება. **C** დონის იატაკი თიხატკეპნილია. ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაიწმინდა ბაზალტის დიდი და საშუალო ზომის ქვის ფილებით მოგებული ზღვე (სიგრძე 4,20 მ; სიგანე დაახ. 2,60 მ). სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ორგანყოფილებიანი პურის საცხობი ღუმელი, ის ძლიერაა დაზიანებული. ქვის ფილაფენილის (ზღვე) ჩრდილოეთი ნაწილის ალაგებისას გამოჩნდა ქვის ფილებით შედგენილი ქვაყუთი - „საკურთხეველი", რომელიც ორადაა გაყოფილი (0,60ჩ0,40 მ; 0,70ჩ0,30 მ). ის **C** დონეს შეესაბამება და B დონის „საკურთხევლის" ანალოგიურია. სახლის იატაკის აღების შემდეგ №№ 9, 12, 13, 18, 19 სამეურნეო ორმო დაფიქსირდა. სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ზღვეს ქვაფენილი გადიოდა №№ 13, 19 სამეურნეო ორმოებზე. ზღვეს სიახლოვეს დადასტურდა ასევე №№ 18 და № 9 სამეურნეო ორმოები.

სახლი № 5 მდებარეობს XX ნაკვეთის 1-2, 4-5 კვადრატებში. ის მართკუთხედის ფორმისაა. კედლები ნაგებია ბაზალტის ქვით. შემაკავშირებელ მასალას თიხა წარმოადგენს. სახლის კედლები კარგადაა შემორჩენილი. მისი დასავლეთი კედლის სიგრძე 6 მეტრია, სიგანე – 0.40 მ. კედლის ცენტრალურ ნაწილში გაჭრილია 0.80 მ სიგანის კარის ღიობი. სახლის ინტერიერი კარგადაა შემორჩენილი. სახლის შესასვლელთან მარცხენა მხარეს იატაკი თიხატკეპნილია, მარჯვენა მხარეს კი ბაზალტის ფილებით არის მოგებული. მის ერთ ნაწილში სარეცელია გამართული. სახლის ცენტრალურ ნაწილში, ოდნავ დასავლეთით, კარის ღიობის მოპირდაპირედ ქვის ფილებით შედგენილი საკურთხეველია გამართული. სახლის მარცხენა, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ორგანყოფილებიანი პურის საცხობი ღუმელია მოწყობილი. ფასადის სიგრძე 1.3 მ-ია. სიმაღლე 0.75 მ. ღუმელის სიგანე 0.9 მ-ია. ღუმელი ქვის ფილებითა და ალიზითაა ნაგები. ღუმელში ამ ტექნიკით გაკეთებული თერმოიზოლაციის სამი დონე დაფიქსირდა (ტაბ. $V_{1-4,6}$). № 5 სახლის გათხრამ გვიჩვენა, რომ ის გამართულია № 4 სახლის დანგრევის შემდეგ. ასევე გაირკვა, რომ ამ ფართობზე უფრო ადრე ორი სამეურნეო ორმო ყოფილა გამართული. № 17 ორმო უშუალოდ სახლის შესასვლელში დაფიქსირდა, რომელსაც ნაწილობრივ ფარავს სახლის დასავლეთი კედელი. ორმოში არტეფაქტები არ დაფიქსირებულა, ამიტომ მისი დათარიღება ჭირს. რაც შეეხება № 10 ორმოს, ის მოქცეულია სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის ქვეშ. მასზე გადადის სახლის კედლები. მის თავზეა გამართული № 5 სახლის ღუმელიც.

სახლი № 6 მდებარეობს XX ნაკვეთის მე-2, 3, 6 კვადრატებში (ტაბ. III). გაითხარა ნაწილობრივ. გათხრილია მხოლოდ სახლის დასავლეთი ნაწილი. კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით. შემაკავშირებლად თიხის ხსნარია გამოყენებული. დასავლეთი კედელი მთლიანად გამოვლინდა. მისი სიგრძე 6.2 მ-ია, სიგანე 0.4 მ. შემორჩენილი სიმაღლე 1.4 მ-ს უდრის, რომელიც ქვის წყობის 10-11 რიგს შეიცავს. სახლის იატაკი მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 3.0 მ სიღრმეზე დაფიქსირდა. ინტერიერის მხოლოდ ნაწილი გამოვლინდა. არსებული მონაცემების მიხედვით სახლს თიხატკეპნილი იატაკი ჰქონია. დასავლეთი კედლის გასწვრივ 2.8 მ სიგრძისა და 1.0 მ სიგანის „მერხია“ გამართული. მისი ინტერიერისაკენ მიმართული ნაწილი ქვის ფილებითაა მოგებული, რომლის სიგანე 0.6 მ-ს უდრის. „მერხზე“, სახლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში თიხის ორყურა დერგი იდგა. სახლის დასავლეთ კუთხეში ღუმელია გამართული. ის ბაზალტის დიდი ზომის ფილებითაა შედგენილი. გადახურული ყოფილა ერთი დიდი ქვის ფილით. საცხობი განყოფილების ძირი ალიზის სქელი ფენითაა მოლესილი, რომელსაც გარშემო 0.07 მ სიმაღლის და 0.05 მ სიგანის ბორტი შემოუყვება. საცხობ და საცეცხლე განყოფილებებს შორის ბაზალტის ქვის სვეტია აღმართული. ღუმელის მთლიანი სიგრძე 2.0 მ-ია, სიგანე 1.3 მ-ს უდრის, საერთო სიმაღლე 0.9 მ-ია.

სახლი № 7 მდებარეობს XX ნაკვეთის მე-6 კვადრატში (ტაბ. III). წარმოადგენს მე-6 სახლის ნაწილს, რომელთანაც ზემოთ ნახსენები ღიობითაა დაკავშირებული. გაითხარა სახლის დასავლეთი ნაწილი. № 7 სახლი რამდენჯერმე ჩანს გადაკეთებული ძველ და ახალ კედლებს შორის მოქცეულ ფართობში ალიზით ნაგები საკურთხეველი დაფიქსირდა (ტაბ. IV_1).

სახლი № 8 მდებარეობს XXVII ნაკვეთის 1-ელ კვადრატში, № 1 სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან. შემორჩენილია მხოლოდ ქვაფენილის ნაშთი.

სახლი № 9 მდებარეობს XXVII ნაკვეთის მე-7 კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ისიც ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. ნამოსახლარზე სახლების გარდა გაითხარა ქვით ამოშენებული ორი ხარო და ოცი სამეურნეო ორმო.

№№ 4-9 სახლებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სხვადასხვა ჭურჭლების ნატეხები, რომელთა შორის გამოირჩევა მოჩალისფროდ გამომწვარი, წითლად მოხატული და შეღებილი კერამიკის ფრაგმენტები. რიყის და ბაზალტის ქვის სანაყები, ტუფის და ბაზალტის ხელსაფქვავები ყველა სახლში აღმოჩნდა. ასევე ყველა სახლში დაფიქსირდა ოსტეოლოგიური მასალა, რომელშიც გამოიყოფა ცხენის, კამეჩის, ცხვრის ან თხის, ციკნის ან ბატკნის, ღორის, ძროხის, ხბოს, დეკეულის ან მოზვერის, ირმის, მელიას და ძაღლის ძვლები. № 5 სახლში აღმოჩნდა ბრინჯაოს საკინძის ფრაგმენტი და ღორის ფალანგის ამულეტი.

შეჯამება და დასკვნები: ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლი მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ჭურჭლების ერთი ჯგუფი განლექილი თიხისაა, თხელკედლიანია და ჩარხზეა დამზადებული, გამომწვარია შავად. მეორე ჯგუფის კერამიკაც კარგად განლექილი თიხისაგან არის დამზადებული, თხელკეციანია და წითლადაა გამოწვარი. ამ ჯგუფის კერამიკის ზედაპირი კარგადაა დამუშავებული – გაპრიალებულია ან შემკულია რელიეფური ორნამენტით. ასეთი კერამიკის ნაწილი წითელი საღებავითაა შეღებილი, ან მოხატულია (ტაბ. VIII). დარაკოვის ნამოსახლარზე 2008 წელს მოპოვებული თიხის ჭურჭელი, დანიშნულების მიხედვით, სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. სამეურნეო; 2. სამზარეულო; 3. სუფრის. სამეურნეო ჭურჭლებია – ქოცო (ტაბ. $VI_{27,30,32,33}$), დერგი (ტაბ. $VI_{25,26,28,29,31,36,38,39}$). სამზარეულო ჭურჭელს მიეკუთვნება - ქოთანი (ტაბ. $VI_{23,24,37}$); ქილა; კოჭობი (ტაბ. $VI_{18,19-22,35}$); ბადია (ტაბ. VI_9). ამ ჯგუფის ყველა ჭურჭელს აუცილებლად ეტყობა ცეცხლის კვალი. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ჭურჭლები მხოლოდ სამზარეულო დანიშნულების იყო. სუფრის ჭურჭელს მიეკუთვნება – დოქი (ტაბ. VI_{34}); ხელადა; სასმისი; ჯამი (ტაბ. $VI_{4-8,10-17}$); ფიალა (ტაბ. $VI_{2,3}$). ნამოსახლარზე რკინის ხუთი ნივთი აღმოჩნდა: № 4 სახლში ორი დანა; № 5 სახლში სატეხი; № 6 სახლში ღერაკი; № 7 სახლში დანის ტარი. სამეურნეო დანიშნულების ქვის იარაღები ნამოსახლარზე გათხრილ ყველა სახლში დაფიქსირდა. ისინი ძირითადად ტუფის, ბაზალტის და რიყის ქვისაგანაა დამზადებული. იშვიათად გვხვდება პემზისაგან დამზადებული ცალები. ამ სახეობის იარაღებიდან გვხვდება სანაყები, ხელსაფქვავები და სასრესები. სამკაულები ნამოსახლარზე მცირე რაოდენობით აღმოჩნდა. № 1 სახლში ბრინჯაოს სამაჯური, მინისებური პასტის მძივი და თიხის საკიდები დაფიქსირდა. № 4 სახლში კი სარდიონის მძივი გამოვლინდა. № 5 სახლში აღმოჩნდა ბრინჯაოს საკინძი, ხოლო № 6 სახლში – ქვის საკიდი. ძვლის ნაკეთობებიდან განსაკუთრებულ

ყურადღებას იქცევს ქარქაშის ნაწილი. აღსანიშნავია ცხოველის ლულოვანი ძვლისაგან და თხის რქისაგან დამზადებული სამეურნეო დანიშნულების (საპრიალებელი ?) იარაღები. სარიტუალო დანიშნულების ნივთებიდან აღსანიშნავია ღორის ფალანგებისაგან დამზადებული ამულეტები.

დარაკოვის ნამოსახლარზე მცხოვრებთა ძირითად საკვებს წარმოადგენდა ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები, რაზეც მეტყველებს აქ აღმოჩენილი შინაური ცხოველების მრავალრიცხოვანი ძვლოვანი ნაშთი. ნამოსახლარზე დადასტურებულია: ქათამი, ღორი, ცხვარი, თხა, კამეჩი და მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. ნამოსახლარზე ვირისა და ცხენის ძვლებიც დაფიქსირდა. გარდა ამისა, დარაკოვის ნამოსახლარის კულტურულ ფენებში აღმოჩნდა ძაღლის და გარეული ცხოველების ნაშთებიც: მელა, მაჩვი, დათვი, შველი და კეთილშობილი ირემი, ასევე დაფიქსირებულია რომელიღაც ფრინველის რამდენიმე წვრილი ძვალი, მემინდვრიას ქვედა ყბა და თევზის ერთი მალა.

ძეგლის სტრატიგრაფია: დარაკოვის ნამოსახლარი ორ კულტურულ ფენას და რამდენიმე სამშენებლო ჰორიზონტს შეიცავს (ტაბ. III). ზედა ფენა საკულტო, საცხოვრებელ, სამეურნეო ნაგებობებსა და სამეურნეო ორმოების ნაწილითაა წარმოდგენილი. ქვედა ფენას სამეურნეო ორმოების დიდი ნაწილი მიეკუთვნება. ზედა ფენა, სახლებში, სამეურნეო ორმოებსა და ხაროებში აღმოჩენილი მასალების მიხედვით ძვ.წ. V-IV სს. თარიღდება. ხაროები სახლებზე უფრო ადრეული ჩანს. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ნამოსახლარზე დაფიქსირებული სტრატიგრაფია. მაგ. № 1 ხარო ჩაჭრილი აქვს № 2 სახლს. № 1 და № 2 ხაროს კედლებზე კი № 3 სახლის ჩრდილოეთი, ზურგის კედელი გადადის. მაგ. ხაროებიდან მოპოვებული მასალები № 10 სამეურნეო ორმოში აღმოჩენილი კერამიკის იდენტურია. ნამოსახლარის ამ მონაკვეთში დაფიქსირებული სტრატიგრაფია გვიჩვენებს, რომ № 10 ორმოს თავზე № 5 სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე გადადის და № 10 ორმოს დიდ ნაწილს № 5 სახლის ზემოთ აღნიშნულ კუთხეში გამართული ღუმელი ფარავს. უნდა აღინიშნოს, რომ ხაროებში და № 10 სამეურნეო ორმოში აღმოჩენილი კერამიკა სახლებში დაფიქსირებული კერამიკის მსგავსია. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილი ობიექტები თანადროულია და ერთ კულტურულ ფენას მიეკუთვნება. გათხრებისას ისიც დაფიქსირდა, რომ ეს ფენა რამდენიმე სამშენებლო დონეს შეიცავს. მაგ., XX ნაკვეთის მე-4, 5 და მე-8, 9 კვადრატების გათხრისას გამოვლინდა № 4 და № 5 სახლები. გაირკვა, რომ № 5 სახლი № 4 სახლის დანგრევის შემდეგაა გამართული. № 4 და № 5 სახლების ქვეშ კი სამეურნეო ორმოები დაფიქსირდა. № 5 სახლის სამხრეთი კედელი № 4 სახლის ჩრდილოეთ, ზურგის კედელზეა აგებული. № 4 სახლი რამდენჯერმე გადაკეთებული ჩანს. ჩრდილო-დასავლეთი კუთხე სამჯერ ჩანს კაპიტალურად შეკეთებული. აქვე ფიქსირდება იატაკის ორი დონე. № 4 სახლის იატაკის ქვეშ № 9, 12, 13, 18, 19 ორმოები გაითხარა. №№ 2-3 სახლების და №№ 1-2 ხაროების შესწავლამ გვიჩვენა, რომ № 3 სახლი № 2 სახლის დანგრევის შემდეგ არის გამართული. № 3 სახლი კი № 1 და № 2 ხაროებზეა გამართული. № 2 სახლის იატაკის ქვეშ № 1 და № 8 სამეურნეო ორმოები გაითხარა, რომლებიც სტრატიგრაფიულად სხვა დონეს მიეკუთვნება. ისინი დაკონსერვებული იყო სახლების ქვაფენილიანი და თიხატკეპნილი იატაკებით. № 15 და № 16 ორმოების თავზე № 1 სახლის დასავლეთი კედელი გადადის. ამდენად, სტრატიგრაფია გვიჩვენებს, რომ ეს ორმოები სახლების მშენებლობამდე ფუნქციონირებდა.

ძეგლის თარიღი. დარაკოვის ნამოსახლარზე მოპოვებული მასალების ანალიზი ჩვენს მიერ ადრე შესწავლილი თანადროული მასალების ფორმალურ-ტიპოლოგიურ და სტილისტურ ანალიზებს ეყრდნობა [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი 2002; Нариманишвили 1991; Narimanišvili 2000; Narimanishvili, Shatberashvili 2004]. დარაკოვის ნამოსახლარის სტრატიგრაფიის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ უძველესი ფენა აქ სამეურნეო ორმოებითაა წარმოდგენილი და ძვ.წ. VI ს-ს მიეკუთვნება. სამეურნეო ორმოები პრაქტიკულად არ შეიცავს წითლად გამომწვარ კერამიკას. კერამიკული ფორმები ანტიკური ხანის მასალასთან პარალელებს ვერ პოულობს. თიხის ჭურჭელი გაპრიალებული და ნაკაწრი ორნამენტითაა შემკული. შეიძლება ითქვას, რომ კერამიკის ფორმა და ორნამენტი რკინის ფართო ათვისების ხანაში გავრცელებულ თიხის ჭურჭელთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს. სახლებში აღმოჩენილი კერამიკა (ტაბ. VI, VIII) მკვეთრად განსხვავდება ორმოებში აღმოჩენილი კერამიკისაგან (ტაბ. VII). სახლების არტეფაქტების აბსოლუტური უმრავლესობა წითლადაა გამომწვარი. მათი ნაწილი შეღებილი ან მოხატულია წითელი საღებავით. გვხვდება თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლებიც. წითელი საღებავით შეღებილი და მოხატული კერამიკის გავრცელება

ქართლში აქემენიდური კულტურის გავლენით არის ახსნილი [ნარიმანიშვილი 2009; ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი 2002; მახარაძე, ნარიმანიშვილი 2001]. თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი კი „კახეთის რომელიღაც სამეთუნეო ცენტრიდან შემოტანილად“ არის მიჩნეული [გაგოშიძე 1970, გვ. 46]. ასეთი კერამიკა კახეთისა და ქართლის ელინისტური ხანის თითქმის ყველა ძეგლზეა დადასტურებული [Нариманишвили 1991]. დარაკოვის ნამოსახლარზე გამოვლენილი თეთრი ანგობით მოხატული მოხატული კერამიკა საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ სტილის კერამიკა ქართლში I ქრონოლოგიური ჯგუფის დასაწყისშივე იჩენს თავს.

ნამოსახლარის გათხრილი ფართობის ზომებია 750 კვ.მ.; გამოვლენილია 9 ნაგებობა, 2 ხარო და 20 სამეურნეო ორმო; მოპოვებულია 8491 არტეფაქტი, რომელთაგან 819 თიხის ჭურჭელია, 6 380 კერამიკის ფრაგმენტი; ლითონის 10 ნივთი; ქვის 263 იარაღი. დარაკოვის ნამოსახლარი ორ კულტურულ ფენას და რამდენიმე სამშენებლო ჰორიზონტს შეიცავს. ზედა ფენა საკულტო, საცხოვრებელ, სამეურნეო ნაგებობებსა და სამეურნეო ორმოების ნაწილითაა წარმოდგენილი. ქვედა ფენას სამეურნეო ორმოების დიდი ნაწილი მიეკუთვნება. ზედა ფენა, სახლებში, სამეურნეო ორმოებსა და ხაროებში აღმოჩენილი მასალების მიხედვით ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდება. ნამოსახლარის გათხრისას მრავლად იქნა აღმოჩენილი სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული იარაღები, რაც სოფლის მეურნეობის მაღალ განვითარებაზე მიუთითებს. ამ თვალსაზრისით საინტერესო შედეგები მოგვცა პალეოზოოლოგიურმა და პალინოლოგიურმა კვლევამ. დარაკოვის ნამოსახლარზე მცხოვრებთა ძირითად საკვებს წარმოადგენდა ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები, რაზეც მეტყველებს აქ აღმოჩენილი შინაური ცხოველების მრავალრიცხოვანი ძვლოვანი ნაშთი. პალინოლოგიური კვლევა მიუთითებს, რომ დარაკოვის მოსახლეობა ინტენსიურ მიწათმოქმედებას ეწეოდა. ითესებოდა რამდენიმე ჯიშის ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია, ფეტვი და ღომი. უპირატესობა კი მაინც ხორბალს ქონდა. მოსახლეობას სელიც მოყავდა. პალინოსპექტრმა მებაღეობისა და მევენახეობის არანაირი კვალი არ გამოავლინა. მემინდვრეობის გარდა მეცხოველეობაც საკმაოდ კარგად ყოფილა განვითარებული. ამაზე მეტყველებს საძოვრებისთვის დამახასიათებელი სარეველები და ნაკელის სოკოს საკმაოდ დიდი რაოდენობა. ხოჭო ტყავიჭამიას, ჩრიჩლის მატლის ბუსუსების და ცხვრის ბეწვის აღმოჩენა ასევე მეცხოველეობის არსებობის მაჩვენებელია. პალინოლოგიური კომპლექსის და ხემცენარეთა მერქნის უჯრედების შემადგენლობა მოწმობს, რომ დარაკოვის მიდამოებში განხილულ პერიოდში ტყე კარგად იყო გავრცელებული. ტყის შემადგენლობაში ფიჭვი ჭარბობდა. აქ, როგორც შენარევი, მაღალმთის მუხა, მაღალმთის ნეკერჩხალი, წიფელი და თელა იზრდებოდა. მდინარისპირას მურყნარები იყო გავრცელებული. პალინოლოგიური მონაცემები გვიჩვენებს, რომ განხილულ პერიოდში კლიმატი არც თუ ისე თბილი იყო, რაც მებაღეობა-მევენახეობის განვითარებას ხელს უშლიდა.

G. Narimanishvili, E. Qvavadze. R. Davlianidze, B. Murvanidze, N. Shanshashvili, M. Kvachadze, O. Bendukidze

ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS IN THE VILLAGE OF DARAKOI

The village of Darakoi lies within 15 km to the north-westward of Tsalka, on the territory of Tsalka municipality, Kvemo Kartli.

The archaeological site is within 300 m westward of the village, on the right bank of the Ktsia River. The site is crossed by an earth road leading from v. Darakoi to the Santa and Tsintsqaro villages. Archaeological excavations were carried out in 2008. The purpose of the study was to conduct salvage work on the archaeological site that came to light in connection with the constructional work on the oil- and gas pipelines. The work was funded by the TC and SCP Company.

The length of the settlement site of the Classical period along the east-west line is 600 m, along the north-south line – 700 m. The excavated area of the site is 730 m. 9 structures, 2 ditches and 20 household pits have come to light. 8491 artefacts have been gathered, of which 819 are clay vessels and 6380 fragments of pottery; 10 metal items; 263 stone tools.

The Darakoi site has two habitation layers and several construction horizons. The upper layer is represented by

cultic, dwelling household structures and household pits. A large part of the household pits belong to the lower layer. According to the materials discovered in the houses, household pits and ditches, the upper layer is dated to the 5th-4th cent. BC.

Taking into consideration the stratigraphy of the Darakoi site, the earliest layer is here represented by household pits, dating from the 6th cent. BC. The pits practically do not contain red-fired pottery. Clay-ware is fired black, the surface is mostly polished and adorned with scratched ornament. The shape and ornament of the pottery found in pits evince considerable resemblance to clay vessels spread in the period of wide adoption of iron. The pottery discovered in the houses drastically differs from that found in pits. The absolute majority of clay vessels coming to light in the houses are painted red. Vessels painted with white engobe also occur. Pottery painted red and adorned became widespread in Kartli from the 5th cent. BC, under the influence of Achaemenid culture. Vessels in white engobe are believed to have been imported from a certain pottery centre of Kakheti. This kind of pottery is attested on almost all sites of the Hellenistic period Kakheti and Kartli.

ლიტერატურა

გაგოშიძე ი. 1970: სამადლოში მოპოვებული მოხატული ჭურჭელი. – ძმ, № 23, 41-46.

მახარაძე ზ., ნარიმანიშვილი გ. 2001: ციხიაგორა აქემენიდურ ხანაში. – ძიებანი, № 7, 47-53.

ნარიმანიშვილი 2009: დარაქოის ნამოსახლარი და სამხრეთ კავკასიის აქემენიდური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. – იბერია-კოლხეთი, № 5, 94-125.

ნარიმანიშვილი გ., შატბერაშვილი ვ. 2002: ძვ.წ. V-I სს. წითლად მოხატული კერამიკა ქართლიდან (სტილისტური ანალიზი, ქრონოლოგიის საკითხები). – ძიებანი, № 9, 54-70.

Нариманишвили Г. 1991: Керамика Картли V-I вв. до нашей эры. Тбилиси.

Narimanišvili G. 2000: Die keramik Kartlis (Iberiens) in achaimenidischer und postachaimenidischer Zeit. – Archäologische mitteilungen aus Iran und Turan, band 32, Berlin, 225-242.

Narimanishvili G., Shatberashvili V. 2004: Red-painted Pottery of the Achaemenid and Post-Achaemenid Periods from Caucasus (Iberia): Stylistic Analysis and Chronology. – Anceint Near Eastern Studies, vol. XLI, 120-166.

ტაბულების აღწერა

ტაბ. I – 1. ნამოსახლარის საერთო ხედი აღმოსავლეთიდან; 2. მუშაობის პროცესი.

ტაბ. II – 1. ნამოსახლარის ტოპოგეგმა; 2. ნამოსახლარის გენგეგმა.

ტაბ. III – ნამოსახლარის გეგმა და ჭრილები.

ტაბ. IV – 1. № 7 სახლი, საკურთხეველი; 2. № 1 სახლი, საკურთხეველი; 3. № 1 სახლის საერთო ხედი ჩრდილოეთიდან; 4. № 5 სახლის საერთო ხედი ჩრდილოეთიდან.

ტაბ. V – 1-2. № 5 სახლის ღუმელის თერმოიზოლაცია; 3, 6. № 5 სახლის ღუმელის გეგმა და ჭრილები; 4. № 5 სახლის ღუმელის საერთო ხედი; 5. № 4 სახლი, საკურთხეველი.

ტაბ. VI – სახლებში აღმოჩენილი კერამიკა: 1,6,8,9,16,18,19-39. სახლი № 1; 2-5, 7, 10-15, 17. სახლი № 4.

ტაბ. VII – ორმოებში აღმოჩენილი კერამიკა: 1,2. ორმო № 7; 3,4,5,65,66. ორმო № 19; 6,14-22,67,68. ორმო № 11; 8, 58-64. ორმო № 8; 9. ორმო № 6; 11. ორმო № 12; 12,13. ორმო № 10; 23,24. ორმო № 2; 25-28. ორმო № 1; 29-34,69. ორმო № 13; 35-51. ორმო № 16; 52-57. ორმო № 15.

ტაბ. VIII – სახლებში აღმოჩენილი მოხატული კერამიკა: 1,4,6,7,8,11,12,15,17. სახლი №7; 2,19. სახლი №1; 3,5,10,13,14,16,18,20,21. სახლი №6; 9. სახლი № 5.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – 1. General view of the settlement site from the east; 2. Process of work.

Pl. II – 1. Topographical plan of the site; 2. General plan of the site.

Pl. III – Plan and sections of the site.

Pl. IV – 1. House 7, shrine; 2. House 1, shrine; 3. General view of house 1 from the north; 4. General view of house 5 from the north.

Pl. V – 1-2. Thermoisolation of the stove of house 5; 3, 6. Plan and sections of the stove of house 5; 4. General view of the stove of house 5; 5. House 4, shrine.

Pl. VI – Pottery found in the houses: 1, 6, 8, 9, 16, 18, 19-39. House 1; 2-5, 7, 10-15, 17. House 4.

Pl. VII – Pottery found in the pits: 1-2. Pit 7; 3-5, 65-66. Pit 19; 6, 14-22, 67-68. Pit 11; 8, 58-64. Pit 8; 9. Pit 6; 11. Pit 12; 12-13. Pit 10; 23-24. Pit 2; 25-28. Pit 1; 29-34, 69. Pit 13; 35-51. Pit 16; 52-57. Pit 15.

Pl. VIII – Painted pottery found in the houses: 1, 4, 6, 7-8, 11-12, 15, 17. House 7; 2, 19. House 1; 3, 5, 10, 13-14, 16, 18, 20-21. House 6; 9. House 5.

1

2

1579.48
1579.20
1575.21
1571.29
1573.78
1569.29
1569.63
1572.75
1577.54
1571.16
1565.13
1561.22
1558.53
1555.74
1552.2
1551.99
1545.57
155
GRAPHIC SCALE
(IN METERS)
1 : 500

2


1579.48
1579.20
1575.21
1571.29
1573.78
1569.29
1569.63
1572.75
1577.54
1571.16
1565.13
1561.22
1558.53
1555.74
1552.2
1551.99
1545.57
155
GRAPHIC SCALE
(IN METERS)
1 : 500

1


XX
XXVII
XXI
XXVIII
±0.0
GRAPHIC SCALE
1 : 100
1 : 1
2 : 2
3 : 3
4 : 4
5 : 5
6 : 6
7 : 7
0 50 100 150

1

2

3

4

1

2



3

4

5



6

ტაბ. VI


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
45
46
47
48
49
50
51
52
53
54
55
56
57
58
59
60
61
62
63
64
65
66
67
68
69

ტაბ. VIII



რევაზ დავლიანიძე, ბიძინა მურვანიძე, ნინო შანშაშვილი, მარინე კვაჭაძე, გოდერძი ნარიმანიშვილი

არქეოლოგიური გათხრები სოფ. ხადიკსა და ბზისწყლის ხეობაში

თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2009 წელს საველე სამუშაოები აწარმოა წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ხადიკსა და მდ. ბზისწყლის ხეობაში, თეთრიწყაროს მუციპალიტეტის სოფ. ახალსოფლის მიდამოებში. არქეოლოგიური გათხრები თბილისი-კოდა-წალკა-ახალქალაქის საავტომობილო გზის რეაბილიტაციასთან იყო დაკავშირებული და მიმდინარეობდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად. სამუშაოები დაფინანსდა სსიპ „ფონდი – ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მიერ.

ახალსოფლის ნამოსახლარი მდებარეობს საავტომობილო გზის 55-ე კმ-ზე (ტაბ. I). დასახლება გაშენებული ყოფილა ხეობის ჩრდილოეთ კალთაზე, აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან ღრმა ხევებით შემოსაზღვრულ მინდორზე.

სოფ. ახალსოფელი განლაგებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. ალგეთის მარჯვენა შენაკადის მდ. ბზისწყლის ხეობაში, რომელიც ისტორიულად ზას (ზასი, ბზა) სახელით იყო ცნობილი. ახალსოფელი დამოწმებულია XVI საუკუნისა და შემდგომი პერიოდის ისტორიულ საბუთებში [მასალები... 1964; ხარაძე 1991]. ხეობაში არაერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს. სოფელში დგას X საუკუნის დარბაზული ეკლესია, რომლის გალავანში ჩაშენებულ ქვაზე ამოკვეთილ ასომთავრულით შესრულებულ წარწერაში მოიხსენიება მეფე ბაგრატ III და გურანდუხტ დედოფალი [Такаишвили 1913: 4-7; შოშიაშვილი 1980: 258]. ეკლესიის მახლობლად ძვ.წ. II-I ათასწლეულით დათარიღებული „ციკლოპური“ ციხესიმაგრეა [მელიქსეთ-ბეგი 1938: 42]. ახალსოფლიდან დასავლეთით 2 კმ-ზე სოფ. გოხნართან მდებარეობს XI საუკუნით დათარიღებული ეკლესია, რომლის სამხრეთი კარის არქიტრავზე ამოკვეთილ ასომთავრულ წარწერაში მოიხსენიება კლდეკარის ერისთავი ლიპარიტი და მისი ძენი რატი და იოანე [Такаишвили 1913: 9-11]. საყურადღებო ძეგლია გოხნარის „ციკლოპური“ კომპლექსი, რომელიც შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: ნაპრალ-გვირაბებიანი ქვაყრილის (კარკნალი), ნასოფლარისა და ციხისაგან [მელიქსეთ-ბეგი 1938: 26, 40]. ახალსოფლის მახლობლად მდებარეობს ძვ.წ. V-IV სსით დათარიღებული სამაროვანი [Давлианидзе 1977: 122-126; Нариманишвили 1991: 116].

ნამოსახლარის ტერიტორიაზე, გზის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ, მშენებლების მიერ სადრენაჟე არხისათვის მონიშნულ მონაკვეთზე, გაიჭრა 1ჩ1 მ ზომის 38 თხრილი, რათა თავიდან აგვეცილებინა ამ ადგილზე ძეგლის დაზიანება და დაგვედგინა ძეგლის გავრცელების საზღვრები გზის მიმართულებით. არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა ოთხ უბანზე (ტაბ. I). საველე და ლაბორატორიულ სამუშაოებში მონაწილეობდნენ რევაზ დავლიანიძე, ბიძინა მურვანიძე, ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ლერი ჯიბლაძე, ერეკლე ქორიძე, გელა გიუნაშვილი, მალხაზ ცინდელიანი, ნინო შანშაშვილი, მარინე კვაჭაძე, გიორგი ტატიშვილი, ალექსანდრე თევზაძე, ინგა ესვანჯია, ლერი ფავლენიშვილი, დიმიტრი ნარიმანიშვილი, მიხეილ ნატროშვილი, რევაზ ვადაჭკორია, ელზა კოწოწაშვილი, ქეთევან თამაზაშვილი და გოდერძი ნარიმანიშვილი.

I უბანზე გაითხარა 2 სახლი (ტაბ. II_1). ისინი წარმოადგენენ ნახევრადმიწურებს, რომელთაც მშრალი წყობით ნაგები კედლები ჰქონია. სათავსოები აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზეა დამხრობილი. იატაკი მოწყობილია თიხაფიქალების უსწორმასწორო ზედაპირზე. გადახურვა ბანური უნდა ყოფილიყო, რომელიც ეყრდნობოდა კედლისპირა სვეტებს, შუაბოძსა ან შუაბოძების რიგს. ერთი ასეთი შუაბოძის ქვა-ბალიში, ოდნავ ასიმეტრიული კვადრატის ფორმის ბაზა (0.30ჩ0.30ჩ0.30 მ), აღმოჩნდა № 2 სახლის დაახლოებით შუა ნაწილში, იატაკში ოდნავ ჩაფლული. № 1 სახლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან აღმოჩნდა თონის ნაშთი. ამავე სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გაიწმინდა ნაგებობა, რომელიც ჩვენი აზრით, მინის გამოსადნობ ქურას წარმოადგენს (ტაბ. $II_{1,2,4}$; VI_1). ქურა შედგებოდა გამოსაწვავი და საცეცხლე

განყოფილებისაგან. სადნობი განყოფილება წარმოდგენილია თიხა-ალიზით ამოყვანილი და შემდეგ კარგად გამომწვარი ორი დამოუკიდებელი ორმოსაგან, რომლებიც თირშია ჩაჭრილი. მინის სალღობი ორმოები ერთ ხაზზე იყო განლაგებული და მათ შორის მანძილი 0.14 მ-ს შეადგენდა. საცეცხლე განყოფილება ასევე თირშია ჩაჭრილი. საცეცხლე განყოფილების აღმოსავლეთით გაიწმინდა წრიული ფორმის დაბალი „პლატფორმა". მინის სალღობი განყოფილება აღმოსავლეთის მხრიდან ხვრელით უკავშირდებოდა საცეცხლეს, რომელშიც დაფიქსირდა ნახშირისა და ნაცრის ნაშთები. როგორც ჩანს, № 1 სახლში განთავსებული იყო მინის სახელოსნო. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა, იქვე, № 4 სამეურნეო ორმოში აღმოჩენილი მინის წიდები და ქურის ქვაყრილში დადასტურებული მინის სამაჯურის ფრაგმენტები. ქურის დასავლეთით 0.33 მ დიამეტრის ფართობზე დაფიქსირდა ნაცროვანი ფენა, რომელიც შეიცავდა წვრილი ნახშირის მინარევებს. № 4 ორმოში რკინის წიდებიც აღმოჩნდა, რაც ნამოსახლარზე რკინის სახელოსნოს არსებობაზე მიუთითებდა. № 1 და № 2 სახლებს შორის გაითხარა ხუთი სამეურნეო ორმო (ტაბ. $II_{2,3}$; VI_3). აღსანიშნავია, რომ № 2 ორმოში აღმოჩნდა ხის დამწვარი ძელების ნაშთი, № 6 ორმოში კი კევრის (ტაბ. X_{24}) კოხის ქვები (135 ცალი) და დანახშირებული ხორბლის მარცვლები.

II უბანზე გაითხარა განვითარებული შუა საუკუნეების ექვსი, №№ 3-8 სახლი (ტაბ. IV), რომელთა კედლები ფლეთილი ქვის მშრალი წყობითაა ნაგები. სახლების გადახურვა ბანური ყოფილა, რომელიც შუა ბოძსა და კედლისპირა სვეტებს ე.წ. პილასტრებს ეყრდნობოდა. ამის თქმის საშუალებას იძლევა სახლებში ქვის ბალიშების, ბაზებისა და ვერტიკალურად მდგარი ხის ძელების ნაშთის დადასტურება (სახლები №№ 3, 4, 6-8). სათავსოები დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთი – ჩრდილო-დასავლეთის გრძივ ღერძზე, საფასადო მხარით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ეს მხარე ძველი და ნაწილობრივ ახალი გზის მშენებლობისას დაზიანდა. სახლებში კარგად ჩანს ორი სამშენებლო დონე. I სამშენებლო დონის კუთვნილი კედლები ნაგებია შედარებით მასიური და კარგად შერჩეული ფლეთილი ქვით (ტაბ. IV). მათ ქვიშაქვებზე მოწყობილი თიხატკეპნილი იატაკი ჰქონდათ. იატაკებში ჩაჭრილი იყო სამეურნეო ორმოები (II უბანზე გაითხარა 8 ორმო). II სამშენებლო დონეზე, № 3 სახლში იატაკის ძირითადი ნაწილი ქვის ფილებით იყო მოგებული (ტაბ. IV_1); № 4 სახლში ჩრდილო-დასავლეთი კედლიდან 3.35 მ-ის დაშორებით, გრძივად და განივად დაწყობილი ხის ძელებით (დიამეტრი 0.18 - 0.20 მ) იატაკზე, მოწყობილია სარეცელი (ტაბ. III_2). გრძივ ძელში დაფიქსირდა საგანგებო ნახვრეტები, სავარაუდოდ ხისავე სოლებისათვის, რომლითაც კრავდნენ აღნიშნულ სარეცელს. გრძივი ძელის სიგრძეა – 2.20 მ. განივი ძელების ზომა მერყეობს 1.67-1.10 მეტრს შორის. ძელებს შორის მანძილი 0.08 მ-ს შეადგენს. სახლებს არაერთი გადაკეთებისა თუ განახლების კვალი ემჩნევა.

III უბანი II უბნიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. აქ გავლებულ №№ 13-15 თხრილებში, 0.80 მ-ის სიღრმეზე შედარებით მძლავრი კულტურული ფენა აღმოჩნდა. თხრილი გაფართოვდა და გამოვლინდა ნახევრადმიწური ნაგებობის (სახლი № 9) ნაშთი (ტაბ. $V_{1,3}$; $VI_{2,4}$). იგი გამართული იყო მოყვითალო ქვიშაქვებში გაჭრილ ქვაბულში. კედლები აგებული იყო საშუალო და მცირე ზომის ფლეთილი ქვიშაქვით. სათავსოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი მოქმედი გზის ქვეშ ექცევა და ამ ეტაპზე მისი გათხრა პრაქტიკულად შეუძლებელია. სახლის ჩრდილოეთ კუთხეში დაზიანებული, ორგანყოფილებიანი პურის საცხობი ღუმელი აღმოჩნდა (ტაბ. V_2; VI_5). ღუმელის წინ იატაკზე, 0.38 მ-ის დაცილებით, გაიწმინდა ქვიშაქვის ოთხი სხვადასხვა ზომის ფილისაგან მოგებული მოედანი, რომელიც გამართული იყო შენობის ჩრდილო-დასავლეთ კედელთან. კედლის მხარეს პატარა ფილებს შორის დატოვებული იყო პატარა ფართობი, რომელშიც ჩაჭრილი იყო მომცრო ზომის ორმო (დმ. – 0.22 მ, სიღრმე – 0.35 მ). ქვის ფილებით შედგენილი მოედნის ზომებია: 0.90ჩ0.52 მ, ფილების სისქე – 0.08 მ. ფილები უშუალოდ თირზე აწყვია (ტაბ. VI_5). მოედანზე, კედლის მხარეს, ირიბად მიდგმული იყო ქვიშაქვის ორი საშუალო ზომის ფილა. ამ კონსტრუქციიდან სამხრეთ-დასავლეთით გაიწმინდა თირში საგანგებოდ გამოკვეთილი მოედანი, თუ თარო, რომლის საფასადე გვერდი ქვიშაქვის მომცრო ფილებით იყო მოპირკეთებული. შემორჩენილია ქვის ფილების ნაწილი (1.30ჩ0.90 მ, სიმაღლე – 0.48 მ). თაროს სამხრეთ-დასავლეთ ნაპირთან, სათავსოს ჩრდილო-დასავლეთი კედლის ძირში, გაიწმინდა კედლისპირა სვეტის საბოძე ორმო. სახლში თირში გამოკვეთილი მეორე თაროც გაიწმინდა, რომელიც პირველი თაროდან 1.32 მ-ის დაცილებით მდებარეობს. მისი სიმაღლე 0.25 მ-ს, სიგრძე 0.65 მ-ს უდრის. სათავსოს დასავლეთი კუთხე და სამხრეთ-დასავლეთი

კედელი, რომელიც გაუთხრელ ფართობში, გზის ქვეშ შედის, თაროს მიხედვით, როგორც ჩანს, ახლოსაა საგულვებელი. თაროს წინ, იატაკზე დაფენილი იყო ქვიშაქვის თხელი ფილა (გამოვლენილი ნაწილის სიგრძე – 0.65, სიგანე – 0.47 მ, ფილის სისქე – 0.04 მ). ფილის ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთით შედის გაუთხრელ ფართობში. სახლის იატაკი მოწყობილი იყო მოყვითალო ქვიშაქვის კარგად მოსწორებულ ზედაპირზე. სახლს ბრტყელი, ბანური გადახურვა ჰქონია, რომელიც ეყრდნობოდა კედლისპირა სვეტებსა და შუა ბოძებს. № 9 სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 0.5 მ დაშორებით აღმოჩნდა დედაქანში ამოჭრილ ორმოში ჩადგმული, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი მოზრდილი დერგი (ტაბ. VII_{43}; X_{23}), რომელშიც აღმოჩნდა 2 თვის ბავშვის ჩონჩხი.

IV უბანი მდებარეობს III უბნიდან ჩრდილო-დასავლეთით, 15 მეტრის დაშორებით (ტაბ. I; V_2). აქ გაითხარა ერთი, № 10 სახლი, რომელიც შემორჩენილია ფრაგმენტულად. გაითხარა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით მიმართული კედელი, რომელიც ნაგებია დიდი ზომის ქვებით. ამ კედლის მახლობლად დაფიქსირდა გრუნტში ამოკვეთილი ორი საბოძე ორმო, რომელთა შორის მანძილი 0.9 მ-ია. აღნიშნულ სათავსოში დაფიქსირდა 2 სამეურნეო ორმო (№№ 16-17), რომლებიც შევსებული იყო ნაცარ-ნახშირში შერეული თიხა-მიწით, ქვებით, შინაური ცხოველების ძვლებით (ღორი, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ცხენი და სხვა) და კერამიკის ფრაგმენტებით. მე-10 სათავსოში აღმოჩნდა ელინისტური ხანის ქვევრების პირყელის ფრაგმენტები (ტაბ. VII_{45-46}), შავად ნაპრიალები ჭინჭილა (ტაბ. VII_{37}; X_8), წითლად მოხატული და შეღებილი კერამიკის ფრაგმენტები (ტაბ. VII_{14-16}; X_{14-22}), პირმოყრილი ჯამების ნატეხები (ტაბ. $VII_{13,17-22}$; X_{18-22}). არქეოლოგიური მასალების შემცველი კულტურული ფენა ვრცელდება თხრილიდან აღმოსავლეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით.

დასკვნა. ახალსოფლის ნამოსახლარზე დადასტურდა ორი – ელინისტური (ძვ.წ. III-I სს.) და განვითარებული შუა საუკუნეების (XI-XIII სს.) – სამშენებლო ფენა. ელინისტურ ეპოქას (I ფენა) მიეკუთვნება III უბანზე გათხრილი № 9 და IV უბანზე გათხრილი № 10 სახლები. ამავე ეპოქისაა № 9 სახლთან გამოვლენილი ბავშვის სამარხი. შუა საუკუნეების ფენა (II ფენა) ორი სამშენებლო დონითაა წარმოდგენილი. თუმცა, მათში აღმოჩენილი მასალების იდენტურობა ქრონოლოგიური დანაწევრების საშუალებას არ იძლევა. A დონეს მიეკუთვნება №№ 5,7 სახლები და №№ 7-15 სამეურნეო ორმოები, B დონეს კი – №№ 3, 4, 6 სახლები. №№ 1,2 სახლებში სამშენებლო დონეები არ გამოიყოფა. ვერც №№ 1-6 ორმოების სტრატიგრაფიის დადგენა მოხერხდა.

შუა საუკუნეების მასალაში გვხვდება როგორც მოჭიქული, ასევე მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი. მოჭიქული კერამიკის აბსოლუტური უმრავლესობა ჯამებია (ტაბ. $VIII_{12,20,22,40}$; $IX_{6,9-11}$). მათთვის დამახასიათებელია: მსხვილმარცვლოვანი თიხა, წითლად გამომწვარი კეცი, მაღალი ქუსლი, შედრეკილი კოპიანი ძირი. კერამიკის მოჭიქვისას გამოყენებულია მწვანე, თეთრი, ლურჯი, ყვითელი, ყავისფერი და კრემისფერი ჭიქური. ნამოსახლარზე აღმოჩნდა ჯამი, რომლის შიდა პირი და ბაკო დაფარულია ანგობით და მოჭიქულია მწვანედ, ხოლო გარეპირი მოუჭიქავია. მრავალფრად მოჭიქულ ჭურჭლიდან გვხვდება ჯამები, რომელთა ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწვრით ამოყვანილია ჯვრის გამოსახულება. სახლებში მიკვლეულ იქნა მოჭიქული თიხის ჭურჭლის ნატეხებზე დამზადებული კვირისტავები (ტაბ. IX_{27-30}). ლითონის ნივთებიდან დადასტურდა რკინის მთლიანმასრიანი შუბისპირი (ტაბ. VIII_{26}; X_{12}). მინის ნაწარმიდან აღმოჩნდა სამაჯურის რამდენიმე ფრაგმენტი (ტაბ. $X_{10,11}$), რომელსაც ახასიათებს ბრტყელი შიდაპირი და მომრგვალებული ზედაპირი, მომწვანო-მოლურჯო ზედაპირზე მოყავისფრო ორი წვრილი ზოლი შემოუყვება. ზემოაღნიშნული სამაჯურები ზოგადად XI-XIII სს-ით თარიღდება [არჩვაძე, ჩიკოიძე, ჩხატარაშვილი 2005: 69, ტაბ. XLII_{10}]. ასევე საინტერესოა I უბანზე მოპოვებული რკინისა და მინის წიდების აღმოჩენა, რაც ამ ტერიტორიაზე სახელოსნო უბნის არსებობას გვავარაუდებინებს. ნამოსახლარზე აღმოჩნდა ღარიანი (ტაბ. IX_{40}) და ბრტყელი კრამიტის (ტაბ. $IX_{41,42}$) მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი. როგორც ნამოსახლარის აღწერიდან ჩანს, სახლებს ბანური გადახურვა უნდა ჰქონოდა, ამდენად კრამიტები, შესაძლებელია ნასახლარის ზედა ტერასაზე მდგარი ეკლესიიდან უნდა დაცურებულიყო. ქვის ნივთებიდან ნამოსახლარზე აღმოჩნდა ბაზალტის ვარცლი (ტაბ. VIII_{39}), ხელსაფქვავები (ტაბ. $IX_{43,44}$), სასრესი, სალესი.

უდავოა, რომ მდ. ბზისწყლის ხეობის სოფლებში უმთავრესად მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ და მეურნეობის ეს დარგები კარგად იყო განვითარებული. ამის დასტურია I უბანზე, მე-6 ორმოში აღმოჩენი-

ლი ხორბალი და კევრის კოხის ქვები (ტაბ. X_{24}). ასევე ყველა უბანზე მრავლადაა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები აღმოჩენილი. ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ბზისწყლის ხეობა განვითარებულ შუასაუკუნეებში წარმოგვიდგება დაწინაურებულ მხარედ, სადაც ინტენსიურად ვითარდება მეურნეობის ტრადიციული დარგები – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.

ამრიგად, I-II უბნებზე გათხრილ ძეგლებზე გამოვლენილ არქეოლოგიურ მასალებში ჭარბობს კერამიკული ნაწარმი – ნაცრისფერკეციანი სადა, წითელკეციანი მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის ნიმუშები. ანალოგიური კერამიკული ნაწარმი დამახასიათებელია საქართველოში გათხრილი განვითარებული შუასაუკუნეებით დათარიღებული ძეგლებისათვის. შესაბამისად შეგვიძლია, აქ გათხრილი ძეგლები ახ.წ. XI-XIII სს-ით დავათარიღოთ. თეთრიწყაროს რ-ნში მრავლადაა გამოვლენილი სინქრონული ნამოსახლარები: ნაჭივჭავები, ნადარბაზევი, რომლებიც თავისი გეგმარებით, სახლმშენებლობის ტექნიკით, ახლოს დგას ჩვენს მიერ გათხრილ სახლებთან [გძელიშვილი 1954].

ელინისტური ხანის ნამოსახლარი III და IV უბანზე გაითხარა (№№ 9,10 სათავსო). № 9 სახლში გაიწმინდა ხოვლური ტიპის პურის საცხობი ღუმელი, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. XIV-II სს-ს მოიცავს. ისინი გვხვდება გვიანბრინჯაო-რკინის ხანიდან მოყოლებული ელინისტური ხანის ჩათვლით. ელინისტური ხანის ღუმელები დადასტურდა ციხიაგორაზე, თელათგორზე, ნასტაკისში, მჭადიჯვარში [ცქიტიშვილი 1977; Бохочадзе и др. 1982; Цкитишвили и др. 1991]. ელინისტური ხანის ძეგლებზე დადასტურებული პურის საცხობი ღუმელები გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ღუმელების ანალოგიურია, რაც უწყვეტი კულტურული ტრადიციების არსებობაზე მიუთითებს.

სახლებში ძირითადად გვხვდება მოყავისფროდ, მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი: ქოთნები (ტაბ. $VII_{30\text{-}34,38,41,42,44}$), ხელადები (ტაბ. $VII_{28,36,39}$), ჯამ-ფიალები (ტაბ. $VII_{13\text{-}15,17\text{-}22,24\text{-}26}$), კოჭბები, დერგი (ტაბ. VII_{29}), ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტები (ტაბ. $VII_{45,46}$) და სასმისი (ტაბ. $VII_{37,40}$). კერამიკის აბსოლუტური უმრავლესობა მოწითალოდაა გამომწვარი. მათი ნაწილი წითელი ან და ყავისფრი საღებავითაა შეღებილი (ტაბ. $VII_{14,15,19,24,26,30,40}$), გვხდება მოხატული ცალებიც (ტაბ. $VII_{1\text{-}12}$).

წითლად და ყავისფრად მოხატული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები III და IV უბნებზე გავლებულ თხრილებშიც მრავლად აღმოჩნდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ I და II უბნებზე გათხრილი შუა საუკუნეების ეპოქის სახლებთან გაჭრილ ზოგიერთ თხრილში დადასტურებულია ელინისტური ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. $IX_{31,32}$), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ელინისტური ხანის დასახლება ამ ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა. გარდა ამისა, № 9 სახლის გათხრისას აღმოჩენდა რკინის მოხრილი დანა (ტაბ. VII_{27}), და რიყის ქვის სალესი. საყურადღებოა № 9 სახლის აღმოსავლეთ კედელთან გამოვლენილი ორყურა დერგი (ტაბ. VII_{43}; X_{23}), რომელშიც ჩვილი ბავშვის ჩონჩხი დადასტურდა. ორყურა დერგებში ჩვილი ბავშვების დაკრძალვა ქართლის ელინისტური ხანის არაერთ ძეგლზე გვხვდება [ჭილაშვილი 1964: 44; Бохочадзе и др. 1982].

III-IV უბნებზე გათხრილ მე-9 და მე-10 სახლებში გამოვლენილ არქეოლოგიური მასალას, ძირითადად კერამიკულ ნაწარმს, პარალელები ეძებნება ქართლის ელინისტური ხანის ძეგლებზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მონაპოვართან [Нариманишвили 1991], რაც საშუალებას გვაძლევს, ამ უბანზე გათხრილი ძეგლები ძვ.წ. III-I სს-ით დავათარიღოთ.

ექსპედიციის მიერ გათხრილი მეორე ძეგლი მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, თბილისი-კოდა-წალკა-ახალქალაქის საავტომობილო გზის 87.620 კმ-ზე. ობიექტი წარმოადგენდა ყორღანული ტიპის ყრილს (ტაბ. V_4), რომელიც ქ. წალკიდან 5.0 კმ-ის და სოფ. ხადიკიდან კი 1.0 კმ-ს დაშორებით, გზის მარცხენა ნაპირზე იყო განლაგებული. მისი GPS კოორდინატებია: X – 419172, Y – 4605806. ყრილის სიმაღლე 2.1 მ-ს, დიამეტრი კი 12.5 მ-ს უდრის. გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ძეგლი სამჯერ ყოფილა დაზიანებული. მას პირველად საავტომობილო გზის გაყვანისას ჩამოაჭრეს ჩრდილოეთი ნაწილი, XX ს-ის 50-იან წლებში კი წყალსადენის გაყვანისას ცენტრალური ნაწილი ჩაუჭრიათ, მესამედ 2009 წელს ისევ გზის გაფართოებისას დაინგრა. გათხრებით მხოლოდ ყორღანის ყრილის სამხრეთი ნაწილი დაფიქსირდა. სამარხი კამერის სავარაუდო ადგილას ობსიდიანის რამდენიმე ანატკეცი დაფიქსირდა. ყორღანი, როგორც ჩანს, ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნებოდა.

R. Davlianidze, B. Murvanidze, N. Shanshashvili, M. Kvachadze, G. Narimanishvili

ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS IN THE VILLAGE OF KHADIK AND IN THE BZISTSQALI VALLEY

Summary

In 2009 the Trialeti archaeological Expedition conducted field work in the Khadik village of Tsalka municipality and in the Bzistsqali valley, and in the environs of v. Akhalsopeli of Tetritsqaro municipality. The excavations were connected with the rehabilitation of the Tbilisi-Koda-Tsalka-Akhalkalaki motorway, according to a contract concluded between the Department of Georgian Motorways and the Georgian National Museum. The work was founded by the "Fund – Millennium Challenge to Georgia".

The former settlement of Akhalsopeli lies at the 55th km of the motorway. The settlement had been on the north slope, on a field hemmed in by deep ravines from the east, south and west.

Archaeological work was carried out on four plots. 10 houses and 17 household economy pits were excavated. Two construction layers were attested on the site: Hellenistic (3rd-1st cent. BC) and developed Middle Ages (11th-13th cent.). House 9 excavated on plot III and house 10 on plot IV belong to the Hellenistic period. A child's burial brought to light near house 9 belongs to the same period. The medieval (II) layer is represented by two construction levels. However, the identicalness of the material discovered in them precludes chronological differentiation. To level **a** belong houses 5, 7 and household pits 7-15, and to level **b** houses 3, 4, 6. In houses 1-2 construction levels are not identifiable. Neither the stratigraphy of pits 1-6 proved feasible.

The second site excavated by the expedition lies at the 87.620 km of the Tbilisi-Koda-Tsalka-Akhalkalaki motorway, on the territory of Tsalka municipality. It was a barrow-like embankment, lying within 5.0 km of Tsalka and 1.0 km of v. Khadik, on the left side of the road. The height of the embankment is 2.1 m, diameter 12.5 m. The excavations showed that the barrow had been damaged earlier too. Only the southern part of the barrow was identified. A few pieces of obsidian flakes were found on the presumable place of the burial chamber. The barrow appears to have belonged to the Bronze Age.

ლიტერატურა

არჩვაძე თ., ჩიკოიძე ც., ჩხატარაშვილი მ. 2005: რუსთავში გათხრილი საერო სასახლე. (რუსთავი, ტ. III). თბილისი.

გძელიშვილი ი. 1954: თეთრიწყაროს რ-ნის ნასოფლარები. – სმამ, ტ. XV, № 5, 311-319

მასალები ... I, 1964: მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წ. I, თბილისი.

მელიქსეთ-ბეგი ლ. 1938: მეგალითური კულტურა საქართველოში. თბილისი.

შოშიაშვილი ნ. 1980: ლაპიდარული წარწერები, ტ. I. თბილისი.

ცქიტიშვილი გ. 1977: კავთისხევის ციხიაგორა. – ძმ, № 46, 51-55.

ჭილაშვილი ლ. 1964: ურბნისი. თბილისი.

ხარაძე კ. 1991: ქვემო ქართლი. თბილისი.

Давлианидзе Ц. 1977: О некоторых неопубликованных материалах раннеантичной эпохи из Юго-восточной Грузии. – КСИА № 151, 122-126.

Бохочадзе А., Мирианашвили Н., Нариманишвили Г., Надибаидзе М., Карая К., Сургуладзе В. 1982: Настакисская археологическая экспедиция Мцхетского района. – ПАИ в 1980 году, 44-51.

Нариманишвили Г. 1991: Керамика Картли V-I вв. до н.э. Тбилиси.

Такаишвили Е. 1913: Археологические экскурсии, разыскания и заметки. – ИКОИМАО, вып. III, Тифлис.

Цкитишвили Г., Гветадзе Д., Квиташвили Р., Махарадзе З., Казахишвили Л. 1991: Экспедиция Каспского района. – ПАИ в 1986 году, 65-68.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – ახალსოფლის ნამოსახლარის ტოპოგეგმა.

ტაბ. II – უბანი I: 1-2. №№ 1-2 სახლები და №№ 1-6 ორმოები, გეგმა და ჭრილი; 3. №№ 3-6 ორმო, გეგმა და ჭრილები; 4. მინის სადნობი სახელოსნო (№ 1 სახლი), გეგმა და ჭრილები.

ტაბ. III – უბანი II: 1. სახლი № 7; 2. სახლი № 4; 3. სახლი №3; 4. სახლი № 6; 5. სახლი № 8, დეტალი; 6. სახლი № 5, ორმო № 15.

ტაბ. IV – უბანი II: 1. №№ 3-8 სახლები, I (ზედა) სამშენებლო დონე, გეგმა და ჭრილები; 2. №№ 3-8 სახლები, II (ქვედა) სამშენებლო დონე, გეგმა და ჭრილები.

ტაბ. V – 1. უბანი III, სახლი № 9, გეგმა და ჭრილი; 2. უბანი IV, სახლი № 10, გეგმა და ჭრილი; 3. უბანი III, სახლი № 9, ღუმელი, გეგმა და ჭრილი; 4. ხადიკის ყორღანი, გეგმა და ჭრილები.

ტაბ. VI – 1. უბანი I, სახლი № 1, მინის სადნობი სახელოსნო; 2,4,5. უბანი III, სახლი № 9, ხედი აღმოსავლეთიდან; 3. უბანი I, № 4-6 ორმოები; 6,7. უბანი IV, სახლი № 10, დეტალი.

ტაბ. VII – ნამოსახლარზე მოპოვებული მასალა: 1-22,37,45,46. უბანი IV, სახლი № 10; 23-36,38-42,44. უბანი III, სახლი № 9; 43. უბანი III, სამარხი დერგი.

ტაბ. VIII – ნამოსახლარზე მოპოვებული მასალა. II უბანი: 1-6,9,10,12,15,16,19,20,30. სახლი №3; 7,8,11,13,14,17,18. სახლი №4; 27,33. №3 სახლი, №7 ორმო; 28,31-32. №3 სახლი, №8 ორმო; 29,34-36. №3 სახლი, №12 ორმო; 39. № 3 და № 4 სახლების კედლებს შორის; 40,42,43. №5 სახლი, №14 ორმო; 44. № 6 სახლი. III უბანი: 38. № 9 სახლი.

ტაბ. IX – ნამოსახლარზე მოპოვებული მასალა. II უბანი: 1. VI თხრილი; 2-5. V თხრილი; 6-24,27,28,42-44. ზედაპირულად მოპოვებული მასალა; 25,31-33. IV თხრილი; 26,29. VIII თხრილი. I უბანი: 30. III თხრილი; 34,35. № 4 ორმო; 36,37. ზედაპირულად მოპოვებული მასალა; 38. № 2 სახლი; 39. №3 ორმო; 40,41. № 1 ორმო.

ტაბ. X. ნამოსახლარზე მოპოვებული მასალა: 1,7,8,14-22. IV უბანი, №10 სახლი; 2,3. II უბანი, № 3 სახლი, № 7 ორმო; 4,10,11. I უბანი, № 1 სახლი; 5,6 II უბანი, № 3 სახლის ქვაყრილში; 9,13. III უბანი, № 9 სახლი; 12. II უბანი, № 5 სახლი; 23. III უბანი, № 9 სახლის აღმოსავლეთით; 24. I უბანი, № 6 ორმო.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – Topographical plan of the Akhalsopeli site.

Pl. II – Plot I: 1, 2. Houses 1, 2 and pits 1-6, plan and section; 3. Pits 3-6, plan and section; 4. Glass foundry workshop (house 1), plan and sections.

Pl. III – Plot II: 1. House 7; 2. House 4; 3. House 3; 4. House 6; 5. House 8, detail; 6. House 5, pit 15.

Pl. IV – 1. Plot II: 1. Houses 3-8, I (upper) construction level, plan and section; 2. Houses 3-8, II (lower) construction level, plan and sections.

Pl. V – 1. Plot III, house 9, plan and section; 2. Plot IV, house 10, plan and section; 3. Plot III, house 9, oven, plan and section; 4. The Khadik barrow, plan and sections.

Pl. VI – 1. Plot I, house 1, glass-foundry workshop; 2, 4, 5. Plot III, house 9, view from the east; 3. Plot I, pits 4-6; 6-7. Plot IV, house 10, detail.

Pl. VII – material obtained on the site: 1-22, 37, 45-46. Plot IV, house 10; 23-36, 38-42, 44. Plot III, house 9; 34. Plot III, burial pitharion.

Pl. VIII – material obtained on the site. Plot II: 1-6, 9-10, 12, 15-16, 19-20, 30. House 3; 7-8, 11, 13-14, 17-18. House 4; 27, 33. House 3, pit 7; 28, 30-32. House 3, pit 8; 29, 34-36. House 3, pit 12; 39. Between the walls of the houses 3 and 4; 40, 42-43. House 5, pit 14; 44. House 6. Plot III: 38. House 9.

Pl. IX – material obtained on the site. Plot II: 1. Trench VI; 2, 5. Trench V; 6-24, 27-28, 42-44. Material gathered on the surface; 26, 29. Trench VIII. Plot I: 30. Trench III; 34-35. Pit 4; 36-37. Material gathered on the surface; 38. House 2; 35. Pit 3; 40-41. Pit 1.

Pl. X – material obtained on the site: 1, 7-8, 14-22. Plot IV, house 10; 2-3. Plot II, house 3, pit 7; 4, 10-11. Plot I, house 1; 5-6. Plot II, stone pile of house 3; 9, 13. Plot III, house 9; 12. Plot II, house 5; 23. Plot III, eastward of house 9; 24. Plot I, pit 6.

ტაბ. I





1 : 1



1



1 : 1



2



1 : 1

2 : 2



3



1 : 1



2 : 2



4

ტაბ. III

1

2

3

4

5



6

7


1 : 1
2 : 2
3 : 3
±0 -100
±0 -100
±0 -200
0 50 100 150
2


1 : 1
2 : 2
3 : 3
4 : 4
±0 -70
±0 -200
±0 -200
±0
0 50 100 150
1


1 : 1
0 50 100 150
1
1 : 1
0 50 100 150
2
1 : 1
0 20 40 60
3


R 126;±0.00
R126 ±0.00
±0.00
-0.80
-2.40
-3.60
4

1

2



3



4

5

6

7

ტაბ. VII



ტაბ. IX


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24

გოდერძი ნარიმანიშვილი, რევაზ დავლიანიძე, ბიძინა მურვანიძე, მარინე კვაჭაძე, ნინო შანშაშვილი

არქეოლოგიური გათხრები სოფ. საყდრიონში

არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს ქვემო ქართლში, თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქ. წალკიდან 25 კმ-ზე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. რელიეფი, რომელზეც განლაგებულია ნამოსახლარი, წარმოადგენს ქანობს, რომელიც დაფერდებულია ჩრდილოეთისაკენ და მდ. ქციის მარჯვენა ნაპირს ებჯინება. ნამოსახლარი ზღვის დონიდან 1520 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს (ტაბ. I_1). ძეგლი წარმოადგენს ანტიკური ხანით დათარიღებულ ნამოსახლარს, რომელიც გაშენებული ყოფილა დღევანდელი სოფ. ედი-ქილისას (ამჟამად საყდრიონი ჰქვია) დასავლეთით, მდ. ქციას მარჯვენა ნაპირზე. აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე მისი სიგრძე უდრის 1000 მეტრს, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 800 მეტრს აღემატება (ტაბ. I_2). არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა „სამცხე-ჯავახეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტის“ ფარგლებში, ამ გზის 95-ე კმ-ზე. სამუშაოები დაფინანსდა სსიპ „ფონდი – ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მიერ.

სოფ. საყდრიონი (ედი-ქილისა) მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. სოფელში კულტურული მემკვიდრეობის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი მდებარეობს, თუმცა სოფლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები დღემდე არ ჩატარებულა. ედი-ქილისას ნამოსახლარის გათხრა 2009 წლის 17 ივნისს დაიწყო და 30 ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა. სულ გაითხარა 180 კვ. მ. ფართობი. ნამოსახლარი ჩვენს მიერ შესასწავლად შერჩეულ ფართობს დიდად სცილდება და დაახლოებით 30 ჰა ფართობს მოიცავს. გასათხრელი ფართობი დაიყო კვადრატებად, დაინომრა 40 კვადრატი, რომელთა ზომებია 3ჩ3 მ (ტაბ. II_1). საველე და ლაბორატორიულ სამუშაოებში მონაწილეობდნენ: ნარიმანიშვილი გოდერძი – ხელმძღვანელი; მურვანიძე ბიძინა – არქეოლოგი; შანშაშვილი ნინო – არქეოლოგი; დავლიანიძე რევაზი – ასისტენტი; კვაჭაძე მარინე – ასისტენტი; თევზაძე ალექსანდრე – ტოპოგრაფი; ტატიშვილი გიორგი – მხატვარი; ხუციშვილი მანანა – ასისტენტი; ჯორბენაძე ხათუნა – ასისტენტი; ესვანჯია ინგა – არქიტექტორი, ელზა კოწოწაშვილი - სტუდენტი და 12 მუშა. გათხრების შედეგად გამოვლინდა 3 ნაგებობა და 12 სამეურნეო ორმო.

სახლი № 1 მდებარეობს მე-6-11, 26-29 კვადრატებში (ტაბ. $II_{1,4}$). გაითხარა ნაგებობის ჩრდილოეთი ნაწილი, ხოლო სამხრეთი ნაწილი გაუთხრელ ფართობში შედის (ტაბ. III_1). სახლი ნაგებია დიდი და საშუალო ზომის ბაზალტის ფლეთილი ქვებით. ჩრდილოეთის კედლის სიგრძეა 10.80 მ, უდიდესი სისქე 1.20 მ, ხოლო უმცირესი – 0.60-0.70 მ-ის ტოლია. კედლის სიმაღლე დასავლეთ ნაწილში 1.40 მ-ია, აღმოსავლეთ ნაწილში – 1.10 მ. შემორჩენილია კედლის წყობის 5-6 რიგი. დასავლეთ კედლის დაფიქსირებული სიგრძე 0.70 მ-ია, სისქე – 0.80 მ, სიმაღლე 1.40 მ-ის ტოლია. შემორჩენილია კედლის წყობის 7 რიგი. აღმოსავლეთ კედლის სიგრძე 3.40 მ-ია, სისქე – 0.80 მ, სიმაღლე – 1.10 მ. შემორჩენილია კედლის წყობის 3 რიგი (ტაბ. II_4). ნაგებობას აქვს თიხატკეპნილი და ბრტყელი მასიური ქვებით მოგებული იატაკი. ქვაფენილის ზომებია: სიგრძე – 5.40 მ, სიგანე – 2.20 მ (ტაბ. III_2). სახლის დასავლეთ კედელთან გაითხარა შეწირული ორი გოჭის სრული ჩონჩხი, ერთი მოთავსებული იყო ბაქნისებურ შემაღლებაზე (ტაბ. IV_2), ხოლო მეორე იქვე არსებულ ჩაღრმავებაში (ტაბ. IV_3). ორივე გოჭთან დაფიქსირდა თიხის საკიდები (ტაბ. $VI_{19,20}$). სახლის აღმოსავლეთ კედელთან დაფიქსირდა ძლიერ დაზიანებული სამეურნეო ღუმელი, რომლის ზომებია: 0.80ჩ0.80 მ-ზე (ტაბ. IV_1). ღუმელზე აღმოჩნდა მცირე ზომის ჭრაქი (ტაბ. VI_1 ; VIII_9), იქვე დაფიქსირდა კეცისებრი ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. VI_{10} ; $VIII_{1,2}$). სახლში გაითხარა 4 ორმო: № 9 ორმო მდებარეობს მე-7 კვადრატში ღუმელის გვერდით. ორმოს აღმოსავლეთი ნაწილი შედის სახლის კედლის ქვეშ. ორმოს დმ-ია 0.50 მ, ხოლო სიღრმე – 0.40 მ. № 10 ორმო მდებარეობს მე-8 კვადრატში, ნაგებობის ჩრდილოეთ კედელთან და ნაწილობრივ შედის კედლის ქვეშ. ორმოში ჩაწოლილი იყო ქვაფენილის ფილები. ორმოს დმ 0.70 მ-ია, სიღრმე კი 0.70 მ-ის ტოლია. № 11 ორმო მდებარეობს მე-9,10 კვადრატების საზღვარზე, ნაგებობის დასავლეთ ნაწილში. ორმოს დმ-ია – 1.05 მ, სიღრმე – 1.00 მ. № 12 ორმო მდებარეობს მე-7 კვადრატში, ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილში. ორმოში ჩაწოლილი

იყო ქვაფენილის ფილები. ორმოს პირის დმ – 1.15 მ, სიღრმე – 1.25 მ (ტაბ. II_4).

№ 1 სახლის იატაკზე აღმოჩნდა: ქვევრის, ქოცოს, დერგის (ტაბ. $VII_{22,23,25,28-30}$), ქოთნის (ტაბ. $VII_{31-33,36}$), კოჭობის, ქილის (ტაბ. $VII_{34,37}$), დოქის, ხელადის, ჯამის (ტაბ. $VIII_{25-35,44}$), ფიალის (ტაბ. VIII_{37-39}), ტაფისებრი ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. $VIII_{1,2}$). ჭურჭლების უმტესობას ღია ფერის კეცი აქვს, ნაწილი კი შავად არის გამომწვარი. ღია ფერის ჭურჭლების ნაწილი შეღებილი (ტაბ. $VIII_{33,38}$) ან მოხატულია (ტაბ. VIII_{17-22}) წითელი ან ყავისფერი საღებავით, ხოლო ზოგიერთი ჭურჭლის ზედაპირი დაფარულია მოთეთრო-მოყვითალო ანგობით (ტაბ. VII_{26}). კერამიკული ნაწარმის ზედაპირი კარგადაა გაპრიალებული. ზედაპირი შემკულია რელიეფური ან ამოღარული ორნამენტით, გვხვდება ირიბნაჭდევებიანი ცალებიც (ტაბ. IX_{2-8}). აქვე აღმოჩნდა ობსიდიანის ანატკეცები, რიყის ქვის სასრესები და ბაზალტის ხელსაფქვავები (ტაბ. $VIII_{50,52}$).

სახლი № 2 მდებარეობს მე-4-6, 24-26 კვადრატებში, № 1 სახლის აღმოსავლეთით (ტაბ. II). ძლიერაა დაზიანებული, შემორჩენილია მხოლოდ ნაგებობის აღმოსავლეთის კედლის ნაწილი, რომლის სიგრძეა – 2.40 მ, სისქე 0.30-0.35 მ. დაფიქსირდა კედლის წყობის 3 რიგი, რომლის უდიდესი სიმაღლეა 0.50 მ. № 2 სახლის იატაკზე დაფიქსირდა სხვადასხვა კერამიკის ფრაგმენტები : დერგი (ტაბ. $VII_{35,39,42,51}$), ქვევრი (ტაბ. $VII_{45,50}$), ჯამი (ტაბ. $IX_{20,25,33,34}$), დოქი (ტაბ. IX_{48}), ქოთანი (ტაბ. $IX_{53,56}$) და საკიდი თიხის (ტაბ. VIII_{11}). თიხის ჭურჭლის გარდა აღმოჩნდა: ობსიდიანის ნუკლეუსი; წვრილფეხა საქონლის ფალანგისაგან დამზადებული საკიდი (ტაბ. VIII_7); სამაჯური, ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი, რკალგახსნილი (ტაბ. VI_7); ბრინჯაოს რგოლი (ტაბ. VI_6).

სახლი № 3 მდებარეობს მე-14, 15, 16 კვადრატებში (ტაბ. $II_{1,3}$; $V_{1,2}$). ძლიერაა დაზიანებული. შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთი კედელი. კედლის სიგრძე – 4.50 მ. შესასვლელის სიგანე 1.0 მ. სახლის იატაკზე აღმოჩნდა: დერგი (ტაბ. VIII_{53}), ქოთანი (ტაბ. VIII_{55}), ჯამი (ტაბ. $VIII_{40,41,43,45-47}$), დოქი (ტაბ. VIII_{36}), სადღვებელი (ტაბ. VIII_{24}). აქვეა წითლად მოხატული კერამიკის ფრაგმენტები (ტაბ. $VIII_{15,16}$)

ნამოსახლარზე სახლების გარდა თორმეტი სამეურნეო ორმო გაითხარა: ორმო № 1 მდებარეობს 1,2,21,22-ე კვადრატების საზღვარზე (ტაბ. II_1). ორმოს დმ 2.20 მ-ია, სიღრმე – 1.10 მ. ორმოში აღმოჩნდა დერგის (ტაბ. $VII_{1,4,10}$), ქოთნის (ტაბ. $VII_{7,13,18}$), დოქის (ტაბ. IX_{58}), ჯამის (ტაბ. $IX_{19,27,28}$) და ფიალის (ტაბ. IX_{45}) ნატეხები. ისინი მონაცრისფროდ, მოყავისფროდ, მოყვითალოდ, შავად და წითლადაა გამომწვარი. ჭურჭლების ნაწილი წითელი საღებავითაა შეღებილი ან მოხატულია. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ინვენტარისა ორმოში აღმოჩნდა: 1. სადგისი, ძვლის, დამზადებულია ცხენის მეტაპოდიუმის გადანატეხზე (ტაბ. VIII_4); 2. სადგისი, ძვლის, დამზადებულია ლულოვანი ძვლის კარგად გაპრიალებულ ფრაგმენტზე (ტაბ. VIII_3); 3. სადგისი, ძვლის, დამზადებულია ლულოვანი ძვლის ფრაგმენტზე (ტაბ. VIII_5); 4. ირმის რქის მორჩი, კარგად გაპრიალებული ზედაპირით (ტაბ. VIII_6); 5. შავი ობსიდიანის ანატკეცი; 6. სასრესი, ქვის (ტაბ. VIII_{52}); 7. ხელსაფქვავის ზედა ქვა, ბაზალტის, გვერდებზე ხელის ჩასაჭიდი თითო ღრმულია ამოჭრილი (ტაბ. VIII_{48}); 8. ხელსაფქვავის ზედა ქვა, ბაზალტის, გვერდებზე ხელის ჩასაჭიდი თითო ღრმულია ამოჭრილი (ტაბ. VIII_{49}); 9. სანაყი ფრაგმენტული, ბაზალტის (ტაბ. VIII_{51}).

ორმო № 2 მდებარეობს მე-2, 22 კვადრატების საზღვარზე. ორმოს პირის დმ 0.70 მ, ძირის დმ – 0.80 მ, სიღრმე – 0.75 მ. **ორმო № 3** მდებარეობს 1, 21-ე კვადრატების საზღვარზე. ორმოს პირის დმ 1.00 მ, ძირის დმ – 0.60 მ, სიღრმე – 0.80 მ. **ორმო № 4** მდებარეობს 23-24-ე კვადრატებში. ორმოს პირის დმ 1.10 მ, ძირის დმ – 1.25 მ, სიღრმე – 1.30 მ. **ორმო № 5** მდებარეობს მე-5 კვადრატში. ორმოს პირის დმ 1.30 მ, ძირის დმ – 1.45 მ, სიღრმე – 1.00 მ. **ორმო № 6** მდებარეობს 25-ე კვადრატში. ორმოს პირის დმ 1.10 მ, ძირის დმ – 1.05 მ, სიღრმე – 1.10 მ. ორმოში აღმოჩნდა მოჩალისფრო-მოწითალოდ გამომწვარი და წითელი საღებავით მოხატული თიხის ჭურჭლის ნატეხი. **ორმო № 7** მდებარეობს მე-5 კვადრატში. ორმოს პირის დმ 0.90 მ, ძირის დმ – 1.40 მ, სიღრმე – 1.40 მ. ორმოში აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის კოჭი. **ორმო № 8** მდებარეობს მე-17 კვადრატში. ორმოს პირი კვადრატული აქვს (1.05 მ), ხოლო სიღრმე 1.25 მ-ის ტოლია. ყველა ორმოში შავად, მოწითალოდ და მოყავისფროდ გამომწვარი სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა.

ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ჭურჭლების ერთი ჯგუფი განლექილი თიხისაა, თხელკედლიანია და ჩარხზეა დამზადებული, გამომწვარია შავად. მეორე ჯგუფის კერამიკაც კარგად განლექილი თიხისაგან არის დამზადებული, თხელკეციანია და წითლადაა გამომწვარი. ამ ჯგუფის კერამიკის ზედაპირი კარგადაა დამუშავებული – გაპრიალებულია ან შემკულია რელიეფური ორნამენტით. ასეთი კერამიკის ნაწილი წითელი საღებავითაა შეღებილი, ან მოხატულია. ნამოსახლარზე 300 მოპოვებული თიხის ჭურჭელი, დანიშნულების მიხედვით, სამ ძირითად

ჯგუფად იყოფა: 1. სამეურნეო; 2. სამზარეულო. 3. სუფრის. სამეურნეო ჭურჭლებია – ქოცო, დერგი. სამზარეულო ჭურჭლებიდან ნამოსახლარზე აღმოჩენილია – ქოთანი, ქილა, კოჭობი; ბადია. ამ ჯგუფის ყველა ჭურჭელს ეტყობა ცეცხლის კვალი. სუფრის ჭურჭელს მიეკუთვნება – დოქი, ხელადა, სასმისი, ჯამი, ფიალა.

სამეურნეო დანიშნულების ქვის იარაღები ნამოსახლარზე გათხრილ ყველა სახლში დაფიქსირდა. ისინი ძირითადად ტუფის, ბაზალტის და რიყის ქვისაგანაა დამზადებული. ამ სახეობის იარაღებიდან გვხვდება სანაყები, ხელსაფქვავები და სასრესები.

სამკაულიდან ნამოსახლარზე აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯური და რგოლი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ცხოველის ლულოვანი ძვალისაგან და თხის რქისაგან დამზადებული სამეურნეო დანიშნულების იარაღები. სარიტუალო დანიშნულების ნივთებიდან აღსანიშნავია ღორის ფალანგაზე დამზადებული ამულეტი და თიხისაგან დამზადებული საკიდები.

ოსტეოლოგიური მასალა მიუთითებს, რომ ნამოსახლარზე მცხოვრებთა ძირითად საკვებს წარმოადგენდა ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები, რაზეც მეტყველებს აქ აღმოჩენილი შინაური ცხოველების მრავალრიცხოვანი ძვლოვანი ნაშთი. ნამოსახლარზე დადასტურებულია: ქათამი, ღორი, ცხვარი, თხა და მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და თევზის ერთი მალა.

დასკვნა-შეჯამება. ნამოსახლარის გათხრილი ფართობი 180 კვ.მ-ია. გამოვლენილია 3 ნაგებობა და 12 სამეურნეო ორმო; მოპოვებულია 1280 არტეფაქტი, რომელთაგან 300 თიხის ჭურჭელია, ლითონის 2 ნივთი; ქვის 8 იარაღი.

ნამოსახლარის თავზე არსებული ნიადაგის ჰუმუსურ ნაწილში გვიანანტიკური ხანის (ახ.წ. I-III სს.) არტეფაქტები გვხვდება. ამ ადგილზე ჰუმუსური ფენა სახნავია და შესაბამისად აქ აღმოჩენილი არტეფაქტები კულტურულ ფენას არ მიეკუთვნება.

ედი-ქილისას ნამოსახლარი ორ კულტურულ ფენას და რამდენიმე სამშენებლო ჰორიზონტს შეიცავს. ზედა ფენა ელინისტურ ეპოქას (ძვ.წ. III-I სს.) მიეკუთნება, ქვედა ფენა კი ძვ.წ. V-IV სს. თარიღდება.

ნამოსახლარის სტრატიგრაფიის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ტერიტორიაზე დასახლება ძვ.წ. V-I სს-ში არსებობდა. რაც შეეხება გვიანანტიკური ხანის არტეფაქტებს, ისინი აშკარად გადაადგილებულია. ამ ეპოქის დასახლება შეიძლება ბორცვის თხემზე იყოს.

ნამოსახლარის გათხრილ ნაწილში ყველაზე უკეთაა შემორჩენილი № 1 სახლი. მისი აღმოსავლეთი კედელი აზიანებს № 2 სახლის დასავლეთ კედელს. № 2 სახლი ძლიერაა დაზიანებული. ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლები საერთოდ არ არის შემორჩენილი. ჩრდილოეთის კედელი შესაძლოა საავტომობილო გზის მშენებლობის დროს, 2009 წელს განადგურდა, რაც შეეხება აღმოსავლეთის კედელს, ის № 1-3 სამეურნეო ორმოების მიერაა დაზიანებული. № 2 სახლის იატაკი მიწის ზედაპირიდან 0.5 მ სიღრმეზე გამოვლინდა. ამავე სიღრმეზეა № 3 სახლის იატაკი. № 1 სახლის იატაკი მიწის თანამედროვე ზედაპირიდან უფრო ღრმად, 1.1 მ-ზე მდებარეობს. № 1 სახლში ოთხი ორმო (№№ 9-12) გაითხარა, რომლებიც სახლზე უფრო ადრეულებია. № 9 ორმოს ნაწილობრივ ფარავს ღუმელი და აღმოსავლეთის კედელი; № 12 ორმოზე გადადის ქვის ფილებით მოგებული იატაკი; № 10 ორმოს თავზე კი სახლის ჩრდილოეთი კედელია გამართული. № 2 და № 3 სახლების იატაკების ერთ დონეზე განლაგება და მათში აღმოჩენილი მასალების იდენტურობა ამ სახლების თანადროულობაზე მიუთითებს. სტრატიგრაფია კი გვიჩვენებს, რომ № 1 სახლი მათზე ახალგაზრდაა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ზედა კულტურული ფენას (I ფენა) მიეკუთვნება №№ 1-3 და 8 სამეურნეო ორმოები; № 1 (ქოთანი – ტაბ. $VII_{6,9,12}$; ხელადა – ტაბ. $VII_{15,17,20}$; ჯამი – ტაბ. $IX_{17,18,21,22,24,26,29,32,40,41}$; ტაფისებური ჭურჭელი – ტაბ. IX_{16}) და № 2 სახლების (დერგი – $VII_{46,48}$; ჯამი ტაბ. $IX_{23,30,36,37,43}$; ფიალა – ტაბ. $IX_{42,46}$) ზედა დონეზე, კედლების ნანგრევების თავზე აღმოჩენილი მასალები.

ქვედა ფენაში (II ფენა) სამი დონე გამოიყოფა: A დონეს შეესაბამება № 1 სახლი. B დონეს მიეკუთვნება № 2 და № 3 სახლები და №№ 4-7 სამეურნეო ორმოები. ქვედა, C დონე წარმოდგენილია № 1 სახლის იატაკის ქვეშ გათხრილი №№ 9-12 სამეურნეო ორმოებით.

ნამოსახლარის ზედა, I ფენა ძვ.წ. III-I სს-ს მიეკუთვნება. II ფენა კი ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდება. ედი-ქილისას ნამოსახლარის თარიღი კულტურულ ფენებში მოპოვებული მასალების ანალიზის შედეგადაა დადგენილი. ნამოსახლარზე ძირითადად კერამიკული მასალაა მოპოვებული, რომლის კვლევა ჩვენს მიერ ადრე შესწავლილი თანადროული მასალების ფორმალურ-ტიპოლოგიურ და სტილისტურ ანალიზების შედეგებზეა დაფუძნებული [ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი 2002; Нариманишвили 1991; Narimanišvili 2000; Narimanishvili, Shatberashvili 2004].

ედი-ქილისას ნამოსახლარზე მოპოვებული მა-

სალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წითელი საღებავით შეღებილი და მოხატული კერამიკა. ედი-ქილისას ნამოსახლარზე ორი სტილის კერამიკა გვხვდება – სამკუთხედებიანი და სამადლოს სტილის კერამიკა [Narimanishvili, Shatberashvili 2004]. ქართლში სამკუთხედების სტილის კერამიკის გავრცელება აქემენიდური კულტურის გავლენით არის ახსნილი. ძვ.წ. V ს-ის მოხატული კერამიკა საქართველოს ტერიტორიაზე პირველად ქვემო ქართლში, 1947 წელს ბ. კუფტინის მიერ სოფ. კუშჩიში იქნა აღმოჩენილი [Куфтин 1948: 7-10], რომელიც ედი-ქილისას ნამოსახლარიდან სამიოდე კილომეტრითაა დაცილებული. XX ს-ის 50-იანი წლებიდან მოხატული კერამიკის მრავალი ნიმუში აღმოჩნდა [მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004; მახარაძე 1999; რამიშვილი 1998; რამიშვილი, წითლანაძე, ჯორბენაძე 1979; მახარაძე, ნარიმანიშვილი 2001; Macharadze 2000], გაითხარა მრავალფენიანი ნამოსახლარები, სადაც წითლად მოხატული კერამიკა დომინირებდა (ჩხიკვთა, თეთრიწყარო, შავსაყდარა, ეცო, ბეშთაშენი, უფლისციხე, სამადლო, ნასტაკისი, ციხიაგორა, ვარსიმაანთკარი და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. V-I სს-ის მოხატული კერამიკის უდიდესი ნაწილი მონოქრომულია. ნახატი წითელი საღებავითაა შესრულებული. პარალელურად გვხვდება თეთრი საღებავით მოხატული ჭურჭლები [Нариманишвили 1991]. სამკუთხედების სტილის მოხატულობა დატანილია ჭურჭლის გაპრიალებულ ან ანგობირებულ ზედაპირზე. დეკორის მთავარ დეტალს წარმოადგენს სამკუთხედების რიგი, რომლებიც ხშირად სხვა ორნამენტთან ერთად გვხვდება (თევზიფხური, ზიგზაგები, ჰორიზონტალური ხაზები), თუმცა ისინი მეორად დატვითვას ატარებენ. ძვ.წ. V ს-ის დასაწყისიდან ქართლის კერამიკაზე ირანული კერამიკის გავლენა შეინიშნება. ქართლის ტერიტორიაზე, მათ შორის დარაკოვის ნამოსახლარზე, გვხვდება ირანული სამყაროსათვის დამახასიათებელი სპეციფიკური, ჩაიდნისებური ჭურჭელი – იბრიყი. ვრცელდება წითელი საღებავით შეღებილი და მოხატული თიხის ჭურჭელი. ეს უკანასკნელი აქემენიდური ირანის ტერიტორიაზე გავრცელებული „სამკუთხედებით მოხატული“ კერამიკის გავლენითაა დამზადებული.

ჩვენს მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები მიუთითებენ, რომ ედი-ქილისას ანტიკური ხანის მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობას მისდევდა. ნამოსახლარის გათხრისას მრავლად იქნა აღმოჩენილი სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული იარაღები. სახლებსა და სამეურნეო ორმოებში აღმოჩენილი ხელსაფქვავები, სასრესები და სანაყები მარცვლეული კულტურების მაღალ განვითარებაზე მიუთითებს. ედი-ქილისას ნამოსახლარზე მცხოვრებთა ძირათად საკვებს წარმოადგენდა ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები, რაზეც მეტყველებს აქ აღმოჩენილი შინაური ცხოველების მრავალრიცხოვანი ძვლოვანი ნაშთი. ნამოსახლარზე ჩვენს მიერ დადასტურებულია: ქათამი, ღორი, ცხვარი, თხა, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. გარდა ამისა, ნამოსახლარის კულტურულ ფენებში აღმოჩნდა რომელიღაც ფრინველის რამდენიმე წვრილი ძვალი და თევზის ერთი მალა.

G. Narimanishvili, R. Davlianidze, B. Murvanidze, M. Kvachadze, N. Shanshashvili.

Archaeological Excavations in Saqdrioni Village

Summary

The archaeological site is situated within 25 km of Tsalka, on the territory of Tsalka municipality, on the southern slope of Trialeti ridge, Kvemo Kartli. The settlement lies at 1520 m a.s.l. It is a former settlement site dated to the Classical period, that had been situated to the west of today's v. Edi-Kilisa (at present called Saqdrioni), on the left bank of the Ktsia river. Along the EW line its length is 1000 m and more than 800 m along the NS line. The archaeological excavations were carried out within the Rehabilitation Project of the Samtskhe-Javakheti motorway. The work was financed by the "Fund – Georgia's Challenge of the Millennium".

An area of 180 sq.m was excavated at the Edi-Kilisa settlement. The settlement exceeds considerably the area chosen by us for study, embracing about 30 ha. 3 buildings and 122 pits have been brought to light; 1280 artefacts have been found, of which 300 are of clay, 2 metal items, and 8 stone tools.

Late Classical period (1st-3rd cent. BC) artefacts occur in the human part of the topsoil of the settlement. At the place the humus soil is arable and, accordingly the artefacts found here do not belong to the habitation layer.

The Edi-Kilisa site contains two habitation layers and several construction horizons. The upper layer (household-economy pits 1-3 and 8) belong to the Hellenistic period (3rd-1st cent. BC), while the lower layer is dated to the 5th-4th cent. BC. Three levels are identifiable in the latter: house 1 corresponds to level A; house 2 and 3, and household pits 4-7 belong to level B. The lower, level C is represented by household pits 9-12, dug under the floor of house 1.

The date of the Edi-Kilisa settlement site has been determined according to the material obtained from the habitation layers. Of the materials found at the site pottery painted red and adorned claims special attention. Pottery of two styles occurs at Edi-Kilisa site – triangled and Samadlo. The occurrence of pottery of triangle style is accounted for by the influence of Achaemenid culture.

ლიტერატურა

მარგიშვილი ს., ნარიმანიშვილი გ. 2004. ალგეთის ხეობის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

მახარაძე ზ. 1999. ახალი აღმოჩენები ციხიაგორაზე. – ძიებანი, № 4, 57-59.

მახარაძე ზ., ნარიმანიშვილი გ. 2001. ციხიაგორა აქემენიდურ ხანაში. – ძიებანი, № 7, 47-53.

ნარიმანიშვილი გ., შატბერაშვილი ვ. 2002. ძვ.წ. V-I სს წითლად მოხატული კერამიკა ქართლიდან (სტილისტური ანალიზი, ქრონოლოგიის საკითხები). – ძიებანი, № 9, 54-70.

რამიშვილი რ. 1998. იბერიის გარესამყაროსთან ურთიერთობის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების არქეოლოგიური მასალების მიხედვით. V სამეცნიერო სესია: მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო. მოხსენებათა თეზისები. თბილისი., 18-20.

რამიშვილი რ., წითლანაძე ლ., ჯორბენაძე ბ. 1979. ძვ.წ. VII-III სს. ძეგლები დუშეთის რაიონიდან. – ძმ, № 3(98), 12-14.

Куфтин Б. 1948. Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тбилиси.

Нариманишвили Г. 1991. Керамика Картли V-I вв. до нашей эры. Тбилиси.

Macharadze S. 2000. Neue Funde aus Zichia-Gora. – Archäologische mitteilungen aus Iran und Turan, band 32, Berlin, 143-158.

Narimanišvili G. 2000: Die keramik Kartlis (Iberiens) in achaimenidischer und postachaimenilischer Zeit. – Archäologische mitteilungen aus Iran und Turan, band 32, Berlin, 225-242.

Narimanishvili G., Shatberashvili V. 2004: Red-painted Pottery of the Achaemenid and Post-Achaemenid Periods from Caucasus (Iberia): Stylistic Analysis and Chronology. – Anceint Near Eastern Studies, vol. XLI, 120-166.

ტაბულების აღწერა

ტაბ. I – 1. ედი-ქილისას ნამოსახლარის საზღვრები; 2. ნამოსახლარის ტოპოგეგმა.

ტაბ. II – 1. ნამოსახლარის გენგეგმა; 2. № 2 სახლი, №№ 4-7 ორმოები, გეგმა და ჭრილები; 3. სახლი № 3; 4. სახლი № 1, გეგმა და ჭრილები.

ტაბ. III – 1-2. სახლი № 1.

ტაბ. IV – 1. სახლი № 1, ღუმელი; 2-3. სახლი № 1, გოჭების ჩონჩხი.

ტაბ. V – 1. № 3 სახლი, ხედი ჩრდილოეთიდან; 2. № 3 სახლი, ხედი აღმოსავლეთიდან.

ტაბ. VI – ედი-ქილისას ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალა: 1, 9-12, 16-17,19-21. № 1 სახლი; 2-5, 13, 22. № 1 ორმო; 6-7. № 2 სახლი; 8, 14. № 1 და № 3 სახლებს შორის (კვ. 11) მოპოვებული მასალა; 15, 18. № 4 ორმო.

ტაბ. VII – ედი-ქილისას ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალა: 1, 4, 7, 10, 13, 18. № 1 ორმო; 2, 5, 8, 11, 14, 16, 19. ზედაპირული მასალა 1-4 კვადრატებიდან; 3, 6, 9, 12, 15, 17,20. № 1 სახლი, I ფენა; 21. № 1 სახლი, № 10 ორმო; 22-26, 28-34, 36-37. № 1 სახლი იატაკის დონეზე; 27. № 1 სახლი, № 11 ორმო; 35, 39, 42, 45, 50, 51. № 2 სახლი, იატაკის დონეზე; 38, 40, 41, 43, 44, 47, 49, 52. ზედაპირული მასალა (კვ. 7-10); 46, 48. № 2 სახლი, იატაკის დონეზე.

ტაბ. VIII – ედი-ქილისას ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალა: 1-2, 8-9,17-22, 25-35, 37-39, 44, 50. № 1 სახლი, იატაკის დონეზე; 3-6, 48, 49, 51-52. № 1 ორმო; 7, 10-13. სახლი № 2, იატაკის დონეზე; 15, 16, 24, 36, 40, 41, 45, 46, 47, 53, 55. № 3 სახლი; 14, 23, 42, 54, 56, 57, 59-60, 58. № 1 და № 3 სახლებს შორის (კვ. 11,12) მოპოვებული მასალა.

ტაბ. IX – ედი-ქილისას ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალა: 1, 19, 27, 28, 45, 57, 58. № 1 ორმო; 2-8. № 1 სახლი; 9, 15, 31, 35, 49-50, 54. ზედაპირული მასალა (კვ. 1-4); 10, 11, 13. № 4 ორმო; 12, 23, 30, 36-37, 42-43, 46. № 2 სახლი, I ფენის მასალა; 14. № 6 ორმო; 16-18, 21-22, 24, 26, 29, 32, 40-41. № 1 სახლი, ზედა I ფენის მასალა; 20, 25, 33-34, 48, 53, 56. № 2 სახლის იატაკზე; 38, 44, 52. № 5 ორმო; 39, 47, 51. № 8 ორმო; 55. № 3 ორმო; 59-60. № 2 ორმო.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – 1. Limits of the Edi-Kilisa settlement site; 2. Topographical plan of the site.

Pl. II – 1. General plan of the site; 2. House 2, pits 4-7, with plan and sections; 3. House 3; 4. House 1, plan and sections.

Pl. III – 1-2. House 1.

Pl. IV – 1. House 1, stove; 2-3. House 1, skeletons of piglets.

Pl. V – 1. House 3, view from the north; 2. House 3, view from the east.

Pl. VI – Material discovered in Edi-Kilisa site: 1, 9-12, 16-17, 19-21. House 1; 2-5, 13, 22. Pit 1; 6-7. House 2; 8, 14. Material found between houses 1 and 3; 15, 18. Pit 4.

Pl. VII – Material discovered in Edi-Kilisa site: 1, 4, 7, 10, 13, 18. Pit 1; 2, 5, 8, 11, 14, 16, 19. Superficial material from squares 1-4; 3, 6, 9, 12, 15, 17, 20. House 1, layer 1; 21. House 1, pit 10; 22-26, 28-34, 36-37. House 1 at floor level; 27. House 1, pit 11; 35, 39, 42, 45, 50-51. House 2, at floor level; 38, 40-41, 43-44, 47, 49, 52. Surface material (squares 7-10); 46, 48. House 2, at floor level.

Pl. VIII – Material discovered in Edi-Kilisa site: 1, 2, 8-9, 17-22, 25-35, 37-39, 44, 50 House 1 at floor level; 3-6, 48-49, 51-52. Pit 1; 7, 10-13. House 2, at floor level; 15-16, 24, 36, 40-41, 45-47, 53, 55. House 3; 14, 23, 42, 54, 56-60. Material found between houses 1 and 3 (squares 11-12).

Pl. IX – Material discovered in Edi-Kilisa site: 1, 19, 27-28, 45, 57-58. Pit 1; 2-8. House 2; 9, 15, 31, 35, 49-50, 54. Surface material (squares 1-4); 10-11, 13. Pit 4; 12, 23, 30, 36-37, 42-43, 46. House 2, material of the layer I; 14. Pit 6; 16-18, 21-22, 24, 26, 29, 32, 40-41. House 1, material of the upper layer I; 20, 25, 33-34, 48, 53, 56. On the floor of house 2; 38, 44, 52. Pit 5; 39, 47, 51. Pit 8; 55. Pit 3; 59-60. Pit 2.

ცხრ. I


4607200
4607100
4607000
4606900
4606800
8411800
8411900
8412000
8412100
8412200
8412300
1
2
3
4
5
6
7
8
9
10

1


ზღ. ქცია
1 : 500
10 0 5 10 20 30 40 50

2


1
2
3
4
სახლი № 1
სახლი № 2
სახლი № 3
№1
№2
№3
№4
№5
№6
№7
№8
№9
№10
№11
№12
1 : 1
2 : 2
0 -90
0 -100
0 50 100 150

1

2

1

2

3

1

2



21



22

ტაბ. VII


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
45
46
47
48
49
50
51
52


1
2
0 4 8
3
4
5
6
7
8
0 2 4
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
0 2 4
24
0 4
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
0 2 4
45
46
47
48
49
50
0 10 20
51
0 5 10
52
53
54
55
56
57
58
59
60
0 2 4

ტაბ. IX


1
2
3
4
5
0 2 4
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
0 4 8
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
45
46
47
48
49
50
51
52
53
54
55
56
57
58
59
0 4 8
60

**დავით ლომიტაშვილი, ზურაბ თვალჭრელიძე, ნინო ქებულაძე,
ნიკოლოზ მურღულია, მარინე ბოკერია, ელისო ყვავაძე,
იან კოლვინი, პოლ ევერილი, ბენ ნილი, ჯეინ ტიმბი**

ქართულ-ინგლისური ექსპედიცია ნოქალაქევში 2008-2009 წლების სეზონის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში

ქართულ-ინგლისური ექსპედიცია ნოქალაქევის ნაქალაქარზე არქეოლოგიურ სამუშაოებს 2001 წლიდან აწარმოებს. განვლილი რვა სეზონის განმავლობაში არქეოლოგიური კვლევა ძიება მიმდინარეობს ნაქალაქარის ორ უბანზე – აღმოსავლეთ ჭიშკრის მიდამოებში (A თხრილი) და ორმოცმოწამეთა ეკლესიის ჩრდილოეთით (B თხრილი).

2008 წელს ექსპედიციამ გათხრები მხოლოდ A თხრილში (უბანი – XXX; ნაქალაქარის კვადრატი – F-2; GPS კოორდინატები: N 42˚21'26.1", E 42˚11'44.5") აწარმოა. სამუშაოები 5 ივლისიდან 29 ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა.[1]

2009 წლის სეზონში ექსპედიციის ერთმა ჯგუფმა სამუშაოები თხრილზე 29 ივნისიდან 30 ივლისამდე აწარმოა.[2]

გათხრები, ისევე როგორც წინა წლებში, სამეცნიერო კვლევა-ძიებასთან ერთად მოიცავდა სასწავლო კურსსაც, რომლის ფარგლებშიც საველე არქეოლოგიის 6 კვირიანი კურსი გაიარეს ქართველმა და ბრიტანელმა სტრუდენტებმა, მათ ხელმძღვანელობას უწევდნენ როგორც ქართველი არქეოლოგები (დ. ლომიტაშვილი, ნ. მურღულია), ისე, ბრიტანელი სპეციალისტები (პ. ევერილი, ქ. გრანტი, კ. რასელი).

2008-2009 წლებში A თხრილზე ძირითადი სამუშაოები წინა ორი სეზონის განმავლობაში გამოვლენილი ელინისტური ნაგებობების გაწმენდვა-დაფიქსირებას და აყრას დაეთმო.

წინა წლებში გამოვლენილი ელინისტური ნაგებობების გაგრძელებაზე გამოიკვეთა ოთხი ახალი კედლის ფრაგმენტი (ტაბ. I_{1-3}), რომლებიც კავშირში უნდა იყოს აღნიშნულ ნაგებობებთან (იხ. 2006 და 2007 წლების A თხრილის ანგარიშები).

2008-2009 წლებში გამოვლენილი ოთხი კედლის ფრაგმენტი, ისევე, როგორც წინა წლებში აღმოჩენილი ნაგებობები, საერთო სამშენებლო მახასიათებლებით გამოირჩევა. ოთხივე კედლის ფრაგმენტი ნაშენებია უხეშად გათლილი, კლდის ფლეთილი ქვით (მათი ზომები 10ჩ15 სმ-დან 60ჩ80 სმ-მდე მერყეობს), დუღაბი არც ერთ შემთხვევაში გამოყენებული არ არის, ფიქსირდება ქვების წყობის მხოლოდ ერთი რიგი, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს ქვის ერთ რიგიან საძირკველთან, რომელზეც გამართული იყო თიხით შელესილი ხის კონსტრუქციები (ტაბ. I_6).

გამოვლენილი კედლების ფრაგმენტულობის გამო რთულად დგინდება მათ შორის კავშირები, თუმცა დღეისათვის მცირე დასკვნების გაკეთების საშუალება მაინც გვეძლევა. ახლად აღმოჩენილი კედლების ფრაგმენტები გვაფიქრებინებს, რომ მინიმუმ სამი მათგანი ერთი ნაგებობის ნაწილებს უნდა წარმოადგენდეს. კერძოდ, თხრილის ჩრდილო მონაკვეთში, მის აღმოსავლეთ კიდესთან გამოვლენილი აღმოსავლეთ-დასავლეთ დამხრობის, და ერთმანეთის პარალელური კედლები და ასევე თხრილი ჩრდილოეთი მონაკვეთის ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირებული კედლის კუთხის ნაწილი ერთი ნაგებობა უნდა იყოს. (ტაბ. I_5). აქვე თუ დავუშვებთ, რომ 2007 წელს გამოვლენილი კედლის დაკარგული ნაწილი მის ჩრდილოეთით ვრცელდებოდა, გამოვა, რომ A თხრილში 2007 წელს აღმოჩენილი

---

1 ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ დ. ლომიტაშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ბ. ლორთქიფანიძე (ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე), ნ. ქებულაძე (ქიმიკოს-რესტავრატორი), ზ. თვალჭრელიძე (არქეოლოგი), ნ. მურღულია (რაზმის უფროსი), მ. ბოკერია (არქეობოტანიკოსი), ნ. ძიგუა (ასისტენტი), მ. ზამთარაძე და თ. კაპანაძე, – კამერალური სამუშაოები, ივ. ყენია (კომპიუტერული უზრუნველყოფა), ი. ქოლვინი (ოქსფორდის უნივერსტეტი), ბ. ნილი (საუტჰემპტონის უნივერსიტეტი), პ. ევერილი (ბრედფორდის უნივერსიტეტი), ჯ. ტიმბი (არქეოლოგი), ქ. გრანტი და კ. რასელი (სუპერვაიზერები), სტუდენტები თბილისის სახელმწიფო და ბრიტანეთის უნივერსიტეტებიდან.

2 ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ დ. ლომიტაშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ბ. ლორთქიფანიძე (ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე), ნ. ქებულაძე (ქიმიკოს-რესტავრატორი), ზ. თვალჭრელიძე (არქეოლოგი), ნ. მურღულია (რაზმის უფროსი), მ. ბოკერია (არქეობოტანიკოსი), ე. ყვავაძე (პალინილოგიური კვლევები), ნ. ძიგუა (ასისტენტი), მ. ზამთარაძე და თ. კაპანაძე – კამერალური სამუშაოები, ი. ქოლვინი (ოქსფორდის უნივერსტეტი), ბ. ნილი (საუტჰემპტონის უნივერსიტეტი), პ. ევერილი (ბრედფორდის უნივერსიტეტი), ჯ. ტიმბი (არქეოლოგი), ქ. გრანტი და კ. რასელი (სუპერვაიზერები), სტუდენტები თბილისის სახელმწიფო და ბრიტანეთის უნივერსიტეტებიდან.

ელინისტური ნაგებობების გარდა გამოვლენილია კიდევ ორი ერთმანეთის პარალელური, დასავლეთ-აღმოსავლეთ დამხრობის, მართკუთხა ფორმის ელინისტური ნაგებობის კვალი. ასევე, დასაშვებია, რომ ეს კედლები ერთ მთლიან დიდ ნაგებობას ეკუთვნოდეს. თუმცა აქვე ხასგაზმით უნდა აღინიშნოს, რომ ნაგებობების გეგმარების ორივე ვარიანტი მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდებია და შესაბამისად, კონკრეტული დასკვნების გაკეთება ნაადრევია.

2008 წლის სეზონზე, A თხრილში ელინისტური ნაგებობების მიმდებარე, სამ, სხვადასხვა, ერთმანეთისგან მოშორებულ ადგილას, კლდის ფლეთილი ქვების გროვები გამოვლინდა. ორი მათგანი თხრილის ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეებში მდებარეობს, ხოლო მესამე თხრილის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში.

სამივე გროვა მეტად ლოკალურ ხასიათს ატარებს და მცირე ფართობზე ვრცელდება, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ფენის გაწმენდვა სრულად არ დაგვისრულებია, შესაძლოა მათი გავრცელების არეალი კიდევ უფრო გაიზარდოს. აღნიშნული ფენების ელინისტური ნაგებობების მიმდებარედ, იმავე დონეზე გამოვლენამ გვაფიქრებინა, რომ ისინი სამშენებლო ნარჩენებს უნდა წარმოადგენდნენ (ტაბ. I_4), რომლებიც ნაგებობების გამართვის შემდეგ დარჩათ და რამდენიმე ადგილას უსისტემოდ მოასწორეს. როგორც ჩანს, კედლებისთვის სამშენებლო მასალად გამოსაყენებელი კლდის ქვა ადგილზე დიდი ლოდების სახით მიჰქონდათ (ასეთები გამოვლინდა თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში), ხოლო მათი სასურველ ზომებზე დამტვრევის შემდეგ მორჩენილ ნატეხებს იქვე ტოვებდნენ და ასწორებდნენ.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ თხრილში დაფიქსირებულია ელინისტური ხანის მინიმუმ 4 ნაგებობის ქვის ფუნდამენტი. გარდა ამისა, კიდევ იკვეთება საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი სამი მცირე კედლის ფრაგმენტი, რომელთა კავშირებზეც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით. თუმცა, ფენებში გამოვლენილი მასიური არქეოლოგიური მასალიდან გამომდინარე, დანამდვილებით შეიძლება ამ ფრაგმენტების იგივე პერიოდისადმი, ანუ ზოგადად, ელინისტურ ხანისადმი მიკუთვნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოვლენილ ნაგებობებში მინიმუმ სამი სამშენებლო ფენა გვხვდება, თუმცა არც ერთი მათგანი არ სცდება ელინისტურ ხანის ჩარჩოებს.

2009 წლის სეზონის დასაწყისში A თხრილის ხელახლა გახსნის და პირველადი, ზედაპირული პრეპარაციის შემდეგ დავიწყეთ წინა წლებში გამოვლენილი ელინისტური ხანის ნაგებობების იმ ნაშთების ალაგება, რომლებიც მათი თანადროული კულტურული ფენების პრეპარაციის შედეგად, მათ დონესთან შედარებით უფრო ზე და ჰორიზონტზე აღმოჩნდნენ. წინა წლებში ეს ნაშთები სრულად იქნა ფიქსირებული როგორც დოკუმენტალურად, ისე ფოტო და გრაფიკული მასალებით. შესაბამისად. მათი აღება სეზონის პირველ ეტაპზე ყოველ მხრივ გამართლებული იყო. საბოლოო ჯამში ავიღეთ ამ კედლების ნაშთები და ასევე თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ბრტყლად დალაგებული დიდი ზომის (1ჩ2 მ) კლდის ფლეთილი ლოდები. ამ ნაშთების ქვების თხრილიდან ალაგება საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმე აღმოჩნდა და ერთი სამუშაო დღე გაგრძელდა.

A თხრილში ბოლო ოთხი სეზონის განმავლობაში აღმოჩენილი ნაგებობების დათარიღებისთვის, მშენებლობის ტექნიკურ-სტილისტური ანალიზის გარდა, მეტად მნიშვნელოვანი, მათ გარშემო გამოვლენილი კულტურული ფენებიდან ამოსული მასობრივი არქეოლოგიური მასალაა. 2008-2009 წლების სეზონში თხრილზე დაფიქსირდა ორი ძირითადი კულტურული ფენა, რომლებიც თხრილის დასავლეთ და ჩრდილოეთ მონაკვეთებზე ვრცელდება. ერთი მათგანი თხრილის დასავლეთ მონაკვეთზე ვრცელდება და დაახლოებით 30 $მ^2$ ფართობს მოიცავს. ფენა შეიცავს მონაცრისფრო-მოყავისფრო შეფერილობის სილიან მიწას, რომელსაც მცირე რაოდენობით დამწვარი თიხის ფრაგმენტები ურევია. გარდა ამისა ფენაში დიდი რაოდენობით გამოვლინდა სამშენებლო კლდის ქვის ნარჩენები, მათ შორის, ზემოთ განხილული ქვების გროვაც. ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სამეურნეო და სამზარეულო კერამიკის (დოქი, ჯამი, დერგი, ქვევრი, ამფორა) ფრაგმენტები, რომელთა სრული უმრავლესობა ელინისტურ ხანას განეკუთვნება და, შესაბამისად, ფენაც ამავე პერიოდით თარიღდება, ანუ ფაქტიურად წარმოადგენს გამოვლენილი ნაგებობების თანადროულ კულტურულ ფენას (სავარაუდოდ, იმ დროინდელ საცხოვრებელ-სასიარულო დონეს). ის დასავლეთის მხრიდან უშუალოდ ემიჯნება 2007 წელს გამოვლენილ ნაგებობებს და ვრცელდება მათი საძირკვლების ძირის დონეზე. შესაბამისად მათი თანადროულობა ეჭვს არ იწვევს.

მეორე ფენა თხრილის ჩრდილოეთ მონაკვეთ-

ში, დაახლოებით 25 m^2 ფართობზე ვრცელდება; შეიცავს მოშავო-მონაცრისფრო შეფერილობის თიხიან, წებოვან მიწას, რომელშიც მცირე რაოდენობით ნახშირის ფრაგმენტები ვლინდება. ისევე, როგორც წინა ფენა, ისიც დიდი რაოდენობით შეიცავს კლდის ფლეთილი ქვის ნამტვრევებს და თიხის ბათქაშის ფრაგმენტებს, რომლებიც, სავარუდოდ, გარშემო გამოვლენილი ნაგებობების სამშენებლო ნარჩენებს ან/და ნანგრევებს წარმოადგენს, რაც თავის მხრივ ამ ფენის და აღნიშნული ნაგებობების თანადროულობაზე მიუთითებს, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფენა ელინისტური ნაგებობების შიდა ფართობზე ვრცელდება და, შესაძლოა, მათ შიდა საცხოვრებელ დონესაც წარმოადგენს. ამ მოსაზრებას ამყარებს ფენაში გამოვლენილი მასიური არქეოლოგიური (ძირითადად კერამიკული) მასალა, რომელიც ელინისტური ხანით თარიღდება და წარმოდგენილია სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების კერამიკული ჭურჭლის (დოქი, ჯამი, დერგი, ქვევრი, ამფორა) ფრაგმენტებით. როგორც უკვე აღინიშნა, და ელინისტური ხანის კულტურული ფენების პრეპარირება 2008-2009 წლების ორივე სეზონის განმავლობაში მიმდინარეობდა. ორივე ფენაში ამოსული არქეოლოგიური მასალა – კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები (ქოთნები, დოქები, დერგები და სხვ.) (ტაბ. V-VI), ლითონის ნაწარმი (ბრინჯაოს ნივთების ფრაგმენტები) ძირითადად ელინისტურ ხანას განეკუთვნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის სეზონის ბოლოს გამოვლინდა ადრეანტიკური ხანის კერამიკის ნაშთებიც, უმეტესად ძვ.წ. VI-IV სს-ისთვის დამახასიათებელი სასმისების ძირები, ყურმილიანი კერამიკის ფრაგმენტები. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი შავად გამომწვარი ჭურჭლის, სავარაუდოდ დერგის ნატეხი, რომელიც ადრეანტიკურ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს. ამ კერამიკული ჭურჭლის ნატეხს გვერდზე გასდევს წრიული ფორმის ორნამენტი. ასევე ვერტიკალურად გამოყვანილი აქვს კანელურები და, რაც ყველაზე საინტერესოა, წრიული ორნამენტის თავზე ჭურჭლის შემორჩენილ ნაწილზე შეიმჩნევა ამოღარვით შესრულებული რომელიღაც ჩლიქოსანი ცხოველის ფეხები, რომელიც საკმაოდ მაღალ მხატვრულ დონეზეა შესრულებული. სამწუხაროდ, ამ ჭურჭლის სხვა ფრაგმენტები არ გამოვლენილა და ამიტომ დამატებით რაიმეს თქმა ჭირს.

2008-2009 წლებში კვლავ გაგრძელდა ელინისტური ნაგებობების მიმდებარე ამავე ხანის სამარხების გამოვლენა. სულ აღმოჩნდა 7 სამარხი – ოთხი 2008 წელს, სამი 2009 წელს. მათგან ორი კრემაციულია და ორივე შემთხვევაში ჩონჩხი ძალიან ცუდად არის შემონახული; ხუთი ელინისტური ხანის ტიპიურ ორმოსამარხს წარმოადგენს, სუსტად მოხრილი და გვერდზე მწოლიარე მიცვალებულით.

0801 სამარხი თხრილის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს (ტაბ. II_1); წარმოადგენს დასავლეთ-აღმოსავლეთ დამხრობის ორმოსამარხს, რომელსაც სამხრეთ და აღმოსავლეთ მხრიდან კლდის და რიყის ქვების ერთი რიგი შემოუყვება. სამარხის ჭრილის კონტური კარგად არ იკვეთება, ასევე ცუდად არის შემონახული თავად ჩონჩხიც. მისი ძვლები ძლიერ არის არეული და, შესაბამისად, დაკრძალვის წესი არ დგინდება. სავარაუდოდ მიცვალებული ესვენა ან გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ, ან გვერდზე მწოლიარე, მოხრილ მდგომარეობაში. სამარხი ელინისტურ ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს, ამას ადასტურებს მასში აღმოჩენილი ელინისტური ხანის ქოთნის ყურის ნატეხი და ასევე ელინისტური ხანის კულტურული ფენა, რომელშიც სამარხი აღმოჩნდა. 0801 სამარხის ნაყარიდან პალეობოტანიკური ანალიზებისთვის აღებული იქნა 1 სინჯი (№ 5).

0802 სამარხი თხრილის ჩრდილოეთ მონაკვეთის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. წარმოადგენს კრემაციულ ორმოსამარხს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ძლიერ დანაწევრებული და ცეცხლისგან გათეთრებული და გამოფიტული ადამიანის ძვლები, რომლებიც სამარხში არეულად იყო ჩაყრილი და ფაქტიურად ძვლების გროვას წარმოადგენდა. ასევე ცუდად გამოიკვეთა სამარხის ჭრილის კონტური (სავარაუდოდ, მას დაახლოებით 60 სმ დიამეტრის, ოვალური ფორმა უნდა ჰქონოდა). სამარხიდან აღებული მიწის სინჯების (№ 3 და 4) გარეცხვის შემდეგ გამოვლინდა ორი ცალი კაჟის ანატკეცი და თეთრად და ოქროსფრად შეფერილი პასტის მძივები (ტაბ. III_9). ჩონჩხის კრემაციულობა, მასში გამოვლენილი პასტის მძივები და მის მიმდებარედ არსებული ელინისტური ფენა, სამარხსაც ამავე პერიოდით ათარიღებს. 0802 სამარხის ნაყარიდან პალეობოტანიკური ანალიზებისთვის აღებული იქნა 2 სინჯი (№№ 3, 4).

0803 სამარხი თხრილის ჩრდილოეთ კიდის შუა მონაკვეთში გამოვლინდა (ტაბ. II_2). წარმოადგენს კრემაციული სამარხს – ამას ადასტურებს გამოვლენილი ჩონჩხის ძლიერი დანაწევრება, შემორჩენილი ძვლები სამარხში უსისტემოდ ყრია; ატყვია ძლიერი ცეცხლის კვალი (გა-

თეთრებულია და მყიფე). სამარხი გაჭრილი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთ მიმართულებით; გარშემო შემოწყობილი ჰქონდა სხვადასხვა ზომის ქვები; მის აღმოსავლეთ დაბოლოებაზე აღმოჩნდა წითელკეციანი, ცუდად განლექილი თიხის ქოთანი (ტაბ. III_7). დაკრძალვის წესის და გამოვლენილი ქოთნის ტიპის მიხედვით ეს სამარხიც ელინისტური ხანით დათარიღდა. 0803 სამარხის ნაყარიდან პალეობოტანიკური ანალიზებისთვის აღებული იქნა 2 სინჯი (№№ 9, 10).

0804 სამარხი თხრილის ჩრდილოეთ კიდეზე 0803 სამარხის დასავლეთით 2 მეტრში გამოვლინდა (ტაბ II_3). წარმოადგენს ელინისტური ხანის ტიპიურ ორმოსამარხს. ჩონჩხი კარგ მდგომარეობაშია შენარჩუნებული და, შესაბამისად, დაკრძალვის წესიც კარგად იკვეთება – მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, სუსტად მოხრილ მდგომარეობაში (ფეხები 90˚-ით ჰქონდა მოხრილი), სახით სამხრეთისკენ. სამარხის ჭრილს სამხრეთიდან შემოუყვებოდა სამი ცალი ქვა, ხოლო დასავლეთ მხრიდან, მიცვალებულის ფეხებთან, ვერტიკალურად იდო ერთი ცალი ბრტყელი, კლდის ქვა. სავარაუდოდ, სამარხის ჭრილის ჩრდილოეთი კიდეც ქვებით იქნებოდა შემოწყობილი, თუმცა ჩრდილოეთიდან სამარხს თხრილის კიდე ემიჯნება და, შესაბამისად, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით.

სამარხის გაწმენდვისას, მიცვალებულის ფეხებთან, გამოვლინდა რუხად გამომწვარი პატარა ზომის დოქი (ტაბ. III_4), მიცვალებულს მარჯვენა ფეხის კოჭზე ბრინჯაოს ზურგშეზნექილი სამაჯური ეკეთა (ტაბ. III_6). გარდა ამისა, თავის ქალას ქვეშ აღმოჩნდა ორი ცალი ბრინჯაოს საყურე რგოლი (ტაბ. III_3). ერთ მათგანს წამოცმული აქვს შავი ფერის პასტის მრგვალი მძივი, რომელსაც გარშემო თეთრი ზოლი შემოუყვება. სამარხიდან აღებული პალეობოტანიკური სინჯების (№ 11) გარეცხვისას დამატებით აღმოჩნდა 46 ცალი მწვანედ და ლურჯად შეფერილი პასტის მძივი (ტაბ. III_5).

0901 სამარხი თხრილის ცენტრალურ მონაკვეთში ნაგებობის დასავლეთ-აღმოსავლეთი დამხრობის კედლის ჩრდილოეთ კიდესთან გამოვლინდა (ტაბ. II_5). როგორც ჩანს, სამარხი უბრალოდ იყო გაჭრილი მიწაში, ქვებით შემოსაზღვრის გარეშე. მხოლოდ სამხრეთის მხრიდან ებჯინებოდა მას ნაგებობის კედელი. მიცვალებული სამარხში დასავლეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით ესვენა, მარჯვენა გვერდზე, სუსტად მოხრილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისკენ და სახით ჩრდილოეთისკენ. სამარხი ეკუთვნოდა, სავარაუდოდ, ზრდასრულ მამაკაცს. ჩონჩხის სიგრძე 1.70 მ-ს აღწევდა. მიცვალებულს სამარხში ჩატანებული ჰქონდა შემდეგი ინვენტარი: 1. ორი ცალი ბრინჯაოს სამაჯური მარცხენა მაჯაზე; ერთი ბრინჯაოს სამაჯური მარჯვენა მაჯაზე (ტაბ. III_{13-14}); 2. ლურჯი და ოქროსფრად დაფერილი პასტის მძივები მიცვალებულის კისრის არედან აღებული მიწიდან (ტაბ. III_{11-12}); 3. ბრინჯაოს საყურე რგოლი მიცვალებულის კისრის არედან აღებული მიწიდან; 4. რუხი შეფერილობის დოქი მიცვალებულის ფეხებთან, სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში (ტაბ. IV_{11})

სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან აღმოჩნდა ფრინველის (სავარაუდოდ ქათმის) ჩონჩხი, რომელიც თითქმის სრულად იყო შემორჩენილი (ტაბ. II_6). იმის გამო, რომ სამარხის ჭრილის კონტურის დადგენა ვერ მოხერხდა, დაზუსტებით ვერ ვიტყვით, ეკუთვნოდა თუ არა ფრინველის ჩონჩხის ნაშთები სამარხს. თუკი ეკუთვნოდა, მაშინ საფიქრებელია, რომ ის მიცვალებულს ჩააყოლეს.

0901 სამარხიდან პალეობოტანიკური (ნაყარიდან) და პალინოლოგიური (ჩონჩხის სხვადასხვა ნაწილებიდან და ინვენტარიდან) ანალიზებისთვის აღებული იქნა 23 სინჯი (№№ 1-6, 11, 13, 18, 20-23, 26-33, 38).

0902 სამარხი 0901 სამარხის ჩრდილოეთით, 1.5 მეტრში გამოვლინდა (ტაბ. II_4). სამარხის ჭრილს გარშემო შემოწყობილი ჰქონდა სხვადასხვა ზომის (10 სმ-დან 70 სმ-მდე) კლდის ფლეთილი ქვები. განსაკუთრებით კარგად იკვეთება შემოწყობილი ქვების სამხრეთი და ჩრდილოეთი ხაზები, სადაც მოზრდილი, წაგრძელებული ფორმის ქვები დაუწყვიათ. აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც 0901 სამარხი, ესეც ელინისტური ხანის ერთ-ერთი კედლის დასავლეთ-აღმოსავლეთი დამხრობის ხაზის სამხრეთ კიდეზე, მის ძირშია მოწყობილი. თხრილში, 2003 წლიდან მოყოლებული, ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა, როდესაც სამარხი ნაგებობის კიდეზეა მოწყობილი. სამარხში მიცვალებული ესვენა დასავლეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით, მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისკენ და სახით, სავარაუდოდ, სამხრეთისკენ (თავის ქალა თავისი პირვანდელი ადგილიდან დაძრული და კისრის მალებიდან 10 სმ-ით იყო დაშორებული. ქვედა ყბა კი მენჯის ძვალთან იდო.)

სამარხი ეკუთვნოდა ზრდასრულ ქალს. ჩონჩხის სიგრძე 1.50 მ-ს აღწევდა. 0901 სამარხის მსგავსად აქაც ამოვიდა სხვადასხვა სახის სა-

მარხეული ინვენტარი. ჩონჩხის კისრის არესთან აღებულ მიწაში აღმოჩნდა ლურჯი, შავი და წითელი შეფერილობის პასტის და ნახევრად ძვირფასი ქვებისგან დამზადებული მძივები (ტაბ. III_{10}); მიცვალებულს თავთან ედო რუხი შეფერილობის ქოთანი (ტაბ. IV_{10}); ორივე ხელზე ეკეთა ბრინჯაოს თითო-თითო სამაჯური (ტაბ. III_{15-16}), ერთი რკინის ჟანგის კვალით და ერთიც – წრიულად დაგრეხილი; კიდევ ერთი სამაჯური აღმოჩნდა მიცვალებულის მენჯთან; სამარხის ნაყარის გაცრის შემდეგ აღმოჩნდა 2 ცალი ბრინჯაოს საყურე რგოლი (ტაბ. IV_1).

0902 სამარხიდან პალეობოტანიკური (ნაყარიდან) და პალინოლოგიური (ჩონჩხის სხვადასხვა ნაწილებიდან და ინვენტარიდან) ანალიზებისთვის აღებული იქნა 11 სინჯი (№№ 15-17, 24, 25, 34-37, 39, 47).

0904 სამარხი თხრილის ჩრდილო კიდესთან გამოვლინდა. კულტურული ფენის პრეპარაციის დროს, ნაგებობის დასავლეთით, გამოიკვეთა ერთად დაწყობილი მცირე და საშუალო ზომის (5ჩ10 სმ, 15ჩ20 სმ) ქვების ერთგვარი „წყობა“ (ტაბ. II_7), რომელიც მართკუთხა ფორმას ქმნიდა და თხრილის ჩრდილო კიდის გარეთ გადიოდა. ასევე მცირე ზომის ქვები ჩაყრილი იყო ამ მართკუთხა „წყობის“ შუაგულში, რამაც თავიდანვე გვაფიქრებინა, რომ ეს ქვებით შემოწყობილი და გადახურული სამარხი უნდა ყოფილიყო. მისი ფოტოფიქსაციის და ჩახაზვის შემდეგ მოვახდინეთ ქვების „წყობის“ შუაგულის პრეპარაცია. შედეგად აღმოჩნდა ჩრდილო-სამხრეთ დამხრობის სამარხი, თუმცა სამწუხაროდ მხოლოდ ნაწილობრივ (ტაბ. II_8). ჩონჩხის თითქმის ნახევარი – მკლავები, ნეკნები, ხერხემალი, თავის ქალა, თხრილის გარეთ გადიოდა და შესაბამისად ამ სამარხის სრულად შესწავლა ვერ მოხერხდა, თუმცა მისი ტიპოლოგიური მახასიათებლების განსაზღვრა, უმეტეს წილად, მაინც მოხერხდა. სამარხი ჩრდილო-სამხრეთ დამხრობის იყო. მიცვალებული ესვენა მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისკენ და სახით სავარაუდოდ აღმოსავლეთისკენ. სამარხის ჭრილის კონტურს გარშემო შემოწყობილი ჰქონდა რიყის და კლდის ფლეთილი ქვები, თუმცა სამარხის აღმოსავლეთ კიდეზე, ჩონჩხის ნაწილი (მუხლის ძვალი) შემოწყობილი ქვების ქვეშ აღმოჩნდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ სამარხის ქვებით შემოსაზღვრა მოხდა მიცვალებულის დაკრძალვის და მისი ცხედრის მიწით დაფარვის შემდეგ, მით უმეტეს, რომ ჩონჩხის 15-20 სმ-ით უფრო ქვემოთ მდებარეობს, ვიდრე შემოწყობილი ქვები. ან შესაძლოა დროთა განმავლობაში ჩონჩხი დაიძრა და ის სამარხისთვის შემოწყობილი ქვების ქვემოთ მოექცა. როგორც უკვე ითქვა, 0904 სამარხი მხოლო ნაწილობრივ გაითხარა. სამარხის გაწმენდილ ნაწილში რაიმე სახის სამარხეული ინვენტარი არ გამოვლენილა. შესაძლოა, მიცვალებულს ჩატანებული ჰქონოდა საყურეები, სამაჯურები ან მძივები, თუმცა მიცვალებულის ზედა კიდურები და თავის ქალა თხრილის გარეთ არის მოქცეული და შესაბამისად დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით. მიცვალებულის ქვედა კიდურების ზომების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამარხი ზრდასრულ ადამიანს ეკუთვნოდა. 0904 სამარხის ნაყარიდან (264) პალეობოტანიკური ანალიზებისთვის აღებული იქნა 2 სინჯი (№№ 43-44).

პალეობოტანიკური კვლევის შედეგები. ელინისტური ხანის სამაროვნებიდან აღებული სინჯები დამუშავდა პალეობოტანიკურ კვლევებში გამოყენებული ფლოტაციის მეთოდით. მოპოვებული მასალა ირეცხებოდა სამი სხვადასხვა სიხშირის (4; 1; 0,5 მმ) საცრებზე. გამოვიკვლიეთ 30 სინჯი 7 სამარხიდან (ცხრილი 1). განამარხებული ბოტანიკური ნაშთებით ყველაზე მდიდარი აღმოჩნდა 0901 სამარხი. სხვადასხვა სამარხის შესწავლის შედეგად ნიმუშებში დაფიქსირდა მცენარეთა მსგავსი სახეობრივი შემადგენლობა. კარპოლოგიურ კომპლექში გამოვლინდა ხორბლის 2 სახეობა: ორმარცვალა ასლი (*Triticum dicoccum* Schubl.) და რბილი ხორბალი (*Tr. aestivum* s.l.), შიშველმარცვლიანი ქერი (*Hordeum distichum* L.), ასევე ფეტვი (*Panicum miliaceum* L.) და ღომი (*Setaria italica* (L.) Beauv.). პარკოსანი კულტურებიდან – ოსპი (*Lens culinaris* Medik.) და ბარდა (*Pisum sativum* L.), კოლხური სელის (*Linum bienne* Mill.), უსურვაზის – ველური ვაზის (*Vitis sylvestris* Gmell.) და კულტურული ვაზის *(Vitis vinifera* L.), ასევე კაკლის (*Juglans regia* L.), თხილის (*Corylus avellana* L.), დიდგულას (*Sambucus* racemosa L.) განამარხებულ ნაყოფთა ნაშთები (ტაბ. VII).

ნოქალაქევის A თხრილის სამაროვნებიდან აღებულ ნიმუშებში განამარხებული მცენარეული ნაშთები სახეობრივი მრავალფეროვანებით არ ხასიათდება. შესწავლილ მასალაში ძირითადად გამოვლინდა საკვები კულტურები: მარცვლეული, პარკოსნები და ხილი, თითქმის ყველა ნიმუშში გვხვდება რბილი და ორმარცვალა ხორბალის ნაშთები, უმნიშვნელო რაოდენობითაა ღომის, ქერის, სელის, კაკლისა და ველურ

მცენარეთა მაკრონარჩენები. კარპოლოგიურ მასალაში ხორბლის და ქერის მარცვლები, კარბონიზაციის შედეგად საგრძნობლად სახეშეცვლილია და გართულებულია მათი სახეობის დონემდე იდენტიფიცირება. ველურად მოზარდი მცენარეებიდან ძირითადად ბალახოვანი საფარის შემქმნელი რუდერალური ჰაბიტატების დამახასიათებელი სახეობებია. მაგ. ნაცარქათამა *Chenopodium album* L.), სპერგულარია *(Spergularia sp.),* მდელოს სპერგულა (*Spergula arvensis* L.), ლანცეტა მრავალძარღვა (*Plantago lanceolata* L.), ჩვეულებრივი ღოლო (*Rumex crispus* L.), ჩვეულებრივი ჯიჯლაყა (*Amaranthus retroflexus* L.). ჩვენს მიერ გამოკვლეული ელინისტური ხანის სამაროვნებიდან მცენარეული ნაშთებით შედარებით ღარიბია კრემაციული ორმოსამარხები.

საქართველოში ელინისტური ეპოქის სამაროვანის ფენები არქეობოტანიკურად არ არის ფართოდ შესწავლილი. ამ თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს ნოქალაქევის სამაროვანის გამოკვლევა, რომელიც 2006 წლიდან მიმდინარეობს. დღეისათვის 120-ზე მეტი ნიმუშია შესწავლილი 2006-2007 წლებში ნაქალაქარის ქვედა ტერასის აღმოსავლეთ სექტორში № 1 და № 4 თხრილებზე (უბ. VII, კვ.F-3 და უბ. VI, კვ. F-3) სხვადასხვა კულტურული ფენიდან, მათ შორის შორის ელინისტური ეპოქის ფენიდან და A თხრილში (უბ. XXX, კვ. F-2), ელინისტური ეპოქის სამაროვნიდან (2007 წ.). აღნიშნულ ნიმუშებში გამოვლენილია განამარხებულ მცენარეთა ფართო სპექტრი, კერძოდ, რამდენიმე სახის ხორბალი, ფეტვი, პარკოსანი კულტურები. ღომის და სელის, კულტურული და ველური ვაზის, კაკლის, თხილის ნაყოფთა ნაშთები, კულტურულ მცენარეთა თანმდევი სარეველები. უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება ქერი და ველურად მოზარდ მცენარეები.

A თხრილის სამაროვნებიდან აღებულ ნიმუშებში მარცვლეული და პარკოსანი კულტურები დომინირებს. არქეობოტანიკურ სპექტრში სარეველების სიმცირე სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია.სამეცნიერო ლიტერატურაში მოყვანილი მონაცემებით ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში არქაული, ელინისტური და რომაული პერიოდის სამაროვნებიდან მსგავსი სახეობრივი შემადგენლობისა მცენარეული ნაშთებია გამოვლენილი.

ნოქალაქევის ექსპედიციის (2009 წლის ივლისი) მასალის პალინოლოგიური შესწავლის წინასწარი შედეგები.

თხრილი A. განხილული თხრილის 0901 სამარხის სხვადასხვა ადგილებიდან პალინოლოგიურ კვლევისათვის აღებულია 20-ზე მეტი ნიმუში. ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა თავის ქალას არეში აღებული და შესწავლილი სინჯები, სადაც ნაპოვნია 30 უმაღლესი მცენარის მტვერი (ტაბ. ცხრილი 2), სოკოს 3 სახეობის სპორები, 4 სახეობის წყალმცენარე, უამრავი ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები, სხვადასხვა ზოოლოგიური მიკრონაშთი. ქალას მიდამო განსაკუთრებულად საინტერესოა იმიტომ, რომ ადამიანის თმებში გროვდება იმ მცენარეთა მტვერი, რომელთა გარემოშიც ცხოვრობს და საქმიანობს იგი. სამარხში, მიუხედავად იმისა, რომ თავად თმები იშლება და ვიზუალურად აღარ არის შესამჩნევი, მათი მიკრონაშთები და იქ არსებული მტვრის მარცვლები და მიკრორგანიზმების ფოსილიები საკმაოდ კარგად ინახება.

სამარხ 0901-ში ნიმუშები აღებულია შუბლთან (№ 9), თვალის ორმოში (№ 10) და კისრის მალების ძირში (№ 11). № 12 ნიმუშიც ამავე სამარხის დოქის ძირშია აღებული. მათი პალინოლოგიური სპექტრები ძალზედ საინტერესო აღმოჩნდა (ტაბ. VIII, სურ. I) ხემცენარეთა შორის ბევრია ფიჭვის მტვერი. კარგადაა წარმოდგენილი მურყნის (Alnus), ცაცხვის (Tilia), მუხის (Quercus) და თხილის (Corylus) მტვრის მარცვლები. მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი სოჭის, ნაძვის, რცხილას, ლაფნის, კაკლის, წაბლის, და ძელქვას მტვერი. ნაპოვნია კულტურული ვაზის მტვერი. ბალახოვანთა შორის ბევრია მარცვლოვნები, როგორც ველური, ასევე კულტურული. განსაზღვრულია ხორბლის და ქერის მტვრის მარცვლები. ბევრია ეზოს სარეველა მცენარეთა მტვერი და ტყის გვიმრების სპორები. არაპალინოლოგიური ნაშთების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე მცენარეთა მტვრის მარცვლები. № 9 ნიმუშში ნაპოვნია ადამიანის თმის ნაშთები, უამრავი სელის ბოჭკო (ტაბ. VIII, სურ. II), რაც სუდარას ან ტანსაცმლის ნაშთი უნდა იყოს. არის აგრეთვე ნაცრისფერი, ვარდისფერი, ცისფერი და ყვითელი სელის ბოჭკო. ნაპოვნია ბამბის და შალის ბოჭკოც. აღმოჩენილია ცხვრის ერთი ბეწვი. უამრავია ბალახოვან მცენარეთა ფიტოლიტები და ეპიდერმისი, რაც იმაზე მეტყველებს რომ მიცვალებულის სარეცელზე ბალახებისგან მოწყობილი საფენიც უნდა ყოფილიყო. ნაპოვნია მწერების ჯაგრისები, რომლებიც, ალბათ, ბალახს მოყვებოდა. ბევრია აგრეთვე ხის მერქნის მიკროსკოპიული უჯრედები (ცხრილი 2, ტაბ. VIII, სურ. III), რაც სარეცლის ან სხვა ხის კონსტრუქციის არსებობაზე მეტყველებს. მცი-

რე რაოდენობით აღინიშნება სოკოს სპორები და მათ შორის Chaetomium, რომელიც მცენარეული წარმოშობის ტექსტილს უჩნდება და შლის მას. ცოტაა აგრეთვე წყალმცენარეთა ნაშთები.

A თხრილში, პალინოლოგიურად შესწავლილია ფენიდან წარმომავალი ზოგიერთი ჭურჭლის შიგთავსიც. მხოლოდ ერთ ჭურჭელში აღმოჩნდა ძვლის კრისტალები (ნიმ. № 13), დანარჩენში კი მარცვლოვნების მიკროსკოპიული ნაშთებია უხვად წარმოდგენილი. ხემცენარეთა შორის აქაც, როგორც სამარხში, ჭარბობს ფიჭვის მტვრის მარცვლები, აღინიშნება მურყანი, რცხილა, წაბლი, თხილი.

მაშასადამე, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ პირველი სამარხის მიცვალებული დაკრძალული იყო ადრე გაზაფხულზე, რადგან მაშინ ყვავის ის მცენარეები, რომლის მტვერი კარგადაა წარმოდგენილი სამარხში. დამატებით არგუმენტად შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე სამარხში აღმოჩენილი ტკიპების ნაშთები და მათი მცირე რაოდენობა. ისინი გაზაფხულზე ჩნდებიან და მათი რაოდენობა არ აღწევს მაქსიმუმს.

განხილულ რეგიონში იმ დროს მოსახლეობა მიწათმოქმედებას მისდევდა. კარგად იყო განვითარებული მეხორბლეობა და მევენახეობა. კლიმატური პირობები კარგი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მომავალი კვლევაა საჭირო, რომ გარემოს აღდგენის უფრო დეტალური საშუალება მოგვეცეს.

გარდა ამისა, A თხრილის ერთ-ერთ კედელში, სადაც კარგად მოჩანს ადრე-შუასაუკუნეების ფენა, აღებული და შესწავლილია 4 ნიმუში, რომლის პალინოლოგიური სპექტრი მკვეთრად განსხვავდება სამარხის სპექტრებისგან.

2008-2009 წლებში აღმოჩენილი მასალის კონსერვაცია-რესტავრაცია. ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2008-2009 წლებში კულტურული ფენებიდან და სამარხებიდან მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ნაწილი ნოქალაქევის ბაზაზე არსებულ საველე-საკონსერვაციო ლაბორატორიაში იქნა დამუშავებული, ნაწილი კი – ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის ჭაქვინჯა-გუდავა-ნოქალაქევის ფონდში.

კერამიკული მასალის ძირითადი ნაწილი ადგილზევე იქნა გაწმენდილი. კარგად გამშრალი მასალა ჩალაგებულ იქნა სუფთა, ეტიკეტირებულ ტოპრაკებში და განლაგებული თაროებზე. მოპოვებულ მასალაში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და სამშენებლო მასალა, რომელმაც ასევე მხოლოდ ფრაგმენტული სახით მოაღწია ჩვენამდე. ფრაგმენტები სხვადასხვა ფერის არის, რაც თიხის ხარისხსა და გამოწვის ხასიათსა და ტემპერატურაზეა დამოკიდებული. ძირითადად არის ბაცი ყავისფერი, წითელი ან შავი ფრაგმენტები. განსხვავებულია წარმოდგენილი კერამიკული მასალის სისქეც.

2008 წელს აღმოჩენილი ადამიანის ძვლოვანი მასალა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაბინავდა, ხოლო 2009 წლის მასალა კი ნოქალაქევის არქეოლოგიურ მუზეუმში იქნა დაცული.

დანარჩენი კერამიკული მასალა ლითონის, მინის და სხვა ნივთებთან ერთად, ნოქალაქევის ლაბორატორიაში რესტავრაცია-კონსერვაციის შემდეგ, ტრანსპორტირებულ იქნა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ნოქალაქევის ფონდში.

2008 წლის გათხრების შედეგად მოპოვებული სამარხეული 3 ც. კერამიკული ჭურჭელი ნოქალაქევის ლაბორატორიაში იქნა რესტავრირებულ-კონსერვირებული (ტაბ. III_4 – 12-974:5478; ტაბ. III_7 – 12-974:5475; ტაბ. III_8 – 12-974:5461).

2009 წლის 2 ც. სამარხეული (ტაბ. IV_{10} – 12-974:5559; ტაბ. IV_{11} – 12-974:5587) და 3 ც. კულტურული ფენის ჭურჭელი (ტაბ. IV_{13} – 12-974:5521; ტაბ. IV_{14} – 12-974:5544; ტაბ.IV_{15} – 12-974:5533) პალინოლოგიური ანალიზისათვის გადაეცა ქ-ნ ე. ყვავაძეს, რის გამოც მათი შემდგომი დამუშავება-რესტავრაცია მოხდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნოქალაქევის ფონდში.

ჭურჭლების აღდგენა მოვახდინეთ პოლივინილაცეტატის წებოთი. ნაკლული ადგილები შევავსეთ მშრალი პიგმენტით შესაბამის ფერზე დასმული თაბაშირით.

2009 წლის მონაპოვრიდან ლაბორატორიაში დამუშავებულ იქნა კვირისტავი (ტაბ. IV_7 – 12-974:5577), ბორბლის მოდელი (ტაბ. IV_9 – 12-974:5513).

ლითონი. 2008-2009 წლების არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული ლითონის მასალაში წარმოდგენილია რკინის და ბრინჯაოს არტეფაქტები. არტეფაქტები დაფარული იყო მიწით, სხვადასხვა მექანიკური ნადებით, ჟანგის ფენითა და პატინით. ამდენად, საჭირო იყო ამ მასალის დამუშავება და შემდგომი კონსერვაცია. ძირითადად, ყველა ნივთი გაიწმინდა მექანიკური წმენდის მეთოდებით.

ბოლოს კონსერვირებული ნივთები შეფუთულ და მოთავსებულ იქნა სპეციალურ ყუთში, შესაბამის ფარდობით ტენიანობაზე (RH≤20%), რომლის კონტროლიც სილიკაგელისა და ინდი-

კატორული ბარათის დახმარებით ხორციელ-დება.

2008 წლის ლითონის მასალიდან რესტავრირებულ-კონსერვირებული იქნა: ბრინჯაოს საყურე, 2 ც. (ტაბ. III_3 – 12-974:5482); ბრინჯაოს სამაჯური, 2 ც. (ტაბ. III_1 – 12-974:5423); ტაბ. III_6 – 12-974:5484); ბრინჯაოს ნივთის ფრაგმენტები, 3 ც., (ტაბ. III_2 – 12-974:5422), რკინის ნივთის ფრაგმენტი 1ც.

2009 წლის ლითონის მასალიდან რესტავრირებულ-კონსერვირებული იქნა: ბრინჯაოს სამაჯურები, 6 ც. (ტაბ. III_{13} – 12-974:5590, ტაბ. III_{14} – 12-974:5588 (2 ც.), ტაბ. III_{15} – 12-974:5563, ტაბ.III_{16} – 12-974:5564, ტაბ. IV_2 – 12-974:5517); ბრინჯაოს საყურეები, 4 ც. (ტაბ. IV_1 – 12-974:5565 (2ც.); ტაბ. V_1 – 12-974:5591 (2ც.)); ბრინჯაოს ნივთების ფრაგმენტები, 9 ც. (12-974:5515 (3ც.), 5500,5499, 12-974:5560, 5561)

მინა და ქვა. მინის მასალა წარმოდგენილია მძივების სახით და ერთი მინის ჭურჭლის ფრაგმენტით. მინა ნაწილობრივ ირიზირებული იყო. ქვა კაჟის იარაღებითაა წარმოდგენილი.

2008 წელს გაიწმინდა და რესტავრირებულ-კონსერვირებული იქნა: მძივები 72ც. (ტაბ.III_5 12-974:5483, ტაბ. III_9 12-974:5473; 12-974:5476)

2009 წელს გაიწმინდა და რესტავრირებულ-კონსერვირებული იქნა: მძივები, 151 ც. (ტაბ. III_{10} – 12-974:5562, ტაბ. $III_{11,12}$ – 12-974:5589); ფაცეტებიანი მინის ფრაგმენტი (ტაბ. IV_8 – 12-974:5520); კაჟის ისრისპირები და ნამგლის ჩასართები (ტაბ. $IV_{4,5,6}$ – 12-974:5516, 5515).

ექსპედიციის მუშაობის პერიოდში ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპოზიციიდან რესტავრაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა:

2008 წელს ბრინჯაოსა და რკინის 10 არტეფაქტს: კარიბჭის საკეტი, ისრისპირები 4 ც., ლურსმნები 2 ც., შუბისპირი, თოხი.

2009 წელს კერამიკის 15 არტეფაქტს: დოქი 8 ც., ქოთანი 3 ც., „მოდელი“ 2 ც., ჭინჭილა 1 ც., სურა 1 ც.

ტრეინინგები. 2008-2009 წლებში კვლავ გრძელდებოდა ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის ტრეინინგები საველე არქეოლოგიაში, კერამიკული მონაპოვრის კამერალურ დამუშავებაში, პრევენციულ კონსერვაციაში, არქეოლოგიური კერამიკის გაწმენდა-რესტავრაცია-კონსერვაციაში, პალეობოტანიკურ კვლევებში (მეთოდიკები და კვლევები), ოსტეოლოგიურ კვლევებში, საქართველოს ისტორიასა და ეგრისის სამეფოს ისტორიაში წერილობითი წყაროების მიხედვით.

D. Lomitashvili, Z. Tvalchrelidze, N. Kebuladze, N. Murghulia, M. Bokeria, E. Qvavadze, I. Colvin, P. Everill, J. Timby, B. Neil

REPORT ON THE FIELD WORK ON 2008-2009 BY THE GEORGIAN-BRITISH NOKALAKEVI ARCHAEOLOGICAL EXPEDITION

Summary

In the 2008-2009 seasons the expedition conducted excavations on trench A (plot XXX, sq. F-2, GPS coordinates: N 42°21'26'', E 42°11'22.5'').

The principal work on trench A was devoted to the cleaning, fixation and removal of the Hellenistic period habitation layers and structures, brought to light during the previous two seasons.

At the continuation of the Hellenistic structures, brought to light in the past years, fragments of four new walls came to light (Pl. I_{1-3}). Their discovery is interesting for the additional reason that they may be parts of the structures identified in the previous years.

In the cited seasons 7 Hellenistic period burials came to light in trench A; of these 2 are cremational, the other 5 are typical Hellenistic period pit burials, with slightly crouched deceased, lying on one side.

During the expedition, simultaneously with archaeological studies, palaeobotanic, palynological and osteological studies were conducted. Processing of the newly-discovered material was also continued at the conservation-restoration laboratory of the Nokalakevi base, where dozens of items of clay and paste treated and 27 items of metal were conserved.

Cereal and legume crops dominate in the samples taken for palaeoethnobotanical studies, including 2 wheat species, millet, lentil, Colchian flax, domesticated vine, walnut, hazel, etc., and in palynological samples the pollen of 30 higher plants, spores of 3 mushroom species, 4 species of algae, numerous tracheal cells of wood, diverse zoological microtraces.

ცხრილი 1

სამარხი	ს ი ნ ჯ ი	მცენარის დანახში-რებული ნაყოფი და თესლი	N0904	Nok 09/1 (264)	P. miliaceum
			N 0803	Nok 08/ SK (247)	_____
N 0804	Nok 08/A (252)burial	P. miliaceum	N 0904	Nok 09(264) bag 2	Tr. aestivum
	soil sample(11) bag 2	Setaria italica			P.miliaceum
		Tr. aestivum			Hordeum distichon
		Triticum sp	N 0902	Nok. 09/A.(254) 17	Tr. diccocum
N 0804	Nok 08/A (252) burial	Vitis fragm.			V. vinifera fragm
	soil sample(11)| bag3	Millet fragm.			Spergula arvensis
N 0804	Nok 08/A (252) burial soil	Vitis sylvestris			Cereal fragment
	sample (11) bag,4	Setaria sp.1	N 0902	Nok. 09/A.(254)35	Tr. diccocum
k.fena	Nok 08/A (235) (2)|	Cereal fragm.		bag 3/3 From	V. vinifera fragm
N 0804	NOK 08/A (252) (11)	Vitis ,Cereal		under skeleton	Ch. album
N 0802	NOK 08/A cremation	S. verticilata			Setaria/Panicum
	sample (4)bag 6 of	Lens culinaris	N 0902	Nok. 09/A.(254)	P.miliaceum
		Charcoal		From under skyleton	Setaria italica
N 0801	Nok08(236) bag 2	Tr. dicoccum fragm.			V. vinifera fragm
		Charcoal			Juglans regia frag
N 0802	Nok 08 (240) (4)	Tr. aestivum	N 0901	Nok. 09/A.(260) 2	Triticum compactum
	Cremation sample	Charcoal			Triticum aestivum
N 0802	Nok 08 /A (240)	Vitis fragm			Triticum diccocum
	Top of cremation	P. miliaceum			Hordeum distichon
N 0804	(252) (11) Grave Fill	Tr. aestivum			Amaranthus retroflexus
k.fena	Nok 08/A (235) (1)	P. miliaceum			Setaria italica
		Vitis fragm.			Vitis vinifera fragm
N 0804	Nok 08/A (252)Burial	P. miliaceum			Vitis sp. Fragments
	soil sample	Charcoal			Lens culinaris
N 0804	Nok 08/A (252) (4)	P. miliaceum			Linum bienne
N 0804	NoK 08/A (252)burial	Vitis fragm.	N 0901	(260) 14 sediment	Spergula arvensis
	sample (11) bag 2	Sambucus ebulus		from vessel	Vitis sylvestris
N 0802	Nok 08/A (239)Grave Fill	_____		Nok. 09/A.(257)	Triticum aestivum
N 0802	Nok 08/A bag 3 (11)	Charcoal		17 abc	Panicum miliaceum
N 0802	Nok 08/A (240)	P. miliaceum			Lens culinaris
	(4) bag2 of 7	Setaria italica			Juglans regia fragm.
N 0802	Nok 08/A (240) (4) bag3	_____			Spergularia sp.
	Crem. sample		N 0902	Nok. 09/A.(254)	Triticum aestivum
N 0802	Nok 08/A (240) (4) bag7	Setaria italica		Grave fill	Panicum miliaceum
	(240) Crem. sample	_____			Lens culinaris
N 0802	Nok 08/A (240) (4)vessel	_____			Juglans regia fragm.
N 0802	Nok 08/A(240) (4)	P.miliaceum			Setaria / Panicum
	Crem. Sample bag 7 of 7	Lolium rigidum			Plantago lanceolata
N 0801	Nok 08/A(236)Grave fill ½	_____	N 0902	Nok. 09/A.(254) 2	Panicum miliaceum

ცხრილი 2

ნოქალაქევი, თხრილი A					კონტ. 235	
ნიმუშის აღების ადგილი	სამარხი 0901				ჭურჭელი	
ტტაბნიმუშის ნომერი	9	10	11	12	13	14
Abies nordmanniana – სოჭი		1				
Picea orientalis – ნაძვი		1			1	
Pinus – ფიჭვი	12	9	8	3	2	4
Cedrus – კედარი					2	
Carya – პეკანი					2	
Juglans regia – კაკალი			2			
Pterocarya pterocarpa – ლაფანი			1			
Carpinus caucasica – რცხილა		1			1	2
Fagus orientalis – წიფელი		5				
Quercus – მუხა		2	1			
Castanea sativa – წაბლი		1		1		
Tilia – ცაცხვი	1	1	7			
Zelkova carpinifolia – ძელქვა			3			
Alnus – მურყანი	2	8	4		1	4
Corylus – თხილი	5	12	2		1	1
Vitis vinifers – კულტურული ვაზი			1			
Cerealia – სათესი მარცვლოვნები		3				
Triticum – ხორბალი	1		1			
Hordeum – ქერი			1			
Poaceae – ველური მარცვლოვნები	6	6	2	1		1
Urtica – ჯინჭარი	2	1	1			
Cichorioiedea – ვარდკაჭაჭა			2		1	2
Artemisia – ავშანი	2		1			
Apiaceae – ქოლგოსნები		1				
Polygonum type – მატიტელა			6	1	1	3
Plantago m/m type – მრავალძარღვა		1	4			4
Plantago lanceolata type – ლანცეტა მრავალძარღვა	2		3			5
Trifolium – სამყურა						1
Geranium – ნემსიწვერა			1			
Undiff. NAP – განუსაზღვრელი ბალახოვნები	8	5	3	3		
Polypodiaceae undiff.-გვიმრანაირები			2	1	1	8
Pteridium aquilinum – ეწრის გვიმრა		1				
Adiantum – ვენერას თმა		2				
Ophioglossum – გველის ენა					1	
Undiff.Ascospores – განუსაზღვრელი სოკოს სპორები	4		11	4	20	
Chaetomium – ხაეტომიუმი	1					
Glomus – გლომუსი						4
Zygnema – ზიგნემა	2	5				
Fibres of flax – სელის ბოჭკოები	69	11	12	4	16	16
Blue fibres of flax – ცისფერი სელის ბოჭკოები	3	2				1
Grey fibres of flax – ნაცრისფერი სელის ბოჭკოები	2	2		1		1
Rose fibres of flax ვარდისფერი	1					1
Yellow fibres of flax – მოყვითალო სელის ბოჭკოები	1					
Fibres of cotton – ბამბის ბოჭკოები	11	18	4	3	12	7
Fibres of wool- შალის ბოჭკო	2	5				
Undiff.fibres – განუსაზღვრელი ბოჭკო					2	
Tracheal cells of undiff.wood –განუსაზღვრელი მერქნის ტრაქეალური უჯრედები	124		81	91	82	86
Woodvwssel – მერქნის გამტარი ჭურჭლები				2	3	4
Plant epidermis – მცენარის ეპიდერმისი	12	15	6	13	3	8
Phytoliths of Poaceae – მარცვლოვნების ფიტოლიტები	116	102	56	43	65	112
Diatoms – დიატომური წყალმცენარე	4					
Pseudoschizea – წყალმცენარე	2		1			
Spirogira- სპიროგირა					3	
Dinoflagellata – დინოფლაგელატები	2					
Undiff.zoomaterial – განუსაზღვრელი ზოომასალა		2		7	7	11

Hair of man – ადამიანის თმა	3					
Hair of sheep – ცხვრის ბეწვი	2					
Hair of animal – მწერის ბუსუსები						1
Feather of bird – ფრინველის ბუმბული			1			
Cristals of bone – ძვლის კრისტალები				2	11	
Eggs of animal helmints – ცხოველის ჰელმინტის კვერცხი	2					
Epidermis of moth -პეპლის ეპიდერმისი					1	
Hairs of insecta – მწერის ბუსუსები	6		7			
Hairs of Acari – ტკიპას ბუსუსები		1				
Acari remains – ტკიპას ნაშთი		1				
Total AP- ხემცენარეთა მტვრის ჯამი	20	41	29	4	10	11
Total NAP- ბალახების მტვრის ჯამი	21	20	27	6	4	24
Total pollen -მტვრის საერთო ჯამი	41	61	56	10	14	35
Total NPP-არაპალინოლოგიური ნაშთების ჯამი	369	164	179	170	225	252
Total palynomorphs – პალინომორფების საერთო ჯამი	410	225	235	180	239	287

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1. A თხრილი, ნეგებობების ნაშთების აღებამდე (2008); 2. A თხრილი, ნეგებობების ნაშთები, გეგმა; 3. A თხრილი, ნეგებობების ნაშთების ადგილმდებარეობა; 4. A თხრილი, კლდის ფლეთილი ქვის გროვები; 5. A თხრილი, ნაგებობების სავარაუდო ურთიერთმიმართება; 6. A თხრილი, ნაგებობების სავარაუდო ურთიერთმიმართება, რეკონსტრუქცია;

ტაბ. II – 1. 0801 სამარხ; 2. 0803 სამარხი; 3. 0804 სამარხი; 4. 0902 სამარხი; 5. 0901 სამარხი; 6. 0901 სამარხთან აღმოჩენილი ფრინველის ჩონჩხი; 7. 0904 სამარხი გახსნამდე; 8. 0904 სამარხი გახსნის შემდეგ.

ტაბ. III – 1. ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტი კულტურული ფენიდან; 2. ბრინჯაოს კაუჭი კულტურული ფენიდან; 3. ბრინჯაოს საყურეები 0804 სამარხიდან; 4. დოქი 0804 სამარხიდან; 5. პასტის მძივები 0804 სამარხიდან; 6. ბრინჯაოს სამაჯური 0804 სამარხიდან; 7. ქოთანი 0803 სამარხიდან; 8. ვარდულა პირიანი დოქი 235-ე კულტურული ფენიდან; 9. მოოქროვებული პასტის მძივები 0802 სამარხიდან; 10. მძივები 0902 სამარხიდან; 11. ლურჯად შეფერილი პასტის მძივები 0901 სამარხიდან; 12. მოოქროვებული პასტის მძივები 0901 სამარხიდან; 13-14. ბრინჯაოს სამაჯურები 0901 სამარხიდან; 15-16. ბრინჯაოს გრეხილი სამაჯურები 0902 სამარხიდან.

ტაბ. IV – 1. ბრინჯაოს საყურე რგოლები 0902 სამარხიდან; 2. ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტი კულტურული ფენიდან; 3. ქვის კვირისტავი კულტურული ფენიდან; 4. კაჟის ნამგლის პირის ჩასართავი კულტურული ფენიდან; 5. კაჟის ისრისპირი კულტურული ფენიდან; 6. კაჟის ნამგლის პირის ჩასართავი კულტურული ფენიდან; 7. თიხის კვირისთავი ფენიდან; 8. მინის ჭურჭლის ფრაგმენტი კულტურული ფენიდან; 9. თიხის ბორბლის მოდელი კულტურული ფენიდან; 10. თიხის ქოთანი 0902 სამარხიდან; 11. თიხის დოქი 0901 სამარხიდან; 12. დერგის ფრაგმენტი კულტურული ფენიდან; 13-15. ადრეანტიკური სასმისების ძირები კულტურული ფენებიდან.

ტაბ. V-VI – 2008-2009 წლებში გამოვლენილი ელინისტური და ადრეანტიკური ხანის კერამიკული ჭურჭლის გრაფიკული ჩანახაზები.

ტაბ. VII – 2008-2009 წწ-ში აღმოჩენილი განამარხებულ მცენარეთა ნაყოფები და თესლები: 1-3. ორმარცვალა ასლი (*Triticum dicoccum* Schubl.); 4-9. რბილი ხორბალი (*Tr. aestivum* s.l.); 10-15. შიშველმარცვლიანი ქერი (*Hordeum distichum* L.); 16-19. ფეტვი (*Panicum miliaceum* L.); 20-21. ღომი (*Setaria italica* (L.) Beauv.); 22. ურიში (*Echinochloa sp.*); 23-26. ოსპი (*Lens culinaris* Medik.); 27. ბარდა (*Pisum sativum* L.); 28. კულტურული ვაზის წიპწის ფრაგმენტები *(Vitis vinifera* L.); 29-30. უსურვაზი (*Vitis sylvestris* Gmell.); 31. კაკლის ფრაგმენტი (*Juglans regia* L.); 32-33. კოლხური სელი (*Linum bienne* Mill.); 34. ჩვეულებრივი ცერცველა (*Vicia sativa* L.); 35. ცერცველა *(Vicia sp.)*; 36. ნამკალა (*Lolium rigidum* Gaud.); 37. სავარცხელა (*Erodium cicutarium* (L.)L`Her.; 38. ჩვეულებრივი ჯიჯლაყა (*Amaranthus retroflexus* L.); 39. ჩვეულებრივი ღოლო (*Rumex crispus* L.); 40. ლანცეტა მრავალძარღვა (*Plantago lanceolata* L.); 41. ბაღის დიდგულა (*Sambucus racemosa* L.); 42. კურდღლისცოცხა (*Genista sp.*).

ტაბ. VIII – I. სამარხი 0901. თავის ქალის არეში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის მარცვლები: 1-2. ფიჭვი (*Pinus*); 3. ცაცხვი (*Tilia*); 4. წიფელი (*Fagus*); 5-6. მურყანი (*Alnus*); 7-9. თხილი (*Corylus*); 10. მრავალძარღვა (*Plantago lanceolata type*); II. სამარხი 0901. თავის ქალის არეში აღმოჩენილი ტექსტილის ბოჭკოს ნაშთები: 1. ბამბა; 2-4. სელის დაუშლელი ბოჭკო; 5-10. შალის ბოჭკო; III. სამარხი 0901. თავის ქალის არეში აღმოჩენილი ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები: 1-2. განუსაზღვრელი; 3. ფიჭვის; 4. წყალმცენარე ზიგნემას ნაშთი.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – 1. Trench A, prior to the removal of the remains of the structures (2008); 2. Trench A, remains of the structures, plan; 3. Trench A, location of the remains of the structures; 4. Trench A, piles of rock split stones; 5. Trench A, presumable interrelationship of the structures; 6. Trench A, presumable interrelationship of the structures, reconstruction.

Pl. II – 1. Burial 0801; 2. Burial 0803; 3. Burial 0804; 4. Burial 0902; 5. Burial 0901; 6. Skeleton of a bird discovered at burial 0901; 7. Burial 0904 prior to opening; 8. Burial 0904 after opening.

Pl. III – 1. Fragment of a bronze bracelet from cultural layer; 2. Bronze hook from cultural layer; 3. Bronze earrings from burial 0804; 4. Jug from burial 0804; 5. Paste beads from burial 0804; 6. Bronze bracelet from burial 0804; 7. Pot from burial 0803; 8. Rosette mouthed jug from cultural layer; 9. Gilt paste beads from burial 0802; 10. Beads from burial 0902; 11. Blue-coloured paste beads from burial 0901; 12. Gilt paste beads from the burial 0901; 13-14. Bronze bracelets from burial 0901; 15-16. Twisted bronze bracelets from burial 0902.

Pl. IV – 1. Bronze earrings from burial 0902; 2. Fragment of a bronze bracelet from cultural layer; 3. Stone whorl from cultural layer; 4. Flint inset for the sickle from cultural layer; 5. Flint arrowhead from cultural layer; 6. Flint inset for the sicle from cultural layer; 7. Model of a clay wheel from cultural layer; 8. Clay whorl from cultural layer; 9. Fragment of a glass vessel from cultural layer; 10. Clay pot from burial 0902; 11. Clay pitcher from buriak 0901; 12. Fragment of a pitharion from cultural layer; 13-15. Bottoms of Early Classical drinking vessels from cultural layers.

Pls. V-VI – Drawings of the Hellenistic and Early Classical period potteru brought to light in 2008-2009.

Pl. VII – Froots and seeds of fossilized plants, discovered in 2008-2009: 1-3. Colchian bearded wheat (*Triticum dicoccum* Schubl.); 4-9. Soft wheat (*Tr. aestivum* s.l.); 10-15. Gymnospermous barley (*Hordeum distichum* L.); 16-19. Millet (*Panicum miliaceum* L.); 20-21. Italian Millet (*Setaria italica* (L.) Beauv.); 22. Japanese millet (*Echinochloa sp.*); 23-26. Lentil (*Lens culinaris* Medik.); 27. Pea (*Pisum sativum* L.); 28. Fragments of culturalgrape pips *(Vitis vinifera* L.); 29-30. Wild grape vine (*Vitis sylvestris* Gmell.); 31. Fragments of walnut (*Juglans regia* L.); 32-33. Colchian flax (*Linum bienne* Mill.); 34. Vetch (*Vicia sativa* L.); 35. Vetch *(Vicia sp.)*; 36. rigid rye-grass (*Lolium rigidum* Gaud.); 37. *Erodium cicutarium* (L.)L`Her.; 38. Pigweed (*Amaranthus retroflexus* L.); 39. Wila sorrel (*Rumex crispus* L.); 40. Ribwort plantain (*Plantago lanceolata* L.); 41. Elder (*Sambucus racemosa* L.); 42. Gorse (*Genista sp*.).

Pl. VIII – I. Burial 0901. Grains of plant pollen found in the area if head: 1-2. *Pinus*); 3. Lime (*Tilia*); 4. Beech (*Fagus*); 5-6. alder (*Alnus*); 7-9. Hazel (*Corylus*); 10. Plantain (*Plantago lanceolata type*); II. Burial 0901. Remains of textile fibre discovered in the area of head: 1. Cotton; 2-4. Non-disintegrated fibre of flax; 5-10. Fibre of wool; III. Burial 0901. Tracheal cells of wood found in the3 area of the scull: 1-2. indeterminate; 3. Of pins; 4. Trace of zignema algal.

1


LOCATION OF LATE ROMAN STREET: NOT EXCAVATED
1/ Trench A
1m
2m
3m
(232)
(230)
(229)
(228)
(227)
(226)
(225)
(224)
(223)
(222)
(221)
(220)
(219)
(218)
(217)
(216)
(215)
(214)
(213)
(212)
(211)
(210)
(209)
(208)
(207)
(206)
(205)
(204)
(203)
(202)
(201)
(200)
(199)
(198)
(197)
(196)
(195)
(194)
(193)
(192)
(191)
(190)
(189)
(188)
(187)
(186)
(185)
(184)
(183)
(182)
(181)
(180)
(179)
(178)
(177)
(176)
(175)
(174)
(173)
(172)
(171)
(170)
(169)
(168)
(167)
(166)
(165)
(164)
(163)
(162)
(161)
(160)
(159)
(158)
(157)
(156)
(155)
(154)
(153)
(152)
(151)
(150)
(149)
(148)
(147)
(146)
(145)
(144)
(143)
(142)
(141)
(140)
(139)
(138)
(137)
(136)
(135)
(134)
(133)
(132)
(131)
(130)
(129)
(128)
(127)
(126)
(125)
(124)
(123)
(122)
(121)
(120)
(119)
(118)
(117)
(116)
(115)
(114)
(113)
(112)
(111)
(110)
(109)
(108)
(107)
(106)
(105)
(104)
(103)
(102)
(101)
(100)
(99)
(98)
(97)
(96)
(95)
(94)
(93)
(92)
(91)
(90)
(89)
(88)
(87)
(86)
(85)
(84)
(83)
(82)
(81)
(80)
(79)
(78)
(77)
(76)
(75)
(74)
(73)
(72)
(71)
(70)
(69)
(68)
(67)
(66)
(65)
(64)
(63)
(62)
(61)
(60)
(59)
(58)
(57)
(56)
(55)
(54)
(53)
(52)
(51)
(50)
(49)
(48)
(47)
(46)
(45)
(44)
(43)
(42)
(41)
(40)
(39)
(38)
(37)
(36)
(35)
(34)
(33)
(32)
(31)
(30)
(29)
(28)
(27)
(26)
(25)
(24)
(23)
(22)
(21)
(20)
(19)
(18)
(17)
(16)
(15)
(14)
(13)
(12)
(11)
(10)
(9)
(8)
(7)
(6)
(5)
(4)
(3)
(2)
(1)
100/212
100/210
100/208
100/206
100/204
100/202
100/200

2


244
243
242
245

3

211
211
234

4



5



6

ტაბ. II



1



2

3

4

5

6



7

8

ტაბ. III



ტაბ. IV




0
100
mm
0
100
mm

ტაბ. VI




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
2 mm

ტაბ. VIII



I



II



III

ომარ ლანჩავა, როლანდ ისაკაძე

არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში, გელათსა და მოწამეთაში 2008-2009 წლებში

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმისა და აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2008-2009 წლებში სამ სხვადასხვა ძეგლზე იმუშავა:

2008 წლის 16 ოქტომბრიდან 17 ნოემბრამდე გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში გაითხარა აკადემიის შენობის ინტერიერი, ხოლო 2009 წლის 4 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე აკადემიის ჩრდილოეთის ექსტერიერში შესწავლილ იქნა დაახლოებით 400 კვ.მ ფართობის მონაკვეთი.

2009 წლის 7 აპრილიდან 7 მაისამდე მოწამეთის მონასტრის ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე ჩატარდა სადაზვერვო-არქეოლოგიური კვლევა.

2009 წელს ბაგრატის ტაძრის ფუნდამენტების გამაგრებით სამუშაოებზე განხორციელდა არქეოლოგიური მეთვალყურეობა.

1. გელათის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე 2007 წლის დეკემბერში ჩატარებული სადაზვერვო და 2008 წლის აგვისტოში გეოლოგიურ შურფებზე განხორციელებული სამეთვალყურეო [ლანჩავა, ისაკაძე 2008a; ისაკაძე 2008] სამუშაოების შედეგად ძირითადად დადგინდა ძეგლის სტრატიგრაფია და გამოიყო არქეოლოგიურად აქტიური ზონები.

2008 წელს აკადემიის შენობის რეაბილიტაციის დაწყებამდე ჩატარდა ინტერიერისა და ექსტერიერის მცირე მონაკვეთის არქეოლოგიური კვლევა, 2009 წელს კი ექსტერიერის თხრილი გაფართოვდა სამი მიმართულებით და გაითხარა 400 კვ.მ-დე ფართობი [ლანჩავა, ისაკაძე 2008b; ისაკაძე 2009; ლანჩავა, ისაკაძე 2010: 14-18].

გათხრების ძირითადი ამოცანა იყო თავდაპირველი მერხების, სარდაფის და მასთან კარით დაკავშირებული თაღოვანი ტალანის გამოვლენა, ძეგლის სამშენებლო ეტაპების სტრატიგრაფიულ-ქრონოლოგიური გამიჯვნა (ტაბ. I-II) და მეტად მწირ წერილობით წყაროებთან სინქრონიზაცია.

აკადემიის შენობის ინტერიერში გვიანდელი, განიერი (1,7-დან 2 მეტრამდე) მერხების ალაგების შემდეგ კედლების გაყოლებაზე გამოვლინდა თავდაპირველი მერხები, რომლებიც ორჯერ მაინც ჩანს გადაკეთებული. მათი სიმაღლე 0,4 მ-ია, სიგანე 0,5 მ. ნაგებია კარგად დამუშავებული ქვებით და შელესილია კირხსნარის თხელი ფენით. მერხების გასწვრივ მთელ პერიმეტრზე ფიქსირდება კირხსნარიანი იატაკის ნაშთები.

ნაგებობის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში იატაკი თიხნარ გრუნტსა და კარგად ნიველირებულ კლდოვან მასაზე ყოფილა მოწყობილი. ჩრდილოეთ ნაწილში კი, სადაც რელიეფი თავიდანვე მკვეთრად ჩაღრმავებული იყო, სარდაფი მოუწყვიათ. მისი დასავლეთის კედლის წყობაში დაფიქსირდა სართულების გამყოფი ხის იატაკის სწორკუთხა კოჭების ბუდეები.

სარდაფში (11,6ჩ6,3 მ), რომლის დასავლეთის კედლის ცენტრში შიგნით გაფართოებული ორი სარკმელია გაჭრილი, შესვლა ჩრდილოეთის კედლის ცენტრში ფიქსირებული კარით (1,95ჩ1,5 მ.) შეიძლებოდა. კარებზე გარედან თაღოვანი ტალანი ყოფილა მიშენებული. იგი ერთმანეთთან აკავშირებდა მის ორსავე მხარეს გამოვლენილ სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების სათავსებს და აღმოსავლეთ ნაწილში მოწყობილი კიბითა და ქვაფენილით წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას, სამრეკლოსა და აკადემიის შენობას შორის მოქცეულ ეზოს მონაკვეთში იხსნებოდა.

სარდაფში ორი სხვადასხვა დროის მარნის ნაშთი დაფიქსირდა. თავდაპირველ მარანში დაუკირავი, შედარებით თხელკედლიანი ქვევრები ყოფილა.

1510 წელს ტრაპიზონის მხრიდან იმერეთში თურქთა მარბიელი ლაშქარი შემოიჭრა. თურქებმა გაძარცვეს და „...დასწვეს დიდი მონასტერი გენათისა შიგნით და გარეთ“ [ჟორდანია 1897: 326], რის შემდეგაც იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565 წწ.) გელათში დიდი მოცულობის აღდგენა-განახლებითი სამუშაოები ჩაუტარებია, რაც აკადემიის შენობაზეც აისახა.

„XVI საუკუნის დასაწყისიდან გელათის აკა-

დემია დამცრობილია“ [მჭედლიძე, კეზევაძე 2008: 158]. ბოლო მოძღვართმოძღვარი მანასე 1527 წლის საბუთში იხსენიება [ჟორდანია 1897: 370]. ამის შემდეგ „...წყდება გელათში მოძღვართმოძღვართა ხსენება, რაც იმასაც ნიშნავს, რომ გელათის აკადემიამ ფორმალურადაც შეწყვიტა არსებობა“ [მჭედლიძე, კეზევაძე 2008: 159].

დაახლოებით ამ დროიდან მაინც[1] აკადემიის შენობა მონასტრის სატრაპეზოდაა გადაკეთებული, რაზეც პირდაპირ მიუთითებენ 1650-52 წლებში იმერეთში მყოფი რუსი ელჩები [ნ. ტოლოჩანოვის...1970: 116; ალექსი იევლევის....1969: 135-136;] და მოგვიანო ხანის ავტორებიც (გიულდენშტედტი [გიულდენშტედტის...1962: 145]; დიუბუა დე მონპერე [მგალობლიშვილი, მიქიაშვილი 2000: 83]) ადასტურებენ. ედუარდ აიხვალდი კი, რომელიც საქართველოში 1826 წელს იმყოფებოდა, მიუთითებს: „შემდეგ ამ შენობის მშვენიერი დარბაზი გააოხრეს, რადგან მის შუაში ცეცხლს ანთებდნენ.....“ [ედუარდ აიხვალდი 2005: 150]. ამ ცნობას ადასტურებს სულ ზედა ფენაში აღმოჩენილი ორი თონეც.

გათხრებმა ცხადყო, რომ ბაგრატ III მიერ ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების შედეგად აკადემიის შენობის კედლები გამაგრებულია სწორკუთხა კონტრფორსებით, დაკირული ქვევრებით განახლებულია სარდაფის მარანი, თაღოვანი ტალანი გადაკეთებულია და ზოგჯერ მთლიანად სახეცვლილია მასთან დაკავშირებული სათავსები[2] და ატმოსფერული ნალექების ასარიდებელი პირვანდელი ღვარსადენები.

მომდევნო ეტაპზე (დაახლ. XVII-XVIII სს.) ნანგრევებით სავსე სარდაფის მარანი გაუქმებულია და შესასვლელი კარი მშრალად ნაწყობი ქვებითაა ამოქოლილი. ყოფილი მარნის აღმოსავლეთ ნაწილში ჩადგმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთით მიმართული იატაკქვეშა თაღოვანი სათავსი (6ჩ2,8 მ, h=2,2 მ).

დუღაბის ხსნარით შეკრული თაღი, როგორც ჩანს, ხის ქარგილზე იყო გადაყვანილი, რომელზეც ხსნარის დასაკავებლად ფოთლიანი ტოტებისგან მოწნული ჩელტი ყოფილა გადაფენილი, რის გამოც საკმაოდ მრავლადაა შემორჩენილი ფოთლების (მათ შორის გვიმრის?) ანაბეჭდები.[3]

სათავსის აღმოსავლეთის კედლის ცენტრში წყობაში ღრმად შეჭრილი სწორკუთხა ნიშია შემორჩენილი. იატაკი თიხნარი გრუნტითა და ალიზითაა მოსწორებული. სათავსში ჩასასვლელი ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეშია მოწყობილი. მას თავის დროზე ხის ლუკი ჰქონია, რომელიც ქვემოდან ზემოთ, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით აიხდებოდა. ამას მიანიშნებს კარგად შემორჩენილი ლუკის ხის ჩარჩოს კვალი. სათავსი თითქმის მთლიანად სავსე იყო ჩალექილი მიწით, რომელშიც XVII-XVIII სს-ის საყოფაცხოვრებო კერამიკის, კრამიტების და აგურების მცირე ფრაგმენტები აღმოჩნდა.

თაღოვანი მიწისქვეშა სათავსი ვფიქრობთ მალფუჭებადი პროდუქტების შესანახ „მაცივარს“ ან საყინულე სარდაფს წარმოადგენდა. საქართველოს შუასაუკუნეთა ხანის არქეოლოგიურ ძეგლებსა და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ე.წ. „საცივების“ რამდენიმე სახეობაა (მათ შორის ქვიტკირის თაღიანი საყინულე სარდაფიც) ფიქსირებული [სონღულაშვილი 1962: 172-173; ფირფილაშვილი 1988: 120; ჭელიძე 1988; დურმიშიძე 1985: 12-13; გაბრიაძე 1999: 158-160, ტაბ. XXXVIII_{14}; ისაკაძე 2006: 143-145].

სატრაპეზოს ფუნქციონირების დროინდელია რუს ელჩებთან აღწერილი ფართო მერხები, მაგიდა, სადაც მეფე სადილობს, დიდი ზომის ქვევრი მაგიდის წინ, ამოქოლილი სარკმლები და სხვა.

2009 წელს გათხრილ მონაკვეთში დაფიქსირდა ნატეხი ქვებითა და ალიზის ხსნარით ნაგები XIX ს-ის შუახანების სამი შენობის ნაშთი და მათი თანადროული მარანი, 1903 წელს გერმანიიდან ჩამოტანილი თიხის მოჭიქული მილებით განახლებული მონასტრის წყალსადენის შიდა ქსელის ერთი მონაკვეთი და აიზომა 1915 წელს აგებული წყლის წისქვილის არხი.

სამი საველე კამპანიის შედეგად გამოვლენილია განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების მოჭიქული და მოუჭიქავი სამშენებლო (კრამიტები), სუფრისა და სამზარეულო დანიშ-

1 1519 წლით დათარიღებული სიგელის მიხედვით ბაგრატ მეფეს იობ და ბართლომე ფანჩულიძეებისთვის უბოძებია „...გელათს სენაკი, ტრაპეზისა გუერც, საბოსტნე ტრაპეზს ქვეშე სათიბი და სავენახე“ [ჟორდანია 1897: 344]. საბუთში მოხსენიებული „ტრაპეზი“ აკადემიის შენობასთან აქვთ გაიგივებული გ. ჭედლიძესა და მ. კეზევაძესაც [მჭედლიძე, კეზევაძე 2008: 140]. საინტერესოა, რომ გალავანსა და აკადემიის შენობას შორის მოქცეულ, დაახლ. 30 მ-ის სიგანის მონაკვეთზე, რომელიც კომპლექსის სამხრეთისა და ჩრდილოეთის მთელ პერიმეტრს შემოუყვება, არქიტექტურული ძეგლები არ ფიქსირდება და ამ სივრცეს ბერები დღესაც საბოსტნე ნაკვეთად იყენებენ.

2 ტალანთან დაკავშირებული თავდაპირველი და 1510 წლის შემდეგ გადაკეთებული სათავსების ნაწილი ჩანს საცხოვრებლად („..სენაკი, ტრაპეზისა გუერც...“) გამოიყენებოდა.

3 გვიან შუასაუკუნეებში ანალოგიური ხერხითაა განახლებული ქუთაისის ციტადელის ახ. წ. IV ს-ის გვირაბის [ლანჩავა 2007: 110] ჭერი.

ნულების კერამიკის, სარკმლის მინის, სამშენებლო მასალების (რკინის ლურსმნები), ვერცხლის ტრაპიზონული (XIII ს-ის ბოლო, XIV ს-ის I ნახევრის) და სპილენძის ქართული (რუსუდან მეფის, XIII ს.) მონეტების საინტერესო კოლექცია.

2. 2009 წელს იმერეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის ინიციატივით დაიგეგმა მოწამეთის მონასტრის რეაბილიტაცია. პროექტის დამუშავების პროცესში კომპლექსის ტერიტორიაზე ჩატარდა მცირე მასშტაბის სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოები.

მონასტერი მდ. წყალწითელას ხეობაში ღრმად შეჭრილ, სამი მხრიდან ციცაბო, კლდოვანი ფერდობებით დაცულ ნახევარკუნძულზეა გაშენებული (ტაბ. V_2). ქართული საისტორიო ტრადიციით ამ ადგილს ჰქვია „ციხე-ქალაქი წყალწითელი," რომელიც VIII ს-ის 30-იან წლებში არაბებს დაუნგრევიათ. აქვე, დანგრეული ეკლესიის ქვეშ არსებულ აკლდამაში დაუკრძალავთ მათ მიერ ნაწამები გმირები: დავით და კონსტანტინე მხეიძეები [საბინინი 1882: 323-330; გეგეჭკორი 1991, იქვე ლიტერატურა].

მონასტრის კარიბჭეში შემორჩენილი ტოლმკლავა ჯვრის, გალავნის კედლებზე ფიქსირებული იზოდომური და დიდკვადროვანი წყობის საფუძველზე „ციხე-ქალაქი წყალწითელი" (გვიანდელი „მოწამეთა") დათარიღებულია ახ.წ. VI ს-ით და გაიგივებულია პროკოფი კესარიელთან მოხსენიებულ „უქიმერიონის" ციხესთან [ლანჩავა 1996: 180-187; ლანჩავა 2007: 141-143; ლანჩავა, ქარციძე 2009: 9-16; ლანჩავა, ისაკაძე 2010: 18-19].

სადაზვერვო სამუშაოებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა აღნიშნული დათარიღებისა და ლოკალიზაციის სისწორე. რთული და კლდოვანი რელიეფის გამო აქ კულტურული ფენები ძირითადად გადარეცხილია, თუმცა მაინც მოხერხდა VI-VIII სს-ით დათარიღებული სამშენებლო მასალის (კრამიტები) *in situ* დაფიქსირება. დიდ მონაკვეთებზე გაიწმინდა იზოდომური და დიდკვადროვანი წყობით ნაგები გალავნის, კოშკების, კარიბჭის კედლები და საჭაპანო ტრანსპორტისთვის განკუთვნილი, კლდოვან ქარაფზე გაყვანილი თავდაპირველი გზა.

რაც მთავარია, გაირკვა, რომ ადრეშუასაუკუნეების ციხე სამი ძირითადი ნაწილისგან შედგებოდა, რომლებიც ერთმანეთისგან იზოლირებული იყვნენ რთული, ძნელად დასაძლევი რელიეფით და კლდეში ხელოვნურად ჩაკაფული ღრმა და ფართო არხებით. მტრისათვის სრულიად მიუვალი შუა სიმაგრე – ციტადელი – დანარჩენებს და საჭაპანო გზას აღნიშნულ არხებზე გადებული ხის ხიდებით უკავშირდებოდა. გარკვეულწილად მოდერნიზებული ეს სისტემა XIX საუკუნეშიც კი მოქმედებდა, რასაც მოგზაურებიც (მაგ: გ. ავალიშვილი [ავალიშვილი 1967: 21] და მარჯორი უორდროპი [თაქთაქიშვილი-ურუშაძე 1965: 43]) აღწერენ და საარქივო ფოტო და გრაფიკული მასალაც ადასტურებს.

3. 2009 წელს ბაგრატის ტაძრის ფუნდამენტების გამაგრებით სამუშაოებზე არქეოლოგიური მეთვალყურეობის პროცესში მოხერხდა ინტერიერისა და ექსტერიერის იმ მონაკვეთების შესწავლა, რომელთა გათხრა აქამდე ტექნიკურად შეუძლებელი იყო. 2010 წელს კი შესწავლილ იქნა საკურთხევლის მონაკვეთი, რითაც ტაძრის ინტერიერისა და ექსტერიერის საკვანძო მონაკვეთების კვლევა ფაქტობრივად დასრულდა. ამ სამუშაოებმა საშუალება მოგვცა დაგვეზუსტებინა ცალკეული სამშენებლო ფენების გეგმის დეტალები, ქრონოლოგია-სტრატიგრაფიასთან დაკავშირებული საკითხები და ერთგვარად შეგვეჯამებინა ექვსი საველე-არქეოლოგიური კამპანიის შედეგები.

არქეოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბაგრატის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე („არქიელის გორა") უძველესი დასახლების ნაშთები ენეოლით-ადრებრინჯაოსა და ადრერკინის ხანით თარიღდება [ლანჩავა, ისაკაძე 2007: 15-19., ლანჩავა 2007: 34-42; ლანჩავა, ისაკაძე, ბერძენიშვილი, ჭუმბურიძე, ქარციძე 2010: 68], ხოლო საქალაქო ცხოვრების აღმავლობის ახალი ეტაპი იწყება ახ.წ. III-IV საუკუნეებიდან [ლანჩავა 1996: 79 და შმდ.; ლანჩავა 2007: 109-121].

ახ.წ. IV ს-ში ორ ეტაპად აგებული ციხე-ქალაქის [ლანჩავა 1996: 80-91; ლანჩავა 2007: 109-111] ცენტრალურ ნაწილში იქ, სადაც დღეს ბაგრატის ტაძარი დგას, შენდება დიდი ზომის სამნავიანი ბაზილიკა [ლანჩავა 2007: 112-113; ისაკაძე 2009a: 138-153; ლანჩავა, ისაკაძე 2010a: 4-13]. მიუხედავად იმისა, რომ მისი ადრევე დაზიანებული კედლების ქსოვილი მომდევნო ეპოქების სამშენებლო ფენებითაა გადაფარული, მოხერხდა წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის (გარე ზომები ნართექსისა და მინაშენების ჩათვლით დაახლ. 38ჩ29 მ) ნაგებობის გეგმის შეკვრა და ინტერიერის მოწყობის ცალკეული ელემენტების გამოკვეთა (ტაბ. III_1) .

ნაოსის (ინტერიერი 26,7ჩ12 მ) ორსავე მხარე-

ზე ფიქსირებულია თანადროული სწორკუთხა მინაშენები. ჩრდილოეთის მინაშენი ორნაწილიანია: არასწორი ოთხკუთხედის ფორმის სანათლავი (ინტერიერი დაახლ. 8,9ჩ5,7 მ) და მასზე დასავლეთიდან მიდგმული დამხმარე სათავსი (ინტ. დაახლ. 5,3ჩ4 მ). სანათლავის აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლების ინტერიერს გაუყვება აგურებით შედგენილი არხი, რომელიც დასავლეთ ნაწილში ჰიდრავლიკური ხსნარით მოპირკეთებულ აუზში იხსნება. სამხრეთის სათავსის (ინტ. დაახლ. 7,1ჩ6,1 მ) ფუნქციის გარკვევა კვლევის ამ ეტაპზე არ ხერხდება. გამოვლენილია ბაზილიკის თანადროული ნართექსიც (ინტ. დაახლ. 12ჩ6,4 მ). მისი დასავლეთის კედლის ცენტრში კირხსნარით მოლესილი კარის ზღურბლი (სიგანე 2 მეტრამდე) და ხის ჩარჩოს ჩასადგმელი ცილინდრული ფოსო დადასტურდა. მისი მდებარეობის მიხედვით ნართექსის კარი ინტერიერისკენ იღებოდა. 2 მეტრამდე სიგანის, ალბათ ორფრთიანი კარის ნაშთი დაფიქსირდა ნაოსის დასავლეთის კედელის ცენტრშიც. კიდევ ერთი კარი ჩრდილოეთის კედლის დასავლეთ ნაწილში ყოფილა, რომლის მეშვეობითაც დამხმარე სათავსის გავლით ნაოსიდან სანათლავში შეიძლებოდა მოხვედრა.

ბაზილიკის ცენტრალური ნავის აღმოსავლეთ ნაწილში გამოიკვეთა მართკუთხა ფორმის საკურთხეველი (ინტერიერი 8ჩ5,4 მ), რომლის ორივე მხარეს, გვერდითა ნავების გაყოლებაზე ასევე მართკუთხა მოხაზულობის მცირე ზომის (ინტერიერი 8ჩ2 მ) სათავსების (პირობითად პასტოფორიუმები) გეგმა იკითხება. ანალოგიურადაა მოწყობილი ნეკრესის ნაქალაქარის ჭაბუკაურის ბაზილიკის (IV ს.) საკურთხევლის მონაკვეთი [ბახტაძე 2010]. საკურთხევლის მონაკვეთის ასეთი მოწყობა არც თუ იშვიათად დასტურდება ჩრდილოეთ სირიისა და პალესტინის, მესოპოტამიისა და ეგვიპტის ადრინდელ ბაზილიკებზე [ბახტაძე 2010: 210, იქვე ლიტერატურა].

ნაოსის კარის ჩრდილოეთის ჩარჩოსა და საკურთხევლის ცენტრალური და ჩრდილოეთის სათავსების გამყოფი კედლის წინ ერთ ხაზზე განლაგებული კუთხეებმომრგვალებული ორი ორმოს (ზომები დაახლ. 0,45ჩ0,45 მ, h=0,4-0,5 მ) ნაშთი გაიწმინდა. ერთი მათგანის ფსკერში უფორმო ქვის ფილა იდო. შედარებით მცირე ზომის ნატეხი ქვები ორმოში სხვადასხვა სიმაღლეზეც დაფიქსირდა. ანლოგიური სიტუაცია დაგვხვდა საკურთხევლის მონაკვეთში გამოვლენილ ორმოშიც, რომელიც IV ს-ის იატაკს სტრატიგრაფიულადაც თანხვდება და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ იატაკი ორმოში ჩასმულ ხის სვეტზე იყო მილესილი.

ქვის სვეტებზე დაყრდნობილი სახურავის ხის კონსტრუქციები იგულისხმება ჭაბუკაურის IV ს-ის ბაზილიკაზეც, რომელიც გეგმით, ზომებით და საკურთხევლის მოწყობის პრინციპით ქუთაისის ბაზილიკის ანალოგიურია. „როგორც ქრისტიანულ დასავლეთში, ისე რომის აღმოსავლურ-ქრისტიანულ პროვინციებში, ანტიკურ-რომაული ტრადიციებიდან გამომდინარე, უძველესი ბაზილიკების ორფერდა სახურავები უმთავრესად ხის მზიდ კონსტრუქციებს ეყრდნობოდა...“ (ნ. ბახტაძე).

საკურთხევლის მონაკვეთის გეგმა, აღნიშნული ორმოების აღმოჩენა და ის გარემოება, რომ გათხრების შედეგად IV ს-ის ბაზილიკის კუთვნილი ქვიტკირის სვეტები არ გამოვლენილა, საფუძველს გვაძლევს ხის სვეტების ორი რიგით გაყოფილი სამნავიანი ნაოსი წარმოვიდგინოთ.

ბაზილიკის ფუნდამენტები ჩაშვებულია წინარეანტიკური ხანის კულტურულ ფენაში. მათი სიმაღლე მერყეობს რელიეფის ფორმისა და გრუნტის სიმკვრივის შესაბამისად და ნაგებია რიყის ქვითა და ჭარბკირიანი, მაღალი ხარისხის დუღაბით. ფასადები ფუნდამენტისაგან 0,2-0,3 მ-ის სიგანის ცოკოლით გამოიყოფა და ამოყვანილია მყიფე ჯიშის თეთრი კირქვის მცირე ზომის, შუბლგამოყვანილი ქვებით, შიდა სივრცე კი შევსებულია ნატეხი ქვითა და ჭარბკირიანი დუღაბით. კედლების სიგანე 1,4 მ-ია, წყობაში „შეძლებისდაგვარად დაცულია რიგების ჰორიზონტალობა, რითაც იგი წააგავს რომაულ ხუროთმოძღვრებაში კარგად ცნობილ ***Opus incertum***-ს.“

ანალოგიური ტექნიკითაა ნაგები ახ. წ. IV ს-ით დათარიღებული არა მარტო ქუთაისის არამედ ვარდციხის, ნოქალაქევისა და შორაპნის საფორტიფიკაციო და საერო ნაგებობები [ლანჩავა 1996: 79-98, სურ. 5-6-11-12; ლანჩავა 2007: 109-115, სურ. 95-97-98-100-101; ჯაფარიძე 1989: 112 და შემდეგ; ზაქარაია, კაპანაძე 1991: 17 და შემდეგ; ჯაფარიძე 1990].

ბაზილიკის ნაოსსა და ნართექსში დაფიქსირდა სამშენებლო ანატკეცებზე დაფენილი კირხსნარიანი იატაკის თხელი (10 სმ-დე) შრე.[4] სანათლავის კედლები, იატაკი და არხი კი ჰიდრავლიკური ხსნარითაა შელესილი.

4 ნაოსის იატაკი საგრძნობლადაა დახრილი აღმოსავლეთიდან დასავლეთით. ანალოგიურადაა მოწყობილი მომდევნო ბაზილიკების იატაკებიც. ასევე შეინიშნება, რომ გვერდითა ნავებში იატაკის დონე ოდნავ შემაღლებულია.

მომდევნო ეტაპზე ბაზილიკა საფუძვლიანად გადაუკეთებიათ, მანამდე კი დროის რაღაც მონაკვეთში, როგორც ჩანს მისი ფუნქციონირება შეჩერებულია, რისი დასტურიცაა თავდაპირველ იატაკზე დაფენილი 0,4 მ-დე სიმძლავრის მიწის ფენა, რომელშიც იკითხება ნგრევისა და ხანძრის კვალი.

მიუხედავად იმისა, რომ გადაკეთების კვალი მომდევნო ეტაპების მშენებლობების დროს უკიდურესად დაზიანებულია, მაინც მოხერხდა ახალი ნაგებობის გეგმის წარმოსახვა (ტაბ. III_2), რომლის გარე კონტური ძველი ბაზილიკის ნაოსის ინტერიერშია ჩასმული. სახელდახელოდ ამოყვანილი კედლები (სიგანე 0,4 მ-დე) ნაგებია ბაზილიკის დანგრეული კონსტრუქციებიდან აცლილი ქვებით, დუღაბისა და აგურების ნატეხებით. ორ შემთხვევაში წყობის გასამაგრებლად ჰორიზონტალურად დაწყობილი ხის სწორკუთხა ძელების ბუდეებიც დაფიქსირდა. პრაქტიკულად ფუნდამენტების დონეზე შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით შეძლებისდაგვარად გამოიკვეთა WO ხაზზე ერთმანეთის პარალელურად განლაგებული სხვადასხვა ზომის 5 სათავსის გეგმა. დასავლეთის მცირე ზომის (ინტ. 10,8ჩ2,6 მ) სათავსის ინტერიერში დაფიქსირებულია ლოკალური, ხანგრძლივი ცეცხლის ნთებისგან გადაწითლებული თიხატკეპნილი იატაკის დონე. მომდევნო, დიდი ზომის, ორსვეტიანი სათავსის (ინტ. 10,8ჩ10,8 მ) სამხრეთ-დასავლეთ კედელთან, სავარაუდო იატაკის დონეზე აღმოჩნდა ფართო, ბრტყელძირიანი (ადრეული შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი), სადაზედაპირიანი ქვევრი. მესამე და მეოთხე სათავსები პირველის მსგავსად მართკუთხა ფორმისა ჩანს თუმცა მათი გეგმა ნათლად არ იკითხება.

არც ნაგებობის გეგმა, არც ხანგრძლივი ცეცხლის კვალი და ქვევრი კანონიკურ ქრისტიანულ მსახურებას არ უკავშირდება და ფრთხილი ვარაუდის დონეზე არ გამოვრიცხავთ, რომ ეს ყველაფერი V ს-ის 70-80-იანი წლებიდან 523 წლამდე (ბიზანტიაში ჩასული წათეს გაქრისტიანება და, შესაბამისად, პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა) ეგრისში ირანის გააქტიურების, მეფე წათეს „...წარმართთა სარწმუნოებაზე...“ გადასვლის და შესაბამისად ცეცხლის? კულტის ან სულაც ირანისგან მხარდაჭერილი ქრისტიანული ერესის (სავარაუდოდ ნესტორიანობის) არსებობის გამოძახილიც იყოს [დაწვრ. იხ. ლანჩავა, ისაკაძე 2010b: 10-12; ისაკაძე 2009a: 139-140]. ამავე კონტექსტში (ირანის გაბატონება ეგრისში) უნდა განვიხილოთ თერჯოლის რაიონის სოფ. ღვანკითში „დედაღვთისაზე“ გათხრილი ეკლესიაც, რომლის მშენებლობაც ფუნდამენტის დონეზეა შეწყვეტილი [ბრაგვაძე 2009: 5-13].

სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით დაახლოებით VI ს-ის მეორე მეოთხედში ბაზილიკა საფუძვლიანად ჩანს განახლებული (ტაბ. IV_1): ზემოხსენებული გადაკეთების კვალი მთლიანად გადაფარულია, აღდგენილია ჩრდილოეთის კედლის ნაწილი; შენდება ახალი, NS ხაზზე რამდენადმე დავიწროვებული (ინტ. 9,2ჩ6,4 მ) ნართექსი და მისი სახურავის თაღების გადასაყვანად გაჩენილია ორი სწორკუთხა სვეტი. ნაოსში ფიქსირებულია კარგად დამუშავებული ქვებით ამოყვანილი ნავების გამყოფი სწორკუთხა სვეტები, რომელთა ბაზების ქვედა საფეხურები VIII საუკუნეში ახალი, ჯვრის ფორმის სვეტების საყრდენებად გამოუყენებიათ. ნართექსისა და ნაოსის დასავლეთის ნაწილში ერთ დონეზე ნიველირებული იატაკი მოპირკეთებულია საგანგებო მომზადებაზე დაფენილი მაღალი ხარისხის ჰიდრავლიკური ხსნარით. ცენტრიდან აღმოსავლეთით კი „კენჭოვანხსნარიანი“ იატაკი ფიქსირდება. ორივე მათგანი ცალკეული შეკეთებებით მომდევნო ეტაპებზეცაა გამოყენებული.

სანათლავის იატაკსა და არხში ჩალექილ ნგრევის ფენაში *in situ* დაფიქსირებული სამშენებლო (მაღალბორტიანი, h=7 სმ) კრამიტები და სხვადასხვა ზომის აგურები) და საყოფაცხოვრებო (პირქედიანი, ფართოძირიანი დერგები, თხელკედლიანი, მოჩალისფროკეციანი, ვიწროდ ტანდაღარული ამფორა) კერამიკის ფრაგმენტები VI ს-ით თარიღდება. ბაზილიკის მეორე და საბოლოო ნგრევა VI ს-ის შუახანებში ეგრისში „დიდ ომიანობას“ უნდა დავუკავშიროთ.

VII ს-ში, სავარაუდოდ ჰერაკლე კეისრის ლაშქრობებიდან (VII ს. 20-იანი წლების ბოლო) სერგი ბარნუკის ძის აჯანყებამდე (697 წ.), ამავე ადგილზე ახალი ბაზილიკა აუგიათ, რომლის აღმოსავლეთის ნაწილი იმდენადაა დაზიანებული, რომ გეგმის სრულად აღდგენა ვერ ხერხდება (ტაბ. IV_2). დასავლეთის კედელში ცენტრიდან სამხრეთით გადაწეული 1,8 მ. სიგანის კარია გაჭრილი. კარის ნაშთი სამხრეთის კედლის დასავლეთ ნაწილშიც ფიქსირდება.

კედლების (შემორჩენილი h=0,5 მ) სიგანე 1,4 მ-ია და ნაგებია საშუალო ზომის ზედაპირდაკეჭნილი, უხეშად დამუშავებული კვადრებით. ჩრდილოეთის კედელზე ორი პილასტრის ნაშთია შემორჩენილი. სამხრეთის კედლის დასავლეთის ნაწილის ექსტერიერში ერთსაფეხურიანი ცო-

კოლიც გამოიყოფა. ნაოსში, დასავლეთის კარის წინ საგანგებოდ გათლილი ქვის ფილებით შედგენილი იატაკის ნაშთი დაფიქსირდა, რომელიც ცენტრისკენ ძველ (VI ს-ის) იატაკში გადადის. ნავების გამყოფი სწორკუთხა სვეტების ნაშთები იმდენად ცუდადაა დაცული, რომ არა მარტო ზომების, WO ხაზზე მათი განლაგების ინტერვალების აღდგენაც კი ვერ ხერხდება.

შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, სავარაუდოდ ოთხი წყვილი სწორკუთხა სვეტით სამ ნავად გაყოფილი მართკუთხედს მიახლოებული (ინტ. 17,4ჩ13,2 მ) ნაოსი, ვფიქრობთ, გარე სწორკუთხედში ჩაწერილი, ნალისებური ფორმის ერთი შვერილი აფსიდით ბოლოვდებოდა. მისი რკალის ინტერიერის ნაწილი მხოლოდ ფუნდამენტის დონეზე ჩანს, თუმცა გეგმის აღდგენის საშუალებას იძლევა. სავარაუდო გარე სწორკუთხედის კონტური კი მთლიანად წაშლილია და მომდევნო ფენებითაა გადაფარული.

საკურთხევლის აფსიდის წინ ბაზილიკის ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის შიდა კუთხეებში იკვეთება ნაოსის ინტერიერში „შეჭრილი“ ორი სხვადასხვა ზომის სწორკუთხა სათავსის გეგმა, რომლებიც ალბათ სამკვეთლოსა და სადიაკვნის ფუნქციას ასრულებდნენ.

სამხრეთის სათავსის (ინტ. 5,9ჩ2,7 მ, კედლების სიგანე 0,7-0,8 მ) ჩრდილოეთის კედელში ფუნდამენტის დონეზე შემორჩენილი სვეტით (1,3ჩ0,7-0,8 მ.) ორად გაყოფილი საკარე ღიობები (სიგანე საშუალოდ 1,2 მ) ჩანს. სიმეტრიის პრინციპით აღდგენილ ჩრდილოეთის სათავსშიც ანალოგიურად მოწყობილი საკარე ღიობები უნდა ვივარაუდოთ. ჩრდილოეთის სათავსისგან (ინტ. 5,9ჩ5,2 მ) მხოლოდ დასავლეთის კედლის მცირე ნაწილი იკითხება. მართკუთხა ფორმის ქვის ფილებით (შემორჩენილია სამი ფილა) ამოყვანილი წყობის ერთი რიგი ბაგრატის ტაძრის B სვეტის ჩრდილოეთით გათხრებამდეც კარგად ჩანდა და დღესაც ადგილზე დევს. საკურთხევლის მონაკვეთის თითქმის მსგავსი გადაწყვეტა ჩანს VIII ს-ით დათარიღებულ ოპიზის ტაძარზე [ჯობაძე 2006: 24, სურ. 1].

საკურთხევლის აფსიდის წინ, ზემოაღნიშნულ სათავსებს შორის ცენტრში ქვის ფილებითა და დუღაბით ნაგები, დამოუკიდებლად მდგარი სწორკუთხა სტრუქტურა (დახლ. 1,5ჩ1,5 მ) იკითხება, რომელიც გვერდითი სათავსების საკარე ღიობებს „უყურებს.“ თავის დროზე იგი ნათლად იკითხებოდა საკურთხევლიდან, გვერდითი სათავსებიდან, ნაოსის ცენტრიდან და ყველა ნიშნით ტრაპეზის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. წყობის პირველ რიგზე მილესილი, ერთმანეთისგან 5-10 სმ-ით დაშორებული კირხსნარის იატაკის ორი შრე უჩვენებს, რომ იგი ფუნქციას გვიანაც (VIII ს-ში) ინარჩუნებდა.

თარიღისა და ისტორიული რეალობის გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს არის ქართულ წყაროებში მოხსენიებული „ქუთათისის საყდარი“ (აღსანიშნავია, რომ ტერმინი „საყდარი“ ბაგრატის ტაძრის აღსანიშნავად გვიან შუასაუკუნეებშიც კი გამოიყენება), რომელშიც უნდა დაეკრძალათ ქართლის ერისთავი სტეფანოზი (ქართლის ცხოვრება 1955: 241).

სტრატიგრაფიულად ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ „საყდრის“ სამხრეთით 2 მ-ის დაშორებით განცალკევებით მდგარი „კოშკურა“ ფორმის ნაგებობა (5,7ჩ5,7 მ), კარით (1,2 მ.) დასავლეთის კედლის ცენტრში. მისი ინტერიერის გახსნა და დეტალებზე მსჯელობა შეუძლებელია. სავარაუდოდ ესაა მარტირიუმი, შესაძლოა სწორედ სტეფანოზ ერისთავის განსასვენებელი და თუ ეს ასეა, მაშინ იგი არჩილის ქუთაისში მოღვაწეობის ხანით შეიძლება დავათარიღოთ. სამსაფეხურიან ცოკოლზე ამოყვანილი „კოშკურას“ ჩრდილოეთის კედელი VIII ს-ის ბაზილიკის სტრუქტურაშია ჩართული და 2-3 მეტრის სიმაღლეზე დღესაც კარგად იკითხება.

მურვან-ყრუს ლაშქრობის შედეგად დაზიანებული „საყდარი“ საფუძვლიანად ჩანს გადაკეთებული ლეონ II მიერ VIII ს-ის მეორე ნახევარში: გაფართოებულია ინტერიერი., ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეს ჩნდება სწორკუთხა მკლავები; სამხრეთის სწორკუთხა მკლავში სანათლავია მოწყობილი, რისი დასტურიცაა ღარიანი კრამიტებით შედგენილი არხები; დასავლეთიდან მიშენებულია შესანიშნავად დამუშავებული საფასადო ქვებით აგებული ნართექსი. ნართექსის ცენტრში ორ, დამატებით პარალელურ საყრდენ კედელზე ფიქსირებულ ჯვრის ფორმის სვეტებზე გადაყვანილი თაღებით სივრცე სამ არათანაბარ ნაწილად ყოფილა გაყოფილი., ნაოსის დასავლეთის კედელში კვლავ ფუნქციონირებს ძველი (VII ს.) კარი. ამავე ზომის კარი უნდა აღვადგინოთ ნართექსის დასავლეთის კედლის ცენტრშიც. ეზოში გასასვლელი საკარე ღიობების ნაშთები ფიქსირდება ნაოსის გვერდითა კედლებზეც.

VIII ს-ის განახლება-გადაკეთების კვალი „საყდრის“ ინტერიერშიც კარგად ჩანს. გათხრილ მონაკვეთებში აღმოჩნდა ერთმანეთისაგან თითქმის თანაბარი ინტერვალებით (სა-

შუალოდ 2,5 მ) დაშორებული ჩრდილოეთისა და ცენტრალური ნავების გამყოფი ჯვრის ფორმის 6 სვეტის ნაშთი. ერთი მათგანის საფეხურებრივი ბაზა თითქმის მთლიანადაა გადარჩენილი, დანარჩენები კი მომდევნო მშენებლობის დროსაა დაზიანებული ან გადაფარული.

არსებული მონაცემებით ექვსი წყვილი სვეტით სამ ნავად გაყოფილი ბაზილიკის ნაოსი გა რე სწორკუთხედში ჩაწერილი სამი ნალისებური აბსიდით შედგენილი საკურთხევლით მთავრდებოდა. ეს მონაკვეთი მომდევნო ორი სამშენებლო ფენითა და გასული საუკუნის რესტავრაციის შრითაა გადაფარული, თუმცა ბაგრატის ტაძრის სამკვეთლოსა და სადიაკვნეში ფუნდამენტის დონეზე მკრთალად, მაგრამ მაინც იკითხება ძველი აფსიდების რკალის ნაშთები, რაც გეგმის სრულად აღდგენის საშუალებას არ იძლევა (ტაბ. V_1).

ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ დაძრული კულტურული ფენიდან მომდინარე ასომთავრულწარწერიანი ანტეფიქსიც, რომელზეც ქარაგმის გახსნით იკითხება „გაბრიელი“, წარწერა პალეოგრაფიულულად VIII-IX სს-ით თარიღდება [სილოგავა 2009: 75-79]. ანალოგიური ანტეფიქსი ცნობილია გუდაუთიდან, სადაც იკითხება „მიქაელი.“

2009-2010 წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგად კიდევ ერთი სამშენებლო ფენა გამოიყო (ტაბ. V_1). ამ ეტაპზე მთლიანად განახლებულია საკურთხევლის აფსიდები. განახლების კვალი ჩრდილოეთის სწორკუთხა მკლავის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხის ინტერიერსა და ექსტერიერში სართულნახევრის სიმაღლეზე თვალნათლივ იკითხება. ამავე ფენის კუთვნილია საკურთხევლისწინა ნახევარწრიული სვეტები (ერთი მათგანი შესანიშნავადაა ორნამენტირებული) და ბაგრატის ტაძრის დასავლეთის კედლის ამოყვანისას გაუქმებული დასავლეთის კარიბჭის თუ ნართექსის თაღი. ძეგლის სტრატიგრაფიის გათვალისწინებით ეს ფენა ზოგადად IX-IX სს-ით უნდა დათარიღდეს.

ფაქტობრივი მასალისა და წერილობითი წყაროების უკიდურესი სიმწირის გამო ახლა ძნელია თქმა რით იყო განპირობებული VIII ს-ის ბოლოს აგებულ ბაზილიკაზე ამ მასშტაბის განახლებითი სამუშაოების ჩატარება. ამ ფენის უფრო მკაფიოდ გამოსაკვეთად და ბაგრატ III დროინდელი მშენებლობისგან გასამიჯნად დამატებითი ხუროთმოძღვრული კვლევაა საჭირო.

ორი უკანასკნელი სამშენებლო ეპოქების კედლების ქსოვილი (ასევე სარკმლების, სართულის გამყოფი თაღების, ნალისებური სამი აფსიდის, აფსიდისწინა მრგვალი სვეტების ნაშთები) ორგანულადაა ჩართული X-XI სს-თა მიჯნაზე აგებული ბაგრატის ტაძრის სტრუქტურაში და სართულნახევრის სიმაღლეზე დღემდე კარგად იკითხება, ინტერიერის ელემენტები კი იატაკის დონეზეა ნიველირებული.

ტაძრის ხუროთმოძღვარმა „საყდრის“ სწორკუთხა მკლავები ნახევარწრიულით, ძველი სვეტები კი მრგვალი და წახნაგოვანი სვეტებით შეცვალა, რომელთაც გუმბათი ეყრდნობა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეს გაჩნდა ღია გალერეები. XI ს-ის პირველ მეოთხედში (გიორგი I დროს) აიგო კარიბჭეები, XIV ს-ში კი დასავლეთის კარიბჭეს ჩრდილოეთიდან სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი მიაშენეს.

თურქთა მარბიელი ლაშქრის მიერ 1510 წელ ს გადამწვარი ტაძარი როგორც ჩანს გელათთან ერთად განუახლებია იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565). კერძოდ: საკურთხევლის განახლებული იატაკისა და კანკელის კირხსნარის სტრუქტურა დასავლეთის მხრიდან „შეჭრილია“ ამბიონის „მოზაიკურ“ იატაკში. განახლების კვალი „მოზაიკაზეც“ კარგად იკითხება. გვიანი შუასაუკუნეებით თარიღდება სამხრეთის კარიბჭეში შემორჩენილი ფრესკებიც.

საარქივო მასალებსა და არქეოლოგიური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით აღდგენილია XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის იმ ეკლესიის გეგმა და სამშენებლო პერიოდები, რომელიც 1692 წლის[5] „იავარქმნას“ (ვახუშტი ბაგრატიონი) გადარჩენილ სამხრეთის კარიბჭეში იყო მოწყობილი [ლანჩავა, ისაკაძე 2007: 8-14].

1985 წლიდან დღემდე ტაძრის ინტერიერისა და ექსტერიერის გათხრებისას 100-ზე მეტი სამარხი აღმოჩნდა. მათი ქრონოლოგიური ჩარჩო V-XIX სს-ით იფარგლება. სამარხთა ძირითადი ტიპებია: ორმოსამარხები, ქვაყუთსამარხები, აგურით ამოშენებული სამარხები, კირხსნარითა და ნატეხი ქვებით ამოშენებული სამარხები, აკლდამები, კირხსნარიანი სამარხები, სარკოფაგი. განსაკუთრებით საიტერესო ადრეული შუასაუკუნეების სამარხებში ორი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყოფა:

1. უინვენტარო ორმოსამარხები, რომელთაც ფარავს VI ს-ის დასაწყისის ჰიდრავლიკურხსნარიანი იატაკი. მათ ჩაჭრილი აქვთ IV ს-ის ბაზილიკის იატაკის დონე;.

5 ბაგრატის ტაძრის დანგრევის თარიღისათვის იხ. ისაკაძე 2006: 91-98.

2. VIII ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებული ორმოსამარხები და კირხსნარიანი სამარხები. ამ უკანასკნელთა შორის გამოირჩევა № 50 მდიდრული სამარხი, რომლის კამერა მოწყობილი იყო VIII ს-ის ბაზილიკის ნართექსში.

№ 50-ე სამარხის კონსტრუქცია რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ზედა ნაწილი წარმოადგენს WO ხაზზე დამხრობილ, კარგად დამუშავებული საშულო ზომის ქვის ფილების ერთი რიგით შედგენილ ყუთს, რომლის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებში ოთხ-ოთხი ფილა დევს, თავსა და ბოლოში კი თითო. ამგვარად შეკრული ყუთის გარე ზომებია 2,3ჩ0,68 მ, სიმაღლე 0,4 მ-დე. ფილები ერთმანეთთან დაკავშირებულია სუსტი დუღაბის ხსნარით. ასეთივე ხსნარის თხელი შრით გადალესილი შიდა სივრცე ქვის ფილებით ყოფილა გადახურული, რომელთაგან უძრავად აღმოსავლეთის ნაწილში მხოლოდ ერთი ფილა იყო შემორჩენილი (ქვაყუთის სახურავი თავის დროზე ნიველირებული იყო VIII ს-ის ნართექსის იატაკის დონეზე, რითაც შემსვლელთათვის მონიშნული იყო საფლავის ადგილი). დანარჩენები, როგორც ჩანს, ბაგრატის ტაძრის მშენებლებმა ააცალეს, მაგრამ საბედნიეროდ სიღრმეში აღარ ჩავიდნენ და ზემოდან სამშენებლო ანატკეცებით გადაფარეს.

ეს სტრუქტურა აზის 0,2-0,3 მ-ის სიმძლავრის ღორღიანი მიწის შრეს, რომელიც დაფენილია სამარხის კამერაზე.

მართკუთხედის ფორმის კამერის კედლები (სიგანე 5-10 სმ.) შედგენილია ადვილად შლადი დუღაბით და შიგნიდან კარგად ეტყობა ხის ფიცრების კვალი. ამგვარად მოწყობილ კამერაში მიცვალებული დაკრძალულია პირდაპირ მიწაზე, ხის ფიცრებით შემოზღუდულ ტრაპეციის ფორმის (ფეხებისკენ დავიწროებული) სივრცეში და ზემოდან მთელ ტანზე გადავლებული აქვს სილისა და კირხსნარის თხელი შრე ისე, რომ მხოლოდ სახის ნაწილი არ არის დაფარული. დუღაბის შრემ ძლიერ გაართულა ჩონჩხის პრეპარაცია და ზოგიერთი ნივთის გამოცალკევება მხოლოდ ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ლაბორატორიაში მოხერხდა, თუმცა ინვენტარის ძირითადი ნაწილი in situ მდგომარეობაში დაფიქსირდა.

მიცვალებულის დამხრობა კანონიკურად ქრისტიანულია, ხელებისა და ფეხების პოზაში კი წარმართული დეტალები ჩანს. მარჯვენა ხელი ედო მკერდზე, მარცხენა კი მენჯზე. მარჯვენა ფეხის მუხლს ქვემოთა ძვლები გადაჯვარედინებული (გადალაგებული) იყო მარცხენა ფეხზე. ფეხის თითები ნაკლული და გაბნეულია.

ფეხების ასეთი პოზა ხშირად დასტურდება სამხრეთ რუსეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის სტეპებისა და ჩრდილო კავკასიის იმ რეგიონების ძეგლებზე, რომლებიც სალტოვო-მაიაცკის (ხაზართა ხაკანატის) კულტურის არეალშია მოქცეული.

ფეხების გადაჯვარედინება (შეკვრა), ძვლების საგანგებოდ არევა, ან ფეხის თითების ნაწილობრივი ამოცლა ამ კულტურის ძეგლებზე სავარაუდოდ ქურუმი ქალების სამარხებშია დაფიქსირებული [Плетнева 1998: 529-537].

მკვლევართა ერთი ნაწილი სამართლიანად შენიშნავს, რომ ასეთი პოზა გვხვდება ყუბანის-პირეთში მეოტებთან ძვ.წ. I-ახ.წ. I სს-ში (სამარხების 11 %), სარმატებთან (7 %, 366 სამარხიდან) მხოლოდ II-III სს-ში [Мошкова 1983: 30-31], X-XIV სს-ით დათარიღებულ დაღესტნის (ურადის სამაროვნის №№ 2-5 სამარხები) ქრისტიანულ სამარხებში [Тахнаева 2001: 243-2454], არ განეკუთვნება რომელიმე კონკრეტულ არქეოლოგიურ კულტურას და მით უმეტეს არ წარმოადგენს ეთნიკურ მახასიათებელს [Мошкова 1983: 529-537]. ფეხებგადაჯვარედინებული სამარხები დადასტურებულია წებელდაშიც, აბგიძრახუს სამაროვანზე (№ 9 და 54 სამარხები). მ. თრაპში მათში სარმატული დაკრძალვის წესს ხედავს [Трапш 1971: 121].

როგორც ცნობილია, ლეონ II დედა ხაზართა ხაკანის ასული იყო. სამეფო კარს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ხაზარეთთან და კვლევის ამ ეტაპზე ფრთხილი ვარაუდის დონეზე არ გამოირიცხება გარდაცვლილის, რომელიც უთუოდ სამეფო ოჯახის წევრი იყო, ამ სამყაროდან წარმომავლობა.

№ 50 სამარხის ინვენტარი წარმოდგენილია ოქროს, ვერცხლის, მინის და ძვირფასი ქვებისაგან შედგენილი სამკაულებით: ოქროს სასაფეთქლეები, ლალისა და ფირუზისთვლიანი ოქროს ბეჭდები, ოქროს შედგენილი სამაჯურები, ოქროს მთლიანადსხმული სამაჯური, ვერცხლის მთლიანადსხმული, ჭვირულგამოსახულებიანი სამაჯური, ტრაპეციის ფორმის ოქროს საკიდები ცენტრში ცისფერი მინანქრით, შავი და ფერადი მინის სამაჯურები, პირამიდული ფორმის ოქროს ფირფიტებითა და ტყავით? შედგენილი სამაჯური.

აღნიშნული ნივთების ჭედურობის ტექნოლოგიაში შეინიშნება გარკვეული მსგავსება ბიზანტიური სამყაროს ოქრომჭედლობასთან და ცალკეული ანალოგები ეძებნებათ VII-VIII სს.

აღმოსავლეთ ევროპის კულტურების ძეგლებთან [ლანჩავა, ისაკაძე 2010b: 14-18, 20-31, 33-34, სურ. 18, ლანჩავა, ისაკაძე, ქარციძე 2009: 17-20].

ინტერდისციპლინარული კვლევების შედეგად გაირკვა, რომ 20-25 წლამდე ასაკის ქალბატონი იყო 1,56 მ-დე სიმაღლის, 40,9 კგ. წონის; სავარაუდოდ დაიბადა ზამთარში, დღენაკლული, იკვებებოდა სხვისი რძით, ჰქონდა სასუნთქი ორგანოების დაავადება და ბავშვობაში რაქიტით იყო ავად, რაც მისი გარდაცვალების მიზეზი არ გამხდარა.

სამარხიდან აღებულ სინჯებში აღმოჩენილია 50-ზე მეტი სახეობის მცენარის მტვერი, სელის, ბამბისა და შალის ბოჭკოები, ბევრია ზოოლოგიური მასალა. ირკვევა, რომ მიკროგარემო რბილი ჰავით ხასიათდებოდა, სადაც თბილი ქვეყნებიდან შემოტანილი მცენარეებიც ხარობდნენ.

მიცვალებული დაკრძალეს შემოდგომაზე, ტანთ ეცვა მოძველებული, ცისფერი, საყელოიანი კაბა და გადაფარებული ჰქონდა ბამბის თეთრი სუდარა [დაწვრილებით იხ. ბითაძე, ყვავაძე, ლანჩავა, ისაკაძე, ლალიაშვილი, ვაჩეიშვილი, გაფრინდაშვილი, დობროვოლსკაია 2010: 280-310].

ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტაძრის სამხრეთის ნალში აღმოჩენილი № 24 სამარხი. შიდამხრიდან შესანიშნავად დამუშავებული ფილებით შეკრულ ქვაყუთში ორი მიცვალებული ესვენა. ქრისტიანული კანონიკით დაკრძალულ ძირითად მიცვალებულს (ქალი) მარჯვენა ბეჭის ორივე მხარეზე გადაფენილი ჰქონია წვრილი ძაფებით ნაქსოვი ოქრომკედი, ხოლო ბავშვის (გოგონა) თავთან აღმოჩნდა ოქროს მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგან დამზადებული წყვილი საყურე. სტრატიგრაფიის გათვალისწინებით № 24 სამარხი IX-X სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

ამ ეტაპზე ტაძრის ინტერიერის არქეოლოგიური კვლევა პრაქტიკულად დასრულებულია. სარეაბილიტაციო სამუშაოები გრძელდება და ექსტერიერში სამომავლოდ დაგეგმილი კვლევა ბაგრატის ტაძართან და ძველ ბაზილიკებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გამოვლენისა და ჩატარებული სამუშაოების შედეგად მიღებული დასკვნების გადამოწმებისა და კორექტირების საშუალებას მოგვცემს.

O. Lanchava, R. Isakadze

ARCHAEOLOGICAL STUDIES IN BAGRAT CHURCH, GELATI AND MOTSAMETA IN 2008-2009

Summary

A joint archaeological expedition of the Otar Lordkipanidze Archaeological Centre of the Georgian National Museum, Kutaisi State Historical Museum and Akaki Tsereteli State University in 2008-2009 worked on three different plots.

1. In 2008 the interior authentic desks, covered by later desks and a wine cellar, separated from the upper story by the wooden floor, came to light. Through a door cut in the north wall the wine cellar was connected with an arched corridor dug in the exterior; the corridor linked facilities of various purposes with one another. In the 16th cent. the academy complex was substantially renovated and turned into the monastery refectory. In the 17th-18th cent. the wine cellar and arched corridor were abolished; an open wine cellar appeared in the exterior, and an arched facility – "refrigerator". In the upper layer of the exterior fragments of 19th-century structures of wood and adobe are attested. Remains of a section of the inner network of an old water pipe of glazed clay, brought from Europe early in the 20th cent., and of a wood pipe mill built in 1915 were brought to light.

2. In 200, before the start of rehabilitation work on the territory of Motsameta monastery, exploratory-archaeological work was carried out, revealing an early-medieval three-part city-fortress. On the basis of the "Bolnisi" cross, isodomic and large-quadrel masonry, the city is dated to the 6th cent. AD. The "fortress-city Tsqaltsiteli" of the Georgian sources (later "Motsameta" is identified with the "Ukimerioni" fortress mentioned by Procopius.

3. As a result of the supervision of the consolidation work of the Bagrat church foundation and the study carried out in the church in 2010 the findings of 6 field archaeological campaigns were summed up: in the 4th cent. AD a large rectangular basilica, with narthex and three annexes were built at the site of Bagrat's church; the chancel and "pastophoria" are of rectangular plan. At the turn of the 5th-6th cent. BC, when Egrisi came under Iran's influence, a structure

of 4 facilities was built in the interior of the basilica, which was not connected with canonical Christian service. In the second quarter of the 6th cent. the north wall and narthex of the basilica were substantially renovated; rectangular pillars of hewn stone appear in the naos; the floor is treated with hydraulic solution. The basilica was finally destroyed in the mid-6 century, during the "great warfare" of Byzantium and Iran. In the 7th cent. a new basilica ("Kutaisi church") was built on this site. The "church" destroyed by the Arabs in the 730s was renewed in the second half of the 8th cent. by Leon II, Egrisi-Abkhazian King: the broadened naos was divided into three naves by two rows of cross-form pillars, rectangular arms were annexed from the north and south, the narthex was renovated, apsides of horse-shoe form were inscribed in the outer rectangle. Prior to the construction of Bagrat church, one more construction layer is identifiable, traceable to the height of one and half storey. The excavations have revealed the trace of 16th cent. repairs and the plan of a church functioning in the 18th-19th cent. in the south porch of the demolished church.

Among the 100-odd burials discovered at various times in the interior and exterior of the church notable is # 50 lime solution burial. At the end of the 8th cent. a woman aged 20-25, 1.56 m tall, weighing 40.9 kg was buried, lying on her back, along the WE line. Her left hand lay in the neck area; the right hand in the area of the pelvis, her right leg was crossed over the left. The grave goods include gold and silver bracelets, gold temple pendants, enamelled gold pectorals, gold bracelets adorned with precious stones, gold rings with turquoise and ruby gems. Note should be made of gold thread and a pair of gold ear-rings from grave 24.

ლიტერატურა

ავალიშვილი გ. 1967: მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ელენე მეტრეველის რედაქციით. თბილისი.

ალექსი იევლევის.... 1969: ალექსი იევლევის 1651-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, იასე ცინცაძის გამოცემა. თბილისი.

ბახტაძე ნ. 2010: ნეკრესის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭაბუკაურის ეკლესიის დათარიღებისათვის. – ძიებანი, № 19, 209-214.

ბითაძე ლ., ყვავაძე ე., ლანჩავა ო., ისაკაძე რ., ლალიაშვილი შ., ვაჩეიშვილი ნ, გაფრინდაშვილი პ., დობროვოლსკაია მ. 2010: ბაგრატის ტაძარში აღმოჩენილი „მდიდარი ქალბატონის" სამარხის კომპლექსური კვლევის წინასწარი შედეგები. – დ. მუსხელიშვილი (რედ.), ანალები, № 6, თბილისი, 280-310.

ბრაგვაძე ზ. 2009: არქეოლოგიური გათხრები სოფელ ღვანკითში. -გ. გამყრელიძე (რედ.), იბერია-კოლხეთი (საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი), № 5, 5-13.

გეგეჭკორი გ. 1991: მოწამეთა. ქუთაისი.

გიულდენშტედტის... 1962: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოცემა. ტ. I. თბილისი.

დურმიშიძე ს. 1985: ზოგი რამ წარსულიდან. თბილისი.

ედუარდ აიხვალდი 2005: ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ. თბილისი.

თაქთაქიშვილი-ურუშაძე ლ. 1965: მარჯორი უორდროპი. თბილისი.

ზაქარაია პ., კაპანაძე თ. 1991: ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება. თბილისი.

ისაკაძე რ. 2006: ქუთაისი XV-XVIII სს-ში (ისტორიული წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით), საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაბეჭდი. ქუთაისი.

ისაკაძე რ. 2008: გელათის კომპლექსის ტერიტორიაზე გაჭრილ გეოლოგიურ შურფებზე ჩატარებული არქეოლოგიური მეთვალყურეობის ანგარიში. ხელნაბეჭდი. ქუთაისი.

ისაკაძე რ. 2009: გელათის აკადემიის ჩრდილოეთის II მონაკვეთში 2009 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შუალედური ანგარიში. ხელნაბეჭდი, ქუთაისი.

ისაკაძე რ. 2009a: ქუთაისის ადრექრისტიანული ეკლესიები. – ტ. ფუტკარაძე (რედ.), ქართველური მემკვიდრეობა, XIII. ქუთაისი, 138-153.

ლანჩავა ო. 1996: ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში. ქუთაისი.

ლანჩავა ო. 2007: ქუთაისის არქეოლოგია. ქუთაისი.

ლანჩავა ო., ისაკაძე რ. 2007: საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრისა და აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ექსტერიერში 2007 წელს (15 ივნისი-30 აგვისტო) ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. ხელნაბეჭდი, ქუთაისი.

ლანჩავა ო., ისაკაძე რ. 2008a: გელათის სამონასტრო ანსამბლის ტერიტორიაზე 2007 წლის 1 დეკემბრიდან 2008 წლის 30 იანვრამდე ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. ხელნაბეჭდი. ქუთაისი.

ლანჩავა ო., ისაკაძე რ. 2008b: გელათის აკადემიის 2008 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. ხელნაბეჭდი. ქუთაისი.

ლანჩავა ო., ისაკაძე რ., ქარციძე ნ. 2009: ქალის მდიდრული სამარხი „ქუთათისის საყდრიდან" (ახალი აღმოჩენა). – ო. ლანჩავა (რედ.), ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XIX. ქუთაისი, 17-20.

ლანჩავაო., ისაკაძე რ., ბერძენიშვილი დ., ჭუმბურიძე მ., ქარციძე ნ. 2010: გათხრები ქუთაისსა და გელათში. – ძიებანი, №19, 67-73.

ლანჩავა ო., ისაკაძე რ. 2010: არქეოლოგიური კვლევები გელათსა და მოწამეთაში. – ნ. ვაჩეიშვილი (რედ.), ძველი ხელოვნება დღეს, №1. თბილისი, 14-20.

ლანჩავა ო., ისაკაძე რ. 2010a: არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში. – ნ. ვაჩეიშვილი (რედ.), ძველი ხელოვნება დღეს, №1. თბილისი, 4-13.

ლანჩავა, ისაკაძე 2010b: 2009 წელს ბაგრატის ტაძრის ფუნდამენტების გამაგრებასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე არქეოლოგიური მეთვალყურეობის ანგარიში, ხელნაბეჭდი. ქუთაისი.

ლანჩავა ო., ქარციძე ნ. 2009: უქიმერიონი „ციხექალაქი წყალწითელია". – ო. ლანჩავა (რედ), ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XIX. ქუთაისი, 9-16.

მგალობლიშვილი მ., მიქიაშვილი ლ. 2000: ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები გელათის შესახებ. – დ. მუსხელიშვილი (რედ.), „ანალები," №2. თბილისი, 79-88.

მჭედლიძე გ., კეზევაძე მ. 2008: ქუთაის-გაენათის ეპარქია. ქუთაისი.

ნ. ტოლოჩანოვის... 1970: ნ. ტოლოჩანოვის იმერეთის სამეფოში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. იასე ცინცაძის გამოცემა. თბილისი.

ჟორდანია თ. 1897: ქრონიკები, წიგნი II. ტფილისი.

საბინინი მ. 1882: საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი.

სილოგავა ვ. 2009: „ქუთაისის საყდრის" ანტეფიქსი და მისი წარწერა. – მ. ბერიძე (რედ.), გულანი, 3(7). ახალციხე, 75-79.

სონღულაშვილი ჯ. 1962; თოვლისა და ყინულის შენახვის ხალხური წესები თბილისის სანახებში. – სსმმ, ტ. XXIII-B, 170-174.

ფირფილაშვილი პ. 1988: მაღალაძეთა ნასახლარზე შემორჩენილი მრავალთახჩიანი ნაგებობა. – მაცნე, № 4, 112-129.

ქართლის ცხოვრება 1955: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I. თბილისი.

ჭელიძე ვ. 1988: კაცად კაცმან თავისი ტვირთი იტვირთოს. – გაზ. „ლიტერატურული საქართველო," №35, 26. 08. 1988. თბილისი.

ჯაფარიძე ვ. 1989: ვარდციხის ნაქალაქარი. თბილისი.

ჯაფარიძე ვ. 1990: ანტიკური ხანის შორაპნის (სარაპანისი) ახალი არქეოლოგიური მონაცემები (პრეპრინტი). თბილისი.

ჯობაძე ვ. 2006: ადრეული შუასაუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში. თბილისი.

Мошкова М. Г. 1983: К вопросу о катакомбных погребальных сооружениях как специфическом этническом определителе. – История и культура сарматов. Саратов, 18-34.

Плетнева С. А. 1998: „Амазонки“ как социально-политическое явление. – Культура славян и Русь. Москва, 529-537.

Тахнаева П. И. 2001: Християнская култура средневековой Аварии (VII-XVI вв.) в контексте реконструкции политической истории. Махачкала.

Трапш М. 1971: Култура Цебелъдинских некрополей, Труды, Т. 3. Тбилиси.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. – გელათი. აკადემიის შენობის გათხრები. გეგმა.

ტაბ. II – გელათი. აკადემის ჩრდილოეთის ექსტერიერის გათხრები. გეგმა.

ტაბ. III – 1. ბაგრატის ტაძარი. IV ს-ის ბაზილიკა. გეგმა; 2. ბაგრატის ტაძარი. V ს-ის ნაგებობა. გეგმა.

ტაბ. IV – 1. ბაგრატის ტაძარი. VI ს-ის განახლების კვალი. ბაზილიკა. გეგმა; 2. ბაგრატის ტაძარი. VII ს-ის ბაზილიკა. გეგმა.

ტაბ. V – 1. ბაგრატის ტაძარი. VIII ს-ის ბაზილიკა, IX-X სს-ის შრე. გეგმა; 2. მოწამეთის მონასტერი. სიტუაციური გეგმა.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – 1. Gelati. Excavations of the Academy building. Plan.

Pl. II – 2. Gelati. Excavations of the northern exterior of the Academy building. Plan.

Pl. III – 1. Bagrati church. Basilica of the 4th cent. Plan; 2. Bagrati church. Building of the 5th cent.

Pl. IV – 1. Bagrati church. Basilica. Renewal of the 6th cent. Plan; 2. Bagrati church. Basilica of the 7th cent. Plan.

Pl. V – 1. Bagrati church. Basilica of the 8th cent. Layer of the 9th-10th cent. Plan; 2. Motsameta monastery. Situational Plan.


გელათის აკადემიის გათხრები
გეგმა 2008 წ.
N
თავდაპირველი საშენებლო ფენა
თავდაპირველი მერხები
XIII-XIV სს.
1510 წლის ნგრევის შემდგომი
დაახლოებით XVII-XVIII სს.
ეკერუკერობით დაუთარიღებელი (გვიანი შუასაუკუნეები)
დაუკრავი ქვევრები
დაკრული ქვევრები
არქიტექტორი /ი. ცინცაძე/
0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ტაბ. II


გალავანი
N
გელათი 2009
არქიტექტორი: ი. ცინაძე
0 2 4 6 8 10
XII-XIII საუკუნეები
XIII-1510 წლამდე
1510 წლის შემდგომი
XVIII ს.
XIX ს.
კიბე და ქვაფენილი
ღვარსადენები
მარანი. XVII ს.
მარანი. XIX ს.
თონე
წყალსადენი-1903წ.
წისქვილის არხი. 1915 წ.
გათხრილი ფართობის კონტური



1



2


ə 1:200
E
A
B
F
C
D
1


ə 1:200
E
A
B
F
C
D
2



1



მოწამეთა. სიტუაციური გეგმა

მ. 1:1000

2

ბიძინა მურვანიძე, გელა გიუნაშვილი, ირმა ბერძენიშვილი, ელეონორა სახვაძე

ქ. ბოლნისში 2008 წელს შესრულებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიციამ დამკვეთთან – შპს „საქრემტექნიკა“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების (№ 03/ა; 06.03..2008წ.) საფუძველზე, ქალაქ ბოლნისში – ე.წ. „გეოლოგების დასახლების“ ტერიტორიაზე, განახორციელა გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ქალაქის წყალგაყვანილობის მშენებლობის ზონაში, კერძოდ, აღმაშენებლის, ბესიკის, გოგებაშვილის ქუჩებისა და მათი გადამკვეთი უსახელო ქუჩის მონაკვეთზე (GPS კოორდინატები: X 4127276, Y 4433973; X 4127290, Y 4433042; X 4127169; Y 4433964; X 4127176, Y 4433041) გამოვლენილი დაზიანებული სამარხების შესწავლა (ტაბ. I_1).

გამოვლენილი სამაროვანი მდებარეობს მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირზე, მდინარიდან დაახ. 1.5 კმ-ის დაშორებით. იგი გამართულია შემაღლებულ ფერდზე, რომელსაც ჩრდილოეთიდან კლდოვანი მთაგორიანი ზოლი შემოსაზღვრავს. ადგილობრივები ამ ადგილს „თაფანს“ ეძახიან. დაზვერვების დროს, ერთ-ერთი ბორცვის ძირში, ზედაპირულად აიკრიფა თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც უფრო ადრეული ჩანს, ვიდრე თავად სამაროვანი. სამაროვნის თანადროული სამოსახლოს ადგილმდებარეობა ჩვენთვის უცნობია, თუმცა გამოვლენილი სამარხები გვაძლევს საფუძველს იმისა, რომ სამაროვნის მიმდებარე ტერიტორიაზე თანადროული ნამოსახლარის არსებობაც ვივარაუდოთ.

2008 წელს ექსპედიციამ აღრიცხა 36 სამარხი და სამარხის ნაშთი (უსახელო ქუჩაზე – 22, გოგებაშვილზე – 11, აღმაშენებელზე - 3) (ტაბ. I_2, $II_{1,2}$). გაირკვა, რომ საქმე გვქონდა დიდ სამაროვანთან (დაახ. ფართობი – 150 (N-S) ჩ 80 (O-W)), რომელზეც სამარხების ნაწილი „გეოლოგების დასახლების“ მშენებლობის დროს (1960 წ.) და შემდეგ პერიოდშიც დაუზიანებიათ.

ყველა სამარხი, ერთის გარდა, ქვის ფილებისაგან შედგენილი ქვასამარხია. რომლის კედლების ასაგებად გამოყენებული იყო სხვადასხვა ჯიშის ქვა: მომწვანო და მოვარდისფრო ტუფი, მონაცრისფრო ბაზალტი და თეთრი ფიქალი. მიწის თანამედროვე ზედაპირიდან დაახ. 0.40-0.70 მ-ის სიღრმეზე აღმოჩენილი ქვასამარხების ასაგებად გათხრილი ორმოები მოვარდისფრო-მოყვითალო ფერის კირნარევ თიხნარში იყო გაჭრილი.

მეტ-ნაკლებად წესიერი მართკუთხედის ფორმის ქვასამარხების სიმეტრიულობას განსაზღვრავდა სამარხის ასაგებად გამოყენებული ქვის ფილების დამუშავების ხარისხი და ფორმები. სამარხების განივი კედლები შედგენილი იყო ქვის თითო, გრძივი კედლები კი თითო ან ორ-ორი ფილისაგან. სახურავი იშვიათად ერთი, უმეტესად ორი ან სამი ქვის ფილით იყო შედგენილი. სამარხების ასაგებად გამოყენებული იყო ბაზალტის კარგად გათლილ-გამოკოდილი ფილები (№№ 1, 29), თეთრი ფიქალი (№№ 4, 5, 7, 8, 12, 17), ასიმეტრიული და დაუმუშავებელი ქვის ლოდები (№№ 10, 11, 13, 14, 20, 21, 23, 24, 27) და ქვიშაქვის ფილები (№ 15). გამოვლენილი 36 სამარხიდან 8, იმის გამო, რომ თხრილის მიღმა იყო გამართული და დაზიანების საფრთხე გამოირიცხა, არ გაგვითხრია (№№ 2, 7, 12, 14, 18, 24, 28, 29); 11 სამარხის (№№ 3, 9, 19, 22, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36) მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტები იყო შემორჩენილი; 14 კი (№№ 1, 4, 6, 8, 10, 13, 16, 17, 20, 21, 23, 25-27) მეტ-ნაკლებად იყო დაზიანებული. მხოლოდ სამი სამარხი (№№ 5, 11, 15) დაგვხვდა შედარებით უკეთ დაცული. სამარხების უმეტესობა (№№ 1, 4, 6, 8, 13 და სხვ.) ინდივიდუალურია, სამში (№№ 5, 15, 27) ორი, ერთში კი (№ 11) სამი მიცვალებული დაუკრძალავთ (ტაბ. $III_{2,3,5}$).

აღმაშენებელის ქუჩაზე გათხრილი სამი სამარხიდან (№№ 34-36) ერთი (№36), ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხია (ტაბ. 4_3).

სამარხები დამხრობილია დასავლეთ-აღმოსავლეთის ან ჩრდილო-დასავლეთი — სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

მიცვალებულები დაკრძალულია გულაღმა - გაშოტილ პოზაში (№№ 4, 6, 11, 15). სამ სამარხში (№№ 5, 13, 15) სამი მიცვალებული დაკრძალულია კიდურებმოხრილი მარცხენა გვერდზე.

რამდენიმე სამარხში დაზიანების გამო მიცვალებულის დაკრძალვის პოზის გარკვევა არ მოხერხდა.

ყველა სამარხი უინვენტაროა, მხოლოდ ერთ № 25-ში დაფიქსირდა ფერადი მინის თხელი, მრგვალი ფირფიტა (ღილის ნაწილი?) (ტაბ. IV_5).

სანიმუშოდ, ვიძლევით რამდენიმე სამარხის აღწერილობას:

სამარხი №5 (ტაბ. III_2) ქვასამარხი, აგებული იყო თეთრი ფერის ქვისფილებით. შემორჩენილი იყო ორი გრძივი და ერთი (დასავლეთის) განივი კედელი, სახურავის სამ ნაწილად გატეხილი ქვის ფილა. სამარხის გრძივი კედლები შედგენილი იყო ორ-ორი, შედარებით კარგად გათლილი ფილებისაგან. სამარხის შემორჩენილი ზომები: 1,42ჩ0,60ჩ0,42 მ. სამარხი დამხრობილი იყო NWW-SEE გრძივ ღერძზე.

სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული. ერთი მიცვალებულის ნაშთი მიხვეტილი იყო სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში; მეორე დაკრძალული იყო სამარხის სამხრეთ ნაწილში, მარცხენა გვერდზე, მკვეთრად მოხრილი კიდურებით – თავით დასავლეთისაკენ.

სამარხი № 11 (ტაბ. III_3) ქვასამარხი, დაზიანებული. აგებული იყო მასიური, დაუმუშავებელი ქვის ფილებისაგან. სახურავზე შემორჩენილი იყო ქვის ერთი ფილა (0.70ჩ0.85ჩ0.20 მ). სამარხის გრძივი კედლები შედგენილი იყო ორ-ორი ფილისაგან. სამარხის შემორჩენილი სიგრძე 1.68 მ, სიღრმე 0.42 მ. სამარხი დამხრობილი იყო NWW-SEE გრძივ ღერძზე.

სამარხში აღმოჩნდა სამი მიცვალებულის ნაშთი. ძვლების განლაგებიდან ჩანდა, რომ ისინი სხვადასხვა დროს იყვნენ დაკრძალულნი. თავდაპირველად დაუკრძალავთ ორი მოზარდი. შემორჩენილი იყო მათი თავის ქალები და ჩონჩხის ცალკეული ძვლები. მათ ზემოთ ზრდასრული ინდივიდი იყო დაკრძალული, რომლის თავის ქალაც სამშენებლო სამუშაოების დროს განადგურებულა. სამივე მიცვალებული თავით დასავლეთით იყო დაკრძალული, ზურგზე გაშოტილ პოზაში.

სამარხი №13 (ტაბ. III_4), ქვასამარხი, დაზიანებული, აკლდა დასავლეთი ნაწილი. აგებული იყო მასიური დაუმუშავებელი ქვის ფილებით. შემორჩენილი იყო სახურავის ერთი ქვის ფილა (0.50ჩ0.79ჩ0.16 მ.). სამარხის შემორჩენილი ზომები: 1,10ჩ0,74ჩ0.40 მ).

სამარხში შემორჩენილი იყო ქვედა კიდურების ნაშთი. მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუსვენებიათ, კიდურებმოხრილ პოზაში – თავით დასავლეთით. სამარხი დამხრობილი იყო NWW-SEE გრძივ ღერძზე.

სამარხი №15 (ტაბ. III_5), ქვასამარხი; დაზიანებული, აკლდა აღმოსავლეთის განივი კედელი. აგებული იყო ქვიშაქვის ფილებისაგან. სახურავად გამოყენებული იყო ქვიშაქვის მოზრდილი ფილა, რომელიც სამ ადგილასაა გატეხილი (1.56ჩ0.92ჩ0.17 მ.). სამარხის შემორჩენილი ზომები: 1,80ჩ0,60ჩ0,60 მ. სამარხი დამხრობილი იყო NWW-SEE გრძივ ღერძზე.

სამარხში, სხვადასხვა დროს, დაუკრძალავთ ორი მიცვალებული. მამაკაცის ჩონჩხი, რომელიც ჩრდილოეთის გრძივ კედელთან გულაღმაგაშოტილი იწვა, შეუმჭიდროვებიათ და მეორე მიცვალებულის დაკრძალვის მიზნით ნაწილობრივ გვერდზე მიუწევიათ. მეორე მიცვალებული, სავარაუდოდ ქალი, მარცხენა გვერდზე იყო დაკრძალული, კიდურებმოხრილი. მისი ჩონჩხი რამდენიმე ადგილას ფარავდა პირველი მიცვლებულის ჩონჩხს და ამიტომ სავარაუდოდ ის უფრო გვიან იყო ჩასვენებული. ორივე მიცვალებული თავით დასავლეთით იყო დამხრობილი.

სამარხი №25 (ტაბ. II_2), ქვასამარხი. დაზიანებული. ქვის ლოდებისაგან იყო შედგენილი. შემორჩენილი იყო მხოლოდ სამარხის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე, სადაც დაფიქსირდა მიცვალებულის ძვლების ნაშთი – ზედა კიდურები. სამარხი ორმო გაჭრილი იყო მოყვითალო ფერის თიხა-მიწაში. იგი დამხრობილი იყო NWW-SEE გრძივ ღერძზე.

სამარხში აღმოჩნდა:

1. ფირფიტა, მინის, მოთეთრო-მოყავისფრო, თხელი, მრგვალი ფორმის. ნივთის ერთი მხარე ზომიერადაა მოგლუვებული. მეორე მხარე დამაგრებული ყოფილა გაურკვეველი დანიშნულების ნივთზე. დმ –1,5სმ (ტაბ. IV_5).

სამარხი № 34 (ტაბ. $IV_{1,2}$). ქვასამარხი. დაზიანებული. აღმოსავლეთი — დასავლეთის გრძივ ღერძზე დამხრობილი სამარხი აუგიათ კლდის, დაუმუშავებელი, მოთეთრო-მოყვითალო ფერის ქვის ფილებით. პირვანდელი სახით შემორჩენილი იყო მხოლოდ ჩრდილოეთი გრძივი კედლის ერთი ფილა. სამხრეთის გრძივი და აღმოსავლეთის განივი კედლის ქვის ფილები სამარხში იყო ჩაქცეული. დაძრული იყო გადახურვის ორი ფილაც. დასავლეთის განივი კედლის ქვა საერთოდ არ იყო შემორჩენილი. სამარხში მიცვალებულის ძვლები და არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

მშენებლებმა გადმოგვცეს ბრინჯაოს ფოთლისებური სატევარი, რომელიც ერთ-ერთ მუ-

შას, მახარე კორძაიას, № 34 სამარხიდან ამოუღია. სატევარი საკმაოდ არქაულია და აღნიშნული სამარხის კუთვნილებას არ უნდა წარმოადგენდეს. აქვე, სამარხის დასავლეთ კედელთან დავაფიქსირეთ, XX საუკუნის 60-70-იან წლებში გაჭრილი, სანაგვე ორმო (ტაბ. IV_2), რომელმაც თავის დროზე დააზიანა სამარხი და სავარაუდოდ სატევარიც ამ დროს უნდა მოხვედრილიყო მასში; თუ საიდან, ამის დადგენა არ მოხერხდა.

1. სატევარი ბრინჯაოსი (ტაბ. IV_4), პატინირებული. აქვს სიმეტრიული, წვერისაკენ ზომიერად შევიწროებული, გრძელი და უქედო ორპირლესული პირი; საკმაოდ მაღალი, ოდნავ მხრებდახრილი ვადა (2,2-3,2 სმ) და სატარე (1,6 სმ). ტარი დამაგრებული ყოფილა სამი მანჭვლით. ერთი სამანჭვლის ნაშთი შემორჩენილია სატარის თავზე, ორი სამანჭვლე კი ვადის მხრების ნაპირებთან, ერთში ბრინჯაოს მანჭვალიცაა შემორჩენილი. სიგრძე — 26,0; სიგანე —3,6; სისქე — 0,4 სმ.

მსგავსი ბრინჯაოს სატევრები დამახასიათებელია ბრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის.

სამარხი № 36 (ტაბ. IV_3), ორმოსამარხი, ქვის ფილებით გადახურული. სამი სხვადასხვა ზომის ქვის ფილიდან დასავლეთის დამტვრეული და ნაკლული იყო. სამარხი აღმოსავლეთ-დასავლეთის გრძივ ღერძზე იყო დამხრობილი.

მოყვითალო ფერის თიხნარში გაჭრილ ვიწრო ორმოში (2,0ჩ0,45ჩ0,30 მ.) დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული – ზურგზე გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ. ხელები ტანის გასწვრივ ეწყო. საშუალოდ დაცული ჩონჩხი ადვილად იშლებოდა. მიცვალებულის ზეაწეული მხრები შესაძლოა სამარხის სივიწროვის ან სუდარაში გახვევის შედეგი იყო. ძლიერ მოცვეთილი კბილები მოწმობდა, რომ საქმე გვქონდა საკმაოდ ასაკოვან მიცვალებულთან. სამარხი უინვენტაროა.

სამაროვნის თარიღთან დაკავშირებით, კვლევის ამ ეტაპზე, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ვინაიდან სამარხები უინვენტაროა, ისინი ახ.წ. IX საუკუნეზე ადრეულები არ უნდა იყოს და, შესაბამისად, განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების ნებისმიერ პერიოდში შეიძლება ყოფილიყო გამართული, მაგრამ სამაროვანზე წარმართული წესით – კიდურებმოხრილი, მარცხენა გვერდზე დაკრძალული მიცვალებულების გამოვლენა, შესაძლოა, სამაროვნის ადრეულობაზეც მიგვანიშნებდეს. კერძოდ, სამარხებში გაშოტილი (ქრისტიანული) და კიდურებმოხრილი, მარცხენა გვერდზე (წარმართული) დაკრძალვის წესების თანაარსებობა მათი ადრეულობის, ვგულისხმობთ ადრეული ქრისტიანობის ხანის, დასტურად შეიძლება მიგვეჩნია, მაგრამ ზოგი ფაქტი ამ მოსაზრებას ეჭვქვეშ აყენებს – ეს არის სამარხების უინვენტარობა. როგორც წესი, აღნიშნული დროის სამარხებისათვის დამახასიათებელია მრავალრიცხოვანი, ხშირად საკმაოდ მდიდრული ინვენტარი და სამარხების ასე პირწმინდად გასუფთავება ძნელი წარმოსადგენია.

ქალაქის ამ მონაკვეთში არქეოლოგიური ძეგლი არ იყო აღმოჩენილი. გამოვლენილი სამარხების შესწავლა გაამდიდრებს შუა საუკუნეების არქეოლოგიას უახლესი მონაცემებით, მნიშვნელოვან ინფორმაციას შემატებს ბოლნისის, როგორც ქვემო ქართლის ერთ-ერთი ძველი ქალაქის კვლევის ისტორიას.

B. Murvanidze, G. Giunashvili, I. Berdzenishvili, E. Sakhvadze

REPORT ON THE WORK CARRIED OUT IN BOLNISI IN 2008

Summary

The expedition of the O. Lordkipanidze Archaeological Centre of the Georgian National Museum studied damaged burials on the territory of the so-called "Settlement of Geologists" at Bolnisi (Pl. I_1). The expedition recorded 36 burials and their traces (Pl. I_2, II_{1-2}). One was a pit burial made of stone slabs (No 36, Pl. IV_3), the rest stone cists constructed of stone slabs. The transverse walls of the cists were made of pinkish-yellowish limy loam single stone, the longitudinal walls of one or two stones and roof rarely of one, and mostly of two or three slabs. Of the burials brought to light only three (Nos 5, 11, 15) were in relatively better preservation, in three (Nos 5, 15, 27) two persons, and one (No 11) three corpses were buried (Pl. $III_{2-3,5}$). In burials oriented WE or NW or SW the deceased lay on their backs – in extended posture (Nos 4, 6, 11, 15) or crouched, lying on left side. Of the burial without grave goods only burial 25 yielded a thin round plaque of coloured glass (Pl. IV_5). As the burials contained no goods, it would seem that they

should not be earlier than the 9th cent. AD, and accordingly could have been arranged at any time in the developed or late Middle Ages. However, the coexistence of extended – Christian and crouched burial on the left side – pagan custom may have been taken for a fact pointing to the early period of interment; but, as early medieval burials are characterized by diverse, often rather rich goods, the lack of goods in the newly-discovered burials of Bolnisi places this view under doubt. Such total robbing of burials is hardly conceivable.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1. ბოლნისი, „გეოლოგების დასახლების“ უბნის გეგმა; 2. – სამარხების გავრცელების გეგმა და ჭრილი.

ტაბ. II – სამარხების გეგმა და ჭრილები გოგებაშვილის ქუჩაზე.

ტაბ. III – № 1, 5, 11, 13, 15, 23 სამარხების გეგმა და ჭრილები.

ტაბ. IV – №34, 35, 36 სამარხების გეგმა და ჭრილები.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – 1. Bolnisi, plan of the geologists' settlement quarter; 2. Plan and section of the cemetery.

Pl. II – Plans and sections of the graves on Gogebashvili str.

Pl. III – Plan and sections of the graves Nos. 1, 5, 11, 13, 15, 23.

Pl. IV – Plan and sections of the graves Nos. 34, 35, 36.


ბოლნისი
სამაროვანი
ბეხიეის ქუჩა
გოგებაშვილის ქუჩა
ღლმაშენებლის ქუჩა
ცენტრალური გზა

1


ჭრილი I-I მ - 1:100
სამარხის გეგმები მ-1:25
ჭრილი II-II მ - 1:100

2


გოგებაშვილის ქუჩა
საკანალიზაციო ჭა
უსახელო ქუჩა
№30
№23
№26
№24
№27
№28
№29
გოგებაშვილის ქუჩა
სამარხის გეგმები მ-1:25სმ
№24
№23
№29
№28
№27
№26
ჭრილი I-I მ- 1:100 სმ.
0 25 100
0 100 500

1


№17
№18
№19
საკანალიზაციო ჭა
გოგებაშვილის ქუჩა
III
III
IV
IV
№20
№21
II
№23
№26
№24
II
№25
გოგებაშვიის ქუჩა
III
№31
№32
III
IV
№34
IV
№20
№21
№33
ჭრილი III-III მ- 1:100 სმ.
№17
№18
№19
ჭრილი IV-IV მ- 1:100 სმ.
№25
№31
№32
0 100 500

2

ტაბ. III


სამარხი №1
II
I
N
I
II
II–II
I–I
1
სამარხი №5
II
N
I
II
II – II
I–I
2
სამარხი №11
I
I
N
I – I
3
სამარხი №13
N
4
II
I
I
N
II
II – II
5
I I
II
N
I
I
II
II–II
I–I
6
0 20 100



№34,№35,№36 სამარხის ჭრილები I-I მ-1:50

1



2



3



4



5

ოთარ ჯაფარიძე

კავკასიის წინა აზიის სამყაროსთან ურთიერთობის საკითხისათვის

კავკასიის ძველაღმოსავლურ სამყაროსთან დამოკიდებულების პრობლემამ კარგა ხანია მიიქცია მკვლევართა ყურადღება და ამასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება იყო გამოთქმული. ინტერესი ამ პრობლემისადმი არ ნელდება და ბოლოდროინდელმა აღმოჩენებმა სრულიად ახლებურად წარმოაჩინა კავკასიის წინა აზიასთან კულტურული ურთიერთობის საკითხი. კავკასია, კერძოდ კი მისი სამხრეთი ნაწილი, ფაქტობრივად მახლობელი აღმოსავლეთის ჩრდილო პერიფერიულ მხარეს შეადგენდა. სამხრეთიდან წამოსული იმპულსები ადრეულ ხანიდან მოკიდებული გარკვეულ გავლენას ახდენდნენ კავკასიის მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე, კულტურის ხასიათზე და სხვ. კონტაქტები წინააზიურ სამყაროსთან ძლიერდება ქვიდან ლითონის ხანაზე გარდამავალ, ენეოლითის ეპოქაში. ამ დროიდან იწყება ჩრდილო მესოპოტამიიდან ჰალაფის კულტურის სხვადასხვა მიმართულებით გავრცელების საკმაოდ ინტენსიური პროცესი. ეს კულტურა დასავლეთით ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლს აღწევს და მისი გავლენა იგრძნობა აღმოსავლეთ ანატოლიაში, ვანის ტბის მიდამოებში [Мунчаев, Мерперт 1981: 157]. ჩანს, ჰალაფის კულტურის ხანაში იღვიძებს ინტერესი კავკასიისადმი. კავკასიის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, მართალია სუსტად, მაგრამ მაინც იგრძნობა ჰალაფის კულტურის გავლენა. პირველად ჩნდება აქ ამ კულტურისადმი დამახასიათებელი თიხის ნაწარმი [Нариманов 1987: 160; Джапаридзе 1989: 247]. შესაძლოა, მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ამ დროს იზრდება მოთხოვნილება ლითონზე. უფრო ადრეული კონტაქტები მესოპოტამიასთან ჰასუნას კულტურის ხანაში, სადღეისოდ არსებული მონაცემებით, შენიშნული არ არის [Мунчаев 1996: 36; Мунчаев, Амиров 2009: 43]. ამიტომ მთლად მართებული არ უნდა იყოს აზრი, რომ თითქოს სამხრეთის გავლენა კავკასიის შავიზღვისპირეთში ჰასუნის კულტურის დროიდანაა სავარაუდო [Brentjes 1978: 45]. არც ისაა მთლად დამაჯერებელი, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებული სოჭიადლერის ტიპის ქვის თოხის გამოჩენა თითქოს ჩრდილო მესოპოტამიის გავლენის შედეგი იყოს [Мунчаев 1975: 119]. ამ თოხის ფორმა იმდენად პრიმიტიულია, რომ მისი ადგილობრივი წარმომავლობა უფრო საგულვებელია [Джапаридзе 1989: 364].

კავკასიაში ახალი ეკონომიკური სისტემის გამარჯვების შედეგად მკვეთრად იმატა მოსახლეობის რაოდენობამ და იწყება მისი სხვადასხვა მიმართულებით გადანაცვლების პროცესი. განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის ათვისება, რომელიც ნეოლითის ხანაში ნაკლებად იყო დასახლებული. კავკასიაში წარმოებითი მეურნეობის წარმოქმნისა და განვითარების პირობები ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში და დასავლეთ ამიერკავკასიაში შეიქმნა. ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ მხარეში, დაღესტანში ამ დროს გავრცელებული იყო ე.წ. ჩოხის ნეოლითური კულტურა, სადაც წარმატებით ვითარდებოდა ახალი ეკონომიკური სისტემა. შესაძლოა ნეოლითის დასასრულ ხანაში ჩოხის კულტურის მატარებელი ჭარბი მოსახლეობის ერთი ნაწილი გადანაცვლებას იწყებს სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ მხარეში და ფართოდ ითვისებს მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის ნაყოფიერ ველებს. ისინი ინტენსიურად სახლდებიან განჯა-ყაზახის ვაკეზე, მიმდებარე ქვემო-ქართლის დაბლობზე და გარკვეულ როლს ასრულებენ ადრესამიწათმოქმედო კულტურის ჩამოყალიბებაში, რომელიც შულავერ-შომუთეფეს კულტურის სახელითაა ცნობილი [ჯაფარიძე 2006: 265]. საგულისხმოა, რომ ჩოხის კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი გარკვეულ მსგავსებას ნახულობს შულავერ-შომუთეფეს კულტურის კერამიკასთან [Амирханов 1987: 108, 179]. უფრო დასავლეთით, შიდა ქართლში ეს კულტურა არ გავრცელებულა, ეგებ იმის გამო, რომ ამ დროისათვის აქ ცხოვრებისათვის ჯერ

კიდევ სათანადო გარემო არ არსებობდა.

სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში შულავერ-შომუთეფეს კულტურა სავსებით ჩამოყალიბებული სახით ვრცელდება მყარი ტრადიციებით და თავისებური წეს-ჩვეულებებით. მისთვის დამახასიათებელია ერთიანი სამშენებლო-არქიტექტურული ტრადიცია, სადაც თიხისგან ნაგები შენობა ბატონობს [ჯაფარიძე 2006: 261]. თიხის არქიტექტურა იმდენად ძლიერი იყო, რომ ხით და ქვით მდიდარ სამხრეთ კავკასიაში ამ მასალებმა მშენებლობაში თითქმის ვერავითარი ასახვა ვერ ჰპოვეს. საიდან რა გზით უნდა გავრცელებულიყო შულავერ-შომუთეფეს კულტურაში თიხის არქიტექტურა, სადაც ყველა ნაგებობა სამეურნეო თუ საცხოვრებელი მრგვალი მოხაზულობისაა, გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. შესაძლოა ამ ტრადიციის იმპულსები სამხრეთიდან მოდიოდეს, სადაც ძველი ისტორიის მთელ მანძილზე სამშენებლო საქმეში ძირითადად თიხა იყო გავრცელებული. წინა აზიაში ეს პერიოდი ადრესამიწათმოქმედო კულტურის აყვავების ხანაა, რასაც შედეგად ალბათ მძლავრი დემოგრაფიული პროცესები უნდა მოყოლოდა. აღინიშნა, რომ სამხრეთ კავკასიაში ადრესამიწათმოქმედო კულტურის გამოჩენა წინა აზიიდან გადმონაცვლებულ მოსახლეობას უკავშირდება. უცხო სამშენებლო არქიტექტურის ტრადიციის შემოღწევა შულავერ-შომუთეფეს კულტურაში თითქოს ამ ვარაუდს უჭერს მხარს [ჯაფარიძე 2006: 267]. როგორც ჩანს, ეს მარტო კონტაქტების შედეგი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ სამხრეთიდან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების გადმონაცვლებას უნდა უკავშირდებოდეს. და მაინც, საიდან, რა გზით ვრცელდება თიხის არქიტექტურის ტრადიცია მტკვრის და არეზის შუამდინარეთში, გარკვევით თქმა ძნელია. შესაძლოა ეს მოვლენა მესოპოტამიიდან ჰალაფის კულტურის გავლენასთან ყოფილიყო დაკავშირებული. ჩრდილო მესოპოტამიაში ამ კულტურის გამოჩენას თიხის მრგვალი არქიტექტურის გავრცელება მოყვა. მაგრამ საიდან ვრცელდება მშენებლობის ეს ტრადიცია ტიგროსისა და ევფრატის ორმდინარეთში მთლად ნათელი არ არის [Мунчаев, Мерперт 1981: 196]. ამასთან დაკავშირებით არა ერთი აზრი გამოითქვა [Джапаридзе 1989: 370]. ისიც კი ითქვა, რომ მრგვალი გეგმარების შენობა ჩრდილო მესოპოტამიაში შესაძლოა სამხრეთ კავკასიიდან გავრცელდა [Джавахишвили 1973: 346]. მაგრამ თითქოს ისე ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ მხარეში ეს სამშენებლო ტრადიცია სამხრეთიდან ვრცელდება. ეს ის დროა, როდესაც ჰალაფის კულტურის გავლენა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს აღწევს. იგი მოიცავს აღმოსავლეთ ანატოლიას, ვანის ტბის მიდამოებს და უფრო ჩრდილოეთითაც ვრცელდება. ჩანს სწორედ ამ დროს იღვიძებს ინტერესი წინა აზიის ჩრდილო პერიფერიულ რეგიონებისადმი. შესაძლოა ჩრდილო მესოპოტამიის მოსახლეობას ვანის ტბის მიდამოებისა და მიმდგომ მხარეების ობსიდიანით მდიდარი საბადოები იზიდავდა. ნიშანდობლივია, რომ ჰალაფის კულტურის ნამოსახლარებზე ამ მხარიდან გაზიდული ობსიდიანი აღმოჩნდა. არ არის ვარაუდს მოკლებული აზრი, რომ ობსიდიანით ვაჭრობაში სამხრეთ კავკასიაც ყოფილიყო ჩართული.

როგორც ჩანს, ერთ-ერთი ძირითადი გზა, საიდანაც კავკასიაში სამხრეთის გავლენები ვრცელდებოდა, აღმოსავლეთ ანატოლიიდან, ალბათ უფრო ვანის ტბის მიდამოებიდან მომდინარეობდა [Джапаридзе 1989: 245]. აღსანიშნავია ნახიჩევანის ქიულ თეფე I ნაპოვნი ჰალაფური ტიპის ორი ჭურჭელი [Абибуллаев 1982: 72]. ერთ-ერთი მათგანის უახლოესი ანალოგია აღმოჩნდა ვანის ტბასთან გათხრილ თილკითეფეს ნამოსახლარის ქვედა ფენაში [Korfmann 1982: 152]. ჰალაფის კულტურის ნაკვალევი შეინიშნება მილის ველზე [Иессен 1963: 12]. უკანასკნელი ხანების აღმოჩენების შედეგად მილის და ყარაბაღის ველზე არა ერთი ძეგლი გამოვლინდა, სადაც კარგად შეინიშნება ჰალაფის კულტურის გავლენა [Алиев 2010: 43]. არ უნდა იყოს მთლად უმართებულო ვარაუდი, რომ შულავერ-შომუთეფეს კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის არქიტექტურა ჰალაფის კულტურის გავლენის შედეგი იყოს. მას უკავშირდება, ალბათ, ახალი, მანამდე უჩვეულო, მრგვალი ტიპის ნაგებობის გავრცელება [Джапаридзе 1989: 372. Мунчаев, Мерперт 1981: 195]. გარკვეული ტიპოლოგიური კავშირი შეინიშნება შულავერ-შომუთეფეს კულტურის, კერძოდ კი ხრამის დიდიგორისა და ჰალაფის კულტურისათვის დამახასიათებელ თიხის ქანდაკებებს შორის [Археология СССР 1982: 115]. არ არის შესაძლებლობას მოკლებული აზრი, რომ ამ დროს სამხრეთიდან გარკვეული ჯგუფი მოსახლეობისა ამიერკავკასიას აღწევს და შულავერ-შომუთეფეს კულტურის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს, რამაც ძირითადად სამშენებლო-არქიტექტურულ საქმიანობაში ჰპოვა ასახვა. ისიც, რომ აქ უკვე სოფლად მყარად ცხოვრების წესი ჩამოყალიბდა, ალბათ სამხრეთიდან მომდინარე გავლენის

შედეგი უნდა ყოფილიყო. საგულისხმოა, რომ არქეოლოგიურ მასალაში სამხრეთული გავლენა ნაკლებად იგრძნობა. ეტყობა ახალმოსულებმა დამხვდურთა კულტურა აითვისეს. მაღალ დონეს აღწევს ობსიდიანის, ძვლისა და რქის დამუშავების ტექნიკა. მიწის დასამუშავებლად ძირითადად გამოიყენებოდა რქისა და ძვლის იარაღი. თავისებურია შულავერ-შომუთეფეს კულტურის თიხის ნაწარმი, რომელიც მაინცდამაინც არ გამოირჩევა დამუშავების ხარისხითა და მრავალფეროვნებით. კერამიკულ წარმოებაში თითქმის არ იგრძნობა სამხრეთული გავლენა.

სულ სხვა ვითარებაა ამ დროს სამხრეთ კავკასიის დასავლეთ მხარეში. ჩანს სამხრეთიდან მომდინარე იმპულსები მას ნაკლებად შეეხო. აქ წარმატებით დასრულდა „ნეოლითური რევოლუცია“, მკვეთრად იმატა მოსახლეობის რიცხვმა და ჩანს იწყება მიგრაციული პროცესები. ერთი ნაწილი მოსახლეობისა აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად შიდა ქართლში ინაცვლებს და რაკი აქ ჯერ კიდევ ცხოვრებისათვის მანცადამაინც ხელსაყრელი გარემო არ იყო, დასავლეთიდან გადმონაცვლებული მოსახლეობა უფრო ინტენსიურად ქართლის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილს ითვისებს. ქვემო ქართლში სოფ. სიონთან აღმოჩნდა თავისებური კულტურა, საიდანაც წარმოსდგა მისი სახელი – სიონის კულტურა. იგი საგრძნობლად განსხვავდება მის მეზობელ აღმოსავლეთიდან მიმდგომ შულავერ-შომუთეფეს კულტურისაგან და მეტ საერთოს ნახულობს დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითურ კულტურასთან [მენაბდე, კიღურაძე 1981: 27]. სიონის კულტურა ფართოდ იკიდებს ფეხს იორ-ალაზნის ორმდინარეთში [Варазашвили 1992: 85] და საკმაოდ ღრმად იჭრება არაგვის ხეობაში [ჩიქოვანი 2010: 89]. შუაგულ შიდა ქართლში ეს კულტურა შედარებით თხლადაა გავრცელებული. იგი გვხვდება თანდიწყაროს ნამოსახლარზე, ნიჩბისში და სხვ. [ჩიქოვანი 1999: 20].

როგორც ჩანს, ქვემო ქართლში შულავერ-შომუთეფეს და სიონის კულტურები ერთხანს თანაარსებობენ. შესაძლოა შულავერ-შომუთეფეს კულტურის დასავლეთით გავრცელება სიონის კულტურამ შეაფერხა. ამ კულტურების ურთიერთობის შესახებ ჯერ კიდევ ყველაფერი ნათელი არ არის. ზოგის აზრით სიონის კულტურა ძვ.წ. V ათასწლეულის ბოლოსა და IV ათასწლეულის პირველ ნახევრით უნდა დათარიღდეს [მენაბდე, კიღურაძე 1981: 28]. თუმცა მისი ასაკის შესახებ განსხვავებული შეხედულება არსებობს, რომ იგი ჯერ კიდევ გვიანნეოლითურ ხანას მიეკუთვნება [ნებიერიძე 2001: 9]. სიონის კულტურა ბევრ საერთოს ნახულობს დასავლეთ საქართველოს გვიან ნეოლითთან როგორც ქვის ინდუსტრიაში, ისე კერამიკაში. ისიც, რომ სიონის კულტურისათვის არ არის დამახასიათებელი მყარი შენობა, თითქოს იმის მაჩვენებელია, რომ აქ არ იყო ამის ტრადიცია. შულავერ-შომუთეფეს კულტურასთან კონტაქტებმა ეტყობა მასზე მაინცდამაინც გავლენა ვერ მოახდინა. სიონის კულტურაში არ იგრძნობა სამხრეთიდან მომდინარე იმპულსები.

სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილის წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობა, ჩანს, არც ჰალაფის მომდევნო ობეიდის ხანაში შეწყვეტილა. ამ დროის მოხატული კერამიკა ზოგიერთ ნამოსახლარზე აღმოჩნდა. საერთოდ ჩრდილო ობეიდური კულტურა მის წინამორბედ კულტურასთან შედარებით გაცილებით ფართოდ ვრცელდება [Массон 1964: 408]. მისი გავლენა სამხრეთ კავკასიაში იგრძნობა ძირითადად მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში, სადაც ზოგიერთ ნამოსახლარზე ობეიდური კულტურისათვის დამახასიათებელი მოხატული კერამიკა აღმოჩნდა [Джавахишвили 1973: 253]. ობეიდური მოხატული კერამიკა არარატის ველზეც აღმოჩნდა თეხუთის ნამოსახლარზე [Археология СССР 1982: 124]. შესაძლოა სამხრეთულ გავლენას უკავშირდება ლითონის პირველი ნივთების გამოჩენა სამხრეთ კავკასიის ძეგლებზე – ქიულ თეფე I, თეხუთი და სხვ. ჩანს ჰალაფ-ობეიდის ხანაში იღვიძებს ინტერესი კავკასიის სპილენძის საბადოებისადმი. აღსანიშნავია, რომ სამხრეთის გავლენა ძირითადად მოიცავდა მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის სტეპურ ზოლს, ნახიჩევანის მხარეს, ქვემო ქართლის ვაკეს. აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონები და დასავლეთ ამიერკავკასია ამ მოვლენის მიღმა იყო. სამხრეთული გავლენები დასავლეთ ამიერკავკასიაში პირველად ობეიდის ხანის მომდევნო ურუკის კულტურის დროს იგრძნობა.

ურუკი მნიშვნელოვანი პერიოდია ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში. ამ დროს საგრძნობლად იცვლება ცხოვრების ხასიათი. პირველად ჩნდება ქალაქური ტიპის დასახლებები, ვითარდება მეტალურგია [Ллойд 1984: 94], შემოდის ჩარხზე ნაკეთები თიხის ჭურჭელი, სადა, მოუხატავი [Археология зарубежной Азии 1986: 63], ვრცელდება ბორბლიანი ტრანსპორტი დ, რაც მთავარია, გვხვდება პირველი წერილობითი ძეგლები [Ллойд 1972: 8-9]. ურუქის ხანაში საფუძველი ეყრება შუმერის ცივილიზაციას [Чайлд 1956: 200; История древнего Востока 1979: 114].

შუმერის ეკონომიკა ძირითადად იმპორტზე იყო ორიენტირებული. ქვა, ხე-ტყე, ლითონი და სხვ. ძირითადად გარედან შემოდიოდა. ადგილობრივი იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტი, სელი, მატყლი, თიხა, რომელიც სამშენებლო საქმეში და ჭურჭლის დასამზადებლად გამოიყენებოდა [История древнего Востока 1979: 114]. ამ დროს გადაიდგა პირველი ნაბიჯები ძველ აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში [Меллаарт 1985: 21]. ურუკის ექსპანსია ძირითადად დასავლეთით, ანატოლიისაკენ იყო მიმართული. ამ დროს საგრძნობლად იმატა მოთხოვნილებამ ლითონზე, უპირატესად სპილენძსა და ოქროზე. ანატოლია წინაისტორიის ხანაში ძველ სამყაროს მეტალურგიის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი უნდა ყოფილიყო [Esin 2000: 15; Yalçin 2000: 28]. ჩანს, ურუკი საკმაოდ ღრმად იჭრება ანატოლიაში, აღწევს ქებანის რეგიონს [Меллаарт 1985: 23] და უფრო შორსაც გადადის ჩრდილო-აღმოსავლეთ, ანატოლიაში. ისიც კი ითქვა, რომ ურუკის ხანაში ერაყში ახალი, უცნობი ხალხი ანატოლიიდან უნდა მოსულიყო [Ллойд 1984: 94]. ურუკი ჩრდილოეთით ჭოროხის აუზს, მურღულის რეგიონს აღწევს, რომელიც მდიდარია სპილენძის საბადოებით [Иессен 1935: 44]. საგულისხმოა, რომ მურღულში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ძველი წიდა. ეს წიდის უდიდესი მარაგია, რომელიც სადღეისოდ ცნობილია ძველ სამყაროში. ჩანს სპილენძის მოპოვება აქ ძვ. წ. IV ათასწლეულში უნდა დაწყებულიყო [Hauptmann et al 1993: 564], რასაც წიდის C^{14} ანალიზი ადასტურებს [Wagner, Öztunali 2000: 46]. სპილენძის საბადოები ცნობილია უფრო ჩრდილოეთითაც [Природные ресурсы Грузинской ССР 1958: 96; Иессен 1935: 44]. სამხრეთიდან კოლხეთის სიღრმეში გადმონაცვლებული მოსახლეობის ცალკეული ჯგუფები უფრო ინტენსიურად რიონ-ყვირილის აუზს ითვისებენ და საცხოვრებლად ძირითადად მიტოვებულ გამოქვაბულებს იყენებენ. რიონ-ყვირილის რიგ გამოქვაბულებში – საგვარჯილეს, სამელე კლდის, ძუძუანას, სამერცხლე კლდის, თეთრ მღვიმისა და სხვ. ზედა ჰორიზონტებში კარგად გამოირჩევა ორი სახის კერამიკული ნაწარმი – ხელით ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი, ტლანქი თიხის ჭურჭელი, ჩანს ადგილობრივი ნაწარმი და თხელკედლიანი წითელპრიალა მრგვალმუცლიანი კერამიკა, ჩარხზე ნაკეთები [ფხაკაძე 1985: 28][1*].

1 * დასავლეთ ამიერკავკასიის გამოქვაბულების ზედა ჰორიზონტებში აღმოჩენილ ამ ტიპის კერამიკას „მაიკოპურს“ უწოდებენ მაიკოპის კულტურის თიხის ჭურჭელთან მსგავსების გამო.

დაახლოებით იგივე სურათი ჩანს უფრო დასავლეთით მდებარე ზოგიერთ გამოქვაბულში. სამეგრელოში გამოქვაბულ დოშაკში აღმოჩნდა „მაიკოპური“ ტიპის ორი ჭურჭელი, რომელიც ფოთის მუზეუმშია დაცული [ფხაკაძე 1985: 33]. აღსანიშნავია გალის რაიონში ოქუმის გამოქვაბულში ნაპოვნი მასალა, რომელიც ახლო დგას იმერეთის გამოქვაბულების ზედა ჰორიზონტების ინვენტართან. ამ დროის ფენა ოქუმის გამოქვაბულში შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი, მაგრამ მასში გამოირჩევა ორი სხვადასხვა ხასიათის თიხის ნაწარმი – თხელკედლიანი, კარგად ნაძერწი ჭურჭელი და უფრო სუსტად გამომწვარი, უხეში კერამიკა [ფხაკაძე 1979: 69].

„მაიკოპის“ ხასიათის თიხის ნაწარმის გამოჩენა სამხრეთ კავკასიის დასავლეთ მხარეში ჩანს ურუკის კულტურის მატარებელი ხალხის გავრცელებას უკავშირდება. მათში ალბათ მეთუნეებიც ერივნენ, რომლებიც ჩარხზე უფრო მაღალი ხარისხის ჭურჭელს ამზადებდნენ. როგორც ჩანს, ეს სამხრეთიდან საკმაოდ მძლავრი მიგრაცია უნდა ყოფილიყო, რომელშიაც ალბათ ოჯახის წევრებიც მონაწილეობდნენ. ეს რომ წმინდა სამხედრო ხასიათის ლაშქრობა ყოფილიყო, მეთუნეების მასში მონაწილეობა გამორიცხული იყო. კავკასიაში მიგრანტების გამოჩენას სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა; კერძოდ, ეს იყო ალბათ ლითონის - სპილენძისა და ოქროს მოძიებასთან დაკავშირებული, რაც საკმაოდ ხანგრძლივ დროსა და დაძაბულ შრომას მოითხოვდა.

მთლად ნათელი არ არის, რატომ შეაჩერეს თავისი არჩევანი მიგრანტებმა ძირითადად რიონ-ყვირილის რეგიონზე და რატომ ითვისებენ საცხოვრებლად მიტოვებულ გამოქვაბულებს. ეგებ უსაფუძვლო არ იყოს აზრი, რომ გამოქვაბულები ძირითადად მეტალურგების ადგილსამყოფელი იყო [ნებიერიძე 1978: 87]. ნიშანდობლივია, რომ გამოქვაბულების ზედა ჰორიზონტებში მეტალურგიასთან დაკავშირებული ინვენტარი აღმოჩნდა. აქვე ნაპოვნი იყო ნარევი ხასიათის მასალა როგორც ადგილობრივი, ისე უცხო, რაც ნათლად გამოჩნდა კერამიკულ მასალაში. ადგილობრივი მასალა აქ უფრო უხვადაა წარმოდგენილი [ფხაკაძე 1985: 34]. როგორც ჩანს, თანაარსებობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ალბათ იმის გამო, რომ მელითონეებმა ამ რეგიონში მოსალოდნელი შედეგები ვერ მიიღეს. შესაძლოა ამის მიზეზი ეკოლოგიური გარემოც იყო. მოსულმა მოსახლეობამ ვერ აიტანა კოლხეთის სუბტროპიკული კლიმატის პირობები. საგუ-

ლისხმოა, რომ ახალი ტიპის კერამიკა ღია ნამოსახლარებზე არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით ყანობილის ნამოსახლარს აბასთუმანთან, რომელიც ზღვის დონიდან 1300 მ სიმაღლეზე მდებარეობს და უფრო კონტინენტური ჰავით ხასიათდება [ნებიერიძე 1986: 155].

სამხრეთ კავკასიის დასავლეთი ნაწილის ათხელების ერთ-ერთი მიზეზი ეგებ ისიც იყო, რომ რიონ-ყვირილის აუზში სპილენძის საბადოები ძნელად მისადგომ ადგილებში მდებარეობდა. რიონის ზედა წელი, რომელიც მდიდარი იყო სპილენძის მადნით, თავისი მძიმე ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს გამო, ძნელი გამოსაყენებელი იქნებოდა [Минеральные ресурсы ГССР 1933: 532]. როგორც ჩანს, ამ საბადოების ამოქმედება ძვ.წ. II ათასწლეულში უნდა დაწყებულიყო [Муджири и др. 1987: 236]. დაახლოებით ამავე დროს უნდა დაწყებულიყო სპილენძის საბადოების ექსპლუატაცია ენგურის სათავეებში [Чартолани 1988: 16]. რაც შეეხება ლეჩხუმში აღმოჩენილ ძველ გამონამუშევრებს, მათ შესახებ ძნელია გარკვევით რაიმეს თქმა [Минеральные ресурсы ГССР 1933: 536]. სპილენძის ადრეული საბადოები ცნობილია აფხაზეთში მდ. კოდორის სათავეებთან, ადანგეს უღელტეხილთან ადგილ ბაშკაფსარაში, რომელიც C^{14} მიღებული თარიღებით თითქოს ძვ.წ. III ათასწლეულში უნდა ამოქმედებულიყო [Бжания 1988: 8], მაგრამ რამდენად საიმედოა ეს თარიღები, გარკვევით თქმა ძნელია.

როგორც ჩანს, მოსული მოსახლეობის ერთი ჯგუფი უფრო დასავლეთით ყუბანისპირისკენ ინაცვლებს, მეორე ნაწილი კი აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში გადადის. ადლერის რეგიონში მდებარე ზოგიერთი გამოქვაბულების ზედა ჰორიზონტებში დასავლეთ საქართველოს ძეგლების ანალოგიური მასალები აღმოჩნდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მდ. კუდაპსეს ხეობაში, ბელორეჩინსკის უღელტეხილთან შესწავლილი ვორონცოვის გამოქვაბული [Соловьев 1958: 135]. მასში ორი სართული გამოირჩევა – ქვედა „ოჩაჟნაიას"ეხი და ზედა „კოლოკოლნაიას" და „ზალოჟნაიას" სადგომები. „ოჩაჟნაიაში" გვხვდება შედარებით სქელკედლიანი ჭურჭელი, გაუპრიალებელი, კვერცხისებრი ტანით, მომრგვალებული ძირით და მკვეთრად გადმოღუნული პირით. აქ მოპოვებული მასალა ბევრ საერთოს ნახულობს დასავლეთ საქართველოს გამოქვაბულებში ნაპოვნ ინვენტართან. სხვაობა იმაშია, რომ „ოჩაჟნაიას" ეხში არ გვხვდება თხელკედლიანი, წითელპრიალა კერამიკა. ეს თიხის ჭურჭელი ვორონცოვის გამოქვაბულში ჩნდება უფრო მოგვიანო სადგომებში „კოლოკოლნაიაში" და „ზალოჟნაიაში" [ნებიერიძე 1986: 140; Формозов 1965: 82]. ანალოგიური მასალა ნაპოვნი იყო მდ. მზიმთის ნაპირას აღმოჩენილ ახშტირის გამოქვაბულის ზედა ფენაში [Формозов 1965: 73].

ჩანს თითქოს, რომ სამხრეთიდან მიგრირებული მოსახლეობის ერთ ჯგუფს, რომელიც დასავლეთ ამიერკავკასიიდან საცხოვრებლად ყუბანისპირეთში გადავიდა, შედარებით უკეთესი კლიმატური გარემო დახვდა [Кореневский 2004: 75, 92]. აღინიშნა კიდეც, რომ მათი მიგრაცია სამხრეთ კავკასიაში უნდა შემზადებულიყო [Кореневский 2004: 92]. ზოგის ვარაუდით მოძრაობის გზა დასავლეთ ამიერკავკასიიდან ძირითადად შავი ზღვის სანაპირო ზოლს მიუყვებოდა [Соловьев 1958: 158; Формозов 1965: 150]. ზოგს ეს გზა საეჭვოდ მიაჩნია [Кореневский 2004: 92]. აღინიშნა, რომ ერთ-ერთი ძირითადი გზა წინა აზიიდან მიგრანტების ცალკეული ჯგუფების გადმონაცვლებისა შავი ზღვით ხორციელდებოდა [Мунчаев 1975: 376; Мунчаев 1994: 225]. უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ გზა მესოპოტამიიდან მოდიოდა ირანში, აქედან აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გავლით – ჩრდილო კავკასიაში [Мунчаев, Амиров, Магомедов 2010: 341]. შესაძლოა ზღვის გზას მართლაც იყენებს სამხრეთიდან მიგრირებული მოსახლეობა, მაგრამ მაინც უფრო ისე ჩანს, რომ მათი ძირითადი მასა დასავლეთ ამიერკავკასიიდან ინაცვლებს შავი ზღვის სანაპირო ზოლით და აგრეთვე უღელტეხილებით, უპირატესად, ალბათ, ბელორეჩინსკის გადასასვლელით [Формозов 1965: 150]. ვორონცოვის გამოქვაბული სწორედ ამ გზაზე მდებარეობს. როგორც ჩანს, ისინი ყუბანისპირეთს აღწევენ, სადაც საკმაოდ მყარად სახლდებიან წინამაიკოპური ხანის ნამოსახლარებზე – მეშოკოს, სკალას, სვობოდნაიას და სხვ., რომლებიც ძნელად მისადგომ ადგილებში მდებარეობდნენ [Формозов 1972: 16]. აქ კარგად შეინიშნება მოსულთა ნაკვალევი. აქაც ზოგიერთ გამოქვაბულებში გვხვდება ამ დროის ფენები [Формозов 1965: 71]. აქ მოპოვებულ მასალებში საკმაოდ ახლო მსგავსება ჩანს დასავლეთ ამიერკავკასიის გამოქვაბულებში გამოვლენილ ინვენტართან [Формозов 1965: 134]. ყუბანისპირეთის ნამოსახლარების ქვედა ფენები, ზოგის ვარაუდით, წინამაიკოპის ხანას მიეკუთვნება [Кореневский 2004: 8; Кореневский 2003: 78]. თუმცა ზოგს მთლად დამაჯერებლად არ მიაჩნია ეს

მოსაზრება [Мунчаев 1994: 174; Формозов 1994: 48].

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეშოკოს ნამოსახლარი, რომელიც კლდოვან პლატოს კონცხზე მდებარეობდა და დაახლოებით 1,5 ჰექტარი ფართობი ეკავა. ბუნებრივად იგი კარგად გამაგრებული იყო, ღია მხრიდან კი მას საკმაოდ მძლავრი ქვის კედელი იცავდა, რომლის სიგრძე - 150 მ, სიგანე – 4,0 მ, სიმაღლე კი 2,0 მ აღწევდა [Мунчаев 1994: 174]. კულტურული ფენის სიმძლავრე ალაგ-ალაგ 2.0 მ აღწევდა [Формозов 1965: 197]. დამცავი კედელი ამ დროის სხვა ნამოსახლარებზეც დაფიქსირდა [Мунчаев 1994: 174]. წინამაიკოპური ნამოსახლარების გეგმარების, საცხოვრებლის ტიპის და საერთოდ სამშენებლო საქმის შესახებ გარკვევით რაიმეს თქმა ძნელია. საცხოვრებელი სახლი, როგორც ჩანს, სწორკუთხა მოყვანილობის უნდა ყოფილიყო, თიხალესილი, სარ-ლასტზე ნაგები [Формозов, Черных 1964: 108; Мунчаев 1994: 177]. ქვა ნაკლებად იყო გამოყენებული მშენებლობაში. ჩანს ახალმოსულებს რაიმე საგრძნობი ცვლილებები სამშენებლო საქმეში არ შეუტანიათ. მათი აგებული უნდა ყოფილიყო ალბათ ქვის დამცავი კედელი.

ამ დროის ნამოსახლარებზე საკმაოდ მდიდარი მასალა აღმოჩნდა. ბევრია ქვისა და ძვლის იარაღი და სამკაული. მეშოკოს ქვედა ჰორიზონტებში ჭარბობს თხელკედლიანი, სადა, კარგად გამომწვარი, ჩარხზე ნაკეთები, ნაპრიალებზედაპირიანი ჭურჭელი [Столяр 2009: 17]. ეს კერამიკა უახლოვდება დასავლეთ ამიერკავკასიის გამოქვაბულების კულტურის თიხის ჭურჭელს. ამ ხასიათის ნაწარმი სამხრეთიდან მიგრირებულ მოსახლეობას უკავშირდება. იგი ყუბანისპირეთში წინამაიკოპურ ხანაში ვრცელდება [Кореневский 2004: 91]. როგორც ჩანს, მიგრირებული მოსახლეობა დამხვდურ მცხოვრებლებთან ერთად საფუძველს უყრიან მაიკოპის მაღალ კულტურას. მოსულ და დამხვდურ მოსახლეობას შორის საკმაოდ მშვიდი ურთიერთობა მყარდება. ნამოსახლარების ქვის კედლით გამაგრება თითქოს იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ მიგრანტები საკმაო ხანს შეყოვნდნენ და ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციები აითვისეს. მკვიდრ მოსახლეობას ალბათ უპირატესად აფხაზურ-ადიღეური ტომები შეადგენდნენ, რომლებიც მყარად დამკვიდრდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში საერთო კავკასიური ერთობის დაშლის შემდეგ [ჯაფარიძე 2006: 186]. კოლხეთიდან ყუბანისპირეთისკენ მიგრაციაში, შესაძლოა, ადგილობრივი მოსახლეობაც, ალბათ ქართველური ტომებიც, მონაწილეობდნენ, რასაც თითქოს უნდა მოწმობდეს მეშოკოს ქვედა ჰორიზონტის ინვენტარის მსგავსება დასავლეთ ამიერკავკასიის გამოქვაბულების კულტურისათვის დამახასიათებელ მასალასთან, განსაკუთრებით საგვარჯილეს მონაპოვრებთან [Формозов 1965: 149; ნებიერიძე 2003: 88].

მიგრანტების მეორე ტალღა, ძირითადად, ალბათ რიონ-ყვირილის ორმდინარეთიდან ში და ქართლში გადადის, სადაც ამ დროს სიონის კულტურა იყო გავრცელებული. მათი ნაკვალევი კარგად შეინიშნება იორ-ალაზნის ორმდინარეთში [Варазашвили 1992: 54, 58, 64], ინტენსიურად ითვისებენ ისინი აგრეთვე ქვემო ქართლს. სიონის ნამოსახლარზე გამოირჩევა თხელკედლიანი, კარგად ნაზელი თიხის ჭურჭელი. მსგავსი თიხის ნაწარმი ცნობილია წოფიდან [საქართველოს არქეოლოგია 1992: 55]. აღინიშნა, რომ აქ ერთ-ერთ ჭურჭელს კარგად ემჩნევა მორგვის ნაკვალევი [Кушнарева, Чубинишвили 1970: 32]. ანალოგიური კერამიკა ნაპოვნი იყო თეთრიწყაროს ნამოსახლარის A დონეზე, მტკვარ-არაქსის კულტურის ფენის ქვეშ [გობეჯიშვილი 1978: 56, 59]. იყო თუ არა ამ ნამოსახლარზე ნაპოვნი ქვის დისკოს სეგმენტი მორგვის ნაწილი, გარკვევით თქმა ძნელია. თუმცა ძეგლის გამთხრელი დიდ მსგავსებას ხედავს ურუკის ხანის ფენაში აღმოჩენილ თიხის მორგვსა და თეთრიწყაროს დისკოს შორის [გობეჯიშვილი 1978: 72]. არ არის ვარაუდს მოკლებული აზრი, რომ დისკოს სეგმენტი მართლაც მორგვის ნაწილი იყოს და შესაძლოა მიგრანტების აქ გამოჩენას უკავშირდებოდეს. მათი ნაკვალევი შეიმჩნევა თეთრიწყაროს ნამოსახლარზე.

თბილისში დელისის ნამოსახლარის თიხის ნაწარმში გამოირჩევა კერამიკა, რომელიც ფორმით და დამუშავების ტექნიკით ახლოს დგას დასავლეთ ამიერკავკასიის გამოქვაბულების კულტურისათვის დამახასიათებელ თიხის ნაწარმთან [აბრამიშვილი 1978: 31; გოგაძე 2003: 27]. ეს ნამოსახლარი შიდა და ქვემო ქართლის საზღვარზე მდებარეობდა და ჩანს, რომ დასავლეთიდან გადმონაცვლებული მიგრანტები ერთხანს დამხვდურ მოსახლეობასთან თანაცხოვრობდნენ.

ამ ხასიათის კერამიკა აღმოჩნდა აგრეთვე შუაგულ შიდა ქართლში ბერიკლდეების ნამოსახლარის ქვედა ფენაში. ბერიკლდეების ნამოსახლარი მდებარეობდა ქარელის მახლობლად მაღალ კონცხზე, იქ, სადაც მდ. ფრონე ერთვის მტკვარს. ნამოსახლარზე სამი მეტრის კულტუ-

რულ ფენაში ხუთ პერიოდს გამოარჩევენ ენეოლითიდან მოკიდებული ადრერკინის ხანამდე [Dschavachischwili 1998: 7]. განსაკუთრებით საყურადღებოა ძირა ფენა, სადაც აღმოჩნდა ალიზისაგან ნაგები ზღუდე და ტაძრის ტიპის ნაგებობა, რომელიც ჩანს ნამოსახლარის ცენტრალურ ნაწილში უნდა მდგარიყო [Dschavachischwili 1998: 12]. ეტყობა ბერიკლდეები ათასწლეულების მანძილზე რელიგიური ცენტრი უნდა ყოფილიყო [Dschavachischwili 1998: 8; ყიფიანი 1997: 15]. ტაძარი სწორკუთხა ფორმისა იყო. ეს „წმინდა“ ადგილი ჩანს ალიზის კედლით იყო შემოზღუდული [Dschavachischwili 1998: 11]. აღინიშნა, რომ ბერიკლდეების ტაძარს სამხრეთ შუამდინარეთის კულტურებში ანალოგია არ მოეძებნება [ყიფიანი 1997: 30]. ვარაუდობენ, რომ ტაძრის კულტურა მცირე აზიიდან ვრცელდება [იქვე: 35]. საგულისხმოა, რომ მალათიის მახლობლად მდებარე არსლან თეფეს ნამოსახლარზე ბერიკლდეების მსგავსი ნაგებობა გამოვლინდა [Nocera 1998: 15]. როგორც ჩანს, ორივე ნამოსახლარი დაახლოებით ერთ დროს უნდა წარმოქმნილიყო მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანაში. შესაძლოა სამხრეთიდან ურუკის ხანაში მიგრირებული მოსახლეობის ერთი ნაწილი აღმოსავლეთ ანატოლიაში ყოვნდება, რასაც არსლანათეფეს ტაძრის ტიპის ნაგებობა უნდა მოწმობდეს, მეორე კი უფრო ჩრდილოეთით სამხრეთ კავკასიისკენ ინაცვლებს. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ერთნაირად წარიმართა ამ ნამოსახლარების შემდგომი ბედი. ორივე ნამოსახლარი, არსლანთეფე და ბერიკლდეები, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების შემოსევას ემსხვერპლა [ჯაფარიძე 2006: 273].

ბერიკლდეების ტაძარი და ზღუდე სამშენებლო საქმეში კარგად გაწაფულ ოსტატების მიერ უნდა ყოფილიყო აგებული, ალბათ დასავლეთ საქართველოდან გადმონაცვლებული ემიგრანტების მიერ. აღსანიშნავია, რომ კავკასიაში არსად, სადაც ურუკის ნაკვალევი ჩანს, ტაძრის ტიპის შენობა ცნობილი არ არის [Кореневский 2004: 73]. ცხადია ამ წმინდა სალოცავს თავისი მრევლიც უნდა ყოლოდა. მაგრამ ბერიკლდეების მახლობლად ამ დროის დასახლებული ადგილი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ბერიკლდეების გამთხრელი ალ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ შესაძლოა ეს წმინდა ადგილი მახლობლად მდებარე დედოფლის გორის მოსახლეობის სამლოცველო ყოფილიყო [Makharadze 2007: 128]. ამ ძეგლზე ძლიერი კულტურული ფენა გამოვლინდა და ანაკრეფი მასალა ამ ვარაუდის საფუძველს იძლეოდა. შესაძლოა აქ ცხოვრება ჯერ კიდევ სამლოცველოს არსებობის ხანაში წარმოიქმნა და შემდეგ რომაულ ხანამდე გაგრძელებულა. სადღეისოდ დედოფლის გორაზე რომაული ხანის ზედა ფენაა შესწავლილი. გამოითქვა მოსაზრება, რომ ბერიკლდეების ძირა ფენა IV ათასწლეულის პირველ ნახევარს მიეკუთვნება [Глонти, Джавахишвили 1987: 86]. თუმცა, ზოგის აზრით, ბერიკლდეების ძირა ფენის თარიღი რამდენადმე უფრო ახალგაზრდა უნდა იყოს და IV ათასწლეულის შუა ხანებით და მეორე ნახევრით უნდა განისაზღვროს [მახარაძე 1998: 29].

შიდა ქართლში მიგრანტები ერთხანს ეტყობა სიონის კულტურის მატარებელ მოსახლეობასთან თანაცხოვრობენ, რაც მტკვარ-არაქსის კულტურის გამოჩენამდე უნდა გაგრძელებულიყო. მტკვარ-არაქსის კულტურასთან თანარსებობა ბერიკლდეებზე არ შეიმჩნევა. ამ კულტურის გავრცელების ხანაში სრულიად იცვლება კულტმსახურების ხასიათი. ინგრევა ტაძრის ტიპის ნაგებობა და კულტთან დაკავშირებული ცერემონიალი უშუალოდ საცხოვრებელ შენობაში მიმდინარეობდა, რასაც მრგვალი კერების და საკულტო ხასიათის ნივთების აღმოჩენა უნდა მოწმობდეს.ამ დროს ბერიკლდეები კარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც რელიგიური ცენტრისა. მისი კვლავ აღზევება ჩანს ბედენის კულტურის ხანაში ხდება.

ურუკის ეთნო-კულტურული გავლენები უფრო ძლიერი იყო ქვემო ქართლის ვაკის აღმოსავლეთ ნაწილში. საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, გარდაბნის მხარეს ამ დროის რამდენიმე ნამოსახლარი იყო გამოვლენილი, სადაც კარგადაა წარმოდგენილი მესოპოტამიური იერის თიხის ჭურჭელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბეიუკ კესიკის ნამოსალხარი, რომელიც აზერბაიჯანის მხარეზე ყარაიაზის ველზე, თითქმის ჩვენს აღმოსავლეთ საზღვართან, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა. იგი მიწის პირიდან თითქმის არ გამოირჩეოდა. ნამოსახლარის კულტურული ფენის სისქე დაახლოებით 1,70 მ შეადგენდა [Ахундов, Махмудова 2008: 17]. ნაგებობები ცუდად იყო შემონახული. მათ სწორკუთხა, მომრგვალებული ან სულაც არათანაბარი მოხაზულობა ჰქონდათ. ნამოსახლარზე გამოვლინდა რამდენიმე კერა, თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ღუმელი, სამეურნეო ორმოები და სხვ. რამდენიმე უბანზე ჩვილი ბავშვების სამარხები აღმოჩნდა, უპირატესად თიხის ჭურჭელში მოთავსებული.

ყარაიაზის ვაკეზე, მტკვრის მარცხენა ნა-

პირზე სოფ. სეიუგბულაგის მახლობლად გამოვლინდა ყორღანული ველი. ყორღანების ყრილის სიმაღლე ერთ მეტრს არ აღემატებოდა, ზოგს კი ყრილი საერთოდ არ ემჩნეოდა. ყორღანებში სამარხეული ინვენტარი ღარიბული იყო, ჭარბობდა თიხის ჭურჭელი, რომელიც ლეილათეფეს ნამოსახლარის კერამიკის მსგავსი იყო [Мусеибли 2009: 53]. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2006 წელს გათხრილი №1 ყორღანი, რომლის დიამეტრიც 17,0 მ აღწევდა, სიმაღლე კი ნახევარ მეტრზე ცოტა მეტს [Ахундов, Махмудова 2008: 33]. ყორღანის ყრილის ქვეშ აღმოჩნდა ქვებისგან შეკრული წრე, კრომლეხი, რომლის ცენტრალურ ნაწილში სწორკუთხა ორმო მდებარეობდა. სამარხ-ორმოში ცუდად შემონახულ მიცვალებულის ძვლოვანი ნაშთებთან ერთად, საკმაოდ მდიდრული ინვენტარი იყო ნაპოვნი: კარგი ხარისხის თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სატევრის პირი, ქვის ზოომორფული სკიპტრა (ცხენის გამოსახულებით), მრავლად მძივები, მათ შორის ოქროს და ვერცხლის და სხვ. სრულიად უმართებულოა აზრი, თითქოს სეიუგბულაგის ყორღანების აღმოჩენის შემდეგ ნათელი გახდა, რომ კავკასიაში ყორღანული სამარხის იდეა სამხრეთ კავკასიაში უნდა წარმოქმნილიყო. აქედან გავრცელდა იგი ჩრდილოეთით და ფართოდ გამოიყენებოდა მაიკოპის კულტურის მატარებელი ტომების მიერ [Мусеибли 2005: 136]. ცნობილია, რომ ყორღანული ტიპის სამარხი ჩრდილოეთით, სტეპურ ზოლში უნდა ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ ამაზე ქვევით გვექნება საუბარი.

განჯა-ყაზახის ველზე ამ დროის რამდენიმე ნასახლარი გამოვლინდა. ამათგან აღსანიშნავია ფაილუ II, რომლის ძირა ფენა ენეოლითის ხანას მიეკუთვნება. რიყის ქვისგან ნაგები შენობები ოთხკუთხა ან სწორკუთხა მოყვანილობისა იყო. ნამოსახლარზე აღმოჩნდა ორი ღუმელი, სამეურნეო ორმოები, თიხის ჭურჭელში მოთავსებული ჩვილი ბავშვის ოთხი სამარხი. თიხის ნაწარმიდან ჭარბობს ჩარხზე ნაკეთები თიხის ჭურჭელი. აღსანიშნავია აქ ნაპოვნი თიხის ნამგალი და ზოომორფული ქანდაკება, ალბათ ძაღლის თავისა. იარაღი ძირითადად კაჟის იყო. ნაკლებადაა წარმოდგენილი ობსიდიანის იარაღი, რომელიც ფარავნის ტბის მიდამოების ნედლეულიდანაა ნაკეთები. ლითონის მხოლოდ სამი უსახური ნატეხი იყო ნაპოვნი [Мусеибли 2010: 208].

განჯა-ყაზახის ველზე ამ დროის კიდევ ერთი ნამოსახლარი იყო შესწავლილი - აგილი დერე. იგი ძლიერ დაზიანებული იყო. აქ აღმოჩნდა ამ პერიოდის ნამოსახლარებისთვის დამახასიათებელი კერამიკა, თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ღუმელი და კერა [Ахундов, Махмудова 2008: 24].

როგორც ჩანს, განჯა-ყაზახის ვაკეს, რომელიც ქვემო ქართლის ველის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა, საკმაოდ ინტენსიურად ითვისებენ სამხრეთიდან გადმონაცვლებული მოსახლეობის ჯგუფები, რომლებიც ძირითადად დასავლეთ ამიერკავკასიიდან შიდა ქართლის გავლით ვრცელდებიან. ნაწილი უფრო აღმოსავლეთით ინაცვლებს და საკმაოდ მყარ დასახლებებს ქმნიან. ეტყობა ქვემო ქართლის მიმდგომ განჯა-ყაზახის, ყარაიაზის, მილისა და ყარაბაღის ველებზე უფრო ხელსაყრელი გარემო არსებობდა ცხოვრებისათვის, რაც ჯერ კიდევ შულავერ-შომუთეფეს კულტურის გავრცელების ხანიდან შეიმჩნევა.

ყარაბაღის ველზე გამოვლენილი იყო ჯგუფი ნამოსახლარებისა, რომელთაგან გამოირჩევა ლეილათეფეს ნასახლარი. აქ მოპოვებული მასალების საფუძველზე ცნობილმა არქეოლოგმა იდეალ ნარიმანოვმა მანამდე უცნობი ადრესამინათმოქმედო კულტურა გამოყო, რომელიც დღეს ლეილათეფეს კულტურის სახელითაა ცნობილი. მან იმთავითვე სწორედ განსაზღვრა ამ კულტურის ხასიათი და იგი მესოპოტამიურ კულტურას დაუკავშირა [Нариманов 1987: 129; Нариманов 1991: 32]. ეს დასკვნა ძირითადად დაფუძნებული იყო კერამიკული მასალის ანალიზზე. ი. ნარიმანოვმა აქ ორი ჯგუფის სრულიად განსხვავებული ხასიათის თიხის ნაწარმი გამოყო. პირველი „ხარისხიანი კერამიკა“, რომელიც გამოირჩევა ძერწვის მაღალი დონით, თხელკედლიანი, სადა და რაც მთავარია მას აშკარად ემჩნეოდა ჩარხის ნაკვალევი. მეორე ჯგუფის თიხის ჭურჭელი „ტლანქი კერამიკა“ ხელით იყო უხეშად ნაძერწი. ი. ნარიმანოვის ვარაუდით ლეილათეფეს კულტურა მესოპოტამიის ობეიდური ხანის კულტურას უკავშირდება [Нариманов 1991: 32; Алиев, Нариманов 2001: 75]. სამართლიანად აღინიშნა, რომ ლეილათეფეს კულტურა უბეიდის მომდევნო ურუკის ხანასთან ნახულობს მეტ საერთოს [Мунчаев 2007: 8; Мунчаев, Амиров 2009: 41]. ურუკის კულტურისათვისაა დამახასიათებელი სადა, მოუხატავი თიხის ჭურჭელი და ამ დროს იწყება პირველად სამეთუნეო ჩარხის გამოყენება. ლეილათეფეს ნამოსახლარი ბორცვის დიამეტრი 50-60 მ. აღწევდა. კულტურული ფენის სისქე დაახლოებით 2,0 მ უდრიდა. საცხოვრებელი შენობები ნაგები იყო ალიზისაგან სწორკუთხა ან ოთხკუთხა მოყვანილობის. ნამოსახლარზე 12-მდე თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ღუმელი

აღმოჩნდა. გამოვლინდა რამდენიმე სამეურნეო ორმო. ნამოსახლარის ტერიტორიაზე ნაპოვნი იყო ჭურჭელში მოთავსებული ჩვილი ბავშვის რამდენიმე სამარხი [Нариманов, Ахундов, Алиев 2007: 9].

ლეილათეფეს ბორცვის მახლობლად ამ დროის რამდენიმე ნამოსახლარი მდებარეობდა – აბდალ აზის თეფე, შომულუ თეფე, ჩინართეფე და სხვ. თითქმის ყველა ნამოსახლარზე ნაპოვნი იყო ლეილათეფეს ტიპის კერამიკა როგორც „ხარისხიანი“, ისე „უხარისხო“ [Нариманов, Ахундов, Алиев 2007: 37]. ლეილათეფეს კულტურაში გვხვდება კერამიკის სხვა ნაწარმიც – „ლურსმნები“, კვირისტავი, ანთროპომორფიული და ზოომორფიული ქანდაკებები, საბეჭდავები და სხვ. ლეილათეფეს ნამოსახლარზე ლითონის რამდენიმე ნივთი აღმოჩნდა – ხიშტი, სადგისი, დანის ნატეხი და სხვ [Нариманов, Ахундов, Алиев 2007: 54].

ლეილათეფეს კულტურის ნაკვალევი შეინიშნება აგრეთვე მუღანის ველის ნამოსახლარზე – ალიკემეკთეფესი, მიშარჩაი IV და სხვ. [Алиев, Нариманов 2001: 26]. ურუკის ტიპის კერამიკას ვხვდებით არარატის ველზე თეხუთის ნამოსახლარზე. აქ აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რომელსაც ატყვია ჩარხის ნაკვალევი [Кореневский 2004: 91. Нариманов 1987: 67]. თეხუთში ნაპოვნი იყო ლეილათეფეს დამღიანი კერამიკის მსგავსი ჭურჭელი [Кореневский 1999: 9]. თეხუთის ნამოსახლარისათვის თავისებური ხასიათის საცხოვრებელია დამახასიათებელი, მიწურები და ნახევრადმიწურები [Торосян 1976: 127].

საიდან, რა გზით მიმდინარეობდა ურუკის კულტურის გავრცელება მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში მთლად ნათელი არ არის. სავარაუდოა, რომ ძირითადი გზა აღმოსავლეთ ანატოლიიდან დასავლეთ ამიერკავკასიაზე გადიოდა, საიდანაც შიდა და ქვემო ქართლის გავლით მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთს აღწევდა. აქ მილისა და ყარაბაღის ველებზე ურუკელთა ცალკეული ჯგუფები საკმაოდ მყარად ფუძნდებიან.

ურუკის იერის კერამიკა აღმოჩნდა აგრეთვე ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანში, კასპიისპირეთის რიგ ძეგლებზე და უფრო ჩრდილოეთითაც ზღვისპირა დაღესტანში, დერბენტის მხარეს. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ზოგიერთ ძეგლზე ეს კერამიკა ადრე მტკვარა-რაქსის კულტურის თიხის ჭურჭელთან თანაარსებობს [Мунчаев, Амиров, Магомедов 2010: 320]. სამხრეთ კავკასიაში მათი თანხვედრა შენიშნული არ არის. შესაძლოა ურუკის იერის მატერიალური კულტურის ელემენტების გამოჩენა კასპიისპირეთში ირანის მხრიდან მომდინარეობდა [Мунчаев, Мерперт, Амиров 2010: 341] რამდენადმე უფრო გვიან და მტკვარ-არაქსის კულტურის აქ გავრცელების დროს ემთხვევა.

გამოითქვა მოსაზრება, რამ ზღვისპირა დაღესტნიდან მიიმართებოდა მნიშვნელოვანი გზა წინააზიური ეთნოკულტურული გავლენების ჩრდილო-კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ რეგიონებში. სწორედ ამის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო მაიკოპის ფენომენი [Мунчаев, Амиров, Магомедов 2010: 321]. ეს გზა მესოპოტომიიდან მოდიოდა ირანში და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გავლით დაღესტანში, საიდანაც შემდეგ აღწევდა ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ მხარეებს [Мунчаев, Мерперт, Амиров 2010: 341]. მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ წინააზიური კულტურული იმპულსები ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში უპირატესად სამხრეთიდან მომდინარეობდა წინამაიკოპის ხანაში. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, როგორც აღინიშნა, ეს გავლენები ანატოლიიდან ძირითადად დასავლეთ ამიერკავკასიის გზით ვრცელდებოდა. შესაძლოა მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების შემოღწევა ზღვის გზითაც ხორციელდებოდა [ჯაფარიძე 2006: 283]. თუმცა, ზოგიერთის აზრით, არსებული მონაცემები ამ გზას ნაკლებად უჭერს მხარს [Кореневский 2004: 92; Мунчаев, Мерперт, Алиев 2010: 341]. ცენტრალურ კავკასიაში კერამიკის ჩარხზე დამზადების ტრადიციის მატარებელი ტომების გადანაცვლება ძირითადად ალბათ მთავარი ქედის არაერთი გადასასვლელით ხორციელდებოდა. თერგის მხარის ძეგლების ბერიკლდეებთან სიახლოვის საფუძველზე აღინიშნა მტკვრის ხეობის და კავკასიონის უღელტეხილების მნიშვნელოვან როლზე მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბებაში [Кореневский 1997: 75]. მაიკოპის კულტურის გავრცელების ძირითად რეგიონში, ყუბანისპირეთში მის წარმოქმნაში ადგილობრივ აფხაზურ-ადიღეური ტომებთან ერთად, ალბათ სამხრეთიდან მიგრირებული მოსახლეობაც მონაწილეობდა, რომელიც აქ წინამაიკოპურ ხანაში საკმაოდ მყარად სახლდება. შესაძლოა, ამ პროცესში ჩართული იყო აგრეთვე მეზობელი, დასავლეთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა, ალბათ ქართველური ტომები. ამას თითქოს უნდა მოწმობდეს გარკვეული კულტურული სიახლოვე, რომელიც ამ დროის ყუბანისპირეთის და დასავლეთ საქართველოს

ძეგლებზე მოპოვებულ მასალებში შეინიშნება [ჯაფარიძე 1976: 203]. ისიც კი აღინიშნა, რომ დასავლეთ საქართველოს ენეოლითი საფუძვლად დაედო მაიკოპის ადრებრინჯაოს ხანის კულტურას [Глонти и др. 1968: 9].

საგულისხმოა, რომ კავკასიაში სამხრეთიდან გადანაცვლებული მოსახლეობის გამოჩენამ თითქმის არავითარი ასახვა არ ჰპოვა ცხოვრების ყოფით მხარეზე. არ შეინიშნება რაიმე საგრძნობი სიახლე სამშენებლო-არქიტექტურულ საქმეში. საცხოვრებლად ისევ ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ყოვლად უსახური შენობა-ნაგებობებია გამოყენებული [Черных, Орловская 2007: 9]. თუ არ ჩავთვლით ბერიკლდეების ტაძრის ტიპის შენობას, სხვა მონუმენტური ხასიათის ნაგებობა ცნობილი არ არის. მიგრანტებს, ჩანს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესჩვეულებები არ დაურღვევიათ და არ შეინიშნება ყოფით კეთილდღეობაზე ზრუნვის რაიმე ნაკვალევი. ისინი ადგილობრივი მოსახლეობის სოფლებში ბინადრობდნენ და მათი თანაცხოვრება ჩანს შედარებით მშვიდი ხასიათისა უნდა ყოფილიყო. ეტყობა მიგრანტები აქ მაინცდამაინც ხანგრძლივ ცხოვრებას არ აპირებდნენ. აღსანიშნავია, რომ არსლანთეფეს ძირა VII ფენაში, სადაც კარგად შეინიშნება ურუკის ნაკვალევი, საკმაოდ მყარი ქვის საფუძველზე ალიზისაგან ნაგები სწორკუთხა შენობები გვხვდება [Woceza 1989: 15]. როგორც ჩანს, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში მიგრანტებს ბუნებრივი რესურსები იზიდავდა, უპირატესად ლითონის საბადოები [Мунчаев, Амиров 2009: 46]. მათი ძირითადი საქმიანობა აქ სპილენძის და, ალბათ, ოქროს ძიება იყო. აღინიშნა, რომ კავკასიური მადნები იზიდავდა მესოპოტამიის და ანატოლიის მეტალურგებს [Чайлд 1952: 210]. ოქრო იყო ალბათ ძირითადი მიზეზი მესოპოტამიის ინტერესისა კავკასიისადმი [Мунчаев 1975: 407].

სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში სპილენძის მისაღებად ალბათ ადგილობრივი საბადოები გამოიყენებოდა – ზანგეზურის, კაფანის, ალავერდის და სხვ. [Иессен 1935: 28; Абибуллаев 1965: 66; Кашкай, Селимханов 1957: 449]. სპილენძს აქ მოსახლე ტომები წინარე შულავერ-შამუთეფეს კულტურის ხანაში ეცნობიან [Джапаридзе 1989: 228]. პირველი ჩვევები მისი დამუშავებისა ალბათ სამხრეთიდან მოდიოდა [Черных 1993: 86], სადაც ლითონს გაცილებით ადრე ეცნობიან [ღამბაშიძე და სხვ. 2010: 98]. ლეილათეფეს კულტურის ხანაში ლითონის წარმოება ჩანს უფრო მაღალ დონეს აღწევს [Алиев, Нариманов 2001: 73], რაც ალბათ სამხრეთიდან მიგრირებული მოსახლეობის დამსახურება უნდა ყოფილიყო. ვარაუდობენ, რომ ლეილათეფეს ენეოლითურ ფენაში სახელოსნოს ნაშთები აღმოჩნდა [ღამბაშიძე და სხვ. 2010: 99]. მაგრამ, მთლად ნათელი არ არის სად მიმდინარეობდა მადნის დამუშავება და როგორ ხდებოდა ლითონის სამხრეთით გაზიდვა. ამ დროის ნამოსახლარზე არსად არ შეინიშნება მადნის დამუშავების ნაკვალევი. შესაძლოა სპილენძის მიღება მადნის მოპოვების ადგილის მახლობლად მიმდინარეობდა. მადნის საცხოვრებელ ადგილთან ტრანსპორტირება საკმაოდ მძიმე და რთული იქნებოდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ ხანებში თვითნაბად სპილენძისა და მაღალი შემადგენლობის მადნებს იყენებდნენ ლითონის მისაღებად. ასეთ შემთხვევაში წიდის რაოდენობა შედარებით ნაკლები უნდა ყოფილიყო. შესაძლოა ამ ნედლეულის მოპოვების შესაძლებლობის შემცირებას უნდა გამოეწვია მიგრანტების მიერ მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის მიტოვება და ჩრდილოეთით გადანაცვლება. ამას შედეგად ლეილათეფეს კულტურის დაკნინება მოყვა, რაც ალბათ მტკვარ-არაქსის გამოჩენამაც დააჩქარა.

კიდევ უფრო ბუნდოვანია ოქროსთან დაკავშირებული პრობლემა. ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ არის, თუ რა დროიდან გვხვდება სამხრეთ კავკასიაში ოქრო. შულავერ-შამუთეფეს კულტურის ხანაში ოქრო ცნობილი არ არის. არც მომდევნო ხანის კულტურებში – ლეილათეფეს, სიონის, დასავლეთ ამიერკავკასიის გამოქვაბულების კულტურაში – არ გვხვდება ოქრო. არა გვგონია, რომ სოიუგბულაგის 2006 წ. № 1 ყორღანი, სადაც სხვა ინვენტართან ერთად ოქროს და ვერცხლის მძივები აღმოჩნდა [Ахундов, Махмудова 2008: 36], ლეილათეფეს კულტურის თანდროული იყოს [ღამბაშიძე და სხვ. 2010: 99]. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთიდან მიგრანტები, ალბათ, ლითონის მარაგის შემცირების გამო კავკასიონის ცენტრალური ნაწილის გადასასვლელებით იწყებენ ჩრდილოეთით გადანაცვლებას. ისინი თერგის მხარეს აღწევენ და ჩანს ე.წ. გალუგაევოს მაიკოპის ჩამოყალიბებაში იღებენ გარკვეულ მონაწილეობას [Кореневский 1993: 102]. აღინიშნა, რომ ოქროს მოპოვების წყარო შესაძლოა ყუბანის და თერგის ალუვიალური ოქრო ყოფილიყო [Кореневский 1993: 79]. თუმცა გალუგაევის მაიკოპის არსებობის თაობაზე

ეჭვი იყო გამოთქმული [Черных, Орловская 2007: 10]. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ხასიათის პროცესი უფრო მოგვიანო ხანაშიც შეინიშნება. მტკვარ-არაქსის კულტურის დროსაც მიმდინარეობდა მიგრაციები ჩრდილოეთით. თერგის მხარეში აღმოჩნდა ძეგლები, რომლებიც მეტ საერთოს ნახულობენ საჩხერის ყორღანულ სამარხებში აღმოჩენილ მასალასთან [Ростунов 1989: 32].

ოქროს ნაწარმი ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურაში თითქოს ცნობილი არ არის. რაც შეეხება საჩხერის ყორღანულ სამაროვნებზე აღმოჩენილ ოქროს ორ რგოლს, ისინი, ალბათ, ზედა ფენის, ბედენური ხანის სამარხებს უკავშირდებიან. აღმოსავლეთ ანატოლიაში არსლანთეფეს ნამოსახლარზე აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი მდიდრული „სამეფო“ სამარხი, სადაც ოქროს მძივები იყო ნაპოვნი. არა გვგონია, რომ მთლად საიმედო იყო ვარაუდი, რომ ამ ხასიათის სამარხი შესაძლოა მომავალში კიდევ აღმოჩნდეს [ღამბაშიძე და სხვ. 2010: 244]. მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი როგორც კავკასიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ სამარხეული ინვენტარის შემადგენლობაში ოქროს ნივთები არ აღმოჩენილა. სადღეისოდ ცნობილია ამ დროის არა ერთი სამარხი, სადაც ნაპოვნია ვერცხლის და სხვა ხასიათის პრესტიჟული ნივთი, მაგრამ ოქროს ნაწარმი არსად არ აღმოჩენილა. თუმცა, როგორც ჩანს მტკვარ-არაქსის კულტურის დროს ოქრო ცნობილი უნდა ყოფილიყო. უკანასკნელ ხანებში ქვემო ქართლში, ბოლნისის რაიონში ადგილ საყდრისში ოქროს მოპოვების უძველესი კერა აღმოჩნდა. საყდრისის მაღაროს რადიოკარბონული თარიღი ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოთი და III ათასწლეულის პირველ ნახევრით განისაზღვრება, რაც მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის ხანას ემთხვევა. ამას ადასტურებს აგრეთვე მაღაროში აღმოჩენილი ამ კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი [ღამბაშიძე და სხვ. 2010: 76, 129]. საგულისხმოა ისიც, რომ საყდრისის მაღაროს მახლობლად მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ძეძვების მოზრდილი ნამოსახლარი გამოვლინდა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, მემაღაროელთა დასახლება უნდა ყოფილიყო [ღამბაშიძე და სხვ. 2010: 102]. ეს ნამდვილად ეპოქალური აღმოჩენა რიგ, ჯერ კიდევ ძნელად ასახსნელ კითხვებს ბადებს: რატომ არ გამოიყენება ეს ძვირფასი ლითონი მტკვარ-არაქსის კულტურის დროს? სად წავიდა საყდრისის ოქრო? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამის მიზეზი უფრო მეტად რწმენა-წარმოდგენას, კულტს უკავშირდება, რომელიც კრძალავდა ოქროს გამოყენებას როგორც სიცოცხლეში, ისე დაკრძალვის რიტუალში. გამოითქვა მოსაზრება, რომ საყდრისის ოქრო, რომელიც, ეტყობა, საკმაოდ უხვად მოიპოვებოდა, სამხრეთ კავკასიის გარეთ გადიოდა [ღამბაშიძე და სხვ. 2010: 240]. ოქროზე მოთხოვნილება სამხრეთის დაწინაურებულ ქვეყნებში ამ დროს საკმაოდ მაღალი იყო. სად მიდიოდა და როგორ ნაწილდებოდა ოქროს იმპორტიდან მიღებული შემოსავალი, გარკვევით თქმა ძნელია. იგი ალბათ საზოგადო საკუთრება იყო. ძეძვების ნამოსახლარზე საზოგადოების შიგნით რაიმე საგრძნობი ცვლილება შენიშნული არ არის. არა გვგონია, რომ აქ აღმოჩენილ № 2 სამარხში, სადაც სამი მიცვალებული ესვენა და ლითონის რამდენიმე საკიდი იყო ნაპოვნი, საზოგადოების შიგნით რაიმე ძვრების მანიშნებელი იყოს [ღამბაშიძე და სხვ. 2010: 246].

აღსანიშნავია, რომ ჩვენში ეს მოვლენა შემდეგშიც მეორდება. აღმოსავლეთ საქართველოში გვიან ბრინჯაოს ხანის სამარხეულ ინვენტარში ოქრო თითქმის სრულად ქრება, თანაც თრიალეთის კულტურის შემდეგ, სადაც ოქრომჭედლობა მაღალ საფეხურზე იდგა. იყო ეს მოვლენა კვლავაც კულტთან დაკავშირებული, ძნელია გარკვევით თქმა. გვიან ბრინჯაოს ხანაში გვხვდება მდიდრული ე.წ. „წარჩინებული მეომრის“ სამარხები, სადაც უხვადაა ჩატანებული ბრინჯაოს იარაღ-სამკაული, მაგრამ ოქროს ნაწარმი წარმოდგენილი არ არის. ის აზრი, რომ ოქრო ამ დროს ალბათ ბრინჯაოს იარაღის შესაძენად გამოიყენებოდა, ნაკლებად სავარაუდოა [Куфтин 1949: 5].

მტკვარ-არაქსის კულტურის გამოჩენამ სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ჩანს დააჩქარა ლეილათეფეს კულტურის ჩაქრობა. ბერიკლდეების ნამოსახლარზე ძირა ფენას ადრემტკვარ-არაქსის კულტურის ფენა ადევს. არა გვგონია, რომ მართებული იყოს აზრი, თითქოს მაიკოპის კულტურა დროით წინ უსწრებდეს მტკვარ-არაქსის კულტურას [მახარაძე 1998: 29]. ბერიკლდეებზე მტკვარ-არაქსის კულტურა ზემოდან მაიკოპის კულტურას კი არ ფარავს, არამედ ტაძრისა და გალავნის შემცველ უფრო ადრეულ ფენას. მაიკოპის კულტურის დაძველების შემდეგ ეს კულტურები დაახლოებით თანადროულები უნდა ყოფილიყვნენ და მათი ადრეული თარიღი ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით უნდა განისაზღვროს.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ყუბანის-პირეთში ჯერ კიდევ წინა მაიკოპის ხანაში მიგრირებული მოსახლეობა ჩანს კარგად შეეთვისა აბორიგენ, დამხვდურ ტომებს, მყარად დაფუძნდა მიწაზე და თანაცხოვრება შედარებით მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. კავკასიის ამ მხარის დაწინაურების ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა ისიც იყო, რომ მიგრაციამ აქ უფრო დიდი მაშტაბები მიიღო. გარდა კოლხეთიდან გადმონაცვლებული ჯგუფებისა აქ გარკვეული მასა მიგრირებული მოსახლეობისა სამხრეთიდან ალბათ ზღვის გზითაც შემოდიოდა. მშვიდ და დაუძაბავ თანაცხოვრების შედეგად ყუბანისპირეთში ჩამოყალიბდა საკმაოდ დაწინაურებული ე.წ. მაიკოპის კულტურა.

დაახლოებით ამავე ხანებში სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურის ფორმირების პროცესი მიმდინარეობდა. კავკასიის ამ ორი მძლავრი კულტურის განვითარების პროცესი სხვადასხვა გზით წარიმართა. მაიკოპის კულტურაში უფრო მეტად იგრძნობა სამხრეთის გავლენა, რაც ალბათ მიგრირებული მოსახლეობის დამსახურება უნდა ყოფილიყო. საზოგადოების შიგნით მიმდინარე დიფერენციაციის პროცესი აქ უკვე საკმაოდ შორს წასული ჩანს. ჩნდება დაწინაურებული, ელიტარული ფენა მოსახლეობისა, ალბათ ძირითადად მიგრანტებისაგან შემდგარი. იზრდება ბელადის როლი, რომელიც დიდი პატივით იკრძალება. იმატა მოთხოვნილებამ ფუფუნების საგნებზე. ოქრომჭედლობა საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს. ჩანს პროფესიონალი მელითონეები დაეუფლნენ საიუველირო საქმის რთულ პროფესიას. ჩნდება ოქროს და ვერცხლის მაღალი დონის სამკაული და ჭურჭელი. ვერცხლის ზოგიერთ ჭურჭელზე საკმაოდ რთული კომპოზიციებია გამოსახული. ვერცხლის ერთ-ერთ ჭურჭელზე გადმოცემულია მთების გამოსახულება, ზოგის აზრით, კავკასიონის ქედი თავისი ორი მთავარი მწვერვალით იალბუზით და ყაზბეგით [Фармаковский 1914: 50]. თუმცა ზოგი ეჭვს გამოთქვამს, რომ აქ კავკასიონის ქედის რეალური პანორამა იყოს გამოსახული [Иессен 1935: 82]. უფრო ისაა სავარაუდო, რომ ჭურჭელზე ადგილობრივი მთიანი რელიეფია გადმოცემული [Чайлд 1952: 213]. არ არის გამორიცხული, რომ ჭურჭელი ადგილობრივი ოსტატის მიერ იყოს შესრულებული [ო. ჯაფარიძე 1976: 219]. და მაინც უფრო ისაა საფიქრებელი, რომ ოქრომჭედლობის მაღალი დონე მოსული მოსახლეობის დამსახურება იყო. საიუველირო ნაწარმის იმპორტული წარმომავლობა ნაკლებადაა სავარაუდო. თუმცა ის მოსაზრებაც გამოითქვა, არც თუ მთლად დამაჯერებელი, რომ თითქოს მაიკოპის კულტურის მატარებელი ტომები თვითონ იდგნენ წინა აზიის საიუველირო საქმის სათავეებთან [Кореневский 2004: 97].

როგორც ჩანს, მაიკოპის კულტურის ხანაში თანდათანობით სუსტდება დამოკიდებულება წინააზიურ სამყაროსთან. ამის ერთ-ერთი მიზეზი ეგებ ისიც იყო, რომ ამ დროს ძლიერდება მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების ექსპანსია სამხრეთით, რასაც მნიშვნელოვნად უნდა შეეფერხებინა მაიკოპელთა ურთიერთობა წინა აზიის ცენტრებთან [Ахундов 2010: 62]. მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელება მახლობელ აღმოსავლეთში საგრძნობლად ცვლის კულტურულ სიტუაციას ზოგიერთ რეგიონში [Трифонов 1987: 21].

შექმნილი ვითარების გამო უფრო მეტად ძლიერდება მაიკოპის კულტურის კავშირი ჩრდილოეთთან. ორიენტაციის შეცვლა კარგად გამოჩნდა დაკრძალვის რიტუალში. მაიკოპის კულტურაში ყორღანული ტიპის სამარხის გამოჩენა ჩრდილოეთიდან, სტეპის ზოლიდან მიმდინარე გავლენას უკავშირდება [Резепкин 1991: 75]. მაიკოპის კულტურის ხანაში კარგად შეინიშნება კონტაქტები ჩრდილოელ მეზობლებთან. ისიც კი აღინიშნება, რომ მიმდინარეობდა მაიკოპელების გადაადგილების პროცესი ჩრდილოეთით [Кореневский 2004: 94]. მაიკოპის კულტურის ყორღანული სამარხები თავისი აგებულებით, ზომით, ინვენტარით და სხვ. საგრძნობლად განსხვავდებოდნენ სტეპის ზოლის ამავე ტიპის სამარხებისაგან. ჩანს მაიკოპში ყორღანული ტიპის სამარხის გამოჩენისას საზოგადოების დიფერენციაციის პროცესი უკვე დაწყებული უნდა ყოფილიყო. წარჩინებული ფენის ყორღანული სამარხები გამოირჩევიან გრანდიოზული მასშტაბით. ამ დროს მკვეთრი კონტრასტი ჩანს მეტად მდარე ნასახლარ ადგილებს და ბრწყინვალე ყორღანულ სამარხებს შორის [Черных, Орловская 2007: 10]. რატომ ცხოვრობენ ასეთ უსახურ შენობებში, მეტად გაუსაძლის ყოფით პირობებში გარკვევით არაფრის თქმა შეიძლება. თუ მიგრანტები სამხრეთიდან, ურუკიდან გამოსულები იყვნენ, სადაც სამშენებლო საქმე მაღალ დონეზე იდგა, ეს ვითარება უფრო მეტ გაკვირვებას იწვევს. ჩანს საიქიო ცხოვრებაზე უფრო მეტს ზრუნავენ, ვიდრე სააქაო ყოფაზე. შესაძლოა აქ ყოფნა დროებითად მიაჩნიათ და უფრო მეტად მიცვალებულის საფლავებზე ზრუნავენ,

რომლებიც სამუდამო განსასვენებელი იყო. ჩანს მიგრანტები აბორიგენ მოსახლეობის ადათ-ჩვევებს, ადგილობრივ ცხოვრების წესს შეეგუვნენ.

რატომ უკავშირდება კავკასიაში საიუველირო ნაწარმის გამოჩენა ყორღანული ტიპის სამარხის გავრცელებას, მთლად ნათელი არ არის. კავკასიის ჩრდილო ნაწილში ძვირფასი ლითონის ნივთები პირველად ამ ტიპის სამარხებში გვხვდება. ანალოგიური ვითარებაა აგრეთვე სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ მხარეში, ოღონდ აქ ყორღანები რამდენადმე უფრო გვიან იწყებს გამოჩენას, მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობის შემდეგ [ჯაფარიძე 2006: 283]. ეტყობა, ამ კულტურამ შეაფერხა აქ დაკრძალვის ყორღანული წესის გავრცელება, რაც ჩრდილოეთიდან მომდინარე მოვლენებს უკავშირდება. ჩრდილო შავიზღვისპირეთი იყო, ზოგის აზრით, ინდოევროპელი ტომების პირველსაცხოვრისი. ამ ტომების კავკასიაში გამოჩენამ ადგილობრივი მოსახლეობის ენებზედაც იქონია გავლენა. აფხაზურ-ადიღეური ენებში გარკვეული შეხვედრები შეინიშნება ინდოევროპულ ენასთან [Климов 1965: 82]. ამ მოვლენას უკავშირდება ალბათ ქართველურ ენებში შენიშნული ინდოევროპული ენის ელემენტები [ჯაფარიძე 1998: 180].

სამხრეთ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში საზოგადოების განვითარების პროცესი სულ სხვა გზით წარიმართა. აქ ამ დროს ჩანს უფრო მეტად თანასწორუფლებიანი, ეგალიტარული ხასიათის ურთიერთობა ჩამოყალიბდა. საზოგადოების შიგნით დიფერენციაციის პროცესი თითქმის არ შეიმჩნევა. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები საკმაოდ მრისხანე ძალას წარმოადგენდა. ისინი კარგად აღჭურვილნი და უფრო მობილურნი იყვნენ. მთავარი ყურადღება ეტყობა ბრინჯაოს მეტალურგიის აღმავლობას ექცეოდა. ჩნდება ახალი სახის ბრინჯაოს საბრძოლო და სამეურნეო ხასიათის სხვადასხვა ტიპის იარაღები: სხვადასხვა სახის ცულები, შუბისმაგვარი იარაღი, ოთხწახნაგა ხიშტი, სატევრის პირები, თოხი, ნამგალი, კომბინირებული იარაღი და სხვ. როგორც ჩანს, ამ დროს ცნობილი უნდა ყოფილიყო ოქრო, რასაც ქვემო ქართლში საყდრისის ოქროს საბადოები მოწმობს. აქვე მახლობლად მტკვარ-არაქსის კულტურის მოზრდილი ძეძვების ნამოსახლარი მდებარეობდა, სადაც ოქროს წარმოებასთან დაკავშირებული ნივთები აღმოჩნდა [ღამბაშიძე და სხვ. 2010: 85]. ეტყობა ელიტარული ფენა ამ დროისთვის ჯერ კიდევ მკვეთრად წარმოქმნილი არ არის. ოქრო ჩანს უპირატესად გარედ გადიოდა და მიღებული შემოსავალი ალბათ ძირითადად სამხედრო პოტენციალის აღმავლობას ხმარდებოდა. არ არის მთლად გამორიცხული, რომ საყდრისის ოქრო მაიკოპშიც გადიოდა.

როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები დიდ სიძლიერეს აღწევენ და ფართოდ ვრცელდებიან როგორც კავკასიის შიგნით, ისე მის გარეთ [ჯაფარიძე 2006: 285]. კავკასიაში მათი გავლენის ქვეშ ექცევა მისი დიდი ნაწილი, დასავლეთი მხარის გამოკლებით. ჩანს ისინი საგრძნობლად ავიწროვებენ მაიკოპის კულტურის მატარებელ მოსახლეობას და როგორც აღინიშნა, გზას უღობავენ სამხრეთისაკენ. ჩანს მტკვარ-არაქსის მატარებელმა ტომებმა მაიკოპელთა ჩრდილო კავკასიაში აღმოსავლეთით წინსვლა შეაფერხეს. მაიკოპის კულტურის გავრცელების საზღვარი ცენტრალური კავკასიის რეგიონს აღწევს. უფრო ღრმად ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში მათი კვალი ნაკლებად იგრძლობა. ეს მხარე მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სფეროში იყო მოქცეული.

როგორც ჩანს, მაიკოპის კულტურის მატარებელი ტომები ცენტრალური კავკასიიდან უღელტეხილებით სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ მხარეში, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში ინაცვლებენ. ამ დროს ვრცლად აქ ყორღანული ტიპის სამარხები [Ахундов 2010: 62]. აღსანიშნავია მილის სტეპში ადგილ უჩ-თეფეში[2] შესწავლილი მოზრდილი ყორღანი, რომელიც კონსტრუქციით, ზომებით და სხვ. მაიკოპის ცნობილ ყორღანს უახლოვდება. ერთ-ერთი ყორღანი გაითხარა და ძირითადი სამარხი გაძარცული აღმოჩნდა. ნაპოვნი იყო მხოლოდ კერამიკის ფრაგმენტები და ბრინჯაოს ფირფიტის რამდენიმე ნატეხი. გამთხრელმა იმთავითვე სწორედ განსაზღვრა თიხის ჭურჭლის ხასიათი და მაიკოპის კულტურისთვის დამახასიათებელ კერამიკას დაუკავშირა [Иессен 1965: 153].

როგორც ჩანს, უაჩ-თეფეს ყორღანში ჩრდილო კავკასიიდან გადმონაცვლებული ელიტარული ფენის წარმომადგენელნი დაიკრძალნენ. არ არის ვარაუდს მოკლებული აზრი, რომ ჩრდილოეთიდან გადმოდის გარკვეული ჯგუფი მაიკოპის

2 უჩ-თეფე სამ გორას ნიშნავს. სამივე გორა მოზრდილ ყორღანულ სამარხებს წარმოადგენდა. ანალოგიურ შემთხვევას ვხვდებით ივრისპირეთში, თბილისის მახლობლად სამგორში. სახელწოდება წარმოსდგა აქ მდებარე სამი გორიდან-ყორღანიდან. ერთ-ერთი მადგანი შესწავლილი იყო პროფ. გ. ნიორაძის მიერ.

კულტურის მატარებელი ტომებისა, შესაძლოა უპირატესად მიგრანტები, რომლებიც, ეტყობა, ძირითადად იმ ადგილებს ითვისებენ, სადაც ლეილათეფეს კულტურა იყო გავრცელებული. ამ დროს ეს რეგიონი მტკვარ-არაქსის კულტურის არეალში შედიოდა და ჩანს მათი თანაცხოვრება არც თუ მაინცა და მაინც დაძაბული უნდა ყოფილიყო. ახლად გადმონაცვლებულები აქ ეტყობა საკმაოდ მყარად დასახლდენ, სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა გრანდიოზული სამარხების აგება, რაც საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი უნდა ყოფილიყო.

ამავე ხანებში ყორღანული ტიპის სამარხები ჩნდებიან უფრო დასავლეთით განჯა-ყაზახის, გარდაბნის ველებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყარაიაზის ველზე გამოვლენილი სოიუგ-ბულაგის ყორღანული სამაროვანი. აქ ერთ-ერთ ყორღანში საკმაოდ მდიდარი ინვენტარი აღმოჩნდა, მათ შორის ოქროს და ვერცხლის მძივები. აღინიშნა, რომ ეს ყორღანული სამარხი ლეილათეფეს კულტურის დროინდელი უნდა ყოფილიყო და აქ აღმოჩენილი ძვირფასი ლითონის სამკაული უადრესი საიუველირო ნაწარმია [Ахундов, Махмудова 2008: 32]. მაგრამ თითქოს უფრო სავარაუდოა, რომ ეს ყორღანები უჩ-თეფეს ყორღანის დროინდელი მაიკოპის კულტურის ხანისა უნდა ყოფილიყვნენ და მათი გავრცელება სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ მხარეში ჩრდილოეთიდან მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება [ჯაფარიძე 1998: 167]. ეს პროცესი ალბათ ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში წარიმართა. როგორც ჩანს, ეს მოვლენები აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონს რამდენადმე უფრო გვიან შეეხო და ყორღანული ტიპის სამარხები აქ მარტყოფ-ბედენის ხანაში ვრცელდებიან, ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში. რაც შეეხება კავთისხევის ყორღანს [Makharadze 2007:124] იგი ჩანს სოუგ ბულაგის სამარხების დროინდელი უნდა ყოფილიყო.

როგორც ჩანს, სამხრეთიდან მომდინარე მიგრაციულმა პროცესებმა გარკვეული გავლენა კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობის ენაზეც მოახდინა. მიგრანტების ძირითად მასას ურუკის ხანაში მესოპოტამიიდან გადმონაცვლებული შუმერები შეადგენდნენ. ქართველურის და საერთოდ კავკასიური ენების შუმერულთან ურთიერთობის პრობლემამ კარგახანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება და ამასთან დაკავშირებით არა ერთი მოსაზრება გამოითქვა. სამართლიანად აღინიშნა, რომ შუმერულის დაკავშირების ცდა იყო თითქმის ყველა ენობრივ ოჯახთან, მაგრამ მისი გენეტიკური კავშირი რომელიმე ენასთან დადგენილი არ არის [Дьяконов 1967: 83]. არც შუმერების წარმომავლობის და პირველ ადგილსამყოფელის თაობაზეა ერთიანი აზრი [История Древнего Востока 1979: 94]. ისიც კი ითქვა, რომ შუმერების პირველსაცხოვრისი ჩრდილოეთით, კავკასიის მთიანეთში უნდა ყოფილიყო და აქედან გავრცელდნენ სამხრეთით [გიორგაძე 2002: 168. მუსხელიშვილი 2010: 12]. აღინიშნა აგრეთვე, რომ არსებობს მრავალრიცხოვანი ლექსიკური შეხვედრები ბალყარულ და ყარაჩაულ ენებისა შუმერულთან [Мизиев 1990: 133]. ამან სავსებით სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია [Марковин 1990: 106; Чеченов 1990: 149]. არა ერთი მოსაზრება გამოითქვა კავკასიური ენების წინა აზიის მკვდარ ენებთან დამოკიდებულების შესახებ. განსაკუთრებით ყურადღება მიექცა ქართველური ენების შუმერულთან შენიშნულ შეხვედრებს [Tseretheli 1957: 12; Кикнадзе 1973: 66, შარაშენიძე 1983: 28, რ. გორდეზიანი 2007: 45]. სიახლოვე შეიმჩნევა ამ ენების ლექსიკაში [Fähnrich 1981: 89, 91]. ჩანს ტიპოლოგიური ხასიათის დამთხვევები და სხვ., მაგრამ მთლად ნათელი არ არის, სად უნდა ყოფილიყო მათი საკონტაქტო არეალი. უკანასკნელი ხანების აღმოჩენები კავკასიაში თითქოს ნათელს ჰფენს ამ პრობლემას. სავარაუდოა, რომ ურთიერთობა ხორციელდება ურუკის კავკასიაში მიგრაციის ხანაში. ის რომ შუმერული ლექსიკა არ შეინიშნება ნახურ-დაღესტნურ ენებში ალბათ იმის შედეგი უნდა იყოს, რომ სამხრეთიდან მომდინარე მიგრაციები ნაკლებად შეეხო ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიას [Fähnrich 1981: 91]. ქართველურ ენებში შენიშნული შუმერული ენის ელემენტები ალბათ სამხრეთ კავკასიაში ურუკის მიგრაციის შედეგი უნდა ყოფილიყო.

და ბოლოს, კავკასიის ძველ აღმოსავლურ სამყაროსთან დამოკიდებულების ისტორია შორს სიღრმეში გადადის. კავკასიის მკვიდრ მოსახლეობას გარკვეული ურთიერთობა აკავშირებდა სამხრეთის დაწინაურებულ ხალხებთან, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს კაცობრიობის ისტორიაში. მაგრამ ამ ხალხების ნაწილი ადრევე აღიგავა პირისაგან მიწისა. კავკასიის აბორიგენმა მოსახლეობამ ყველა ავბედით მოვლენებს გაუძლო და დღევანდელობამდე შემოინახა თავი. ეტყობა, კავკასიონის კალთებმა შეიფარა თავისი ძირძველი ხალხები.

O. Japaridze

ON THE INTERRELATION OF THE CAUCASUS WITH THE NEAR EASTERN WORLD

Summary

The question of the relations of the Caucasus with the Ancient Eastern world has claimed the attention of researchers for quite some time now. Recent studies have presented the question of the relationship of the Caucasus with Asia in an absolutely novel way. Interest in the Caucasus appears to have grown especially in the Uruk period. At that time the demand for metal increased appreciably. The expansion of Uruk was basically directed westward – towards Anatolia, especially its north-western part. Here the Chorokhi basin – the Murghuli region – was rich in copper deposits. Individual groups of migrants seem to have penetrated northward – into the Colchian hinterland, intensively developing the deserted caves of the Rioni-Qvirila basin. Here traces of Uruk culture are noticeable in the upper layers.

One group of migrants apparently moved from here to the Kuban area in the north-western Caucasus, where they gained a fairly strong footing on the pre-Maikop period settlement sites. Jointly with the local population they laid the foundation of Maikop culture. Another group of the arriving population appears to have crossed from Western Georgia to Shida (Inner) Kartli, where at this time the Sioni culture flourished. Their traces are seen in the Iori and Alazani interfluve, the Aragvi valley, and Kvemo (Lower) Kartli. Notable in Shida Kartli is the Berikldeebi settlement site, where a temple-type structure came to light in the lower layer, surrounded with an adobe wall.

The influence of Uruk culture extended eastward – to Azerbaijan: the plains of Karayaz, Ganja-Kazakh, Mil and Karabakh, etc. Clayware of Mesopotamian appearance is well represented on the sites brought to light here. The population moving here from the south gained a fairly strong footing in this region. At this time, conditions for life appear to have been more favourable here. A group of sites have been discovered in the Karabakh plain, among which the Leilatepe settlement site stands out. A hitherto unknown Leilatepe culture has been identified mainly on the basis of materials discovered here. This culture was characterized by two groups of pottery: „quality pottery", distinguished for high level of moulding, thin-walled, made on potter's wheel. The second group composed „coarse pottery", crudely moulded by hand. The „quality pottery" of Leilatepe finds common ground with Uruk clayware. The path of movement of the migrants appears to have lain from Anatolia to the Western Transcaucasus, reaching the Kura and Araxes interfluve via Shida and Kvemo Kartli.

Pottery resembling that of Uruk was found also in the North-Eastern Caucasus, at a number of sites of the Caspian Sea littoral and in Derbent area. It was suggested that the path of Near Eastern ethno-cultural influences run from littoral Dagestan to the central and western regions of the North Caucasus. It run from Mesopotamia to Iran, reaching Dagestan via the eastern Caucasus: from here it then run westward. This must have given rise to the Maikop phenomenon. But it is more likely that in the pre-Maikop period Near Eastern influence in the Central and North-Western Caucasus came from Anatolia, via the South Caucasus route.

The coexistence of the migrants moving from the south with the native population of the Kura and Araxes interfluve seems to have been relatively calm. They were here attracted mainly by the copper deposits. Metal production in the Leilatepe age appears to have reached a higher level, the credit for which must probably go to the migrants. it is not quite clear from what period gold occurs in the South Caucasus. It is unknown in the Shomutepe-Shulaveri culture, nor do we come across it in the cultures of subsequent periods. Neither is gold evident in the Kura-Araxes culture. However, at this time gold must have been known, as attested to be the discovery of a seat of gold mining in the Saqdrisi locality, Lower Kartli. It should be noted that close to the gold mines of Saqdrisi, the Dzedzvebi former settlement site, synchronous with the Kura-Araxes culture, came to light, which is believed to have been a hamlet of miners. Yet, it is hard to say anything definite as to where the Saqdrisi gold went, and why gold items do not occur in the Kura-Araxes culture. The cause of this may be linked to the prevalent beliefs and notions and cult.

The population that migrated to the North-Western Caucasus in the pre-Maikop period appears to have got on well with the local inhabitants, and the so-called culture took shape as a result of relatively calm, relaxed life. At this time, contacts with the south gradually seem to have weakened. It seems that the expansion of tribes of the Kura-Araxes culture to the south was hampered by the contacts of the Maikopians with the centers of the Near East. In the age of Maikop culture, especially in its later stage, relations with the north seem to have been more intensive.

In the South Caucasus, the process of development of the society of the Kura-Araxes culture took a different turn.

At this time more egalitarian relations seem to have taken shape. The process of social differentiation is almost absent. The tribes bearing this culture appear to have constituted a rather formidable force, and a large part of the Caucasus comes under their influence, spreading far to the south as well.

The tribes – bearers of Maikop culture – appear to have moved, by the passes of the Central Caucasus, to the interfluve of the Kura and Araxes, in the eastern part of the South Caucasus. At this time, here barrow type burials are in evidence. It has been noted that these burials must be synchronous with the Leilatepe culture. However, it is more likely that the barrow-type burials spread here in the age of Maikop culture – probably in the first half of the 3rd millennium BC.

The migration processes, coming from the south, seem to have found reflection in the language of the host people as well. The Elements of the Sumerian language, noticed frequently in Caucasian languages, must have been the result of this. These coincidences took place in the period of migration of Uruk in the Caucasus. Sumerian vocabulary is not noticeable in the Nakh-Daghestanian languages, which may be indicative of the condition that migrations of the Uruk period had little effect on the North-Eastern Caucasus. It should be presumed that the coincidences with the Indo-European language, noted in Caucasian languages, may have resulted from relations taking place with the north.

ლიტერატურა

აბრამიშვილი რ. 1978: დელისის ნამოსახლარი. – თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბილისი.

გიორგაძე გრ. 2002: უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა. თბილისი.

გობეჯიშვილი გ. 1978: თეთრიწყაროს ნასოფლარი. თბილისი.

გოგაძე ე. 2003: დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიცია. კონტაქტების და წარმომავლობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს პრეისტორიულ კულტურათა ურთიერთობის პროცესში. – კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები, თბილისი, 27-29.

გორდეზიანი რ. 2007: მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, ტ. I. თბილისი.

მახარაძე ზ. 1998: ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კავკასიის არქეოლოგიის ზოგიერთი პრობლემა. – ძიებანი, № 1, 27-33.

მუსხელიშვილი დ. 2010: ქართველთა წარმომავლობა. თბილისი.

მენაბდე მ., კიღურაძე თ. 1981: სიონის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

ნებიერიძე ლ. 1978: დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბილისი.

ნებიერიძე ლ. 1986: დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხური. თბილისი.

ნებიერიძე ლ. 2001: სიონის ნამოსახლარი – აღმოსავლეთ საქართველოს გვიანნეოლითური ძეგლი. – ძიებანი, № 7, 5-13.

ნებიერიძე ლ. 2003: მღვიმე საგვარჯილეს ენეოლითური ხანის ნამოსახლარი. თბილისი.

საქართველოს არქეოლოგია, II, 1992. თბილისი.

ფხაკაძე გ. 1979: ოქუმის გამოქვაბულის ენეოლითური ნაშთები. – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VII, 68-77.

ფხაკაძე გ. 1985: დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურისა და მაიკოპის კულტურის ურთიერთობის საკითხი. – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბილისი, 22-36.

ღამბაშიძე ირ., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ი. 2010: უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ. VI-III ათასწლეულში. თბილისი.

ყიფიანი გ. 1997: ბერიკლდეები, გალავანი და ტაძარი. – სსმმ, XLII-B, 13-57.

შარაშენიძე ჯ. 1983: შუმერები და მათი კულტურა. თბილისი.

ჩიქოვანი გ. 1999: ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი თანდიწყარო I სოფელ ხელთუბანთან (გორის რაიონი). – ძიებანი, № 3, 19-28.

ჩიქოვანი გ. 2010: აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურათა შესწავლის საკითხები. – ძიებანი, № 19, 83-94.

ჯაფარიძე ო. 1976: ქართველი ტომების ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1998: ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ.წ. III ათასწლეულში. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 2006: ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბილისი.

Абибуллаев О. А. 1965: К вопросу о древней металлургии Азербайджана. – МИА, 125, Москва-Ленинград.

Абибуллаев О. А. 1982: Энеолит и бронза на территории Нахичеванской АССР. Баку.

Алиев Н., Нариманов И. 2001: Культура Северного Азербайджана в эпоху позднего энеолита. Баку.

Алиев Т. 2010: Расписная керамика энеолитического поселения Кямильтепе в Мильско-Гарабагской зоне. – АЭФК, Тбилиси, 42-45.

Амирханов Х. А. 1987: Чохское поселение. Москва.

Археология зарубежной Азии, 1986, Москва.

Археология СССР, Энеолит СССР, 1982, Москва.

Ахундов Т. И., Махмудова В. А. 2008: Южный Кавказ в кавказско-переднеазиатских этнокультурных процессах IV тыс. до. н. э. Баку.

Ахундов Т. 2010: Динамика расселения на Южном Кавказе в эпоху неолит-ранняя бронза (центральный и восточный регионы). – АЭФК, Тбилиси, 61-64.

Бжания В. В. 1988: Древние рудники у перевала Аденгь. – Медные рудники Западного Кавказа III-I тыс. до н. э. и их роль в горно-металлургическом производстве древного населения. Сухуми, ?????

Варазашвили В. В. 1992: Раннеземледельческая культура Иори-Алазанского бассейна. Тбилиси.

Глонти Л., Джавахишвили А, Джавахишвили Г., Киквидзе Я., Тушабрамишвили Д. 1968: Некоторые итоги полевых работ 1964 года урбнисской и Квирильской археологических экспедиций. – სსმმ, XXV-BB, 23-33.

Глонти Л. И., Джавахишвили А. И. 1987: Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита-поздней бронзы в Шида Картли – Бериклдееби. – КСИА, 192, 80-86.

Джавахишвили А. И. 1973: Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа. Тбилиси.

Джапаридзе О. М. 1989: На заре этнокультурной истории Кавказа. Тбилиси.

Дьяконов И. М. 1967: Языки древней Передней Азии. Москва.

Иессен А. А. 1935: К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. – Известия ГАИМК, вып. 120, Москва, 7-237.

Иессен А. А. 1963: Кавказ и Древний Восток в IV и III тысечелетие до н. э. – КСИА, 93, 3-14.

Иессен А. А. 1965: Раскопки Большого кургана в урочище Уч-Тепе. – Труды Азербайджанской археологической экспедиции. Материалы и исследования по археологии СССР, 125, Москва-Ленинград, 128-152.

История Древнего Востока, 1979, Москва.

Кикнадзе З. 1973: Шумеро-картвельские языковые параллели. – Вопросы древнеи истории, КБС, 4, Тбилиси, 61-72.

Климов Г. А. 1965: Кавказские языки. Москва.

Кашкай М. А., Селимханов И. Р. 1957: Исследование медно-мышьяковых предметов из раскопок холма Кюльтепе в Нахичеванской АССРю – Доклады АН Азербайджанской ССР, т. 13, № 4, 449-459.

Кореневский С. Н. 1993: Древнейшее оседлое население на Среднем Тереке. Москва.

Кореневский С. Н. 1997: Проблема внутренней типологии майкопской культуры в отражении ее керамического контекста. – კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 72-75.

Кореневский С. Н. 1999: Знаковая керамика Кавказа эпохи энеолита и ранней бронзы. – Древности Северного Кавказа. Москва, 7-23.

Кореневский С. Н. 2003: К вопросу о поселениях ранних земледельцев и скотоводов Предкавказья в свете новых данных. – Кавказ в системе раннеметаллургических культур Евразии. Тбилиси, 78-89.

Кореневский С. Н. 2004: Древнейшие земледельцы и скотоводы Предкавказья. Москва.

Куфтин Б. А. 1949: Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-осетию и Имеретию. Тбилиси.

Кушнарева К. Х., Чубинишвили Т. Н. 1970: Древние культуры Южного Кавказа. Тбилиси.

Ллойд С. 1972: Река-близнецы. Москва.

Ллойд С. 1984: Археология Месопотамии. Москва.

Марковин В. С. 1990: Спорные вопросы в этногенетическом изучении древностей Северного Кавказа, Майкопская культура. – СА, 4, 106-121.

Массон В. М. 1964: Средняя Азия и Древний Восток. Москва-Ленинград.

Меллаарт Дж. 1985: Торговля и торговые пути между Северной Сирией и Анатолией (4000-1500 гг. до н. э.). – Древная Эбла. Москва, 20-33.

Мизиев И. М. 1990: О создателях майкопской культуры. – СА, 4, 131-137.

Минеральные ресурсы ГССР, 1933, Тбилиси.

Муджири Т. П., Гобеджишвили Г. Г., Инанишвили Г. В., Маисурадзе В. М. 1987: Древнейшие сурьмянные рудники Грузии и их радиоактивные датировки. – Кавказ в системе палеометаллических культур Евразии. Материалы I симпозиума "Кавказ и Юго-Восточная Европа в эпоху раннего металла. Тбилиси, 235-236.

Мунчаев Р. М. 1975: Кавказ на заре бронзового века. Москва.

Мунчаев Р. М. 1996: Ближний Восток и Кавказ: проблема культурных связей в VI-III тыс. до н. э., Между Азией и Европой. – Кавказ в IV-I тыс. до н. э., К 100-летию со дня рождения А. А. Иессена. Санкт-Петербург, 35-36.

Мунчаев Р. М. 2007: Урукская культура (Месопотамия) и Кавказ. – АЭФК, Махачкала, 8-9.

Мунчаев Р. М. 1994: Майкопская культура. Ранняя и средняя бронза Кавказа. Москва.

Мунчаев Р. М., Амиров Ш. В. 2009: Взаимосвязи Кавказа и Месопотамии в VI-IV тыс. до. н. э. – Кавказ: Археология и этнология. Материалы Международной конференции. Баку, 41-52.

Мунчаев Р. М., Амиров Ш. Н., Магомедов Р. Г. 2010: Восточный Кавказ и проблемы кавказско-месопотамских связей в IV-III тыс. до. н. э. – Исследования первобытной археологии Евразии. Москва, 335-343.

Мунчаев Р. М., Мерперт Н. Я. 1981: Раннеземледельческие поселения Северной Месопотамии. Москва.

Мунчаев Р. М., Мерперт Н. Я., Амиров Ш. Н. 2010: Открытие погребений урукской культуры в Телль Хазне II. – Исследование первобытной археологии Евразии. Москва, 316-334.

Мусеибли Н. А. 2005: Позднеэнеолитические курганы Акстафинского района. – АЭФК, Баку, 135-138.

Мусеибли Н. А. 2009: Курганы Союгбулага. – Кавказ – археология и этнология, Международная научная конференция, Шамкир, 11-12 сентября 2008 г. Баку, 53-63.

Мусеибли Н. А. 2010: Результаты раскопок поселения Пойлу II Лейлатепинской культуры. – АЭКФ, Тбилиси, 208-211.

Нариманов И. Г. 1987: Культура древнейшего земледельческо–скотоводческого населения Азербайджана. Баку.

Нариманов И. Г. 1991: Об энеолите Азербайджана. – Кавказ в системе палеометаллургичеких культур Евразии. Тбилиси, 28-33.

Нариманов И. Г., Ахундов Т. И., Алиев И. Г. 2007: Лейлатепе. Баку.

Природные ресурсы Грузинской ССР, 1958, т. I, Тбилиси.

Резепкин А. Д. 1991: Проблема генезиса майкопской культуры. – Кавказ в системе палеометаллургических культур Евразии. Тбилиси, 72-77.

Ростунов В. А. 1988: Куро-аракские могильники Северной Осетии. – Погребальный обряд древнего и средневекового населения Северного Кавказа. Орджоникидзе, 21-64.

Соловьев Л. Н. 1958: Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху энеолита и бронзы – стоянки Воронцовской пещеры. – ТАИЯЛИ, XXIX, 3-180.

Столяр А. Д. 2009: Мешоко. Древнейшая крепость Предкавказья. Санкт-Петербург.

Торосян Р. М. 1976: Раннеземледельческое поселение Техута. Ереван.

Трифонов В. А. 1987: Некоторые вопросы переднеазиатских связей майкопской культуры. – КСИА, вып. 192, 18-26.

Фармаковский Б. В. 1914: Архаический период в России. Материалы по археологии России, № 34. Санкт-Петербург.

Формозов А. А. 1965: Каменный век и энеолит Прикубанья. Москва.

Формозов А. А. 1972: Поселения Адыгеи эпохи раннего металла. – Сборник материалов по археологии Адигеи, т. III, Майкоп, 5-29.

Формозов А. А. 1994: О периодизации энеолитических поселений Прикубанья. – РА, 4, 44-53.

Формозов А. А., Черных Е. Н. 1964: Новые поселения майкопской культуры в Прикубанье. – КСИА, 101, 102-110.

Чайлд Г. 1952: У истоков европейской цивилизации. Москва.

Чайлд Г. 1956: Древнейший Восток в свете новых раскопок. Москва.

Чартолани Ш. Г. 1988: Медные горнорудные выработки в Сванетии. – Медные рудники Западного Кавказа III-I тыс. до н.э. и их роль в горно-металлургическом производстве древного население, Сухуми.

Черных Е. Н. 1993: История древнейшей металлургии Восточной Европы. Москва.

Черных Е. Н., Орловская Л. Б. 2007: Радиоуглеродная хронология майкопской археологической общности. – АЭФК. Махачкала.

Чеченов И. М. 1990: К проблеме изучения древней истории и археологии Северного Кавказа. СА, № 4, 144-152.

Brentjes B. 1972: Die Orientalische Welt. Berlin.

Esin U. 2000: Archäometallurgie in der Türkei: Stand der Forschung und die Probleme. – Anatolien Metall. Bochum, 13-16.

Fähnrich H. 1981: Das Sumerisch und die Kartwelsprachen. – Georgica, 4, 89-101.

Hauptmann A., Lutz J., Pernicka E., Yalçin Ü. 1993: Zur Technologie der frühesten Kupferverhüttung in ostlichen Mittelmeerraum. – Between the Rivers and Over the Mountains: Archaeologica Anatolica Alba Palmieri dedicata. Roma, 541-572.

Korfmann M. 1982: Tilkitepe. Die ersten Ansätze prähistorische Forschung in der östlischen Türkei. Tübingen.

Makharadze Z. 2007: Nouvelles donnees sur le Chalcolithique en Georgia Orientale. – B. Lyonnet (ed.), Les Cultures du Caucase (VI-IIIème millénaires av n..è.). Leurs relations avec le Proche-Orient. Paris, 123-132.

Nocera Gian Maria 1998: Die Siedlung der mittelbronzezeit von Arslantepe. Roma.

Tsereteli M. V. 1957: Eine kleine Bemerkung zur Frage der Vorfahren der Georgier. – Revue Kartvelologie, 23. Paris.

Yalçin Ü. 2000: Anfänge der Metallverwendlung in Anatolien. – Anatolien Metall. Bochum, 17-29.

Wagner G. A., Öztunali Ö., 2000: Prehistoric Copper Sources in Turkei. – Anatolien Metall. Bochum, 31-67.

Dshavachischvili, A. 1998: Ausgrabungen in Berikldeebi (Schida Kartli). – Georgica, 21. Konstanz, 7-20.

გიორგი ჯავახიშვილი

უძველესი ხანის ქართული ხელოვნება (კერამიკული დეკორი, მცირე პლასტიკა, მშენებლობა)

უძველესი დროიდან მოკიდებული, ადამიანის სულიერი სამყაროს ესთეტიკური გრძნობის გამოხატვის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენდა მცირე ხელოვნება, რომელიც მისი ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარე იყო. მცირე ხელოვნება ხელოსნობის წიაღში ჩაისახა და განვითარდა, როგორც მისი მხატვრული გამოვლინება, ამიტომ, განსაკუთრებით არქაულ ეპოქაში, ხშირად ძნელია მკვეთრი ზღვარის გავლება მხატვრულ ხელოსნობასა და მცირე ხელოვნებას შორის.

დიდი ადგილი ადრეული ხანების მცირე ხელოვნებაში უჭირავს კერამიკას. გაჩენისთანავე, ე.ი. ნეოლითის ეპოქიდან, ხელოსნობის ეს უაღრესად გამოყენებითი დარგი საზოგადოების სულიერი და ესთეტიკური გრძნობების გამოხატვის ერთ-ერთ ძირითად ასპარეზად გადაიქცევა, რაც ვლინდება როგორც კერამიკული ჭურჭლის თავისებურ ფორმაში, ისე მის დეკორში.

საყურადღებოა, რომ საქართველოში ამჟამად ცნობილი უადრესი ჭურჭელი, რომელიც მოპოვებულია ოდიშისა და დასავლეთ საქართველოს სხვა ნეოლითურ ძეგლებზე, ტექნოლოგიური პრიმიტიულობის მიუხედავად, უკვე შემკულია მარტივი დაჭდეული სახეებით. ისინი წარმოადგენს ხელით ნაძერწ, ბრტყელძირიან პირისაკენ ოდნავ გაფართოებულ ქილებს, რომლებსაც დაბრტყელებულ ნაპირთან ზოგჯერ პატარა შვერილები აქვს. ორნამენტი დატანილია ჯერ კიდევ სველ თიხაზე და შედგენილია ცერად დასმული მოკლე პარალელური ჭდეების ზოლებისაგან, რომელთა კომბინაცია ზოგან იძლევა თევზიფხურ სახეს. ასეთი სახე ხშირად ამკობს ჭურჭლის დაბრტყელებულ ნაპირს და შვერილის ირგვლივ, სარტყელივით უვლის ნაპირს, საიდანაც კორპუსზე ეშვება თანაბარი მანძილით დაშორებული შევრონები – თევზიფხურით შედგენილი არშია. სიმარტივის მიუხედავად, ორნამენტს მოწესრიგებული სისტემის ხასიათი გააჩნია. ის შთაგონებული უნდა იყოს კალათის წნულით, რომელიც, როგორც ცნობილია, ზოგან გამოიყენებოდა პრიმიტიული თიხის ჭურჭლის კარკასად; აღსანიშნავია, რომ აქაც ჭურჭლის ძირზე შერჩენილია წრიულად დაწნული ჭილოფის ანაბეჭდი, რაც მოწმობს ძერწვის დროს ჭილოფის საფენის გამოყენებას [ჯაფარიძე, ჯავახიშვილი 1971: 85-86]. შედარებით განვითარებულია შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის კერამიკა, თუმცა ადრეულ პერიოდში – შულავერის გორაზე ის ჯერ კიდევ მეტისმეტად ტლანქი და პრიმიტიულია. ყურადღებას იქცევს ჭურჭლის ფორმის მეტი დიფერენცირება – ქუსლის, კორპუსისა და პირის მეტ-ნაკლები გამოყოფა. დაჭდეული გეომეტრიული სახე კვლავ მარტივია – თევზიფხური და y-სებური შევრონები, ტალღოვანი ვერტიკალური ზოლები. დამახასიათებელია დახვეწილი ელემენტები – მსხვილი, კონუსური კოპები, სიმეტრიულად, ჯგუფებად განაწილებული ჭურჭლის ნაპირთან, რომლებსაც თავდაპირველად სახელურის ფუნქცია უნდა ჰქონოდა. თანდათანობით კოპები მცირდება, ბრტყელდება, ნახევარსფერული ღილის ან ვერტიკალური მარცვლის სახეს ღებულობს, მათთან ერთად ჭურჭლის ნაპირთან ჩნდება ტალღისებურად, რკალისებურად ან წრიულად შეკრული რელიეფური ზოლის დანაძერწებიც, რომლებიც წვრილი კოპების გროვასაც მოიცავენ ხოლმე. მოგვიანო საფეხურზე, იმირისა და არუხლოს გორებზე გვხვდება ტლანქად ნაძერწი ქილების პირის სამი ნატეხი, ზედ დაძერწილი ანთროპომორფული ფიგურებით. აღსანიშნავია, რომ თუმცა ამ ეტაპზე არქაული იერის, ტლანქი კერამიკის გვერდით უკვე არსებობს ტექნოლოგიურად ბევრად უფრო სრულყოფილი, წმინდა თიხის, მოსწორებულ-გაპრიალებულ ზედაპირიანი ჭურჭელი, დაჭდეული და რელიეფური დეკორი, კერძოდ, ანთროპომორფული გამოსახულებები, მხოლოდ ძველი ტიპის ნაწარმზე გვხვდება, რაც, ვფიქრობთ, ერთგვარი ტრადიციის არსებობის მაჩვენებელია.

იმირის გორაზე ნაპოვნი ფრაგმენტი გამოხატავს ხელაპყრობილ ადამიანს. ის გადმოცემულია სქემატურად, წელზე ფართო, რელიეფური სარტყელი უკეთია; თავი მოგრძო დანაძერწს წარმოადგენს. ნაკვთები არ არის აღნიშნული (სურ. 1) [ჯავახიშვილი 1984: 25-26].

არუხლოს გორის ერთ ფრაგმენტზეც ვედრების პოზაში ადამიანის ფიგურაა გამოსახული. გამოსახულება ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ გადმოცემულია ყველა აუცილებელი ნიშანი და აუცილებელი მოძრაობა, რაც სიმბოლურად გამოხატავს მის ღრმა შინაარსს ბუნების ნაყოფიერებას (სურ. 2).

სურ. 1

სურ. 2

მართებულად აღნიშნავენ, რომ კერამიკის აბსტრაქტული სამკაულიც (კოპები, ღილები და ტალღოვანი ხაზები და სხვ.) სიმბოლური მნიშვნელობისაა და უკავშირდება ბუნებაზე და მის ნაყოფიერებაზე არსებულ პრიმიტიულ წარმოდგენებს, რომლებიც არქაული ხელოვნების, კერძოდ, კერამიკული ხელოვნების უმთავრეს თემად გვევლინება. საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ ზემოგანხილული ანთროპომორფული ფიგურები არის ადამიანის გამოსახვის პირველი მაგალითები საქართველოში. პირველი, ოღონდ არა ერთადერთი, რადგან ამავე ხანაში უკვე ხსენებულ ნასოფლარებზე – შულავერის გორაზე, იმირის გორაზე, ხრამის დიდ გორაზე და არუხლო I-ზე ნაპოვნია თიხის მცირე ზომის ანთროპომორფული ფიგურების მთელი სერია, რომლებიც ნამდვილ მრგვალ სკულპტურას წარმოადგენს.

ძერწვის მანერისა და ექსპრესიის ძალის შესახებ კარგ წარმოდგენას იძლევა ერთი ცალკე ნაპოვნი ფრაგმენტი – ფიგურის თავი ხრამის დიდი გორიდან. ის გამოირჩევა სიმეტრიულობით, რბილი, მაგრამ მკაფიო მოდელირებით. თავს ზოგადად კონუსური მოყვანილობა აქვს, მსუბუქადაა გამოყვანილი ყელი და კისერი.

ზეაწეული სახე გადმოცემულია ორი სიბრტყით, რომელზეც ამოღებულია ოდესღაც ინკრუსტირებული დიდი თვალბუდეები. სახის სიბრტყეებს ზემოდან უვლის ღრმა ჭდეებით გაკეთებული წარბების ორი რკალი და დაბალი შუბლი; ცხვირს გამოჰყოფს პირის აღმნიშვნელი პატარა ფოსო. კეფა მთავრდება რბილად მოდელირებული კონუსით – თავსაბურავით. წარბებითა და ყბის ნაპირებით შემოფარგლული სახის სიბრტყეები დაფარულია თეთრი საღებავით: მარცხენა სიბრტყეზე, თვალის ირგვლივ და ყელსა და ნიკაპზე დატანილია შავი საღებავის მრავალი წერტილი, რაც, ალბათ, გამოხატავს საკრალურ ტატუირებას. ზეაწეული თავი, გადაჭარბებით დიდი თვალები, ძლიერი წარბები და ყბები, ფერადოვან კონტრასტთან ერთად, იშვიათ ექსპრესიულობას ანიჭებს ამ ქანდაკებას, რომლის ზომა 2,5 სმ არ აღემატება (სურ. 3).

სურ. 3

კიდევ უფრო ოსტატურადაა მოდელირებული ერთ-ერთი თავმოტეხილი ფიგურა, განსაკუთრებით თავისუფლადაა გამოძერწილი მისი ტორსი. თავისებურად გამოიყურება ამავე ტიპის ერთი ფიგურა ხრამის დიდი გორიდან, სამწუხაროდ, ასევე თავმოტეხილი. მას აქვს უკან გადახრილი, მხარბეჭიანი ტორსი და ბიუსტის ნაცვლად გულმკერდზე, გვერდებზე, მუცელზე და კალთაზე დაძერწილი აქვს დაბრტყელებული „ღვედები", რომლებიც ან მკლავებს, ან რაიმე ატრიბუტს უნდა გამოხატავდეს, რისი გარკვევაც დაზიანების გამო თითქმის შეუძლებელია; უეჭველია, რომ აქაც ნატურის გადმოცემაა ნაცადი. შესაძლოა, იყოს მამაკაცი (სურ. 4).

სურ. 4

შედარებით უკეთ არის დაცული შულავერის ცნობილი ფიგურა. მას არ გააჩნია არც თავი, არც მკლავები და არც სხეულის სხვა დეტალები. ფართოდ გაშლილ და გამართულ ფეხებზე ჰორიზონტალურად ჩაჭდეულია მოკლე პარალელური ღარები, ტორსის წინა მხარეზე კი ასეთივე ჭდეებით ვერტიკალურად გამოხატულია თევზიფხური სახე. მიჩნეულია, რომ, ის სიმბოლურად გამოხატავს ნაყოფიერებას – ქალის საშოდან ამოზრდილ თავთავს თუ სიცოცხლის ხეს (სურ. 5) [Кушнарёва, Чубинашвили 1970: 62-63].

ამრიგად, როგორც შინაარსის, ისე ფორმის განსახიერება უაღრესად ლაკონიური და აბსტრაგირებულია. ნაყოფიერების გამომხატველი ე.წ. დიდი დედის ფიგურების დამზადებას მეტად ძველი ტრადიციები აქვს, მაგრამ განსაკუთრებული გავრცელება მათ ჰპოვეს მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვისა და სამიწათმოქმედო კულტურების აყვავების ხანაში – ძვ.წ. VI-IV ათასწლეულებში. მათ მთელი სერიები ცნობილია მცირე აზიასა და მესოპოტამიაში, სადაც მოიპოვება მათი არაერთი ტიპი, ნატურალისტურით დაწყებული და დამთავრებული უკიდურესად სქემატურით. შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის ანთროპომორფული მცირე პლასტიკა ბუნებრივად შედის წინა აზიურ წრეში; ის მეტნაკლებად უკავშირდება ჩრდილო მესოპოტამიურ – ჩრდილო ირანულ ძეგლებს, ნაკლებად – მცირე აზიურ და სრულიად განსხვავდება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის არქაული კულტურების ანალოგიური ძეგლებისაგან.

სურ. 5

როგორც ცნობილია, ადრე სამიწათმოქმედო ნამოსახლარები დაფიქსირებულია მტკვრის და არაქსის აუზებში, რადგან სწორედ აქ იყო შესაფერისი ბუნებრივი პირობები მიწათმოქმედებისათვის. საქართველოში ისინი ცნობილია ქვემო ქართლის ვაკეზე, მდ. ხრამის მარჯვენა სანაპირო ველზე. შომუთეფე-შულავერის კულტურის ნასოფლარები წარმოადგენენ ხელოვნურად, ადამიანის ერთ ადგილას ხანგრძლივად ცხოვრების შედეგად წარმოქმნილ ბორცვებს, ანუ გორებს, როგორც მათ ჩვეულებრივ უწოდებენ. ამ ტიპის ნამოსახლარები ფართოდაა გავრცელებული წინა აღმოსავლეთში, სადა მათ იცნობენ თეფეს, თელის, ჰუიუკის სახელით აზერბაიჯანში, ხოლო სომხეთში კი, შესაბამისად, თეფესა და ბლურის სახელწოდებით. მათი ზომები განსხვავებულია. არის მოზრდილი ნასოფლარები, რომლის ფართობი 4 ჰას აღწევს, როგორც, მაგალითად, ხრამის დიდი გორა სოფ. თაქალოს მახლობლად; არის მცირე – 1 ჰა-მდე, როგორც იმირის გორა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ოთხი არქაული ნასოფლარი: არუხლოს გორა, შულავერის გორა, იმირის გორა და ხრამის დიდი გორა [Джавахишвили 1973: 14-15, 37-39, 74-75].

საცხოვრებელი კომპლექსი შეიძლება იყოს მარტივი – თითო საცხოვრებელი სახლითა და სამეურნეო შენობით და რთული – რამდენიმე

სახლითა და სამეურნეო შენობით. შენობის დიამეტრიც თანდათანობით მცირდება და საბოლოოდ გუმბათურად იკვრება. შენობა მყარად ჯდება მიწაში. სარტყელი მიწის პირზე დაბლა მოდის, ამიტომ შესასვლელი კარი იატაკიდან 50-60 სმ მაღლაა გაჭრილი და ადრეულ ხანაში (შულავერის გორაზე) ხვრელს მოგვაგონებს. გუმბათში დატოვებული უნდა ყოფილიყო ხვრელი. მოგვიანო ხანაში (ხრამის დიდ გორაზე) კარს ნორმალური, ვერტიკალური ღიობის სახე აქვს.

სურ. 6

ნაგებობათა ზომები არასტანდარტულია, მაგრამ საცხოვრებლები ბევრად დიდია, სამეურნეოსთან შედარებით. ეს შენობები გუმბათურ სტრუქტურებს წარმოადგენენ. გუმბათზე გადასვლა – კედლის სიმრუდე განსაკუთრებით შესამჩნევია ადრეულ ძეგლებზე (შულავერის გორა), სადაც ის კედლის ძირიდან იწყება. მოგვიანო ძეგლებზე (ხრამის დიდი გორა) ზოგიერთი შენობის ტანი თითქმის ერთიანად ცილინდრულია, რაც შემთხვევით არ უნდა იყოს გამოწვეული. ზემოხსენებული თავისებურებანი კარგად ჩანს შომუთეფე-შულავერის კულტურის ყველა ნასოფლარზე, რითაც შეიძლება გარკვეული ტრადიციების გამოხატულებად მივიჩნიოთ. ამ ტრადიციის ძირითადი ნიშნებია ალიზის გამოყენება მშენებლობაში, წრიული გუმბათური სტრუქტურები, მჭიდრო განაშენიანება და საცხოვრებელი კომპლექსებისა და თვით დასახლების შეკრულ-დახშული დაგეგმარება. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: წრიულ-გუმბათური მოყვანილობის გამო შენობებს არ გააჩნია არც კონსტრუქციულად და არც სხვა რაიმე ნიშნით დანაწევრებული ელემენტები – არა აქვს ზურგი, გვერდები, ფასადი, ტანი, გადახურვა – ეს არის ამორფული მასა, რომლის ერთადერთ აქცენტს წარმოადგენს კარის ღიობი; ეს უკანასკნელიც ყოველთვის გამოდის სამეურნეო ეზოში, რომელიც ასევე შემოზღუდული, შეკრულია საკმაოდ მაღალი, ყრუ კედლით. თავისთავად, კედლით შემოფარგლული საცხოვრებელი კომპლექსები ერთიმეორეზეა მიკრული და ერთიანად ჰკრავს ცენტრალურ მოედანს. მთელი სოფელი ერთ დიდ, შეკრულ კომპლექსად გვევლინება, რომელიც შედგება ასეთივე აგებულების მცირე კომპლექსისაგან (სურ. 6).[1]

ადრებრინჯაოს მტკვარ-არაქსის ნამოსახლები აღმოჩენილია შიდა ქართლში – ურბნისში, ხიზანაანთგორაზე. ისინი ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ მაინც შეიმჩნევა წრიული კედლების მკრთალი კვალი და წრიული სტაციონარული კერები, რომლებიც შენობათა ცენტრში უნდა ყოფილიყო გამართული; რით იყო აგებული სახლები – ალიზით, თუ ლასტით – ძნელი სათქმელია. კერებისა და დედაბოძის ორმოების მიხედვით დგინდება არა მარტო ის, რომ შენობები სარ-ლასტის არმირებული თიხით შენდებოდა, არამედ მათი წრიული გეგმითაც. საყურადღებოა, რომ ხიზანაანთგორაზე ერთ-ერთ შენობაში აღმოჩნდა კერამიკული ძირბრტყელი ჭურჭელი, ცალ გვერდში გაჭრილი სწორკუთხა ღიობით – სანათურით, რომელიც, ეჭვგარეშეა, წარმოადგენს წრიულ-გუმბათური შენობის მოდელს.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ აქ ვხედავთ წრიული გეგმის თავისებური გადამუშავებისა და ინტერიერის მოწყობის ცდას, რომელიც მდგომარეობს ძველი ტრადიციის და ახალი ფორმების შეთავსებაში. ეს არის ნაგებობები, რომლებიც ადრებრინჯაოს ხანაში სამხრეთ-კავკასიის გარკვეულ რაიონებში, კერძოდ, სამცხეში და შიდა ქართლში, გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს და შენდება, როგორც არმირებული თიხის, ისე ალიზისა და ქვისაგან. ეს არის ტიპი, რომელსაც ქართლის დარბაზული საცხოვრებლების ანალოგიით დარბაზი, ხოლო მცირეაზიული არქაული საცხოვრებლების ანალოგიით მეგარონი შეიძლება ვუწოდოთ. კლასიკური სტანდარტიზებული სახით ეს ტიპი გვხვდება ხიზანაანთგორისა და ქვაცხელების სამშენებლო ჰორიზონტებში [ჯაფარიძე, ჯავახიშვილი 1971: 77]

იმ დროს, როცა სამხრეთ-კავკასიაში მიმდინარეობდა ძველი არქიტექტურული ტრადიციების დაძლევა და ახლის დამკვიდრების პრინ-

1 ძვ. წ. V-IV ათასწლეულების უნიკალური ნამოსახლარების რეკონსტრუქცია ეკუთვნის ა. ჯავახიშვილს (მხატვარი ვ. ჩაგუნავა).

ციპი, რაც პირველ რიგში გამოიხატა წრიულ გუმბათური შენობის სწორკუთხა შენობით შეცვლაში, წინა აღმოსავლეთის მეზობელ მხარეში, სადაც დროებით გავრცელდა მტკვარ-არაქსის კულტურა, საწინააღმდეგო მოვლენები ხდება. ასე მაგალითად, ურმიისპირეთში ძვ.წ. III ათასწლეულში, სადაც, როგორც მანამდე, ისე შემდგომშიც, გაბატონებული იყო სწორკუთხა შენობების ტიპი, დროებით შეიჭრა წრიულ-გუმბათური არქიტექტურა, რომელიც მკაფიოდაა გამოხატული იანიკ-თეფეს ნამოსახლარზე. ამ ტიპის ნამოსახლარები ბევრად უფრო სამხრეთით, პალესტინამდე აღწევს მტკვარ-არაქსის ტიპის კერამიკასთან ერთად.

არქეოლოგიური მასალები, კერძოდ, მშენებლობისა და არქიტექტურის შესახებ მასალები მოწმობს, რომ წინა აღმოსავლეთისა და კავკასიის კავშირი კიდევ უფრო რთულ სახეს იღებს ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში, ვიდრე მანამდე. სამხრეთ კავკასიაში IV ათასწლეულის ბოლოს და III ათასწლეულის დამდეგს, ე.ი. მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანაში აღინიშნება პირველი ძვრა, რაც არქიტექტურაში გამოიხატა ახალი კონსტრუქციულ-არქიტექტურული ელემენტების გამოჩენაში – ბანიან-ერდოიანი გადახურვა, დამყარებული თავისუფლად მდგარ სვეტზე, არმირებული თიხალესილი კედელი, სწორკუთხა ნაგებობა „პორტიკით“ ფასადზე. ეს სიახლე მთლიანად განხორციელდა მტკვრის აუზში, მაშინ, როცა არაქსის აუზში მან გამოიწვია შერეული არქიტექტურული ტიპის – წრიულგუმბათური-სწორკუთხა შენობის წარმოშობა.

მოკლედ, ასეთია ვითარება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. რა ხდება ამავე ხანაში დასავლეთ საქართველოში, ამის შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით. კოლხეთის დაბლობის მრავალრიცხოვანი სამოსახლო ბორცვები ადრებრინჯაოს მიწურულის, ძირითადად კი შუა ბრინჯაოს და გვიანი ბრინჯაოს ხანისა და მომდევნო პერიოდის სამშენებლო მასალად ხის ფართოდ გამოყენების ტრადიციაა, რომლის საწყისები შავიზღვისპირეთის ზემოთ უკვე ნახსენებ ნეოლითურ ნამოსახლარზეა საძებნელი.

G. Javakhishvili

ANCIENT GEORGIAN ART CERAMIC DECOR, MINOR PLASTIC ART, CONSTRUCTION

Summary

Since ancient time, minor art has been one of the spheres of expressing the aesthetic feeling of man's spiritual world, being a significant part of his everyday life and activity. Pottery held a major place in early period minor art.

Besides coarse pottery, there already existed technologically much more refined, pure clay pottery, with smoothed and polished surface, notched and relief decor, in particular, anthropomorphic representations occur only on ancient clayware, which must be indicative of a certain tradition.

A fragment found on Imiris Gora shows a man with upraised hands. His head is a longish application, with no features indicated. In one fragment of Arukhlos Gora, too, man's figure in the posture of supplication is rendered. All the necessary features and movements express its semantics – fertility of nature.

The Shulaveri figure is in a relatively better state of preservation. It has neither the head, nor arms, or any other body details. It symbolically expresses fertility – the tree of life.

Early Bronze Age Kura-Araxes settlement sites have been discovered in Urbnisi and Khizanaant Gora, Shida Kartli. They are badly damaged, yet a slight trace of circular walls is still noticeable and circular fixed-site hearths, which must have been arranged in the centre of buildings.

Old architectural traditions were being overcome in the South Caucasus, and a new one implemented, expressed in the first place by the replacement of domed building with a rectangular one.

The numerous settlement hills of Kolkheti lowland evince the tradition of wide use of timber as construction material towards the end of the Early Bronze Age, mainly in the Middle Bronze Age. Its origin should be sought in the Neolithic sites of the Black Sea area.

ლიტერატურა

ჯაფარიძე ო., ჯავახიშვილი ალ. 1971: უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე. თბილისი.

ჯავახიშვილი გ. 1984: ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში. თბილისი.

Кушнарёва К. Х., Чубинашвили Г. Н. 1970: Древние культуры Южного Кавказа, Ленинград.

Джавахишвили А. 1973: Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тыс. до н.э. Тбилиси,

სურათების აღწერილობა

სურ. 1 – იმირის გორა

სურ. 2 – არუხლო

სურ. 3 – ხრამის დიდი გორა

სურ. 4 – ხრამის დიდი გორა

სურ. 5 – შულავერი

სურ. 6 – ძვ.წ. V-IV ათასწლეულების ნამოსახლარის რეკონსტრუქცია (ა. ჯავახიშვილი).

DESCRIPTION OF FIGURES

Fig. 1 – Imiris Gora

Fig. 2 – Arukhlo

Fig. 3 – Khramis Didi Gora

Fig. 4 – Khramis Didi Gora

Fig. 5 – Shulaveri

Fig. 6 – Reconstruction of the settlement of the 5th-4th millennia B.C. (A. Javakhishvili)

მედეა მენაბდე

რამდენიმე განმარტება სიონის ნამოსახლარის თარიღის შესახებ

საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექციის მაცნეში (№2, 2010, გვ. 3-12) დაიბეჭდა ლ. ნებიერიძის სტატია „სიონის ნამოსახლარი აღმოსავლეთ საქართველოს გვიანნეოლითური ძეგლი“, რომელიც წარმოადგენს ინგლისურ ვარიანტს ამავე ავტორის მიერ 2001 წელს ამავე სათაურით გამოქვეყნებული სტატიისა [ნებიერიძე 2001], მცირეოდენი დამატებებით. აღნიშნულ სტატიებში ლ. ნებიერიძე შეეცადა გადაეთარიღებინა თ. კიღურაძის მიერ შესწავლილი და მრავალგზის გამოქვეყნებული ადრესამიწათმოქმედო პერიოდის ძეგლი – სიონის ნამოსახლარი.[1]

ამ ფაქტში, თითქოს, არაფერი განსაკუთრებული არ არის. არქეოლოგიურ მეცნიერებაში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ახალი აღმოჩენებისა და საკვლევი საკითხის უფრო ღრმად შესწავლის შედეგად საჭირო ხდება ადრე მიღებული თარიღის შეცვლა. სამწუხაროდ, ამჯერად საქმე ძეგლის მეცნიერულად დასაბუთებულ გადათარიღებასთან არ გვაქვს. უფრო მეტიც, აღნიშნულ სტატიებში ავტორი მთელ თავის პოლემიკას აგებს გამოგონილ ცილისწამებაზე, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ. უნდა ვაღიარო, რომ ეს „ბრალდებები“ იმდენად აბსურდულია, შესაძლოა პასუხის გაცემასაც არ იმსახურებდა.

ცნობილია, პერიოდიზაციისა და ქრონოლოგიის საკითხი ყოველი არქეოლოგიური კულტურის შესწავლის უპირველესი და უმთავრესი ამოცანაა. თ. კიღურაძემ ეს რთული ამოცანა 1976 წელს გამოცემული ფუნდამენტალური ნაშრომით გადაჭრა [კიღურაძე 1976]. ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ, შულავერის გორის, იმირის გორისა და ხრამის დიდი გორის მყარი სტრატიგრაფიის შედეგად გამოვლენილმა განვითარების ხაზმა არქიტექტურაში, ძვლის, რქისა თუ ქვის ნაწარმში, განსაკუთრებით კერამიკის ტექნოლოგიაში, ფორმებსა თუ ორნამენტაციაში, საფუძველი შექმნა აღნიშნული ძეგლების ქრონოლოგიური ურთიერთობის სქემის დასადგენად. თ. კიღურაძემ შულავერი-შომუთეფეს კულტურაში განვითარების ხუთი საფეხური დაადგინა [კიღურაძე 1976: 108,109]. ამავე ნაშრომში გამოყო მან „შულავერ-შომუთეფეს კულტურის“ V საფეხურზე უფრო მოგვიანო ძეგლების ჯგუფი, რომელთა უმეტესობა არ ეკუთვნის შულავერი-შომუთეფეს კულტურას (და არც ერთმანეთთან აქვთ მყარი კულტურული ურთიერთობა), მაგრამ ერთიანდება ქრონოლოგიური პრინციპით, [კიღურაძე 1976: 131-135]. ზოგადად, ეს ძეგლები დათარიღებულია ძვ.წ. V ათასწლეულის ბოლოთი და IV ათასწლეულის პირველი ნახევრით. ამავე ქრონოლოგიურ ჯგუფს მიაკუთვნა მან სიონის ნამოსახლარიც (კალიბრირებული, შესწორებული რადიოკარბონული თარიღების გათვალისწინებით ამ ძეგლების ასაკი მთლიანად ძვ.წ. V ათასწლეულში გადადის) [მენაბდე, კიღურაძე 1981: 28; Kiguradze, Sagona 2003].

სიონის ნამოსახლარზე მუშაობის პროცესში გამთხრელებისათვის ნათელი გახდა, რომ სრულიად ახალ, უცნობ და თავისებურ ძეგლთან გვქონდა საქმე და რომ „სიონის ნასოფლარის სახით საქმე გვქონდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო ხანის აქამდე უცნობ ეტაპთან და, შესაძლოა, კულტურასთანაც კი“ [მენაბდე კიღურაძე, 1977: 33; მენაბდე, კიღურაძე, 1981: 26]. და, მიუხედავად იმისა, რომ სიონის მასალებს შულავერის კულტურის წრის ძეგლებთან გარკვეული შეხვედრის წერტილები ახასიათებს, იმდენად საგრძნობია განსხვავება-

1 2001 წელს გამოქვეყნებული სტატიის წაკითხვა თ.კიღურაძემ მოასწრო და გაკვირვებული დარჩა სტატიის „არაადეკვატური ტონით.“ მისთვის გაუგებარი იყო, „რატომ და ვისთვის ვერ დაიკავა სიონმა თავისი კუთვნილი ქრონოლოგიური ადგილი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებს შორის“. თუმცა სინამდვილე სრულიად საწინააღმდეგოზე მეტყველებს. გაუგებარი იყო ისიც, რომ ლ. ნებიერიძის სტატიაში ძეგლის და მასზე მოპოვებული მასალის აღწერა მიმდინარეობს განუსაზღვრელი ფორმით, თუმცა ყოველი აბზაცის ბოლოს თ. კიღურაძის 1981 წელს გამოქვეყნებული წიგნია მითითებული. მაგრამ თამაზი მაშინ მძიმედ იყო ავად და პასუხის გაცემა ვეღარ მოხერხდა. წინამდებარე სტატია, ძირითადად, თ. კიღურაძის შრომების კომპილაციას წარმოადგენს.

ნი მათ შორის, რომ სიონის ჩათვლა შულავერი-შომუთეფეს კულტურის ლოკალურ ვარიანტად შეუძლებელი იყო [მენაბდე, კიღურაძე 1981: 27-28]. ვფიქრობ, აქ გასაგებად არის გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ სიონის კულტურა სხვა, განსხვავებული კულტურაა. მაშ რას ნიშნავს ლ. ნებიერიძის „ვარაუდი აღმოსავლეთ საქართველოში შულავერის კულტურისაგან განსხვავებული ნეოლითური კულტურის არსებობის“ შესახებ?

ასევე გაუგებარია ლ. ნებიერიძის მსჯელობა იმის შესახებ, თითქოს სიონის ნამოსახლარის სახით „ჩვენს ხელთაა აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი, მანამდე უცნობი, მეტად თავისებური, ჯერჯერობით ყველაზე ადრეული კერამიკული ძეგლი“. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ სიონი „ყველაზე ადრეული კერამიკული ძეგლია“ აღმოსავლეთ საქართველოში, მაშინ კულტურულად და ქრონოლოგიურად რა მიმართებაშია ის შულავერი-შომუთეფეს კულტურასთან? ალბათ, პასუხის გაცემა ამ კითხვაზეც საჭირო იყო. მით უმეტეს, რომ თ. კიღურაძეს არაერთ ნაშრომში აქვს ჩამოყალიბებული და მყარად დასაბუთებული თავისი კონცეფცია ამ საკითხების ირგვლივ [კიღურაძე 1998; Менабде, Кигурадзе 2000; მენაბდე, კიღურაძე 2001; Kiguradze 2001 და სხვ.]. განსხვავებული აზრის დასამტკიცებლად, ვფიქრობ, შესაბამისი კვლევის ჩატარება და დასაბუთება იყო საჭირო.

სიონის არქეოლოგიური მონაპოვრის გარკვეული ნაწილი აგრძელებს შულავერი-შომუთეფეს კულტურის ტრადიციებს, ან, შესაძლოა, თანაარსებობს კიდეც ამ კულტურის განვითარების ბოლო ეტაპთან. ზოგიერთი კომპონენტებით იგი გარეგნულ მსგავსებას პოულობს დასავლეთ საქართველოს ბარის ნეოლითში გავრცელებულ მასალასთან, კერძოდ, ჭურჭლის პირების შემკობის ზოგიერთ წესში. სხვა მხრივ რაიმე არსებითი მსგავსება მათ შორის არ შეინიშნება. განსხვავებანი კი საგრძნობია, როგორც საცხოვრებლის ტიპში, ისე ქვის ინდუსტრიაში. სიონის მასალები ზოგად ანალოგიებს პოულობს წოფის კომპლექსთანაც. გარკვეული კერამიკული ფორმების მსგავსებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ სამელე-კლდესა და სამერცხლე კლდეში, მაგრამ საერთო ნიშნები მეტად ზოგადია. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე სიონის ნამოსახლარი გამოვყავით ცალკე კულტურად [მენაბდე, კიღურაძე 1981: 27-28].

აღსანიშნავია, რომ სიონის ნამოსახლარის ნივთიერ კულტურას შეხების წერტილები აქვს თრიალეთის ადრეულ მასალებთან და ბოლო წლებში აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში (მაგ. კახეთში) გამოვლენილ არქეოლოგიურ კომპლექსებთან. ამასთანავე, სიონის მასალებში გვხვდება ერთეული ფრაგმენტები, რომლებიც დამზადების ტექნოლოგიის გარკვეული ნიშნებით მეტად ემსგავსება მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკას და „ეს მსგავსება იმდენად დიდია, რომ მტკვარ-არაქსის საწყისები შეიძლება სიონის ტიპის ძეგლებშიც კი იყოს საძებარი“ [მენაბდე, კიღურაძე 1981: 27-32].

სიონის ნამოსახლარზე მუშაობის შედეგად თ. კიღურაძე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სიონის ადრესამიწათმოქედო ნამოსახლარის სახით „საქმე გვაქვს მეტად საინტერესო, შეიძლება ითქვას, უნიკალურ ძეგლთან, რომლის აღმოჩენამაც არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი თუ პრობლემა დასვა კავკასიის არქეოლოგიის წინაშე, რასაც პასუხი სიონის ტიპის ახალი ძეგლების აღმოჩენამ და შესწავლამ უნდა გასცეს“ [მენაბდე, კიღურაძე 1981: 33].

როგორც ვხედავთ, თ. კიღურაძეს მიაჩნდა, რომ სიონის მსგავსი ახალი ძეგლების აღმოჩენა და შესწავლა კავკასიის არქეოლოგიის წინაშე დასმულ არაერთ პრობლემას გასცემდა პასუხს. რა თქმა უნდა, აქ იგი გულისხმობდა პრობლემური საკითხების გადაჭრას ღრმა მეცნიერული ანალიზისა და პარალელური ძეგლებისა თუ საჭირო ლიტერატურის გათვალისწინებით.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ სიონის ჯგუფის ძეგლების შესახებ თ. კიღურაძის მოსაზრებებს ბევრი თანამედროვე კვლევაც ამყარებს. სიონის ტიპის კერამიკის არსებობა დადასტურებულია აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მრავალ ძეგლზე, რომლებიც მდინარეების თერგის, მტკვარისა და არაქსის აუზებში მდებარეობს; და ასევე ანატოლიასა და ირანშიც. სიონის ტიპის ფრაგმენტები შეგროვებული იქნა აღმოსავლეთ თურქეთში აღრის რეგიონში განლაგებული სხვადასხვა ძეგლების ზედაპირებზე, განსაკუთრებით სარიგულსა და ჩეთენლიში [Marro, Özfirat 2005; Marro 2008], ასევე კონე ფასგაჰ თეფესიზე, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ ირანის კოდა აფარინის დაბლობზე მდებარეობს [Maziar 2010]. ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია ალიქემექ თეფესის ზედა შრეები – არატაშენის „0“ დონე. საინტერესო აღმოჩენები იქნა გაკეთებული სულ ახლახანს დასავლეთ აზერბაიჯანში, მენთეშ თეფეზე [Lyonnet, Guliyev 2010], რომელიც ახალ კულტურულ ფაზას წარმოადგენს ძვ.წ. V ათასწლეულში. მენთეშის კერამი-

კა ერთმანეთისაგან ორნამენტის ტიპებით განსხვავდება: გვხვდება სიონის მსგავსი ჭურჭელი ზედაპირზე სავარცხლისებური შტამპით დატანილი ორნამენტით და აგრეთვე მოხატული კერამიკა, ინკრუსტირებული ბითუმისებრი ნივთიერებით. მენთეშის მნიშვნელობა მდგომარეობს მის სტრატიგრაფიასა და რადიოკარბონულ დათარიღებაში, რაც ამ ძეგლს შულავერ-შომუთეფეს კულტურასა და ლეილა თეფეს შორის ათავსებს და, ამასთან ერთად, კერამიკულ კავშირებს ამჟღავნებს სიონთან და ალიქემექ თეფესისთან.

ცნობილია, რომ მეცნიერ-არქეოლოგთა მიერ არაერთხელ გამოთქმულა აზრი იმის შესახებ, რომ ძნელია ხაზის გავლება ნეოლითურ და ქალკოლითურ პერიოდებს შორის [Mellaart,1966: 15; Mellaart, 1967: 115-16; Smith, 1971; Мунчаев, 1975: 7]. ამდენად, ვფიქრობ, დიდ სენსაციად ვერ ჩაითვლება ადრე და განვითარებული ენეოლითით დათარიღებული [მენაბდე, კიღურაძე 1981; Kiguradze, Sagona 2003] სიონის ნამოსახლარის ლ. ნებიერიძის მიერ გვიანნეოლითურ ხანად გადათარიღება. ეტყობა, მას ასე აწყობს და თავისი „ახალი“ თარიღის დასასაბუთებლად ორი „ძლიერი“ არგუმენტი გააჩნია. ერთი გახლავთ გარკვეული მსგავსება სიონისა და დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლების კერამიკის შემკობაში. ეს მსგავსება სწორედ თ. კიღურაძემ შეამჩნია პირველმა და გამოაქვეყნა კიდეც [მენაბდე, კიღურაძე 1981: 16]). მაგრამ განსხვავებანი ამ ორ კულტურას შორის იმდენად საგრძნობი იყო, რომ გვავარაუდებინებდა სიონის შედარებით გვიანდელობას [მენაბდე, კიღურაძე 1981: 16, 27-28].

მეორე და უმთავრესი „დამათარიღებელი კომპონენტი“ ლ. ნებიერიძისათვის არის მის მიერ გამოგონილი მრავალრიცხოვანი, გეომეტრიული მიკროლითები, რომლებიც გამთხრელებმა თითქოს აღმოჩენისთანავე აჩვენეს მას [ნებიერიძე 2001: 5-6]. ამ მიკროლითების შესახებ აკვიატებული აზრი დიდი ხანია აწუხებს ლ. ნებიერიძეს. ადრე, პირად საუბარში, თ. კიღურაძე უხსნიდა მას, რომ ასეთი ფაქტი არ არსებობს, რომ სიონში არ ყოფილა მრავლად აღმოჩენილი გეომეტრული მიკროიარაღები, მაგრამ ვერ გადაარწმუნა. საოცარი ამბავია. მე სიონის ექსპედიციის უცვლელი მონაწილე ვარ პირველი დღიდან. ჩემი პრეპარირებულია მთელი ძეგლი. არც მე და არც ექსპედიციის რომელიმე წევრს ეს მიკროლითები არ გვინახავს და ლ. ნებიერიძეს როგორ ვაჩვენებდით. საინტერესოა, რატომ არ ასახელებს პირადად ვინ, როდის, სად და რა ვითარებაში აჩვენა მას ეს იარაღები. ანდა, თუ ასე აინტერესებდა ეს საკითხი, რატომ ერთხელ მაინც არ მოვიდა საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ ფონდში ამ მასალის სანახავად და თავისი ვარაუდის შესამოწმებლად. იგი ხომ ფიქრობს, რომ სამეცნიერო მიმოქცევაში „დამათარიღებელი კომპონენტის“ გარეშე „ნაკლული კომპლექსის“ შეტანამ ძეგლის შედარებით გაახალგაზრდავება გამოიწვია [ნებიერიძე 2001: 6]. თუმცა ვერ გვიხსნის, რატომ ვიყავით დაინტერესებული ამ გაახალგაზრდავებით, როცა, ჩვეულებრივ, ყოველი არქეოლოგი ცდილობს, მონახოს დამამტკიცებელი საბუთი ძეგლის დასაძველებლად.

მეორეს მხრივ, განა მართლა ასეთი განმსაზღვრელი ელემენტია გეომეტრიული მიკროლითები ძეგლის დასათარიღებლად, როგორც ეს ლ. ნებიერიძეს მიაჩნია? დაბეჯითებით შეიძლება აღვნიშნო, რომ სიონის ნამოსახლარზე მართლაც რომ აღმოჩენილიყო ეს მიკროლითები, ძეგლის დათარიღების საქმეში ვერაფერს შეცვლიდა. ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარების ქვედა სამ (ნეოლითურ) საფეხურზე საერთოდ არ ჩანს გეომეტრიული ფორმის მიკროლითები. IV საფეხურზე (იმირის გორა) ჩნდება ერთადერთი ტრაპეცია, ხოლო V საფეხურზე – ერთეული ტრაპეციები და სეგმენტები [კიღურაძე 1976: 117-118]. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წინა აზიის ბევრ ადრეულ ძეგლზე, მათ შორის უკერამიკო ნეოლითისაზეც, ფართოდაა გავრცელებული მიკროლამელები და მათზე ნაკეთები იარაღები და სრულებით, ან თითქმის არ გვხდება გეომეტრიული ფორმის მიკროლითები. ასეთებია ბეიდა [Kirkbride 1966: fig. 6], იერიქონის უკერამიკო ნეოლითი [Kirkbride 1960: 116-119], ჰაჯილარი უკერამიკოდან I ფენამდე [Mortensen 1970: 153-157], ჩათალ-ჰუიუკი (ყველა ფენა) (Bialor 1962: 67-110; Mellaart 1962], აშიკლი-ჰუიუკი და მისი მსგავსი ძეგლები ცენტრალურ ანატოლიაში [Todd 1966: 157-158], ჩაიონუ-თეფესი სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში [Braidwood et al. 1971: 1236-1240], დეჰ ღურანის ძეგლები ირანში [Hole et al. 1969: 83-84].

როგორც ვხედავთ, გეომეტრიული მიკროლითების არსებობა ძეგლის დასათარიღებლად, მით უმეტეს დასაძველებლად, არც მყარ და არც ერთადერთ საყრდენს არ წარმოადგენს. ამასთავე, ცნობილია, რომ მოგვიანო მაიკოპის კულტურაში და თვით მაიკოპის ყორღანშიც ტრაპეციები და სეგმენტები გვხვდება ძაბრისებურყელიან ჭურჭელთან ერთად [Формозов 1965: 70],

რომ აღარაფერი ვთქვათ წინა აზიის ზემოთ ჩამოთვლილ ნეოლითურ ძეგლებზე. სიონში აღმოჩენილი ორიოდე მიკროსაფხეკის აღწერაც გამოქვეყნებულია [მენაბდე, კიღურაძე 1981: 22].

დაბოლოს, კიდევ ერთხელ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ძეგლზე სულ თითო-ოროლა გეომეტრიული მიკროიარაღია აღმოჩენილი და ლ. ნებიერიძის მცდელობა ეს ფაქტი სხვაგვარად წარმოაჩინოს, სუფთა წყლის ცილისწამებაა. ამის დამტკიცება ძალიან ადვილია: საკმარისია მუზეუმის შესაბამის ფონდში მოსვლა და მასალის გულდასმით გაცნობა. ეს შესაძლებლობა ლ. ნებიერიძეს ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ არც ერთხელ არ გამოუყენებია. ამით მან დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მიაყენა არა მხოლოდ თამაზ კიღურაძეს, როგორც მეცნიერსა და მოქალაქეს, არამედ ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის ყველა მონაწილეს (ოთარ ჯაფარიძეს, ალექსანდრე ჯავახიშვილს, მედეა მენაბდეს, ლილი ღლონტს და სხვ.) და, მთლიანად, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს.

დღევანდელ ცივილიზებულ ქვეყნებში ამგვარ ქმედებას მორალური ზიანის ცნებით განსაზღვრავენ. ვფიქრობ, სულ მცირედი, რაც ლ.ნებიერიძეს შეუძლია გააკეთოს ისაა, რომ ბოდიში მოუხადოს „დაზარალებულებს“ ბეჭდვითი ორგანოს საშუალებით.

რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ვრცლად შეიძლებოდა მსჯელობა ლ. ნებიერიძის სარეცენზიო სტატიებში დასმულ, რბილად რომ ვთქვათ, კითხვებსა თუ შენიშვნებზე, მაგრამ ზედმეტად ჩავთვალე. ვისაც ნამდვილად აინტერესებს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ნეოლით-ენეოლითის პერიოდის არქეოლოგია, ვურჩევ ყურადღებით წაიკითხოს თამაზ კიღურაძის ნაშრომები ქართულ თუ უცხოურ გამოცემებში და ყველა საკითხზე ამომწურავ, მეცნიერულად დასაბუთებულ პასუხს მიიღებს.

* * *

წინამდებარე სტატია რედაქციაში ჩაბარებული იყო, როცა გამოქვეყნდა ლ. ნებიერიძის ნაშრომი „წოფის ენეოლითური კულტურა“. სამწუხაროა, რომ ავტორმა კვლავ გაიმეორა თავისი უსაფუძვლოდ აკვიატებული აზრი, სიონში თითქოს აღმოჩენილი მიკროლითების თაობაზე.

Medea Menabde

SOME REMARKS ON THE DATE OF THE SIONI SETTLEMENT

Summary

In the proceedings of Georgian National Museum, Natural and Prehistoric section (No 2, 2010, pp. 3-12) Dr. Lamara Nebieridze published an article "The Sioni Settlement, the Late Neolithic site of Kvemo Kartli", which is a version of author's old publication, in Georgian (Dziebani, N7, 2001), with the same title but with some additions.

Nebieridze's key argument is that the settlement of Sioni ought to be dated back to the late Neolithic. By contradistinction, Tamaz Kiguradze, who investigated Sioni, attributed the site to the early and developed Eneolithic periods. Even so, Kiguradze himself stressed that "according to the formal typology Sioni settlement resembles Late Neolithic sites, stone artifacts have Neolithic nature but there is some evidence that this particular site is of a later period" (Menabde, Kiguradze, 1981: 16, 27, 28). Accordingly, L. Nebieridze has reported nothing new, nor sensational with regard to Sioni's connection to the late Neolithic.

There are, however, a number of issues in Nebieridze's article that need clarification. First, is rather delicate matter, which certainly needs to be set straight. Without any background or involvement in the Sioni project, Nebieridze states that "numerous" geometric microliths were discovered at the site, and, moreover, the investigators did not publish them. The implication in Nebieridze's article is that the data has been knowingly concealed to promote a later (Eneolithic) date for the site. With full responsibility I, as one of the researchers of this site, claim that this is not true and is indeed a libel. It would be interesting to know under which circumstances Nebieridze had been shown these nonexistent "numerous and various microliths".

Second, it should be noted that geometric forms cannot be used with any degree of confidence as chronological markers. They are not characteristic of either the Shulaveri or Sioni assemblages, for instance, and what few geometric microliths exist were published by Kiguradze in his earlier articles (Menabde, Kiguradze, 1981: 22). Mellaart,

Smith and Munchaev (Mellaart,1966: 15; Mellaart, 1967: 115-16; Smith, 1971; Мунчаев, 1975: 7), among others, have expressed similar doubts about the trustworthiness of microliths as chronological markers between the Neolithic and Chalcolithic (Eneolithic) based on evidence beyond the Caucasus. For instance, Beida, Pre-Pottery Neolithic at Jericho, Hacilar from the pre-pottery period to Layer I, Çatal Hüyük, Çayönü Tepe, and the Deh Luran sites, in Iran, have no geometric microliths. On the other hand, there are trapezes and lunates at chronologically later sites such as Maikop, in the north Caucasus, and even in the Maikop kurgan.

Third, despite Nebieridze's claims, Kiguradze was the first person to notice the similarity between the Sioni and West Georgian ornamented pottery, but he considered the evidence to be insufficient proof for the dating. This is clearly stated in his publications (Menabde, Kiguradze, 1981: 16, 27, 28)

Finally, it should be pointed out that Kiguradze's attribution of the Sioni assemblage is supported by a number of recent investigations. Sioni pottery has been attested at many sites in eastern Transcaucasia located in the Terek, Kura, and Araxes river basins, and beyond in Anatolia and Iran. Sioni sherds have been collected from the surface of sites in the Ağrı district, eastern Turkey, especially at Sarıgül and Çetenli (Marro and Özfırat 2005; Marro 2008), and at Kohne Pasgah Tepesi, in the Koda Afarin Valley of northwestern Iran (Maziar 2010). Among the most important deposits are the upper layers of Alikemek Tepesi and Aratashen level "0." Significant discoveries have been made recently in western Azerbaijan, at Mentesh Tepe (Lyonnet and Guliyev 2010), which represents a new cultural phase in the 5th millennium BC. Mentesh has yielded a ceramic repertoire that can be distinguished by its type of decoration: painted, combed and applied. The combed pieces bear affinities with Sioni, but the painted vessels had their design executed in bitumen. The importance of Mentesh lies in its emerging stratigraphy and radiocarbon dates that place it between the Shulaveri-Shomutepe culture and Leilatepe, yet showing ceramic connections with Sioni and Alikemek Tepesi.

ლიტერატურა

კიღურაძე თ. 1976: აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია. თბილისი.

კიღურაძე თ. 1998: ენეოლითიდან ადრებრინჯაოზე გარდამავალი პერიოდი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია, I, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 19-20.

მენაბდე მ., კიღურაძე თ. 1977: ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1974-1975). – სსმაე, V, 22-42.

მენაბდე მ., კიღურაძე თ. 1981: სიონის არქეოლოგიური ძეგლები, I. თბილისი.

მენაბდე მ., კიღურაძე თ. 2001: ნეოლითისა და ენეოლითის პერიოდების განსაზღვრისათვის საქართველოში. – ბ. მაისურაძე, რ. რუსიშვილი (რედ.), კავკასია, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი, დამატებანი, VI), თბილისი, 19-21.

ნებიერიძე ლ. 2001: სიონის ნამოსახლარი – აღმოსავლეთ საქართველოს გვიანნელითური ძეგლი. – ძიებანი, № 7, 5-13.

Менабде М., Кигурадзе Т. 2000: Роль Сионской культурной общности в становлении Куро-Аракской культуры. – Международная научная конференция «Археология и этнография Кавказа», Баку, 49-51.

Мунчаев Р. 1975: Кавказ на заре бронзового века. Москва.

Формозов А. А. 1965: Каменный век и энеолит Прикубанья. Москва.

Bialor P. A. 1962: The chipped stone industry of Çatal Hüyük. – AS, 12, 67-110.

Braidwood R. J., Cambel H., Redman Ch. L., Watson P. J. 1971: Beginings of village-farming communities in South-Eastern Turkey. – Proceedings of Natural Academy of Science, USA, 68, 6, 1236–1240.

Hole F., Flannery K. V., Nelly J. A. 1969: Prehistory and Human Ecology of the Deh Luran Plain. An Early Village Sequence from Khuzistan, Iran. (Memoirs of the Museum of. Anthropology no. 1). Ann Arbor.

Kiguradze T. 2001: The Caucasian Chalcolithic. Caucasian Neolithic. – P. N. Peregrine and M. Ember (eds.), Encyclopedia of Prehistory, vol. 4, Europe. New York, 38-76.

Kiguradze T., Sagona A. 2003: On the origins of the Kura-Araxes cultural complex. – A. T. Smith, K. Rubinson (eds), Archaeology in the borderlands: Investigations in Caucasia and beyond. Los Angeles, 38-94.

Kiguradze T., Menabde M. 2004: The Neolithic of Georgia. – Sagona, A. (ed.), A view from the highlands: archaeological studies in honour of Charles Burney. Ancient Near Eastern Studies, Supplement 12. Leuven, 345-398.

Kirkbride D. 1960: A brief Report on the Pre-Pottery Flint Cultures of Jericho. – Palestine Exploration Quarterly, 92, 114-119.

Kirkbride D. 1966: Five Seasons at the Pre-Pottery Neolithic Village et Beidha in Iordan. – Palestine Exploration Quarterly, 98, 5- 61.

Lyonnet B., Guliyev F. 2010: Recent discoveries on the Neolithic and Chalcolithic of Western Azerbaijan. – The Turkish Academy of sciences Journal of Archaeology, 13, 215-224.

Marro C. 2008: Late Chalcolithic cultures in the Anatolian highlands. – K. S. Rubinson, A. Sagona (eds), *Ceramics in Transitions: Chalcolithic Through Iron Ages in the Highlands of the Southern Caucasus and Anatolia*. Ancient Near Eastern Studies, Supplement 27, 9-27.

Marro C., Aynur Ö. 2005: Pre-classical survey in eastern Turkey, third preliminary report: Doğubeyazit and the eastern shore of Lake Van. – Anatolia Antiqua, 12, 319–56.

Maziar S. 2010: Excavations At Köhné Pāsgāh Tepesi, The Araxes Valley, Northwest Iran: First Preliminary Report. – Ancient Near Eastern Studies, 47, 165-193.

Mellaart J. 1964: Excavations at Çatal Hüyük, third preliminary report, 1963. – AS, 14, 39-119.

Mellaart J. 1966: The Chalcolithic and Early Bronze Age in the near East and Anatolia. Beirut.

Mellaart J. 1967: Çatal Hüyük, a Neolithic Town in Anatolia. London.

Mortensen P. 1970: Chipped Stone Industry. – Mellaart J. 1970, Excavations at Hacilar, v. I, Edinburgh, 153-157.

Nebieridze L. 2010: The Sioni Settlement: the Late Neolithic Site of Kvemo Kartli. – Georgian National Museum, Proceedings of the Natural and Prehistoric Section, 2, 3-12.

Smith Ph. L. 1971: Iran, 9000-4000 B.C.: the Neolithic. – Expedition, v.13, № 3-4, 6-13.

Todd I. A. 1968: The Dating of Asiklli Hüyük in Central Anatolia. – AJA, 72, 157-158.

ნინო შანშაშვილი

ადრებრინჯაოს ხანის სახლის მაკეტები სამხრეთ კავკასიიდან

არქიტექტურული მაკეტები სამხრეთ კავკასიაში ადრე ბრინჯაოს ხანაში ჩნდება. ისინი აღმოჩენილია მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე (ხიზანაანთ გორა, ქვაცხელები, ამირანის გორა, ოზნი, დიგაშენი და გუდაბერტყა). ყველა მათგანი დამზადებულია თიხისაგან და ხელითაა ნაძერწი.

ხიზანაანთ გორის C_1 ფენის № 9 ოთახში აღმოჩენილი სახლის მაკეტი [კიკვიძე 1972: 16, ტაბ. XXIV_1] წაკვეთილი კონუსის ფორმისაა (ტაბ. I_1). მას სქელი, წითლად გამომწვარი კეცი, ბრტყელი ძირი და გაპრიალებული ზედაპირი აქვს. წრიული „სახურავის“ ცენტრში მრგვალი ღიობია დატოვებული. ერთ-ერთ კედელში კი წაგრძელებული ოვალის ფორმის „კარია“ გაჭრილი. მაკეტის სიმაღლე 12,5 სმ, ყელის დმ – 9,5 სმ, პირის დმ – 13,5 სმ უდრის. № 9 სახლი მიეკუთვნება C_1 ფენას, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. ი. კიკვიძის აზრით, ამ სახლის ის სათავსი, რომელშიც არქიტექტურული მაკეტი აღმოჩნდა, საკულტო რიტუალისათვის გამოიყენებოდა [კიკვიძე 1972: 16].

ქვაცხელების მაკეტი აღმოჩნდა B ფენაში, რომელიც ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება [Глонти и др. 1968: ტაბ. I_{31}; Dshaparidze 1995: 59, სურ. 35]. ის წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის, ორ, ან სამსართულიან ნაგებობას (ტაბ. I_6). მაკეტის ზედაპირი გაპრიალებულია და მუქი-წითელი ანგობითაა დაფარული. ის სქელკეციანია. მაკეტის სიმაღლე 25 სმ-ია, სიგანე – 17 სმ. ორ მხარეს ორ რიგად სამ-სამი „ფანჯარაა“ გაჭრილი. ფანჯრების ზემოთ სამი პატარა მრგვალი ნახვრეტია დატანილი. დანარჩენ ორ გვერდზე თითო ოთხკუთხა „სარკმელია“ გაჭრილი. მაკეტის სახურავი ნაწილობრივ დაზიანებულია, რომლის ცენტრში მრგვალი „საკვამურია“ დატანილი. რამდენიმე მაკეტის ფრაგმენტი გუდაბერტყას მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარზეც აღმოჩნდა (ინახება გორის მუზეუმში).

ოთხკუთხა სახლის მაკეტი (ტაბ. I_2) მიკვლეულია დიგაშენის ადრებრინჯაოს ხანის (ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანები) ნამოსახლარზე [Орджоникидзе 1995: 81, ტაბ. 1411]. მაკეტს ცალ მხარეს მრგვალი ფანჯარა აქვს, რომლის ორივე მხარე ფრინველების სტილიზებული გამოსახულებითაა შემკული. მაკეტის ძირი ბრტყელია. „სახლს“ გვირგვინისებური, ერდოთი მომთავრებული ბანური გადახურვა აქვს. ბანის პერიმეტრს დაბალი ბორდიური საზღვრავს, რომელიც ირიბი ნაჭდევებით არის ორნამენტირებული.

ოზნიში აღმოჩენილი თიხის მაკეტი ოთხკუთხაა და წაკვეთილი პირამიდის ფორმა აქვს (ტაბ. I_3). დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, გამომწვარია მოყავისფრო-მოწითალოდ, ზედაპირი კარგადაა გაპრიალებული და წითელი საღებავითაა შეღებილი. ნაკლულია, „სახურავი“ მოტეხილი აქვს. შემორჩენილი სიმაღლე 20,5 სმ-ს უდრის [Жоржикашвили, Гогадзе 1974: 36, ტაბ. 24, 39]. მაკეტი აღმოჩნდა ოზნის ჰიდროსადგურის მშენებლობისას, მტკვარ-არაქსის კულტურის ფენაში, თიხატკეპნილ მოედანზე. აქვე აღმოჩნდა მოყავისფრო ფერის ქოთანი ფრინველების და სპირალის რელიეფური გამოსახულებით [Жоржикашвили, Гогадзе 1974: ტაბ. 24], ღია ნაცრისფერი ცილინდრული სადგარი, რიყის ქვის „კერპის“ ფრაგმენტი, ტუფისგან დამზადებული სამი სანაყი და სპილენძის ოთხწახნაგა სადგისი [Жоржикашвили, Гогадзе 1974: 36, ტაბ. 25]. ოზნის ნამოსახლარი ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. ბ. კუფტინი ვარაუდობდა, რომ ოზნიში გათხრილი კომპლექსები საცხოვრებელ შენობებთან დაკავშირებულ სამსხვერპლო ადგილებს წარმოადგენდა, სადაც, შესაძლოა, საოჯახო-საგვარეულო რიტუალები სრულდებოდა. ის ასევე არ გამორიცხავდა, რომ ამგვარი სამსხვერპლო ადგილები დაკავშირებული იყო წინაპრების კულტთან. ხოლო ეს კულტმსახურება დაკრძალვის რიტუალის ზოგიერთ ელემენტსაც შეიცავდა [Куфтин 1948: 42].

ამირანის გორის ნამოსახლარზე სახლის მაკეტი X ნაგებობის (ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრი) იატაკზე აღმოჩნდა [ჩუბინიშვილი 1963: 32, სურ. 4_{25}]. ის ოთხკუთხა ფორმისაა და მისი სიმაღლე 25 სმ-ია (ტაბ. I_4). ძირი ოთხკუთ-

ხა აქვს, კედლები ძირისკენ ოდნავ ვიწროვდება. კედლებში ორი ოვალური ფორმის ფანჯარა აქვს შემორჩენილი. სახურავი ცენტრისაკენ ოდნავ შემაღლებულია, სადაც ფართო, მილისებური ნახვრეტი – გვირგვინისებური ერდოა მოთავსებული.

მტკარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე აღმოჩენილი სახლების მაკეტები სასაკმევლეებად [ჩუბინიშვილი 1963: 71], ან სანათურებად არის მიჩნეული [Глонти и др. 1968: 11; კიკვიძე 1972: 16; Жоржикашвили, Гогадзе 1974: 36, ტაბ. 24, 39; Орджоникидзе 1995: 81]. აღსანიშნავია, რომ ახლოაღმოსავლურ და სამხრეთ კავკასიურ მაკეტებს შორის პრინციპული განსხვავებაა. აღმოსავლურ „სახლების“ მაკეტებს, რომლებიც სასაკმევლეებად არის მიჩნეული, ძირი (იატაკი) არ აქვს, მტკვარ-არაქსული „სახლები“ კი ყველა ძირიანია. მიუხედავად ამისა, მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე აღმოჩენილ ამ სახის არტეფაქტებს ჩვენ სასაკმევლეებად მივიჩნევთ. ამირანის გორაზე და ოზნიში გამოვლენილი მაკეტები დიდ მსგავსებას იჩენენ პალესტინაში, იერუსალიმის მახლობლად, აის ტაძრის ერთ-ერთი ოთახის ცენტრში აღმოჩენილ, ორ თითქმის ერთნაირ სასაკმევლესთან (ტაბ. I_5). აქ აღმოჩენილი ეგვიპტური ნივთების მიხედვით ტაძარი ძველი ეგვიპტის მეორე და მესამე დინასტიის დროინდელია და ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნით თარიღდება. ორივე სასაკმევლე ოთხკუთხა ფორმისაა. გვერდების ზედა ნაწილში ორივეს „ფანჯრები“, „სახურავში“ კი ძაბრისებური ნახვრეტი აქვთ [Marquet-Krause 1935: 331-333, ტაბ. LV, LVI_1].

ხიზანაანთ გორის მაკეტი ემსგავსება პალესტინაში (გერარი, გივათაიმი, გილათი, ბირ-საფადი) აღმოჩენილ ქვისა და თიხის სასაკმევლეებს თუ ჭურჭლების სადგრებს (ტაბ. II_{16}), რომლებიც ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებს მიეკუთვნება [Gilead 1993: 470; Levy, Alon 1993: 517; Kaplan 1993: 521; Анати 2007: 258]. ხიზანაანთ გორის მაკეტი გარკვეულ მსგავსებას იჩენს არსლანთეფე VIA ფენაში დადასტურებულ მაღალფეხიან დაფანჯრულ საგნებთან (ტაბ. $II_{14,15}$), რომლებიც ძვ.წ. 3350-3000 წწ. თარიღდება [Frangipane 2004: სურ. 31-32].

ახლო აღმოსავლეთში სახლების მაკეტები ნეოლითის ეპოქიდანაა ცნობილი. უძველესი მინიატურული სახლი ანატოლიაში, ჩაიონიუ თეფეში აღმოჩნდა და წარმოადგენს ორფერდა სახურავიან სახლის მოდელს [Корниенко 2006: 50]. ეს ნივთი ძვ.წ. IX ათასწლეულით თარიღდება. ორფერდა სახურავიანი სახლის მცირე ზომის მოდელები (ტაბ. II_{8-9}) აღმოჩნდა ხალაფური და უბეიდური ეპოქით დათარიღებულ (ძვ.წ. VII-V ათასწლეული) ტელ-არპაჩიაში [Mallowan, Cruikshank Rose 1935: 31, სურ. 15].

ძვ.წ. V-IV ათასწლეულის მესოპოტამიაში დაფანჯრული შენობის ფორმის მაკეტები სასაკმევლეებს წარმოადგენდნენ [Goff 1963: სურ. 147, 237, 328, 496]. ამ კატეგორიის საგნები დადასტურებულია ერიდუში (ტაბ. $II_{19,20}$), უბეიდური ეპოქის თეფე გავრაში (ტაბ. II_{13}) და ჯემდეთ-ნასრის პერიოდის (ძვ.წ. 3200-2800 წწ.) ჰაფაჯსა და ურში (ტაბ. II_{17}) [Woolley 1955: ტაბ. 33]. ძვ.წ. IV ათასწლეულში პალესტინაში სახლების მაკეტები (ტაბ. II_{5-7}) ოსუარიუმებად – საძვალეებად გამოიყენებოდა. მიცვალებულის კრემაციის შემდეგ მის ფერფლს და ძვლების შემორჩენილ ნაწილს „მიცვალებულის სახლში“ ათავსებდნენ. ამგვარ სახლ-ურნას დგამდნენ სპეციალურად გათხრილ გამოქვაბულში, სადაც თემის სხვა წევრებიც ასეთივე წესით იკრძალებოდნენ. ყველაზე კარგად დაკრძალვის ეს რიტუალი წარმოდგენილია აზორში, რომელიც ჟ. პერომ შეისწავლა [Анати 2007: 247].

ორსართულიანი სახლის ფორმის საკურთხევლები ე.წ. „Stepped altar“ და მათი გამოსახულებები [http://www.usu.edu/markdamen/ANE/slides/m022_sumer2.pdf] მესოპოტამიაში ძვ.წ. III ათასწლეულიდან ვრცელდება (ტაბ. $III_{3,4,11}$). ამ ტიპის საგანი ნაპოვნი იყო ვალტერ ანდრეს გათხრებისას 1914 წელს აშურში, იშთარის ტაძარში და დათარიღებული იყო ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისით. გლიპტიკაზე ის ადრედინასტიური ეპოქიდან ჩნდება და შემდგომ პერიოდებშიც კარგადაა წარმოდგენილი ცილინდრულ საბეჭდავებზე (ტაბ. $III_{1,2,11}$). რამდენიმე ამგვარი საბეჭდავი ურიდან არის ცნობილი [Woolley 1934: ტაბ. 210-258, ტაბ. 211-283].

ანატოლიის და ირანის არქეოლოგიურ ძეგლებზე არქიტექტურული მაკეტები იშვიათად გვხვდება. ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში, ნამოსახლარ სანგ-ი ჩახმაკზე აღმოჩენილი სახლის თიხის მაკეტი (ტაბ. II_5) ძვ.წ. VI ათასწლეულით თარიღდება [http: //www.iranica.com/articles/sang-chakhmaq]. ანატოლიაში, გირიკანოს ნამოსახლარზე აღმოჩენილი სახლის მოდელი ძალზე მცირე ზომისაა (ტაბ. II_4). ის ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება [Greaves, Helwing 2003: 83, სურ. 4]. ხეთურ ეპოქაში გავრცელებული იყო კოშკის ფორმის სასაკმევლეები (ტაბ. III_{10}), რომლებიც ცხოველის ქანდაკებაზე იყო

აღმართული [Boehmer, Güterbock 1987: სურ. 37b].

ორსართულიანი სახლების და კოშკების მაკეტები განსაკუთრებით მრავლადაა აღმოჩენილი ჩრდილოეთ სირიაში (ტაბ. III_{6-9}), ევფრატის შუა წელზე, ქ. ტაბკას მახლობლად. ისინი შუა და გვიან ბრინჯაოს ხანას განეკუთვნებიან და ძვ.წ. II ათასწლეულით თარიღდებიან. მაკეტების დიდი რაოდენობა ნაპოვნი იყო ემარში (თანამედროვე მესკენე). ამ ძეგლზე ჩატარებული გათხრების ხუთი კამპანიის განმავლობაში თითქმის ყველა საცხოვრებელ შენობაში აღმოჩნდა მინიატურული „სახლი". სულ მოპოვებულია 30-მდე მთელი და ფრაგმენტულად შემორჩენილი მაკეტი [Margueron 1976: 231]. ისინი თითქმის იდენტურებია და წარმოადგენენ ორსართულიანი სახლის მაკეტებს [Muller 1995: 359]. ემარის გარდა ისინი ნაპოვნი იყო რუმეილაჰში, ტელ-კანაშში, სელემიეში (ტაბ. III_5). სახლების დიდი უმრავლესობა დაფარულია მოთეთრო ანგობით, ნაპირები შემკულია გეომეტრიული დეკორით, რომელიც ხშირად ჭურჭელზეც გვხვდება. მაკეტების სიმაღლე 35.0-42.0 სმ-ია, სიგანე 42-66 სმ [Muller 1995: 369]. ზოგიერთი სახლის ფასადი შემკულია ქალის, ან ფრინველის რელიეფური გამოსახულებით (ემარი, რუმეილაჰი, ტელ-კანაში), რომლებიც ინტერპრეტირებულია, როგორც ასტარტას მტრედები. რუმეილაჰის ეგზემპლარზე გვხვდება თევზების გამოსახულება, ჰადიდის სახლის კედელზე – გველების, ხოლო სვეიჰატის მაკეტზე – მცენარეული მოტივი [Muller 1995: 370]. ემარში დადასტურებული ერთ-ერთი „სახლი" გვიანი ბრინჯაოს დასასრულით თარიღდება. ქ. ტაბკასთან აღმოჩენილი ერთ-ერთი მაკეტი ძვ.წ. 1350 წ. თარიღდება. სელემიეს მაკეტი შესაბამის არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით ჟ. მარგერონმა ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისით დაათარიღა. ასევე თარიღდება სვეიჰატის, რუმეილაჰის და ტელ-კანაშის ეგზემპლარები. ისინი შუა ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება [Muller 1995: 377].

სრულიად განსხვავებულია მარიში, პრესარგონული დროის ერთ-ერთ ქუჩაზე აღმოჩენილი წრიული ფორმის შესანიშნავი არქიტექტურული მოდელი (ტაბ. II_2). არანაირი ატრიბუტი ან გამოსახულება არ იძლევა საშუალებას დარწმუნებით ითქვას, რომ ეს ტაძრის მაკეტია [Parrot 1955: 192]. მაკეტი არ ჰგავს მარიში გათხრილ არც ერთ შენობას. ის არც სხვა არქიტექტურულ მოდელებთან (აშური, სელემიე, ბეისანი) იჩენს მსგავსებას. მარის სახლი ყველაზე მეტად ჰგავს ეგვიპტეში (ელ-ამრაჰი) აღმოჩენილ მინიატურულ სახლებს, რომლებიც მარის სახლისგან განსხვავებით ოთხკუთხა ფორმისაა [Parrot 1955: 192]. მარიში აღმოჩენილ მინიატურულ სახლს ირგვლივ აგურები ჰქონდა შემოწყობილი, ხოლო მის შიგნით თიხის ჭურჭელი იყო ჩაწყობილი, რის გამოც ა. პარომ თავიდან სამარხად მიიჩნია. შემდგომში გაირკვა, რომ ეს ინტერპრეტაცია არ იყო სწორი და შენობის მაკეტს დაკრძალვის რიტუალთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა [Parrot 1955:193]. ანალოგიური მაკეტი, ოღონდ სრულიად დაშლილი, აღმოჩნდა ასევე მარიში, ე.წ. „წითელი სახლის" სექტორში, რომელიც ა. პაროს ვარაუდით, შესაძლოა, რომელიღაც დიდებულის სასახლეს წარმოადგენდა. ორივე „სახლი" პრესარგონული ეპოქით თარიღდება და ძვ.წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარს განეკუთვნება. დღესდღეობით მარის „სახლების" არც ინტერპრეტაცია და არც იდენტიფიკაცია არ მოხერხდა. ა. პაროს აზრით, შესაძლოა შესადარებლად თეფე გავრას XI დონიდან ურუქის პერიოდის ე.წ. „მრგვალი სახლი" გამოდგეს [Parrot 1955: 194].

სამეცნიერო საზოგადოება საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენს ამ თემატიკის მიმართ. 1998 წელს სტრასბურგში ჩატარდა კოლოქვიუმი თემაზე „უძველესი დროის არქიტექტურული მაკეტები" [Rouault 2004: 271-272]. ამ საკითხის ირგვლივ მთავარი პრობლემატური კითხვებია: რა იყო ამ საგნების ფუნქცია, როგორ შეესაბამებიან თანადროულ არქიტექტურას და რა სიმბოლურ დატვირთვას ატარებენ. სტრასბურგის კოლოქვიუმზე I. Weygand-მა წარმოადგინა მესოპოტამიასა და სირიაში ნაპოვნი თიხის მაკეტების ტიპოლოგიური ანალიზი. მისი აზრით, არ არსებობს მსგავსება ამ მაკეტებსა და თანადროულ ადგილობრივ არქიტექტურულ ფორმებს შორის და გამოთქვა მოსაზრება, რომ მათი მნიშვნელობის ძიება სხვა მიმართულებით უნდა წარიმართოს. შესაძლოა, ისინი „საგანძურებს", შესაწირავებს, ან სამსხვერპლო მაგიდებს წარმოადგენდნენ [Rouault 2004: 272]. P. de Miroschedji-ს აზრით სახლების ფორმის ოსუარიუმები რეალიზმს არიან მოკლებული და არ შეესაბამებიან თანადროული საცხოვრებლების იერს. მისი აზრით, ეს ნივთები მხოლოდ მეხსიერებაში შემორჩენილ ნაგებობებს გამოსახავენ. F. Laroche-Traunecker-მა და F. Leclere-მა შეისწავლეს ეგვიპტური მაკეტები. სახლების მაკეტების ნაწილი აღმოჩენილია სამარხებში (ტაბ. II_3). მათზე მოცემულია საჭმლის მინიატურული გამოსახულება. ისინი წარმოადგენენ რიტუალურ ობიექტებს – „სულების სახლებს" [Rouault 2004: 272]. O.

Callot-ის აზრით, მაკეტებზე წარმოდგენილი ზოგიერთი დეტალი უთუოდ დიდ ნაგებობას ამკობდა და შესაბამისად მაკეტი რეალურად არსებული დიდი შენობის ასლს უნდა წარმოადგენდეს. P. Neve-ც იგივე აზრისაა და თვლის, რომ ხეთური არქიტექტურული მოდელების ტრადიცია სათავეს მესოპოტამიასა და ჩრდილო სირიაში იღებს. არქიტექტურული და ტექნიკური დეტალების მიხედვით ისინი ასახავენ სამხედრო და საკულტო არქიტექტურას. A. Caubet და M. Yon-მა კოლოქვიუმზე წარმოადგინეს თიხის „ქოხის" ორი მოდელი უგარითიდან (ტაბ. II_{12}), რომლებიც სირია-პალესტინაში კარგად ცნობილ ტიპს განეკუთვნება. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ უგარითში სახლების მოდელები იშვიათია. უგარითში მიცვალებულებს საცხოვრებელი შენობების ქვეშ კრძალავდნენ. ამის გამო, ავტორების აზრით, ქალაქის მოსახლეობას არ სჭირდებოდა პორტაბელური აქსესუარები წინაპრების პატივსაცემად შესასრულებელ რიტუალებში. ეს გარემოება, A. Caubet და M. Yon-ის აზრით, მიუთითებს კულტურულ სხვაობას მესოპოტამიურ მოდელებთან და მსგავსებას ჩრდილოეთ სირიის რეგიონთან, სადაც მაკეტები ფართოდაა გავრცელებული, თუმცა იქ სამარხები სახლების ქვეშ არაა დადასტურებული [Rouault 2004: 275].

ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი ძვ.წ. III-I ათასწლეულების სირიაში, თიხისგან დამზადებული შენობების მაკეტები დეტალურად შეისწავლა და გამოაქვეყნა ბ. მიულერმა [Muller 2002]. იგი აღნიშნავს მათ საოცრად ფართო ქრონოლოგიურ და სივრცობრივ გავრცელებას ნეოლითიდან კლასიკურ ეპოქამდე. ეს სიტუაცია იწვევს ამ საკითხისადმი მრავალმხრივ მიდგომასა და განსხვავებულ ინტერპრეტაციას. ბ. მიულერმა მინიატურული სახლების რამდენიმე ტიპოლოგიური რიგი გამოყო [Rouault 2004: 272].

სირია-პალესტინაში აღმოჩენილი მაკეტები P. M. Daviau-მ ხუთ ძირითად ტიპად დაყო: ორსართულიანი შენობები ფანჯრებით (ტაბ. III_{3-5}), კოშკები (ტაბ. III_{6-9}), ერთოთახიანი *naiskoi,* ქოთნის ფორმის საკურთხევლები (ტაბ. II_{11}) და პატარა ზომის „ნიშები" [Daviau 2008: 293].

სირია-პალესტინური მაკეტები, რომლებსაც ჟ. მარგერონი „კოშკებს" უწოდებს, წარმოადგენენ წაგრძელებული პირამიდის ფორმის არქიტექტურულ მაკეტებს (ტაბ. III_{6-9}), რომელთა სახურავი ორმაგი რქებით არის შემკული [Margueron 1976: 199-200]. ემარში აღმოჩენილი ამ კატეგორიის საგნების ზედაპირი შემკულია ამოკაწრული ხაზებით, ორნამენტირებული სარტყლებით და ღრმა წერტილებით, რომლის თავზეც ხუთი ვერტიკალური ხაზით ორნამენტირებული შვერილები – „ლომის თათებია" განლაგებული (ტაბ. III_9). ზედა ნაწილში ორი სიმეტრიული ღიობი – ფანჯარა აქვს. ერთ-ერთი კოშკის ფრაგმენტის ფანჯარას ქალის რელიეფური გამოსახულება ამკობს. „სახურავი" ორი წყვილი რქისებური შვერილით არის დაგვირგვინებული, რომელიც ჟ. მარგერონის აზრით, კნოსოსის ცნობილ „რქიან" საკურთხეველს მოგვაგონებს [Margueron 1976: 202, 209].

თიხისგან დამზადებული კონუსური და ცილინდრული ფორმის კოშკის მოდელის ფორმის ნივთი, მ. დავიოს აზრით, შესაძლოა საკულტო სადგრებს წარმოადგენდნენ. მათი სახურავები შესაწირავების, ჭურჭლის დასადგმელად ან სასაკმევლედ გამოიყენებოდა [Daviau 2008: 293]. ამ კატეგორიის ნივთები შემკული იყო მოხატული ან რელიეფური სარტყლებით. ზოგიერთს ფანჯრები აქვს, ზოგს კი – რელიეფური გამოსახულებები ამკობს [Shiloh 1993: 1015]. თუმცა ფუნქცია ერთი აქვთ – ეს არის საკულტო სადგრები და ისინი პალესტინაში ძვ.წ. I ათასწლეულის მანძილზე გამოიყენებოდა [Daviau 2008: 293].

სამხრეთ ევროპის ენეოლითურ ძეგლებსა [Гимбутас 2006: სურ. 3-53; Рыбаков1981: 162,163; Whittle 1996: 88, სურ. 4.5] და ეგვიპტეში [http://www.britishmuseum.org/explore/highlights/highlight_objects/aes/t/terracotta_model_of_a_house.aspx] ხშირად გვხვდება სახლის თიხის მაკეტები, რომლებიც ინტერიერის მოწყობით გამოირჩევიან. ამით ისინი არსებითად განსხვავდებიან ახლო აღმოსავლეთის და სამხრეთ კავკასიის არქიტექტურული მაკეტებისაგან, რომლებიც მხოლოდ ფასადის მიხედვით აღიქმება სახლებად. მაკეტების შიდა პირი დაუმუშავებელია, კედლები მეტად უხეშია, ინტერიერი მოუწყობელია და მასზე აქცენტი საერთოდ არ არის გამახვილებული.

სამხრეთ კავკასიის მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე დადასტურებული შენობების მაკეტები ორი ჯგუფად შეიძლება დაიყოს: I. კოშკები და II. სახლები.

I. კოშკები წარმოადგენენ ოთხკუთხა ფორმის, სწორგვერდა, მაღალ, ორ, ან მეტ სართულიან არქიტექტურულ ნაგებობებს (ქვაცხელები, ოზნი, ამირანის გორა, გუდაბერტყა). მათ ძირი ბრტყელი აქვთ, „სახურავი" კი უმეტეს შემთხვევაში ნაკლულია. ქვაცხელების მაკეტს შემორჩენილი აქვს ბრტყელი გადახურვა, რომლის შუაში

მილისებური „საკვამლე“ მრგვალი ნახვრეტია. ამირანის გორის მაკეტსაც ზედა ნაწილში მილისებური, ყელთან გაფართოებული ნახვრეტი აქვს. მაკეტების კედლების ზედა ნაწილში „ფანჯრებია“ გაჭრილი. ქვაცხელების სასაკმევლეს მ. ჯანდიერი სწორკუთხა გეგმარების მქონე სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკის მაკეტად მიიჩნევს. კოშკის პირველ სართულს ყრუ კედლები აქვს, შესასვლელი კი მეორე სართულზეა გაჭრილი [Джандиери 1981:137]. ქვაცხელების სახლი ტიპოლოგიურად ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში ძვ.წ. IV ათასწლეულში გავრცელებული კოშკური ტიპის საცხოვრებლების მსგავსია [Джандиери 1981:120-124]. ამ ტიპის არქიტექტურამ კავკასიაში თავი დღემდე შემოინახა [Джандиери 1981:153, სურ.13,14,18]. მრავალსართულიანი კოშკები მტკვარ-არაქსულ ძეგლებზე ჯერჯერობით არ არის გათხრილი. თუმცა, ჩრდილოეთ სირიაში, ტელ ხაზნაში გაითხარა საკულტო კომპლექსი, რომელშიც შედიოდა რვა მეტრის სიმაღლის კოშკი. კოშკს ზე და ნაწილში ფანჯრებიც ჰქონდა. ეს კომპლექსი ფუნქციონირებდა ძვ.წ. IV ათასწლეულის მიწურულიდან III ათასწლეულის შუა ხანამდე [Мунчаев, Мерперт 2001:53-57]. შესაძლოა ტელ-ხაზნას საკულტო კოშკის მსგავსი ნაგებობები პროტოტიპად დაედო არქიტექტურულ მაკეტებს სამხრეთ კავკასიიდან.

II. სახლები ძირითადად ერთ არქიტექტურულ ტიპს – ერდოიან სახლს წარმოადგენენ. გეგმარების მიხედვით მათში ორი ქვეტიპი უნდა გამოიყოს – წრიული (ხიზანაანთ გორა) და ოთხკუთხა (დიგაშენი). მაკეტები დიგაშენიდან და ხიზანაანთ გორიდან, როგორც ჩანს, წარმოადგენდნენ თანადროული, ან ოდნავ ადრეული სახლების მინიატურულ მოდელებს. ა. ჯავახიშვილი სახლის მაკეტებში ყოფაში არსებული საცხოვრებლის ასლს ხედავდა [Джавахишвили 1977:122]. გ. ჩიტაია საცხოვრისის ერთ-ერთ არქაულ ფორმად დარბაზული ტიპის სახლს მიიჩნევდა, რომლის სახურავიც ერდოიან გვირგვინიანია. მისი აზრით, ამ ტიპის სახლების „ყველაზე არქაული პროტოტიპები ქვაცხელებისა და ამირანის გორის სახით ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულის შუა პერიოდში უნდა არსებულიყო“ [ჩიტაია 2001: 175].

ბ. მიულერის აზრით, არ ჩანს პირდაპირი კავშირი ერთი რეგიონის და ეპოქის მაკეტებსა და მათი თანამედროვე არქიტექტურას შორის [Muller 1995: 375]. თუმცა ლ. ვული ხედავდა მსგავსებას ალალახის XII ფენის ტაძარსა და სეელემიეს მაკეტს შორის [Вулли 1986: 49], ო. კალო კი – უგარითის ბაალის ტაძარსა და ჩრდილო სირიაში ნაპოვნ „ტერასიანი“ სახლების მაკეტებს შორის [Muller 1995: 376].

სახლების მაკეტების სიმბოლური დატვირთვა (ქალის, ფრინველის, თევზის, გველის გამოსახულება) თითქოს უნდა გამორიცხავდეს მათ უტილიტარულ გამოყენებას. საერთო მსგავსების მიუხედავად, თითოეული მაკეტი ორიგინალობით გამოირჩევა, რაც ბ. მიულერს ავარაუდებინებს მათ საოჯახო კულტში გამოყენებას [Muller 1995: 377]. მისი აზრით, სახლების მაკეტები ჩრდილოეთ სირიიდან – ემარიდან, მუმბაქადან, ტელ ფრაიდან, ტელ ბიადან, ანდა ჩრდილო მესოპოტამიიდან – ნუზადან, წარმოადგენენ ძვ.წ. II ათასწლეულის პატარა ქალაქებში მცხოვრები ვაჭრების და ხელოსნების საგვარეულო სალოცავებს [Muller 1995: 378]. ამ შეხედულებას ემხრობა ვან დერ ტოორნი, რომელიც წერილობით წყაროებზე დაყრდნობით მივიდა დასკვნამდე, რომ თიხის მოდელები, რომლებიც ძალზე პოპულარული იყო ძვ.წ. II ათასწლეულის ემარში, ემსახურებოდა რიტუალებს საოჯახო კულტებში [Toorn 1995:37].

ჩრდილოეთ სირიაში, ევფრატის კაშხალის მშენებლობისას, გამოვლინდა ძეგლები, სადაც მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა. ასეთებია ეკალთე (თანამედროვე ტელ მუნბაქა), აზუ (ტელ ჰადიდი), ტელ ეს-სვეიჰათი, ტელ ელ ქიტარი, ტელ ფრეი, ტელ ჰალავა, ემარი (მესკენე). ამ ძეგლებზე მნიშვნელოვანი წერილობითი წყაროებიც აღმოჩნდა. ტექსტების დიდი უმრავლესობა ძვ.წ. 1600-1200 წწ. თარიღდება [Toorn 1995: 35]. ქალაქი ემარი ხეთების სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციის – აშტატას ნაწილს წარმოადგენდა. ტექსტები ემარიდან მდიდარი ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ბრინჯაოს ხანის ჩრდილოეთი სირიის ეკონომიკის, კულტურის და სოციალური ყოფის შესასწავლად. წერილობითი წყაროებიდან გამომდინარე, ემარის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს საოჯახო კულტი ეკავა. სხვადასხვა ხასიათის ტექსტებში ხშირად მოიხსენიებიან ოჯახის ღმერთი, ან ღმერთები. ძირითადი მემკვიდრე, რომელსაც მთავარი სახლი ეკუთვნის, ვალდებულია იზრუნოს, ილოცოს და პატივი სცეს „მისი მამების ღმერთებს და მიცვალებულებს“. ძირითად მემკვიდრეს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ოჯახის „ღმერთების და მიცვალებულების“ კულტის დაცვაზე [Toorn 1995:37]. გვიანი ბრინჯაოს ხანის ემარის მოსახ-

ლეობას სწამდა, რომ ოჯახის მფარველი ღმერთები ბინადრობენ ძირითად სახლში. ტექსტებში ნათქვამია, რომ „ღმერთები ძირითად სახლს ეკუთვნიან“. საოჯახო კულტს ასახავდა გამოთქმაც „ჩემი ღმერთები და ჩემი მიცვალებულები“ [Toorn 1995: 37-38].

ოჯახის მფარველ ღმერთებთან, თუ გაღმერთებულ წინაპრებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული სახლების და კოშკების თიხის მაკეტები, რომლებიც მრავლადაა აღმოჩენილი ემარში. ზოგიერთი მაკეტი ზუსტი ასლია იმ შენობებისა, რომლებიც აქ გაითხარა. სახლის მაკეტები გამოიყენებოდა რიტუალებში, რომლებიც საოჯახო კულტს ემსახურებოდა. ოჯახის ზრდასთან ერთად მისი წევრები ძირითადი სახლის განაყოფები ხდებოდნენ. ასეთ შემთხვევებში დიდი ოჯახის განაყოფებს სურდათ საოჯახო კულტების ტრადიცია ახალ სახლშიც გაეგრძელებინათ. სახლის მაკეტი, ვან დერ ტოორნის აზრით, წინაპრების სახლის ასლი იყო და რიტუალებში, ალბათ, მაკეტი მონაწილეობდა. ოჯახის განაყოფებს აღარ ეკუთვნოდათ წინაპრების სახლი და მაკეტის მეშვეობით ისინი სიმბოლურად ამყარებდნენ კავშირს ძირითად სახლში მობინადრე ოჯახის ღმერთებთან და მიცვალებულებთან [Toorn 1995: 37-38].

შესაძლოა, ხიზანაანთ გორას ნამოსახლარზე აღმოჩენილი წრიული ფორმის არქიტექტურული მოდელი (ტაბ. I_1) სწორედ წინაპრების სახლს განასახიერებდა. ამაზე, ალბათ, ისიც მიუთითებს, რომ მაკეტი ნაპოვნია C ფენაში, რომელსაც ოთხკუთხა არქიტექტურა ახასიათებს, მაგრამ ის ასახავს იმ ტიპის სახლს რომელშიც წინაპრები ცხოვრობდნენ. ხიზანაანთ გორის C ფენის წინამორბედი, D ფენა ხომ სწორედ მაკეტის მსგავსი, წრიული ფორმის სახლებით არის წარმოდგენილი. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ხიზანაანთ გორის მაკეტი წინაპრების სახლს წარმოადგენდა და ის გარკვეულ როლს ასრულებდა წინაპრების კულტთან დაკავშირებულ საოჯახო რიტუალებში.

ენეოლითის ეპოქის პალესტინაში მინიატურული სახლები საძვალეებს, ბრინჯაოს ხანის ჩრდილოეთ სირიაში – წინაპართა სახლებს წარმოადგენდნენ, რომელიც სიმბოლურად „ოჯახის ღმერთების და მიცვალებულების“ სამყოფელს განასახიერებდა. უბეიდის და ურუქის პერიოდის მესოპოტამიაში სახლების ფორმის სასაკმევლეები ტაძრებში იდგა და ღმერთების, თუ გაღმერთებული წინაპრებისადმი მიძღვნილ ცერემონიაში იყენებდენენ. როგორც ჩანს, ყველა შემთხვევაში არქიტექტურული მაკეტები წინაპრების კულტთანაა დაკავშირებული.

მტკვარ-არაქსის კულტურის არეალში აღმოჩენილი შენობების მაკეტები საკმაოდ მცირერიცხოვანია და ტიპოლოგიურად მსგავსებას იჩენენ მესოპოტამიურ და პალესტინურ ნიმუშებთან, რომლებიც გაცილებით ადრეული ეპოქით თარიღდება. ადრებრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიაში შენობების მაკეტები, შესაძლოა, მესოპოტამიურ-სირიული საკულტო პრაქტიკის მიბაძვით გაჩნდა და ისევე, როგორც ახლო აღმოსავლეთში, საოჯახო-საგვარეულო ცერემონიებში გამოიყენებოდა, ხოლო მათ დამკვიდრებას კავკასიაში ხელი შეუწყო მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების ახლო კონტაქტებმა ჩრდილოეთ მესოპოტამიის და პალესტინის უძველეს მოსახლეობასთან, რომელთა საკულტო პრაქტიკაში შენობების მოდელებს გარკვეული საკრალური მნიშვნელობა ჰქონდათ უძველესი დროიდან.

Nino Shanshashvili

EARLY BRONZE AGE HOUSE MODELS FROM THE SOUTH CAUCASUS

Summary

Models of the houses appear in the South Caucasus in early Bronze Age. They are discovered on settlements of Kura-Arax culture (Khizanaant Gora, Kvatskhelebi, Amiranis Gora, Ozni, Digasheni and Gudabertka). All of them are made from clay and are hand-modelled.

In the Near East region house models are known from the Neolithic period. Small sized gable-roof house models were discovered in Tell-Arpachiyah and are dated from Halafian and Ubaidian periods.

In the 5th-4th mill. B.C. in Mesopotamia, building shape models with windows were used as incense-burners. Objects of this kind were discovered at Tepe-Gawra of Ubaid period as well as in Khafajah and Ur of Jemdet-Nasr period. Also it must be mentioned that in Palestine in the 4th millennium B.C house models were used as ossuaries. It is remarkable that such models are not found either in Anatolia, or in other region of Caucasus.

Models of buildings discovered on the settlements of Kura-Arax in the South Caucasus can be divided in to two groups: 1. Towers and 2. Houses.

1. Towers are square shaped, precise side, tall architect buildings with two or more floors (Kvatskhelebi, Ozni, Amiranis Gora, Gudabertka). They have flat bottom and in most cases "roof" is not full. The model from Kvatskhelebi has flat roof with tube type "chimney" in it. The model from Amiranis Gora in its upper part also has a tube type hole, broadened in neck. Both models have "windows" in the upper part. Kvatskhelebi house typologically is similar to the tower type houses which were spread in the Near East and Mediterranean region in 4th mill. B.C. The architecture of this type is preserved in the Caucasus till now. There are no many floored towers discovered on the Kura-Arax sites yet. However an eight metre high tower was discovered in North Syria, on Tell-Khazna cult complex which had windows in its upper part. This complex functioned from the end of the 4th mill. B.C. till the middle period of the 3rd mill. B.C. It is possible that Tell-Khazna's cult tower type buildings had the architectural models from south Caucasus as a prototype.

2. The houses basically represent one architectural type - house with flat roof. According to the architect planning we can single out two subtypes - round shaped (Khizanaant Gora) and square shaped (Digasheni) models. The house models from Digasheni and Khizanaant Gora seem to be miniature representations of contemporary, or earlier living houses. A. Javakhishvili thought that the house models were copies of the houses used for living.

The models discovered in the area of the Kura-Araxes culture are not numerous and typologically resemble the ones from Palestine and Mesopotamia, which are dated to a significantly earlier period. The models of buildings from the South Caucasus of the Early Bronze Age probably appeared by imitation of the Mesopotamian-Syrian cult practice. It seems that like in the Near East, they were used for ritual purposes of the family cult. Their implementation in the Caucasus was provoked by the close contacts between the tribes of Kura-Arax culture and the ancient population of North Mesopotamia and Syria-Palestine, where cult practice building models were of distinct sacral meaning from old times.

ლიტერატურა

კიკვიძე ი. 1972: ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი ხიზანაანთ გორა. თბილისი.

ჩიტაია გ. 2001: საუნივერსიტეტო ლექციების კურსი ეთნოგრაფიაში. "სვეტები". ტომი IV. თბილისი.

ჩუბინიშვილი ტ. 1963: ამირანის გორა. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1976: ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.

Анати Э. 2007: Палестина до древних евреев. Москва.

Вулли Л. 1986: Забытое царство. Москва.

Гимбутас М. 2006: Цивилизация Великой Богини. Мир древней Европы. Москва.

Глонти Л., Джавахишвили А., Джавахишвили Г., Киквидзе Я., Тушабрамишвили Д. 1968: Некоторые итоги полевых работ 1964 года Урбнисской и Квирильской археологических экспедиций. – ССММ, XXV-B, 3-14.

Джавахишвили А. 1973: Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тыс. до н.э. Тбилиси.

Джандиери М. 1981: Древнее башенное общинное жилище. – ВДИ, № 2, 118-155.

Жоржикашвили Л., Гогадзе Э. 1974: Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тбилиси.

Корниенко Т. 2006: Первые храмы Месопотамии. Санкт-Петербург.

Куфтин Б. 1948: Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тбилиси.

Мунчаев Р., Мерперт Н. 2001: Культовая башня III тыс. до н.э. в Телль Хазне I, Сирия.- კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი, დამატებანი, VI), 51-62.

Орджоникидзе А. 1995: Работы Джавахетской экспедиции на памятниках бронзового века. – ПАИ в 1987 году.Тбилиси, 80-82.

Рыбаков Б. 1981: Язычество древних славян. Москва.

Boehmer R.M., Güterbock H.G. 1987: Glyptik aus dem Stadtgebiet von Boğazköy. Berlin.

Gilead, I. 1993: Gerar, Site E. In: E. Stern (ed.),The New Encyclopedia of Archaeological Excavations in the Holy Land. Vol. II, Jerusalem, 469.

Goff B.L. 1963: Symbols of prehistoric Mesopotamia. London.

Greaves A., Helwing B. 2003: Archaeology in Turkey: The Stone, Bronze and Iron Age, 2000.- AJA, vol. 107, No. 1, 71-103.

Daviau P.M. 2008: Ceramic architectural models from Transjordan and the Syrian tradition. –Proceedings of the 4th International Congress of the Archaeology of the Ancient Near East. Wiesbaden, 293-308.

Dshaparidze O. 1995: Die Kura-Araxes Kultur. – In: Miron A., Orthmann W. (Ed.) Unterwegs zum Goldenen Vlies. Archäologische Funde aus Georgien. Saarbrücken, 57-62.

Fortin M. 1999: Syrie, terre de civilizations. Québec.

Frangipane M. 2004: Arslantepe. Alle origini del potere. La collina dei leoni. Milano

Kaplan, J. 1993: Givataym. In: E. Stern (ed.), The New Encyclopedia of Archaeological Excavations in the Holy Land, Vol. II, Jerusalem, 520-521.

Levy, T.E. and Alon, D. 1993: Gilat. In: E. Stern (ed.), The New Encyclopedia of Archaeological Excavations in the Holy Land. Vol. II, Jerusalem, 516-517.

Mallowan M. E. L. and Cruikshank Rose J. 1935: Excavations at Tall Arpachiyah, 1933. – Iraq, Vol. 2, No. 1, 1-178.

Margueron J. 1976: "Maquettes" architecturales de Meskene-Emar. – Syria, 53, fasc.3/4, 193-232.

Marquet-Krause J. 1935: La deuxieme campagne de fouilles à Ay (1934). Rapport sommaire. – Syria, 16, fasc. 4, 325-345.

Muller B. 1995: Deux nouvelles "Maquettes architecturales" en terre cuite du Moyen-Euphrate Syrien. – Syria, 72, 357-380.

Muller B. 2002: Les "maquettes architecturales" du Proche-Orient ancien, Mesopotamie, Syrie, Palestine du III au milieu du I millénaire av. J.-C., 2 volumes. Beyrouth.

Nissinen M. and Münger S. 2009: "Down the river...": A shrine model from Tel Kinrot in its context. – A Timeless Vale. Archaeological and Related Essays on the Jordan Valley in Honour of Gerrit van der Kooij on the Occassion of his Sixty-fifth Birthday (Archaeological Studies Leiden University 19). Edited by E. Kaptijn/L.P. Petit. Leiden. 2009: 129-144. http://www.kinneret-excavations. org/download_files/Nissinen _Muenger_ 2009.pdf.

Parrot A. 1955: Les fouilles de Mari. Dixième campagne. – Syria, 32, fasc. 3/4, 185-211.

Rouault O. 2004: Bibliographie: B. Muller (ed.), avec D. Vaillancourt, Maquettes architecturales de l'antiquité. Regards croisés (Proche-Orient, Égypte, Chypre, bassin égéen et Grèce, du Néolitique à l'époque hellénistique), Actes du Colloque de Strasbourg, 3-5 décembre 1998. – Syria, 81, 271-276.

Shiloh Y. 1993: Megiddo. – E. Stern (ed.), The New Encyclopedia of Archaeological Excavations in the Holy Land. Vol. III, Jerusalem, 1012-1015.

Toorn van der K. 1995: The domestic cult at Emar. – Journal of Cuneiform Studies, Vol. 47, 35-49.

Whittle A. 1996: Europe in the Neolithic. The creation of new worlds. Cambridge.

Woolley L. 1934: Ur Excavations. Vol. II. The Royal Cemetery. London.

Woolley L. 1955: Ur Excavations. Vol.IV. The Early Periods. Philadelphia.

Yadin Y. 1993: Hadera. In: E. Stern (ed.), The New Encyclopedia of Archaeological Excavations in the Holy Land. Vol. II, Jerusalem, 552-553..

http://www.usu.edu/markdamen/ANE/slides/m022_sumer2.pdf

http://www.iranica.com/articles/sang-chakhmaq

http://www.britishmuseum.org/explore/highlights/highlight_objects/aes/t/terracotta_model_of_a_house.aspx

ტაბულების აღწერა

ტაბ. I – 1. ხიზანაანთ გორა; 2. დიგაშენი; 3. ოზნი; 4. ამირანის გორა; 5. აი (იერუსალიმი); 6. ქვაცხელები: a) აღდგენილია ლ. ღლონტის და ო. ჯაფარიძის პუბლიკაციების მიხედვით [Глонти и др. 1968: ტაბ. I-31; ჯაფარიძე 1976: სურ. 43], b) სახლის მოდელი (საინვ. № 15-55: 1378).

ტაბ. II – 1. სანგ-ი ჩახმაკ (ირანი); 2. მარი [Fortin 1999: სურ. 282]; 3. ეგვიპტე; 4. გირიკანო; 5. ჰადერა [Yadin 1993: 553]; 6. აზორი [Анати 2007: 248]; 7. ჰედერაჰი [Анати 2007: 246]; 8,9. არპაჩია; 10. მეგიდო [Shiloh 1993: 1015]; 11. ჰაზორი [Nissinen, Münger 2009: სურ. 5-3]; 12. უგარითი [Nissinen, Münger 2009: სურ. 5-6]; 13. თეფე გავრა; 14,15. არსლანთეფე; 16. ბირ-საფადი [Анати 2007: 258]; 17. ური; 18. აი (იერუსალიმი); 19, 20. ერიდუ.

ტაბ. III – 1, 2. საბეჭდავები ურიდან; 3, 4. სახლის ფორმის საკურთხევლები მესოპოტამიიდან. 5. სელემიე [Fortin 1999: სურ. 289]; 6-9. მესკენე-ემარი (სირია); 10. აჩემ-ჰუიუქი; 11. საბეჭდავი მესოპოტამიიდან [http://www.usu.edu/markdamen /ANE/slides/m022_sumer2.pdf]

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – 1. Khizanaant Gora; 2. Digasheni; 3. Ozni; 4. Amiranis Gora; 5. Ai (Jerusalem); 6. Kvatskhelebi: a) restored according to the publications of L. Ghlonti and O. Japaridze; b) house model (inv. No 15-5: 1378).

Pl. II – 1. Sang-i Chakhmaq (Iran); 2. Mari [Fortin 1999: fig. 282]; 3. Egypt; 4. Giricano; 5. Hadera [Yadin 1993: 553]; 6. Azor [Анати 2007: 248]; 7. Hederah [Анати 2007: 246]; 8-9. Arpachyah; 10. Meggido [Shiloh 1993: 1015]; 11. Hazor [Nissinen, Münger 2009: fig. 5-3]; 12. Ugarit [Nissinen, Münger 2009: figs. 5-6]; 13. Tepe Gawra; 14-15. Arslantepe; 16. Birsafad [Анати 2007: 258]; 17. Ur; 18. Ai (Jerusalem); 19-20. Eridu.

Pl. III – 1-2. Seals from Ur; 3-4. House shape shrines from Mesopotamia; 5. Selemye [Fortin 1999: fig. 289]; 6-9. Meskene-Emar (Syria); 10. Achem-Hüyük; 11. Seal from Mesopotamia [http://www.usu.edu/markdamen /ANE/slides/m022_sumer2.pdf]


1
0 2 4
2
0 2 4
3
0 2 4
4
0 6 12
0 6 12
5
0 4 8
0 4 8
6
a
b

ტაბ. II

1

2

3

4

5



6

7



8



9



10

11

ალექსანდრე ორჯონიკიძე

ბედენის კულტურა. მეცნიერული აზრის განვითარების ისტორიიდან

ცნობილია, რომ სამხრეთ კავკასიაში, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მტკვარ-არაქსის კულტურას ცვლის ახალი, ე.წ. ადრეული ყორღანების კულტურა. სამეცნიერო ლიტერატურაში იგი საფუძვლიანადაა განხილული, რაც გვათავისუფლებს მისი განმეორებით დახასიათებისაგან. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მასში გამოყოფენ ორ განსხვავებულ ჯგუფს – მარტყოფულს და ბედენურს. უკანასკნელი მნიშვნელოვნად განირჩევა როგორც მარტყოფული, ისე მტკვარ-არაქსული კულტურისაგან. არც მეზობელ რეგიონებთან ჩანს თითქოს მისი ახლო გენეტიკური კავშირი [ჯაფარიძე 1998: 131].

ახალი კულტურის გამოჩენამ იმთავითვე მიიპყრო კავკასიის სიძველეებით დაინტერესებულ მკვლევართა ყურადღება, რაც სათანადოდ აისახა კიდეც საკმაოდ მრავალრიცხოვან ნაშრომებში. ამ ნაშრომებისათვის თვალის გადევნება საშუალებას გვაძლევს დინამიკაში წარმოვიდგინოთ ბედენის კულტურის კვლევის უმთავრესი პრობლემები, ვეძიოთ გზები მათ გადასაჭრელად.

ბედენის კულტურის შესწავლაში პირობითად სამი ეტაპი შეიძლება გამოიყოს: I ეტაპი მჭიდროდ უკავშირდება გასული საუკუნის 30-იან წლებში, თრიალეთში, ბ. კუფტინის აღმოჩენებს; II ეტაპი ბედენის პლატოზე გ. გობეჯიშვილის წარმატებულ გათხრებს მოჰყვა; III ეტაპის გამოყოფას კი შიდა ქართლში ბედენური ნასახლარების გამოვლენა განაპირობებს.

თრიალეთში ჩატარებული გათხრებისას აკად. ბ. კუფტინმა გამოავლინა ადრეულ ყორღანთა ჯგუფი, რომლის ერთი ნაწილი, მარტყოფული, წინარე – მტკვარ-არაქსის კულტურასთან იჩენდა კავშირს, მეორე კი, შემდგომში ბედენურად განსაზღვრული, მარტყოფულისგან მკვეთრად განსხვავებული, მან ჯერ შუაბრინჯაოს, მოგვიანებით კი ადრებრინჯაოს ხანით განსაზღვრა, შენიშნა რა მასში შემორჩენილი წინამორბედი კულტურის ელემენტები [Куфтин 1941: 81; Куфтин 1948 : 26]. სამწუხაროდ ბ. კუფტინს აღარ გაუგრძელებია ამ კულტურის სპეციალური კვლევა. მიუხედავად ამისა, მისმა ნაშრომებმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა შემდგომში ბედენის კულტურის გამოყოფის, პერიოდიზაცია-ქრონოლოგიის შემუშავების, ადგილობრივ თუ სხვა კულტურებთან მისი დამოკიდებულების განსაზღვრის საქმეს.

თრიალეთის ამ დიდმნიშვნელოვან აღმოჩენებს მრავალი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩ. ბარნეის 1958 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელშიც ავტორი იძლევა თრიალეთის ბედენური ძეგლების პირველ ქრონოლოგიურ დანაწევრებას. იგი თრიალეთის ადრეულ ყორღანებს წინარე კულტურიდან მოწყვეტილად მიიჩნევს და თვლის, რომ ადრებრინჯაოს ხანის ეს კერამიკა ახლო დგას ჩრდილოკავკასიის ნაწარმთან, საიდანაც თრიალეთში ახალი მოსახლეობის შემოსვლას ვარაუდობს. ამაზე ჩ. ბარნეის ყველაზე მეტად აფიქრებინებს თრიალეთის XI ბედენური ყორღანის კერამიკაზე გამოყვანილი ორნამენტული მოტივები. ჩრდილოეთის სტეპებიდან შემოტანილად მიაჩნია მას მიცვალებულის ეტლით დასაფლავების წესიც [Burney 1958].

ჩ. ბარნეის ამ ნაშრომს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შემდგომში ბედენის კულტურის წარმომავლობის კვლევის საქმეში, მალევე მოჰყვა ოთ. ჯაფარიძის „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“ [ჯაფარიძე 1960]. თეთრიწყაროსთან გათხრილ ბედენურ ყორღანში ავტორი ხედავს მტკვარ-არაქსულთან ერთად თრიალეთის XI ყორღანისა და შუაბრინჯაოს ხანის კერამიკის ორნამენტის მსგავსი შემკობის მქონე ნაწარმს, რის გამოც იგი ამ ყორღანებს ადრებრინჯაოს ხანის ბოლოს, ან ადრედან შუაბრინჯაოზე გარდამავალ ხანას აკუთვნებს [ჯაფარიძე 1960: 5, 35].

ჩ. ბარნეის მსგავსად, თრიალეთში ადრეული ყორღანების გამოჩენას ჩრდილოეთიდან – შავიზღვისპირეთის სტეპებიდან შემოტანილად მიიჩნევს ჯ. მელაარტიც [Mellaart 1964: 36] .

გ. მელიქიშვილიც იზიარებს ჩ. ბარნეის მოსაზრებას თრიალეთის კულტურის მტკვარ-

არაქსულიდან მოწყვეტის შესახებ, რასაც ასევე ხალხის ახალი ნაკადის შემოსვლით ხსნის. თუმცა, ჩ. ბარნეისგან განსხვავებით, ახალი ტალღა, რომელმაც მტკვარ-არაქსის კულტურის განადგურება გამოიწვია, მას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოყავს [მელიქიშვილი 1965: 136].

ჩ. ბარნეის მოსაზრებამ ბედენური კულტურის ჩრდილოური წარმომავლობის შესახებ ახალი დასაბუთება ჰპოვა გ. გობეჯიშვილის მიერ ბედენის პლატოზე წარმოებული გათხრებით. აღნიშნავს რა ეთნო-კულტურული განვითარების უწყვეტობას, ბედენურ კერამიკაში ადრეული ადგილობრივი ტრადიციების შემონახვას, იგი ამჩნევს ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის – მაიკოპის კულტურის კერამიკისათვის დამახასიათებელი ელემენტების არსებობასაც. საინტერესოა, რომ ბედენზე ეს სიახლოვე ერთდროულად ვლინდება როგორც ადრემაიკოპური, ისე მოგვიანოდ მიჩნეული ნოვოსვობოდნაიას წრის კერამიკის ელემენტების სახით. ჩრდილოკავკასიურთან საერთო ნიშნების არსებობა ავტორს აფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ორ ახლომონათესავე კულტურასთან [გობეჯიშვილი 1967: 13-22].

აღნიშნული საკითხები უფრო ფართოდაა განხილული გ. გობეჯიშვილის მოგვიანებით გამოქვეყნებულ ნაშრომში. იგი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს წინააზიურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირების აღნიშვნას, ცდილობს ადგილობრივი – მტკვარ-არაქსული წინაპარი დაინახოს ბედენური თიხის ჭურჭლის ძირითადი ტიპების ფორმასა და ორნამენტში, რაც, მისი აზრით, მაიკოპისა და ბედენის კულტურების მონათესავეობაზე მიუთითებს. კიდევ უფრო ახლო კავშირს იგი დაღესტნის ძეგლებთან ამჩნევს [გობეჯიშვილი 1980: 53, 134]. ავტორი ნაადრევად მიიჩნევს იმის მტკიცებას, რომ ბედენი იყო წინააზიური კულტურის ჩრდილოეთში გადამტანი, მიუხედავად იმისა, რომ ეს მას უფრო მისაღებად მიაჩნია [გობეჯიშვილი 1980: 50, 134].

ფართოდ გაშლილი ახალმშენებლობების შედეგად ბედენის კულტურის ძეგლებმა მრავლად იჩინა თავი აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ერთ-ერთ ასეთ ძეგლს კახეთში გათხრილი ილტოს ნასახლარი წარმოადგენს, რომლის ქვედა ფენებში აღმოჩენილ კერამიკულ ნაწარმში შ. დედაბრიშვილი მტკვარ-არაქსის გვერდით განსხვავებულ თიხის ჭურჭელს გამოყოფს, რომელსაც ანალოგებს უძებნის, ერთის მხრივ, ბედენური წრის, მეორეს მხრივ კი – ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის ადრეულ მასალებში. ჩრდილოურ ელემენტებს ამჩნევს ის ქვემო ქედის სამარხის კოპებით შემკულ კერამიკაზეც, რასაც მაიკოპის კულტურის გავლენით, ან მასთან მჭიდრო კონტაქტების არსებობით ხსნის [Дедабришвили 1969: 60-63].

თრიალეთის ყორღანული კულტურის, მათ შორის ბედენური კერამიკის შემცველი სამარხების შესწავლაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ე. გოგაძის 1972 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიას. ეს ნაშრომი გამოირჩევა მასალის სკრუპულოზური ანალიზითა და ძალზე ფართო არეალზე მოძიებული პარალელების სიმრავლით. ევრაზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე გავრცელებულ ადრეულ კულტურებში იგი ცდილობს დაინახოს ის ოლქი, სადაც ბედენური თავისებურებები უფრო ადრე ჩნდება. თუმცა, ერთი კონკრეტული ოლქი ვერ იქნა მოძიებული, რადგან ასეთი თავისებურებები არაერთ კულტურას აღმოაჩნდა. მათი უმეტესობა კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებულ ისეთ ადრეულ კულტურებში ფიქსირდება, როგორიცაა ტრიპოლიე, ძველი ორმოსამარხები, მაიკოპური, კატაკომბური და სხვ. ბედენურ კერამიკაზე ევროპის დაშორებული ოლქების კულტურათა კერამიკული ელემენტების მთელი რიგი, მისი აზრით, იმ კერამიკული ტრადიციების მიმდევარი ხალხის ნაკვალევს უნდა ავლენდეს, რომელიც სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი თრიალეთში, ადრებრინჯაოს ხანის მიწურულს, ჩრდილოეთის რომელიღაც გზით ჩნდება. აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის დიდი კულტურული წრეების კერამიკის ეს ნიშნები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს სამხრეთ კავკასიაში მათ გამოჩენას. თუმცა, ეს თავისებურებები იმდენადაა დაშორებული ამიერკავკასიას ტერიტორიულად, რომ ავტორს უჭირს აქ უშუალოდ მეზობელი კულტურების გავლენები დაინახოს; არ გამორიცხავს შორეულ ოლქებთან გარკვეული ურთიერთობის არსებობას ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის ხანაშიც. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, საქმე ეხება მხოლოდ ცალკეულ ელემენტებს [გოგაძე 1972: 89-90].

ევროპის კულტურათა ელემენტების სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი თრიალეთში მომძლავრების მიუხედავად, ავტორი მაინც იმ აზრზეა, რომ ყორღანული სამარხების გამოჩენა პირველ რიგში თრიალეთის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება, სტიმულირებულს გარეგანი გავლენებით [გოგაძე 1972: 93]. ე. გოგაძის ამ ნაშრომმა ძლიერი კვალი დააჩნია ბედენის კულტურის კვლევის

საქმეს, რაც სათანადოდ აისახა კიდეც სამეცნიერო ლიტერატურაში.

რამდენადმე განსხვავებული პოზიციაა ჩამოყალიბებული ალ. ჯავახიშვილის 1973 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში. ავტორი თრიალეთის ბედენური ჯგუფის ყორღანებში იმ ნიშნებს ხედავს, რაც შემდგომ თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის კულტურას ახასიათებს. ამიტომ ამ ჯგუფს იგი შუაბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს აკუთვნებს. მსგავსი მასალების შემცველი სხვა ძეგლები კი ადრედან შუაბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ეტაპის ამსახველად მიაჩნია. ავტორი ბედენურად თვლის ილტოს ნასახლარს, თეთრიწყაროსა და ქვემო ქართლის ყორღანებს და აღნიშნავს, რომ ახალი კულტურა იკავებს გენეტიკურად მასთან დაკავშირებულ მტკვარ-არაქსის კულტურის ადგილს [Джавахишвили 1973: 266-267].

ქვემო ქართლში გათხრილი ყორღანების მასალაში ო. ჯაფარიძე ხედავს როგორც ბედენური, ისე მტკვარ-არაქსული კულტურის ნაწარმს, ამჩნევს ჩრდილო კავკასიიდან მომდინარე იმპულსებს [ჯაფარიძე 1975: 137-165].

ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით საინტერესოა დოესის ყორღანი. აქ აღმოჩენილი მტკვარ-არაქსული ჭურჭლის უახლოეს ანალოგად ზ. შატბერაშვილს ტყვიავის ყორღანის კერამიკა მიაჩნია, ბედენურს კი ხოვლესა და თრიალეთის ყორღანების შესაბამის მასალებს უდარებს [Шатберашвили 1976: 55].

1976 წელს ქვეყნდება ოთ. ჯაფარიძის მონოგრაფია, რომელშიც საფუძვლიანადაა გაანალიზებული კავკასიისა და მიმდებარე ოლქების ადრეული კულტურები. ნაშრომში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ბედენის კულტურასაც. ნიშანდობლივია, რომ ავტორი ამ კულტურას განიხილავს ჩრდილოკავკასიური კულტურებისადმი მიძღვნილ თავში. ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოსათვის ამიერკავკასიაში იგი შენიშნავს ჩრდილოეთიდან წამოსულ გარკვეულ იმპულსებს. ხაზგასმულია სიახლოვე ბედენისა და მაიკოპის კულტურის, განსაკუთრებით კი ნოვოსვაბოდნაიას ჯგუფის თიხის ჭურჭელთან. თუმცა, ბედენის კულტურის ჩამოყალიბებაში ჩრდილოეთიდან მომდინარე იმპულსების გარდა, ავტორი ადგილობრივ ელემენტსაც გარკვეულ როლს ანიჭებს. მისი აზრით, ჩრდილოეთთან ურთიერთობის პროცესი ხანმოკლე უნდა ყოფილიყო, რადგან მალევე, ამიერკავკასია კვლავ სამხრეთული გავლენების სფეროში ექცევა [ჯაფარიძე 1976: 246,250].

ბედენის კულტურის ფორმირების საქმეში ჩრდილოური კულტურების მონაწილეობას არ გამორიცხავს გ. ქავთარაძე [ქავთარაძე 1978: 5-19].

მეტალურგიის, განსაკუთრებით კი ოქრომჭედლობის მაღალი დონე, კალიანი და მრავალკომპონენტიანი ლითონის შენადნობების გამოჩენა ბედენურ ძეგლებზე, სამხრეთ კავკასიაში ანატოლიის მხრიდან ეთნიკური ჯგუფების ან ახალი იდეების შემოსვლის მაჩვენებლად მიაჩნია შ. დედაბრიშვილს [Дедабришвили 1979: 65-67].

სრულიად საპირისპირო მოსაზრებაა გამოთქმული გ. ქავთარაძის მონოგრაფიაში, სადაც ავტორი ყორღანების გავრცელებას კვლავინდებურად ჩრდილოეთიდან მესაქონლე ტომების შემოჭრას უკავშირებს [ქავთარაძე 1981: 65-66; 92-102].

1982 წელს ო. ჯაფარიძე კვლავ უბრუნდება თრიალეთის ადრეული ყორღანების თემას და თვლის, რომ ჯერ კიდევ გაურკვეველია ბედენის კულტურის კავშირი თრიალეთურთან ისევე, როგორც მისი წარმომავლობა [Джапаридзе 1982: 29-38].

ამიერკავკასიის სამხრეთით ბედენის კულტურის ნიშნების არარსებობა, ზოგის აზრით, ხაზს უსვამს ევროპული სამყაროსადმი მის დამოკიდებულებას [ორჯონიკიძე 1983: 106].

ბედენის კულტურის შესწავლის საქმეში უთუოდ ახალი, დიდმნიშვნელოვანი ეტაპის დაწყებას გულისხმობს ამ ხანის ნასახლარი ფენების გამოვლენა შიდა ქართლში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერიკლდეების ნამოსახლარი, რომლის კერამიკაში გამოყოფენ „ბედენურ“ და „ხოვლურ“ ეტაპს. მისი კერამიკა მორფოლოგიურად იწევს უფრო ხოვლეს, ქვემო შულავერისა და მარტყოფის ყორღანების მასალებისაკენ, ვიდრე საკუთრივ ბედენისაკენ. საცხოვრებელში აღმოჩენილ სამსხვერპლოს, კერასა და კულტის სხვა ატრიბუტებს უკავშირებენ კავკასიას, წინააზიასა და ეგეოსურ სამყაროს [Глонти, Джавахишвили 1987: 80-87; ღლონტი, ნემსაძე, ჯავახიშვილი 1986: 36-44].

სტრატიგრაფიულად განლაგებულ რამდენიმე სამშენებლო დონეს შეიცავს ხაშურის ნაცარგორაზე, მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურების ნაწარმის შემცველი ფენა. ალ. რამიშვილი აღნიშნავს, რომ აქ პირველად გახდა შესაძლებელი თვალი გავადევნოთ მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში ბედენის კულტურის პირველ

გამოჩენასა და განვითარებას [რამიშვილი 1987: 31-35].

კ. ფიცხელაური ბედენურ კერამიკას არსებითად განასხვავებს მარტყოფულისაგან და მას უფრო თრიალეთური კულტურის კერამიკას უახლოვებს. თუმცა, მათ შორის გენეტიკური კავშირის დადგენას ჯერ კიდევ ნაადრევად მიიჩნევს; მკვეთრად ანსხვავებს მარტყოფულ და ბედენურ ლითონის ნივთებსაც. ბედენის ბრინჯაოს ინვენტარის პარალელებს იგი პოულობს როგორც წინა აზიაში, ისე მთელ ცირკუმპონტურ ზონაში [Пицхелаури 1987: 21-26]; აღნიშნავს უცხოური წარმომავლობის, როგორც ჩრდილოური, ისე სამხრეთული გავლენების მატარებელი კულტურების შემოჭრას, რაც მტკიცდება მარტყოფული და მასთან ნაკლებად დაკავშირებული მტკვარ-არაქსული მასალის თანააარსებობით ხაშურის ნაცარგორასა და სიონზე. მნიშვნელოვან ფაქტორადაა მიჩნეული მარტყოფული და ბედენური ძეგლების არსებობა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რომლებიც კ. ფიცხელაურის აზრით, წარმოადგენს რეგიონის ერთადერთ დამახასიათებელ არქეოლოგიურ კომპლექსებს ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში. ავტორი აქვე ეხება ბედენისა და თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის კულტურების ურთიერთობის საკითხსაც. მთელი რიგი ელემენტების სიახლოვის არსებობის მიუხედავად, ამ კულტურებს შორის გენეტიკურ კავშირს იგი უარყოფს [Пицхелаури 1988: 218-225].

ფართოდაა განხილული ბედენის კულტურა ო. ჯაფარიძის ამავე პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომებში [ჯაფარიძე 1988; ჯაფარიძე 1989; ჯაფარიძე 1991]. იგი აღნიშნავს ახალი ელემენტების შემოსვლას ამიერკავკასიაში, ავლებს პარალელს ჩრდილოკავკასიურ კულტურებთან, განსაკუთრებით – ნოვოსვობოდნაიასთან, ხედავს რა მათ შორის არსებულ საგრძნობ სხვაობასაც [ჯაფარიძე 1988: 25-40]. მოჰყავს წინააზიური პარალელებიც და თვლის, რომ სწორედ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში აისახა დაკრძალვის რიტუალში ჩრდილოური და სამხრეთული ტრადიციები – ყორღანში მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვის წესი [ჯაფარიძე 1989: 28]. თუმცა, სამხრეთთან ურთიერთობის გამოცოცხლებას არ მოჰყოლია მეურნეობის ხასიათის ცვლილება – ეკონომიკაში მესაქონლეობის როლი საკმაოდ მაღალი იყო. ავტორის აზრით, კულტურის განვითარების ხაზი უფრო ჩრდილოურთანაა ახლო, ვიდრე სამხრეთულთან. წინააზიასთან ურთიერთობა ძვ.წ. III ათასწლეულის განმავლობაში უფრო მეტად შესამჩნევია მეტალურგიასა და საიუველირო საქმეში, კერამიკაში კი – ნაკლებად. ამიტომ, ამ დროისათვის სამხრეთიდან მოსახლეობის რაიმე მნიშვნელოვან გადმოადგილებას ავტორი გამორიცხავს. თუ მოსახლეობის ახალი მასის გამოჩენაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს მას ჩრდილოეთიდან უფრო წარმოუდგენია, ავტორი თვლის, რომ ბედენის დროს საბოლოოდ იშლება წინარე, მტკვარ-არაქსული ტრადიციები და ყალიბდება თრიალეთური კულტურის საწყისები [ჯაფარიძე 1989: 35-36; ჯაფარიძე 1991: 151- 153].

საპირისპირო მხრიდან, სამხრეთიდან ვარაუდობს ზოგიერთი მკვლევარი ცენტრალურ ამიერკავკასიაში ადრეთრიალეთური და ბედენური ჯგუფების შეჭრას და მათ სინთეზირებას ადგილობრივთან. ამასთან, მტკვარ-არაქსული ცენტრები მთლად არ ნადგურდება და ასრულებს კატალიზატორის როლს თრიალეთის კულტურის შექმნაში [Ростунов, Наглер 1989: 86-88].

განიხილავს რა ე.წ. ცირკუმპონტურ ზონაში ეთნოკულტურულ სიტუაციას, ნ. მერპერტი დასაბუთებულად აკრიტიკებს ი. მახნიკს კულტურათა მოძრაობისა და დიფუზიის მიმართულებად ძირითადად აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიჩნევის გამო. მისი აზრით, ასეთი მიდგომა არ ასახავს მოვლენათა განვითარების სრულ სურათს, რადგან მეორე პლანზე დგება პირუკუ მოძრაობის, კონტაქტების, ასიმილაციისა და სხვა საკითხები. ადრებრინჯაოს ხანაში ეთნოკულტურული ძვრები გაუგებარი იქნებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთევროპული მოსახლეობის ანატოლია-კავკასიის მიმართულებით გააქტიურების გათვალისწინების გარეშე. ამგვარი გააქტიურების ნიშნებს იგი ამჩნევს ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაზე. ანალოგები მას მოგვიანო ხანისთვისაც მოეპოვება. მაგალითად, ბერიკლდეების ბედენურ კომპლექსებში „რქიანი ყურების“ სახით. მასობრივი ნივთების მსგავსებები, მისი აზრით, იყო შედეგი არა ერთეული ინვაზიისა, არამედ მთელი სისტემების კავშირებისა, მოძრაობისა და განვითარების მსგავსებისა ადრებრინჯაოს ხანის ცირკუმპონტური ზონის შიგნით [Мерперт 1988: 7-36].

ევროპული კულტურების, კერძოდ, ჩრდილოელი მესაქონლე ტომების გააქტიურებაზე მიანიშნებს ამიერკავკასიაში ყორღანული კულტურის გამოჩენას ე. ჩერნიხიც [Черных 1988: 37-57].

ხაშურის ნაცარგორის გათხრების ანგარიშში ალ. რამიშვილი ნასახლარზე ადრებრინჯაოს ხანის სტრატიგრაფიულად განლაგებულ ქვე-

და ჰორიზონტებს მტკვარ-არაქსის კულტურას აკუთვნებს, ზედა ჰორიზონტებში კი მტკვარ-არაქსული და ბედენური კერამიკის თანაარსებობას აღნიშნავს. ჩანს, ამ ჰორიზონტების ურთიერთმიმართების ადრევე დანახული სურათი, დიდად არც შემდგომი კვლევით შეცვლილა. ოღონდ ახლა შერეულკერამიკიანი ჰორიზონტების თავზე, მცირე მონაკვეთზე დაფიქსირებული იატაკის ფრაგმენტზე აკრეფილ კერამიკულ ნატეხებში ავტორი მხოლოდ ბედენურ ნაწარმს ხედავს, რაც უკვე სიახლეს წარმოადგენს. თუმცა, აქვე აღმოჩენილ თიხის ჰორელიეფს იგი განსხვავებული კულტურის – მტკვარ-არაქსულ კერამიკაში აერთიანებს [Рамишвили 1991: 136, ტაბ. 46]. მოგვიანებით, ნ. შანშაშვილთან თანაავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაშიც, იგივე ჰორელიეფის თანმხლებ თიხის ჭურჭელშიც ბედენურთან ერთად, მტკვარ-არაქსული ნაწარმიცაა წარმოდგენილი, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს ნასახლარზე ამ კულტურათა თანაარსებობის ფაქტზე [შანშაშვილი, რამიშვილი 2010: 115-125]. ავტორის მიერ აღწერილ ნაგებობებშიც, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ მტკვარ-არაქსის კულტურის შიდაქართლური ვარიანტისათვის ტიპური შენობები, დამახასიათებელი შვერილებიანი კერებით.

ამ ნასახლარზე პირველადაა შესაძლებელი სტრატიფიცირებულ დანაშრევებში თვალი გავადევნოთ მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში ბედენის კულტურის ელემენტების პირველ გამოჩენას და შემდგომ განვითარებას – ასკვნის ავტორი [Рамишвили 1991: 22-25].

ბედენისა და მარტყოფის კულტურებს სინქრონულად თვლის გ. მინდიაშვილი. ადრეყორღანულ კულტურას ის მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური ეტაპის თანადროულად და მისი სამეურნეო ტრადიციების გამგრძელებლად მიიჩნევს [მინდიაშვილი 1993].

ბედენური კერამიკის შემცველი ნასახლარი ფენები კასპის ციხიაგორაზეც გამოვლინდა. ხაშურის ნაცარგორის მსგავსად, აქაც აღინიშნა ბედენური და მტკვარ-არაქსული კერამიკის თანაარსებობა, რაც არ ჩანდა ბერიკლდეებზე. ზ. მახარაძე მტკვარ-არაქსის კულტურის კრიზისს უკავშირებს უცხო, ბედენის კულტურას, რომელიც თავდაპირველად, საუკუნეზე მეტ ხანს თანაარსებობს მტკვარ-არაქსულთან, შემდეგ კი მის დესტაბილიზაციას იწვევს და დამოუკიდებლად განაგრძობს განვითარებას, რაც, ავტორის აზრით, ადრედან შუაბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ ეტაპს ემთხვევა [მახარაძე 1994: 66,74].

1996 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომებში ო. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ირღვევა ცხოვრების ტრადიციული წესი, საზოგადოება განვითარების ახალ გზას დაადგა, ჩნდება ყორღანული სამარხები და სხვა სიახლეები. ყოველივეს გარეგანი ფაქტორების არსებობაც განაპირობებდა. კერძოდ, მოსახლეობის ცვლილება, ჩრდილოური გავლენების გაძლიერება და სხვა. ავტორის აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობა ბედენის კულტურის გავრცელებას უკავშირდება. თუმცა, ადრეყორღანული კულტურა, რომელშიც ბედენიც მოიაზრება, ძირითადად მაინც ადგილობრივ ტრადიციებზე ჩამოყალიბებულად მიაჩნია. კალიანი ბრინჯაოს ნივთების გამოჩენას, საიუველირო საქმიანობის მაღალი დონის არსებობას იგი სამხრეთის გავლენების გაძლიერებას უკავშირებს [ჯაფარიძე 1996: 106-126; Джапаридзе 1996:76-78].

გამოითქვა მოსაზრებაც, რომ სამხრეთი კავკასიის იმ ძეგლებზე, სადაც ბედენური და მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭლის თანაარსებობა დგინდება, უკანასკნელი სხვადასხვა ლოკალური ვარიანტის ნიშნებითაა წარმოდგენილი, რომელშიც თითქოს სამხრეთული ჭარბობს [ორჯონიკიძე 1996].

არაგვის ხეობაში ბედენის კულტურის არსებობას ადასტურებს გ. გოგოჭური, მაგრამ გამორიცხავს ყორღანების აქ მოხვედრას თერგისა და არაგვის ხეობების მხრიდან [გოგოჭური 1996: 18-21].

ჩრდილო და სამხრეთი კავკასიის ურთიერთობის პრობლემას ეხება მ. რისინიც. იგი ამჩნევს ბედენური ტიპის ნაწარმის არსებობას ჩრდილოკავკასიურ და კიდევ უფრო ჩრდილოეთით მდებარე ძეგლებზე და ახდენს მათ სინქრონიზებას ძირითადად კატაკომბური კულტურის ადრეული და განვითარებული ეტაპის მასალებთან [Рысин 1996: 81-84].

ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ბედენის კულტურის ძირითადი კერა არ უნდა ყოფილიყო ცენტრალური ამიერკავკასია. აქ საქმე უნდა გვქონდეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის მხრიდან მოსახლეობის ინფილტრაციის ადრეულ ეტაპთან, რაც აისახა კიდეც ბედენური და მომდევნო ხანის კულტურებში [ჯალაბაძე 1997: 100].

მტკვარ-არაქსის კულტურის უეცარი გაქრობა, კ. კუშნარიოვას აზრით, ძირითადად დაკავშირებულია კლიმატის დათბობასთან, რამაც

შეცვალა მეურნეობის ხასიათი. სამხრეთისა და ჩრდილოეთის გადასასვლელების გახსნამ და მიგრანტების შემოსვლამ, ძირითადად სამხრეთიდან, მკვეთრად შეცვალა კულტურის იერი. აქვე ავტორი შენიშნავს, რომ ბედენის ყორღანები მდიდრული ინვენტარით, ხის ეტლებითა და სარეცლებით, სიახლოვეს იჩენს მაიკოპის ყორღანთან, ნოვოსვობოდნაიას აკლდამებთან და ჩრდილოკავკასიის სხვა ელიტარულ სამარხებთან [Кушнарёва 1997: 11-43].

ბედენის პლატოზე გათხრილ ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილი ლითონის იარაღი და ოქროს ნაწარმი აფიქრებინებს ზ. შატბერაშვილს კავკასიასა და ძველაღმოსავლურ სამყაროს შორის არსებულ მჭიდრო კავშირზე და ქრონოლოგიურ სიახლოვეზე [შატბერაშვილი 1998: 37-38].

ოთარ ჯაფარიძის 1998 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში ბედენის და საერთოდ, ადრეყორღანული კულტურა ყველაზე ფართოდ და მრავალმხრივაა შესწავლილი [ჯაფარიძე 1998]. ნაშრომში ავტორი დაწვრილებით განიხილავს მარტყოფისა და ბედენის ჯგუფებს შორის ურთიერთობას, მათ მიმართებას როგორც წინამორბედ – მტკვარ-არაქსის, ისე მომდევნო – შუაბრინჯაოს ხანის კულტურებთან. იშველიებს რა ძალზე ფართო არეალზე მოძიებულ პარალელებს, იგი თავის სხვა ნაშრომებთან შედარებით, ყველაზე მასშტაბურად იყენებს ჩრდილოკავკასიურ და კიდევ უფრო ჩრდილოეთით მდებარე რეგიონების კულტურათა მონაცემებს, რაც საშუალებას აძლევს მას გაამახვილოს ყურადღება იმ ეპოქალურ ცვლილებებზე, რამაც ასეთი მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია კავკასიის იმდროინდელი საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაში. ინდივიდუალური ყორღანული სამარხების გამოჩენა, ლითონის იარაღის ახალი ფორმების დამკვიდრება, კალიანი ბრინჯაოს ნივთების გაჩენა და საიუველირო საქმის დაწინაურება აფიქრებინებს ავტორს როგორც ჩრდილოური, ისე სამხრეთის დაწინაურებული ცენტრების კულტურათა გავლენების არსებობას, რასაც შედეგად კულტურის აღმასვლა მოჰყვა. მიუხედავად ამისა, ბედენის კულტურა მას ადგილობრივ ჩამოყალიბებულად მიაჩნია, უფრო შიდა ქართლის მტკვარ-არაქსის საფუძველზე [ჯაფარიძე 1998: 139]. ის თვლის, რომ მტკვარ-არაქსისა და ადრეყორღანულ კულტურებს შორის ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე იმ ნასახლარებზე სადაც ამ კულტურების თანაარსებობა შეინიშნება, ცხოვრება წყდება. ამ მოვლენას იგი, სხვა ფაქტორებთან ერთად მეურნეობის ტრადიციული ხასიათის ცვლილებას – ჩრდილოეთიდან მესაქონლე ტომების გავრცელებას უკავშირებს, რასაც საერთოკავკასიური მასშტაბი უნდა ჰქონოდა [ჯაფარიძე 1998: 93-96]. მტკვარ-არაქსისა და მარტყოფის კულტურებს საბოლოო ჯამში, მისი აზრით, ბედენური ცვლის [ჯაფარიძე 1998: 154].

ბედენის კულტურას აღმოსავლეთ ევროპის სტეპური კულტურის წრეს აკუთნებს კ. თურმანიძე. იგი აღნიშნავს, რომ ბედენი ერთხანს თანაარსებობს მტკვარ-არაქსის კულტურის ჩრდილო ნაწილთან. რამდენადაც ამ უკანასკნელს ბედენური გავლენა არ ემჩნევა, ეს თანაარსებობა ხანმოკლე უნდა ყოფილიყო. მარტყოფის გამოჩენას იგი ბედენის მტკვარ-არაქსის კულტურაზე მძლავრი ზემოქმედების ნაყოფად მიიჩნევს. ბედენის კულტურა მას წარმოუდგენია ერთგვარ დამაკავშირებელ ხიდად წინააზიასა და აღმოსავლეთ ევროპას შორის [თურმანიძე 1998: 26-50].

ბედენის კულტურას ბინადარი მიწათმოქმედი და მესაქონლე ტომების კულტურად მიიჩნევს ლ. ძიძიგური [ძიძიგური 2000: 301].

ჩრდილოკავკასიასთან ბედენის კულტურის კავშირი განსაკუთრებითაა ხაზგასმული ა. გეის ნაშრომში [Гей 2000: 205-209]. მისი აზრით, ბედენის მეტალი ისევე, როგორც საჩხერისა და მარტყოფის ლითონის ნაწარმი, ნოვოსვობოდნაიაზე უფრო მეტად უახლოვდება მოგვიანო ხანის პრივოლნოს განძის ტიპებს. საქართველოს ამ ძეგლების მეტალის ნივთებს შორის მსგავსება და მათი ტერიტორიული ლოკალიზაცია ავტორს აფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს არა ერთიანი კულტურის ცალკეულ, ქრონოლოგიურად მიყოლებულ საფეხურებთან, არამედ დროით ერთმანეთთან ახლო მდგომი, ან სულაც, სინქრონული ძეგლების ლოკალურ ჯგუფებთან. მათში აღმოჩენილი ლითონის ცულები, მისი აზრით, გაცილებით განვითარებულ ფორმებს შეიცავს, ვიდრე ნოვოტიტოროვკის ცალები და უფრო მეტად ემსგავსება კატაკომბურ იარაღს, ხოლო ბედენის ზოგიერთი ლითონის სამკაული – ადრეკატაკომბურ ეგზემპლარებს. ჩრდილოურ ნიშნებს ხედავს ავტორი ბედენურ კერამიკაზეც. აღნიშნული პარალელები და ბედენის კულტურის შედარებით მოგვიანო რადიონახშირბადის თარიღები აფიქრებინებს მას, რომ ადრეყორღანული კულტურის გამოჩენა საქართველოში დროით ემთხვევა კავკასიის ჩრდილოეთით კატაკომბური კულტურის ადრეული ეტაპის ჩამოყალიბებას. ნოვოტიტოროვკის კულტურისა

და ადრეული ყორღანებისათვის საერთო ხის მსგავსი ტიპის ეტლები, ხის დასაკრძალავი ნაგებობები, დაკრძალვის ერთიანი წესი მიანიშნებს, რომ ამ კულტურის ნაწილი ჩრდილოეთიდან გადადის სამხრეთ კავკასიაში და მონაწილეობს ადრეყორღანული, განსაკუთრებით კი – ბედენის კულტურის ჩამოყალიბებაში. ავტორი ასახელებს გადმოსვლის გზებსაც, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარი ცენტრალური კავკასიონის გადასასვლელები იყო. ამაზე მეტყველებს საქართველოში ადრეული ყორღანების კონცენტრაცია კავკასიონის ქედის ცენტრალური მონაკვეთის მოპირდაპირე მხარეს.

კ. კუშნარიოვას და მ. რისინის 2000 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში [Кушнарёва, Рысин 2000: 60-109] მარტყოფის, ბედენისა და გვიანმტკვარ-არაქსული ზოგიერთი ძეგლი სინქრონულადაა მიჩნეული. კვლევის საფუძვლად აღებულ ლითონის ნივთებს, ფორმების ხშირი ცვალებადობის გამო, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ძეგლების დათარიღებისა და პერიოდიზაციის საქმეში. ასეთმა მიდგომამ მათ დაანახა, რომ მეტალურგიული ნოვაციები უკავშირდება მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონს – ძირითადად სომხეთის მთიანეთს, მცირე აზიასა და სირიას, ტერიტორიას, სადაც მტკვარ-არაქსულმა კულტურამ შექმნა მონათესავე კულტურული გარემო და განაპირობა სამხრეთ კავკასიაში მრავალი პროგრესული მიღწევის გადაცემა. პირველი, ალაზან-ბედენური ეტაპი, რომელშიც ავტორები აერთიანებენ მარტყოფულ და გვიანმტკვარ-არაქსულ ძეგლებსაც, ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის განმავლობაში გრძელდებოდა. თრიალეთის ბრწყინვალე კულტურა კი არის ერთიანი, გენეტიკურად დაკავშირებული კულტურის მეორე ეტაპი. ბედენის კულტურის სახის ფორმირებაში ავტორებს უმნიშვნელოვანესად მიაჩნიათ წინააზიური რეგიონები, ხოლო ჩრდილოკავკასიური კულტურები კი, მათი აზრით, უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ. ნოვაციების ძირითადი ნაკადი ამიერკავკასიაში სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა, რაც წინააზიაში აქადური დინასტიის ბატონობის დროს, ძვ.წ. XXIV-XXII საუკუნეებს ემთხვევა. ნაშრომში აშკარად იგრძნობა ტენდენცია ბედენის კულტურის წინააზიურ სამყაროსთან დაკავშირებისა, კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ოლქების კულტურათა გავლენების იგნორირების ხარჯზე. არც ის მიგვაჩნია მართებულად, რომ ერთიან კულტურულ წრეში მოექცეს განსხვავებული კულტურის ძეგლები, მიუხედავად მათი სინქრონულობისა.

მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ბედენის კულტურის შესახებ მსჯელობას ოთ. ლორთქიფანიძის 2002 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში. მასში, ახალი მონაცემების გათვალისწინებით, განვითარებულია ავტორის ადრეული დებულებები [Лордкипанидзе 1989]. ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებიდან ინდივიდუალური დანიშნულების მქონე ყორღანული სამარხების გამოჩენას იგი საზოგადოების ისტორიაში ახალი ეტაპის დასაწყისად მიიჩნევს, რომელიც თვალსაჩინოდ ასახავს სოციალურ განვითარებაში მომხდარ დიდ ძვრებს და, აგრეთვე, ახალ ეთნოკულტურულ გავლენებს, მომდინარეს ძირითადად წინააზიური სამყაროდან [ლორთქიფანიძე 2002: 89]. თრიალეთის ადრეულ ყორღანებს იგი ადრებრინჯაოს ხანის კულტურის ფარგლებში აქცევს. მარტყოფული და ბედენური ყორღანების ნივთებში ხედავს მხატვრულ-სტილისტურ ერთიანობას. რიგი ელემენტების საწყისს ავტორი მტკვარ-არაქსის კულტურაში ამჩნევს. თუმცა, გარდა ადგილობრივისა, ხედავს წინააზიური თუ ეგეოსური სამყაროს ანალოგიებსაც. ჩრდილოურ გავლენებს იგი ნაკლებად ეხება. ადრეული ყორღანების ფორმირებაში უმთავრესად მიიჩნევს ძველი – მტკვარ-არაქსული ტრადიციების შერწყმას ახალი, სამხრეთული ეთნოკულტურული ტრადიციების ინფილტრაციასთან, რაც, მისი აზრით, აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობდა [ლორთქიფანიძე 2002: 99-100]. ალ. რამიშვილზე დაყრდნობით, ხაშურის ნაცარგორის მაგალითზე თვლის, რომ ბედენის კულტურის ჩასახვა-განვითარება ხდება მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში [ლორთქიფანიძე 2002: 86].

მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხს ეხება გ. ყიფიანიც. იგი თვლის, რომ ბერიკლდეების მოსახლეობა თითქმის მექანიკურად სესხულობს წინამორბედი – მტკვარ-არაქსის კულტურის საცხოვრისს. თუმცა, ხვეწს და ავითარებს მის გეგმარებას [ყიფიანი 2002: 14].

ბერიკლდეების ბედენური კერამიკის ერთი ტიპი – კორპუსდაღარული ჭურჭელი, მ. ჯალაბაძის აზრით, აღმოსავლეთი ამიერკავკასიიდან ვრცელდება მეზობელ მხარეებში [ჯალაბაძე 2003-2004: 54-64].

კავკასიასა და ანატოლიას მიიჩნევს ახლოაღმოსავლეთისა და ევროპის დამაკავშირებელ რეგიონებად გ. ქავთარაძე. ამით ხსნის ის ამ რეგიო-

ნების განვითარების ნიშან-თვისებების საერთო ხასიათს და კულტურათა სიმბიოზურ ხასიათსაც, რის მაგალითადაც კავკასიის ყორღანული კულტურები მოჰყავს. განვითარების სტიმულირებას ავტორი სირია-მესოპოტამიურ ცივილიზაციებს უკავშირებს, ყორღანული კულტურის გავრცელებას კვლავ კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ოლქებიდან ხედავს [ქავთარაძე 2004: 50-96].

ევროპაში, კერძოდ კი ბალკანეთში, წარმოუდგენია ნ. შანშაშვილს მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურებში ცნობილი მომრგვალებულტანიანი ორყურა ჭურჭლის სამშობლო, საიდანაც იგი ვრცელდება შორს ევროპაში, ხოლო ანატოლიის გზით – კავკასიაში [Шаншашвили 2004: 148-149].

ბედენის კულტურის გავრცელების პერიოდში მტკვარ-არაქსული ტრადიციების შემონახვაზეა ლაპარაკი 2004 წელს გამოქვეყნებულ ჩვენს ნაშრომშიც. მასში გაზიარებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ბედენის კულტურა გარკვეულწილად წინარეს სამეურნეო ტრადიციების გამგრძელებელი გახდა. ურთიერთობას ამ კულტურებს შორის სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონოდა და დროის საკმაო მონაკვეთის განმავლობაში უნდა გაგრძელებულიყო [ორჯონიკიძე 2004: 171]. აქვე საეჭვოდაა მიჩნეული ბედენს დაუკავშირდეს მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობა, რადგან იმ ნასახლარებზე, სადაც მათი თანაარსებობა შეინიშნება, არსებობას ერთდროულად წყვეტს ორივე კულტურა. ნაკლებად სარწმუნო ჩანს ვარაუდიც შიდა ქართლში ბედენის კულტურის ჩამოყალიბების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს სწორედ აქაა ამ კულტურის უადრესი ძეგლები თავმოყრილი. ხაშურის ნაცარგორის შერეულკერამიკიან ქვედა ჰორიზონტებშიც კი, სადაც ვარაუდობენ მტკვარ-არაქსულ გარემოში ბედენური კულტურის ელემენტების თავდაპირველ გამოჩენას, ეს კერამიკა სავსებით ჩამოყალიბებული სახითაა წარმოდგენილი, რომელსაც განვითარების საკმაო გზა უკვე უნდა ჰქონოდა გავლილი [ორჯონიკიძე 2004: 187-188].

ბედენური კერამიკის გავრცელების თვალსაზრისით საყურადღებო აღმოჩნდა სამცხეში, ორჭოსნის ნასახლარზე წარმოებული გათხრების შედეგებიც. კერამიკა წარმოდგენილია უმეტესად ბედენური ტიპის თიხის ჭურჭლით. აქვეა მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკაც. ორივე ჯგუფის თიხის ჭურჭლის თანადროულობაზე მეტყველებს მათი თანაარსებობა ნასახლარის ადრეულ კომპლექსებში. აქვე აღმოჩენილი ნიკელიანი ბრინჯაოს თოხი, ფორმით უცნობი სამხრეთი კავკასიისათვის, უახლოეს ანალოგებს პოულობს ჩრდილო კავკასიაში, მაიკოპის კულტურის ძეგლებზე. ფიქრობენ, რომ იგი ჩრდილო კავკასიიდან დასავლეთ საქართველოს გზით უნდა მოხვედრილიყო სამცხეში [ორჯონიკიძე 2005: 69-83; Джибладзе 2005: 100-101; ორჯონიკიძე, ჯიბლაძე 2010: 105-114]. თუმცა, ბოლო ხანებში, ახლო პარალელების არარსებობის მიუხედავად, ძირითადად ქიმიური ანალიზის საფუძველზე, ორჭოსნის თოხი სამხრეთული წარმომავლობისად იქნა მიჩნეული [Инанишвили, Джибладзе 2010: 110].

არქაული და მოგვიანო ხანის იერის მქონე კერამიკის თანაარსებობამ ილტოს ნამოსახლარზე ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინა, რომ საქმე გვაქვს უკვე განადგურებულ წინარემტკვარ-არაქსულ ფენასთან, ან ადგილი ჰქონდა არქაული ტრადიციების ხანგრძლივ შემონახვას [Чубинишвили 1971: 97; Майсурадзе 2006: 88-100]. მაგრამ შიდა ქართლში გამოვლენილმა ნამოსახლარებმა დაგვანახა, რომ არქაული იერის კერამიკა უცხო არაა ბედენის კულტურისათვის. ამიტომ, ვერ ვხედავთ საფუძველს ილტოზე, ისევე, როგორც ორჭოსნის ნასახლარზე, წინარემტკვარ-არაქსული ხანის მასალების არსებობა დავუშვათ. ამის საშუალებას არ იძლევა მოპოვებული მასალის მთელი კოლექციაც.

2006 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ო. ჯაფარიძე ყორღანული სამარხების გავრცელებას კვლავ ჩრდილოეთიდან მესაქონლე ტომების შემოჭრას უკავშირებს [ჯაფარიძე 2006: 311], რომელიც ორ ნაკადად – მარტყოფისა და ბედენის ჯგუფების სახით წარმოუდგენია. მისი აზრით, ადრეყორღანული კულტურისათვის ალაზანბედენურის ნაცვლად მარტყოფ-ბედენურის სახელწოდების ხმარება უფრო ნათლად ასახავს ამ ხანაში შექმნილ ვითარებას, რაც სავსებით მისაღებია. მარტყოფული გარკვეული ხარისხით ზემოქმედებდა ბედენურზე, რომლის მატარებელი მოსახლეობა მესაქონლეები და უფრო მობილურები იყვნენ [ჯაფარიძე 2006: 325]. ავტორი საგულისხმოდ თვლის იმას, რომ მტკვარ-არაქსულ ნასახლარებზე მარტყოფული და ბედენური ნაწარმი ერთად არ დაფიქსირებულა. მაშინ, როცა იორ-ალაზნის ორმდინარეთის ზოგიერთ ნასახლარზე ჩანს მტკვარ-არაქსული და მარტყოფული კერამიკის თანაარსებობა, ხოლო შიდა ქართლში – ბედენური და მტკვარ-არაქსულია ერთად. მისი დაკვირვებით, მარტყოფი-

სა და ბედენის ყორღანებში მტკვარ-არაქსული კერამიკა თითქმის არ გვხვდება. ბედენური ძეგლების ფორმირების პროცესს ავტორი კვლავ შიდა ქართლსა და მის მიმდებარე მხარეში ვარაუდობს [ჯაფარიძე 2006: 317].

ჩრდილო კავკასიაში – ნოვოსვობოდნაიას ყორღანებსა და საერთოდ, ყუბანისპირეთის სამაროვნების მასალებში ეძებნება უახლოესი პარალელები ქვემო ქართლში, ირგანჩაის ბედენურ ყორღანებში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელსაც [კახიანი, ღლიღვაშვილი 2006: 214]. ზოგიერთი მკვლევარი მარტყოფულ ძეგლებს მტკვარ-არაქსის კულტურას აკუთვნებს, ბედენურს კი დამოუკიდებელ კულტურად თვლის. აღნიშნავენ იმასაც, რომ ტერმინმა „ადრეული ყორღანები" დაკარგა აზრი მას შემდეგ, რაც საქართველოსა და შემდეგ, აზერბაიჯანშიც აღმოჩნდა უფრო ადრეული – ენეოლითის ხანის ყორღანული სამარხები [Махарадзе, Орджоникидзе 2007: 83-84].

2009 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში მ. ფუთურიძე, მოხატული კერამიკის საფუძველზე უარყოფს თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანებისა და ადგილობრივ, წინამორბედ კულტურებს შორის გენეტიკური კავშირის არსებობას [ფუთურიძე 2009: 511-529]. იგი თვლის, რომ ამგვარი კერამიკის გამოჩენა მხოლოდ და მხოლოდ თრიალეთის აღნიშნულ კულტურას უკავშირდება. მანამდე კი, სამხრეთი კავკასიის გარემომ მსგავსი ნაწარმი არ იცოდა; იგი უცნობი დარჩა როგორც მტკვარ-არაქსის, ისე ადრეყორღანული კულტურისთვისაც. ამიტომ, მოხატული კერამიკის გავრცელება, ავტორის აზრით, უნდა დაუკავშირდეს მახლობელ აღმოსავლეთს, სადაც იგი ადრეული ხანებიდანვე იყო ფეხმოკიდებული.

ავტორს დასაშვებად მიაჩნია, რომ ბედენის კულტურის გამოჩენა სხვაგან იწყება და შემდეგ ვრცელდება მტკვარ-არაქსის კულტურის არეალზე. იგი ჩამოთვლის ძეგლებს, რომელთა შორის ბადაანის ნასახლარსაც აქცევს, სადაც გვიანმტკვარ-არაქსული და ბედენური კერამიკის თანაარსებობა შეინიშნება და თვლის, რომ ადრეყორღანული კულტურა ახალ ეპოქას – შუაბრინჯაოს ხანას უნდა მიეკუთვნოს.

არ ვეხებით რა საკვლევ პრობლემას, აღვნიშნავთ მხოლოდ ამ საინტერესო სტატიაში გაპარულ ზოგიერთ უზუსტობას. ასე, მაგ., თიხის მოხატული ჭურჭელი უცნობი არაა ადრეყორღანული კულტურისათვის, კერძოდ, ბედენური წრის ძეგლებისათვის [გობეჯიშვილი 1980: 48; ჯაფარიძე 1998: 50]. უფრო მრავლადაა იგი წარმოდგენილი თრიალეთის, შიდა ქართლისა და არაგვის ხეობის შემაერთებელ ზოლზე თავმოყრილ მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე [ორჯონიკიძე 2004: 113]. ამგვარი კერამიკა აქ იმ რაოდენობითაა აღმოჩენილი, რომ ჩანს მოხატვის ზოგადი ხასიათიც კი. ამ კერამიკის გამოჩენას უკავშირებენ წინა აზიასთან ურთიერთობის გაძლიერებას, აღნიშნავენ რა სტილის თვალსაზრისით არსებულ განსხვავებებსაც [ჯაფარიძე 1961: 65; ჯაფარიძე 1976: 100; ჯავახიშვილი, ღლონტი 1962: 57].

რაც შეეხება ბადაანის ნასახლარს, ბედენური კერამიკის არსებობა აქ თითქოს არ დასტურდება.

ავტორთა კოლექტივი ბედენისა და გვიანმტკვარ-არაქსული კულტურების ჩაქრობას ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისით განსაზღვრავს, თრიალეთის კულტურას კი მტკვარ-არაქსის, მარტყოფისა და ბედენის კულტურების შერწყმა-განვითარების შედეგად წარმოქმნილად თვლის [სადრაძე და სხვ. 2009: 26-39].

ბედენის კულტურისაგან განსხვავდება როგორც წინამორბედი – მარტყოფული, ისე მომდევნო – თრიალეთური კულტურა, წერს კ. ფიცხელაური. ის ადრეყორღანულ ორივე ჯგუფს მიაკუთვნებს შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისს, რადგან იგი თავისი სამეურნეო მოწყობით და სოციალური ინტერპრეტაციით იდენტურად მიაჩნია, რაც დიამეტრალურად განასხვავებს მას წინამორბედი – ადრებრინჯაოს ხანისაგან [Пицхелаури 2010: 244].

ავტორთა კოლექტივის მასშტაბურ ნაშრომში [ღამბაშიძე და სხვ. 2010] აღნიშნულია, რომ ადრეყორღანული კულტურის ოქროს ნაკეთობები იმდენად სრულყოფილია, რომ ძნელია ამ პერიოდს დაერქვას ოქრომჭედლობის საწყისი ეტაპი. ფიქრობენ, რომ თავდაპირველად, მტკვარ-არაქსის კულტურის ხანაში ოქროს ნივთები სამხრეთ კავკასიის გარეთ გადიოდა, ოქროს ნაკეთობების გამოჩენა კი მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ და მასთან ნაწილობრივ სინქრონულად მიჩნეულ ადრეყორღანულ ხანაში იწყება. ადრეყორღანული სამარხების გამოჩენა ავტორებს ავარაუდებინებს, რომ საქმე გვაქვს არისტოკრატიად ჩამოყალიბებულ მმართველ ფენასთან, რასაც ხელი შეუწყო მტკვარ-არაქსელთა მაღალპროდუქტიულმა ეკონომიკამ და, შესაძლოა, ომის ფაქტორმაც [ღამბაშიძე და სხვ. 2010: 246-247].

დღემდე არაა ერთიანი აზრი ბედენის კულ-

ტურის გავრცელების შესახებ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მკვლევართა ნაწილი საეჭვოდ მიიჩნევს აქ მის არსებობას, ნაწილი კი თვლის, რომ აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ნაწილი ბედენს უკავშირდება. უტყუარი ნიშანი დასავლეთ საქართველოში ამ კულტურის არსებობისა ჯერჯერობით მხოლოდ საჩხერის რაიონში, ქორეთის № 1 სამარხის თიხის ჭურჭლით დასტურდება [ჯაფარიძე 1961: სურ. 29].

ნაშრომების ამ ძალზე ზოგადი გაცნობითაც კარგად ჩანს ბედენის კულტურის შესწავლაში არსებული პრობლემების სიმრავლე, მნიშვნელოვანწილად განპირობებული ძეგლების ძირითადად ერთგვაროვანი, სამარხეული ხასიათით და ნამოსახლართა მონაცემების არასაკმაო გამოყენებით. ასე რომ ტრადიციული, მტკვარ-არაქსის კულტურის არეალზე ახალი კულტურის გამოჩენა მრავალ, დღემდე ბოლომდე პასუხგაუცემელ კითხვას ბადებს.

ჯერ კიდევ არაა მთლად ნათელი ბედენის კულტურა ადგილობრივ ნიადაგზეა წარმოქმნილი, თუ მის ფორმირებაში მთავარი როლი გარეგანმა ფაქტორმა ითამაშა; სადაა ლოკალიზებული ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტების უმთავრესი წყარო; ეს იყო პროცესი ამ ელემენტების თანდათანობითი შემოღწევისა, თუ საქმე გვაქვს ერთჯერად გლობალურ ინვაზიასთან; რომელი ძეგლი უნდა ჩაითვალოს ადრეულად – ის, რომლის კერამიკა წინამორბედი კულტურის ნიშნებს შეიცავს, თუ მისგან მკვეთრად განსხვავებული, რაც ლოგიკური ჩანს ბედენის კულტურის გარედან შემოსვლის შემთხვევაში; არსებობს თუ არა საფუძველი დაძველდეს ამ კულტურის თავდაპირველი გამოჩენის დრო და სხვა.

მკვლევართა ნაწილი საიუველირო საქმისა და ლითონის იარაღების მიხედვით სავსებით სამართლიანად ხედავს წინააზიურ ფესვებს. მაგრამ ბედენის კულტურის იერ-სახის ჩამოყალიბებაში წინაზიური დაწინაურებული სამყაროს ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვას, ვფიქრობთ, არ უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი როლი. ამ მხრივ, მეტი მნიშვნელობა აქვს მასობრივ ნაწარმს – კერამიკას, რადგან სწორედ კერამიკაა უმთავრესი, რაც ამ კულტურას აერთიანებს და ძირითადად განსაზღვრავს კიდეც მის სახეს [ჯაფარიძე 1998: 125].

ბედენური კერამიკის სწრაფვა ევროპის, მათ შორის კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ოლქების ადრეულ კერამიკასთან, არაერთგზისაა შენიშნული. ამიტომ, გამართლებულად მიგვაჩნია სამხრეთ კავკასიაში ამ დროისათვის მომხდარი კულტურული ძვრები აღმოსავლეთ ევროპას დავუკავშიროთ, რასაც მხარს უნდა უჭერდეს ინდივიდუალური დანიშნულების ყორღანული სამარხების გამოჩენაც [ჯაფარიძე 1989: 35-36]. ბედენური კერამიკის კავშირი ჩრდილოკავკასიისა და სამხრეთი რუსეთის სტეპების ადრეული კულტურების ნაწარმთან არაერთი ნიშნით ვლინდება როგორც ფორმის, ისე ორნამენტაციის მხრივ. ბევრია საერთო საკულტო დანიშნულების ნივთებით ბალკანეთ-დასავლეთანატოლიურ კულტურებთანაც [Глонти, Джавахишвили 1987: 36-44], რომლებიც, თავის მხრივ, მჭიდროდ უკავშირდებიან სამხრეთი და ცენტრალური ევროპის დიდ კულტურულ წრეებს. კერამიკის მიხედვით სამხრეთთან ურთიერთობა კი ამ ხანაში ნაკლებად შესამჩნევია [ჯაფარიძე 1989: 36]. ირანისა და სამხრეთ მესოპოტამიის მოხატულკერამიკიანი ტრადიციის დარღვევას სწორედ ბალკანეთ-დუნაისპირეთისა და მცირეაზიის მხრიდან მომდინარე გავლენებს უკავშირებენ [გოგაძე 1972: 84]. ამიერკავკასიის სამხრეთით ბედენური კერამიკის ნიშნების სიმცირე, ან სულაც არარსებობა, აქცენტირებულს ხდის ამ კულტურის მიდრეკილებას ევროპული სამყაროსაკენ.

ამავე დროს, ბედენის კულტურა ბევრ საერთოს პოულობს ადგილობრივ წინამორბედ კულტურასთანაც ისეთი ელემენტებით, როგორიცაა გორაზე დასახლების ჩვეულება, შენობის ტიპი, კერამიკის ცალკეული დეტალი, კერა-ზესადგრის ნაწილი, ლითონის იარაღის ზოგი ფორმა და სხვა. ფიქრობენ, რომ ახალი კულტურა, გარკვეულწილად წინას სამეურნეო საქმიანობის გამგრძელებელი გახდა. მიუხედავად ამისა, ცვლილებები იმდენად თვალსაჩინოა, რომ ძალზე გაჭირდება ბედენის კულტურა მტკვარ-არაქსულიდან გამოვიყვანოთ, ან მისი განვითარების ეტაპად მივიჩნიოთ. იგი აშკარად განსხვავებულ ნიადაგზე ჩანს აღმოცენებული, რომლის მიდრეკილება ევროპული სამყაროსაკენ უფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია.

მტკვარ-არაქსული და ბედენური ნაწარმის ერთად აღმოჩენის შემთხვევები გარკვეულ პერიოდში ამ კულტურათა სინქრონულობაზე მეტყველებს და თავისთავად სვამს კითხვას – მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების რომელ ეტაპზე იჩენს თავს იგი პირველად, სად ლოკალიზდება მისი ადრეული ძეგლები; იქ, სადაც ამ კულტურათა ნაწარმის თანაარსებობა შეინიშნება, თითქოს შესაძლებელია ბედენის კულტურის გამოჩენის დროის კორექტირება მისი

დაძველების გზით. ამის საფუძველს უნდა იძლეოდეს თეთრიწყაროსა და დოესის ყორღანებში, ასევე, ხაშურის ნაცარგორის ნასახლარზე აღმოჩენილი ბედენურის თანმხლები მტკვარ-არაქსული კერამიკა, რასაც სხვა მონაცემებიც უნდა უჭერდეს მხარს [ქავთარაძე 1981: 101].

შენიშნულია, რომ ეს კერამიკა ძირითადად შიდაქართლური ლოკალური ვარიანტისათვის დამახასიათებელ ფორმებს შეიცავს, რაც ცხადყოფს იმ მოსაზრების სისწორეს, რომლის მიხედვითაც ბედენის თავდაპირველი შეხვედრა სწორედ ამ ვარიანტთან კონტაქტით იწყება და ძირითადად შიდა ქართლსა და მის მიმდებარე მხარეებში მიმდინარეობს. მაგრამ ძნელია მტკვარ-არაქსულ წიაღში დავინახოთ ამ კულტურის ფორმირების საწყისი [Рамишвили 1991; ჯაფარიძე 1998: 143], რადგან ყველა იმ ძეგლზე, სადაც ამ კულტურათა თანაარსებობა შეინიშნება, ბედენური ნაწარმი სავსებით ჩამოყალიბებული სახითაა წარმოდგენილი, რომელსაც განვითარების საკმაო გზა უკვე უნდა ჰქონოდა გავლილი. ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბედენის კულტურის ადრეული ხანის ძეგლები ჯერ კიდევ არაა გამოვლენილი.

მიგვაჩნია, რომ სამარხეული და ნამოსახლარი ძეგლების მასალების შეჯერება, სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით სხვადასხვა კულტურათა ნიშნების გამოყოფა, ამ კულტურის ფორმირებაში მათი მონაწილეობის დროისა და ხარისხის განსაზღვრა, ლოკალური ვარიანტების დადგენა და პერიოდიზაციის ერთიანი სქემის შემუშავება მნიშვნელოვნად წასწევს წინ ბედენის კულტურის კვლევის საქმეს.

A. Orjonikidze

BEDENI CULTURE. ON THE HISTORY OF THE DEVELOPMENT OF SCHOLARLY THOUGHT

Summary

As is known, in the south Caucasus, mainly on the territory of Eastern Georgia, the Kura-Araxes culture was superseded by a new, so-called culture of early barrows. Two different groups are identified in it: Martqopi and Bedeni. The latter appreciably differs both from Martqopi and Kura-Araxes culture. Neither would it seem to evince a close genetic link with neighboring regions.

The appearance of the new culture at once claimed the attention of researchers interested in the antiquities of the Caucasus, finding reflection in the scholarly literature. Tracing this literature helps us form an opinion of the principal problems of studying this culture and to look for ways of solving them.

Even a very general acquaintance with the works published on this topic shows well that the multitude of problems existing in the study of Bedeni culture is largely due to the basically homogeneous burial character and insufficient use of the evidence of former settlement sites. Hence, the emergence of a new culture in the area of the traditional, Kura-Araxes culture gives rise to numerous, unanswered to date questions.

So far it is not quite clear whether Bedeni culture arose on local soil or an outer factor played the principal role in its shaping; where is the main source of the elements characteristic of this culture located; was this a process of gradual penetration of these elements from the without or are dealing with a single global invasion; which site should be considered earlier: the one whose pottery contains features of the preceding culture or drastically different, which is logical in the case of Bedeni culture arriving from outside; is there a basis for the time of the emergence of this culture to be shifted back.

I believe that juxtaposition of the material of burials and the settlement sites, identification of the features of diverse cultures in terms of stratigraphic evidence, determination of the time end quality of their participation in the shaping of this culture and working out a single scheme of periodization will considerably advance research into Bedeni culture.

ლიტერატურა

გობეჯიშვილი გ. 1967: ბედენის აკლდამა. – ძმ, № 12, 13-22.

გობეჯიშვილი გ. 1980: ბედენის გორასამარხების კულტურა. თბილისი.

გოგაძე ე. 1972: თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი.

გოგოჭური გ. 1996: არაგვის აუზი შუაბრინჯაოს ხანაში და კულტურათა ურთიერთობების საკითხი. – სამეცნიერო სესია, მიძღვნილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დაარსების 25 წლისთავისადმი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბილისი, 18-21.

თურმანიძე კ. 1978: ამიერკავკასიის განვითარების მიმართულებების შესახებ (ძვ.წ. 3500-1400 წწ). – აკ, 26-50.

კახიანი კ., ღლიღვაშვილი ე. 2006: დმანისი, V. თბილისი.

ლორთქიფანიძე ო. 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

მახარაძე ზ. 1994: ციხიაგორის მტკვარარაქსული ნამოსახლარი. თბილისი.

მელიქიშვილი გ. 1965: საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბილისი.

მინდიაშვილი გ. 1993: ადრეული ყორღანები სამხრეთ კავკასიაში. საკანდიდატო დისერტაციის მაცნე. თბილისი.

ორჯონიკიძე ა. 1983: სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში. თბილისი.

ორჯონიკიძე ა. 1996: მტკვარ-არაქსულ და ბედენურ კულტურათა ურთიერთობისათვის სამხრეთ კავკასიაში. თბილისი.

ორჯონიკიძე ა. 2004: მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისი.

ორჯონიკიძე ა. 2005: ორჭოსნის ნასახლარის ადრეული კომპლექსები. – ძიებანი, 15-16, 69-83.

ორჯონიკიძე ა., ჯიბლაძე ლ. 2010: კიდევ ერთხელ ორჭოსნის ნასახლარის შესახებ. – ძიებანი, 19, 105-114.

რამიშვილი ა. 1987: არქეოლოგიური კვლევა-ძიება „ზემო ხაშურის სარწყავი სისტემის“ მშენებლობის ზონაში 1984-85 წლებში. – ძმ, №4, 31-35.

სადრაძე ვ., ხოხობაშვილი თ., კახიანი კ., ღლიღვაშვილი ე., სადრაძე თ. 2009: წინაპართა გზავნილი. თბილისი.

ფუთურიძე მ. 2009: მოხატული კერამიკის სამხრეთ კავკასიაში გავრცელების პრობლემისათვის ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში. – კავკასიოლოგიური ძიებანი, 1, თბილისი, 511-529.

ქავთარაძე გ. 1978: ცენტრალური ანატოლიისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ურთიერთობის საკითხისათვის ადრებრინჯაოს ხანაში. – თსუ შრომები, 183, 5-19.

ქავთარაძე გ. 1981: საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე. თბილისი.

ქავთარაძე გ. 2004: კავკასიისა და ანატოლიის ადრებრინჯაოს ხანის კულტურების ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი. – კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XI, 50-96.

ღამბაშიძე ირ., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძი ი. 2010: უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში. თბილისი.

ღლონტი ლ., ნემსაძე გ. , ჯავახიშვილი ა. 1986: ქარელის რ-ში, ბერიკლდეებზე, 1979-81 წწ. ჩატარებული მუშაობის ანგარიში. – სსმაე, VIII, 36-44.

ყიფიანი გ. 2002: ხუროთმოძღვრების ადრეული საფეხურები საქართველოში. – კავკასიის მაცნე, თბილისი, 13-21.

შანშაშვილი ნ. , რამიშვილი ა. 2010: თიხის ჰორელიეფი შიდა ქართლიდან. – ძიებანი, 19, 115-125.

შატბერაშვილი ზ. 1998: ბედენის კულტურის ზოგიერთი საკითხისათვის. – კაკ, I, 37-38.

ძიძიგური ლ. 2000: ამიერკავკასიის უძველესი სამიწათმოქმედო კულტურა. თბილისი.

ჯავახიშვილი ა., ღლონტი ლ. 1962: ურბნისი, I. თბილისი.

ჯალაბაძე მ. 1997: „ბედენურ კულტურასთან“ დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა. – სსმმ, 42, 92-103.

ჯალაბაძე მ. 2003-2004: კორპუსდაღარული ჭურჭელი ბერიკლდეების ნამოსახლარიდან. – სსმმ, 45, 54-64.

ჯაფარიძე ო. 1960: არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბილისი.

ჯაფარიძე 1961: ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1975: ბრინჯაოს ხანის ყორღანები. – ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები(1965-1971), თბილისი, 137-165.

ჯაფარიძე ო. 1976: ქართულ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1988: ადრეული ყორღანების კულტურა საქართველოში. – მაცნე, 4, 25-40.

ჯაფარიძე ო. 1989: ადრეული ყორღანების კულტურა საქართველოში. – მაცნე, 2, 26-40.

ჯაფარიძე ო. 1991: საქართველოს არქეოლოგია. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1996: ეთნოკულტურული პროცესები აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში. – თსუ შრომები, 321, 106-126.

ჯაფარიძე ო. 1998: ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის ძვ.წ. III ათასწლეულში. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 2006: ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბილისი.

Гей, А. 2000: Новотиторовская культура. Москва.

Глонти Л., Джавахишвили А. 1987: Новые данные о многослойном памятнике эпохи энеолита-поздней бронзы в Шида Картли – Бериклдееби. – КСИА, 192, 80-87.

Дедабришвили Ш. 1969: Памятники эпохи ранней и средней бронзы. – კაეშ, 1, 35-75.

Дедабришвили Ш. 1979: Курганы Алазанской долины. Тбилиси.

Джавахишвили А. 1973: Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тыс. до н.э.Тбилиси.

Джапаридзе О. 1982: Из истории археологического изучения Грузии. – ССММ, 36-В, 29-38.

Джапаридзе О. 1996: Культура ранних курганов на территории Закавказья. – Между Азией и Европой. Кавказ в IV-I тыс. до н.э., Санкт-Петербург, 76-78.

Джибладзе Л. 2005: Новая уникальная археологическая находка из Орджошани.- АЭФК, Баку, 100-101.

Инанишвили Г., Джибладзе Л. 2010: Никелевая бронза на Кавказе. – Археология Кавказа. Тбилиси, 99-116.

Куфтин Б. 1941: Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.

Куфтин Б. 1948: Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тбилиси.

Кушнарёва К. 1997: Ранние комплексные общества Южного Кавказа. – Древние общества в эпоху палеометалла. Санкт-Петербург, 11-43.

Кушнарёва К., Рысин М. 2000: Бедено-Алазанская группа памятников Кавказа. – Взаимодействие культур и цивилизаций. Санкт-Петербург, 60-109.

Лордкипанидзе О. 1989: Наследие древней Грузии. Тбилиси.

Майсурадзе В. 2006: К вопросу о хронологии и периодизации Илтойского поселения. – Археология Кавказа, I, Тбилиси, 88-100.

Махарадзе З., Орджоникидзе А. 2007: Проблемы изучения т. н. «Культуры ранних курганов в Грузии». – АЭФК, Махачкала, 83-84.

Мерперт Н. 1988: Об этнокультурной ситуации IV-III тыс. до н. э. в циркумпонтийской зоне. – Древний Восток. Этнокультурные связи. Москва, 7-36.

Пицхелаури К. 1987: Центральное Закавказье в конце III и начале II тыс. до н. э. – Кавказ в системе палеометаллических культур Евразии. Тбилиси, 21-26.

Пицхелаури К. 1988: Основные направления социально-экономического развития кавказских обществ эпохи бронзы и железа. – ТКАЭ, VIII, Тбилиси, 218-225.

Пицхелаури К. 2010: Некоторые спорные вопросы терминологии, хронологии и периодизации эпохи бронзы и железа Кавказа. – АЭФК, Тбилиси, 243-245.

Рамишвили А. 1991: Раскопки в Хашурском районе в 1984-85 гг. – ПАИ в 1986, 22-25.

Ростунов В., Наглер А. 1989: Об этнокультурных и социально-экономических процессах в Центральном Закавказье к концу III тыс. до н.э. – Кавказ и цивилизации древнего востока. Орджоникидзе, 86-88.

Рысин М. 1996: К проблеме синхронизации памятников среднего бронзового века Северного и Южного Кавказа. – Между Азией и Европой, Санкт-Петербург, 81-84.

Черных Е. 1988: Циркумпонтийская провинция и древнейшие индоевропейцы. – Древний Восток. Этнокультурные связи. Москва, 37-57.

Чубинишвили Т. 1971: К древней истории Южного Кавказа. Тбилиси.

Шаншашвили Н. 2004: К распространению одного типа керамики на Кавказе. – АЭФК, Баку, 148-149.

Шатберашвили З. 1976: Раскопки курганов Доеси и Охера. – ПАИ в 1974 г., 55-56.

Burney Ch. 1958: Eastern Anatolia in the Chalcolithic and Early Bronze age. – AS, VIII, 157-209.

Mellaart J. 1964: Anatolia before c. 4000 B.C. and c. 2300-1750 B.C. Cambridge.

ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ანზორ სიხარულიძე, გივი ინანიშვილი, შოთა ირემაშვილი

მცხეთის შემოგარენში აღმოჩენილი ბრინჯაოს საბრძოლო-საპარადო ცული

2006 წელს, ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე, სოფ. ნატახტართან, ადგილ საფურცლეში, შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს საბრძოლო-საპარადო ცული[1] [ნიკოლაიშვილი 2006: 4].

ვაქვეყნებთ ცულის აღწერილობას: ცული ბრინჯაოსი, ყუადაქანებული, პატინირებული; ტანი ექვსწახნაგა აქვს, სატარე ხვრელი ოვალური მოყვანილობისაა. ყუისთავი შუბლთან დაზიანებულია – ორგან ატკეჩილია. შუბლი მკვეთრად წიბოიანია. ორივე მხარეს ღარები ემჩნევა. კაჩა ღრმაა, ოვალისებური. პირი ასიმეტრიულია, გორდა.

ტანზე შვეულად მკვეთრი წიბურები გასდევს. ყუაზე ორივე მხრიდან საპირისპიროდ გამოსახულია ხუთ-ხუთი რელიეფური „წიწვოვანი“ ორნამენტი, უფრო ქვევით კი –რელიეფური წრე და შუაში წერტილი – მზის გამოსახულება (სურ. 1-2).

სურ. 1

1 ცული შემთხვევით აღმოჩნდა თბილისის წყალსადენების გაძლიერებისა და სადრენაჟო სამუშაოების მიმდინარეობისას. იგი აღმოაჩინა სამუშაოთა მწარმოებელმა სოსო გოგილაშვილმა, რომელმაც ცული გადასცა არქეოლოგ შოთა ირემაშვილს; ამ უკანასკნელმა კი – ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის ინტერდისციპლინარულ ლაბორატორიას. სპექტრული ანალიზის ჩატარების შემდეგ (გ. ინანიშვილი) ცული გადაეცა მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმნაკრძალს, სადაც ამჟამად ინახება (ინვ. № 21888).

სიმაღლე – 21 სმ, პირის სიგანე – 14,5 სმ, სიგანე კაჩასთან – 6 სმ, ყუის თვალის ზომები: შუბლის მხარეს – 7 სმ, ზურგის მხარეს – 5,1 სმ, სიგანე – 2,1 სმ, პირის სიმაღლე – 8 სმ, სისქე წელთან – 3 სმ, წონა – 1, 370 გრ.

ზემოაღწერილი ცული ჩამოსხმული ჩანს ქვის ორფორმიან ყალიბში, სასხმის ტართან შეერთებით. ცულის ქიმიური შედგენილობა: სპილენძი (Cu) 93%, კალა (Sn) – 0,6%, ტყვია (Pb) – 1,7%, თუთია (Zn) – 0,6%, ვერცხლი (Ag) – 1,95%, დარიშხანი (As) – 1,5%, რკინა (Fe) – 0,12%, ნიკელი (Ni) – 0,95%.



სურ. 2

ნატახტართან აღმოჩენილი ცული ფორმალურ-ტოპოლოგიური თვალსაზრისით, აგრეთვე დამზადების ტექნოლოგიური სქემით და დანიშნულებით თითქმის ანალოგიურია 1935 წელს ღრმაღელეში შემთხვევით აღმოჩენილი პარა-

დული საბრძოლო ჩუგლუგისა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისთვის მოიპოვა არქეოლოგმა ბორის კუფტინმა და მანვე გამოაქვეყნა [Куфтин: 1941: 17-18].

ღრმაღელის ცული ქვის ორფორმიან ყალიბშია ჩამოსხმული. ლითონის ქიმიური შედგენილობა: სპილენძი (Cu) – 89,74% კალა (Sn) – 7,08%, ანტიმონი (Sb) – 0,1%, ტყვია (Rb) – 1,27% [ქორიძე 1955: 75-77].

ნატახტარში აღმოჩენილი ცულის სპექტრული ანალიზის შედეგებმა აჩვენა (გ. ინანიშვილი), რომ შენადნობში დაფიქსირდა ამიერკავკასიის ბრინჯაოს შენადნობისთვის ნაკლებად ცნობილი ვერცხლის (Ag – 1,0) და ნიკელის (Ni – 0,95%) შემცველობა. ბრინჯაოს სხმულში აღნიშნული ელემენტების არსებობა მთელი პროცენტის ოდენობით გვაფიქრებინებს გამოყენებული სპილენძის არაადგილობრივ წარმომავლობაზე.

კავკასიის სპილენძის გამადნებათა სისტემაში გეოლოგიურად არ დასტურდება სპილენძ-ნიკელის პოლიმეტალური საბადოები, რომლებიც გენეტიკურად შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ნიკელიანი ბრინჯაოს მისაღებად [Мачабели 1985: 152-154]. ნიკელის შემცველი სპილენძის მადნები ცნობილია ირანსა და ანატოლიაში. ამავე დროს ძვ.წ. III-II ათასწლეულის ბრინჯაოს ინვენტარის ანალიზებმა ურიდან და ტროადან დაადასტურა ლიგატურაში ნიკელის მაღალი კონცენტრაცია [Aitchison 1960: 62-64].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: ნატახტარის სანახებში აღმოჩენილი ბრინჯაოს საბრძოლო საპარადო ცული უნდა წარმოადგენდეს მზა ნაწარმის იმპორტს საქართველოს სამხრეთით მდებარე კულტურული ცენტრებიდან. ამასთან, არ შეიძლება გამოირიცხოს ცულის ადგილობრივი დამზადებაც – მხოლოდ შემოტანილი მეტალურგიული ნახევარფაბრიკატის გამოყენებით (გ. ინანიშვილი).

საქართველოში ნატახტარის ტიპის ცული სულ სამია აღმოჩენილი. ერთი, როგორც აღვნიშნეთ, ღრმაღელესთან [Куфтин 1941: 17-18], მეორე ბოდორნასთან,[2] მესამე გუმბათთან.[3]

ნატახტარსა და ღრმაღელის ცულები ოდნავ განსხვავებულია ბოდორნისა და გუმბათის ცულებისაგან (პირველი ორი შემკულია თითქმის ერთნაირი გეომეტრიული ორნამენტით). ამ ტიპის ცულების წარმომავლობისა და თარიღის განსაზღვრა გართულებულია იმის გამო, რომ ყველა მათგანი, გარდა ორი გამონაკლისისა, შემთხვევითაა აღმოჩენილი. მსგავსი ცულები კომპლექსში მხოლოდ სომხეთში, კიროვაკანის ყორღანში დადასტურდა [Мартиросян 1964: ნახ. 17-29], აგრეთვე, აზერბაიჯანში, ალიკემეკთეფესიზე [ჯაფარიძე 2003: 173-174]. ამავე ტიპის ცულები შემთხვევით აღმოჩნდა სომხეთში – ლენინაკანთან და სოფ. ნაურთან (შამშადინი) [Мартиросян 1964: 62, სურ. 27, 60, ნახ. 26]; აზერბაიჯანში, სოფ. კუდურლისთან [Ахундов 2000]; დაღესტანში – სოფ. ხორეჯში [Котович, Котович 1973: 81, სურ. 23].

ყველა ზემოჩამოთვლილი ცულის პროტოტიპად თეფე-გავრას VI ფენაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცული ითვლება [Куфтин 1941; Кушнарева, Рысин 2001: 107, სურ. 2_2].

ბორის კუფტინს მიაჩნდა, რომ კოლხური ცულების პროტოტიპები ღრმაღელის ტიპის ცულებისგან არის განვითარებული [Куфтин 1941: 17-18, ნახ. 16, 18, 20]. დ. ქორიძეს ღრმაღელის საბრძოლო საპარადო ცული შუა ბრინჯაოს ხანით დათარიღებული ცულების პროტოტიპად მიაჩნია. იგი მას ადგილობრივი მეტალურგიის პროდუქტად თვლიდა [ქორიძე 1955: 75, 79; ქორიძე 1965: 57-58, სურ. 51].

თ. მიქელაძის აზრით, კოლხური ცულების პროტოტიპები „ფორმალურ-ტიპოლოგიური განვითარების თვალსაზრისით“ მომდინარეობენ ცენტრალურ-სამხრეთ კავკასიის პარადული ცულებისაგან [მიქელაძე 1974: 33].

ო. ჯაფარიძის მოსაზრებით, ღრმაღელის ტიპის ცული თრიალეთის კულტურის დამახასიათებელი იარაღია. ამავე დროს, გვიანბრინჯაოს ხანაში იგი უახლოვდება აღმოსავლეთ-ცენტრალურ და სამხრეთ კავკასიაში გავრცელებულ ცულებს [ჯაფარიძე 1991: 183-184, ტაბ. 10]. დაახლოებით იმავე აზრისაა კ. ფიცხელაური, რომელიც ფიქრობს, რომ თრიალეთის კულტურისათვის დამახასიათებელი ღრმაღელე-შამშადინის ტიპის ცულები ფაქტიურად იმავე ტერიტორიაზე გვხვდება, რომელზედაც გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ცენტრალურ-სამხრეთ კავკასიური ტიპის ცულები (ფიცხელაური 1973: 169).

ე. გოგაძეს მიაჩნია, რომ ლენინაკანის, შამშადინის და ღრმაღელის ცულები არ უკავშირ-

2 ცული აღმოჩნდა ძველ ბოდორნაში - საქართველოს სამხედრო გზის ჩრდილო-დასავლეთით 0.5 კმ-ზე, ღვთისმშობლის ეკლესიასთან 1957 წელს. იპოვა ნიკოლოზ ვარსიმაშვილმა. იგი ინახებოდა დუშეთის მხართმცოდნეობის მუზეუმში. ინვ. №985. ამჟამად დაკარგულია.

3 სოფ. გუმბათთან (წალკის რაიონი) აღმოჩენილი ცული ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის თრიალეთის ფონდში.

დება კოლხურ ცულებს, მაგრამ თეფე-გავრული ელემენტების გათვალისწინებით, შეხება უნდა ჰქონოდა კოლხურ ცულთან [გოგაძე 2003-2004: 35-53].

ა. მარტიროსიანიც უარყოფს კოლხურ ცულებთან კავშირს; ამასთან აღნიშნავს, რომ ღრმაღელის ცული უკავშირდება თეფე-გავრას ტიპის ლენინაკანის უძველეს და შამშადინის ტიპის ცულებს, ხოლო კიროვაკანის ცულით იწყება ცენტრალურ-სამხრეთ კავკასიური ცულების სერია [Мартиросян 1964: 62-64, ნახ. 26, 27, 29].

ალ. რამიშვილიც არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ კოლხური ცულის პროტოტიპები აღმოსავლეთ-სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებული საბრძოლო-პარადული ცულებისგან არის განვითარებული. მისთვის მისაღებია კიროვაკანის ტიპის ცულებისაგან გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ცენტრალურ სამხრეთ კავკასიური ჩუგლუგების განვითარება [რამიშვილი 1974].

ვ. გ. და ვ. მ. კოტოვიჩები ყურადღებას ამახვილებენ ღრმაღელე-შამშადინის ტიპისა და დაღესტანში აღმოჩენილი ცულების მსგავსებაზე. მათი აზრით, ამ ცულებიდან უნდა განვითარებულიყო ცენტრალურ-სამხრეთ კავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის ცულები [Котович, Котович 1973: 77-85].

ყველა საბრძოლო პარადული ცული გამოქვეყნებული აქვს კუშნარიოვასა და რისინს (პროტოტიპები, ჩრდილო მესოპოტამიური ეგზემპლარები). მათი აზრით, კიროვაკანისა და დაღესტნის (სოფელი ხორეჯი) ცულები პირის ასიმეტრიულობითა და სიფართით მსგავსია გვიანბრინჯაოს ხანის ცენტრალურ სამხრეთკავკასური ცულებისა [Кушнарева, Рысин 1993].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა მკვლევარი ღრმაღელე-შამშადინის ტიპის ცულების პროტოტიპად თეფეგავრას VI ფენის ცულს მიიჩნევენ.

ღრმაღელე-შამშადინის ტიპის ცულებს ზოგადად ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულის პირველი მეოთხედით ათარიღებენ (2000-1750 წწ.), უფრო სწორად, ძვ.წ. XIX-XVIII სს-ით [ქორიძე დ. 1965; Кушнарева, Рысин 2001: 107]. ამასთან, ნატახტარის ცული (ისევ როგორც ღრმაღელის) გამოირჩევა ფორმის დახვეწილობითა და ორნამენტული მოტივით, ამიტომ მისი არსებობის ზედა თარიღად შესაძლებელია მივიჩნიოთ ძვ.წ. XVIII საუკუნე.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, კარგად ჩანს ნატახტარის (იგივე ღრმაღელის) ბრინჯაოს საბრძოლო საპარადო ცულის წარმომავლობა და მისი ტიპოლოგიური და ევოლუციური განვითარების გზა: თეფე-გავრა – ნავური (შამშადინი), ღრმაღელე (ნატახტარი), კიროვაკანი. ეს უკანასკნელი კი უდავოდ ბრინჯაო-რკინის ხანის ცენტრალურ ამიერკავკასიური ცულების პროტოტიპია.

სწორედ ჩანს ავტორთა დაკვირვება, რომლის მიხედვით შესაძლოა, თეფე-გავრას ცულების გავრცელება უკავშირდება სავაჭრო აღებ-მიცემობის გააქტიურებას ასურეთის სავაჭრო გზებზე, რომელშიც, როგორც ჩანს, ჩართული იყო სამხრეთ კავკასიაც [Кушнарева, Рысин 2001: 107-108].

V. Nikolaishvili, A. Sikharulidze, G. Inanishvili, Sh. Iremashvili

A BRONZE FIGHTING CEREMONIAL AXE DISCOVERED IN SURROUNDINGS OF MTSKHETA

Summary

In 2006 a bronze fighting ceremonial axe there was occasionally discovered on the territory of historical great Mtskheta, near the village of Natakhtari.

The above mentioned axe belongs to the so-called Ghrmaghele-Shamshadin type and the axe of the 6 layer of Tepe Gavra is considered to be its prototype (23rd – 20th centuries B.C.).

The Natakhtari axe is dated to the 18th century B.C. according to materials at our disposal.

We can easily see the way of origin and evolutional development of the Natakhtari (ghrmghele) bronze fighting-ceremonial axe: Tepe Gavra – Navuri (Shamshadin), Ghrmaghele, Kirovakan. The last one is undisputable considered to be a prototype of the central Transcaucasian axes of the Bronze-Iron Age.

ლიტერატურა

გოგაძე ე. 2003-2004: სამხრეთ კავკასიის მეტალურგიული წარმოების ზოგიერთი საკითხის შესწავლისათვის მისი განვითარების ადრეულ ეტაპზე (სპილენძ-ბრინჯაოს უძველესი ცულები). – სსმმ, № 45, 35-53.

მიქელაძე თ. 1974: ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბილისი.

ნიკოლაიშვილი ვ. 2006: ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები მცხეთაში. – გაზ. „ლომისი“, 14 ოქტომბერი, № 5, მცხეთა.

რამიშვილი ალ. 1974: კოლხური მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი.

ფიცხელაური კ. 1973: აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები. თბილისი.

ქორიძე დ. 1955: თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I. თბილისი.

ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1991: საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ხანა), თბილისი.

ჯაფარიძე ო. 2003: საქართველოს ისტორიის სათავეებთან. პირველყოფილი ეპოქა. თბილისი.

Ахундов Т. 2000: Северо-Западный Азербайджан в эпоху энеолита и бронзы. Автореферат. Махачкала.

Котович В. Г., Котович В. М. 1973: Находки древних бронзовых топоров в Дагестане. – Кавказ и Восточная Европа в древности, Москва, 77-85.

Куфтин Б. 1941: Археологические раскопки в Триалети, I. Тбилиси.

Кушнарева К., Рысин М. 2001: Новые данные к проблеме датировки памятников «цветущей поры» Триалетской культуры. – ბ. მაისურაძე, რ. რუსიშვილი (რედ.), კავკასია. ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი, დამატებანი, VI), თბილისი, 101-116.

Мартиросян. А. 1964: Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван.

Мачабели Т. 1985: Природные ресурсы Грузинской СССР. Москва.

Aitchison L. 1960: History of metals, P.1. London.

სურათების აღწერილობა

სურ. 1-2 – საპარადო ცული მცხეთის შემოგარენიდან.

DESCRIPTION OF FIGURES

Figs. 1-2 – Ceremonial axe from the surroundings of Mtskheta.

ნინო გომელაური

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხისათვის მცირე პლასტიკისა და გრაფიკულ გამოსახულებათა მიხედვით

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანაში ორი არქეოლოგიური კულტურაა გამოყოფილი. მათგან ერთი, ლჭაშენ-წითელგორის კულტურა, ძვ.წ. XV-XIII სს. აღმოსავლეთ საქართველოს გარდა, გავრცელებულია სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, სომხეთსა და ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანში [აბრამიშვილი 1997: 3, ტაბ. II-III]. ეს კულტურა, რომლის მდიდრული სამარხები ძირითადად ყორღანებითაა წარმოდგენილი, ხასიათდება მაღალგანვითარებული სოციალური სტრუქტურითა და მეტალურგიის დარგში გამორჩეული მიღწევებით. მრავალრიცხოვანი ბრინჯაოს ინვენტარი, დამზადებული რთული სამსხმელო ტექნიკის გამოყენებით, რომელთა შორისაა ჭვირული ფუღურუროსხეულიანი ნაკეთობები, გამოარჩევს ამ კულტურას მისი თანადროული ევრაზიული კულტურებისაგან. ლჭაშენ-წითელგორის კულტურისაგან განსხვავებით, სამთავრული კულტურა, რომელიც ძირითადად

სურ. 1.



მოიცავს შიდა ქართლის რეგიონს, ხასიათდება ნაკლებად განვითარებული საზოგადოებრივი წყობით და აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგენილია შედარებით მცირე ზომის ორმოიანი სამარხებით[1].

წინამდებარე სტატიაში განიხილება ამ კულტურათა ურთიერთმიმართება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რის წარმოსაჩენადაც კარგად დოკუმენტირებულ მასალას იძლევა ბრინჯაოს მცირე პლასტიკა და გრაფიკა თიხასა და ლითონზე.

1 აღნიშნული კულტურებისათვის ეს სახელწოდებები სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიღო რ. აბრამიშვილმა ამ კულტურათა ტიპიური ძეგლების აღ-

მოჩენათა ადგილმდებარეობის მიხედვით.

ლჭაშენ-წითელგორის კულტურის მცირე პლასტიკა დასაბამს იღებს ადრებრინჯაოს ხანის ცენტალური ანატოლიის ქანდაკებებიდან [Гомелаури 1989: 15, 12-13; გომელაური 1999: 5, 3-4], მაშინ როდესაც სამთავრული სკულპტურები ლჭაშენ-წითელგორის კულტურის ლოკალური კერის, კახეთსა და ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანში ჩამოყალიბებულ მხატვრულ ტრადიციას უკავშირდება.

პლასტიკური ხელოვნების აყვავება სამხრეთ კავკასიაში ლჭაშენ-წითელგორის კულტურის ეთნოსთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამაზე მეტყველებს ამ ეთნოსის კუთვნილ სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს სკულპტურების სიმრავლე და მათი შესრულების მაღალი მხატვრული და ტექნიკური დონე [Miron, Orthman 1995: 24, 95, 110; Nioradze 1932: 25, ტაბ. 7; Sartrot 1996: 28, № № 47, 51, 84, 85]. ჭვირულ ფუღუროსხეულიან სკულპტურათა ჩამოსხმის სიახლეც, სწორედ ამ ეთნოსს უკავშირდება (ტაბ. I_5). ჩამოსხმის ამ ტექნიკის გამოყენებით მიიღწეოდა ნივთის სიმსუბუქე და იმ დროისათვის ძვირადღირებული ლითონების – სპილენძისა და კალის ეკონომია. ამასთან, ეს ტექნიკა პასუხობდა სკულპტურათა ზარაკის ფუნქციას და ზოომორფულ ფიგურათა დეკორაციულ მორთულობას წარმოადგენდა.

ჩამოსხმის ეს რთული ტექნიკა უცხოა სამთავრული კულტურისათვის. მასში გამარტივებულია ქანდაკებათა დამზადების ტექნიკური ხერხები და ლჭაშენ-წითელგორის ფუღუროსხეულიანი სკულპტურებისაგან განსხვავებით მზადდება ღრუმუცლიანი ქანდაკებები (ტაბ. I_9), მაშინ როდესაც საქართველოს სხვა თანადროული კულტურებისათვის მთლიანადსხმული სკულპტურებია დამახასიათებელი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გამარტივების გზით მხოლოდ სამთავრულ პლასტიკაში გრძელდება ლჭაშენ-წითელგორის კულტურის ტექნიკური ტრადიციები. ამასთან, სამთავრულ ქანდაკებებში გამოყენებული თემა და ამ თემისათვის მოძებნილი მხატვრული ფორმა ნასესხებია ლჭაშენ-წითელგორის კულტურის ლოკალურ კერაში გავრცელებული გრაფიკული გამოსახულებებისაგან, რომელიც გვხვება სკულპტურათა წინარე ხანებში თიხის ჭურჭელსა და იარაღზე (ტაბ. I_{1-4}) [Pizchelauri 1984: 26, სურ. $12_{2,5,15}$; Pizchelauri 1997: 27, ტაბ. $37_{458,459,461,\ 462,465,466}$; Гуммель 1931: 16, ტაბ. VI; Гуммель 1940: 17, სურ. 11, 16, 26]. მსგავსება სამთავრულ სკულპტურებსა და ლჭაშენ-წითელგორის გრაფიკას შორის თავს იჩენს იკონოგრაფიასა და გამოსახულების სტილიზებულ ფორმებში. ირმის ზემოთ მიმართული თავი, ფართოდ დაღებული პირი, აპრეხილი კუდი, უკან გადახრილი და წელში ძლიერ გაზნექილი სხეული და თვითონ ფიგურის დგომაც გამოსახავს ამ ცხოველს მყვირალობის დროს (ტაბ. I_{6-8}).

სამთავრული პლასტიკის მხატვრული თავისებურებანი თვალსაჩინო ხდება ლჭაშენ-წითელგორის სკულპტურებთან მისი შედარებისას. თუ სამთავრულ პლასტიკაში ფიგურას გამოსახავენ ძლიერ მოძრაობაში, ლჭაშენ-წითელგორის ქანდაკებები მშვიდად მდგარი ცხოველის სახეს წარმოგვიდგენს. ამ ნაკეთობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხეულის სტრუქტურის გამოვლენას, ფორმათა წონისა და სიმკვრივის, ცხოველის შებერილი მოცულობების ჩვენებას, მაშინ, როდესაც სამთავრულ სკულპტურებში მოცულობითობა, ფორმათა სხეულებრიობა ნაკლებადაა გამოხატული. ამასთან, ფიგურა და მასში ნაჩვენები მოქმედება მხოლოდ სილუეტში დანახული ფორმებითაა გამოვლენილი. მხატვრულ საშუალებათა შორის სილუეტის განმსაზღვრელობა, ამავე დროს, მოცულობითი ფორმის სიბრტყესთან დაახლოების ტენდენცია, სკულპტურათა იკონოგრაფიულ და თემატურ მსგავსებასთან ერთად, დამატებითი არგუმენტია სამთავრული პლასტიკის გრაფიკულ გამოსახულებებთან გენეტიკური კავშირის სამტკიცებლად. ფეხებთან გაერთიანებული გადაღუნული ფირფიტის სახით ცხოველის სხეულის წარმოდგენა სამთავრულ ქანდაკებათა დამახასიათებელი ტიპოლოგიური ნიშანია, რომელიც გამოარჩევს მას საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვა ქანდაკებებისაგან.[2]

სამთავრული პლასტიკის განვითარებაში სამი ქრონოლოგიური, ტიპოლოგიური და სტილური საფეხური გამოიყოფა.

სამთავრული პლასტიკის ადრეული ნიმუშები, რომლებიც, ზოგადად, ძვ.წ. XII-ს-ის მეორე ნახევრითაა დათარიღებული[3] [აბრამიშვილი 1961: 2, 328, 330; აბრამიშვილი 1957: 1, 136] აღმოჩენილია ამ კულტურის მდიდრული სამარხებში

2 მადლობა მინდა გადაუხადო საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებს ლ. ღლონტს, ც. დავლიანიძეს, ლ. ფანცხავას, მ. კეცხოველს მუზეუმის ფონდებში მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის.

3 იმ მიზეზით, რომ სკულპტურები სამთავროს სამაროვანზე ბოლომომრგვალებული მახვილების შემცველი კომპლექსების გარდა აღმოჩენილია. „ზემოავჭალური ტიპის“ მახვილების შემცველ კომპლექსებშიც, I ჯგუფის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად ძვ.წ. IX ს. შეიძლება მივიჩნიოთ [აბრამიშვილი 1997. 3. ტაბ. II].

და მათი არეალი მცხეთა და მისი მიმდებარე ტერიტორიაა – სამთავრო,[4] ნარეკვავი,[5] წეროვანი,[6] მუხრანი,[7] სათოვლე-ნაბაღრები,[8] აღაიანი[9] (სურ. 1 – რუკა). ამ ჯგუფის სკულპტურათა ადრეული თარიღი და მათი ლოკალურ რაიონში თავმოყრა მიუთითებს, რომ ქანდაკებათა წარმოშობის კერა და, შესაბამისად, სამთავრული კულტურის მატარებელი ეთნოსის რელიგიური თუ სოციალური ნიშნით გამორჩეულ პირთა ადგილსამყოფელი სწორედ ეს რეგიონი უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ კულტურის ძეგლები შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზეა განფენილი.

ქანდაკებათა ეს ჯგუფი საერთო იკონოგრაფიული და სტილური ნიშნებით ხასიათდება. სკულპტურულ ფორმათა ძუნწად დანაწევრების მიუხედავად, მათში თვალნათლივია გარკეული დეტალიზაციაც. კერძოდ, რქის ძირი ნაჩვენებია რელიეფით, გულმკერდისა და ჩლიქის აღმნიშვნელი ფორმა გამოკვეთილია სილუეტში. სხვა ჯგუფისაგან მათ გამოარჩევს ასევე ცხოველის დაღებული პირი, ხშირად პირიდან გადმოგდებული ენა, ყულფად შეკრული აპრეხილი კუდი. საკიდის ნაცვლად ცხოველის ზურგზე ოვალური ნახვრეტია.[10]

სკულპტურათა ეს ჯგუფი, რომელიც ქრონოლოგიურად უშუალოდ მოსდევს თავის გრაფიკულ პროტოტიპებს,[11] ყველაზე მეტ მსგავსებას იჩენს ამ უკანასკნელთან და დრეკადი სილუეტითა და დინამიური ფორმებით გამოირჩევა.

სამთავრული პლასტიკის შემდგომი ეტაპის ამსახველი ქანდაკებები, რომლებიც გვხვდება ადრეულ სკულპტურათა არსებობის მომდევნო ხანებში, ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში [კალანდაძე 1965: 6, 27; Панцхава 1986: 19, 28-34], მათი გავრცელების განსხვავებულ ტერიტორიულ საზღვრებს მოიცავს. კერძოდ, იგი ინაცვლებს ჩრდილოეთით, ძირითადად გვხვდება მდ. არაგვის ზემო წელში, ასევე შიდა ქართლის ჩრდილოეთ რეგიონში და აღწევს ჩრდილო კავკასიასაც – ფასანაური,[12] ჩაბარუხი,[13] თლია,[14] ყობანი[15] (სურ. 1).

ამ ჯგუფის ქანდაკებებში (ტაბ. II_{1-3}) განმეორებულია გრაფიკულ გამოსახულებათა და სამთავრული პლასტიკის I ჯგუფის სკულპტურებისათვის დამახასიათებელი თემა და იკონოგრაფიული ნიშნები. კერძოდ, წელში გაღუნული სხეულის ფორმა, ფეხების დგომა, რომელიც მოძრაობაში მყოფი ირმის სახეს გადმოგვცემს, თუმცა, ამასთან, სკულპტურა უცხო იკონოგრაფიული დეტალებითაცაა შეცვლილი, რაც ანელებს ადრეული ნიმუშებისათვის დამახასიათებელ ცხოველის მოქმედების მიზანსწრაფულობასა და მასში გამოხატულ შინაგან დინამიკას. კერძოდ, ქვემოთ მიმართული თავი, დაშვებული კუდი, უკანა ფეხების ხაზგასმული ვერტიკალი სკულპტურებში იწვევს არა მხოლოდ შინაგანი ექსპრესიის შესუსტებას, არამედ მიანიშნებს ფორმასა და შინაარს შორის არსებულ შეუსაბამობასაც. ამასთან, შესუსტებულია მათში ინტერესი სხეულის ნაწილთა გამოსახვის მიმართაც და შეცვლილია სხეულის ნაწილთა პროპორციული შეფარდებები. კერძოდ, პატარა ზომის თავი არ შეესაბამება სხეულის მძიმე ფორმებს, კისრის წაგრძელებული დიაგონალი კი უკარგავს ფიგურას წარმოსახვით მდგრადობას. აღნიშნული ცვლილებები უნდა მიანიშნებდეს, როგორც ქრონოლოგიურ სხვაობას I და II ჯგუფის ქანდაკებათა შორის, ასევე შიდა ქართლის ჩრდილოეთით ადგილობრივი მხატვრული ცენტრის არსებობას. ამავე დროს, სამთავრული პლასტიკის განვითარების II ეტაპზე ახალი თემის გაჩენა, რომელიც ჩვეულია კოლხური კულტურისათვის, ვგულისხმობ ვერძისგამოსახულებიან სკულპტურებს,[16] მეტყველებს ამ კულტურის დიფუზიაზე აღნიშნულ რეგიონში.

ქანდაკებათა II ჯგუფი შეიცავს ასევე სკულ-

4 სამ. № 56 [აბრამიშვილი 1961: 2, ტაბ. III], სამ. № 77 (სემ 12-54:1905-1908), სამ. № 96ბ [აბრამიშვილი 1957:. 1, ტაბ. III] – დათარიღებულია ძვ.წ. XII ს-ის მეორე ნახევრით [აბრამიშვილი 1961: 2, 328, 330]; სამ. № 208 (სემ. 12-54:8800-8802), № 591 [პიოტროვსკი 1949: 20, ტაბ. V] – დათარიღებულია ძვ.წ. XI-X სს-ით [აბრამიშვილი 1957: 1, 136]; სამ. VIII (სემ).

5 სამ. №№ 9, 41, 35, 53 [ნარეკვავი 1999: 8, ტაბ. VI, XXVII, XXXIV]; სამ. № 53 [ნარეკვავი 2000: 9, ტაბ. XVI].

6 ე.წ. დანგრეული სამარხი [სონღულაშვილი 1996: 10, ტაბ. X].

7 სამ. №№ 14, 36, 37 (დმმნ ფონდები. მადლობას უხდი მუზეუმის თანამშრომელს ე. გავაშელს მასალის მოწოდებისათვის).

8 სამ. № 19 [კალანდაძე 1982: 7, №№ 1579-1581].

9 [ბარამიძე 1974: 4, ტაბ. I].

10 როგორც ჩანს ეს სკულპტურები ეკიდა ოვალურ ნახვრეტში გატარებულ გაკვანძულ თოკზე, რომელზედაც სკულპტურებთან ერთად აღმოჩენილი ბრინჯაოს მილაკები იყო ასხმული.

11 გრაფიკულ გამოსახულებათა უადრესი თარიღი თიხის ჭურჭელზე – წითელგორი, ყორღანი № 2, ძვ.წ. XV ს. [აბრამიშვილი 1997: 3, ტაბ. III], იარაღზე – ქედაბეკური ტიპის მახვილი, ძვ.წ. XIII ს. [აბრამიშვილი 1997: 3, ტაბ. II_{87}].

12 ფასანაურის განძი, შემთხვევითი აღმოჩენა (დსმ), ფასანაური, შემთხვევითი მონაპოვარი (სემ 7-09:4).

13 ჩაბარუხის განძი (სემ 27-61).

14 სამ. №№ 349, 451 (საქ. მეცნ. აკად. სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, 2836).

15 შემთხვევითი აღმოჩენა [Уварова 1900: 22, ტაბ. XXXVIII; Avant les Scythes 1979: 23, № 192].

16 ჩაბარუხისის განძი, თლია, სამ. № 451.

პტურებს, რომელიც შემდგომი ჯგუფის ტიპოლოგიურ ნიშნებს ატარებს (ტაბ. II_{2-3}). ასეთებია ფასანაურის სკულპტურა სტატიკური კომპოზიციით და ფასანაურის განძის ქანდაკებები, რომლებშიაც ცხოველის ზურგზე ფუნქციური დანიშნულების ოვალური ნახვრეტი საკიდი ყულფითაა შენაცვლებული. ნიშან-თვისებათა ასეთი შეთავსება კი, დროის გარკვეულ მონაკვეთში, II და III ჯგუფის ქანდაკებათა თანაარსებობას გვავარაუდებინებს.

სამთავრული პლასტიკის განვითარების მომდევნო საფეხური, რომელიც განსხვავებული ქვეტიპებით ყაზბეგის განძის მასალებითაა წარმოდგენილი [Tallgren 1930: 29, სურ. 30-31], შეიძლება, ზოგადად, ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღდეს [წითლანაძე 1976: 13, 104]. III ჯგუფის სკულპტურები გავრცელებულია ქსნისა და არაგვის ხეობაში (წიფორი,[17] უკანუბანი,[18] ქსნის ხეობა[19]) და, II ჯგუფისაგან განსხვავებით, მათი საზღვრები დასავლეთითაც ინაცვლებს (შორაპანი[20]). თუმცა ამ ქანდაკებათა კონცენტრაცია ქსნისა და არაგვის ხეობაში იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ სკულპტურათა წარმოშობის კერა სწორედ ეს რეგიონი უნდა ყოფილიყო (რუკა).

სამთავრული პლასტიკის III ჯგუფი წინა ჯგუფებისაგან განსხვავებული მხატვრული თავისებურებებით ხასიათდება (ტაბ. II_{5-8}). კერძოდ, მათში ჩნდება რეალისტური ელემენტები და ფორმა ანატომიურად კონკრეტდება – გამოკვეთილია ყურის, ყბის, ფეხებზე სახსრისა და ჩლიქის აღმნიშვნელი ფორმები. ამასთან, თვალსაჩინოა ტიპოლოგიური ცვლილებებიც. კერძოდ, ფიგურის სხეული ფასიდან გამჭოლია, ფეხები ტიხრით გადაბმის ნაცვლად ერთმანეთთანაა შეზრდილი, ფიგურათა დასამაგრებლად განკუთვნილი ნახვრეტი კი ყულფითაა შეცვლილი. ამავე დროს, შეიმჩნევა ქრონოლოგიურად მათ წინამორბედ სკულპტურათათვის უცხო მხატვრული ტენდენციებიც. კერძოდ, ყურადღების გამახვილება ირმის რქათა წონად, სხეულებრივ ფორმებზე, ხაზგასმული სურვილი მათი ენერგიული გრეხვით გადმოიცეს გარკვეული მოძრაობა ანათესავებს ამ სკულპტურებს კოლხურ პლასტიკასთან, რომლის მხატვრული გამომსახველობა ძირითადად სწორედ რიტმულად მონაცვლე, რქების განზე განვითარებულ ფორმათა მოძრაობითაა მიღწეული. ამდენად, მათში ძველი თემა ფორმათა ექსპრესიითა და პლასტიკითაა გამდიდრებული. კოლხური კულტურის გავლენაზე ამ რეგიონში მიუთითებს ასევე III ჯგუფის ტიპოლოგიური ნიშნების შემცველი ვერძისგამოსახულებიანი სკულპტურებიც (უკანუბანი, ქსნის ხეობა, შორაპანი).

ამგვარად, სკულპტურათა ზემოგამოყოფილი ჯგუფები სამთავრული პლასტიკის განვითარების სამ განსხვავებულ ეტაპს წარმოგვიდგენს. ქანდაკებათა ჯგუფებს შორის არსებული სტილური ცვლილებები ლჭაშენ-წითელგორისა და კოლხური მხატვრული ტრადიციის ზეგავლენაზე მიანიშნებს. კერძოდ, სკულპტურათა I ჯგუფი ახლო დგას ლჭაშენ-წითელგორის კულტურის ლოკალურ კერაში გავრცელებულ გრაფიკულ გამოსახულებებთან, მაშინ, როდესაც მომდევნო ეტაპების ამსახველი ქანდაკებები გარკვეულ სიახლოვეს იჩენს კოლხური წრის მხატვრულ ნაწარმთან.

განხილული ჯგუფების ქრონოლოგიური მონაცვლეობა და მათი მიმართება სხვადასხვა კულტურასთან დასტურდება ბრინჯაოს სარტყლებითაც. კერძოდ, III და II ჯგუფის სკულპტურათა შემცველ კომპლექსებში მოპოვებულ სარტყელთა დეკორში ასახული წინააზიური მოტივები ზოგჯერ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ მხატვრულ ფორმებთან თანაარსებობს (ტაბ. $II_{4,9}$), მაშინ, როდესაც I ჯგუფის სკულპტურების შემცველ სამარხებში ნაპოვნი სარტყლები სტილისტურად ლჭაშენ-წითელგორის კულტურის ლოკალური კერის გრაფიკას უკავშირდება (ტაბ. I_{10}).

ზემოგანხილული მასალების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ძვ.წ. XII ს-ის მეორე ნახევარში სამთავრული კულტურის გავრცელების აღმოსავლეთი რეგიონი კახეთიდან შემოსული არქეოლოგიური კულტურის ძლიერ ზეგავლენას განიცდის. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ამ დროს შიდა ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში, კერძოდ, მცხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, პირველად ჩნდება სამთავრული კულტურისათვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის სამი ახალი ელემენტი – ირმის ქანდაკებები, გრაფიკული დეკორით შემკული სარტყლები და ე.წ. ბოლომომრგვალებული მახვილები. მათგან სკულპტურები და სარტყელთა დეკორი, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, საზრდოობს ლჭაშენ-წითელგორის კულტურის ლოკალური კერისათვის ნიშანდობლივი გრაფიკული გამოსახულებებით, ხოლო იარაღი, ე.წ. ბოლომომრგვალებული მახვილი, კახური ტიპის მთლიანადსხმული სატევრიდანაა განვითარებული [აბრამიშვილი 1961: 2, 325].

17 შემთხვევითი აღმოჩენა, სემხმ 378,379
18 შემთხვევითი აღმოჩენა, სემ 19-61:1
19 შემთხვევითი აღმოჩენა, გსმ 8134-17
20 შემთხვევითი აღმოჩენა, სემნმ 771

Nino Gomelauri

INTERRELATION OF THE LATE BRONZE – EARLY IRON AGE CULTURES OF EASTERN GEORGIA REFERRING TO THE PLASTIC ART AND ENGRAVINGS

Summary

Two principle cultures of the Late Bronze Age have been distingiushed in Eastern Georgia. One is Lchashen-Tsitelgori culture predominating on the territory of Central Transcaucasia, S-E regions of eastern Georgia, Armenia and N-W Azerbaijan during the 15th-13th centuries BC and represented mainly by rich barrows. This culture stands out for its highly developed social structure and far-reaching achievements in the field of metallurgy. Numerous bronze funeral gifts manufactured with the intricate lost-wax technique, i.e. producing hollow cast pierced objects, distinguish this culture from other contemporary ones. Contrary to Lchashen-Tsitelgori culture Samtavro culture that mainly covers the region of Shida Kartli in central Georgia shows evidence of markedly less developed society on this territory, characterised by comparatively small pit graves.

The aim of this article is to review the interrelation of these two cultures neighboring and sometimes overlapping on the territory of Eastern Georgia. Bronze minor plastics and engravings on pottery and weaponry provide well-documented material for clarifying this relationship.

Minor plastics of Lchashen-Tsitelgori culture apparently originated from Early Bronze Age Central Anatolian sculptures, whereas Samtavro plastics take their origin from the artistic tradition of the local center of Lchashen-Tsitelgori culture bordered within the territory of Kakheti (easternmost region of Georgia) and N-W Azerbaijan.

Flourishing of plastics art in Transcaucasia is intimately connected with the people of Lchashen-Tsitelgori culture, confirmed by the abundance of bronze sculptures, and by the high artistic and technical level of their production. Lchashen-Tsitelgori craftsmen initiated the complex method of casting openwork hollow bronze sculptures which allowed them to aconomise on expensive metals as copper and tin, as well as to achieve lightness of the figurines (Pl. I_5). This technique also corresponds to the function of the sculptures, since they represent zoomorphic rattles bearing small metal balls inside their hollow bodies. Openwork pattern increases the decorative effect of these sculptures as well.

However, Samtavro craftsmen were unaware of this complex technique of casting. Contrary to Lchashen-Tsitelgori metalwork tradition, they simplified this method, replacing hollow-body sculptures by open-body ones (Pl. I_5), while in other contemporary cultures in Georgia full-cast sculptures were produced. Thus, by modifying the technique of casting only Samtavro continued the metalwork tradition of Lchashen-Tsitelgori culture. The continuity of tradition between above-mentioned cultures could also be seen in the style and iconography of Samtavro sculptures repeating their predecessor graphic patterns characteristic of the local center of Lcshashen-Tsitelgori culture, depicted on the pottery and weaponry (Pl. I_{1-4}).

Similarities between Samtavro sculptures and Lchashen-Tsitelgori graphics are apparent in the stylized forms and the iconography of the animal, i.e. upraised head and tail, opened mouth, vigorously bent body deflected backwards, position of legs, representing the inner strain of stags when in-heat (Pl. I_{6-8}).

The artistic peculiarities of Samtavro plastics are more evident in comparison with Lchashen-Tsitelgori sculptures. While the Samtavro plastics represent the figures in action, Lchashen-Tsitelgori sculptures display the image of a quietly standing animal. Moreover, in the latter certain importance is given to revealing body structure, weight and solidity of forms, while in Samtavro sculptures voluminosity of forms are given scant attention. The figure in action is portrayed by the forms outlined in silhouette. Determining significance of the silhouette in the perception of the figure together with a tendency towards flattening of forms characteristic of Samtavro sculptures, is an additional argument confirming their origin from graphical imagery. Representation of the body as if made of bent metal-plate connected at the legs, is a typological peculiarity distinguishing Samtavro sculptures from other plastics found in Georgia.

Three chronological, typological and stylistic stages can be discerned in the development of Samtavro plastics.

Sculptures of the first stage dating, in general, to the second half of the 12th-9th centuries BC[21] are represented by the rich graves of this culture, found in Mtskheta and its environs – Samtavro, Narekvavi, Tserovani, Mukhrani,

21 Since, apart from the so-called round-edged swords contexts, the sculptures at the Samtavro cemetery were found also with the swords of "Zemoavchala type", the upper date for group I can be suggested as 9th cent B.C.

Satovle-Nabaghrebi, Aghaiani (fig. 1 – map). The earliest date of these sculptures indicates the center of their origin. Respectively, the place of residence of the representatives of Samtavro culture distinguished in terms of religion and social standing, can be limited to this region proper; however, artefacts of this culture are discovered on the whole territory of Shida Kartli.

Sculptures of the first stage are characterized by common features (Pl. I_{6-8}). While sparsely articulated certain detalisation is also discernible, namely: open mouth of the animal often with the tongue put out, relief antler base, hoof and breast outlined in silhouette. This group is characterized also by an upraised looped stag tail. The usual functional detail of this group is an oval hole on the back of the animal[22].

Sculptures of this group chronologically succeeding their graphical prototypes, show close affinity to the latter and are characterized by the flexibility of forms in the silhouette.

The geographical distribution of the second group of Samtavro sculptures dating to the first centuries of the Ist mill. BC exceeds the area of dispersal of the earliest samples, shifting northward, and covers the upper course of the river Aragvi in the eastern Georgian highlands, reaching the northern part of Shida Kartli and the northern Caucasus – Pasanauri, Chabarukhi, Tlia, Koban (Map).

This second group (Pl. II_{1-3}) partially repeats the iconography of both the graphical representations and the first group of Samtavro sculptures, i.e. bent body of the animal, position of forelegs indicating the motion of the stag; however, certain iconographic and stylistic traits discernible here result in the decreased inward dynamism of the figures; namely, closed mouth shown by an engraved line, vertical position of forequarters and a short tail bent downwards, creates certain discord with the content. Besides, depiction of the details is minimized, and the proportions are changed, violating of the proportional balance – small-sized head fits badly onto the heavy form of the body, the diagonal of the narrow elongated neck contributes to the visual instability of the figure. Thus, this second group, reflects a strong influence from its antecedent, but is comprised newly emerging features, and undergoes certain changes, which indicate both chronological differences between the first and the second groups, and points the existence of the local artistic center in the northern region of Shida Kartli. At the same time, emergence of a new theme – the representation of a ram, central to Colchian culture, indicates the influence of this culture on the second stage in the development of the Samtavro sculptures, manifesting the diffusion of this culture in this region.

The second group also contains sculptures which bear typological peculiarities of the next, third group (Pl. II_{2-3}). These are the Pasanauri sculpture with a static composition and items of the Pasanauri hoard, in which the functional oval hole on the back of the animal is replaced by a loop for suspension. Such a combination of features allows us to assume co-existence of the second and third groups over a certain period.

The next, third stage in the development of Samtavro sculptures represented in diverse variations by the Kazbegi hoard can be dated to the 7th-6th centures BC. The geography of this group covers Ksani and Aragvi valleys (Tsipori, Ukanubani, Ksani gorge), and, unlike the second group, goes beyond Eastern Georgia (Shorapani – east part of Western Georgia). However concentration of sculptures in the valleys of the rivers Ksani and Aragvi, indicates that this region should be considered as a center of their origin (Map).

This group is characterized by new features, which differs it from the previous ones (Pl. II, 5-8), namely, certain realistic elements and narrative details are introduced – an ear, a jaw, legs with anatomical details: indicated joints and hoofs. Typological changes are also evident: the body is open at the front and the back; legs are spliced instead of being connected at the bottom; functional detail is also changed – a hole is replaced by a loop for a chain. At the same time, these sculptures manifest artistic tendencies alien to the previous groups. This is reflected in the accentuation of the heavy, bodily forms of antlers, whose vigorous twisting shows energetic motion, akin to the Colchian plastics, artistic expressiveness of which is achieved by rhythmically alternating spiral motion of antlers. Thus, old theme in these sculptures is enriched by the expressiveness and plasticity of forms. Images of rams (Ukanubani, Ksani gorge, Shorapani) found in the same group also indicate the influence of Colchian culture in the region.

Thus, these three groups of Samtavro sculptures reflect different stages in their development. Stylistic differences traceable in these groups indicate the influence of Lchashen-Tsitelgori and Colchian artistic traditions. Namely, the first group shows greatest affinity to their graphical prototypes, characteristic of the local center of Lchashen-Tsitelgori culture, whereas the sculptures belonging to the next chronological groups, undergoe transformation due to the

22 Apparently, these sculptures were pendants hung on a knotted rope, which was put through an oval hole; bronze tubes often found with the sculptures were most likely to be strung on these ropes.

influence of Colchian culture.

Chronological alternation of these groups and their interrelation with different cultures is also evidenced by the bronze ornamental belts. Namely, belts discovered in the complexes containing the sculptures of the third and second groups show co-existence of the Near Eastern motifs with the artistic forms characteristic of Colchian culture (Pl. $II_{4,9}$), whereas, decoration of belts found in graves with sculptures of the first group, is stylistically related to the graphical images of the local center of Lchashen-Tsitelgori culture (Pl. I_{10}).

Based on the material, it can be posited that in the second half of the 12th cent. BC eastern area of Samtavro culture was greatly influenced by the culture, which had penetrated from Kakheti. This is evidenced by the fact that at this period proper, in the eastern region of Shida Kartli, namely, in the environs of Mtskheta, three new elements specific to the Samtavro culture – sculptures of stags, belts with the graphic ornamentation and round-edged swords – begin to appear. As mentioned above, sculptures and decoration of belts were inspired by the graphical images of the local center of Lchashen-Tsitelgori culture, while the round-edged sword was developed from a dagger of Kakhetian type.

ლიტერატურა

აბრამიშვილი რ. 1957: სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. – სსმმ, ტ. XIX-AA და XXI-B, 115-140.

აბრამიშვილი რ. 1961: რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VI სს.) – სსმმ, ტ. XXII-B, 291-382.

აბრამიშვილი რ. 1997: ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფები. – თამბ, № 1, 1-23.

ა. აფაქიძე, ვ. ნიკოლაიშვილი, გ. ყიფიანი, ა. სიხარულიძე, გ. გიუნაშვილი, ე. გავაშელი, ნ. ღლონტი, მ. კაპანაძე 1999: ა. აფაქიძე (რედ.), ნარეკვავი I (მცხეთა 1998), თბილისი.

ა. აფაქიძე, ვ. ნიკოლაიშვილი, გ. ყიფიანი, ა. სიხარულიძე, გ. გიუნაშვილი, ე. გავაშელი, ნ. ღლონტი, მ. კაპანაძე 2000: ა. აფაქიძე (რედ.), ნარეკვავი II (მცხეთა 1999), თბილისი.

ბარამიძე მ. 1974: შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან – მსკა, VI, 124-136.

გომელაური ნ. 1999: ლითონის შტანდარტები ევრაზიიდან (ძვ.წ. III-I ათასწ.). – ხელოვნების სახ. მუზეუმის წინაქრისტიანული ხანის ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი I სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, 1-2, თბილისი.

კალანდაძე ალ. 1965: ჩაბარუხისა და ფასანაურის განძები. – დუშეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის I სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 15-27, თბილისი.

კალანდაძე ალ. 1982: არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. – ა. აფაქიძე (რედ.), მცხეთა, VI. თბილისი.

სონღულაშვილი ხ. 1996: წეროვნის სამარხი. – სსხმნ, II, 157-165.

ფანცხავა ლ. 1988: კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბილისი.

ხიდაშელი მ. 1982: ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში. თბილისი.

წითლანაძე ლ. 1976: ხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

Вырубов В. 1877: Предметы древности в хранилище "Общества любителей кавказской археологии". Тифлис.

Гомелаури Н. Р. 1989: К вопросу генезиса малой пластики Центрального Закавказия XIV-XIII вв до н.э. – ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი VI საერთაშორისო სიმპოზიუმი, მოხსენებათა თეზისები, სსხმნ, 13-15. თბილისი.

Гуммель Я. И. 1931: Погребальный курган №1 около Еленендорфа. Баку.

Гуммель Я. И. 1940: Археологические очерки. Баку.

Доманский Я. В. 1984: Древняя художественная бронза Кавказа. Москва.

Панцхава Л. Н. 1986: Некоторые вопросы колхидской и кобанской культур (по материалам чабарухского и пасанаурского кладов). – сммм, ტ. XXXVIII-B, 23-34.

Пиотровский Б. Б. 1949: Археология Закавказья. Ленинград.

Техов Б. В. 1981: Тлийский могильник. Тбилиси.

Уварова П.С. 1900: Могильники Северного Кавказа. МАК, VIII. Москва.

Avant les Scythes, Prèhistoire de l`art en URSS, 1979: B. Piotrovsky, G. Smirnova, P. Quoniam, R. Joffroy (Comite Scientifique). Paris.

Miron A., Orthman W. 1995: Unterwegs zum Goldenen Vlies. Archäologishe Funde aus Georgien. Saarbrücken.

Nioradze G. 1932: Der Verwahrfund von Kvemo Sasirethi. – ESA, VII, 102-109.

Pizchelauri K. 1984: Jungbronzezeitliche bis altereisenzeitliche Heiligtümer in Ost-Georgien. – H. Müller-Karpe (Herausgeber), MAVA, Bd. 12, 7-121.

Pizchelauri K. 1997: Waffen der Bronzezeit aus Ost-Georgien. – H. Parzinger (Herausgeber), Archäologie in Eurasien, Bd. 4. 2-80, Berlin.

Sartrot J. 1996: Armenie, Tresors de l'Arménie ancienne des origines au IVe siècle. Paris.

Tallgren A. M. 1930: The Kazbek Treasure. – ESA, V, 109-182.

სურ. 1 – რუკის განმარტება

I ჯგუფის ქანდაკებები – 1. სამთავრო, სამ. №№ 56, 77, 96ბ, 208, 591, VIII; 2. ნარეკვავი, სამ. №№ 9, 35, 41, 53; 3. წეროვანი, დანგრეული სამარხი, მუხრანი, სამ. №№ 14, 36, 37. 4. სათოვლე, სამ. № 19; 5. აღაიანი;

II ჯგუფის ქანდაკებები – 6. ფასანაურის განძი, ფასანაური, შემთხვევითი აღმოჩენა; 7. ჩაბარუხის განძი; 8. თლია, სამ. №№ 349, 451; 9. ყობანი.

III ჯგუფის ქანდაკებები – 10. ყაზბეგის განძი; 11. უკანუბანი, შემთხვევითი აღმოჩენა; 12. ქსნის ხეობა, შემთხვევითი აღმოჩენა; 13. წიფორი, შემთხვევითი აღმოჩენა; 14. შორაპანი, შემთხვევითი აღმოჩენა.

გამოსახულებები თიხის ჭურჭელსა და იარაღზე – 15. წითელგორი, სამ. № 2; 16. ტიბაანი, შემთხვევითი აღმოჩენა; 17. კარდენახი, შემთხვევითი აღმოჩენა; 18. მელი-ღელე I, სამლოცველო; 19. ფევრები, ყორღანი № 10; 20. ქედელი, სამ. № 1; 21. ანთოკი; 22. შალაური, შემთხვევითი აღმოჩენა; 23. თელავი, შემთხვევითი აღმოჩენა; 24. ღრმა-ღელე, შემთხვევითი აღმოჩენა; 25. ჩალიპირაგორები, სამ. № 3; 26. მუხათგვერდი, სამ. № 45; 27. ნატახტარი, სამ. № 31.

ტაბულების განმარტება

ტაბ. I – 1. ელისავეტპოლის გუბერნია, ყორღანი № 8 (ი. გუმელის მიხედვით); 2. ელისავეტპოლის გუბერნია, ყორღანი № 34 (ი. გუმელის მიხედვით); წითელგორი, ყორღანი № 2 (რ. აბრამიშვილის მიხედვით); ანთოკი (რ. აბრამიშვილის მიხედვით); წითელგორი, ყორღანი № 1 (რ. აბრამიშვილის მიხედვით); მუხრანი, სამ. № 14 (ავტორის ჩანახატი); სამთავრო, სამ. № 77 (ავტორის ჩანახატი); მუხრანი, სამ. № 37 (ავტორის ჩანახატი); მცხეთა, სამ. VIII (ავტორის ჩანახატი); სამთავრო, სამ. № 56 (მ. ხიდაშელის მიხედვით).

ტაბ. II – 1. ჩაბარუხის განძი (ავტორის ჩანახატი); 2. ფასანაური (ავტორის ჩანახატი); 3. ფასანაურის განძი (ავტორის ჩანახატი); 4. ჩაბარუხის განძი (მ. ხიდაშელის მიხედვით); ყაზბეგის განძი (ი. დომანსკის მიხედვით); 7. შორაპანი (ავტორის ჩანახატი); ყაზბეგის განძი (ვ. ვირუბოვის მიხედვით); ყაზბეგის განძი (ა. უვაროვას მიხედვით); ყაზბეგის განძი (ა. ტალგრენის მიხედვით).

EXPLANATION OF THE MAP

Sculptures of group I – 1. Samtavro, graves NN 56, 77, 96b, 208, 591, VIII; 2. Narekvavi, graves NN 9, 41, 35, 53; 3. Tserovani, grave "Dangreuli Samarkhi", Mukhrani, graves NN 14, 36, 37; 4. Satovle, grave N 19; 5. Aghaiani grave;

Sculptures of group II – 6. Pasanauri, hoard; Pasanauri, accidental find; 7. Chabarukhi, hoard; 8. Tlia, graves NN 349, 451; 9. Kobani, accidental find;

Graphical images on the pottery and weaponry – 15. Tsitelgori, barrow N 2; 16. Tibaani, accidental find; 17. Kardenakhi, accidental find; 19. Meligele, shrine I; 19. Pevrebi, grave N 10; 20. Kedeli, grave N 1; 21. Antoki collection; 22. Shalauri, accidental find; 23. Telavi, accidental find; 24. Grmagele, accidental find; 25. Chalipiragorebi, grave N 3; 26. Mukhadgverdi, grave N 45; 27. Natakhtari, grave N 31.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – 1. Elisavetpol, barrow N 8 (after J. Hummel) ; 2. Elisavetpol, barrow N 34 (after J. Hummel); 3. Tsitelgori, barrow N 2 (after R. Abramishvili); 4. Antoki (after R. Abramishvili); 5. Tsitelgori, barrow N1 (after R. Abramishvili); 6. Mukhrani, grave N 14 (by author); 7. Samtavro, grave N 77 (by author); 8. Mukhrani, grave N 37 (by author); 9. Mtskheta, grave VIII (by author); 10. Samtavro, grave N 56 (after M. Khidasheli).

Pl. II – 1. Chabarukhi, hoard (by author); 2. Pasanauri, accidental find (by author); 3. Pasanauri, hoard (by author); 4. Chabarukhi treasure (after M. Khidasheli); 5. Kazbegi, hoard (after J. Domanski); 6. Shorapani, accidental find (by author); 7. Kazbegi, hoard (after V. Virubov); 8. Kazbegi hoard (after P. Uvarova); 9. Kazbegi hoard (after A. Tallgren).

ლჭაშენ-წითელგორის კულტურა
Lchashen-Tsitelgori culture

ძვ. წ. 1500 – 1150
1500 – 1150 B.C.

ჩრდ-დას აზერბაიჯანი
N-W Azerbaijan

კახეთი
Kakheti



სამთავრული კულტურა
Samtavro culture

ძვ. წ. 1150 – 900
1150 – 900 B.C.



I ჯგუფი
I Group

ძვ. წ. 800 – 700
800 – 700 B.C.


1


2


3

4

II ჯგუფი
II Group

ძვ. წ. 700 – 600
700 – 600 B.C.

5

6

7


8


9

III ჯგუფი
III Group

ლერი ჯიბლაძე

ახალი ინფორმაცია ნაოხვამუს ნამოსახლარზე

ძველი კოლხური გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანის კულტურის ნამოსახლარების შესწავლის საეტაპო ძეგლი ნაოხვამუ დროგამოშვებით ითხრებოდა 1933-1940 წწ.[1] როგორც ცნობილია, სხვა ძეგლებთან (დაბლაგომი, ანაკლია I, ოჩამჩირე) ერთად, ნაოხვამუს მასალა გამოქვეყნებული იქნა ბ. კუფტინის მიერ [Куфтин 1950:161-236]. ამ ფუნდამენტალურ ნაშრომში ცნობილმა მეცნიერმა მოგვცა ნაოხვამუს მასალის მეცნიერული ანალიზი და ამ ძეგლის მიხედვით პირველმა შეადგინა კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მატერიალური კულტურის ქრონოლოგიური ცხრილი, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა.

1933-1938 წწ. ნაოხვამუზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ ბ. კუფტინის მონოგრაფიამდე თითქმის არაფერი იყო ცნობილი. მონაპოვარი მდიდარი არქეოლოგიური მასალა დაუმუშავებელი და გამოუქვეყნებელი ყოფილა [ჯაფარიძე 1989: 105-106]. სწორედ ეს გამხდარა მიზეზი იმისა, რომ 1940 წელს ამ ძეგლზე სამუშაოდ გაუგზავნიათ საკმაოდ დიდი არქეოლოგიური ექსპედიცია გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით [ჯაფარიძე 1989: 105]. მომდევნო 1941 წელს ჩატარებულ სამუშაოებზე გ. ნიორაძემ გამოსცა ანგარიშული ხასიათის სტატია, სადაც მოკლედ არის მიმოხილული არქეოლოგიური მასალა, უფრო ვრცლად კი საუბარია ნაოხვამუსა და კოლხეთის დაბლობის სხვა ხელოვნური ბორცვების ტოპოგრაფიაზე, სადრენაჟო თუ თავდაცვითი დანიშნულების თხრილებზე, განხილულია ნაოხვამუს გათხრების მეთოდიკა, სტრატიგრაფია და სხვა საკითხები [ნიორაძე 1941: 323-344].

ნაოხვამუს გათხრების ისტორიაზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ სწორედ 1940 წელს წარმოებული სამუშაოებისას აღმოჩნდა ბრინჯაოს პინცეტი, ისრისპირი და ბრინჯაოს მეორად მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული ორი თიხის ციცხვი. აღსანიშნავია, რომ ეს არტეფაქტები გ. ნიორაძისა და ბ. კუფტინის ნაშრომებში არ არის მოხსენიებული. ისინი გამოვლინდა 2009 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამთავრო-თრიალეთის ფონდებში შემავალი დასავლეთ საქართველოს ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების (მათ შორის ნაოხვამუს) მასალების დამუშავებისას და საინვენტარო დავთართან შეჯერებისას. მართალია, გ. ნიორაძე ზოგადად აღნიშნავს, რომ 1940 წლის გათხრებისას სხვა ნივთებთან ერთად ბლომად აღმოჩნდა ბრინჯაოს და რკინის მასალა, მაგრამ ცნობილ მკვლევარს არ აქვს აღნიშნული მათი სახეობა [ნიორაძე 1941: 335], ბ. კუფტინის მონოგრაფიაში კი ძირითადად შესულია ნაოხვამუზე 1933-1934 წწ. აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის არტეფაქტები [Куфтин 1950: 173-175, 177-178, ტაბ. $52_{1,2,5}$; 53_2; $54_{1,2,3,5,6}$, სურ. $42-43_1$]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაოხვამუს 1940 წლის მასალებში ჩვენს მიერ მიკვლეული იქნა შემდეგი ნივთები:

1. ბრინჯაოს პინცეტი (საინვენტარო №17-55:1980) დამზადებულია ბრტყელი ბრინჯაოს ფირფიტისაგან. არის მცირე ზომის (სიგრძე 5,3 სმ, სიგანე 0,5-1 სმ), სადა, გრავირებული ორნამენტის გარეშე. მორკალული თავიდან ოდნავ დაცილებული, ბოლოებმოხრილი და წაკვეთილი ნაწილისკენ თანდათანობით ფართოვდება. თავზე წამოცმული აქვს თასმაზე ჩამოსაკიდი რგოლი (ტაბ. I_1).[2]

ბრინჯაოსა (სადა, გრავირებული) და რკინის პინცეტები ერთ-ერთი გავრცელებული ელემენტია კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის

1 1933-1934 წწ. ნაოხვამუზე არქეოლოგიური სამუშაოები უწარმოებია ა. ამირანაშვილს (ა. ბოლტუნოვა) და ს. მაკალათიას ფოთის მუზეუმის დირექტორის ვ. გოგოლიშვილის მონაწილეობით. 1936 წ. გათხრები გაუგრძელებია ს. მაკალათიას. 1938 წ. აქ სადაზვერვო ხასიათის სამუშაოები ჩაუტარებია ა. იესენს, ხოლო 1939 წელს გათხრები შეუჩერებიათ [ნიორაძე 1941: 329; Куфтин 1950: 56]. 1940 წ. კი ნაოხვამუს ბორცვზე გათხრები აწარმოვა გ. ნიორაძემ. საყურადღებოა, რომ 1972წ. ამ ბორცვზე სადაზვერვო თხრილი გაავლო კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ [მიქელაძე და სხვა 1973: 57].

2 მასალების დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებმა: ლერი ჯიბლაძემ (ჯგუფის ხელმძღვანელი), ლამარა ჟორჟიკაშვილმა, მალხაზ ცინდელიანმა, ხათუნა ჯორბენაძემ, თინა კახელიშვილმა, გელა გიუნაშვილმა, მაია ჩარკვიანმა და სულხან ხარაბაძემ.

კულტურაში [მიქელაძე 1985: 52]. ისინი აქ ძირითადად წარმოდგენილია ადრერკინის ხანის სამარხეულ კომპლექსებში: ეშერის სამარხები, მერხეული, ყულანურხვა (№ 11 სამარხი), გორაძირი, ნიგვზიანი (საკულტო მოედანი), ერგეტის I, II, III სამაროვნების № 1, 3, 5, 6 სამარხები, დღვაბა და სხვა [მიქელაძე 1985: 82, ტაბ. XIII, XXXIII_{11-79}; ბარამიძე 1977:73, ტაბ. V_{28}; გოგაძე, დავლიანიძე 1981, ტაბ. XXIV_{150}; პაპუაშვილი 1998:45, ტაბ. II_{13}, III_{51-52}, V_{42-43}, VI_{36-40}; დოლიძე 1999:84-87, რუკა 12; Куфтин 1949: 152; Трапш 1970:161, ტაბ. VI_2; Микеладзе 1990:107, ტაბ. XX, $XXII_{15,17,22,23,24}$; XXVIII]. პინცეტები იშვიათად გვხვდება განძებში და ნამოსახლარებზე (სიმაგრე, II ფენა) [ქორიძე 1965: 22; მიქელაძე 1985: 82]. ისინი აღმოსავლეთ საქართველოში, ევროპაში, წინა აზიაში და კავკასიაში (ყობანის კულტურა და სხვა) გვხვდება დაახლოებით სინქრონულ და უფრო მოგვიანო ხანაში [ახვლედიანი 1999: 82; აფაქიძე 2002: 188-189; მიქელაძე 1985:52; მცხეთა 1989: 456, 826, 827, 939; Техов 1977: 119, სურ. 94_{1-6}; Козенкова 1998: 82, ტაბ. XXVII_{1-4}; Трапш 1961: 61]. ფიქრობენ, რომ ეს არტეფაქტები მხოლოდ მამაკაცის სამარხებისათვის არის დამახასიათებელი [Техов 1977: 119; Козенкова 1998: 83]. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, კოლხეთში ორი ფორმის ბრინჯაოს პინცეტი გვხვდება [Трапш 1970: 161]. თლიას სამაროვნის მიხედვით კი გრავირებულ ბრინჯაოს პინცეტებში ხუთ ჯგუფს გამოყოფენ [აფაქიძე 2002: 188].

პინცეტებს სხვადასხვა ფუნქციის მატარებლად თვლიან. ნაოხვამუს ამ რიგის პატარა ზომის არტეფაქტი, ალბათ, გამოიყენებოდა პარფიუმერიულ საქმიანობაში.

2. ბრინჯაოს მასრაგახსნილი ისრისპირი (საინვენტარო №17-55-729, მთლიანი სიგრძე 7 სმ, პირის 4 სმ, მრგვალგანივკვეთიანი მასრის კი – 3 სმ). გვერდებზე ნაკლული, სამკუთხა პირიანი, ორივე მხარეს შუა ნაწილზე გასდევს მკვეთრი ქედი (ტაბ. I_2). საბრძოლო იარაღის ეს სახეობა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთის მატერიალურ კულტურაში რიცხვმრავლობით არ გამოირჩევა [პაპუაშვილი 1998: 57-60]. ადრერკინის ხანაში მასრიან და ყუნწიან ბრინჯაოს ისრისპირებში ტიპოლოგიურად სამ ჯგუფს გამოყოფენ (სკვითურ ისრისპირებს ამ ჯგუფში არ აერთიანებენ), რომელთაგან ნაოხვამუს ეს ნივთი ყველაზე უფრო უახლოვდება III ტიპის ფოთლისებურპირიან ამ რიგის იარაღებს [პაპუაშვილი 1998: 59, ტაბ. XX_5]. ნაოხვამუს ბრინჯაოს ისრისპირს მასრის მოყვანილობითა და პირის ფორმით ახლო პარალელები ეძებნება მელექედურის, ნაოხვამუს (1933 წლის მონაპოვარი) და ერგეტის ამ სახის არტეფაქტებთან [რამიშვილი 1974: 79, ტაბ. XVI_6; Куфтин 1950: ტაბ. 54_2].

3. აგურისფრად გამომწვარი, გამლღვალი ლითონის ჩამოსასხმელი თიხის ციცხვი (საინვენტარო №17-55-454), წაგრძელებული ოვალური ფორმის (სიგრძე 5,8 სმ, სიგანე 3,5 სმ, ჩაღრმავება 1,5 სმ). სახელური ჩამოტეხილია (ტაბ. I_3).

4. ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ციცხვი კოვზისებური ფორმის, ნისკარტისებური გადმოსასხმელით (სიგრძე 5 სმ, სიგანე 3,5 სმ, ჩაღრმავება 1,5 სმ, ტაბ. I_4). გამლღვალი ლითონის ჩამოსასხმელი ასეთი ფორმის თიხის ციცხვები კოლხეთის დაბლობის არაერთ ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარზეა გამოვლენილი. ნაოხვამუს ეს აღმოჩენა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარები იმავდროულად წარმოადგენდნენ ბრინჯაოს მეორადი წარმოების ცენტრებსაც.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ნაოხვამუს ნამოსახლარზე 1940 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ძალზე საყურადღებო მასალებია გამოვლენილი. ვფიქრობთ, პარალელური მასალების მოშველიებით ბრინჯაოს პინცეტი და მასრიანი ისრისპირი უნდა მიეკუთვნოს ნაოხვამუს ზედა ფენას (ძვ.წ. VIII-VII სს-ები). შედარებით ძნელია თიხის ციცხვების რომელიმე ფენისადმი მიკუთვნება და, შესაბამისად, მათი ასაკის განსაზღვრა. ისინი ზოგადად გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით უნდა დათარიღდეს, რადგან ნაოხვამუს სამივე კულტურული ფენის ასაკი სწორედ ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ექცევა (ძვ.წ. XV, VIII-VII სს-ები).

L. Jibladze

FRESH INFORMATION FROM THE NAOKHVAMU SITE

Summary

Archaeological excavations carried out by Giorgi Nioradze on the Naokhvamu former settlement site in 1940 brought to light bronze pincers, an arrowhead, and two clay moulds for casting melt metal. These items found no reflection in the works of G. Nioradze and B. Kuftin. I identified them in 2009 while working on the materials of West-

ern Georgian sites of the Bronze and Early Iron Age, including Naokhvamu) and at checking with the inventory book. The Naokhvamu bronze pincers and arrowheads are dated to the 8th-7th cent. BC. It is hard to determine a relatively accurate date of the clay moulds. Generally, they should be dated to the Late Bronze – Early Iron Age.

ლიტერატურა

აფაქიძე ჯ. 2002: გვიანბრინჯაო და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი.

ახვლედიანი ნ. 1999: რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლები თბილისიდან (თრელის ნამოსახლარი და სამაროვანი). საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი.

ბარამიძე მ. 1977: მერხეულის სამაროვანი. თბილისი.

გოგაძე ე., დავლიანიძე ც. 1981: გორაძირი. თბილისი.

დოლიძე ნ. 1999: ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მხატვრული ნაწარმი (ლითონის სამკაული). საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი.

მიქელაძე თ., ბარამიძე მ., მუსხელიშვილი დ., ხახუტაიშვილი დ., ფხაკაძე გ. 1973: კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე კვლევა-ძიების შედეგები. – საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1972 წელს (მოკლე ანგარიშები), თბილისი, 48-57.

მიქელაძე თ. 1985: კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბილისი.

მცხეთა 1989: მცხეთა VI, თბილისი.

ნიორაძე გ. 1941: არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში. – ენიმკის მოამბე, X, 323-344.

პაპუაშვილი რ. 1998: გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ სამარხ-ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის. – ძიებანი, № 1, 43-57.

რამიშვილი ალ. 1974: კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი.

ფირფილაშვილი პ. 1989: ნარკვევები ძველი ქართული მედიცინის ისტორიიდან. თბილისი.

ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.

ჯაფარიძე ო. 1989: ბრინჯაოს ხანის ძეგლები გიორგი ნიორაძის კვლევის სფეროში. - ა. აფაქიძე (რედ.), გიორგი ნიორაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი, 100-112.

Козенкова В. И. 1998: Материальная основа быта кобанских племен (западный вариант). Москва.

Куфтин Б. А. 1949: Материалы к археологии Колхиды, I. Тбилиси.

Куфтин Б. А. 1950: Материалы к археологии Колхиды, II. Тбилиси.

Микеладзе Т. К. 1990: К археологии Колхиды (эпоха средней и позней бронзы-раннего железа). Тбилиси.

Техов Б. В. 1977: Центральный Кавказ в XVI-X в.в. до н. э. Москва.

Трапш М. М. 1970: Труды, I. Сухуми.

ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I – 1. ბრინჯაოს პინცეტი; 2. ბრინჯაოს ისრისპირი; 3-4. თიხის ციცხვები.

DESCRIPTION OF THE PLATE

Pl. I – 1. Bronze pincers; 2. Bronze arrowhead; 3-4. Clay moulds.

ტაბ. I



ქეთევან რამიშვილი

„ფანტასტიკური“ ცხოველის გამოსახულებები კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლებზე

ნაშრომი შეეხება ე.წ. „ფანტასტიკური ცხოველის“ (ძაღლისა თუ მგელ-ძაღლის) გრაფიკულ გამოსახულებებს, რომლებიც კოლხური ბრინჯაოს შემკულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ჩვენი მიზანია კოლხური ბრინჯაოს ნივთებზე (აბზინდები, შუბისპირები, მახვილები, პინცეტები, საკინძები, ფიბულები და სხვა) გრავირებული ამგვარი გამოსახულებების კლასიფიკაცია, შედარებითი მეთოდის გამოყენებით მათ შორის ცალკეული ჯგუფების გამოყოფა-დახასიათება, სადაც უმთავრესი ყურადღება მიექცევა კომპოზიციის შესრულების მანერას, ცხოველთა ფიგურების ჩამოყალიბება-განვითარების თანმიმდევრობის გარკვევასა და „ნახატის“ მხატვრულ-სტილურ ანალიზს.

დასახული მიზნის განხორციელებისათვის ჯერჯერობით შევისწავლეთ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ კოლხურ ბრინჯაოს ნივთებზე მოცემული „ფანტასტიკური“ ცხოველის (ძაღლისა თუ მგლის) გრაფიკული გამოსახულებები და კვლევის ამ ეტაპზე ისინი ტიპოლოგიური და სტილურ-კომპოზიციური თვალსაზრისით განვიხილეთ. დათარიღებისას კი, გავითვალისწინეთ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული ქრონოლოგიური განსაზღვრებები, მაგრამ ხშირად უპირატესობა ლ. ფანცხავას მიერ შემოთავაზებულ შესწორებულ თარიღებს მივანიჭეთ [ფანცხავა 1988: 54-83].

ძაღლის გამოსახულებები შესრულების განსხვავებული მანერის მიხედვით დავყავით ორ ჯგუფად. I ჯგუფში გავაერთიანეთ ნატურალისტურად შესრულებული გამოსახულებები, ხოლო II ჯგუფში სტილიზებული და გეომეტრიზებული ფიგურები მოვათავსეთ. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ ორივე ჯგუფის ძაღლის გამოსახულებები, რომლებიც ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთზეა დატანილი, შესრულებულია გრაფიკული სტილით, ყოველთვის პროფილში, დაღებული პირით, ყურდაცქვეტილი და კუდაწეული. ამგვარი პოზა არ არის დამახასიათებელი სხვა ცხოველებისათვის და ძაღლის გამოსახულების ფორმის მაქსიმალური სტილიზაციისა და სილუეტის დეფორმაციის შემთხვევაშიც კი, ამ ცხოველს სწორედ აღნიშნული პოზით გამოვარჩევთ.

I ჯგუფში მოვათავსეთ ძაღლის ის გრაფიკული გამოსახულებები, რომლებიც ნატურალისტური მანერითაა გადმოცემული, მაგრამ ნახატის მოდელირების თვალსაზრისით, ამ ჯგუფშივე შეინიშნება გარკვეული ცვლილებები. ამიტომ, I ჯგუფის მთელი მასალა დავყავით ორ ქვეჯგუფად: I ქვეჯგუფში მოვაქციეთ მკაფიოდ ნატურალისტურ მანერაში შესრულებული გამოსახულებები, ხოლო II ქვეჯგუფში გავაერთიანეთ ის გამოსახულებები, რომელთა ცალკეული ნაწილები სტილიზებულია, თუმცა ფიგურის ნატურალისტური ხასიათი ზოგადად შენარჩუნებულია.

კოლხურ ცულებზე დატანილი ძაღლის გრაფიკული გამოსახულებები, სხვა ნივთებზე მოცემულ მსგავს გამოსახულებებთან შედარებით, ყველაზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. I ჯგუფის I ქვეჯგუფში გავაერთიანეთ ძაღლის ის მთავარი ფიგურები, რომლებიც ცულის ლოყაზე ჰორიზონტულადაა მოთავსებული, თავით წინ (ტაბ. $I_{1,2,3,4}$). მათ აქვთ პროპორციული სხეული, სტატიკური პოზა და ზომიერად დაღებული პირი. ამავე ქვეჯგუფში გავაერთიანეთ ნატურალისტური მანერით შესრულებული დამატებითი სრული ფიგურები, რომლებიც ცულის ყუაზე (ტაბ. $I_{2,4,10,11}$), შუბლზე (ტაბ. I_{12}) და სატარე ხვრელის გვერდებზეა გამოსახული (ტაბ. $I_{4,10}$). ზოგჯერ ცულის ტანზე ძაღლის ერთმანეთზე გადაბმული თავების მწკრივია მოცემული (ტაბ. $I_{3,4,9}$). ძაღლის გადაბმული თავები გვხვდება ცულის ლოყაზეც (ტაბ. I_7). ონში აღმოჩენილი ცულის ლოყაზე, ყუასა და სატარე ხვრელის ორივე მხარეს მხოლოდ ძაღლის ფიგურებია მოცემული, ამავე ცულის ტანი კი, ძაღლის გადაბმული თავების მწკრივითაც არის შემკული (ტაბ. I_4). ცულის ლოყაზე დატანილია ძაღლის ერთი, ორი ან რამდენიმე გამოსახულება. მაგალითად, სვანეთიდან მომდინარე ცულის ლოყაზე მოცემულია ძაღლის ორი ურთიერთმაცქერალი ფიგურა, რომლებიც ორნამენტული სამკუთხედის რკალზე თავქვე დგანან (ტაბ. I_5). ეს გამო-

სახულებებიც ნატურალისტური მანერით არის შესრულებული და I ჯგუფის I ქვეჯგუფშია მოთავსებული, ხოლო ნარეკვავში, № 53 სამარხში აღმოჩენილი ცულის ლოყაზე კი „ზენური ხვიით“ შემოსაზღვრულ სამკუთხა სიბრტყეზე გამოსახულია ექვს რიგად განლაგებული ძაღლის 15 ნატურალისტურად შესრულებული ფიგურა (ტაბ. I_6). ამ შემთხვევაში ძაღლის ფიგურის განმეორებითა და ცხოველის გამოსახულებათა მწკრივების მონაცვლეობით დეკორატიულობა მკვეთრადაა გაძლიერებული.

დეკორატიული ხასიათისაა აგრეთვე ზოგიერთი ცულის ლოყაზე, გორდა პირის კონტურის შესაბამისად თავქვე გამოსახული და ნატურალისტურად შესრულებული ძაღლის გადაბმული თავები (ტაბ. I_7). ცხოველის მორკალული თავკისრის რიტმული მონაცვლეობით დეკორატიულობა იმდენად გაძლიერებულია, რომ კომპოზიცია მთლიანობაში გეომეტრიულ ორნამენტს ემსგავსება. ამ მხრივ საინტერესოა მუხურჩაში აღმოჩენილი ცული, რომელზეც, ჩვენი აზრით, ძაღლის გადაბმული თავები მსგავსი ფორმისა და შინაარსის გეომეტრიული ორნამენტითაა ჩანაცვლებული (ტაბ. I_8). ნახატის განვითარების პროცესი რომ ამ მიმართულებით წარიმართა, ადასტურებს სვანეთიდან მომდინარე ცულის ტანზე განლაგებული ძაღლის ოთხი გადაბმული სქემატურად შესრულებული თავი (ტაბ. I_9), რომელთაგან ორი კიდურა მოცემულია ტალღისებური რკალებით, ხოლო შუა ორ გამოსახულებას ჯერ კიდევ ძაღლის თავის ფორმა აქვს. ამ შემთხვევაში სახეზეა ნაწილობრივი ორნამენტიზაციის პროცესი, რომელიც მუხურჩის ცულზე უკვე დასრულებული ჩანს.

ზოგიერთ ცულზე ძაღლის გამოსახულება ნატურალისტურად არის შესრულებული, მაგრამ სტილიზაციის ნიშნებიც აშკარაა. ამგვარი გამოსახულებები გავაერთიანეთ I ჯგუფის II ქვეჯგუფში. მაგალითად, ანუხვადან და ეშერიდან მომდინარე ცულების ლოყაზე ძაღლი წარმოდგენილია ვერტიკალურად, (ტაბ. $I_{13,14}$), შემსხვილებული დრუნჩით, ტორსთან მიმართებაში ოდნავ დიდი თავითა და შედარებით ფართოდ დაღებული პირით. მსგავსად არის მოდელირებული თლიას სამაროვნიდან მომდინარე ცულების ლოყაზე წარმოდგენილი ძაღლების გამოსახულებებიც (ტაბ. $I_{15,16}$). მიუხედავად ერთგვარი სტილიზაციისა, გამოსახულებები ინარჩუნებენ ნატურალისტურ ნიშნებს. თავი წინ არის მიმართული და ტანის პროპორციულია, ტორსი ზომიერადაა ჩაზნექილი, თუმცა ფეხები საგრძნობლად მორკალული, ხოლო დრუნჩი – კუთხოვანი.

ნატურალისტურად შესრულებული ძაღლის გამოსახულებები ბრინჯაოს აბზინდებზეცაა დატანილი, რომელთაგან I ჯგუფის I ქვეჯგუფში გავაერთიანეთ უდის განძის ბრინჯაოს მოზრდილ აბზინდაზე პროფილში გამოსახული ძაღლის 5 გრაფიკული ფიგურა, რომლებიც მთელ მის სიგრძეზე ერთმანეთის თავზე ერთ რიგად არის წარმოდგენილი (ტაბ. II_1). ძაღლებს ზომიერად გაღებული პირი აქვთ, ფიგურები სტატიკურია და შესრულებულია ნატურალისტურად. გამოსახულებები შევსებულია მინისებური პასტით, რომლის თავდაპირველი შეფერილობა ამჟამად ვერ ირკვევა. ფიგურებს შორის არე გადაბმული სპირალებითაა შევსებული.

ამავე ქვეჯგუფში გავაერთიანეთ ხაშურის ნაცარგორას სამაროვნის № 435 სამარხში აღმოჩენილი საკმაოდ მაღალი, მართკუთხა ფორმის აბზინდაზე დატანილი სამი ძაღლის გამოსახულება, რომლებიც ვერტიკალურად, ირმების ფიგურებთან მონაცვლეობითაა გამოსახული. ცხოველები ტრადიციულ პოზაში, მარტივად და ხაზობრივადაა მოცემული. შესრულებულია ნატურალისტურად (ტაბ. II_2). თავისუფალი არეები შევსებულია გადაბმული სპირალური ორნამენტით.

ხაშურის ნაცარგორას სამაროვნის № 223 სამარხში აღმოჩნდა საკმაოდ მაღალი, მართკუთხა, რკინით ინკრუსტირებული აბზინდა, რომელზეც გრავირებულია ძაღლის ორი გამოსახულება, რომლებიც ორ მართკუთხა კადრშია მოცემული. აქვთ ტრადიციული პოზა და შესრულებულია მარტივი ხაზით, ნატურალისტურად. თავისუფალი არე გადაბმული სპირალებითაა შევსებული (ტაბ. II_3). გამოსახულებები მოვათავსეთ I ჯგუფის I ქვეჯგუფში.

I ჯგუფის I ქვეჯგუფში მოვათავსეთ აგრეთვე ძაღლის ის გამოსახულებები, რომლებიც დატანილია მართკუთხა აბზინდებზე ერგეტა III-ის № 4 და დღვაბას № 2 სამარხებიდან, ასევე ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან (ტაბ. II_{6-8}). სამივე აბზინდაზე გამოსახულებები ერთ, რიგად, ერთმანეთის თავზე, ტრადიციულ პოზაშია მოცემული და შესრულებულია ნატურალისტურად. აბზინდები შემკულია აგრეთვე გადაბმული სპირალებით.

I ჯგუფის I ქვეჯგუფში გავაერთიანეთ თლიას სამაროვნის № 208 სამარხში აღმოჩენილ მართკუთხა აბზინდაზე გრავირებული ძაღლის გადაბმული თავების გამოსახულებები (ტაბ. II_4), რომლებიც ნატურალისტურადაა შესრულე-

ბული. ხოლო თლიას სამაროვნის № 469 და № 109 სამარხებში (ტაბ. $II_{5,9}$) აღმოჩენილი მართკუთხა აბზინდებზე მოცემული ძაღლის გადაბმული თავები კი, მათი ნაწილობრივი სტილიზაციის გამო, I ჯგუფის II ქვეჯგუფში მოვათავსეთ. გამოსახულებებს აქვთ შემსხვილებული, კუთხოვანი დრუნჩი, შედარებით ფართოდ გაღებული პირი და წაწვეტებული ყურები, თუმცა მთლიანობაში ნახატი ნატურალისტურადაა შესრულებული.

ნატურალისტურად არის შესრულებული აგრეთვე ძაღლის გამოსახულებები, რომლებიც გრავირებულია შუბისპირების გახსნილ მასრებზე. მათ შორის I ჯგუფის I ქვეჯგუფში მოვათავსეთ ურეკის განძისა და ბორნიღელეს № 8 სამარხიდან მომდინარე შუბისპირის მასრებზე გამოსახული ძაღლის ფიგურები (ტაბ. $II_{10,12}$). აღსანიშნავია, რომ ბორნიღელეს შუბისპირის მასრაზე გამოსახულ ძაღლებს კუდებზე გადაბმული აქვთ საპირისპიროდ მიმართული ძაღლის მომცრო თავები, რომლებიც ასევე ნატურალისტურადაა მოდელირებული (ტაბ. II_{12}), ხოლო სტილიზაციის ნიშნების გამო, უდისა და აბანოს ალისებურ შუბისპირის მასრებზე დატანილი ძაღლების გამოსახულებები მივაკუთვნეთ I ჯგუფის II ქვეჯგუფს (ტაბ. $II_{11,13}$), თუმცა ყველა შემთხვევაში გამოსახულებები მთლიანობაში ნატურალისტურად არის შესრულებული.

I ჯგუფის II ქვეჯგუფში გავაერთიანეთ წითელი შუქურას № 58 სამარხში აღმოჩენილი, ბრინჯაოსგან ჩამოსხმული სატევრისმაგვარი საკიდის პირზე გრავირებული ძაღლის გრაფიკული გამოსახულება, რომელიც წარმოდგენილია პროფილში, თავით წინ, თუმცა, სტილიზაციის ნიშნებიც შეიმჩნევა, განსაკუთრებით სახე-დრუნჩის მოდელირებაში. აქვს კუთხოვანი, წაწვეტებული ზედა ყბა, ხოლო ქვედა – სამკუთხა ფორმისაა. მეორე მხარეს დატანილია თევზის გრაფიკული გამოსახულება, ხოლო ნივთის ტარი დაბოლოებულია ცხოველის თავის ქანდაკებით (ტაბ. III_7).

I ჯგუფის II ქვეჯგუფში მოვათავსეთ თლიას სამაროვნის № 227 სამარხში აღმოჩენილ ლახტისთავზე მოცემული ძაღლის 4 ფიგურა. გამოსახულებები მთლიანობაში ნატურალისტურადაა შესრულებული, თუმცა ხასიათდება სტილიზაციის ნიშნებითაც. აქვთ ფართოდ დაღებული პირი, კუთხოვანი და წაწვეტებული დრუნჩი, ხოლო ფეხები ფარფლისებრი თათებით ბოლოვდება (ტაბ. III_8).

ფევრების სამაროვნის № 109 სამარხში აღმოჩენილ მახვილზე დატანილია ძაღლის ორი გამოსახულება (ტაბ. III_9), რომლებსაც თავი მახვილის ტარისკენ აქვთ მიმართული. კომპოზიცია მარტივი ხაზით, ლაკონურადაა მოცემული და შესრულებულია ნატურალისტურ-სქემატურად. გავაერთიანეთ I ჯგუფის I ქვეჯგუფში. მახვილის სატარე გადაბმული სპირალებითაა შემკული, ხოლო ტარის ყუა სამკუთხედებითაა დაფანჯრული.

I ჯგუფის I ქვეჯგუფში მოვათავსეთ უდის განძის პინცეტსა და საკინძზე გამოსახული ძაღლების წყვილი გამოსახულება (ტაბ. $III_{1,4}$), რომლებიც ნატურალისტურ-სქემატურადაა მოცემული, ხოლო I ჯგუფის II ქვეჯგუფში მოვათავსეთ თლიასა და ჯირხუაში აღმოჩენილ პინცეტებზე დატანილი ძაღლის გამოსახულებები სტილიზაციის ნიშნებით, რომლებიც მთლიანობაში ნატურალისტურადაა შესრულებული (ტაბ. III_{2-3}).

I ჯგუფის I ქვეჯგუფში გავაერთიანეთ ძაღლის ის გამოსახულებები, რომლებიც დატანილია ბრინჯაოს რგოლებზე ჩაისუბნის განძიდან – ერთი (ტაბ. III_5), ხოლო თლიას № 39 სამარხიდან — ორი (ტაბ. III_6). ნივთებზე ძაღლის გამოსახულებები ნატურალისტურად არის შესრულებული.

II ჯგუფში გავაერთიანეთ ძაღლის ის გრაფიკული გამოსახულებები, რომლებიც უკვე ძლიერ სტილიზებულია. მათ აქვთ ფართოდ გაღებული ხახა, შემსხვილებული, წვეტიანი დრუნჩი და მორკალული, ბრჭყალებიანი კიდურები. ძაღლის ფიგურების უმეტესობას თავები უკან აქვთ შებრუნებული, ხოლო მკერდ-კისერი და ტორსი – ძლიერად ჩაზნექილ-მორკალული. ხშირად კომპოზიციას S-ის ფორმა აქვს. ახასიათებთ სხეულის ცალკეული ნაკვთისა თუ მთლიანად ფიგურის დეფორმაცია და დარღვეული პროპორციები. იწყება ფორმის გეომეტრიზაცია და სქემატიზაცია. ეს პროცესი I ჯგუფის გამოსახულებებთან შედარებით რამდენადმე გვიან დაიწყო და შემდეგ მის პარალელურად გაგრძელდა, ხოლო ფინალურ ეტაპზე უპირატესობა მოიპოვა, თუმცა, კოლხური გრაფიკული ხელოვნების დასასრულს ნატურალისტურად შესრულებული გამოსახულებებიც აგრძელებდა არსებობას.

მიუხედავად ძლიერი სტილიზაციისა, II ჯგუფში გაერთიანებულ გამოსახულებათა ნაწილი პოზით, ნაწილი კი ტორსისა და კიდურების მოდელირებით I ჯგუფის გამოსახულებებს ემსგავსება. მათ შენარჩუნებული აქვთ ერთგვარი პროპორციულობა და ფიგურულობა. ამგვა-

რი გამოსახულებები გავაერთიანეთ II ჯგუფის I ქვეჯგუფში. მაგალითად, თლიას სამაროვნის №№ 161, 165, 252 სამარხებში აღმოჩენილ ცულებზე გრავირებული გამოსახულებების თავი და განსაკუთრებით კიდურები მეტად სტილიზებულია, თუმცა ძველებური პოზა (თავით წინ) შენარჩუნებულია. ძაღლის ტორსი ზომიერადაა ჩაზნექილი, ხოლო თავი ტანის პროპორციულია (ტაბ. $IV_{1,2,3}$).

მზეთამზის სამაროვნიდან, ცხინვალის განძიდან და თლიას სამაროვნის № 432 სამარხიდან მომდინარე ცულებზე დატანილ ძაღლის გამოსახულებებს კი უკან მობრუნებული თავები აქვთ (ტაბ. $IV_{4,5,6}$). თავი მორკალული მკერდის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს იმგვარად, რომ კომპოზიცია S-ის ფორმას იღებს. თავ-მკერდი ძლიერ სტილიზებულია, ხოლო ტორსი და კიდურები – შედარებით ნაკლებად. შენარჩუნებულია გამოსახულების ფიგურულობა. ეს გამოსახულებებიც II ჯგუფის I ქვეჯგუფში მოვათავსეთ.

II ჯგუფის I ქვეჯგუფში გავაერთიანეთ მზეთამზეს № 4 სამარხში აღმოჩენილ ცულზე გრავირებული „ძაღლის“ ფიგურაც, რომელიც ფართოდ დაღებული პირის სამკუთხა ჭრილით, ტუჩებზე რქისებრი წვეტიანი წანაზარდებით, ქვედაზე გრძელი ზედა ყბით, წაწვეტებული ყურებითა და მოგრძო, ბოლოში აწეული კუდით ზემოგანხილულთა მსგავსია (ტაბ. IV_{10}). მართალია, კომპოზიცია გეომეტრიზებულია, მაგრამ გამოსახულება ორნამენტად არ გადაქცეულა, ვინაიდან მთელის მიერ ნაწილის დამორჩილების პრინციპი ჯერ კიდევ სახეზეა, ამდენად, ამგვარ დისპროპორციულ გამოსახულებას შენარჩუნებული აქვს ფიგურულობა.

გამოსახულების სრული სტილიზაცია და სქემატიზაცია შეინიშნება იმ კოლხურ ცულებზე, რომლებიც თლიას სამაროვნის სხვადასხვა სამარხებიდან მომდინარეობენ, მაგალითად, № 432 სამარხიდან (ტაბ. IV_7), ასევე №№ 49, 127 სამარხებიდან [Техов 1981: ტაბ. 97, 105] და სხვ. ამგვარი გამოსახულებები გავაერთიანეთ II ჯგუფის II ქვეჯგუფში. მათთვის დამახასიათებელია პროპორციების სრული რღვევა და გეომეტრიული ფორმები. უკლებლივ ყველა გამოსახულებას თავი უკან აქვს შებრუნებული.

ძაღლის გამოსახულებების სტილიზაცია, სქემატიზაცია და გეომეტრიზაცია კულმინაციას აღწევს კოლხურ ცულებზე მოცემულ ძაღლის ფიგურებზე, რომლებიც სრულადაა მორკალული და ერთი შეხედვით, მუდმივად მბრუნავი გეომეტრიული ორნამენტის შთაბეჭდილებას ტოვებენ. მაგალითად, ცული ფუშრუკაულიდან (ტაბ. IV_8), ან ხევის განძიდან (ტაბ. VI_6), ასევე, თლიას სამაროვნის №№ 362/1, 374 სამარხებიდან [Техов 2002: ტაბ. 32, 50a] და სხვ. ასეთი გამოსახულებები II ჯგუფის III ქვეჯგუფში მოვათავსეთ.

II ჯგუფის IV ქვეჯგუფში გავაერთიანეთ ცულებზე გამოსახული ძაღლისა თუ „ფანტასტიკური“ ცხოველის გეომეტრიულ-სიმბოლური ნიშანი – რვიანისებრად ჩახვეული, შეერთებული ორი წვეტიანი თათი, რითაც პირობითად აღნიშნული ცხოველი გამოისახება. დეტალის მიერ მთელი კომპოზიციის ამგვარი ჩანაცვლებით მიღებული ცხოველის აღმნიშვნელი სიმბოლური ორნამენტი გამოსახულია ცხინვალისა (ტაბ. IV_9) და მეხჩის-ციხის [ქორიძე 1965: სურ. 30] განძებიდან მომდინარე ცულებზე, ასევე თლიას სამაროვნის № 452 სამარხიდან [Техов 2002: ტაბ. 123] და სხვა.

სტილიზებული გამოსახულებები დატანილია ბრინჯაოს აბზინდებზეც. მაგ., თლიას №№ 358, 233 სამარხებში აღმოჩენილ მოგრძო, მართკუთხა აბზინდებზე გრავირებულია ძაღლის თავ-მკერდის გამოსახულებები, რომლებიც ორნამენტული ჩარჩოებით არის გამოყოფილი ერთმანეთისგან და კადრშია ჩასმული. გამოსახულებები სტილიზებულია და შესრულებულია მსგავსად ცულებზე დატანილი იმ გამოსახულებებისა, რომლებიც ჩვენ II ჯგუფის I ქვეჯგუფში გავაერთიანეთ. ამიტომ იმავე ქვეჯგუფში მოვათავსეთ ეს გამოსახულებებიც. მათ აქვთ ფართოდ დაღებული, ჭრილში სამკუთხა პირი, წვეტებიანი, კუთხოვანი დრუნჩი (ტაბ. $V_{1,2}$). № 358 სამარხის აბზინდაზე მოცემულ კომპოზიციას S-ის ფორმა აქვს, ხოლო № 233 სამარხის აბზინდაზე ძაღლის თავ-კისერი მკვეთრად მორკალულია.

ძაღლების სამი გადაბმული თავია წარმოდგენილი ერგეტა II-ის № 2 სამარხში აღმოჩენილ მართკუთხა ფორმის აბზინდაზე (ტაბ. V_3). გამოსახულებები მეტად სტილიზებული და სქემატურია, ამიტომ ეს კომპოზიცია II ჯგუფის II ქვეჯგუფში მოვათავსეთ.

ჩვენი კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც კოლხურ ცულებზე დატანილი ძაღლის გამოსახულებების მიხედვით შევადგინეთ, II ჯგუფის III ქვეჯგუფში გაერთიანებული გამოსახულებების მსგავსი კომპოზიციები აბზინდებზე არ დასტურდება. სამაგიეროდ, II ჯგუფის IV ქვეჯგუფში მოთავსებული გეომეტრიულ-სიმბოლური ორნამენტი, ანუ ცხოველის შეერთებული ორი

წვეტიანი თათი საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი, როგორც მართკუთხა, ასევე ე.წ. „პეპლისებრ“ აბზინდებზე. ამგვარი აბზინდები მომდინარეობს თლიას სამაროვნის სხვადასხვა სამარხიდან (ტაბ. $V_{4,5,6,7}$), ასევე დღვაბადან და ერგეტადან [Микеладзе 1990: ტაბ. $XXX_{19,29}$]. აბზინდებზე დატანილი ეს გეომეტრიულ-სიმბოლური ორნამენტი II ჯგუფის IV ქვეჯგუფში გავაერთიანეთ.

ძაღლის სტილიზებული გამოსახულებები გრავირებულია ბრინჯაოს შუბისპირის მასრებზეც (ტაბ. $V_{8,9}$; ტაბ. VI_3). მაგალითად, შუბისპირი ბოგვიდან (ტაბ. VI_3), რომლის მასრაზე გრავირებულია ორი ერთმანეთზე გადაბმული სტილიზებული ძაღლის გამოსახულება. კუდი, რომელიც ცხოველის ტორსის გაგრძელებას წარმოადგენს, კლაკნილს ქმნის და მეორე ცხოველის თავით ბოლოვდება. თავებს ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულება აქვთ. ეს გამოსახულება გავაერთიანეთ II ჯგუფის I ქვეჯგუფში. ამავე ქვეჯგუფში მოვათავსეთ წაღვლის შუბისპირის მასრაზე მოცემული ძაღლის ორი სტილიზებული და სქემატური გამოსახულებაც (ტაბ. V_8), ხოლო ცაგერას განძის შუბისპირის მასრაზე დატანილი ძაღლის უკან თავმობრუნებული, S-ისებური სხეულის მქონე და მეტად სტილიზებული გამოსახულება გავაერთიანეთ II ჯგუფის II ქვეჯგუფში (ტაბ. V_9). ჩვენი კლასიფიკაციის III და IV ქვეჯგუფებში გაერთიანებული გამოსახულებები შუბისპირების მასრებზე არ დასტურდება.

თლიას სამაროვნის სხვადასხვა სამარხიდან მომდინარე ფიბულების შესაბნევის ბუდეზე გრავირებულია ძალზე სტილიზებული და სქემატური ძაღლის გამოსახულებები, რომელთაგან უკლებლივ ყველას თავები უკან შებრუნებული, ტორსი მორკალული, ხოლო ფეხები ჩაკეცილი აქვთ (ტაბ. V_{10-16}). კომპოზიცია აგებულია S-ის ფორმაზე, ხოლო ფიგურის მოდელირებით II ჯგუფის II ქვეჯგუფში გაერთიანებულ კოლხურ ცულებზე მოცემულ გამოსახულებებს ემსგავსება, ამიტომ ისინიც აღნიშნულ ქვეჯგუფში მოვათავსეთ. ფიბულების კომპოზიციებში არ გვხვდება არც II ჯგუფის I, III და IV ქვეჯგუფებში გაერთიანებული გამოსახულებებისა და არც I ჯგუფში გაერთიანებული გამოსახულებების მსგავსი ფიგურები.

როგორც ვხედავთ, კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის სხვადასხვა ძეგლებზე მოთავსებული ძაღლის გამოსახულებები, მიუხედავად ზოგიერთი თავისებურებისა, მთლიანობაში ერთგვაროვანია. ისინი მსგავსია კოლხურ ცულებზე დატანილი ძაღლის გამოსახულებისა, რომელიც შესრულების ნატურალისტურ-სქემატური მანერიდან ვიდრე სქემატურ-სტილიზაციამდე განვითარდა.

აქვე ყურადღებას შევაჩერებთ კოლხურ ნივთებზე წარმოდგენილ გამოსახულებათა გარკვეულ ნაწილზე. უაღრესად საყურადღებოა წოისის განძის ცული, რომლის ლოყაზე გამოსახული ქორბუდა რქიანი სტილიზებული ცხოველი თითქოს ირემია, მაგრამ თუ დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ რქების გარეშე ცხოველი, ფაქტობრივად ძაღლია. მას აქვს ძაღლისთვის დამახასიათებელი ფართოდ დაღებული ხახა, წვეტიანი პირი, ქვედაზე გრძელი ზედა ყბა და დაცქვეტილი სამკუთხა, წინწამოწეული ყური. ამ ნიშნებით ირემი არასდროს არ გამოისახება, მეორე ყურის ადგილას ადგას ირმის რქა. ცხოველს აქვს გრძელი, ოდნავ მორკალული და ცხენისთვის ჩვეული ბოლოსწორი კუდი, რაც ასე ატიპიურია ძაღლისთვის და ირმისთვის. ჩვენი აზრით, ეს სინთეზური გამოსახულებაა, სადაც სამივე ცხოველის (ძაღლი, ირემი, ცხენი) ერთობლიობაა წარმოდგენილი (ტაბ. VI_1).

სინკრეტულ გამოსახულებათა შორის განვიხილავთ სოფ. ბომბორაში აღმოჩენილ რიტონზე გამოსახულ ცხოველებსაც. თუ აპრეხილი კუდისა და ტორსის მოდელირებით ვიმსჯელებთ, აქ თითქოს ძაღლია გამოსახული, მაგრამ დამუწული, წვრილი დრუნჩის მიხედვით, შეიძლება ცხენიც ვივარაუდოთ. ზოგიერთ ფიგურას ცხენის ჩაშვებული კუდი აქვს, ზოგს კი ძაღლის აწეულ კუდის ბოლოზე გამობმული აქვს ზუსტად ისეთივე წინმაცქერალი თავი, როგორიც ძირითად გამოსახულებას გააჩნია (ტაბ. VI_2). ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც ძაღლისა და ცხენის სინკრეტული სახეა წარმოდგენილი.

ძაღლის ფიგურაზე ცხენის თავია გადაბმული ნაბაღრების სამაროვანზე აღმოჩენილ ბრინჯაოს სარტყლებზეც (ტაბ. VI_4), რომლებიც გრაფიკულად შესრულებული გამოსახულებებითაა შემკული.

ამავე რიგშია განსახილველი სოფ. ბოგვში შემთხვევით აღმოჩენილ გრავირებული გამოსახულება შუბისპირის მასრაზე, რომელზეც კუდებით ერთმანეთზე გადაბმული ძაღლის ორი ფიგურაა წარმოდგენილი (ტაბ. VI_3). ფიგურის გადაბმის ადგილას თითქოს გველის სხეულის ნაწილია გამოსახული.

სამთავროს სამაროვნის № 211 სამარხში მოპოვებულ გრაფიკული სტილით შემკულ სარტყელზე სინკრეტული 2 ფიგურაა გამოსახული (ტაბ. VI_5). ერთი ფიგურა ფრთოსანი ძაღლია,

ხოლო მეორე ძაღლ-ადამიანი, რომლის ქვედა ნახევარზე ადამიანის ფეხები და გავაა წარმოდგენილი, ხოლო ფიგურის წელსზედა ნახევარი კი მყეფარე ძაღლია.

სინკრეტული გამოსახულებები ქართული ხელოვნებისათვის უცხო არ ყოფილა. როგორც არქეოლოგიური და ეთნოლოგიური მასალების მიხედვით ჩანს, საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე მსგავსი ფუნქციების მქონე ისეთი წმინდა ცხოველები, როგორიცაა ძაღლი, ცხენი, ირემი ერთ სახეში ერთიანდებიან. მაგალითად, წოისის განძიდან მომდინარე ცულზე გამოსახული ძაღლი, როგორც თავისი ბუნებით სამივე სკნელთან დაკავშირებული არსება, იერთებს ასევე სამივე სკნელთან დაკავშირებული ცხენისა და ირმის თვისებებს, რის შედეგადაც მიღებულია სინკრეტული ცხოველის სახე, რომელიც, როგორც ფორმით, ისე შინაარსით უკვე „ფანტასტიკური“ ცხოველია. მაგრამ ეს ტენდენცია, რომელიც კონკრეტულიდან სინკრეტულისკენ წარიმართა, ამით არ სრულდება. მაგალითად, ხევის განძის ცულზე გამოსახულია უკიდურესად სტილიზებული და გეომეტრიზებული ცხოველი, რომლის სახეშიც გაერთიანებულია ხალხის რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული თითქმის მთელი ცხოველ-ფრინველთა და წყლის ბინადართა სამყარო (ტაბ. VI_6). ცულის ლოყაზე მოთავსებულ „ცხოველს“ აქვს ძაღლივით ფართოდ გაღებული ხახა და დაცქვეტილი სამკუთხა ყურები, თევზისთვის დამახასიათებელი ფარფლები და ფრინველისებრი კლანჭები. ტორსი კი შემკულია ირმისთვის დამახასიათებელი რომბისებრი ბადით, ხოლო ერთჩლიქიანი უკანა ფეხი ცხენისთვისაა ჩვეული. იგივე ფიგურა გადმოცემულია გეომეტრიული ფორმების (რკალი, სამკუთხედი, მართკუთხედი, წრე) ერთობლიობით, რითაც მიღებულია პოლიმორფული არსების მეტად აბსტრაქტული სახე, რომელიც უფრო გეომეტრიულ ორნამენტს ჰგავს, ვიდრე ცხოველს. როგორც ჩანს, სამივე სკნელის არსებათა გაერთიანებული ჩვენება, რაც გულისხმობდა თითოეულის დამახასიათებელ ნიშანთა ერთ ფიგურაში თავმოყრას, იწვევდა გამოსახულების ჰიბრიდულ თუ „ფანტასტიკურ“ ცხოველად გარდაქმნას, ხოლო ძლიერი სტილიზაცია და ფორმის მაქსიმალური გეომეტრიზაცია ამ იდეის განხორციელების ყველაზე მოხერხებული და მისაღები გამომსახველობითი ხერხი აღმოჩნდა.

I და II ჯგუფებში გაერთიანებული ძაღლებისა თუ „ფანტასტიკური“ ძაღლების გამოსახულებათა შესრულების მანერა განსხვავებულია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ კოლხურ ბრინჯაოს ნივთებზე მოცემულ გამოსახულებათა იდეურ-მხატვრულ და სპეციფიკურ ნიშანთა ერთობლიობას, აშკარად დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს მხატვრული აზროვნების ერთიან სტილთან. სტილი კი, როგორც ცნობილია, ყალიბდება ამა თუ იმ საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როგორც მხატვრული აზროვნების გამოხატვის თავისებურებათა სისტემა, სადაც ასახულია ამა თუ იმ ხალხის, სახელოვნებო სკოლისა თუ ცალკეულ შემოქმედთა დამახასიათებელი გამომსახველობითი ხერხების ერთობლიობა, რაც განპირობებულია მათი დამოკიდებულებით გაბატონებული იდეოლოგიისადმი, საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენებისადმი და თანამედროვე მოთხოვნებისადმი.

გვიანბრინჯაო-რკინის ფართო ათვისების ხანის კოლხური ცულების შემკულობის სტილის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი ცხოველთა და გეომეტრიულ სახეთა გრაფიკულად ერთობლივი გამოსახვაა. I და II ჯგუფებში გაერთიანებულ ძაღლის გამოსახულებათა შორის განსხვავება გამოწვეული იყო დროთა განმავლობაში არა სტილის, არამედ შესრულების მანერის განვითარება-ცვლილებით, რომელიც წარიმართა ნატურალისტურიდან სქემატურ-სტილიზაციამდე, რეალისტური გამოსახულებებიდან აბსტრაქტულ, ირეალურ ფიგურებამდე, პლასტიკური ფორმების სრულ გეომეტრიზაციამდე, დეკორატიულობის ორნამენტულობით შეცვლამდე. კონკრეტული ფორმისა და შინაარსის გამოსახულებები გადაიქცა სინკრეტულ და პოლიმორფულ ფიგურებად, რის შედეგადაც ოდესღაც ძაღლის გამოსახულებამ „ფანტასტიკური“ ცხოველის სახე მიიღო.

კოლხური ბრინჯაოს ნივთების დეკორის შემოქმედი საზოგადოების მხატვრული აზროვნება არის სიბრტყობრივ-ხაზობრივი და დეკორატიულ-ორნამენტული. ნებისმიერ კომპოზიციაში წამყვანია ხაზი, რომლის უწყვეტი მდინარებითაც იქმნება ესა თუ ის ფორმა. ხაზის მეშვეობით ხდება სიბრტყის დანაწილება-მოხაზვა, მორთვა-მოჩითვა. ძაღლის სხეულის მოცულობითი ფორმები შესრულებულია არა სივრცეში ამოზიდვით, არამედ მხოლოდ სიბრტყეზე კონსტრუირებით. წინა პლანზეა გამოსახულების წმინდა პლასტიკური მხარე, რომლის მოდელირებისას მთლიანადაა უარყოფილი სიბრტყეზე სინამდვილის მხედველობითი ილუზიის გამოსახვის პრინციპები და იგრძნობა მისწრაფება

სადა სიბრტყობრივი ფორმებისაკენ. გვიანდელ ეტაპზე, როცა ცხოველის გამოსახულების ფორმა დანაწევრდა სხვადასხვა ზომის მართკუთხა, სამკუთხა და მრგვალ ელემენტებად, წარმოიშვა რთული დეკორატიული რიტმი, რაც გამოიხატა გამოსახულების მაქსიმალურ გეომეტრიზაციასა და ორნამენტიზაციაში. კოლხური ბრინჯაოს ნივთების გრაფიკული ხელოვნების ფინალურ ეტაპზე მთლიანად დეკორატიული საწყისი გაბატონდა, რაც ნიშნავდა მოცულობის სიბრტყეზე გამოსახვის საბოლოო უარყოფასა და სქემატური თუ გეომეტრიულ-სიმბოლური დეტალით მთელი გამოსახულების ჩანაცვლებას.

K. Ramishvili

REPRESENTATTIONS OF "FANTASTIC ANIMAL" ON ARTISAN ITEMS OF COLCHIAN CULTURE

Summary

Graphical representation of a "fantastic animal" or dog is one of the significant components of the Colchian-Koban bronze adornment. The present paper deals with the representation of dogs engraved on Colchian bronze items discovered on Georgian territory, being an attempt at their typological or stylistic-compositional conceptualization.

These representations are divided into two groups in terms of the manner of execution. The specimens united in group I are done in the naturalistic-linear manner, while the representations entered in group II are strongly stylized and schematic.

The main characteristic feature of the style of the ornament of items with representation of the dog is graphically joint representation of the dog and the geometric ornament. Even at maximum deformation, dog representations are always given in profile, open-mouthed, with ears pricked up, and the tail end bent up. Despite their varieties and peculiar variants, by their common style features they form a single major artistic group, never going beyond this single style limit.

An appreciable difference between the dog representations united in groups I and II in the course of time was due not to the change of style but to the development and alteration of the manner of execution – from naturalistic to schematic stylization, from realistic to abstract geometrization. Representations of syncretic and polymorphous figures, as a result of which – at some time in the past – the representation of the dog acquired the form of a "fantastic animal".

ლიტერატურა

აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ., სიხარულიძე ა., გიუნაშვილი გ., გავაშელი ე., ღლონტი ნ., კაპანაძე მ. 2000: ნარეკვავის სამაროვანი, II. თბილისი.

კახიძე ა., მამულაძე შ. 1993: აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი.

ნასიძე გ. 1990: კოლხური კულტურის ახალი კერა. თბილისი.

რამიშვილი ალ. 1974: კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი.

რამიშვილი ალ. 2001: კოლხური და შიდა ქართლური კულტურების ურთიერთობის საკითხები ნაცარგორის სამაროვნის მიხედვით. – ბ. მაისურაძე, რ. რუსიშვილი (რედ.), კავკასია. ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი, დამატებანი, VI). თბილისი, 156-170.

სახაროვა ლ. 1976: ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბილისი.

ფანცხავა ლ. 1988: კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბილისი.

ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.

ჩართოლანი შ. 1977: სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

ჯავახიშვილი ალ., ჩუბინაშვილი ტ. 1959: უდის განძი. – სხ, № 4, 59-64.

ხიდაშელი მ. 1982: ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში. თბილისი.

Апакидзе Дж.Б. 1991: Центральная Колхида в эпоху поздней бронзы-раннего железа. Тбилиси.

Бжания Д.С., Скаков А.Ю. 2004: Новые находки колхидской бронзы из Абхазии. – А.Н. Гей (ред.), Памятники археологии и древнего искусства Евразии. Москва, 335-343.

Гамбашидзе О.С., Гамбашидзе И.О. 1986: Работы Месхет-Джавахетской экспедиции. – ПАИ в 1983 году, 21-27.

Доманский Я.В. 1984: Древняя художественная бронза в собрании Государственного Эрмитажа. Москва.

Микеладзе Т.К., Мигдисова Н.П., Папуашвили Р.П.,Чубинишвили Н.Т. 1995: Колхидская экспедиция. – ПАИ в 1987 году, 39-43.

Микеладзе Т.К. 1990: К археологии Колхиды. Тбилиси.

Пицхелаури К.Н., Варазашвили В.В., Кинцурашвили М.В., Менабде Ц.Г., Квавадзе Д.А. 1987: Археологические исследования в Кахети. – ПАИ в 1984-85 году, 36-38.

Техов Б.В. 1977: Центральный Кавказ в XVI-X вв.до н.э. Москва.

Техов Б.В. 1980: Тлийский могильник, I. Тбилиси.

Техов Б.В. 1981: Тлийский могильник, II. Тбилиси.

Техов Б.В. 1985 : Тлийский могильник, III. Тбилиси.

Техов Б.В. 2002: Тайны древних погребении. Владикавказ.

Трапш М.М. 1969: Древний Сухуми. Труды, т. II. Сухуми.

Шамба Г.К. 1984: Раскопки древних памятников Абхазии. Сухуми.

Georgien 2001: Schätze aus dem Land des goldenen Vlies. Bohum.

Mikeladze T. 1995: Grosse kollektive Grabgruben der frühen Eizenzeit in Kolchis. Archäologischer Anzeiger. Berlin, New-York.

Unterwegs zum goldenen Vlies 1995. Saarbrücken.

ტაბულების აღწერილობა

I ჯგუფი: ტაბ. I-III.

ტაბ. I – 1. ხიხაძირი, განძი, ძვ. წ. VIII-VII სს. [კახიძე, მამულაძე 1993: 27-34, ტაბ. V]; 2. თლია, № 52 სამარხი, ძვ. წ. VIII-VII სს. [ფანცხავა 1988: 76, ტაბ. XVIII_3]; 3. წითელი შუქურა, № 94 სამარხი, ძვ. წ. VIII-VI სს. [Трапш 1969: 144, ტაბ. XV_2]; 4. ონი, ძვ.წ. VIII-VI სს. [Unterwegs zum goldenen Vlies 1995: 108]; 5. სვანეთი, გვიანბრინჯაოს ხანის [ჩართოლანი 1977: 50, ტაბ. XXIII_3]. 6. ნარეკვავი, № 53 სამარხი, ძვ. წ. VII-VI სს. [აფაქიძე და სხვ. 2000: 5, ტაბ. XV_{597}]; 7. თლია, № 308 სამარხი, ძვ. წ. VII-VI სს. [ფანცხავა 1988: 64; Техов 1981: ტაბ. 87]; 8. მუხურჩა, ძვ. წ. VIII-VII სს. [Апакидзе 1991: 116, ტაბ. $CXIV_2$]; 9. ეცერი, გვიანბრინჯაოს ხანის [ჩართოლანი 1977: 51, ტაბ. XV_1]; 10. ქუთაისი, ძვ. წ. VIII ს. [ფანცხავა 1988: 71, ტაბ. XIII_1]; 11. ლუხვანო, განძი, ძვ. წ. VIII-VII სს. [ფანცხავა 1988: 64, ტაბ. XVIII_5]; 12. თლია, № 101 სამარხი, ძვ. წ. VII-VI სს. [ფანცხავა 1988: 64; Техов 1980: ტაბ. 66]; 13. ანუხვა, ძვ. წ. VIII-VII სს. [Доманский 1984: 11, სურ. 3]; 14. ეშერა, ძვ. წ. IX-VII სს. [Шамба 1984: 46-51, სურ. 15]; 15. თლია, № 282 სამარხი, ძვ. წ. VIII-VII სს. [ფანცხავა 1988: 70-71; Техов 1981: ტაბ. 82]; 16. თლია, № 347/2 სამარხი, ძვ. წ. VII ს. [Техов 2002: 15, ტაბ. 15a].

ტაბ. II – 1. უდე, განძი, ძვ. წ. VIII ს. [ფანცხავა 1988: 73-74; ქორიძე 1965: სურ. 11]; 2. ნაცარგორა, № 435 სამარხი, ძვ.წ. VIII ს. [რამიშვილი 2001: 158, ტაბ. VIII]; 3. ნაცარგორა, № 223 სამარხი, ძვ.წ. IX ს. [რამიშვილი 2001: 158, ტაბ. III_{535}]; 4. თლია, ძვ. წ. XII-X სს. [Техов 1977: 138-141, სურ. 102, 50]; 5. თლია, № 469 სამარხი, ძვ.წ. VII-VI სს. [Техов 2002: 63-64, ტაბ. 131, 8]; 6. ერგეტა III-ის № 4 სამარხი, ძვ.წ. VII-VI სს. [Mikeladze 1995: 14-18, ტაბ. 17]; 7. სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნე-

ობის მუზეუმიდან [Техов 1977: 54, სურ. 52_2]; 8. დღვაბა, № 2 სამარხი, ძვ. წ. VII ს. [Микеладзе и др. 1995: 43, ტაბ. 5613]; 9. თლია, № 109 სამარხი, ძვ. წ. VIII-VII სს. [ფანცხავა 1988: 77; Техов 1981, ტაბ. 55_5]; 10. ურეკი, ძვ. წ. VIII ს. [ფანცხავა 1988: 73; ქორიძე 1965, სურ. 38]; 11. აბანო, ძვ.წ. VII ს. [ფანცხავა 1988: 73,75, ტაბ. XX_2]; 12. ბორნიღელე, № 8 სამარხი, ძვ. წ. I ათასწ. პირველი ნახ. [Гамбашидзе, Гамбашидзе1986: 24, ტაბ. XIX_{26}]; 13. უდე, განძი, ძვ.წ. VIII ს. [ფანცხავა, 1988: 73-74; ჯავახიშვილი, ჩუბინაშვილი 1959: 60].

ტაბ. III – 1. უდე, განძი, ძვ. წ. VIII-VII სს. [ფანცხავა 1988: 80; ქორიძე 1965: სურ. 11]; 2. ჯირხუა, ურნა-სამარხი, ძვ.წ. VIII ს. [Бжания, Скаков 2004: 340-342, სურ. 3_2]; 3. თლია, ძვ. წ. XII-X სს. [Техов 1977:119- 122, სურ. 94_6]; 4. უდე, განძი, ძვ. წ. VIII ს. [ფანცხავა 1988: 73-74; ქორიძე 1965: სურ. 11]; 5. ჩაისუბნის განძი, ძვ. წ. XIII-XII სს. [რამიშვილი 1974: 99, ტაბ. VI_8]; 6. თლია, № 39 სამარხი, ძვ. წ. VII ს. [ფანცხავა 1988: 67; Техов 1980: ტაბ. 44_{23-24}]; 7. წითელი შუქურა, № 58 სამარხი, ძვ. წ. VIII-VII სს. [ფანცხავა 1988: 77; Трапш 1969: ტაბ. XX_7]; 8. თლია, № 227 სამარხი, ძვ.წ. VIII-VII სს. [ფანცხავა 1988: 80; Техов 1980: ტაბ. 99_1]; 9. ფევრები, № 109 სამარხი, გვიანი ბრინჯაოს ხანის II ეტაპი [Пицхелаури и др.1987: 38, ტაბ. XV_1].

II ჯგუფი: ტაბ. IV-V

ტაბ. IV – 1. თლია, № 161 სამარხი, ძვ. წ. VII ს. [ფანცხავა 1988: 71, ტაბ. IX_1]; 2. თლია, № 165 სამარხი, ძვ. წ.VIII-VII სს. [ფანცხავა 1988: 79, ტაბ. X_1]; 3. თლია, № 252 სამარხი, ძვ. წ. VII ს. [ფანცხავა 1988: 69; Техов 1981: ტაბ. 72]; 4. მზეთამზე, სამარხეული, ძვ. წ. VII-VI სს. [ნასიძე 1990: 2, ტაბ. IV_1]; 5. ცხინვალი, განძი, ძვ. წ. VII-VI სს. [ფანცხავა 1988: 67, ტაბ. XIX_2]; 6. თლია, № 432 სამარხი, ძვ. წ. VII ს. [Техов 2002: 50, ტაბ. 104a]; 7. თლია, № 316 სამარხი, ძვ. წ. VII-VI სს. [Техов 1985: 5, 51, ტაბ. 200]; 8. ფუშრუკაული, შემთხვევითი აღმოჩენა, ძვ. წ. VII-VI სს. [კახიძე, მამულაძე 1993: 37-38, ტაბ. IX]; 9. ცხინვალი, განძი, ძვ. წ. VII-VI სს. [ფანცხავა 1988: 67, ტაბ. VIII_2]; 10. მზეთამზე, № 4 სამარხი, ძვ. წ. VIII-VII სს. [Georgien 2001: 347].

ტაბ. V – 1. თლია, № 358 სამარხი, ძვ. წ. VIII ს. [Техов 2002: 20, ტაბ. 28_4]; 2. თლია, № 233 სამარხი, ძვ. წ. VII-VI სს. [ფანცხავა 1988: 78; Техов 1981: ტაბ. 67_4]; 3. ერგეტა II, № 2 სამარხი, ძვ. წ. VII-VI სს. [Mikeladze 1995: 14-18, ტაბ. 6_{11}]; 4. თლია, № 422 სამარხი, ძვ. წ. VII ს. [Техов 2002: 46, ტაბ. 97_3]; 5. თლია, № 275 სამარხი, ძვ.წ. VI ს. [ფანცხავა 1988: 79; Техов 1985: ტაბ. 177_{10}]; 6. თლია, № 448 სამარხი, ძვ.წ. VIII-VII სს. [Техов 2002: 55, ტაბ. 118_2]; 7. თლია, № 407 სამარხი, ძვ.წ. VII ს. [Техов 2002: 40-41, ტაბ. 80_2]; 8. წაღვლი, შემთხვევითი მონაპოვარი, ძვ. წ. VII ს. [ფანცხავა 1988: 73-74, ტაბ. XX_3]; 9. ცაგერი, განძი, ძვ. წ.VIII-VII სს. [ფანცხავა 1988: 73-75; სახაროვა 1976: ტაბ. VII_7]; 10-16. ფიბულები თლიადან, ძვ. წ. VII-VI სს. [ფანცხავა 1988: 79; Техов 1980; Техов 1981; Техов 1985; Техов 2002].

ტაბ. VI – 1. წოისი, განძი, ძვ. წ. VIII-VI სს. [ფანცხავა 1988: 58, ტაბ. XIX_3]; 2. ბომბორა, სამარხეული, ძვ. წ. VII ს. [ფანცხავა 1988: 82, ტაბ. XXIV]; 3. ბოგვი, ძვ.წ. VIII ს. [ფანცხავა 1988: 74, ტაბ. XX_1]; 4. ნაბაღრები, ძვ. წ. VIII-VII სს. [ხიდაშელი 1982: 22, ტაბ. XVIII]; 5. სამთავრო, № 211 სამარხი, ძვ. წ. VII ს. [ხიდაშელი 1982: 19, ტაბ. VII]; 6. ხევი, განძი, ძვ.წ. VII ს. [ფანცხავა 1988: 70; ქორიძე 1965: ტაბ. XXXVI_8].

ტაბ. VII – „ფანტასტიკური ცხოველის“ გამოსახულებიანი ბრინჯაოს ნივთების აღმოჩენის პუნქტები.

I ჯგუფი: 1. წითელი შუქურა; 2. პრიმორსკოე; 3. თასრაყვა; 4. ეშერა; 5. ანუხვა; 6. ზვანდრიფში; 7. აჭანდარა; 8. ოთხარა; 9. აბგარხუკი; 10. ფსირცხა; 11. სვანეთი; 12. ეცერი; 13. დღვაბა; 14. ერგეტა; 15. მუხურჩა; 16. ქუთაისი; 17. ხიხაძირი; 18. ლუხვანო; 19. ოყურეში; 20. ლაილაში; 21. სურმუში; 22. სინათლე; 23. ნაცარგორა; 24. თლია; 25. სამთავრო; 26. ნარეკვავი; 27. ზაქაანი; 28. აბანო; 29. ბორნიღელე; 30. ზინდისი; 31. უდე; 32. ურეკი; 33. ჩაისუბანი; 34. ჯირხუა; 35. ფევრები; 36. ხირსა; 37. ანთოკი.

II ჯგუფი: 4. ეშერა; 24. თლია; 38. ცხინვალი; 39. წოისი; 40. მზეთამზე; 41. ოჯოლა; 42. ზეკარი; 43. მექვენა; 44. ცხეთა; 45. ხევი; 46. ფუშურკაული; 47. მეხჩისციხე; 48. ახალი ათონი; 49. ბოგვი; 50. წაღვლი; 51. ცაგერი.

DESCRIPTION OF THE PLATES

I group: Plates I-III.

Pl. I – 1. Khikhadziri, hoard, 8th-7th cc. BC; 2. Tli, grave 52, 8th-7th cc. BC; 3. Tsiteli Shukura, grave 94, 8th-6th cc. BC; 4. Oni, 8th-6th cc. BC; 5. Svaneti, Late Bronze Age; 6. Narekvavi, grave 53; 8th-6th cc. BC; 7. Tli, grave 308, 8th-6th cc. BC; 8. Mukhurcha, 8th-7th cc. BC; 9. Etseri, Late Bronze Age; 10. Kutaisi, 8th c. BC; 11. Lukhvano, hoard, 8th-7th cc. BC; 12. Tli. grave 101, 7th-6th cc. BC; 13.

Anukhva, 8th-7th cc. BC; 14. Eshera, 9th-7th cc. BC; 15. Tli, grave 282, 8th-7th cc. BC; 16. Tli, grave 347/2, 7th c. BC.

Pl. II – 1. Ude, hoard, 8th c. BC; 2. Natsargora, grave 435, 8th c. BC; 3. Natsargora, grave 223, 9th c. BC; 4. Tli, 12th-10th cc. BC; 5. Tli, grave 469, 7th-6th cc. BC; 6. Ergeta III, grave 4, 7th-6th cc. BC; 7. Local lore museum of South Osetia; 8. Dghvaba, grave 2, 7th c. BC; 9. Tli, grave 109, 8th-7th cc. BC; 10. Ureki, 8th c. BC; 11. Abano, 7th c. BC; 12. Bornighele, grave 8, first half of the 1st millennium BC; 13. Ude, hoard, 8th-7th cc. BC.

Pl. III – 1. Ude, hoard, 8th-7th cc. BC; 2. Jirkhua, grave, 8th c. BC; 3. Tli, 12th-10th cc. BC; 4. Ude, hoard, 8th c. BC; 5. Chaisubani, hoard, 13th-12th cc. BC; 6. Tli, grave 39, 8th-7th cc. BC; 7. Tsiteli Shukura, grave 58, 8th-7th cc. BC; 9. Phevrebi, grave 109, 2nd stage of Late Bronze Age.

P II group: plates IV-V.

Pl. IV – 1. Tli, grave 161, 7th c. BC; 2. Tli, grave 165, 8th-7th cc. BC; 3. Tli, grave 252, 8th cc. BC; 4. Mzetamze, 7th-6th cc. BC; 5. Tskhinvali, hoard, 7th-6th cc. BC; 6. Tli, grave 432, 7th c. BC; 7. Tli, grave 316, 7th-6th cc. BC; 8. Phushrukauli, 7th-6th cc. BC; 9. Tskhinvali, hoard, 7th-6th cc. BC; 10. Mzetamze, grave 4, 8th-7th cc. BC.

Pl. V – 1. Tli, grave 358, 8th c. BC; 2. Tli, grave 233, 7th-6th cc. BC; 3. Ergeta II, grave 2, 7th-6th cc. BC; 4. Tli, grave 422, 7th c. BC; 5. Tli, grave 275, 6th c. BC; 6. Tli, grave 448, 8th-7th cc. BC; 7. Tli, grave 407, 7th c. BC; 8. Tsaghvli, accidental find, 7th c. BC; 9. Tsageri, hoard, 8th-7th cc. BC; 10-16. Fibulae from Tli, 7th-6th cc. BC.

Pl. VI – 1. Tsoisi, hoard, 8th-6th cc. BC; 2. Bombora, 7th c. BC; 3. Bogvi, 8th c. BC; 4. Nabaghrebi, 8th-7th cc. BC; 5. Samtavro, grave 211, 7th c. BC; 6. Khevi, hoard, 7th c. BC;

Pl. VII – Map of distribution of bronze items with images of "fantastic animals".

I group: 1. Tsiteli Shukura; 2. Primorskoye; 3. Tasraqva; 4. Eshera; 5. Anukhva; 6. Zvandripsh; 7. Atchandara; 8. Otkhara; 9. Abgarkhuk; 10. Psirtskha; 11. Svaneti; 12. Etseri; 13. Dghvaba; 14. Ergeta; 15. Mukhurcha; 16. Kutaisi; 17. Khikhadziri; 18. Lukhvano; 19. Oqureshi; 20. Laolashi; 21. Surmushi; 22. Sinatle; 23. Natsargora; 24. Tlia; 25. Samtavro; 26. Narekvavi; 27. Zakaani; 28. Abano; 29. Bornighele; 30. Zindisi; 31. Ude; 32. Ureki; 33. Chaisubani; 34. Jirkhua; 35. Phevrebi; 36. Khirsa; 37. Antoki.

II group: 4. Eshera; 24. Tli; 38. Tskhinvali; 39. Tsoisi; 40. Mzetamze; 41. Ojola; 42. Zekari; 43. Meqvena; 44. Tskheta; 45. Khevi; 46. Phushurkauli; 47. Mekhchistsikhe; 48. Akhali Atoni; 49. Bogvi; 50. Tsaghvli; 51. Tsageri.


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13


1
2
3
4
5
6
7
8
9



1 2 3 4



5 6 7 8 9



10

ტაბ. V





1



2

3



4



6

5


თბილისი
შავი
ზღვა
II ჯგუფი
I ჯგუფი

ზურაბ ბრაგვაძე

ვანის და საირხის შედარებითი ისტორიისათვის

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ამ ორი არქეოლოგიური ძეგლის ისტორიის პრობლემებს განვიხილავთ ურთიერთშედარების საფუძველზე, რადგან ვფიქრობთ, რომ შედარებითი ანალიზით შესწავლა უფრო კარგად წარმოაჩენს ვანსა და საირხეს შორის არსებულ მსგავსებაგანსხვავებებს და ასევე საშუალებას მოგვცემს, უკეთ გავერკვეთ კოლხეთის ცენტრალური და აღმოსავლეთი რეგიონების სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ისტორიის ცალკეულ საკითხებში.

საირხის ნაქალაქარის შესწავლა ერთგვარად ავსებს და აზუსტებს ვანის თანადროული ისტორიის საკითხებსაც, ისევე როგორც ვანის არქეოლოგიური ძეგლების მონაცემებმა თავის მხრივ უდიდესი წვლილი შეიტანა საირხის ისტორიის ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტაში. ერთი შეხედვით, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ჩვენი ცოდნის ამ ეტაპზე კლასიკური ხანის კოლხეთის ისტორიისა და არქეოლოგიის კვლევის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჯერჯერობით მაინც ამ ორი არქეოლოგიური ძეგლის მონაცემებს ენიჭება და არც ერთ სხვა ძეგლს არ მოუცია ვანისა და საირხის ტოლფასი მნიშვნელობის მასალა.

როდესაც ვანსა და საირხეში მიმდინარე ისტორიული პროცესების შესახებ გვიხდება მსჯელობა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ უძველესი კულტურული ფენები ორივეგან ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება [Лордкипанидзе 1990: 20; ნადირაძე 1990: 10]. როგორც ჩანს, ერთსა და იმავე დროს ხდება ვანის და საირხის სამოსახლოდ ათვისება. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ამ ქვეყნების ფარგლებში შემავალ მიწა-წყალზე ცხოვრება გაცილებით ადრე ჩანს ჩასახული, ვიდრე თვით ამ საქალაქო ცენტრებში. ვანის და საირხის ირგვლივ გამოვლენილია ძვ.წ. II ათასწლეულის მძლავრი არქეოლოგიური ფენები, თუმცა საკუთრივ ნაქალაქარების ტერიტორიაზე ცხოვრების კვალი შედარებით გვიან ჩნდება. ჩანს, ვანიც და საირხეც აქტიურად ჩაებნენ იმ საერთო ისტორიულ პროცესში, რომელსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ძვ.წ. I ათასწლეულიდან. როგორც ცნობილია, სწორედ ამ დროს კოლხეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე დასტურდება ერთგვარი დემოგრაფიული აფეთქება და სამოსახლოთა წარმოქმნის ნამდვილი ბუმი [მახარაძე 1991: 11]. საირხის ქვეყნის ფარგლებში მიკვლეული არქეოლოგიური ძეგლების უდიდესი ნაწილი ან სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს არსებობას, ან თითქმის ყველა მათგანზე მძლავრადაა გამოვლენილი ხსენებული ხანისთვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის ნიშნები [ნადირაძე 1990: 120].

მსგავსი სიტუაციაა ვანის ქვეყანაში შესწავლილ არქეოლოგიურ ძეგლებზე. [Лордкипанидзе 1990: 20**].** ასე რომ, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ძვ.წ. VII-VII საუკუნეები ძირეული ძვრების ხანაა ვანისა და საირხის, და აქედან გამომდინარე, მთელი კოლხეთის ისტორიაში.

არქეოლოგიური გათხრებით დადგენილია, რომ ვანის ქვეყანაში, კერძოდ, ვანის ნაქალაქარზე, ცხოვრება უწყვეტლად მიმდინარეობდა ძვ.წ. I ათასწელეულის განმავლობაში, ძვ.წ. VIII-I საუკუნეებში. ოთ. ლორთქიფანიძის მიერ გამოყოფილია ვანის ისტორიის განვითარების ოთხი ძირითადი ფაზა:

1. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეები; 2. ძვ.წ. VII ს-ის ბოლო-ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი; 3. ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი-ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი; 4. ძვ.წ. III-I საუკუნეები [Лордкипанидзе 1990: 9-10]

პირველი ფაზის არქეოლოგიური ძეგლები შედარებით სუსტადაა გამოვლენილი, ან განადგურებულია შემდეგდროინდელი კულტურული ფენებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახვლედიანების გორის ცენტრალურ ტერასაზე ფიქსირებულ სამსხვერპლოს, სადაც აღმოჩნდა ასეულობით ჩალეწილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ძლიერი ცეცხლის კვალი და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის ძვლები. ცხადია, რომ ეს ყველაფერი რაღაც რიტუალის შესრულებაზე მიუთითებს [Толордава 1990: 276]. რაც შეეხება თიხის ორ- ან სამთავიანი ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებებს,

ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, ისინი, შესაძლოა, ღმერთების დიდი დედის კულტს უკავშირდებოდეს [Лордкипанидзе 1990: 9].

ამ მხრივ საინტერესოა პარალელის გავლება საირხის თანადროულ ისტორიულ ვითარებასთან. თუ ვანში ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ფენები მხოლოდ ცენტრალურ ტერასაზეა გადარჩენილი, საირხეში იგი თითქმის მთელი ნაქალაქარის ტერიტორიაზეა განფენილი და, როგორც წესი, გამოირჩევა ინტენსიური ცხოვრების კვალით. წინარე ანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალა ძირითადად წარმოდგენილია თუნის ნაწარმით, რომელიც უმთავრეს პარალელებს ვანში და საერთოდ, კოლხეთის თანადროულ არქეოლოგიურ ძეგლებზე მიკვლეულ ნაწარმთან პოულობს [ნადირაძე 1990: 10]. თუმცა, ამავე ხანის ყვირილის ხეობაში და, აქედან გამომდინარე, საირხეში, შეინიშნება სხვა საინტერესო პროცესიც. კერძოდ, აღმოსავლურ ქართული ნაკადის შემოსვლა-დამკვიდრება. ამ პერიოდის არქეოლოგიურ მონაპოვარში საკმაოდ გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებისათვის დამახასიათებელი არტეფაქტები [მახარაძე 1991: 9]. ამ მოვლენას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოსთან საირხის ტერიტორიულმა სიახლოვემ, ხოლო მეორე მხრივ, ამ სიახლოვის შედეგად წარმოქმნილმა და განვითარებულმა კულტურულ-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა. ყვირილის ხეობის ზემო წელზე, საირხის მიმდებარედ მიკვლეულია ძვ.წ. II ათასწლეულის მნიშვნელოვანი ძეგლები, სადაც წარმოჩინდა სხვადასხვა არქეოლოგიურ კულტურათა კონტაქტები [მახარაძე, ლომთაძე 1996: 9-28]. ეს პროცესი, როგორც ჩანს, უფრო ძლიერდება ძვ.წ. I ათასწლეულში და ამ დროის არქეოლოგიური მონაპოვარი ადასტურებს საირხის ქვეყნის ფარგლებში შერეული კულტურის არსებობას, რომელიც დაფუძნებული იყო აღმოსავლურქართული და კოლხური ნაკადების ურთიერთშერწყმაზე.

ჩვენი აზრით, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ვანის და საირხის ისტორიის ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ისიც არის, რომ ამ პერიოდის ვანში ჯერჯერობით არ დასტურდება აღმოსავლურქართული კულტურისა და, შესაბამისად, აღმოსავლურქართული ეთნოსის შესამჩნევი გავლენის კვალი, მაშინ როდესაც ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების საირხის მატერიალური კულტურა მჭიდრო კავშირშია აღმოსავლურქართულ სამყაროსთან. თუმცა, ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ კავშირებისა, კოლხური ელემენტი აშკარად ჭარბობს [ბრაგვაძე 2007: 15-20], და ეს ვითარება სულაც არ არის მოულოდნელი, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია აღნიშნულია, რომ სწორედ ამ დროს ყალიბდება ის უმთავრესი წინამძღვრები, რამაც ხელი შეუწყო კოლხეთის სახელმწიფოს შექმნას [Лордкипанидзе 1989: 219] და ჩვენამდე მოღწეული არქეოლოგიური არტეფაქტები ადასტურებს, რომ ამ პროცესში საირხეც აქტიურად მონაწილეობდა [მახარაძე 2000: 43-65].

ვანის მსგავსად, საირხეშიც ყურადღებას იპყრობს ღმერთების დიდი დედის კულტთან დაკავშირებული არტეფაქტები, პირველ რიგში თიხისგან დამზადებული ქალღვთაებების გამოსახულებები, რომლებიც აღმოჩენილია სწორედ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ფენებში (კოდისწყარო, საბადურის გორა, ღელისპირი) [ნადირაძე 1990: 10]. ასე რომ, როგორც მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს, უკვე ამ დროიდან შემდგომი ხანის კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა ცენტრები გვევლინებიან, როგორც მსხვილი საკულტო კერები (ოთ. ლორთქიფანიძე, მ. ინაძე, ვ. თოლორდავა).

კვლევის ამ ეტაპზე სადავო აღარ არის, რომ ვანი და საირხე ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდანვე წარმოადგენდნენ კოლხთა გაერთიანების გარკვეული მიწა-წყლის ცენტრალურ საკულტო ადგილებს [Брагвадзе, Церетели 1997: 129]. მ. ინაძის აზრით, ამ ორივე ცენტრის დაწინაურებას საფუძვლად ედო ერთი და იგივე ეკონომიკური ფაქტორი და ეს იყო მევენახეობა-მეღვინეობის სწრაფი განვითარება [ინაძე 1986: 33]. ჩვენი მხრიდან აღვნიშნავთ, რომ საირხის აღმავლობის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა მეტალურგიამ.

აკად. ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, წინარე ანტიკური ხანის ვანს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მის ირგვლივ გაერთიანებულ დასახლებებზე და თანდათან ეყრებოდა მტკიცე საფუძველი კოლხური ტომების კონსოლიდაციის პროცესს და მის შემდგომი გაღრმავების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში რკინის ფართო ათვისებაზე გადასვლას, რომელსაც, თავის მხრივ, ძველი კოლხეთის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიკურ განვითარებაში უნდა მოეხდინა გარკვეული ტრანსფორმაცია [Лордкипанидзе 1990: 11]. ეს მოსაზრება, ვფიქრობთ, კარგად მიესადაგება საირხის თანადროულ ისტორიულ ვითარებასაც. ამიტომ სავსებით ვიზიარებთ აზრს

იმის შესახებ, რომ ძვ.წ. VII საუკუნეში რკინის მასიურ წარმოებაზე გადასვლა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ კოლხეთის მთისა და ბარის რაიონების რეგულარული კონტაქტების გარეშე და რომ სწორედ ეს პროცესი ქმნიდა ერთ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში ქვეყნის გაერთიანების მყარ საფუძველს [მახარაძე 1991: 10]. ამ პროცესის გაღრმავებასთან ერთად საირხე მოექცა ჯერ ადგილობრივი, ხოლო შემდეგ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე კომუნიკაციების გადაკვეთაზე.

ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოდან იწყება ახალი ფაზა ვანის ისტორიაში [Лордкипанидзе 1990: 11]. ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოს საირხის საბადურის გორაზე არსებული დასახლებაც არსებობას წყვეტს, თუმცა ქრონოლოგიური წყვეტილი ხანგრძლივი არ არის [მახარაძე, წერეთელი 2007: 20]. მეტიც, საირხის ტერიტორიაზე – კოდისწყაროზე, კარახტინში და სახოველში წინარე და ადრე ანტიკური ხანის არქეოლოგიური ფენები სტრატიგრაფიულად არ არის გამიჯნული და საირხის ამ უბნებში ქრონოლოგიური წყვეტილი არ ფიქსირდება. საბადურის და წყაროსთავის ბორცვები საირხეში გათხრილი გორებიდან ყველაზე უკეთაა შესწავლილი და ძეგლის ზოგადი სტრატიგრაფიული სურათიც მათი მონაცემების მიხედვითაა დადგენილი. სწორედ საბადურის და წყაროსთავის გორებზე მოხერხდა წინარე და ადრეანტიკური ხანის ფენების გამიჯვნა, რამაც აჩვენა, რომ ძვ.წ. VI საუკუნიდან, ვანის მსგავსად, აქაც იწყება ახალი ეტაპი [მახარაძე 2000: 43]. ისევე, როგორც ვანში, საირხეშიც ეს პერიოდი ხასიათდება მძლავრი ეკონომიკური აღმავლობით. ეს დასახლება საირხეში ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოს ან ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისშია განადგურებული [მახარაძე, წერეთელი 2007: 19-20]. როგორც ჩანს, საბადურის გორაზე არსებული სამოსახლო ძალდატანებით ნადგურდება, რაზეც მეტყველებს ძლიერი ცეცხლის კვალი. ძვ.წ. V საუკუნიდან კი ეს ადგილი უკვე ნეკროპოლისად გამოიყენება [მახარაძე, წერეთელი 2007: 20].

ასე რომ, თუ ვანში ერთიან ეტაპადაა წარმოდგენილი ძვ.წ. VI-IV საუკუნეების პირველი ნახევარი, საირხის ისტორიაში შესაძლებელი ხდება რამდენიმე ქვეეტაპის გამოყოფა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა, ძვ.წ. VI საუკუნე კოლხეთის ისტორიაში უდიდესი ძვრების ხანაა. ამ დროს ყალიბდება სახელმწიფო წესწყობილება, რომელიც მოიცავს ფართო მიწა-წყალს და დიფერენცირებულს ხდის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. სახელმწიფოს ფორმირებასთან ერთად წარმოიქმნება სატაძრო ცენტრებიც, რომლებიც იმავდროულად ხდებიან გარკვეული პროვინციების მთავარი სამეურნეო და სავაჭრო კერებიც [ინაძე 1986: 33]. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ვანის და საირხის ქვეყნებში მდიდრული სამარხები ერთდროულად, ძვ.წ. V საუკუნიდან ჩნდება. ეს ფაქტი კი იმის პირდაპირი დასტურია, რომ სოციალური და პოლიტიკური დიფერენციაცია ერთდროულად იკიდებს ფეხს ვანისა და საირხის საზოგადოებაში და ერთდროულად მიმდინარეობს სხვადასხვა სოციალურ ფენათა წარმოქმნის ურთულესი პროცესი. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით რა სიტუაციაა ამ მხრივ შედარებით ადრეულ ეპოქაში, კერძოდ, წინარე ანტიკურ ხანაში, რადგან ვანსა და საირხეში ამ პერიოდის სამარხები მიკვლეული ჯერ კიდევ არ არის. არადა ამ ხანის სამარხების აღმოჩენა ბევრ პრობლემას გასცემდა პასუხს და დაგვანახებდა კოლხეთის ძველი, პატრიარქალური საზოგადოების რღვევისა და ცალკეულ სოციალურ ფენათა გამიჯვნის ურთულეს სურათს.

ვანისა და საირხის მდიდრული სამარხები მრავალმხრივ იჩენენ ერთმანეთისადმი სიახლოვეს, მაგრამ განსხვავებაც შეინიშნება. პირველ რიგში კი განსხვავება ისაა, რომ ვანში სამარხები ცალკ-ცალკეა გაფანტული, მაშინ როდესაც საირხეში, საბადურის გორაზე, ყველა სამარხი ერთმანეთის გვერდიგვერდ იყო განლაგებული და ქმნიდა ერთიან სამაროვანს [მახარაძე, წერეთელი 2007: 16-20]. აღნიშნული განსხვავების მიუხედავად, სავსებით მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვანის და საირხის სამარხებში დაკრძალული პირების სახით საქმე უნდა გვქონდეს ერთ სოციალურ საფეხურზე მდგომ არისტოკრატთა წარმოდგენლებთან [Лордкипанидзе 1990: 20-21]. ძნელია დაბეჯითებით ვამტკიცოთ, ეკუთვნიან თუ არა ისინი კოლხეთის უმაღლესი არისტოკრატიის შტოს, მაგრამ დღეისთვის აშკარად უდავოა, რომ დასავლეთ საქართველოს არც ერთ სხვა არქეოლოგიურ ძეგლზე არ არის მიკვლეული უფრო მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელთა სამარხები. ეს ვითარება კი თავისთავად არ ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ ვანსა და საირხეში დაკრძალული დიდებულების სახით საქმე გვაქვს კოლხეთის სამეფოს ორი სხვადასხვა ოლქის იმ საგვარეულოების წამრომადგენლებთან, რომლებიც სკეპტუხიის მმართველობას და, ალბათ, კოლხეთის უზენაეს მმართველობა-

საც ახორციელებდნენ ადგილებზე და აღჭურვილნი იყვნენ ადმინისტრაციული უფლებებით [Лордкипанидзе 1990: 21]. ასეთ ვარაუდს ამაგრებს ამ ორი ქვეყნის ფარგლებში მიკვლეული დაბალი სოციალური სტატუსის მქონე პირთა სამარხებიც. ასეთებია ვანში მთისძირისა და დაბლაგომის [გამყრელიძე 1982: 69-82], ხოლო საირხის ქვეყანაში მოდინახის და ითხვისის სამარხეული კომპლექსები [მახარაძე, წერეთელი 2002: 59-80; გაგოშიძე, გოგიბერიძე, მახარაძე 2006: 59-80] აღნიშნული სამარხები მიანიშნებენ კოლხეთის სამეფოში მართვა-გამგეობის ინსტიტუტის მრავალსაფეხურიანობაზე და აგრეთვე იმაზე, რომ სკეპტუხიის მთავარი ქალაქების პარალელურად არსებობდნენ სხვა დაწინაურებული ცენტრებიც. უფრო რთულად დგას საკითხი იმის შესახებ, თუ სოციალური იერარქიის რა საფეხურზე იდგნენ ვანისა და საირხის მდიდრულ სამარხებში მთავარ მიცვალებულთან ერთად დაკრძალული პირები. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული, ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული [ინაძე 1995: 54], მაგრამ არის რამდენიმე გარემოება, რომლებიც წარმოაჩენენ, რომ თანადაკრძალული მიცვალებულები არ ეკუთვნოდნენ სოციალურად უუფლებო მასას, არამედ როგორც მათი სამარხეული ინვენტარი (ვერცხლის დიადემები, ვერცხლის საკისრე რგოლები, ატიკური ლეკითოსები) უჩვენებს, შესაძლოა ისინი საკმაოდ დაწინაურებულ, ცალკე ფენადაც წარმოვიდგინოთ. მიგვაჩნია, რომ საირხეში დადასტურებული სიტუაცია მიესადაგება ვანის ანალოგიურ ვითარებას და რეალურად გვეჩვენება ვარაუდი კლასიკური ხანის კოლხეთის წარჩინებულთა წრეში ღვთითშთაგონებულ ქალთა ინსტიტუტის არსებობის შესახებ, რომლებიც საკუთარი ნებით დგებოდნენ უზენაესი ღვთაების სამსახურში და ეწირებოდნენ კიდეც მას [ინაძე 1986: 33-34]. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ საირხის მეხუთე სამარხის მეორე კამერაში დაკრძალულნი იყვენენ მთავარი მიცვალებულის თანმხლები პირები. ერთერთ მათგანს ხელში ეკავა ლეკითოსი. როგორც ჯ. ნადირაძე შენიშნავს, შესაძლოა მასში მომაკვდინებელი სითხე ესხა [ნადირაძე 1990: 147]. ეს მცირე, მაგრამ ალბათ საყურადღებო მომენტიც მიუთითებს, რომ არაა გამორიცხული ამ შემთხვევაში მთავარი მიცვალებულისადმი მართლა ნებით შეწირვასთან გვქონდეს საქმე.

სრულიად განსხვავებული ვითარებაა ვანისა და საირხის ქვეყნის ფარგლებში აღმოჩენილ დაბალ სოციალურ საფეხურზე მდგომ მიცვალებულთა სამარხებში, სადაც უმეტესწილად თითო მიცვალებულია დაკრძალული (ამ მხრივ გამონაკლისია ითხვისი). ეს გარემოება კიდევ ერთი მინიშნებაა, რომ კლასიკური ხანის კოლხეთში საქმე გვაქვს საზოგადოების რთულ სოციალურ სტრუქტურასთან.

ვანისა და საირხის დიდებულებს ხელთ ეპყრათ, როგორც საერო ისე სასულიერო ხელისუფლებაც და იგი მემკვიდრეობით ხასიათს ატარებდა [ინაძე 1986: 33]. ასე რომ, კლასიკური ხანის კოლხეთში უკვე სახეზეა კარგად განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური იერარქიის სურათი. ძვ.წ. V-IV საუკუნეებში ვანი და საირხე გვევლინებიან როგორც კოლხეთის სამეფოს ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების მთავარი სამეურნეო ცენტრებიც. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს აქ საოქრომჭედლო სკოლების არსებობის ფაქტი. საირხის აღმოჩენებამდე კოლხეთში ერთადერთი საოქრომჭედლო ცენტრი – ვანი იყო ცნობილი. მართალია, ვანისა და საირხის საიუველირო ნაწარმი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს, მაგრამ მათ შორის განსხვავებებიც შეინიშნება. ჩვენი აზრით, ამ პერიოდის საიუველირო პროდუქციაში მთავარი განსხვავება ძირითადად დამზადების ტექნიკაში ვლინდება. კერძოდ, როგორც ცნობილია, ძვ.წ. V-IV საუკუნეების ვანის ოქროს ნივთები გეომეტრიული ფორმების მდგრადობით გამოირჩევა და მხოლოდ ელინისტური ხანიდან ჩნდება სამკაულზე მოძრავი ელემენტი [გამყრელიძე 1985: 93]. ეს ვითარება საირხისთვისაც დამახასიათებელია, მაგრამ მეხუთე სამარხში აღმოჩენილი მოძრაველემენტიანი საკიდები, რომლებიც ძვ.წ. V საუკუნის მიწურულით თარიღდება, საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სამკაულზე მოძრავი ელემენტის გაჩენა არ იყო მაინცდამაინც ელინიზმის ეპოქისთვის დამახასიათებელი მოვლენა. ამასთან დაკავშირებით სავსებით ვიზიარებთ მ. წერეთლის მოსაზრება, რომ სამკაულზე მოძრავი ელემენტის არსებობა ადრე რკინის ხანის ბრინჯაოს საკიდების ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენს და ამდენად სამკაულის ამგვარი სახეობის გაჩენა არ უნდა მიეწერებოდეს ელინისტურ ხანას [წერეთელი 1991: 141]. რა თქმა უნდა, ძნელია საირხეში აღმოჩენილი ორი ნივთის მიხედვით ასეთი რთული საკითხის გარშემო საუბარი, მაგრამ მათი არსებობა უკვე იძლევა რაღაც ეჭვის საფუძველს. შესაძლოა, მომავალმა კვლევა-ძიებამ უფრო დააზუსტოს ეს მოსაზრება, ან საერთოდ უარყოს იგი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ძვ.წ. V-IV საუკუნეების ვანი და საირხე ერთმანეთისადმი უაღრესად დიდ სიახლოვეს იჩენენ და ორივეგან ფიქსირდება თითქმის იდენტური ისტორიული პროცესები.

ადრე ელინისტური ხანიდან ვანისა და საირხის განვითარებაში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება და უკვე ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოვლენებს აქვს ადგილი. ძვ.წ. IV-III საუკუნეების საირხეში ჯერჯერობით არ ფიქსირდება ისეთი ფართო მასშტაბის ინოვაციები, როგორც ვანში, მაგრამ გარკვეული ცვლილებები, რა თქმა უნდა, გვხვდება. თუმცა ეს ცვლილებები არ არის ისეთი დონის, რაც ნიშანდობლივია ვანის და საერთოდ ცენტრალური კოლხეთისათვის. ადრე ელინისტური ხანა ძველი საქართველოს ისტორიაში დიდი გარდატეხის პერიოდია. ძირითადად ვანის არქეოლოგიური ძეგლების მონაცემებით შეისწავლება ჩვენში ის კულტურულ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, რომელიც თან მოჰყვა ელინიზმის ეპოქას. ხსნებელი პერიოდის საირხეს აღნიშნული ცვლილებები, რა თქმა უნდა, შეეხო, მაგრამ ჩვენი აზრით, ეს ვითარება დაკავშირებულია ახლადჩამოყალიბებული ქართლის სამეფოს ექსპანსიასთან კოლხეთის აღმოსავლეთი პროვინციების მიმართ. საირხეში არ იგრძნობა ელინიზმის ისეთი მკვეთრი გავლენა, როგორც ვანში.

ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევარი ცალკე ეტაპადაა გამოყოფილი ვანის ნაქალაქარის ისტორიაში. შესაძლებელია თუ არა ამ პერიოდის ცალკე ეტაპად გამოყოფა საირხის ისტორიაში? ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან ძვ.წ. III საუკუნის პირველ მეოთხედამდე საირხეში რომ ინტენსიური ცხოვრება მიმდინარეობდა, ამაზე მოწმობს საბადურის გორის და წყაროსთავის არქეოლოგიური არტეფაქტები [მახარაძე, წერეთელი 2007]. საირხეში აღნიშნული პერიოდის ოთხი მეტ-ნაკლებად მდიდრული სამარხია შესწავლილი (№№ 1, 4, 6, 9). ამათგან მხოლოდ ერთი შეიძლება (№ 1) მივიჩნიოთ საგამგეო ერთეულის მმართველის საძვალედ, ხოლო დანარჩენი სამარხები საგვარეულო არისტოკრატიის იმ წარმომადგენლების კუთვნილებაა, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში. ე.ი. საქმე გაქვს ერთი საგვარეულოს შიგნით მემკვიდრეობითობის ინსტიტუტის არსებობასთან. ეს ვითარება ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისში იღებს სათავეს (სამარხი № 13) და განუწყვეტლივ არსებობს ძვ.წ. III საუკუნემდე. ასე რომ, საბადურის გორის სამაროვანი წარმოგვიდგება ერთი საგვარეული არისტოკრატიის განსასვენებლად, სადაც ყველაზე ადრეული სამარხი ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის, ხოლო ყველაზე გვიანდელი – ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისს [ნადირაძე 1990: 123-164]. საინტერესოა ისიც, რომ სამარხების მიხედვით კლასიკურ და ელინისტურ ხანას შორის ქრონოლოგიური წყვეტილი არ გვხვდება. კოლხეთის სამეფოს წარმოქმნის და საირხის სკეპტუხიის ჩამოყალიბებისთანავე აქ ჯდება ხელისუფალი, რომლის შთამომავლები ქართლის ექსპანსიის დაწყებამდე მართავდნენ ზემო იმერეთის მიწა-წყალს. ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან მომხდარი ინოვაციები, როგორც ჩანს, გავლენას არ ახდენენ საირხის მმართველობის ზედა ფენებზე და ეს საგვარეულო კვლავ ინარჩუნებს ადმინისტრაციულ უფლებებს. ჩვენი ვარაუდით, სწორედ ამ ფაქტზე უნდა მიანიშნებდეს კლასიკური და ელინისტური პერიოდების სამარხების გვერდი-გვერდ არსებობის შემთხვევები. ელინიზმის გავრცელებას არ გამოუწვევია ადრე ჩამოყალიბებული სოციალური ინსტიტუტების რამდენადმე მნიშვნელოვანი შეცვლა და ამიტომ ძვ.წ. V-III საუკუნეები საირხეში ერთ პერიოდადაა წარმოდგენილი. ამრიგად, ხსენებული პერიოდის ვანისა და საირხის განვითარების ისტორიაში განსხვავებული ტენდენციები შეინიშნება. მთავარი განსხვავება კი, ალბათ, ის არის, რომ თავისი ისტორიის ბოლო ფაზიდან ვანი სატაძრო ქალაქი ხდება [ლორთქიფანიძე 1996: 25]. საირხეში ანალოგიური ვითარება ჯერჯერობით ვერ ფიქსირდება. იმის მიუხედავად, რომ ადგილ ლომინაურში აღმოჩენილია ანტიკური ხანის არქიტექტურული დეტალები, რომელთა თარიღის გარშემო არაერთგვაროვანი და ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებებია გამოთქმული [მახარაძე 1997: 12-20]. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, ძვ.წ. IV საუკუნის შუა ხანებიდან ძვ.წ. III საუკუნის შუა წლებამდე ვანი, შესაძლოა, დამოუკიდებელი ეთნო-ტერიტორიული გაერთიანება ყოფილიყო, რომელსაც მართავდნენ ადგილობრივი ხელისუფალნი, რომლებიც შეიძლება პატარ-პატარა მეფეებიც ყოფილიყვნენ [ლორთქიფანიძე 1996: 25-26]. ეს პერიოდი ვანში ელინისტური კულტურის მძლავრი აღმავლობით ხასიათდება. უკვე აღვნიშნეთ, რომ საირხეში არ შეიმჩნევა ელინიზმის ასეთი მკვეთრი გავლენა. ამ მოვლენას ჰქონდა თავისი ისტორული წინამძღვრები. კერ-

ძოდ, ვანი მდებარეობდა იმ დროისთვის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სავაჭრო-სატრანზიტო გზების გადაკვეთაზე. რიონის საშუალებით იგი უკავშირდებოდა შავ ზღვასაც და აქ გაივლიდა სამხრეთიდან მომავალი გზაც, საიდანაც ივარაუდება ელინიზირებული მესხი ტომების შემოსვლა საქართველოში. ამდენად, ვანს საერთაშორისო ურთიერთობების დასამყარებლად უფრო მოხერხებული გეოგრაფიული პირობები ჰქონდა, ვიდრე საირხეს. ვანში ელინისტური კულტურის აღმავლობის საქმეს ხელი შეუწყო საყანჩიაში ბერძნული ეთნოსის არსებობის ფაქტმაც [ლიჩელი 1991: 87], მაშინ როდესაც საირხეში ადგილობრივის გარდა სხვა ეთნიკური ელემენტი თითქმის არ ფიქსირდება. ქართლის სამეფოს ფარგლებში მოქცევამ აშკარად დაასუსტა საირხის ქვეყნის საერთაშორისო კონტაქტები. როგორც ჩანს, ყვირილის ხეობაში გამავალმა სავაჭრო გზამაც თანდათან დაკარგა ფუნქცია, რის შედეგადაც საირხე იმ დროის დიდ პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების მიღმა დარჩა. ალბათ, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ძვ.წ. III-I საუკუნეების საირხეს არ გააჩნდა ისეთი დიფერენცირებული სავაჭრო-სახელოსნო დასახლებები, როგორც ვანს (საყანჩია). ყოველივე ამან გამოიწვია ცხოვრების რიტმის თანდათანობითი შენელება და ძვ.წ. II-I საუკუნეებიდან საირხე გვევლინება, როგორც ყვირილის ხეობის რიგითი დასახლებული პუნქტი [მახარაძე 1997: 12-20]. მართალია, საირხის ტერიტორიაზე დადასტურებულია გვიანანტიკურ – ადრე შუა საუკუნეების არქეოლოგიური ფენები [ბრაგვაძე, გაგოშიძე 2002: 142-145], მაგრამ ადრინდელი ძლიერებისათვის მას აღარ მიუღწევია.

ვანსა და საირხეში არქეოლოგიური გათხრები გრძელდება და სრულიად ბუნებრივი იქნება მომავალმა კვლევა-ძიებამ წარმოაჩინოს ისეთი მასალა, რომელიც სათუოს ან მიუღებელს გახდის ამჟამინდელ შეხედულებებს. ჩვენი მიზანი იყო შეძლებისდაგვარად შევხებოდით იმ ძირითად ტენდენციებს, რომელიც ახასიათებს როგორც ერთ, ისე მეორე ნაქალაქარს. მართალია, დღეისთვის ვანში უფრო მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალაა მოპოვებული, ვიდრე საირხეში, მაგრამ ეს ვითარება თითქმის არაფერს წყვეტს, ვინაიდან ეჭვსგარეშეა, რომ საქართველოს ისტორიის ერთ გარკვეულ მონაკვეთში საირხე ზუსტად ისეთივე დონის ცენტრს წარმოადგენდა, როგორც ვანი და ორივეგან ვითარდებოდა ანალოგიური ისტორიული პროცესები, ხოლო ეს ფაქტი თავისთავად მიუთითებს ძველი საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში ამ ორი ძეგლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

Zurab Bragvadze

TOWARDS THE COMPARATIVE HISTORY OF VANI AND SAIRKHE

Summary

The paper is devoted to problems of the history of two important centers of Ancient Colchis: Vani and Sairkhe. On the basis of an analysis of the archaeological material the view is advanced that in the 7th-5th cent. BC almost analogous historical processes developed in Vani and Sairkhe. At the time, both these points were places of religious worship of the Colchian tribes. From the end of the 6th cent. BC Vani and Sairkhe emerge as the principal centres of the administrative-territorial units (*scheptuchies*) of the kingdom of Colchis, as evidenced by the rich burials of representatives of the social elite, brought to light in both places. It is noted that the aristocracy held both lay and religious authority, which was hereditary in character.

A qualitative difference in the process of historical development of Vani and Sairkhe becomes noticeable from the second half of the 4th cent. BC. So far, in Sairkhe such a strong influence of Hellenism is not felt as in Vani, which was probably due the advantageous geographical situation of Vani. Unlike Vani, Sairkhe lacked a direct passage to the Black Sea. From the 3rd cent. BC Sairkhe came within the kingdom of Iberia (Kartli), which clearly limited its foreign contacts, and in the 2nd-1st centuries BC it emerges as an ordinary settlement of the Quirila valley, while the Vani of this period still holds a dominant position on the scale of Central Colchis.

ლიტერატურა

ბრაგვაძე ზ., გაგოშიძე გ. 2002: საირხის ადრე შუასაუკუნეების ნამოსახლარი. –არქეოლოგიური ჟურნალი, II, 142-149.

ბრაგვაძე ზ. 2007: კლასიკური ხანის ყვირილის ხეობაში არქეოლოგიურ კულტურათა ურთიერთობის ისტორიიდან. – იბერია-კოლხეთი, № 3, 15-19.

გაგოშიძე ი., გოგიბერიძე ნ., მახარაძე გ. 2006: ითხვისის სამაროვანი. – არქეოლოგიური ჟურნალი, IV, 36-59.

გამყრელიძე გ. 1982: ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბილისი.

გამყრელიძე გ. 1985: აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის. – სმამ, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 3, 79-97.

ინაძე მ. 1986: სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში. – სმამ. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 4, 29-46.

ინაძე მ. 1995: ძველი კოლხეთის საზოგადოება. თბილისი.

ლიჩელი ვ. 1991: ძველი ვანი. თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ. 1996: ვანი. „ოქრომრავალი“ კოლხეთის მთავარი რელიგიური ცენტრი (პარალელური ტექსტები ქართულ და გერმანულ ენებზე). – Jahrbuch des Römisch-Germanischen Zentralmuseums Mainz, 42, 1995 (1996), 353-401.

მახარაძე გ. 1991: საბადურის გორის სტრატიგრაფია და საირხის ნაქალაქარის ისტორიის ძირითადი ეტაპები. პრეპ-რინტი. თბილისი.

მახარაძე გ., ლომთაძე გ. 1996: კოლხური კულტურის გავრცელება ყვირილის ხეობაში. –საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, II, 9-39.

მახარაძე გ. 1997: საირხის კაპიტელების თარიღისათვის. – საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარ-კვევები, III, 12-20.

მახარაძე გ. 2000: საირხის ნაქალაქარის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი. – არქეოლოგიური ჟურნალი, I, 43-66.

მახარაძე გ., წერეთელი მ. 2002: ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრის სამარხები საჩხერიდან. – არქეოლოგიური ჟურნალი, II, 59-80.

მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: საირხე. თბილისი.

ნადირაძე ჯ. 1990: საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. თბილისი.

წერეთელი მ. 1991: საირხეში აღმოჩენილი საიუველირო ნაწარმის მხატვრული დამუშავების ზოგიერთი საკითხი. – სმამ. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 3, 134-145.

Брагвадзе З. Церетели М. 1997: Саирхе – Религиозный центр древней Колхиды. –Археологія, 4, Київ, 128-134.

Лордкипанидзе О. Д. 1989: Наследие древней Грузии. Тбилиси.

Лордкипанидзе О. Д. 1990: Городище Вани в общеколхидском контексте. – О. Д. Лордкипанидзе (ред.), Причерноморье в VIII-VII вв. до н.э., Тбилиси, 9-24.

Толордава В. 1990: Культовый комплекс VIII-VII вв. до н.э. – – О. Д. Лордкипанидзе (ред.), Причерноморье в VIII-VII вв. до н.э., Тбилиси, 36-47.

გელა გამყრელიძე*

ბერძნულ გრაფიტოიანი სინოპური და კოლხური ამფორები ქალაქ ფოთი-ფასისის კონტექსტში

საქართველოს ზღვისპირეთში, ქალაქ ფოთთან – მდინარე რიონის შესართავთან, მალთაყვის სრუტის მარცხენა მხარეს და პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაპირთან არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ფრიად საყურადღებო ბერძნულ წარწერა-გრაფიტოიანი ამფორები აღმოაჩინა (სურ. 1). პალიასტომის ტბასთანვე ძვ.წ. IV-III სს-ის არქეოლოგიური არტეფაქტები – ატიკური შავლაკიანი კანთაროსის ქუსლი, როდოსული ამფორის ძირი და ადგილობრივი, კოლხური კერამიკა დადასტურდა. აქვე აღმოჩნდა დამღიანი კოლხური ამფორის ყურიც (დაწვრილებით იხ. გამყრელიძე 1987: 97-117; Гамкрелидзе 1992: 30-48, ტაბ. 5-8; გამყრელიძე 2010: 176-189). ქვემოთ გთავაზობთ ამფორებზე ამოკაწრული ბერძნული გრაფიტოების გაშიფვრის ვერსიებს (იხ. ტაბ. III) და ამ მასალის აღმოჩენის მნიშვნელობას ქალაქ ფასისის, როგორც სავაჭრო ცენტრის გაზრების კონტექსტში, რაც საშუალებას იძლევა ზოგიერთი საკითხი ახლებურად დავინახოთ.

ქ. ფასისი ევროპა-აზიის საზღვაო-სამდინარო-სახმელეთო სატრანზიტო გზის მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. ქალაქ ფასისის საშუალებით გადაიზიდებოდა სამშენებლო ხე, სელი, სელის ზეთი, თაფლი, ღვინო, სპილენძი, რკინა, კანაფი, ე.წ. „ფასისური ხოხობი“ (ფაზანი), მოგვიანებით ნავთიც და სხვ. ელინისტურ და რომაულ ეპოქაში ფასისის, როგორც სატრანზიტო-სავაჭრო ქალაქის მნიშვნელობა გაიზარდა [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 117-146; ინაძე 2009: 246-251; გამყრელიძე 2001: 26-32; Gamkrelidze 2009: 175-194]. პალიასტომის მოხერხებულ ტბა-ლიმანში, რომელთანაც ქალაქ-ნავსაყუდელი მდებარეობდა, ზღვიდან გემები შემოდიოდნენ, საიდანაც, შემდეგ მდ. რიონზე და მდ. ფიჩორზე აგრძელებდნენ სვლას. სწორედ ამ გზის გაყოლებაზე სატრანსპორტო ტარის გარკვეული რაოდენობა დაფიქსირდა. ამჟამად ყურადღებას გავამახვილებთ გრაფიტოიანი ამფორების აღმოჩენის ფაქტზე (იხ. ტაბ. I და II).

I. გრაფიტოიანი ამფორის ზედა ნაწილი აღმოჩნდა სუფსის კანიონისა და მალთაყვას შორის მდებარე ზღვის შელფში. ამფორის თიხა ბაცი მონაცრისფრო-მოიისფროა და მოშავო მცირე ნამცეცებს შეიცავს. ამფორის კედელი სქელია; ზედაპირი ხორკლიანი აქვს და მასზე ზღვიური დანალექები შეიმჩნევა. ამფორის მხრები დახრილია. პირის დმ – 11 სმ; ცილინდრული ყელის სიმაღლე – 15 სმ; მხართან დმ – 35 სმ; ყურების სიგანე – 4,05 სმ; პირის ლილვისებური გადანაკეცის სიგანე – 1,04 სმ; ყურები ოვალურგანივკვეთიანია და მათზე გრძივი დაბალი წიბო შეიმჩნევა.



სურ. 1

* გელა ალექსანდრეს ძე გამყრელიძე. ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთავარი მეცნიერ-თანამშრო-მელი. ამავე მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის სამეც¬ნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ჟურნალ “იბერია-კოლხეთის’’ რედაქტორი. 1997-2006 წწ.-ში ანტიკური პერიოდის არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი. მონაწილეობდა ვანის, მთისძირის, ფოთის, ბიჭვინთის, ქუთაისის, თეთრიწყაროს, ვალეს და სხვ. არქეოლოგიურ ექსპედიციებში. 1997-2001 წწ-ში აშშ-ს ტექსასის შტატის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტთან საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი საქარ¬თველოს ზღვისპირეთში. იკვლევს ანტიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია-არქეოლოგიას. გამოქვეყნებული აქვს 91 ნაშრომი, აქედან 12 წიგნი.

რედაქცია ულოცავს დაბადებიდან 60 წლისთავს.

გრაფიტოები: 1) BIK (იხ. ტაბ. I და III) – ყურებს შორის, მხრის დასაწყისშია. A ვერსიით შეიძლება იყოს BIK[OΣ] — თიხის ჭურჭელი, ხოლო თუ კი ჩავთვლით, რომ აბრევიატურაა, მაშინ B ვერსიით შეიძლება B – „თიხის ჭურჭელს“, I – „შეწირულს“, K– „მაღალი ხარისხის“ ან „კოლხურს“ (C ვერსიით) ნიშნავდეს. ასეთ შემთხვევაში წარწერა შეიძლება გაიშიფროს ამგვარად – „[ამ] თიხის ჭურჭლით შეწირულია მაღალი ხარისხის [კოლხური?] [ღვინო]“ (იხ. ტაბ. III).

2) ΠE – ამფორის მეორე მხარეს, ოდნავ გვერდზე, ყელთანაა მოთავსებული. ეს A ვერსიით შეძლება ნიშნავდეს რიცხვს – 5 (ხუთს). თუ კი ჩავთვლით, რომ ეს არის აბრევიატურა, მაშინ B ვერსიით იქნება – „ძველი (Π) ზეთისხილის ზეთი (E)“. აქ „პი“-ს მარჯვენა მხარე გაორმაგებული ხაზითაა წარმოდგენილი და თავზე, კუთხეში პატარა ხაზი შეიმჩნევა (იხ. ტაბ. I, III).

3) XO — ამფორის ამავე მხარეს მხარზეა ამოკაწრული. ეს გრაფიტო A ვერსიით აღნიშნავს ტევადობას – ხოას. 1 ხოა ტოლია 3,285 ლიტრის. (2) წარწერის A ვერსიის ხუთს თუ გავამრავლებთ 1 ხოაზე მაშინ მივიღებთ ≈ 16,415 ლიტრს ანუ ხუთ ხოას, რაც ამ ამფორის მოცულობა გამოდის. 16 ლიტრიანი ადრეული, მოზრდილი ამფორები კი სინოპური ამფორების მოცულობის გარკვეული სტანდარტი იყო. 16 ლიტრიანია ვანის ნაქალაქარზე ე.წ. „წარჩინებული კოლხი მეომრის“ სამარხში აღმოჩენილი მთლიანი სინოპური ამფორაც. B ვერსიით XO შეიძლება „ზედაშე (X) ღვინოს(O)“ ნიშნავდეს (იხ. ტაბ. I, III).

ზემოთ აღწერილი გრაფიტოებიანი ამფორა ჰიდროარქეოლოგების მიერ არის აღმოჩენილი და შესაძლოა, ზღვაში ჩაძირული სავაჭრო გემის ტვირთიდან იყოს. ის არქეოლოგიის ცენტრის ფონდებში ინახება (ოთახი № 5). ამფორა მორფოლოგიურ-ტიპოლოგიური მონაცემებით სინოპურია და თითქმის ანალოგიურია ვანის ნაქალაქარზე ე.წ. „წარჩინებული კოლხი მეომრის“ სამარხში აღმოჩენილი მთლიანად შემონახული დამღიანი ამფორისა [იხ. ფუთურიძე 1976: 82-84], რომელიც არქეოლოგ ბ. გრაკოვის სინოპური ამფორების კლასიფიკაციის მიხედვით, ადრეულ, პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფს მიეკუთნება და ძვ.წ. IV ს. ბოლო – III ს. დასაწყისით თარიღდება [იხ. Граков 1929: 96-108; Брашинский 1980: 42; Монахов 1999: 487-496].

II. – გრაფიტოიანი ამფორის ზედა ნაწილი მდ. რიონის ზღვასთან შესართავთან, შელფში, მებადურების მიერ ჩაგდებულ ბადეს ამოყვა (ამ ამფორის შესახებ ინფორმაცია არქეოლოგმა რ. პაპუაშვილმა მოგვაწოდა). ამფორის თიხა მონაცრისფრო-მოიისფროა და მოშავო მცირე ნამცეცებს შეიცავს. ამფორის კედელი სქელია; ზედაპირი ხორკლიანია და მასზე ზღვიური დანალექები შეიმჩნევა. ამფორის ცალი ყური, ზე და მხარეს, მოტეხილია; მხრები დახრილია; პირის დმ – 10 სმ; ცილინდრული ყელის სიგრძე 14 სმ; ოვალურგანივკვეთიანი ყურის სიგანე – 5 სმ; პირის ლილვისებური გადანაკეცის სიგანე – 1,01 სმ. ყურებს შორის მხრის დასაწყისში ამოკაწრულია გრაფიტო – FILO, რომლის გაგრძელებაც მოტეხილია (იხ. ტაბ. II_1; III). A ვერსიით შესაძლებელია აქ იგელისხმებოდეს ΦΙΛΟ [BAKXOΣ] დიონისესთან (ბაკხოსთან) და საერთოდ ღვინის სიყვარულთან დაკავშირებული სიტყვა. წარწერა შეიძლება ეკუთვნოდეს ღვინით მოვაჭრეს, რომელიც თაყვანს სცემდა ღვთაება დიონისეს. B ვერსიით გამორიცხული არ არის უბრალოდ იყოს – FILO[INIA] ანუ „ღვინის მოყვარული“. გრაფიტოში ΦΛ („ფი“ და „ლამბდა“) წარმოდგენილია გადაბმულად ლიგატურის სახით. ასეთი მოხაზულობის სამკუთხა „ფი“ დადასტურდა ქარელის რ-ნის ტახტიძირის სამაროვნის ძვ.წ. IV ს. მიწურულის № 6 სამარხში აღმოჩენილი კანთაროსის ქუსლზე (არქეოლოგ იულ. გაგოშიძის გათხრები). ამგვარივე, მოხაზულობის „ფი“ აღმოჩნდა ჩრდილო შავიზღვისპირეთის ნაქალაქარ ნიმფეონში დადასტურებულ ძვ.წ. IV ს. ჭურჭლის ფრაგმენტზეც [იხ. Толстой 1953: 86]. სიტყვა „მოყვარული“ აგრეთვე დადასტურებულია ძვ.წ. IV ს. ქოთანზე ჩრდილო შავიზღვისპირეთში „მითრიდატეს მთის“ გათხრისას [Толстой 1953: 97-98]. C ვერსიით შესაძლებელია ფოთის ამფორაზე იგულისხმებოდეს ΦΙΛΟ[ΘΕΟΣ] „ღმერთის მოყვარული“ [იხ. Pape 1884: 1624]. ათენის აგორაზე აღმოჩენილ ძვ.წ. IV ს. კილიკზე ამგვარივე გრაფიტო მ. ლანგმა აღადგინა, როგორც – „თასის მოყვარული“ [იხ. Lang 1976: 12, სურ. C_6]. ჩრდილო შავიზღვისპირეთის ქ. პანტიკაპეონში ძვ.წ. IV ს-ის საფლავის სტელის ფრაგმენტი აღმოჩნდა, სადაც წარწერაზე ფიგურირებს სიტყვა „მოყვარულის“ ნაწილი და შემდეგ ეთნონიმი „კოლხი“, რომელიც შეიძლება „ქეიფის მოყვარულ კოლხს“ (ΦΙΛΟΚΩΜΟΣ ΚΟΛΧΟ) ნიშნავდეს ანუ იმ ადამიანს, რომლისადმიც ეს წარწერიანი საფლავის სტელაა მიძღვნილი, ქეიფი და დროსტარება უყვარდა [შეადარე, КБН, 1965: 183; იხ. აგრეთვე ДР, 1958: 1730].

ფოთში აღმოჩენილი მეორე გრაფიტოიანი ამფორაც, პირველი ამფორის მსგავსად, მორფოლოგიურ-ტიპოლოგიური მონაცემებით სი-

ნოპურია და არქეოლოგ ბ. გრაკოვის მიხედვით პირველ ქრონოლოგიურ ჯგუფს უნდა მიეკუთვნებოდეს და ძვ.წ. IV ს-ის ბოლო – III ს-ის დასაწყისით თარიღდება [Граков 1929: 97].

ბერძნული წარწერა-გრაფიტოების აღმოჩენა ყველაზე ხშირია აღმოსავლეთ ხმელთაშუა და შავი ზღისპირეთის რეგიონებში. საქართველოში ბერძნული გრაფიტოები ძირითადად დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის, არქეოლოგიურ მასალაში გვხვდება, კერძოდ – ქობულეთის ფიჭვნარის, საირხის, ეშერის ნაქალაქარის, ოჩამჩირის, ვანის ნაქალაქარის, ბიჭვინთის ნაქალაქარის, სოხუმის ნაქალაქარის, წებელდის და ფოთის არქეოლოგიური ძეგლების არტეფაქტებზე. საქართველოში ბერძნული გრაფიტოების რაოდენობა მცირეა და უპირატესად უცხოეთიდან შემოტანილ კერამიკაზე გვხდება. ისინი ჯერჯერობით სულ 140 ერთეულამდეა დადასტურებული. დასავლეთ საქართველოს ხსენებული არქეოლოგიური ძეგლებიდან, ძირითადად ერთ, ორ ან სამ ასოიანი გრაფიტოები გაგვაჩნია [ნასიძე 2002: 10]. ასოების რაოდენობის სიმცირე მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ზრდის და ხშირად მეცნიერთა კამათის საგანია. გრაფიტოები, ძირითადად, გამომწვარ კერამიკაზე წამახვილებული რაიმე საგნით შესრულებული ნაკაწრი წარწერაა. ამნაირი წარწერა-გრაფიტოებით პიროვნებები, უმეტესად თავის საკუთარ ნივთს, რომელიმე ღვთაებისადმი შესაწირ სათანადო შიგთავსიან ჭურჭელს, სავაჭრო ზომა-წონას და სხვ. აღნიშნავდნენ. არსებობს მაგიური, შელოცვითი ხასიათის წარწერა-ნიშნებიც. გრაფიტოები ხშირად გამოისახებოდა ინიციალების, ლიგატურის, აბრევიატურის სახით. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჭურჭელზე და გადასატან ტარაზე დატანილი სავაჭრო აღნიშვნები. აღინიშნება თუ რა პროდუქტია (მაგ.: ზეთი, ღვინო, თაფლი, ლუდი და ა.შ.) ჭურჭელში და რა მოცულობისაა ის (მაგ.: რამდენი ხოა ან კოტილა), რა ფასი აქვს (მაგ.: რამდენი —2 დრაქმა ან 3 ობოლი), როგორი თვისებებისაა (მაგ.: ნათელი ან მჟავე) და სხვ. [იხ. Яйленко 1980: 72-99; Соломоник 1985: 77-91; Lang 1976: 1-5; ნასიძე 2002: 5-24]. ამ ტიპის გრაფიტოები მაღალგანვითარებულ სავაჭრო ქმედებაზე მიგვანიშნებს. ხშირად გრაფიტო მხოლოდ ერთ ასოიანია და შესაძლებელია ღვთაების სახელის პირველ ასოს წარმოადგენდეს. მაგალითად: Θ – ღვთაება ზოგადად, A – აპოლონის ან არტემიდეს, Δ – დემეტრასი, H – ჰერასი, B – ბაკხოსი; ან ნივთის მფლობელის სახელს ნიშნავდეს მაგ.: Φ – ფინტიდოს, Δ – დემეს და სხვ. [იხ. ნასიძე 1999: 19-20]. გრაფიტოების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს აბრევიატურას, რომლის თითოეული ასო რაღაცას აღნიშავდა და იმ ეპოქის საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მისი მნიშვნელობა კარგად იყო ცნობილი.

ბერძნულ-ლათინური წერილობითი წყაროების მიხედვით ქალაქი ფასისი მდინარე ფასისის (რიონ-ყვირილას) დელტის მარცხენა მხარეს იყო განლაგებული. აქვე ასახელებენ ტბასაც (პალიასტომი?). ამგვარი განსაზღვრა დღევანდელი ქ. ფოთის მდებარეობას ესადაგება. ამიტომ მეცნიერებს ერთხმად მიაჩნიათ, რომ ძველი ფასისი ფოთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა [იხ. Lordkipanidze 2000: 3-9; Ельницкий 1938: 315-320; გამყრელიძე 2003: 172]. იმის გამო, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე რთული გეომორფოლოგიური სიტუაციაა, კლასიკური პერიოდის ფასისი ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. ფასისთან მიმართებაში ბუნდოვანია გლობალური, შავი ზღვის რეგრესიის და ტრანსგრესიის ფაქტორი; გაურკვეველია ზღვის სანაპიროს ლოკალური დინამიკის საკითხიც. აქ მდ. რიონის მიერ საუკუნეების განმავლობაში დიდძალი ქვიშა-მიწა-შლამის გამოტანა ხდება, რაც დელტის ზღვაში გაწევას იწვევდა. მაგალითად, 1872 წლიდან 1970 წლამდე ფოთის მიდამოებში ზღვამ მიიტაცა 200 მ-მდე სიგანის მიწის მონაკვეთი. აქედან გამოდის, რომ ქალაქი ზღვაში უნდა დაძირულიყო. დღევანდელი გეომორფოლოგიური და ტოპოარქეოლოგიური მონაცემების შეჯერებით, კლასიკური პერიოდის ქალაქი ქ. ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე ყულევი-ფოთი-სუფსის და ჭალადიდ-საქორქიოს შორის მდებარე სამკუთხედშია საძებნელი. ლოკალური გეომორფოლოგიური ცვლილებების გამო შესაძლოა ქ. ფასისის ნაწილს ხშირად წყალი ფარავდა, რის გამოც ქალაქს, ხსენებული სამკუთხედის ფარგლებში, სტიქიის მოძალების მიხედვით, ადგილს უცვლიდნენ და მომიჯნავე ფართობზე აგებდნენ [დაწვრილებით იხ. გამყრელიძე 2003: 170-185].

ქალაქ ფასისს შემდეგი ავტორები მოიხსენიებენ: ფსევდო-სკილაქსი (ძვ. წ. IV ს), არისტოტელე, პლატონი, ჰერაკლიდე ლემბოსი, ჰიპოკრატე, თეოკრიტე, სტრაბონი, პლუტარქე, პლინიუსი (უფროსი), პომპონიუს მელა, ფლავიუს არიანე, კლავდიოს პტოლემაიოსი, ფსევდო-ორფევსი, თემისტიოსი, ამიანე მარცელინუსი, ზოსიმე, აგათია და სხვ. უმნიშვნელოვანესი ცნობა ქ. ფასისის მდებარეობის შესახებ დაცულია სტრაბონის „გეოგრაფიაში“: „ფასისზე

მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი, გარშემორტყმული მდინარით [რიონით], ტბით [პალიასტომით] და ზღვით“ (XI, 2, 17). ჰიპოკრატეს თხზულებიდანაც (იხ. „ჰაერთა ...“ 15) ჩანს, რომ მდ. რიონ-ფასისის ქვემო წელის მოსახლეობა სავაჭრო ადგილას, „ემპორიონში“ (ფასისში ?) დადიოდა. აქედან თითქოს ისიც ჩანს, რომ მდ. ფასისის დელტაში მდებარე ადგილი, ადგილობრივი მოსახლეობის სავაჭრო პუნქტი ანუ პროტოურბანისტული ცენტრია. ასევე მნიშვნელოვანია ქ. ფასისის თვითმხილველის, რომის იმპერიის მაღალი რანგის მოხელის ფლავიუს არიანეს საინსპექციო აღწერაში შემონახული ცნობა – ფასისის ციხე-სიმაგრის და ნავსადგურის შესახებ (იხ. „პერიპლუსი...“, 9).

დღევანდელ ფოთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ყველაზე ძველი არქეოლოგიური მონაცემი ადგილ „ნატეხებთან“, პალიასტომის ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თიხა-ტორფიან ფენებში დადასტურდა. ქ. ფოთში კავკასიის ქუჩაზე გეოლოგიური ბურღვისას 5 მ-ზე სინოპური კერამიკის ფრაგმენტები აღმოჩნდა. ზღვაში მალთაყვის სრუტესა და მდ. სუფსას შორის, ქალაქების, პონტოს ჰერაკლეის და სინოპის ძვ.წ. IV-III სს-ის ამფორების ნატეხები დაფიქსირდა. პონტოს ჰერაკლეის ძვ.წ. IV ს-ის მთელი ამფორა ზღვაში მალთაყვასთანაც აღმოჩნდა. ფოთის შემოგარენში სოფ. ქვემო ჭალადიდში და სოფ. საქორქიოში ადგილ „სიმაგრე“-ში ძველი სამოსახლოები გაითხარა, სადაც კოლხური და სინოპური ამფორების ძირებიც დადასტურდა [იხ. მიქელაძე თ. 1978: 33-40, 50-78]. მდ. რიონ-ფასისის ქვემო წელზე არქეოლოგიურად შესწავლილ ნამოსახლარებზე ძვ.წ. VI ს-ის უცხოური ნაწარმი ადგილობრივთან შედარებით პროცენტულად ცოტაა. ფასისიდანაა ალბათ ძვ.წ. IV ს-ის ვერცხლის ფიალაც, რომელზეც ბერძნული წარწერაა [იხ. Lordkipanidze 2000: 62-65; Tsetskladze 1994: 199-216].

როგორც ჩანს, როცა მდ. ფასისის შესართავთან ბერძნები გამოჩნდნენ, აქ დასახლებები უკვე იყო. კერძოდ, ამას მოწმობს აქ არსებული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების არქეოლოგიური კვლევა – ნამარნუში, ძიგურში, ნანდევუში, საგვიჩიოში, ნაღმიპიჯში, ჭალადიდში, გურიფულში, ნაოხვამუში, ერგეტაში და სხვ. [ჯიბლაძე 2001: 34-38 და რუკა]. ეტყობა ფოთი-პალიასტომის მიმდებარე ტერიტორიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის ამ ნასახლარებიდან, „ფასისი“ უფრო დაწინაურდა, რადგან კომუნიკაციების მიხედვით მას მოხერხებული ადგილი, მდ. ფასისის დელტა ეჭირა. ბერძნებმა ეს დასახლება აღიქვეს როგორც სავაჭრო ადგილი და მის მცხოვრებლებთან დაამყარეს კავშირი. დროთა განმავლობაში აქვე გაჩნდა მათი ახალშენიც.

ფოთი-ფასისთან ბერძნულენოვანი გრაფიტოების დადასტურების და გაშიფრის საფუძველზე და სხვა არტეფაქტების მოშველიებაგათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ: ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან კოლხეთში ინტენსიურად შემოდიოდა სინოპური ამფორები [ფუთურიძე 1976: 79-90; გამყრელიძე 1982: 99-100]. ზოგჯერ ამ ამფორებზე მესაკუთრეები წარწერებს კაწრავდნენ, ისევე, როგორც ეს ხდებოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუა და შავიზღვისპირა საქალაქო ცენტრებში. ეს გრაფიტოები ხშირად ვაჭრების მიერ კეთდებოდა, რომლებიც საქონლის სავაჭრო ტარით ტრანსპორტირებას და აღრიცხვას აწარმოებდნენ. ეს ერთხელ კიდევ, მიანიშნებს იმდროინდელი კოლხეთის საზოგადოების ინტეგრაციის თვისობრივ ხარისხზე ხმელთაშუა და შავი ზღვის დაწინაურებულ საქალაქო ცენტრებთან. ამ შემთხვევაში კი კერძოდ, ქალაქ სინოპთან, რომელიც ჯერ კიდევ ძვ.წ. VI-V სს-ში აქტიურ ეკონომიკურ პოლიტიკას აწარმოებს და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კოლხეთთან ახლოს – კერასუნტში, კოტიორაში და ტრაპეზუნტში ახალშენებს აარსებს. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, დასავლეთ საქართველოში, კოლხეთში უცხოური ამფორები სავაჭრო ტარად ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება. აქ დადასტურებულია შავი და ხმელთაშუა ზღვისპირეთის საქალაქო ცენტრებში დამზადებული ამფორები. დასავლეთ საქართველოს სინოპური ამფორების მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მონაპოვარში ფორმის, მოცულობის და თიხის მიხედვით სხვადასხვა ტიპოლოგიური ვარიანტები გვხვდება [იხ. კახიძე 1971: 28-66; ფუთურიძე 1976: 79-90]. ძვ.წ. IV-II სს-ის სინოპური ამფორების ზოგიერთ ეგზემპლარზე გვხვდება გრაფიტოები, რომლებითაც ხშირად მფლობელის მიერ ამფორის მოცულობა, შიგთავსი, რაოდენობა ან ფასი აღინიშნებოდა. ქ. სინოპეში კერამიკის გადასაზიდი ტარის, ამფორების წარმოების სახელოსნოები იყო განლაგებული (მაგ. დემირსის II-VI სს სახელოსნოები [იხ. კასაბ ტეზგორი 2006: 155-168]). აქ დამზადებული ამფორები მთელი შავიზღვისპირეთის ძველ ნამოსახლარებზეა დიდი რაოდენობით მიკვლეული. შესაძლებელია, რომ სინოპელები ზოგჯერ ცარიელი ტარითაც ვაჭრობდნენ, რომლებიც გემებით გადაჰქონდათ. მათი

ამფორები, როგორც ჩანს საუკეთესო ჭურჭლად ითვლებოდა თხევადი და მარცვლოვანი საქონლის ტრანსპორტირებისათვის.

ფოთი-ფასისის მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებული უცხოური კერამიკა და კერძოდ, სინოპური ამფორები, აქ აღმოსავლეთ ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთის ქალაქების სავაჭრო-ეკონომიკური აქტივობის მანიშნებელია. ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ქობულეთის ფიჭვნარში სინოპელების ახალშენი იყო [იხ. ინაძე 2009: 278-280; Дундуа 1987: 38; კვირკველია 1999: 30-33; Ахвледиани 2004: 91-97]. სინოპელების, ასეთივე უბანი ალბათ ქალაქ ფასისშიც მდებარეობდა. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტი კი შეიძლება ზემოხსენებული გრაფიტოიანი სინოპური ამფორების აქ აღმოჩენაც იყოს. ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში სინოპელების სავაჭრო აქტიურობა კოლხეთში და განსაკუთრებით მის ზღვისპირეთში გამორჩეულ ხასიათს იღებს. აქ დადასტურებულია სინოპური ამფორების, ლუთერიების და კრამიტის ფრაგმენტების დიდი რაოდენობა. მათი მიბაძვით კი, ამფორების და კრამიტის ადგილობრივი წარმოება იწყება. ამ დროს აქ მიმოქცევაშია მნიშვნელოვანი რაოდენობის სინოპური მონეტებიც [Дундуа 1987: 33-36], რომლებიც დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სავაჭრო საქონელი ქ. სინოპის გავლით ხვდებოდა ქ. ფასისში და შემდეგ მდ. რიონის გავლით გადანაწილდებოდა შიდა კოლხეთში. ქ. სინოპი თითქმის მთელი ანტიკური ეპოქის განმავლობაში, კოლხეთის უდიდეს სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენდა, რომელიც ქობულეთის ფიჭვნარში და ფასისში არსებული ვაჭართა და ხელოსანთა ახალშენების საშუალებით ახორციელებდა ეკონომიკურ აქტიურობას, რასაც დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ [იხ. ლორთქიფანიძე 1966: 117-146; ფუთურიძე 1976: 79- 90].

* * *

ქ. ფასისი, ადრეულ ბიზანტიურ პერიოდშიც ევროპა-აზიის საზღვაო-სამდინარო-სახმელეთო სატრანზიტო გზის მნიშვნელოვანი პუნქტის ფუნქციას ასრულებდა. ამის ერთ-ერთი მოწმობაა ქ. ფოთში, პალიასტომის ტბის დასავლეთ მხარეს მდებარე ნამოსახლარიც, სადაც მესამე გრაფიტოიანი წელშეზნექილი ამფორა აღმოჩნდა.

III. გრაფიტოიანი ამფორა წაგრძელებულტანიანი და წელშეზნექილია; მხრების ზედა ნაწილი მოტეხილი აქვს; შემორჩენილი სიმაღლე – 67 სმ; ტანი ძირისაკენ კონუსურად ვიწროვდება, რომელზედაც დაბალი გლუვი ჰორიზონტალური ღარები შეინიშნება; ტანზე რამდენიმე ხვრელი აქვს; თიხა მუქი მოყავისფროა და არათანაბრად არის გამომწვარი; ზედაპირი ხორკლიანია; მხრის დასაწყისში ამოკაწრულია გრაფიტო – Fw (იხ. ტაბ. II_2; III). ბერძნულ გრაფიტოებში აბრევიატურები ძირითადად მთავრული ასოებით აღინიშნებოდა. აქ კი პირველი ასოა მთავრული, რაც, ჩვენი აზრით საკუთარ სახელს – „ფასისს“ უნდა ნიშნავდეს, ხოლო მეორე ასო აღნიშნულია არა მთავრულით (w) და ვფიქრობთ იგულისხმება ზმნა – „ყიდვა“. შესაბამისად A ვერსიით გამოდის – „ფასისში ვიყიდე“. B ვერსიით შეიძლება ნიშნავდეს ΦΩ[Σ] – „ნათელი“ //„კარგი“ (ღვინო ?). ეს ამფორა მორფოლოგიურ-ტიპოლოგიური მონაცემებით ადგილობრივი, კოლხურია; ინახება ქ. ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში. როგორც აღვნიშნეთ, აღნიშნული ამფორა პალიასტომის ტბის დასავლეთ მხარეს ე.წ. „ნატეხების“ ნამოსახლართან, ნაპირთან ახლოს, ქვიშა-თიხიან ფენაში დადასტურდა. აქვე დანგრეული სამარხის ნაშთები იქნა მიკვლეული.

გარდა აღნიშნული ამფორისა, ამ ძეგლზე მეტად მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა გამოვლინდა. ნამოსახლარზე სამშენებლო კერამიკა კრამიტით და აგურითაა წარმოდგენილი. აღმოჩნდა აგრეთვე ხის ძელების და თიხის ბათქაშის ნაშთები. აქ, ალბათ, ქვემოთ აგურით ამოშენებული ზემოთ ხის ძელებიანი ნაგებობები იდგა. არიანე აკი აღნიშნავს, რომ ფასისში მის დროს კედლები აგურის იყო და ხის კოშკები იდგა მასზეო (იხ. პერიპლუსი..., 9). ნამოსახლარზე აღმოჩენილი ჭურჭლის უმეტეს ნაწილს სავაჭრო ტარა, ამფორები შეადგენს. მათში წელშეზნექილი ამფორები სჭარბობს. სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ქოთნებით, ჯამებით, ლუთერიებით და დოქებით. არქეოლოგიური მასალის 25%-მდე უცხოური კერამიკაა, რომელთა შორის დიდი რაოდენობითაა გვიანდელი სინოპური ამფორების ფრაგმენტები. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სამოსური ამფორების ძირებიც. ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მიკვლეულ დანგრეულ სამარხთან დადასტურდა ზემოხსენებული გრაფიტოიანი წელშეზნექილი ამფორა. აქ ბრინჯაოს ქინძისთავი, სამი ფიბულა, ტყვიის ოთხკუთხა ფილა-საწაფი, მინის სასმისი, სპილენძის 20-ნუმიანი, იუსტინე II-ის (565-578 წწ.) მონეტა აღმოჩნდა (არქეოლოგიური მასალის შესახებ დაწვრილებით იხ. [გამ-

ყრელიძე 1987: 97-117; Gamkrelidze 1992: 101-119; Гамкрелидзе 1992: 30-48 ; Gamkrelidze 1990: 223-236.]). ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა გამორჩეულად ახლო დგას ბიჭვინთის, სოხუმის, ოჩამჩირის და გუდავის თანადროულ არქეოლოგიურ მონაპოვართან. ეს ნამოსახლარი III-VIII სს-ის უნდა იყოს და შესაძლოა მისი სახით ფლავიუს არიანეს, პროკოფი კესარიელისა და აგათიას დროინდელი და მათ თხზულებებში აღწერილი ქ. ფასისის ნაშთებთან გვქონდეს საქმე.

Gela Gamkrelidze*

SINOPEAN AND COLCHIAN AMPHORAS WITH GREEK GRAFFITI IN THE CONTEXT OF THE TOWN OF PHASIS (POTI).

Summary

An archaeological expedition, studying the Georgian Black Sea coast, discovered amphoras with highly significant inscriptions - graffiti on the right side of the Maltaqva Strait and western shore of Lake Paliastomi, near the town of Poti, at the mouth of the Rioni river. Archaeological artefacts of the 4th-3rd c BC were also brought to light at the same lake: foot of an Attic black-glossed cantharus, base of a Rhodian amphora. Phasis was an important point of the Europe-Asia sea-river-land transit road. A definite quantity of transit containers was attested along this route. At present I shall focus attention on the discovery of amphoras with graffiti (see pls. I, II, III).

Greek Graffiti on Amphoras Discovered at the Town of Poti (Phasis):

I. Sinopean amphoras of the second half of the 4th cent. B.C.: 1) ΒΙΚ - Β//ΙΚ [ΟΣ] - clay vessel (versions A and B). Ι [ΕΡΟΣ] - offered (version B). Κ [ΑΘΑΡΟΣ] - of high quality, clean (version B). Κ [ΟΛΧΙΔΟΣ] (?) - Colchian, ? (version C). - [in this] clay vessel offered is high quality [Colchian?] [wine]. 2) - ΠΕ - é; ΠΕ [ΝΤΕ] - 5 five (version A). Π [ΑΛΑΙΟΣ] Ε[ΛΑΙΟΝ] - old olive oil (version B). 3) - ΧΟ - ΧΟ[ΥΣ] - 1 chous ≈ 3.283 L x 5 ≈ 16, 415 L (version A). ΧΟ[Η] - fine wine; Ο[ΙΝΟΣ] - wine (version B).

II - Sinopean amphora of the second half of the 4th c BC. 1) ΦΙΛΟ – ΦΙΛΟ [ΒΑΚΧΟΣ] - love of Dionysus (Bacchus) and in general of wine and feasting (version A). ΦΙΛΟ [ΙΝΙΑ] - lover of wine (version B). ΦΙΛΟ [ΘΕΟΣ] - lover of god (version C).

III - Local Colchian amphora of the 6th c AD. 1) Φω - Φ[ΑΣΙΣ] ώ [νητός] - I bought it at Phasis (version A). φω[ς] - light, dazzling, radiance (version B).

Foreign pottery occurring on the territory adjoining Poti-Phasis, namely Sinopeaan amphoras, is an indicator of trade and economic activity of Mediterranean and Black Sea area cities. I share the view of a Sinopean colony having existed at Kobuleti-Pichvnari. A similar quarter of Sinopeans was probably set up in Phasis. The discovery of Sinopean amphoras with graffiti may serve as one of the facts demonstrating this. In the second half of the 4th and early 3rd c BC the commercial activity of the Sinopeans in Colchis and, especially in the Black Sea littoral, assumes special character. A large quantity of fragments of amphoras, mortaria and tiles is evidenced here. And local manufacture of imitation amphoras and tiles began here. At this time a significant number of Sinopean coins were in circulation here, attested at archaeological sites of Western Georgia. Commodities of the Eastern Medoterranean found their way to Phasis via Sinope; then they were distributed in inner Colchis upstream the Rioni river. Almost throughout the classical period Sinope was a major trading partner of Colchis, engaging in economic activity through the merchant and artisan colonies in Kobuleti-Pichvnari and Phasis, as evidenced by archaeological data discovered in Western Georgia. In the early Byzantine period too, Phasis performed the function of a major point of the Europe-Asia sea-river-land route. One proof of this is a former settlement site on the western side of Lake Paliastomi, at Poti, where the third concave-bodied amphora with a graffito came to light.

---

* Gela Gamkrelidze, Doctor of historical sciences, Prof., Leading scientist of the Centre of Archaeology of Georgian National Museum. He is the editor of the Journal Iberia –Colchis (Researches of Georgia in the Classical period). He participated in Vani, Mtisdziri, Pti, Namakhvami, Vale and other archeological expeditions. In 1979 he explored terms of Mtisdziri settlement. He has discovered the settlement near city Poti-Phasis. He has been studying issues related to the history and archeology of the Georgian Classical period and early middle ages. He has published 12 books and 89 scientific essays dedicated to the above-mentioned problems (see List of works by G. Gamkrelidze - 1976-2010). He is an authority on the history and archeology of Georgian Classical period and early middle ages.

Congratulations with the 60th birthday anniversary

ლიტერატურა

გამყრელიძე გ. 1982: ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბილისი.

გამყრელიძე გ. 1987: წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიება ქ. ფოთის მიდამოებში. – საქ. მეც. აკად. მაცნე (სერია ისტ. არქ...), №1, თბ., გვ. 97-117.

გამყრელიძე გ. 2001: ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ ფასის-ფოთში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). – ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი, დამატებანი, IV). თბილისი, გვ. 26-32.

გამყრელიძე გ. 2003: ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობის და დეფინიციის საკითხისათვის. –იბერია-კოლხეთი, № 1, გვ. 170-185.

გამყრელიძე გ. 2010: ანეპიგრაფიკული ჯვრიანდამღიანი კოლხური ამფორა ფოთი-ფასისიდან. – ძიებანი, №19, გვ. 176-189.

ინაძე მ. 2009: ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები. თბილისი.

კასაბ ტეზგორი დ. 2006: არქეოლოგიური გათხრები სინოპის მახლობლად (ამფორების დასამზადებელი სახელოსნოები დემირსიში). – ძიებანი, №17-18, გვ. 155-168.

კახიძე ა. 1971: კერამიკული ტარა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარიდან. – სდსძ, II, გვ. 28- 66.

კვირკველია გ. 1999: სავაჭრო ურთიერთობები შავიზღვისპირეთში ადრეანტიკურ ხანაში, (ავტორეფერატი). თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ. 1966: ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბოლისი.

მიქელაძე თ. 1978: არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბილისი.

ნასიძე მ. 1999: ბერძნული გრაფიტო და ძველი კოლხეთის ღვთაებები. – თ. ყაუხჩიშვილისადმი მიძღვნილი სამეც. კონფერენციის მასალები, თბილისი, გვ.19-20.

ნასიძე მ. 2002: საქართველოს ბერძნული გრაფიტო. თბილისი.

ფუთურიძე რ. 1976: იმპორტული ამფორები ვანის ნაქალაქარიდან. – ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), ვანი II, თბილისი, გვ. 79- 90.

ჯიბლაძე ლ. 2001: დასავლეთ საქართველოს ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების არქეოლოგიური რუკა. – ძიებანი, № 8, გვ. 34-38.

Ахведиани Д. 2004: Взаимоотношения Колхиды и Синопы. – Кавказоведение, № 5. Тбилиси, с. 91-97.

Брашинский И. Б. 1980: Греческий керамический импорт на нижнем Дону, Ленинград.

Гамкрелидзе Г. 1992: К археологии долины Фасиса. Тбилиси.

Граков Б. 1929: Древнегреческие клейма с именами астиномов. Москва.

Дундуа Г. 1987: Нумизматика античной Грузии. Тбилиси.

ДР 1958: Древнегреческо-русский словарь (сост. Н. Дворецкий). Москва.

Ельницкий Л. 1938: Из исторической географии древней Колхиды. – ВДИ, № 2, с. 315-320.

КБН, 1965: Корпус Боспорских надписей, Москва.

Монахов С. Ю. 1999: Греческие амфоры в Причерноморье. Саратов.

Соломоник Э. 1985: О методике изучения и принципах публикации античных граффити. – ВДИ, № 3, с. 77-91.

Толстой И. 1953: Греческие граффити древних городов Северного Причерноморья. Москва-Ленинград.

Яйленко В. 1980: Граффити Левки, Березани и Ольвии. – ВДИ, № 2, с. 72-99.

Gamkrelidze G. 1990: Travaux hydroarcheologiques de localisation de l'ancienne Phasis. – Le Pont-Euxin vu par les Grecs, Universite de Besancon, Paris, pp. 223-236.

Gamkrelidze G. 1992: Hydroarchaeology in the Georgian Republic (the Colchian littoral). – The International Journal of Nautical Archaeology, London, New York, vol. 21, #2, pp. 101-119.

Gamkrelidze G. 2009: The land of Colchis and the city of Phasis. – **Iberia-Colchis** (Researches on the Archaeology of Georgia), #**5**, Tb. pp. 175-194.

Lang M. 1976: Graffiti and Dipinti. The Athenian Agora, v. XXI, New Jersy.

Lordkipanidze O. 2000: Phasis; The river and city in Colchis. Stuttgart.

Pape W. 1884: Wörterbuch der griechischen Eigennamen, II, Braunschweig.

Tsetskladze G. 1994: The silver phiale mesomphalos from the Kuban. – Oxford journal of Archaeology, 13, pp. 199-216.

ტაბ. I





1



2

ბერძნული გრაფიტოები ფოთი-ფასისში აღმოჩენილ ამფორებზე

I – *ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის სინოპური ამფორა.*

1) — ΒΙΚ—

Β//ΙΚ [ΟΣ] — **თიხის ჭურჭელი** (**A** და **B** – ვერსიები).

Ι [ΕΡΟΣ] — **შეწირული** (ვერსია – **B**).

Κ [ΑΘΑΡΟΣ] — **მაღალი ხარისხის, სუფთა** (ვერსია – **B**).

Κ [ΟΛΧΙΔΟΣ] (?) — **კოლხური** (ვერსია – **C**).

[ამ] თიხის ჭურჭლით შეწირულია მაღალი ხარისხის [კოლხური?] [ღვინო].

2) — ΠΕ — ε`.

ΠΕ [ΝΤΕ] — **5 - ხუთი** (ვერსია – **A**).

Π [ΑΛΑΙΟΣ] Ε [ΛΑΙΟΝ] — **ძველი ზეთისხილის ზეთი** (ვერსია – **B**).

3) — ΧΟ —

ΧΟ [ΥΣ] — **1 ხოა ≈ 3, 283 ლიტ. × 5(ε`) ≈ 16,415 ლიტ.**(ვერსია – **A**).

ΧΟ [Η] — **ზედაშე;** Ο [ΙΝΟΣ] — **ღვინო.** (ვერსია – **B**).

***

II – *ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის სინოპური ამფორა.*

1) — ΦΙΛΟ —

ΦΙΛΟ [ΒΑΚΧΟΣ] დიონისეს (ბაკხოსის) და ზოგადად ღვინის და ქეიფის სიყვარული (ვერსია – **A**).

ΦΙΛΟ [ΙΝΙΑ] — ღვინის მოყვარული (ვერსია – **B**).

ΦΙΛΟ [ΘΕΟΣ] — ღმერთის მოყვარული (ვერსია – **C**).

***

III – *ახ.წ. VI ს-ის ადგილობრივი, კოლხური ამფორა.*

1) — Φω —

Φ [ΑΣΙΣ] ὠ[νητός] — ფასისში ვიყიდე (ვერსია – **A**).

Φῶ[ς] — ნათელი, ელვარე, ნათება (ვერსია – **B**).

ქეთევან ჯავახიშვილი

რესპუბლიკური ხანის რომაული პორტრეტული გემები (საქართველოში მოპოვებული გლიპტიკური მასალების მიხედვით)

ანტიკური გლიპტიკური ნაწარმის პირველი გამოჩენა ქართლის სამეფოს (იბერიის) ტერიტორიაზე ძვ.წ. I ს. მეორე ნახევარში რომთან ურთიერთობით დაიწყო. ეს ურთიერთობა სრულიად გარკვეულად ქართლში რომის სარდალ პომპეუსის ლაშქრობას (ძვ.წ. 65 წ.) უკავშირდება [Ломоури 1981: 5, 29]. ძვ.წ. I ს. მეორე ნახევრიდან ახ.წ. IV ს-მდე ქართლში (იბერიაში) გავრცელებული რომაული გლიპტიკის ძეგლებში ნათლად აისახა საერთოდ რომაული გლიპტიკის განვითარების ყველა ძირითადი ტენდენცია. ეს ეხება გემათა ფორმას, მასალას, გამოსახულებების თემატიკასა და სტილს. რომაული გემების თემატიკაში, ისევე როგორც საერთოდ რომაულ ხელოვნებაში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პორტრეტს. რომაულმა პორტრეტულმა ხელოვნებამ, რომელმაც შეითვისა წინამორბედი და უპირატესად ბერძნული პორტრეტული ხელოვნების მიღწევები, განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ხელოვნების ამ დარგის განვითარებაში. როგორც მონუმენტურ, ისე მცირე ხელოვნების, მათ შორის გლიპტიკურ ძეგლებში რომაელებმა შექმნეს პორტრეტების შესანიშნავი, მაღალმხატვრული ნიმუშები, რომელთაგანაც ზოგიერთი ნამდვილ შედევრს წარმოადგენს.

პორტრეტული ხელოვნების ჩასახვა რომაელებში დაკავშირებული იყო უძველეს კულტთან. რომაელ დიდებულებს წესად ჰქონდათ შთამომავლობისათვის შეენახათ გარდაცვლილი წინაპრის ცვილის ნიღაბი, რომელშიც გარდაცვლილის სახის ყველა დეტალი ზუსტად იყო აღბეჭდილი. ამ ტრადიციამ განაპირობა წინაპრის პორტრეტის შექმნისას მიცვალებულის, ე.ი. კონკრეტული მოდელის გარეგნობის ზუსტი გადმოცემა, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, განსხვავებით რამდენადმე განზოგადოებული და იდეალიზებული ბერძნული პორტრეტისაგან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რომაელი პორტრეტისტები (ძირითადად რომში მოღვაწე ბერძენი ოსტატები) კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ მოდელთან ფიზიკური მსგავსების მიღწევით, არამედ ისინი ხშირად რეალისტურ, ცოცხალ, ტიპიურ სახეებს ქმნიდნენ [Бритова 1956: 305; Лесницкая 1960: 5-6; Неверов 1977: 145].

პირველი, ვინც დაარღვია რომაელთა ტრადიცია, რომელიც კრძალავდა ცოცხალი პიროვნების პორტრეტის გამოსახვას, იყო დიქტატორი სულა. ძვ.წ. 81 წელს მან ელინისტური მეფეების მიბაძვით მონეტებზე თავისი პორტრეტი მოათავსა [Неверов 1977: 145].

რომაული პორტრეტის აყვავების ადრეული ეტაპი ძვ.წ. I ს-ში რესპუბლიკურ რომში სამოქალაქო ომის ეპოქას დაემთხვა. სამოქალაქო ომის წლებში, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე დამოკიდებული იყო იმ პირად ურთიერთობებზე, რომელიც არსებობდა პატრონსა და კლიენტს ან მხედართმთავარსა და ჯარისკაცს შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა პოლიტიკურმა პარტიებმა და მათი ლიდერების პორტრეტულმა გამოსახულებებმა [Vollenweider 1960: 138; Неверов 1977: 144-145]. სხვადასხვა მოქიშპე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები პოლიტიკური პროპაგანდისათვის, ფერწერულ და სკულპტურულ პორტრეტებთან ერთად, პროპაგანდის ქმედით იარაღად მონეტებზე და გემებზე გამოსახულ პორტრეტებსაც იყენებდნენ. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს პროპაგანდა, ადასტურებს პორტრეტული გემების ქვის რეპლიკები, განსაკუთრებით კი მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში დაცული მრავალრიცხოვანი სერიები მინის უხეშად შესრულებული ჩამოსხმული გემებისა, რომლებიც, როგორც ჩანს, ასობით და, შესაძლოა, ათასობითაც მზადდებოდა [Vollenweider 1960: 138; Vollenweider 1961: 43; Неверов 1977: 145]. მაგრამ ამ მრავალრიცხოვან მასობრივი წარმოების იაფფასიან ნიმუშებს შორის არის გლიპტიკური ხელოვნების ნამდვილი შედევრებიც [Vollenweider 1960: 138]. აღსანიშნავია, რომ მაშინ, როდესაც ბერძნები ხელოვნების ძეგლებში უკვდავყოფის ღირსად მხოლოდ გამოჩენილ ადამიანებს მიიჩნევდნენ, რომში იქმნებოდა პორტრეტები არაფრით გამორჩეული, რიგითი ადამიანებისა [Бритова 1956: 305].

საქართველოში აღმოჩენილ გლიპტიკურ ძეგლებს შორის არის რომის სამოქალაქო ომის ეპო-

ქის მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალიან საინტერესო პორტრეტული გემები, რომელთა შესწავლას ეთმობა წინამდებარე ნაშრომი.

1. გ.კ.[1] № 1250. რიყიანების ველის სამაროვანი, 1978 წ. სამარხი № 13, ზომები – 13ჩ11 მმ.

გემა – ინტალიო მოყვითალო-ყავისფერი გამჭვირვალე მინისა რკინის ბეჭედში [მირიანაშვილი 1983: 37, 74]. მცირე ზომის ოვალური ინტალიოს ოდნავ ამობურცულ პირზე გამოსახულია ახალგაზრდა მანდილოსნის ბიუსტი პროფილში. ინტალიო ჩამოსხმულია, არ შეიმჩნევა საჭრისით დამუშავების არავითარი კვალი. მინა ირიზებულია და ამიტომ გამოსახულების ყველა დეტალი მკაფიოდ არა ჩანს (სურ. 1).



სურ. 1

მანდილოსანს საკმაოდ რთული თმის ვარცხნილობა აქვს. თავზე ოდნავ აფუებული თმა შუაში გადაჭერილი აქვს ყურების უკან აკრეფილი და თავის კეხისაკენ მიმართული თმის ერთი ბღუჯით, მაშინ როდესაც უკან გადავარცხნილი თმის მეორე ნაწილი, გამოსახული პარალელური ხაზებით, კეფაზე პატარა შინიონით მთავრდება. შეიმჩნევა მანდილოსნის პლასტიკურად გამოსახული სახის რბილი ოვალი, ოდნავ შებერილი ლოყით და სწორი ცხვირი. მრგვალი ბურცობით გამოსახულ მხარზე მკრთალად მოსჩანს აგრაფით შეკრული სამოსის სწორი ნაოჭები.

ცნობილია, რომ თმისვარცხნილობის მიხედვით შესაძლებელია არა მხოლოდ პორტრეტის ეპოქის დადგენა, არამედ ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ პიროვნების იდენტიფიკაციაც. რიყიანების ველის გემაზე გამოსახული მანდილოსნის მსგავსი ვარცხნილობა აქვს ჟენევის ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმში, ფოლის კოლექციაში დაცულ მინის ერთ კამეოზე გამოსახულ მანდილოსანს [Vollenweider 1961: 45, № 3, გვ. 51. გამ. 3]. როგორც ამ გემის გამომცემელი მ. ლ. ვოლენვეიდერი აღნიშნავს, ასეთივე ვარცხნილობა აქვს ნიკესა და სიბილას გამოსახულებებს ძვ.წ. I ს. პირველი ნახევრის რომაულ მონეტებზე [Vollenweider 1961: 43; ტაბ. 51, 3a], სკულპტურულ პორტრეტებზე, რომელთაგან ერთი რომში, თერმის მუზეუმში ინახება, მეორე – ოსლოში და აგრეთვე ყავისფერ, მინის ერთ ინტალიოზე, რომელიც ბერლინის მუზეუმში არის დაცული (სურ. 2) [Vollenweider 1961: გვ. 45, ტაბ. 51, 3b; Furtwängler 1896: ტაბ. 37. № 5188]. მ. ლ. ვოლენვეიდერის აზრით, ამ პორტრეტებში შეიძლება შევიცნოთ რომის გამოჩენილი პლებეური გვარის აურელიუსების [Машкин 1949: 314] წარმომადგენელი იულია, იულიუს კეისრის დედა, უფრო კი სავარაუდოა იულიუს კეისრის ასული იულია, რომლის გამოსახულებები უდავოდ არსებობდა, ვინაიდან რომის სამოქალაქო ომის პერიპეტიებში ის ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური მომრიგებლის როლს ასრულებდა [Vollenweider 1961: 45].

სურ. 2

ცნობილია, რომ ძვ.წ. 60 წელს დაიდო შეთანხმება სამ დიდ პოლიტიკოსს – კეისარს, პომპეუსსა და კრასუსს შორის – პირველი ტრიუმვირატი. კეისარსა და პომპეუსს მხოლოდ დროებით ესაჭიროებოდათ ერთმანეთი, სინამდვილეში მათ შორის დიდი დაპირისპირება არსებობდა (კრასუსი ამ შემთხვევაში საერთოდ მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა) [Ковалев 1986: 437]. შეთანხმების განსამტკიცებლად ძვ.წ. 59 წელს კეისარმა თავისი ასული იულია პომპეუსს მიათხოვა. იულიამ, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული მშვიდობისმოყვარე,

1 აქაც და შემდეგში გ.კ. ნიშნავს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების გლიპტიკის კაბინეტს.

სათნო ხასიათითა და დიდი სიყვარულით თავისი მამისა და მეუღლის მიმართ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მათ შორის დაპირისპირების შერბილებაში. მისმა გარდაცვალებამ ძვ.წ. 54 წელს, სხვა პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად, მნიშვნელოვნად დააჩქარა უკვე მომწიფებული განხეთქილება კეისარსა და პომპეუსს შორის [Ковалев 1986: 437]. მ. ლ. ვოლენვეიდერს მიაჩნია, რომ ფოლის კოლექციის კამეოზე და ზემოთ დასახელებულ ხელოვნების ძეგლებზე გამოსახული იულიას პორტრეტები იმ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც ის პომპეუსის მეუღლე იყო და დაახლოებით ძვ.წ. 65-50-იანი წლებით უნდა დათარიღდეს [Vollenweider 1961: 45]. ვფიქრობთ, რიყიანების ველის ინტალიოზეც იულიუს კეისრის ასული, გნეუს პომპეუს დიდის მეუღლე იულია უნდა იყოს გამოსახული და ისიც ამავე ხანით უნდა დათარიღდეს. ამ თარიღს ამაგრებს ის ფორმაც ბეჭდისა, რომელშიც ინტალიო არის ჩასმული. რკინის ბეჭდისაგან შერჩენილია რკალის ნაწილი, ძლიერ დაქანებული მხარი და დაბალი ოვალური თვალბუდე, რომელიც შიგ ბეჭდის რკალშია ამოჭრილი; თვალბუდის ძირში ვერცხლის თხელი ფირფიტაა ჩაფენილი. ამ ფორმის ბეჭდები, რომლებშიც ძირითადად ამობურცულზედაპირიანი თვლებია ჩასმული, ზოგადად ძვ.წ. I ს. ბოლო და ახ.წ. I ს. დასაწყისი ხანით თარიღდება [Henkel 1913: ტაბ. XLIV, 1102, 1104]. რიყიანების ველის სამარხიც (№ 13), რომელშიც ეს ბეჭედია აღმოჩენილი, მასალისა და ტიგრან II (ძვ.წ. 83-69 წწ.) ტეტრადრაქმისა და ოროდის (ძვ.წ. 57-37 წწ.) დრაქმის მიხედვით ძვ.წ. I ს. მეორე ნახევრით არის დათარიღებული [მირიანაშვილი 1983: 37-38].

2. გ.კ. № 988. ურბნისის სამაროვანი, 1959 წ., XXV უბ., სამარხი № 96. ზომები: ინტალიო – 14ჩ12 მმ.

გემა – ინტალიო მოყვითალო-ყავისფერი გამჭვირვალე მინისა, ოვალური (სურ. 3) [ჯავახიშვილი 1972: 23-24, ტაბ. I_4]. ბრტყელ პირზე გამოსახულია მამაკაცის ბიუსტი პროფილში. ინტალიო ჩამოსხმულია (საჭრისით არ არის დამუშავებული), მინა ირიზებულია. გამოსახულებას სიმკვეთრე აკლია, მაგრამ მაინც შესაძლებელია გამოსახულების გარჩევა. მამაკაცს ხშირი, ტალღოვანი, მოკლედ შეჭრილი თმით დაფარული ლამაზი მოყვანილობის მრგვალი თავი აქვს; დაბალი შუბლი, ძალიან დამახასიათებელი მოზრდილი, კეხიანი, მოკაუჭებული ცხვირი, შიგნით შეწეული პირი და პატარა ნიკაპი. ნიკაპის ქვედა ნაწილზე თითქოს შეიმჩნევა მოკლე ტალღოვანი წვერი. ვიწრო მოგრძო სიბრტყით პირობითად გამოსახულ მხრებზე აგრაფით შეკრული მანტიის ჰორიზონტული ნაოჭები შეინიშნება.

სურ. 3

ურბნისის გემაზე გამოსახულ მამაკაცს იმდენად ინდივიდუალური ნაკვთები აქვს, რომ უდაოდ ის გარკვეული პიროვნების პორტრეტს წარმოადგენს. იგივე პიროვნება უნდა იყოს წარმოდგენილი ჟენევის ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმის ფოლის კოლექციის მინისებური პასტის ერთ კამეოზე [Vollenweider 1960: 142, № 18, ტაბ. V_{18}]. კამეოს გამომქვეყნებელი მ. ლ. ვოლენვეიდერი კამეოზე გამოსახული მამაკაცის პორტრეტს ადარებს კოპენჰაგენის ნაციონალურ მუზეუმში დაცულ სარდიონის ინტალიოზე [Vollenweider 1960: ტაბ. V_{18a}] და ბერლინის მუზეუმის აგრეთვე სარდიონის ინტალიოზე [Vollenweider 1960: ტაბ. V_{18b}; Furtwängler 1896: № 2340] გამოსახულ პორტრეტს და მიიჩნევს, რომ ამ გემებზე ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს წარმოდგენილი. მკვლევარი აღნიშნავს, რომ გარდა სახის დამახასიათებელი ნაკვთებისა, ამ გემებზე გამოსახულ პორტრეტებზე ვხედავთ იმ ვარცხნილობას, რომელსაც გნეუს პომპეუს დიდის ოჯახის წევრები ატარებდნენ. ხოლო ამ პორტრეტების ფართო გავრცელება მ. ლ. ვოლენვეიდერს აფიქრებინებს, რომ ისინი რომის სამოქალაქო ომის რომელიმე მონაწილეს უნდა ეკუთვნოდეს, კერძოდ, გნეუს პომპეუს დიდის უფროს ვაჟს გნეუს პომპეუს უმცროსს [Vollenweider 1960: 142, № 18].

მას შემდეგ, რაც ძვ.წ. 54 წელს გარდაიცვალა გნეუს პომპეუს დიდის მეუღლე იულია, ხოლო ძვ.წ. 53 წელს დაიღუპა კრასუსი, კეისარსა და პომპეუსს შორის დაპირისპირება აშკარა მტრობაში გადაიზარდა. ორივე პოლიტიკოსი დიქტატურისაკენ ისწრაფოდა. რომის სენატმა, რომელიც გრძნობდა, რომ კეისარი უფრო

ძლიერი და ჭკვიანი იყო, უმცირესი ბოროტება არჩია, უპირატესობა პომპეუსს მიანიჭა და ძვ.წ. 52 წელს, როდესაც კეისარი გალიაში იბრძოდა, პომპეუსს კონსულობა უბოძა. ამ ამბის გაგებისთანავე კეისარმა გადალახა მდინარე რუბიკონი და რომისაკენ დაიძრა. ასე დაიწყო ომი სენატის მომხრე გნეუს პომპეუს დიდსა და კეისარს შორის [Vollenweider 1960: 437-439, 442]. კეისრის ჯარების მიერ დამარცხებული გნეუს პომპეუს დიდი ძვ.წ. 48 წელს მოკლულ იქნა ეგვიპტეში. მისი ჯარების ნაწილები ესპანეთში გაიქცნენ, სადაც ძვ.წ. 45 წელს ქ. მუნდთან კვლავ სასტიკად დამარცხდნენ. ბრძოლაში დაიღუპა პომპეუს დიდის უფროსი ვაჟი გნეუსი, უმცროსმა სექსტუსმა კი ჩრდილოეთ ესპანეთს შეაფარა თავი [Ковалев 1986: 442, 446]. ძვ.წ. 42-38 წწ. მან გამოუშვა მონეტები, რომელთა რევერსზე გამოსახულია ერთმანეთის პირდაპირ პროფილში მოთავსებული პომპეუს დიდისა და დაღუპულ გნეუს პომპეუს უმცროსის პორტრეტები (სურ. 4) [Kent, Overbeek, Stylow 1973: ტაბ. 26, 103. R; Sear 1988: 81, 340]. სწორედ ამ მონეტებზე გამოსახული გნეუს პომპეუს უმცროსის პორტრეტთან შედარებისას მ. ლ. ვოლენვეიდერი ვარაუდობს, რომ მის მიერ ზემოთ დასახელებულ გემებზე გნეუს პომპეუს უმცროსის პორტრეტები უნდა იყოს გამოსახული და ისინიც ძვ.წ. 42-40 წლებით უნდა დათარიღდეს; ამასთანავე, მკვლევარი დასძენს, რომ თუ მისი ეს მოსაზრება სავსებით დამაჯერებელი არ არის, ის მაინც დიდ ალბათობას შეიცავს [Vollenweider 1960: 142]. მაგრამ თუ მ. ლ. ვოლენვეიდერის მიერ ზემოთ განხილულ პორტრეტებს გნეუს პომპეუს უმცროსის სამონეტო პორტრეტებს შევადარებთ, მკვლევარის მოსაზრება სავსებით დამაჯერებელი ჩანს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გნეუს პომპეუს უმცროსის იკონოგრაფიის დადგენისათვის საყურადღებოა პარიზში Cabinette des Medailles-ში დაცული ორი ინტალიო ერთი და იმავე მამაკაცის პორტრეტული გამოსახულებით (სურ. 5) [Richter 1971: 97, №№ 458-459]. მამაკაცს პომპეუსებისათვის დამახასიათებელი ვარცხნილობა აქვს, ამასთანავე, დიდი კეხიანი, მოკაუჭებული ცხვირი, შიგნით შეწეული პირი და ნიკაპი, ისეთი, როგორიც გნეუს პომპეუს უმცროსს აქვს, სექსტ პომპეუსის მიერ გამოშვებულ მონეტებზე (სურ. 4). ჯ. რიხტერს მიაჩნია, რომ ამ გემებზე გამოსახულია სექსტ პომპეუსის პორტრეტები და იდენტიფიკაციისათვის შესადარებლად მოტანილი აქვს მისი სამონეტო პორტრეტი (სურ. 4) [Richter 1971: 97, № 458a], რომელზედაც გამოსახულ მამაკაცს აქვს სწორი ცხვირი და სავსებით განსხვავებული სახის ნაკვთები. ამდენად ვფიქრობთ, რომ პარიზის გემებზეც გამოსახული უნდა იყოს არა სექსტ პომპეუსი, არამედ გნეუს პომპეუს უმცროსი. იგივე პიროვნება უნდა იყოს გამოსახული ბერლინის მუზეუმში დაცულ ოსტატ აგათანგელოსის (ΑΓΑΘΑΝΓΕΛΟΥ) ხელმოწერილ სარდიონის შესანიშნავ ინტალიოზეც (მ. ლ. ვოლენვეიდერი ამ პორტრეტს კითხვის ნიშნის ქვეშ სექსტ პომპეუსის პორტრეტად მიიჩნევს) [Vollenweider 1966: 102, ტაბ. 29_1].

სურ. 4

სურ. 5

ურბნისის გემაზე გამოსახულ მამაკაცის პორტრეტს იმდენი მსგავსება აქვს გნეუს პომპეუს უმცროსის ზემოთ განხილულ პორტრეტებთან,[2] რომ ვფიქრობთ მასზეც გნეუს პომპეუს უმცროსი უნდა იყოს გამოსახული და ეს გემაც ძვ.წ. 42-38 წლებით უნდა დათარიღდეს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ურბნისის გემას სიმკვეთრე აკლია, პორტრეტის ყველა დეტალი სათანადოდ არ არის აღბეჭ-

2 მართალია, ურბნისის გემაზე, მინის ირიზაციის გამო, მამაკაცის თმისვარცხნილობის ცალკეული დეტალები მკაფიოდ არა ჩანს, მაგრამ თავის ფორმის მონახაზში შეიძლება დავინახოთ ის ვარცხნილობა, რომელსაც გნეუს პომპეუს დიდის ოჯახის წევრები ატარებდნენ.

დილი, მაინც შეიმჩნევა, რომ დედანი, რომლისგანაც ეს გემა არის ჩამოსხმული, პორტრეტული ხელოვნების საკმაოდ კარგი ნიმუში უნდა ყოფილიყო.

3. ზემო სვანეთი. ლაგურკის ეკლესია. ზომები: 19ჩ15 მმ.

გემა – ინტალიო ქალცედონისა,[3] ოვალური, ზურგი და პირი ბრტყელი აქვს. გამოსახულია მამაკაცის ბიუსტი პროფილში. ბიუსტი კისრის ქვემოთ არის გადაჭრილი (სურ. 6). მამაკაცის ხშირი, მოკლედ შეჭრილი ტალღოვანი თმა კომპაქტურ რიგებად არის დალაგებული, მხოლოდ წინ, შუბლის ზემოთ რამდენიმე ბღუჯა ურჩად არის აშლილი. მამაკაცს დაბალი შუბლი აქვს, ღრმად ჩამჯდარი თვალი, სწორი ცხვირის ნესტო ოდნავ სიღრმეშია შეჭრილი; ცხვირის ქვევით სახის ნაწილი ტუჩიანად წინ არის წამოწეული, ქვედა ტუჩი და ნიკაპი ოდნავ შიგნითაა შეწეული; ღარი, რომელიც მიემართება მამაკაცის ნესტოდან პირის კუთხემდე, მოწმობს, რომ ის ძალიან ახალგაზრდა არ უნდა იყოს.

სურ. 6

კვეთა საკმაოდ ღრმა არის, ძალიან ოსტატური, მოდელირება რბილი და დახვეწილი. მამაკაცის ნიკაპის ქვემოთ ორი ასოა ამოჭრილი IA.

სვანეთის გემა ქ-ნ სარა ბარნაველს ბერძნული გვიანელინისტური ხანის გლიპტიკური პორტრეტული ხელოვნების შედეგრად მიაჩნია და მას ძვ.წ. I ს-ით ათარიღებს [ბარნაველი 1971: 20].

სვანეთის გემაზე რეალისტურად დიდი ოსტატობით შესრულებული შესანიშნავი პორტრეტი უდავოდ გარკვეულ პიროვნებას ეკუთვნის. ვფიქრობთ, იგივე პიროვნება არის გამოსახული ერმიტაჟში დაცულ ამეთვისტოს ორ ინტალიოზე [Неверов 1977: 148; გამოსახ. 26, 27]. აგრეთვე ფლორენციის არქეოლოგიური მუზეუმის აკვამარინის მაღალმხატვრულად შესრულებულ ოსტატ აგათოპუსის (Agatopus) ხელმოწერილ ინტალიოზე [Vollenweider 1966: 122, ტაბ. $90_{1,2}$] და მინის ინტალიოზე ბრიტანეთის მუზეუმიდან [Walters 1926: 307, № 3226, ტაბ. XXXII_{3226}]. სხვადასხვა მკვლევარები ამ პორტრეტში რომის სამოქალაქო ომის მონაწილე სხვადასხვა პიროვნებას ხედავენ, ო. ნეეროვი კი მათ სექსტ პომპეუსის პორტრეტებად მიიჩნევს (სურ. 7) [Неверов 1977: 148]. ჩვენ ამ პორტრეტების შედარებისას სექსტ პომპეუსის სამონეტო პორტრეტებთან, ო. ნეეროვის ინტერპრეტაცია უფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია და ამდენად ვთვლით, რომ სვანეთის გემაზეც ზემოთ დასახელებულ გემებზე გამოსახულ რამდენადმე უფრო ახალგაზრდა სექსტ პომპეუსის პორტრეტი უნდა იყოს გამოსახული. ნიშანდობლივია, რომ ქ-ნი ს. ბარნაველი, რომელიც სვანეთის გემაზე გამოსახული პიროვნების იდენტიფიკაციას არ ახდენს (აღნიშნავს მხოლოდ, რომ მასზე გამოსახული უნდა იყოს რომელიღაც რომაელი დიდებული), მამაკაცის თმისვარცხნილობას ადარებს ქ. უფიცის მუზეუმში დაცულ გნეუს პომპეუს დიდის (ე.ი. სექსტ პომპეუსის მამის) მარმარილოს ქანდაკების ვარცხნილობას, კერძოდ კი, შუბლის ზევით „წვეტიან კუწუბებად აშლილ თმის ბღუჯებს“ [ბარნაველი 1971: 20]. ამდენად, როგორც ჩანს, შუბლის ზევით აშლილი თმა პომპეუსების ვარცხნილობისათვის არ უნდა ყოფილიყო უცხო.

სურ. 7

3 ეს გემა ქალბატონებმა სარა ბარნაველმა და რენე შმერლინგმა ნახეს ზემო სვანეთში ლაგურკის ეკლესიაში. 1948 წელს ქ-მა რ. შმერლინგმა ეს გემა შემთხვევით შეიძინა და გადასცა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს. 90-იანი წლების თბილისის ცნობილი მოვლენების დროს ეს გემა ხანძრის დროს დაიკარგა. საბედნიეროდ დარჩა ქ-ნ ს. ბარნაველის წერილი ამ გემის შესახებ [ბარნაველი 1971: 19-26] და მის მიერვე ამ გემიდან აღებული თაბაშირის ანაბეჭდი. ჩვენ ამ მონაცემებით ვსარგებლობთ.

სექსტ პომპეუსი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ძვ.წ. 45 წელს დამარცხდა იულიუს კეისართან ბრძოლაში და ჩრდ. ესპანეთს შეაფარა თავი, ძვ.წ. 44 წელს კვლავ გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე. რომში კეისრის მოკვლის (ძვ.წ. 44 წ.) შემდეგ ძალაუფლება კვლავ მის მომხრეთა ხელში იყო. რესპუბლიკელების (ე.ი. სენატის მომხრეების) და მათი ერთ-ერთი მთავარი ძალის სექსტ პომპეუსის წინააღმდეგ საბრძოლველად ძვ.წ. 43 წელს დაიდო სამთა შეთანხმება ოქტავიანეს (კეისრის მემკვიდრის), მარკუს ანტონიუსსა და ლეპიდეს შორის (II ტრიუმვირატი) [Машкин 1949: 363, 364]. სექსტ პომპეუსმა ერთ დროს გარკვეულ წარმატებას მიაღწია, მთელი ფლოტის სარდლობა მოიპოვა, ხელთ იგდო სიცილია, სარდინია და პელოპონესის გამგებლობა. რესპუბლიკელებს იმედი ჰქონდათ, რომ სექსტ პომპეუსი მოსპობდა რომში ტრიუმვირების ბატონობას და გაანთავისუფლებდა რესპუბლიკას. მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა. სექსტ პომპეუსი ძალიან თვითნებურად ეკიდებოდა მის ბანაკში მყოფ სენატორებს და, საერთოდ, ავტორიტარულ პოლიტიკას ეწეოდა. ამიტომ სენატის გაბატონებული წრეები მას ახლა უყურებდნენ როგორც ჩვეულებრივ ზღვის ყაჩაღს. ამით ისარგებლა ოქტავიანემ და გააჩაღა სასტიკი ბრძოლა მის წინააღმდეგ. ძვ.წ. 36 წელს საბოლოოდ დამარცხებული სექსტ პომპეუსი მცირე აზიაში გაიქცა, სადაც ძვ.წ. 35 წელს ანტონიუსის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს [Машкин 1949: 368-370; Ковалев 1986: 453-459].

გლიპტიკურმა ძეგლებმა შემოგვინახა რომის სამოქალაქო ომის ამ ერთ-ერთი მთავარი მონაწილის, სენატის პარტიისათვის უკანასკნელი მებრძოლის – სექსტ პომპეუსის შესანიშნავი პორტრეტები და ვფიქრობთ სვანეთის გემასაც მათ შორის სათანადო ადგილი უჭირავს.

4. გ.კ. № 1251. რიყიანების ველის სამაროვანი 1978 წ. სამარხი № 13. ზომები: 10ჩ9 მმ.

გემა – ინტალიო, ბაცი, ოდნავ მომწვანო-ყვითელი გამჭვირვალე მინისა, ბრინჯაოს ბეჭედში (სურ. 8) [მირიანაშვილი 1983: 37-38, 74; გამოსახ. 110]. ინტალიო ოვალურია. ამობურცულ პირზე გამოსახულია სრულიად ახალგაზრდა, ყმაწვილი კაცის მინიატურული ბიუსტი პროფილში. ბიუსტი კისრის ქვევით არის გადაჭრილი. ინტალიო ჩამოსხმულია, გამოსახულებას სიმკვეთრე აკლია; დეტალების გარჩევა ძნელდება. ყმაწვილს ლამაზი მოყვანილობის მრგვალი თავი აქვს; მოკლედ შეჭრილი თმა, წვრილი წაგრძელებული კისერი; შედარებით მკაფიოდ ჩანს თვალი, უფრო მკრთალად სახის ნაკვთები – პატარა ცხვირი და ოდნავ წაწვეტებული ნიკაპი. სუსტად შეიმჩნევა ყურის ქვედა ნაწილიც. გამოსახულება პორტრეტს წარმოადგენს. ამ ყმაწვილის გამოსახულებებს ვხედავთ ოქტავიანე ავგუსტუსის მონეტებზე [Vollenweider 1960: 142, გამოსახ. $19_{a,b,c}$] და აგრეთვე მრავალრიცხოვან გემებზე, მათ შორის მინის ინტალიოებზეც, რომლებიც დაცულია მსოფლიო სხვადასხვა მუზეუმებში: ჟენევის ისტორიისა და ხელოვნების მუზეუმის ფოლის კოლექციაში ათზე მეტი [Vollenweider 1960: სურ. 19-34], ბერლინის მუზეუმში 20-ზე მეტი [Furtwängler 1896: ტაბ. 36, №№ 5097-5118], ერმიტაჟში [Неверов 1977: გამოსახ. 9-15] და სხვა. მკვლევარების მიერ ეს პორტრეტები ერთხმად ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ.წ. 27 – ახ.წ. 14 წწ.) პორტრეტებად არის მიჩნეული.



სურ. 8

ოქტავიანე ავგუსტუსი იულიუს კეისრის დის იულიას შვილიშვილი იყო. კეისრის სიკვდილის შემდეგ ძვ.წ. 44 წელს, ოქტავიანემ, როდესაც შეიტყო, რომ ანდერძის მიხედვით კეისრის მემკვიდრე გახდა, მაშინვე წამოაყენა თავისი უფლებები მემკვიდრეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ის ამ დროს სრულიად ახალგაზრდა, ჯერ კიდევ 19 წლისაც არ იყო, უკვე ამჟღავნებდა თავისი ასაკისათვის შეუფერებელი ეშმაკი, ჭკვიანი და ფრთხილი პოლიტიკოსის თვისებებს. კეისრის პოლიტიკის გამგრძელებელი, ის აქტიურად ჩაება სამოქალაქო ომში სენატის წინააღმდეგ და ძვ.წ. 42 წელს 21 წლის ასაკში აიძულა სენატი, რომ მისთვის კონსულობა ებოძებინა [Ковалев 1986: 454-455]. სწორედ ამ დროს ჩნდება მონეტები მისი გამოსახულებებით. ო. ნეველროვის აზრით, ოქტავიანე, რომელსაც ძალიან კარგად ესმოდა, თუ რა მძლავრ პოლიტიკურ იარაღად შეიძლება ქცეულიყო მისი გამოსახულებები, თავისი პორტრეტების შექმნას დიდ ყურადღებას აქცევდა. ამით უნდა იყოს გამოწვეუ-

ლი ის, რომ ოქტავიანეს მრავალრიცხოვან პორტრეტებს შორის იშვიათია ისეთები, რომლებშიც მისი ნამდვილი სახე აისახა. პირიქით, ასობით პორტრეტზე ამ ავადმყოფური გარეგნობის, სასტიკი ახალგაზრდის ნაკვთები დაჩრდილულია კეთილშობილებისა და სიქველის ნიღბით [Неверов 1977: 147]. ასეთად არის ის წარმოდგენილი ზემოთ ჩამოთვლილ პორტრეტებზე (სურ. 9). მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ავგუსტუსის პორტრეტული ინტალიო რიყიანების ველიდან და ისიც ძვ.წ. 42 წლით დავათარიღოთ. ბრინჯაოს ბეჭედი, რომელშიც გემა არის ჩასმული ავგუსტუსის ეპოქაში გავრცელებული ბეჭდების ფორმისაა [Henkel 1913: ტაბ. VII_{127}; ტაბ. XLIII_{1100}]. სამარხი, რომელშიც გემიანი ბეჭედია აღმოჩენილი ძვ.წ. I ს. მეორე ნახევრით არის დათარიღებული [მირიანაშვილი 1983: 37-38; 74]. ამავე სამარხიდან არის გემიანი ბეჭედი იულიას პორტრეტული გამოსახულებით (იხ. ზევით).

სურ. 9

5. გ.კ. № 1114. მცხეთა. სამთავროს სამაროვანი, 1958 წ. ქვაყუთი № 1. ზომები: ინტ. 15ჩ11 მმ; ბეჭედი – 22ჩ17 მმ.

გემა – ინტალიო წითელი იასპისა ყვითელი წინწკლებით, ვერცხლის ბეჭედს ამკობს (სურ. 10). ინტალიო ოვალურია. ბრტყელ პირზე გამოსახულია ახალგაზრდა კაცის ბიუსტი პროფილში, მხარს ქვემოთ S მოყვანილობის მსგავსად გადაჭრილი. ახალგაზრდას შუბლს უფარავს მოკლე, სქელი ღარებით გადმოცემული თმა, რომელიც თავზე უწესრიგოდ განლაგებულ ხშირ ტალღებად კისრამდე ჩამოდის. გამოსახულება უდაოდ პორტრეტულია. მამაკაცს ძალიან ინდივიდუალური დამახასიათებელი ნაკვთები აქვს: კეხიანი, ოდნავ წვეტიანი ცხვირი, მკვეთრად გამოსახული ნესტოთი, პატარა მოკუმული ტუჩები, ვიწრო ნიკაპი, დიდი, ფართოდ გახელილი პლასტიკურად გადმოცემული თვალი; წვრილი ღარით აღნიშნული მოხდენილი ყური. მამაკაცი შეუმოსავია.

სურ. 10

ბეჭდის რკალი განიერია, შიგნიდან ბრტყელი, გარედან ამობურცული, შიგ ამოჭრილია ოვალური თვალბუდე. თვალბუდეში, ქვის გარშემო ოქროს ვიწრო სალტე არის შემოვლებული. ბეჭდის მხრებიდან ქვემოთ ორ-ორი ჩაღრმავებული მოოქრული კანელური მიემართება. ქვა გაბზარულია.

მცხეთის გემაზე გამოსახული პორტრეტი ზედმიწევნით მსგავსია ვენის ისტორიულ მუზეუმში დაცულ სარდიონის ერთ ინტალიოზე გამოსახული უცნობი მამაკაცის პორტრეტისა (სურ. 11). ვფიქრობთ, ორივე გემაზე ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს გამოსახული, ვენის გემა ძვ.წ. 60-50-იანი წლებით არის დათარიღებული [Zwierlein–Diehl 1973: 119, № 344, ტაბ. 59, გამოსახ. 344]. S-ის მსგავსად გადაჭრილი ბიუსტიც ძვ.წ. I ს. მეორე ნახევარზე მიგვითითებს.

სურ. 11

ძვ.წ. I ს. გემა ახ.წ. II-III სს. ბეჭედშია ჩასმული. შეადარ. [Henkel 1913: ტაბ. X, 205, 206].

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ რომაულ გლიპტიკურ ძეგლებს შორის ძვ.წ. I ს. მეორე ნახევრის გემების რაოდენობა ძალიან მოკრძალებულია (სულ რამდენიმე ათეულია), მათში სამოქალაქო ომის დროინდელი პორტრეტული გემების წილი საკმაოდ შთამბეჭდავია (5 ერთეული). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ რომის სამოქალაქო ომის დროს პორტრეტული გემები, როგორც პოლიტიკური პროპაგანდის ქმედითი იარაღი, ფართოდ ვრცელდებოდა მთელ რომის იმპერიაში და მისი კულტურული და პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში.

K. Javakhishvili

ROMAN PORTRAIT GEMS OF THE REPUBLICAN PERIOD ACCORDING TO GLYPTIC MATERIAL DISCOVERED IN GEORGIA

Summary

The portrait holds a special place in the subject themes of Roman gems, as well as in Roman art in general. The early stage of the efflorescence of Roman portrait coincided with the period of the Civil War in Republican Rome. Representatives of different rival parties used portraits represented on gems and coins as effective weapons of political propaganda along with painting and sculptural portraits. Apart from historical sources, this is proved by the large number of portrait gems of stone and glass belonging to the same person and preserved in various museums of the world.

In Roman portraits of the Republican period, that are connected with the cult of the ancestors, the appearance and individuality of the model are depicted very realistically, accurately, and unembellished. It should be noted that, whereas in monuments of Greek art only outstanding persons were considered worthy of being immortalized, in Rome portraits were made of undistinguished, ordinary people.

Among the glyptic monuments found in Georgia there are few but highly interesting portrait gems of the period of the Civil War in Rome.

1. Inv. № 1250. Intaglio, of yellowish-brown glass. Julia, daughter of Julius Caesar. Dated to circa 65-50 BC. Riqianebis Veli. Cemetery, grave 13. Fig. 1.

2. Intaglio, of yellowish-brown glass, Gnaeus Pompeius Secundus. Urbnisi. Cemetery, grave 93. Fig. 3.

3. Intaglio, of chalcedony. Sextus Pompeius. Upper Svaneti, church of Lagurka. Fig. 6.

4. Inv. № 1251. Intaglio, of greenish-yellow transparent glass. Octavian Augustus. Dating from 42 BC. Riqianebis Veli. Cemetery, grave 13. Fig. 8.

5. Inv. № 1114. Intaglio of red jasper with yellow specks. Unknown male. Ca 60-50 BC. Mtskheta, Samtavro cemetery, 1958. Cist № 1. Fig. 10.

Although the number of gems among Roman glyptic monuments, discovered to date on Georgian territory, is very modest (several dozens in all), the share of the Civil War period gems is fairly impressive (5 items). This is one more proof of the fact that during the Roman Civil War. Portrait gems as a weapon of political propaganda were widespread in the entire Roman Empire and in countries under her cultural and political influence.

ლიტერატურა

ბარნაველი ს. 1971: სვანეთის გემა პორტრეტის გამოსახულებით. – Ars Georgica, 7, სერია A, თბილისი, 19-26.

მირიანაშვილი ნ. 1983: შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი.

ჯავახიშვილი ქ. 1972: ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბილისი.

Бритова Н. 1956: Искусство древнего Рима. Всеобщая история искусств, т. I. Москва, 289 – 348.

Ковалев С. И. 1986: История Рима. Ленинград.

Лесницкая М. М. 1960: Римский портрет в собрании Эрмитажа. Ленинград.

Ломоури Н. Ю. 1981: Грузино-римские взаимоотношения, часть I. Тбилиси.

Машкин Н. А. 1949: История древнего Рима. Ленинград.

Неверов О. Я. 1977: Портретные геммы республиканского Рима в собрании Эрмитажа. – История и культура античного мира, Москва, 144-150.

Henkel Fr. 1913: Die römischen Fingerringe der Rheinlande. Berlin.

Furtwängler A. 1896: Beschreibung der geschnittenen Steine im Antiquarium. Berlin.

Kent I.P.C., Overbeck B., Stylow A.U. 1973: Die römische Münze. München.

Richter G.M.A. 1971: The engraved gems of the Romans. London.

Sear D.R. 1988: Roman coins. London.

Vollenweider M. L. 1960: Les portraits romains sur les in tailles et camées de la Collection Fol', VIII. Genève.

Vollenweider M. L. 1961: Les portrait romains sur les intailles et camées de la Collection Fol', IX. Genève.

Vollenweider M. L. 1966: Die Steinschneidekunst und ihre Künstler in spätrepublikanischer und augusteischer Zeit. Baden-Baden.

Walters H. B. 1926: Catalogue of the engraved gems and cameos Greek, Etruscan and Roman in the British Museum. London.

Zwierlein–Diehl E. 1973: Die antiken Gemmen des Kunsthistorischen Museums in Wien, I. München.

სურათების აღწერილობა

სურ. 1 – იულია. ინტალიო. მინა. რიყიანების ველი.

სურ. 2 – იულია. კამეო. მინა. ჟენევა. ფოლის კოლექცია.

სურ. 3 – გნეუს პომპეუს უმცროსი. ინტალიო. მინა. ურბნისი.

სურ. 4 – აურეუსი. ავერსი – ერთმანეთის პირდაპირ გნეუს პომპეუს დიდი და გნეუს პომპეუს უმცროსი. რევერსი – სექ-სტ პომპეუსი.

სურ. 5 – გნეუს პომპეუს უმცროსი. ინტალიო. სარდიონი. პარიზი. მედლების კაბინეტი.

სურ. 6 – სექსტ პომპეუსი. ინტალიო. ქალცედონი. ზემო სვანეთი.

სურ. 7 – სექსტ პომპეუსი. ინტალიო. ამეთვისტო. სახელმწიფო ერმიტაჟი.

სურ. 8 – ოქტავიანე ავგუსტუსი. ინტალიო. მინა. რიყიანების ველი.

სურ. 9 – ოქტავიანე ავგუსტუსი. ინტალიო. მინა. ჟენევა. ფოლის კოლექცია.

სურ. 10 – უცნობი მამაკაცი. ინტალიო. იასპი. მცხეთა. სამთავრო.

სურ. 11 – უცნობი მამაკაცი. ინტალიო. სარდიონი. ვენის ისტორიული მუზეუმი.

DESCRIPTION OF THE FIGURES

Fig. 1 – Julia. Intaglio. Glass. Riqianebis Veli.

Fig. 2 – Julia. Cameo. Glass. Geneva. The Fol collection.

Fig. 3 – Gnaeus Pompeius Secundus. Intaglio. Glass. Urbnisi.

Fig. 4 – Aureus. Obverse – facing each other: Gnaeus Pompeius Magnus and Gnaeus Pompeius Secundus. Reverse: Sextus Pompeius.

Fig. 5 – Gnaeus Pompeius Magnus. Intaglio. Cornelian. Paris. Cabinet des Médailles.

Fig. 6 – Sextus Pompeius. Intaglio. Chalcedony. Upper Svaneti.

Fig. 7 – Sextus Pompeius. Intaglio. Amethyst. The State Hermitage.

Fig. 8 – Octavian Augustus. Intaglio. Glass. Riqianebis Veli.

Fig. 9 – Octavian Augustus. Intaglio. Glass. Geneva. The Fol collection.

Fig. 10 – Unknown male. Intaglio. Jasper. Mtskheta, Samtavro.

Fig. 11 – Unknown male. Intaglio. Cornelian. Historical Museum of Vienna.

კახი წერეთელი

წილკნის აკლდამის ბერძნულ წარწერაში მოხსენიებულ სასულიერო პირთა ეთნიკურ-კონფესიური კუთვნილების საკითხისათვის

სოფელ წილკნის აღმოსავლეთით, ღვთისმშობლის ეკლესიიდან 1,5 კმ-ის დაცილებით მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა აკლდამა, რომელიც ხუროთმოძღვრული მონაცემების თანახმად და დასავლეთის კედელზე არსებული ბერძნულენოვანი წარწერის პალეოგრაფიული ანალიზის გათვალისწინებით, IV-V სს-ით თარიღდება [ნიკოლაიშვილი 1983: 48; ყაუხჩიშვილი 1982: 147; ცერაძე 2001: 25-27].

საგანგებოდ ამოკვეთილ ქვაბულში ჩადგმული, აღმოსავლეთიდან დასავლეთით დამხრობილი აკლდამა გეგმით ოთხკუთხედია. იგი შედგება დასაკრძალავი სენაკისა და დრომოსისაგან. აგებულია კარგად გათლილი ქვიშაქვის ფილებითა და კირხსნარით; დრომოსსა და დასაკრძალავ კამერას შემოვლებული აქვს რიყის ქვით კირხსნარზე ნაგები მტკიცე კედელი. დასაკრძალავ სათავსში შესასვლელი დრომოსი აღმოსავლეთიდანაა, საიდანაც 13 საფეხურით გაწყობილი კიბე დერეფანში ეშვება, რომლის გავლით შესაძლებელია კირით შელესილ ნახევარწრიულთაღიან დასაკრძალავ კამერაში შეღწევა. კამერის გრძივი კედლების გასწვრივ ტახტრევნებია განლაგებული, ხოლო მათზე ბორდიურით გამოყოფილი ორ-ორი სამარხია გამართული. აკლდამაში ესვენა სუდარაში გახვეული რვა მამაკაცი. მიცვალებულები დაკრძალულია ქრისტიანული წესით – გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ. კედლებზე შემორჩენილია ოთხპწკარიანი ბერძნული დაზიანებული წარწერა და ჯვრის გამოსახულებები, რომელთა მკლავებს შორის ჩაწერილია ორი ბერძნული მთავრული ქრიზმა. აკლდამის დასავლეთით 3 მ-ზე გამოვლინდა ეკლესია, ხოლო ჩრდილოეთით 22 მ-ზე – რიყის ქვით ნაგები ზღუდის ნაშთი.

წითელი და შავი საღებავებით შესრულებული წარწერის აღდგენილ-შევსებული ვერსიის ქართული თარგმანი ასეთია: „მე ტიკასმა და ბერმა, ჩემმა ფარანუესესმა გავაკეთეთ ეს აკლდამა თლილი ქვებისაგან ჩვენთვის. პაპრიუპასი (?), ისდიგერდესი (?) ასევე აქ განისვენებენ“ [ყაუხჩიშვილი 1982: 137]. წარწერის მკვლევარ თ. ყაუხჩიშვილის დასკვნით, სახელები, რომლებიც წარწერაში რეალურად არის (ტიკასი და ფარანუესესი) და სახელები, რომლებიც სავარაუდოდაა აღდგენილი (პაპრიუპასი, ისდიგერდესი), ბერძნულ-რომაულ სამყაროსათვის უცხო, ირანული წარმოშობისაა, მაგრამ აშკარად გაბერძნულებული ფორმითაა გადმოცემული [ყაუხჩიშვილი 1982: 147]. ამ თვალსაზრისს ვ. ნიკოლაიშვილიც ეთანხმება. ამავე დროს იგი თვლის, რომ დაკრძალულთა შორის უცხოელი, კერძოდ, ბერძენი კულტმსახურნი იგულისხმებიან და ეს ვითარება ეხმიანება „ქართლის ცხოვრებაში“ ლეონტი მროველთან დაცულ ცნობას – ქრისტეს სჯულზე მოქცეული მირიან მეფის მიერ რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდისაგან გამოთხოვილ მღვდელთმსახურების შესახებ [ნიკოლაიშვილი 2001: 81]; ასეთი დასკვნა კი თავისთავად აკლდამის და იქ არსებული ბერძნული წარწერის IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებას გულისხმობს.

ვფიქრობთ, წარწერაში ნახსენები ირანული წარმოშობის სასულიერო პირების სახელები, მათ იმპერატორ კონსტანტინე დიდისაგან მღვდელთმსახურთა გამოთხოვების ფაქტთან დაკავშირების შესაძლებლობას საეჭვოს ხდის. საქმე ისაა, რომ ქართლის მოქცევის შესახებ წერილობით წყაროებში საბერძნეთიდან ჩამოსულ პირთა შორის (მაგ., ევსტათი ანტიოქიელი პატრიარქი, ქართლის მთავარეპიკოპოსად ხელდასხმული იოანე) ირანული წარმომავლობის სახელების მქონე პირები არ მოიხსენებიან და ასეთები V ს-ის პირველი ნახევრის მიწურულამდე საერთოდ არ ჩანან (მაგ., ქართლის მთავარეპისკოპოსი მობიდანი).

აკლდამის წარწერაში დასახელებული ღვთისმსახურები ქართლში კონსტანტინე დიდის მიერ თუ იყვნენ გამოგზავნილნი და მირიანის ზეობისას ან მის მახლობელ პერიოდში მოღვაწეობდნენ, რეალური ჩანს მათი განსასვენებლის მცხეთაში, ან კი სხვა რომელიმე მნიშვნელოვან სასულიერო ცენტრში აგება. მართალია, წილკნის ღვთისმშობლის ტაძრის უძველესი სამშენებლო ფენები, ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად [ჩხიკვაძე 1967: 38; მჭედლიშვილი, კიკ-

ნაძე, მირზაშვილი 1984; ბოლქვაძე 1999] სწორედ IV ს. განეკუთვნება, მაგრამ ვინაიდან საყოველთაოდ გავრცელებული ტრადიციის თანახმად, სასულიერო პირები უშუალოდ მათს სამოღვაწეო ტაძარში ან მის მახლობლად იკრძალებოდნენ, ხოლო აკლდამა წილკნის ეკლესიისაგან საკმაოდ შორს – 1,5 კმ-ის მანძილზე მდებარეობს, ამიტომ წარწერაში დასახელებული პირების ამ ტაძართან დაკავშირება ერთობ საპრობლემოდ გვესახება. რაც შეეხება აკლდამის დასავლეთით 3 მ-ზე მდებარე მცირე ეკლესიის ნაშთებს, იგი, ალბათ, ამ აკლდამაში დაკრძალულთა სულის მოსახსენიებელი საჟამნო თუ იყო. ისიც ცხადია, რომ მატერიალური თვალსაზრისით ძვირადღირებულ და არქიტექტურული კუთხით უნაკლო აკლდამაში თავის დროისათვის ფრიად მნიშვნელოვან და ღირსეულ პირებს დაკრძალავდნენ.

წილკნის აკლდამის თარიღისა და იქ დაკრძალულ სასულიერო პირთა ეთნიკურ-კონფესიური კუთვნილების ერთგვარად ბუნდოვან საკითხთა გასარკვევად, V საუკუნის საქართველო-ირანის ქრისტიანული ეკლესიების ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკას შევეხებით. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი კვლევა აწარმოვა გ. მამულიამ [მამულია 1992: 5-16], რაზე დაყრდნობითაც აგებულია ქვემორე მსჯელობა.

ირანის შაჰი იეზდიგერდ I (399-420 წწ.) იბრძოდა ირანში ბერძნული ეკლესიის გავლენის აღმოსაფხვრელად, რაც მისმა მემკვიდრე შაჰინშაჰ ბაჰრამ V-მ (420-438 წწ.) 424 წ. ანტიოქიის საყდრისგან სელევკია-კტესიფონის (ირანის) საკათალიკოსო საყდრის ავტოკეფალურად გამოყოფით დაასრულა; ამან კი სირიულ-სპარსული ეკლესიების დაახლოებასა და ნესტორიანული დოქტრინის დამკვიდრებას შეუწყო ხელი იმ ქვეყნებში, სადაც ირანის პოლიტიკურ გავლენას ჰქონდა ადგილი. IV ს-ის 70-იან წლებიდან ქართლი ირანელების მორჩილებაშია და მოულოდნელი არ არის, რომ არჩილის მეფობისას ქართლში (422-437 წწ.), ისევე როგორც სომხეთსა და ალბანეთში, ადგილი აქვს სასანიანთა პოლიტიკურ-კულტურულ ექსპანსიას. 420 წლიდან ქართლის ეკლესია სელევკია-კტესიფონის საკათალიკოსოს ჯერ გავლენის, ხოლო 424 წ-დან, ვიდრე, დაახლოებით, 446 წლამდე სირიულ-სპარსული ნესტორიანული ეკლესიის დაქვემდებარების ქვეშ მოექცა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკური ჩანს საქართველოს საეკლესიო მოღვაწეთა შორის უცხო ტომის, კერძოდ, ირანული წარმომავლობის სასულიერო პირთა გამოჩენა-გააქტიურება. როგორც გამოჩენილი ორიენტალისტი აკად. ვ. ბარტოლდი შენიშნავს, სირიული კულტურის მთავარი წარმომადგენლები, ასევე ირანის სირიული ეკლესიის მთავარი მოღვაწეები წარმოშობით სპარსელები იყვნენ [Бартольд 1960: 277]. აღსანიშნავია, რომ მოცემულ პერიოდში სომხეთის ეკლესიის მეთაურად შაჰინშაჰ ბაჰრამ V-მ ორი სირიელი იერარქი განაწესა – ჯერ ბრკიშო, შემდეგ კი შამოელი. იგივე ვითარებაა ქართლში, სადაც სპარსი მთავარეპისკოპოს მობიდანის მემკვიდრეა მთავარეპისკოპოსი გლონოქორი, რომელიც, „მოქცევაჲ-“ს თანახმად, ქართლში ირანის ხელისუფლებამ, სასულიეროსთან ერთად, საერო ფუნქციებითაც აღჭურვა. ქართლის მთავარეპისკოპოსებად ირანის სირიული ეკლესიის იერარქების განწესება ქართლის ეკლესიის წიაღში მყოფი პროირანული დაჯგუფების გამარჯვებაზე უნდა მიუთითებდეს. ასე რომ, იერარქიულად მთავარეპისკოპოსზე უფრო დაბალი რანგის ირანული წარმოშობის სასულიერო პირთა ქართლში მოღვაწეობას ხელს არაფერი შეუშლიდა.

ნესტორიანული დოქტრინის მიმდევრები რომის აღმოსავლეთ პროვინციებში საკმაოდ გავლენიან ძალას წარმოადგენდნენ, რომელთა თეოლოგიური ცენტრი ქალაქ ედესის ე.წ. „სპარსთა“ თეოლოგიური სკოლა იყო. ირანის სირიული ეკლესია ამ დროისათვის თავისი გავლენის გავრცელებას დიოდორე ტარსელის და თეოდორე მოფსუესტელის შრომების მეშვეობით ცდილობდა. ამიტომაც იყო, რომ 428 წლამდე „სპარსთა“ საღმრთისმეტყველო სკოლაში ბერძნულიდან სირიულად ითარგმნა დიოდორე ტარსელისა და თეოდორე მოფსუესტელის შრომები. ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ 562 წელზე წინარე ხანაში დაწერილ ხელნაწერში აღნიშნულია, რომ იბა ედესის ეპისკოპოსს (435-457 წწ.) თეოდორეს შრომები ბერძნულიდან სომხურად უთარგმნია და სომხეთში გაუგზავნია. ივარაუდება, რომ შეცდომით მანიქეველად მიჩნეული, რეალურად კი ნესტორიანელი მთავარეპისკოპოსი მობიდანი [422-437 წწ.], რომელიც, ჯუანშერის ცნობით „...ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცდურებისასა“, სინამდვილეში დიოდორე ტარსელის და თედორე მოფსუესტელის შრომებს თარგმნიდა ბერძნულიდან ქართულად, „...რომელი შემდგომად მისსა დაწუა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპსმან მიქაელ, რომელი განკუთა კადრებისათვის ვახტანგ მეფესა“ [ქც 1955: 142].

ამრიგად, სელევკია-კტესიფონის საკათალი-

კოსოს გავლენის ფარგლებში, სათანადო თარგმნელობითი სამუშაოების განხორციელებამდე, ნესტორიანული ერესის გასავრცელებლად ბერძნული ენისა და დამწერლობის გამოყენება ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენდა, რამაც შესაბამისი ასახვა წილკნის აკლდამის ბერძნულენოვან წარწერაში ჰპოვა და ამ გარემოებით უნდა აიხსნას იქ მოხსენიებული ირანული წარმომავლობის სასულიერო პირთა სახელების ბერძნული ფორმით გადმოცემის ფაქტი.

თ. ყაუხჩიშვილის დაკვირვებით, წილკნის აკლდამა, წარწერის ქტიტორულ-ეპიტაფიური შინაარსიდან გამომდინარე და რომაული ანალოგიების გათვალისწინებით, შესაძლებელია იქ დაკრძალულთა ნაწილმა სიცოცხლეშივე წინასწარ განიმზადა [ყაუხჩიშვილი 1982: 142-143]. აქედან გამომდინარე, რეალური ჩანს ირანული ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფმა და მისგან წარგზავნილმა სასულიერო პირებმა, მას შემდეგ, რაც 446 წლიდან შაჰ იეზდიგერდ II-მ (438-447) არა თუ ამიერკავკასიაში, არამედ უშუალოდ ირანშიც ქრისტიანობის სასტიკი დევნა დაიწყო (რაზეც სპარსელ მარტვილთა ცხოვრებანი მოგვითხრობენ), სამშობლოში დაბრუნებას ქართლში დარჩენა ამჯობინეს. ამასთანავე, ამიერიდან კვლავ წელში გამართული ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღიდან განდევნილებს (და, ალბათ, სექტად ტრანსფორმირებულთ), მართლმადიდებელთა მიერ უკან დაბრუნებულ ტაძრებიდან მოშორებით მოუხდათ განსასვენებლისათვის ადგილის მოძიება.

დავასკვნით: წილკნის აკლდამის ბერძნულ წარწერაში მოხსენიებული პირები ქართლში 420 წ-დან 446 წ-მდე (შესაძლოა ცოტა მოგვიანებითაც) მოღვაწე ირანის სირიულ-სპარსული ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფი მაღალი წოდების და მათზე დაბალი რანგის ნესტორიანელი ღვთისმსახურნი იყვნენ. როგორც ჩანს, ნესტორიანული ერესი ქართლში ამ დროისათვის საერთაშორისო სტატუსის მქონე ბერძნული ენის მეშვეობით იკაფავდა გზას. აქედან გამომდინარე, 420-424 წ-დან მოკიდებული, სავარაუდოდ მთავარეპისკოპოს მობიდანამდე, ქართლის ეკლესიაში მოღვაწე ირანული წარმომავლობის სასულიერო პირების საღმრთისმსახურო ენა და, შესაბამისად, დამწერლობაც ბერძნული იყო, რამაც ასახვა წილკნის აკლდამის წარწერაში ჰპოვა.

K. Tsereteli

TOWARDS THE ETHNIC-CONFESSIONAL AFFILIATTION OF THE ECCLESIASTICS MENTIONED IN THE GREEK INSCRIPTION OF THE TSILKANI VAULT

Summary

The Mtskheta archaeological expedition studied a vault 1.5 km to the east of the church of the Virgin of the village of Tsilkani. According to the architectural evidence, and paleographic analysis of a Greek-language inscription on the western wall, it is dateable to the 4th-5th cent. The real and conjecturally reconstructed names in the inscription are of Iranian provenance, yet rendered in clearly Graecized form. Hence, it was suggested in the specialist literature that among those buried in the vault are ministers of religious worship.

Taking into consideration the developments in the Georgian Church at a definite period of the Early Middle Ages, it transpires that the persons referred to in the Tsilkani vault were Nestorian ministers of religious worship of Iranian descent, serving under the subordination of the Syrian-Persian Church in Kartli from 420 to 446 (perhaps a bit later too). The Nestorian heresy spread in Kartli via the Greek language and script, finding relevant reflection in the Tsilkani vault.

ლიტერატურა

ბოლქვაძე გ. 1999: ისევ წილკნის ტაძრის შესახებ. – გაზ. „ახალი განათლება“, №16, №17, №18.

მამულია გ. 1992: ქართული ეკლესია V-VI საუკუნეებში. თბილისი.

მჭედლიშვილი ბ., კიკნაძე ზ., მირზაშვილი თ. 1984: „ამან აღაშენა ეკლესია წილკნისა.“- გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი,“ 4 თებერვალი.

ნიკოლაიშვილი ვ. 1983: ახლადაღმოჩენილი ძეგლები ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე. – ძმ, № 63, 43-49.

ნიკოლაიშვილი ვ. 2001: წილკნის ადრექრისტიანული ხანის აკლდამა. – ქაკ, V, 79-81. თბილისი.

ყაუხჩიშვილი თ. 1982: წილკნის აკლდამის ბერძნული წარწერა. – მაცნე, № 2, 134-148.

ჩხიკვაძე მ. 1967: წილკნის ტაძარი. – საბჭოთა ხელოვნება, № 4, 34-39.

ცერაძე ლ. 2001: წილკნის საეპისკოპოსოს ისტორიისათვის. თბილისი.

ქც. — ს. ყაუხჩიშვილი (რედ.), ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955. თბილისი.

Бартольд И. 1960: О христианстве в Туркестане в домонгольский период. Сочинения, т. II, ч. II. Москва.

ნოდარ ბახტაძე

ნაქალაქარ ნეკრესის მიდამოებში ახალაღმოჩენილი სამების სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევის შედეგები

ჩვენ მიერ ხუროთმოძღვრულად და არქეოლოგიურად შესწავლილი ისტორიული კომპლექსი მდებარეობს თანამედროვე ყვარლის მუნიციპალიტეტში, ყვარელი-თელავის გზატკეცილის მეექვსე კილომეტრზე, ნეკრესის ნაქალაქარის მიდამოებში, ნეკრესის მამათა მონასტრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 3 კმ-ის დაშორებით, კავკასიონის ქედის უკიდურესი სამხრეთი განშტოებიდან ალაზნის ველისკენ კონცხისებურად შვერილ მთის პლატოზე.

მეცნიერთათვის მანამდე უცნობ ამ ანსამბლს, რომელიც მეტად საყურადღებო გეგმარების ეკლესიას და მასზე მიშენებულ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობათა ნანგრევებს მოიცავს, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ნეკრესის ნაქალაქარის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1995 წელს მიაკვლია (ექსპედიციას იმჟამად აკადემიკოსი ლევან ჭილაშვილი ხელმძღვანელობდა), მაგრამ საფუძვლიანი არქეოლოგიურ-ხუროთმოძღვრული სამუშაოების ჩატარება ძეგლზე მხოლოდ 2009 წელს გახდა შესაძლებელი.[1]

ამ ხუროთმოძღვრული კომპლექსის შესახებ ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში არანაირი მინიშნება არ არის შემონახული. კომპლექსის დღემდე ყველაზე უკეთ მოღწეული ნაგებობის, მომცრო, მაგრამ საკმაოდ მონუმენტური ტაძრის სახელწოდებაც კი მხოლოდ ზეპირი ტრადიციის წყალობით შევიტყვეთ – ადგილობრივი მოსახლეობა ეკლესიას ბოლო 2-3 საუკუნის განმავლობაში „სამების“ სახელით მოიხსენიებს (შესაბამისად, აღნიშნულ მთის მასივს „სამების სერს“ უწოდებენ). თავდაპირველადვე წმინდა სამების სახელზე იყო თუ არა აგებული ტაძარი, უცნობია.

[1] საქველმოქმედო ფონდ „ერთგულების“ მიერ დაფინანსებული ეს სამუშაოები შეასრულა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნეკრესის ნაქალაქარის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნ. ბახტაძის ხელმძღვანელობით. არქეოლოგიურ კვლევაში მონაწილეობდნენ მუზეუმის თანამშრომლები: მ. ჩემია, თ. კერესელიძე, პ. ლეჟავა, გ. ჩუბინიშვილი.

წმ. სამების ეკლესია ნაგებია არათანაბარი ზომის, მოყვითალო-მორუხო, კარგად შერჩეული ფლეთილი კირქვით, კირის ხსნარზე. ზოგიერთ მარკირებულ ადგილებში (მაგ., ღიობების კუთხეებში; კამარების საბჯენი სვეტების კაპიტელების გამოსაყვანად) გამოყენებულია შირიმის ქვაც. გეგმარებიდან გამომდინარე, ტაძარი VI-XI საუკუნეების საქართველოში, განსაკუთრებით კი კახეთის რეგიონში ფრიად გავრცელებულ ეკლესიათა სახეობას, ე.წ. სამეკლესიიან ბაზილიკათა ჯგუფს განეკუთვნება [Чубинашвили 1959: 141-200]. გარეგნულად ისიც ბაზილიკის სილუეტს ინარჩუნებს (ტაბ. $I_{1,2}$), თუმცა, მისი ინტერიერი სვეტების წყებით სამ ნავად არ არის დაყოფილი: ცენტრალური დარბაზი აქ თითო გასასვლელიანი კედლებით არის გამოყოფილი ჩრდილოეთის მართკუთხა გეგმის კრიპტისგან და ტაძრის მთელ სიგრძეზე გაყოლებული სამხრეთის ეკვდერისგან. დასავლეთის ნართექსის საშუალებით „გვერდითი ეკლესიები“ უშუალოდაც უკავშირდებიან ერთმანეთს (ტაბ. $II_{1,2}$).

ცენტრალური დარბაზის ნაოსი მხოლოდ ოდნავაა წაგრძელებული აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე (მისი ზომებია 3.70ჩ3.22 მ). მას აღმოსავლეთით ნახევარწრიული გეგმის აფსიდა აქვს, რომლის შემომზღუდავ კედელშიც, სარკმლის აქეთ-იქით, დატანებულია სახატე ნიშები. სარკმლის დაბლა შემორჩენილია კედელზე მიშენებული, ფლეთილი ქვით ნაგები ტრაპეზის ქვა, საკურთხევლის წინ კი კანკელის ნაშთებია შემონახული. ეკლესიის მთავარი დარბაზის ინტერიერი განვითარებულ შუა საუკუნეებში მთლიანად მოხატული ყოფილა, მაგრამ ამჟამად ამ ფაზის მოხატულობისგან მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. საკურთხეველში შეინიშნება კიდევ უფრო ადრეული, შავ-წითელი საღებავებით შესრულებული მხატვრობის კვალიც, რომელიც ყოველგვარ სიუჟეტს მოკლებული ყოფილა – მხოლოდ გეომეტრიულ ორნამენტს და ქრისტიანულ სიმბოლოებს (მაგ. ტოლმკლავა ძლევის ჯვარს) გამოსახავდა. ეკლესიათა ამგვარი უსიუჟეტო კედლის მხატვრობა ჩვენშიც და აღმოსავლურ ქრისტიანული სამყაროს სხვა ქვეყნებშიც,

დამახასიათებელია ადრეული შუა საუკუნეების პირველი ეტაპისთვის – IV-VII საუკუნეებისთვის [ვირსალაძე 1984: 156-164].

ტაძრის დასავლეთის ნართექსი, ჩვენთვის ცნობილი სხვა სამეკლესიიანი ბაზილიკების მსგავსად, ჩრდილოეთის და სამხრეთის ეკლესიების სიმაღლის კამარით კი არ არის გადახურული, არამედ მის მაღლა მე-2 სართულია მოწყობილი; ეკლესიის დასავლეთის კიდემდე მიყვანილ, ცენტრალური ეკლესიის ორფერდა გადახურვის გაგრძელების ქვეშ მოქცეულ ამ სათავსს სამხრეთის კედელზე მიშენებული სარეცელი და ეკლესიის ცენტრალური საკურთხევლისკენ გაჭრილი სარკმელი აქვს.

აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის კლასიფიკაციის მიხედვით, სამების სამეკლესიიანი ბაზილიკა უფრო ამ რიგის საეკლესიო ნაგებობათა უძველესი ჯგუფის ეკლესიებთან ამჟღავნებს სიახლოვეს, რომლებიც ჩვენში VI ს-ის პირველი ნახევრიდან VI-VII სს მიჯნამდე იყო გავრცელებული [Чубинашвили 1959: 156-164]. ტაძრის ასეთ დათარიღებას შემდეგი ნიშნები გვაფიქრებინებს: 1) მას ჯერ კიდევ არ გააჩნია ჩამოყალიბებული პასტოფორიუმები; 2) ჩრდილოეთისა და სამხრეთის ეკვდერებს ჯერ არ აქვთ ნახევარწრიული გეგმის აფსიდები; 3) ცენტრალური ეკლესიის ირგვლივ განლაგებული ნართექს-ეკვდერების კამარების საყრდენი თაღების მოხაზულება მკვეთრად ნალისებურია; 4) სამხრეთის ნართექსის თავზე დაშენებული, ცენტრალური დარბაზის სახურავის ქვეშ მოქცეული სათავსის წყალობით, ტაძრის გარეგანი მოხაზულობა ჯერ კიდევ სრულად იმეორებს „ნამდვილი“ ბაზილიკური ტიპის ეკლესიისას (ტაბ. I_1).

მიუხედავად აღნიშნული არქაული ხუროთმოძღვრული ნიშნებისა, ამ ტაძრის აგების თარიღის მტკიცედ განსაზღვრისთვის, გადამწყვეტი სიტყვა მინც მისი არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ სტრატიგრაფიულ სურათს და ნივთიერ მასალას უნდა ეთქვა. გარდა ამისა, ვიმედოვნებდით, რომ სამების ეკლესიისა და მისი მიმდებარე ნაგებობების არქეოლოგიური კვლევა ანგარიშგასაწევ არგუმენტებს მოგვაწვდიდა იმის დასადგენად, სამრევლო ღვთისმსახურებისთვის იყო გამიზნული ამ ანსამბლის აგება თუ სამონაზვნო საჭიროებისთვის (აქ ფეოდალის რეზიდენციის არსებობა თავიდანვე გამოირიცხა, ვინაიდან კომპლექსის ირგვლივ საფორტიფიკაციო სისტემები სრულიად არ დადასტურებულა).

მართლაც, ეკლესიის იატაკში, ამბიონიდან დასავლეთით 50-ოდე სმ დაშორებით ჩვენ მიერ ჩაჭრილ, კვადრატული გეგმის (2ჩ2 მ) თხრილში დაფიქსირებული არტეფაქტები მეტად მეტყველი გამოდგა (ტაბ. II_2): მთავარი დარბაზის ავთენტური, 5-6 სმ სისქის, კირით მოლესილი იატაკის 15-20 სმ-ით ასამაღლებლად ნაყარი და ნატკეპნი მიწის ფენის გამოკვლევისას მოვიპოვეთ შეტანილ მიწის მასასთან ერთად იქ მოხვედრილი, ე.ი., ტაძრის სამშენებლო ფაზის დროინდელი ან ოდნავ უფრო ადრინდელი თიხის ნაკეთობათა მომცრო ფრაგმენტები. ამ რიგის მონაპოვარიდან განსაკუთრებულად საყურადღებოა მეტად კარგად განლექილი, ღია ვარდისფრად გამომწვარი და გარედან ოდნავ უფრო მუქად ნაპრიალები, მსხლისებრი ფორმის, სამტუჩა ან პირგადმოკეცილი, ცალყურა დოქების ნაწილები (ზოგიერთ მათგანს ყელისა და მუცლის გამყოფი წიბოებიც გააჩნდა) (ტაბ. $III_{1-9,12,15,16}$). ამ ნიმუშებს მეტად ახლო პარალელები ეძებნებათ ურბნისის და ლოჭინის ადრეული შუასაუკუნეების კერამიკასთან, რომელთაც მკვლევარები IV-V ს-ით ათარიღებენ [ჭილაშვილი 1964: 100, სურ. 44; აბრამიშვილი, ჭილაშვილი 1962: სურ. 3,4; სინაურიძე 1966: 62]. ანალოგიური ნაწარმი აღმოჩენილია ნაქალაქარ ჭერემის ციტადელზეც, რომელიც ასევეა დათარიღებული (აქ სპარსელთა ლაშქრობის შედეგად ცხოვრება 502 წელს არის შეწყვეტილი) [მამაიაშვილი 2004: 134-134]. რაც მთავარია, ამ სტილის ჭურჭლის პირდაპირი ანალოგები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ნაქალაქარ ნეკრესში ჩვენ მიერ შესწავლილ ჭაბუკაურის ბაზილიკის გათხრების შედეგად და ისინი სრულიად ცალსახად თარიღდება V-VI საუკუნეებით [ბახტაძე 2010ა: 213].

ეკლესიის მშენებლობის ხანის ზუსტად ასეთი ქრონოლოგიური ნიშნული მოგვცა სამხრეთის ეკვდერის მართკუთხა საკურთხევლის ამბიონის იატაკქვეშ ნაყარ-ნატკეპნი მიწის ფენის კვლევამაც (ეს საკურთხეველიც ეკლესიის მშენებლობის თავდაპირველივე ფაზის თანადროულია – მისი შემომსაზღვრელი ქვის დეტალების ნაგებობის კედლებთან კონსტრუქციული ბმა ნათლად წარმოჩინდა). აქ გავლებულ ჭრილშიც მივაკვლიეთ ღია ვარდისფრად გამომწვარი და ვარდისფრადვე ნაპრიალები თიხის ჭურჭლის 10-ოდე ფრაგმენტს – აღწერილი ტიპის დოქის ნაწილებს, აგრეთვე პირმოყრილი, დაბალქუსლიანი ჯამის პირებს (ტაბ. $III_{10,13}$), რომელთაც აგრეთვე საკმაოდ ახლობელი ანალოგიები მოეპოვებათ აღმოსავლეთ საქართველოს V-VI სს-ის არქეოლოგიური ძეგლებიდან [ჭილაშვილი 2004;

მამაიაშვილი 2004; ბახტაძე 2010].

ამრიგად, როგორც ძეგლის ხუროთმოძღვრული ანალიზიდან, ისე წარმოდგენილი ჭრილებიდან მოპოვებული ნივთიერი მასალის დამზადების თარიღიდან გამომდინარე, ეს ეკლესია VI ს-ის მეორე ნახევარში უნდა იყოს აგებული და სავსებით დასაშვებია, რომ მისი მშენებლობა საქართველოს ამ მხარეში ქრისტიანული ასკეტიზმის იდეების დამკვიდრება-განვრცობისთვის დაუღალავი მოღვაწის, წმ. აბიბოს ნეკრესელის ან მისი უშუალო თანამოაზრე-მიმდევრების მი ერ დასახული პროგრამის განხორციელებასთან იყოს დაკავშირებული [აბულაძე 1955; მარტვილობა... 1964].

სამების ტაძრის თავდაპირველი დანიშნულების შესახებ მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდა მისი ჩრდილო-აღმოსავლეთ ეკვდერის არქეოლოგიურმა კვლევამ. ეს საკმაოდ ბნელი სათავსი, ჩვენი წინასწარი ვარაუდითვე, პასტოფორიუმს კი არ წარმოადგენდა, არამედ კრიპტის მოვალეობას ასრულებდა – განსხვავებით ეკლესიის სალიტურგიო სივრცეებისგან, აქ ნატიფად გამოყვანილი, ნახევარწრიული გეგმისა და კაპიტელებით შემკული პილასტრები კი არ ამოუყვანიათ კამარის დასაყრდნობად, არამედ მართკუთხა გეგმის სადა პილასტრები; ყურადსაღები იყო ისიც, რომ სამონასტრო ეკლესიების ნაოსების ჩრდილოეთით მოწყობილი ასეთი განცალკევებული სათავსები, ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში და მთელ აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში, ძირითადად კრიპტებად გამოიყენებოდა [Hirschfeld 1992: 132-143; Kostof 1989: 79; ბახტაძე 2007: 118].

მართლაც, არქეოლოგიურმა გათხრებმა ამ სათავსის აღმოსავლეთ კიდეში, დაახ. კვადრატული გეგმის (1.4ჩ1.55 მ) და 90 სმ სიღრმის იატაკქვეშა კამერა გამოავლინა (ტაბ. $II_{1,2}$). ეს სივრცე ოთხივ მხრივ ქვითკირის კედლებითაა შემოზღუდული, რომელთაგან ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და სამხრეთის კონსტრუქციები ეკლესიის აღნიშნული სათავსის შესაბამისი კედლების საძირკვლებადაცაა გამოყენებული. ამ იატაკქვეშა სივრცეს თავის დროზე ქვის კარგად ნათალი ფილები ეფარა, რომელთაგან ერთერთზე, პილასტრის კონსტრუქცია ამჟამადაცაა დაფუძნებული. ამრიგად აშკარაა, რომ ეს კამერა ეკლესიისასთან ერთადაა აგებული. მიუხედავად განძისმაძიებელთაგან ხელყოფისა, ამ კუბურთან მიახლოებული მოყვანილობის კამერაში დადასტურდა არაერთი ადამიანის ძვლოვანი ნეშტის ფრაგმენტები – განსხვავებულ ინდივიდთა თავის ქალების და კიდურების ნაწილები (ტაბ. I_5). ამ გარემოებისა და აღნიშნული სივრცის საერთო კონფიგურაციიდან გამომდინარე (1.4 მ სიგრძის კამერაში ხომ ზრდასრულ მიცვალებულებს გაშოტილ პოზაში ვერ მოათავსებდნენ), ნათელი გახდა, რომ საქმე გვქონდა არა სამრევლო ეკლესიაში მოწყობილ სამარხთან, არამედ სამონასტრო ეკლესიის ძვალთშესალაგთან, სადაც, აღმოსავლურ-ქრისტიანული სამყაროს მრავალი მონასტრის ანალოგიურად [Hirschfeld 1992: 135-136; Malone 1950: 78-80], გარდაცვლილ მონაზონთა ძვლადქცეულ ნეშტებს პერიოდულად გადმოასვენებდნენ ხოლმე მიწაში პირველადი დაკრძალვის ადგილებიდან. ასეთი მოწყობილობის ყველაზე კარგი და მახლობელი ანალოგიაა თვით ნეკრესის მონასტრის VI ს-ის მემორიუმის კრიპტაში ჩვენ მიერ დადასტურებული საძვალე [ბახტაძე 2010]; განსხვავება მხოლოდ მასშტაბებშია – ნეკრესის მძლავრ მონასტერში, სადაც მრავალი ბერი მოღვაწეობდა, ბუნებრივია, უფრო დიდი მოცულობის 2 საძვალე კამერა იყო მოწყობილი (მათში 5-6 ათეულამდე მიცვალებულის თავის ქალა დადასტურდა), სამების გაცილებით მოკრძალებულ სამონაზვნო კომპლექსში კი საძვალე დაახ. 1-2 ათეულ გარდაცვლილ ბერზე უნდა ყოფილიყო გათვლილი.

რაკიღა სამების კომპლექსის დაარსებისთანავე მისი სამონასტრო მიზნით გამოყენებაზე მიმანიშნებელი ეს უცილობელი ფაქტი დადასტურდა, კიდევ ერთხელ ჩავუფიქრდით სამეკლესიიანი ბაზილიკის დასავლეთის ნართექსის ზემოთ მოწყობილი სარეცელიანი ოთახის ფუნქციის საკითხს. კერძოდ, ეს სათავსი საკმაოდ უჩვეულოა სამრევლო დანიშნულების ეკლესიის სტრუქტურისთვის, მაგრამ სავსებით შეესაბამება სამონასტრო ეკლესიის თავისებურებას – თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სათავსი ტაძრის მშენებლობის ხანაშივე დაყუდებული ბერის სენაკად უნდა ყოფილიყო ჩაფიქრებული, რომელიც სამხრეთის გარშემოსავლელის პირველ სართულს, ალბათ, იატაკში დატანებულ საძვრენზე მიდგმული ხის კიბით უკავშირდებოდა. ბუნებრივი იქნება ისიც ვივარაუდოთ, რომ საქართველოს სინამდვილეში დადასტურებული ეს ერთადერთი, ამგვარი მდებარეობისა და გეგმარების სადგომი, განსაკუთრებული სტატუსის მქონე, VI ს-ში მთელ აღმოსავლურ-ქრისტანულ სამყაროს მონასტრებში ფრიად გავრცელებული მესვეტეობის ტრადიციის [Chryssavagis 2003: 234-337] მიმდევარი წმინდა მამის სამყოფელი უნდა ყოფილი-

ყო – მესვეტე ბერების სამყოფელი ქვითკირის კოშკები ხომ შუა საუკუნეების საქართველოს სხვა უდაბნო-მონასტრებშიცაა დადასტურებული (მაგ., უბისა, მარტვილი) [ბერიძე 1974: 167], სამების ეკლესიის აღნიშნული დასავლეთის სათავსი კი ეკლესიისა და ამგვარი კოშკის თავისებურ სინთეზად შეიძლება წარმოვიდგინოთ.

სამების ანსამბლის დანიშნულების საბოლოოდ დაზუსტებაში, მისი მინაშენი პალატების ეკლესიასთან ფუნქციონალურ-ქრონოლოგიური მიმართების დადგენის საქმეში, ამ სათავსებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევამ არსებითი როლი შეასრულა.

სამების ეკლესიაზე ჩრდილოეთიდან მიდგმული, საკმაოდ ვრცელი, ტრაპეციული გეგმის ნაგებობა (სიგრძე 8.60 მ, სიგანე ფუძესთან 8.50 მ), განსხვავებით ტაძრისგან, გაცილებით უარესადაა შემონახული (ტაბ. I_{3-4}). ამ სათავსის კირით კარგად მოლესილი იატაკის ცენტრში მივაკვლიეთ ოდნავ დეფორმირებულ, მაგრამ კვადრატულთან მიახლოებული გეგმის ბაზას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დარბაზის გადახურვის კონსტრუქცია დედაბოძზე დაყრდნობილ თავხეზე იყო დაფუძნებული. თვით გადახურვა რომ ორფერდა იყო და კრამიტით დაფარული, ამაზე იატაკის მოლესილობასთან ახლოს, მიწის ფენაში დადასტურებული ისეთივე ტიპის კრამიტის ფრაგმენტები მეტყველებს, რითაც ეკლესია იყო დახურული. ეს ვრცელი სათავსი, ჩვენი აზრით, სამების სამონასტრო ორგანიზაციაში სატრაპეზოს ფუნქციას ასრულებდა: სხვა რა დანიშნულება შეიძლებოდა ჰქონოდა მონასტრის ანსამბლში ამდენად ხაზგასმულად ცენტრალურ ადგილზე განთავსებულ, ზედ ეკლესიაზე მიშენებულ, პარადული აღნაგობის მეტად დიდი ფართობის, კრამიტით გადახურულ დარბაზს (ტაბ. II_1), რომელსაც ჩრდილოეთიდან მჭიდროდ, ორგანულად უკავშირდებოდა საკვების დასამზადებელი მოწყობილობებით აღჭურვილი ბლოკი (ტაბ. I_6).

ამ უკანასკნელი, მართკუთხა გეგმის ნაგებობის ფართობიც საკმაოდ დიდია: 9.5ჩ6 მ. მის ცენტრშიც გათხრების შედეგად გამოჩნდა ქვითკირით ნაგები, გადახურვის საყრდენი სვეტის ბაზა (1ჩ1 მ კვეთის). ამ სათავსის იატაკი ფუნქციონირების ბოლო ეტაპზე კირის ხსნარზე დალაგებული ფიქალის ქვის ნატეხებით ყოფილა მოფენილი.

მისი სამხრეთ-დასავლეთი კუთხე (მეოთხედზე ოდნავ ნაკლები ფართობი: 3ჩ2.5 მ), საერთო სივრცისგან გამოყოფილი ყოფილა ორი კედლით და გარე სივრცეს ჩრდილოეთის კედელში დატანებული კარით უკავშირდებოდა. ამ სათავსში აღმოჩნდა ცეცხლის დასანთები ორიგინალური მოწყობილობა – წყობიდან გამოსული ქვევრის ქვედა ნაწილი ძირითურთ, რომელიც ინტენსიური ცეცხლის მოქმედების კვალით არის აღბეჭდილი და ნაცრითაა სავსე; ამდენად, ის უთუოდ ჭურჭელის შემოსადგმელი და ცხელი საკვების მოსამზადებელი კერიის მოვალეობას ასრულებდა (ტაბ. I_6).

ეკლესიის ჩრდილოეთის მინაშენებში და მათ მიმდებარე ფართობებზე ჩატარებულმა გათხრებმა კიდევ რამდენიმე ისეთი სპეციფიური სამეურნეო და საყოფაცხოვრებო კომპონენტი გამოავლინა (ქვევრები, წყლის დიდი მოცულობის რეზერვუარები), რომლებიც საფუძვლიანობას მატებს ჩვენ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული სათავსები სატრაპეზოს, მასთან დაკავშირებულ საკუჭნაოს და საკვების დასამზადებელი ბლოკის დანიშნულებას ასრულებდნენ. ეკლესიისა და აღნიშნული ფუნქციის სივრცეების ამგვარი შერწყმა კი მხოლოდ შუა საუკუნეების სამონასტრო ანსამბლებისთვის იყო დამახასიათებელი.

როგორც აღნიშნულ, ცეცხლის დასანთებ სპეციალურ სათავსში, ისე მთელი სამზარეულო-საკუჭნაო ბლოკის ფართობზე, იატაკის მახლობელი მიწის ფენების აღებისას აღმოჩნდა რამდენიმე, სხვადასხვა ტიპის მსხვილკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი: ქვევრების, დერგების პირ-გვერდების და ძირების ნატეხები, აგრეთვე სხვადასხვა მოყვანილობის ქილების და ქოთნების ნაწილები (ტაბ. V, VI). განსხვავებით ამისგან, სატრაპეზოს იატაკის გათხრისას პროცენტულად გაცილებით მრავლად აღმოჩნდა კვების პროდუქტების მიღებისას გამოსაყენებელი ჭურჭლის, კერძოდ, სხვადასხვა ზომის თიხის ჯამების, ფიალებისა და ჭინჭილების ფრაგმენტები [არჩვაძე 1969; გძელიშვილი, ტყეშელაშვილი 1961; მიწიშვილი 1969; ჯაფარიძე 1956; ბოხოჩაძე 1969 და სხვ.]. ამრიგად, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალის ტიპოლოგიამაც თითქოს დაადასტურა ჩვენი ვარაუდი სატრაპეზოსა და სამზარეულო-საკუჭნაო ბლოკის ფუნქციათა თაობაზე. ეს ორი სათავსი ლოგიკურადაც, ერთმანეთთან მეტად მჭიდრო კავშირში უნდა ყოფილიყო, რადგან მათში შესასვლელი კარებები ერთმანეთის გვერდიგვერდაა განლაგებული და საერთო, ერთ დროს გადახურულ წინამოში გამოდიოდნენ (ესე იგი, სამზარეულო-საკუჭნაო ბლოკიდან გა-

მოტანილი ჭურჭელი პროდუქტითურთ ღია ცის ქვეშ გატარების გარეშე, იქვე გაჭრილი კარის გავლით შეჰქონდათ სატრაპეზოში, რაც მეტად მოხერხებული იქნებოდა).

იმაზე, თუ როდის იქნა აგებული სატრაპეზო სამზადი-საკუჭნაო ოთახითურთ და დროის რა მონაკვეთის განმავლობაში ფუნქციონირებდნენ ისინი, ამ სათავსთა იატაკის ქვეშა მიწის მოტკეპნილობაში და იატაკის ზედა ფენაში მიკვლეული კერამიკული ნაკეთობების ფრაგმენტები მეტყველებს, რომელთაგანაც ყველაზე ადრეული ეგზემპლარები IX-X სს-ს განეკუთვნება, ყველაზე გვიანდელები კი – XIII-XIV სს-ს [მიწიშვილი 1969; ჯაფარიძე 1956; გძელიშვილი 1954; ჩიკოიძე 1979; ჭილაშვილი 1975; ჭილაშვილი 1991; მინდორაშვილი 2008; მინდორაშვილი 2009; ბახტაძე 2007; Наджапова 1964; Кверфельдт 1947 და სხვ.].

როგორც მოსალოდნელი იყო, არქეოლოგიური კვლევით მოპოვებული არტეფაქტებით ყველაზე არგუმენტირებულად სამების ანსამბლში მიმდინარე რეგულარული ღვთისმსახურებისა და ინტენსიური სამონაზვნო ცხოვრების საბოლოო ქრონოლოგიური ფაზა განისაზღვრა. მაგალითად, ეკლესიის ცენტრალური დარბაზის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სათავსსა და დასავლეთის ნართექსში, რომლებიც გვიან შუა საუკუნეებში პერიოდული რელიგიური რიტუალებისთვის ნაკლებად გამოიყენებოდა და, ამდენად, მათი მოლესილი იატაკების გასუფთავება არ ხდებოდა, შემორჩენილი აღმოჩნდა ხმარებისას მწყობრიდან გამოსული და იატაკში ჩატკეპნილი ან მტრის შემოსევის შედეგად, ეკლესიის დარბევისას იატაკზე მიმობნეული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. IV). აი, ზოგიერთი მათგანი:

1. თეთრად გამომწვარი, კარგად განლექილ კეციანი დოქის ნატეხები. მისი ზედაპირი დაფარული ყოფილა თეთრი ანგობის ხსნარით. ჭურჭელი მოხატული ყოფილა შავი და თეთრი საღებავებით, ერთმანეთთან მონაცვლეობით, კომბინაციაში. მოხატული ყოფილა ყელი, მხარი და მუცლის ზედა ნაწილები. საღებავით გამოსახულია რკალები (კონცენტრულად: შავი წრის შიგნით წითელი წრე და შემდეგ ისევ შავი), კლაკნილი სახეები, სპირალები, შავ სწორ ზოლებს შორის წითელი წერტილები. ამ ტიპის ღია ფერის კეციანი, წითელი და შავი საღებავებით მოხატული ჭურჭელი მრავლად გვხვდება შუა საუკუნეების საქართველოს ნაქალაქარების თუ მონასტრების განათხარ მასალაში: რუსთავში [ჭილაშვილი 1958: 105], თბილისში, დმანისში, თელავში, არეშში, სიონში, უფლისციხეში [ჯაფარიძე 1956: 20; ჩიკოიძე 1979: 51; ჭილაშვილი 1991: 37; რამიშვილი 1970: 95; მინდორაშვილი 2008: 42-43; თვალჭრელიძე 2001: 36 და სხვ.], გუდარეხისა და პირღებულის მონასტრებში [მუსხელიშვილი 1954; ბახტაძე, კუპრაშვილი... 2005]. მათ უმთავრესად XI-XIII სს-ით ათარიღებენ. გამოთქმულია განსხვავებული ვერსიაც – მ. სინაურიძის აზრით, ამ სახეობის ჭურჭლის დამზადება საქართველოში ადრეული შუა საუკუნეების უკანასკნელ სტადიაზე, VIII-IX საუკუნეებში დაიწყო და განვითარებულ შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელდა [სინაურიძე 1966: 78]. ც. ჩიკოიძე ასეთი ნაწარმის დამზადების ქვედა ზღვრად საქართველოში XI საუკუნეს მიიჩნევს [ჩიკოიძე 1969: 51]. მ. მიწიშვილი ამ ტიპის ჭურჭელს IX-X საუკუნეებს მიაკუთვნებს [მიწიშვილი 1979: 30], ხოლო დ. მინდორაშვილი მათ დამზადებას XIV ს-შიც დასაშვებად მიიჩნევს [მინდორაშვილი 2008: 43]. ჩვენ მიერ შუა საუკუნეების მრავალ არქეოლოგიურ ძეგლზე (ქვემო ქართლის კლდის სოფლები და მონასტრები, პირღებულის მონასტერი, არეში და სხვ.) მოპოვებული ანალოგიური მასალის სტრატიგრაფიული განფენის საფუძველზე თითქოს საბოლოოდ ჩამოგვიყალიბდა შემდეგი აზრი ამ სახეობის ჭურჭლის დამზადება-მოხმარების ხანის თაობაზე: როგორც ჩანს, ამ ტიპის ჭურჭლის ადრეული ქვესახეობების – მაგ., ყვითლად გამომწვარი და ნაპრიალებ ზედაპირიანი სასმისების წარმოებას საფუძველი მართლაც IX-X საუკუნეებში ეყრება და ისინი საყოველთაოდ იყო გავრცელებული XI-XII საუკუნეებშიც, შესაძლოა XIII ს-ის პირველ ნახევარშიც კი, თუმცა ამ დროს მათ ზედაპირებს მოხატვამდე უკვე თეთრი ანგობით ფარავდნენ და ჭურჭლის ფორმებიც გაცილებით მრავალფეროვანია. XIII ს-ის მეორე ნახევრისა და XIV საუკუნეების ძეგლებზე მსგავსი ნაწარმი ერთეული რემინისცენციების სახითღა გვხვდება [ბახტაძე 1991: 74-78].

2. ვარდისფრად გამომწვარი, მარცვლოვანკეციანი თიხის ჯამის გვერდის ფრაგმენტი (ბორტის მიმდებარე ნაწილი). ჭურჭლის შიდაპირი თეთრი ანგობით იყო დაფარული, რომელზედაც ფუნჯით, ღვიძლისფერი კონტურებით გამოყვანილი ყოფილა გეომეტრიული-მცენარეული სახეები: ნატეხზე შემორჩენილია შეწყვილებული ფოთლების ყუნწები, რომელთაგან ერთი ყვითლადაა შეღებული, მეორე კი მწვანედ (ტაბ. IV_1). ჭურჭლის შიდაპირზე გადავლებულია უფერო, გამჭვირვალე ჭიქური. ამ სტილის მოჭიქული

ჭურჭელიც საქართველოში და ზოგიერთ მის მეზობელ ქვეყანაში XII-XIII საუკუნეებში მზადდებოდა [ჯაფარიძე 1956; მიწიშვილი 1969; Wilkinson 1963; Якобсон 1965 და სხვ.].

3. ვარდისფრად გამომწვარი, ბორბლისებურ ქუსლიანი თიხის ჯამის ნაკლული ნაწილი. გამოწვამდე ჯამის შიდაპირი თეთრი ანგობის ფენით ყოფილა დაფარული, შემდეგ კი ფუნჯით, შავი საღებავით ბორტის ირგვლივ წრე ყოფილა შემოვლებული, რომელიც ასეთივე საღებავის ურთიერთპერპენდიკულარული ხაზებით უჯრედად ყოფილა დაყოფილი, თითოეულ უჯრაში კი თითო შავი წერტილია „ჩახატული“ (ტაბ. IV_3). საკვირველი ის არის, რომ ამის შემდეგ, გამოწვის წინ, ეს ჯამი აღარ მოუჭიქავთ – პირდაპირ ასეთი სახით მოხატულს მოიხმარდნენ; ამ ტიპის მოხატული ჭურჭელი საქართველოში XII-XIII სს-ში მზადდებოდა და აქამდე ვფიქრობდით, რომ ისინი, როგორც წესი, მოჭიქული იყო [მიწიშვილი 1969: ტაბ. X; ჩიკოიძე 1979: ტაბ. XIII_1], ახლა კი დადასტურდა, რომ მათ ნაწილს მოუჭიქავადაც მოიხმარდნენ, ეს „ეკონომიური“ წესი კი XIII ს-ის ბოლოზე ან XIV ს-ზე უნდა მიგვანიშნებდეს [ბახტაძე 2007: 153-154; ბახტაძე... 2005].

ეკლესიის სხვა სათავსების და მისი მინაშენების იატაკებზეც საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა XII-XIV საუკუნეების საქართველოსთვის ტიპიური კერამიკული ნაკეთობების ნიმუშები (ტაბ. $IV_{2,4,5,7-10}$). ამრიგად, ჩვენთვის ნათელი გახდა სამების სამონასტრო კომპლექსში რეგულარული ღვთისმსახურების შეწყვეტის ხანა – ეს უნდა მომხდარიყო XIV საუკუნის მიწურულს, ვფიქრობთ, საქართველოს ამ მხარეში თემურ-ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობის შედეგად [ბატონიშვილი ... 1973: 268].

ამრიგად, არქეოლოგიურ-ხუროთმოძღვრული კვლევით განვსაზღვრეთ რა სამების კომპლექსის ფუნქცია, აგრეთვე მისი წარმოშობის, მეტ-ნაკლებად ინტენსიური ფუნქციონირების და გაუდაბურების ქრონოლოგიური ნიშანსვეტები, გადასაწყვეტი დაგვრჩა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი – დამოუკიდებელ სამონასტრო ორგანიზაციას წარმოადგენდა ეს ანსამბლი თუ ნეკრესის მონასტრის ახალშენ განყოფილებას, ანუ „მეტოქს“.

მიუხედავად იმისა, რომ სამების მთის ამ მომცრო სამონაზვნო კომპლექსს დამოუკიდებელი სამარტომყოფელო ორგანიზაციისათვის აუცილებელი თითქმის ყველა ატრიბუტი გააჩნია (ეკლესია, წყლის რეზერვუარებით და საკუჭნაოთი აღჭურვილი სატრაპეზო, ირგვლივ მიმოფენილი სენაკების ნაშთები), მისი სიახლოვე და ხაზგასმული ვიზუალური კავშირი ნეკრესის მძლავრ, გარემოზე დომინირებულ მონასტერთან თითქოს უფრო იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ეს კომპლექსი დაარსების ხანიდან მოყოლებული დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც, დამოუკიდებელ მონასტერს კი არ წარმოადგენდა, არამედ ნეკრესის დედა-მონასტრის დაქვემდებარებაში მყოფ „მეტოქს“ [ჯავახიშვილი 1984: 38-41; ბახტაძე 2007: 95-97].

ასეთ მტკიცებას მხარს უნდა უჭერდეს შემდეგი გარემოებაც: სამების ეკლესიისა და მისი მიმდებარე სატრაპეზოს გათხრების შედეგად, XI-XII საუკუნეების არტეფაქტების შემცველ ფენაში დადასტურდა მსხვერპლად შეწირული ტახის ეშვები (ტაბ. IV_6). როგორც ცნობილია, ნეკრესის მონასტერი დღემდე ერთადერთ „სალოცავად“ ითვლებოდა საქართველოში, სადაც ღორების მსხვერპლად შეწირვის ტრადიცია საუკუნეების განმავლობაში თითქმის კანონიზირებული იყო. ვფიქრობთ, ძნელად წარმოსადგენია, რომ ერთმანეთისგან გეოგრაფიულად ამდენად ახლოს მდებარე ორ დამოუკიდებელ მონასტერში, ღორების შეწირვის უიშვიათესი, წარმართობის ხანიდან უცნაურად შემორჩენილი ტრადიცია ზუსტად ერთმანეთის ანალოგიურად შემონახულიყო.

გამოსარიცხი არ არის მოვლენათა შემდეგი თანმიმდევრობაც: შესაძლოა სამების მთაზეც, ისევე როგორც მრავალ აღმოსავლურ-ქრისტიანულ ადრეულ მონასტერში [Hirschfeld 1992: 59-61, 213-220; Meinardus 2003: 157-160], თავდაპირველად ნეკრესის მონასტრიდან „გასულმა“, უფრო ასკეტური ღვთისმსახურების მოსურნე ბერებმა მოაწყეს „სოხასტერი“ [ჯავახიშვილი 1984: 38-39], შემდეგ ეს სადაყუდებულო ჯერ დედა-მონასტრის ერთგვარ ფილიალად, მეტოქად იქცა (სავარაუდოდ, განხილული ტაძრის აგების შემდეგ), საბოლოოდ კი დამოუკიდებელ სამონასტრო ორგანიზაციადაც კი.

N. Bakhtadze

THE RESULTS OF AN ARCHAEOLOGICAL STUDY OF THE SAMEBA MONASTIC COMPLEX NEWLY DISCOVERED IN THE VICINITY OF THE FORMER CITY SITE OF NEKRESI

Summary

The complex of the Sameba (Holy Trinity) church is situated on a ridge in some 3 km to the south-east of Nekresi monastery, in Qvareli district. To date the complex has not become the object of special scholarly study. The Holy church of the Trinity – the best preserved dominant of the ensemble – belongs to the three-church basilicas, a type of churches widespread in the 6th-10th in Georgia, especially in the Kakheti region. As a result of the archaeological study, during which trenches were made in the floors of the central hall of the church and the chapel, fragments of pottery were retrieved, dating the structure to the 6th century. Thus, it is not ruled out that the building of the church in this vicinity was connected with the activity of St. Abibos Nekreseli or his direct associates. After all, the Holy Syrian Father was not only the founder of the Nekresi monastery but bishop of the region as well.

Taking into consideration a number of details or components attested archaeologically in the Sameba complex, it became clear that due to the unity of these structures, we are dealing with a monastic ensemble: churches intended for parishes do not have a common crypt with walls in the ground and an anchorites cell on the top of the western corridor, as found in the northern chapel of the present case. The cell – the only element of this type attested in Georgian reality – was the dwelling of the Holy Father, follower of the anchorite tradition widespread in the monasteries of the entire Christian world of the East. Apart from this, the northern broad annexe of the church of the Trinity excavations brought to light such economy and household details (bread-oven, wine jars, hearth, large water tanks), pointing to the fact that these facilities were a refectory and a larder-cum-kitchen, behind it. Facilities of this function occur only in monastic ensembles. Proceeding from the closeness to one another of the cell and these facilities, as well as from the full analogy of the material, I believe that the minor monastic organization of Sameba must have been from the start a branch ("metochion") under the mother-monastery of Nekresi.

ლიტერატურა

აბრამიშვილი რ., ჭილაშვილი ლ. 1962: ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები. – სსმმ, XXIII-B, 197-206.

აბულაძე ი. 1955: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. თბილისი.

არჩვაძე თ. 1969: მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის წარმოების ისტორიისათვის შუასაუკუნეთა საქართველოში. – ფსაძ, I, 126-133.

ბატონიშვილი ვახუშტი. 1973: აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბილისი.

ბახტაძე ნ. 1991: ქვემო ქართლის კლდის ძეგლები. თბილისი.

ბახტაძე ნ. 2003: შუა საუკუნეების ქართული მონასტრების გენეზისისა და სტრუქტურის ზოგიერთი პრობლემა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. – დ. მუსხელიშვილი (რედ.), ლოგოსი, 1, 13-21. თბილისი.

ბახტაძე ნ. 2007: კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში. თბილისი.

ბახტაძე ნ. 2010: ნეკრესის მონასტრის მემორიალური სამლოცველოს არქეოლოგიური კვლევის შედეგები. – სემმ, I, 118-140.

ბახტაძე ნ. 2010ა: ნეკრესის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭაბუკაურის ბაზილიკის დათარიღებისათვის. – ძიებანი, № 19, 209-220.

ბახტაძე ნ., ზენდერი კ., მირიანაშვილი ლ., კუპრაშვილი ნ., ჯოჯუა თ. 2005: პირღებულის მონასტერი. თბილისი.

ბახტაძე ნ., თევდორაშვილი ნ., ბაგრატიონი გ. 2010: ნეკრესი (ცნობარი მომლოცველთა და მოგზაურთათვის). თბილისი.

ბერიძე ვ. 1974: ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბილისი.

ბოხოჩაძე ა. 1969: მასალები შუაფეოდალური მცხეთის ისტორიისთვის. – ფსაძ, I, 20-26.

გძელიშვილი ი. 1954: თეთრი წყაროს რაიონის ნასოფლარები. – სმამ, ტ. XV, № 5, 311-319.

გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო. 1961: თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები. თბილისი.

ვირსალაძე თ. 1984: ატენის სიონის მოხატულობა. ალბომი. ტექსტის ავტორი თ. ვირსალაძე. თბილისი.

თვალჭრელიძე ზ. 2001: გარეჯის სამონასტრო ცხოვრების განვითარების ეტაპები არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. – ზ. სხირტლაძე (რედ.), სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში. გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი, თბილისი, 27-47.

მამაიაშვილი ნ. 2004: ქალაქი ჭერემი. თბილისი.

მარტვილობაჲ აბიბოს ნეკრესელისა. 1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I. თბილისი.

მინდორაშვილი დ. 2008: უფლისციხე შუა საუკუნეებში. თბილისი.

მინდორაშვილი დ. 2009: არქეოლოგიური გათხრები ძველ თბილისში. თბილისი.

მიწიშვილი მ. 1969: მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში, IX—XIII სს. თბილისი.

მიწიშვილი მ. 1974: თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა. – ფსაძ, II, 189-200.

მუსხელიშვილი ლ., ხიდაშელი შ., ჯაფარიძე ვ. 1954: გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში. თბილისი.

რამიშვილი რ. 1970: ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I, სიონი. თბილისი.

სინაურიძე მ. 1966: აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა. – გ. ლომთათიძე (რედ.). მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 39-90. თბილისი.

ჩიკოიძე ც. 1979: ქალაქი თელავი. თბილისი.

ჭილაშვილი ლ. 1958: ქალაქი რუსთავი. თბილისი.

ჭილაშვილი ლ. 1964: ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი.

ჭილაშვილი ლ. 1975: ძველი გავაზი. თბილისი.

ჭილაშვილი ლ. 1991: არეში. თბილისი.

ჭილაშვილი ლ. 2004: ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები. თბილისი.

ჯავახიშვილი ივ. 1984: ქართული სამართლის ისტორია, წ. 2. თხზულებანი 12 ტომად, ტ.VII. თბილისი.

ჯაფარიძე ვ. 1956: კერამიკული წარმოება XI—XIII სს. საქართველოში. თბილისი.

Кверфельдт Э. 1947: Керамика Ближнего Востока. Ленинград.

Наджафова Н. 1964: Художественная керамика Азербайджана XII-XV вв. Баку.

Чубинашвили Г. 1959: Архитектура Кахетии. Тбилиси.

Якобсон А. 1965: Художественная керамика Байлакана (Орен-Кала) – МИА № 69, 46-87.

Chryssavagis J. 2003 : In the heart of the desert. The spirituality of the desert fathers and mothers. Washington.

Hirschfeld Y. 1992: The Judean desert monasteries in the Byzantine period. New Haven and London.

Kostof S. 1989: Caves of Cod. Cappadocia and its churches. Oxford University Press.

Malone E. 1950: The monks and martyr. Washington.

Meinardus O. 2003: Monks and monasteries of Egyptian deserts. Cairo, New York

Wilkinson C. 1963: Iranian ceramics. New-York.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I – 1. სამების ეკლესია არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე. ხედი სამხრეთიდან; **2.** სამების ეკლესია არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან; **3**. სამების ეკლესიის აღმოსავლეთის მინაშენი გათხრების შემდეგ; **4.** სატრაპეზოს აღმოსავლეთის კედელი და გახსნილი აკლდამა; **5.** ბერების ნეშტების ფრაგმენტები ეკლესიის ჩრდილოეთის კრიპტის ხელყოფილი საძვალე კამერიდან; **6.** სატრაპეზოს ჩრდილოეთით მდებარე სამზადი (კუთხეში თონით).

ტაბ. II – 1. სამების ეკლესიის კომპლექსი. გეგმა; **2.** სამების ეკლესია. ჭრილი საკურთხევლისკენ.

ტაბ. III – სამების ეკლესიის სამშენებლო ფენაში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ტაბ. IV – სატრაპეზოსა და სამზარეულო-საკუჭნაო ბლოკის იატაკების გათხრისას აღმოჩენილი მოჭიქული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ტაბ. **V –** სამების ეკლესიის იატაკების ზედა ფენებში აღმოჩენილი მოჭიქული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ტაბ. **VI –** სატრაპეზოსა და სამზარეულო-საკუჭნაო ბლოკის იატაკების გათხრისას აღმოჩენილი მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

DESCRIPTION OF THE PLATES

Pl. I – 1. The church of Sameba prior to the commencement of archaeological excavations. View from the south; 2. The church of Sameba prior to the commencement of archaeological excavations. View from the north-east; 3. The eastern annexe of the Sameba church following the excavations; 4. The eastern wall of refectory and the opened crypt; 5. Fragments of the remains of monks from the damaged ossuary chamber of the north crypt of the church; 6. Kitchen in the north of the refectory (with a bread oven in the corner).

Pl. II – 1. Complex of Sameba church. Plan; 2. Sameba church, section.

Pl. III – Fragments of the clayware found in the construction layer of Sameba church.

Pl. IV – Fragments of the glazed clayware found during the excavations of floors of the refectory and kitchen-larder.

Pl. V – Fragments of the glazed clayware found in the upper layers of the floors of Sameba church.

Pl. VI – Fragments of the unglazed clayware found during the excavations of floors of the refectory and kitchen-larder.

ტაბ. I



1

2

3

4

5

6



1



2

ტაბ. III




1
2
3
4
5
6
7
8
9
10

ტაბ. V



1

2

3

4


5

6

7

8

9

თინა აბულაშვილი

გამოფენა „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“

ჩვენი სტატიის მიზანია გავნაგრძოთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოწყობილი არქეოლოგიური გამოფენების ისტორიის შესწავლა. წინა სტატია ეძღვნებოდა 1934 და 1941 წლებში მოწყობილ არქეოლოგიურ გამოფენებს, სადაც აღნიშნული იყო, რომ თუ 1934 წლის ექსპოზიციის მიზანი იყო მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდა, 1941 წლის გამოფენის მიზანი იყო ძველი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების წარმოჩენა [აბულაშვილი, ახვლედიანი, გურული 2010]. ეს სტატია აგრძელებს კვლევის ამ მიმართულებას და გვსურს წარმოვაჩინოთ ამ გამოფენების შუალედში, 1937 წელს მოწყობილი არქეოლოგიური გამოფენა, რომელიც ასახავდა XI-XIII სს-ის საქართველოს.

მუზეუმის მიერ გამოფენის მოწყობა ეს არის ერთ-ერთი გზა საზოგადოების იდენტიფიკაციისა წარსულთან მიმართებაში. მატერიალური კულტურის ყველა გამოფენაზე, რომელიც კი საქართველოს ეროვნულ მუზეუმს მოუწყვია დღიდან დაარსებისა, არქეოლოგიური ნაწილი მუდამ მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა. ასე იყო პირველ გამოფენაზე 1867 წელს; 1881 წელს მეხუთე არქეოლოგიური ყრილობისადმი მიძღვნილ გამოფენაზე; 1934 წლის ექსპოზიციაზე; 1941 წელს მცხეთასა და თრიალეთში ახალი აღმოჩენებისადმი მიძღვნილ გამოფენაზე და ასევე შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ გამოფენაზე. ამ ბრწყინვალე გამოფენებით საკმაოდ წარმოჩინდა მუზეუმის ავტორიტეტი.

1935 წელს საქართველოს მთავრობის დავალებით, საქართველოს სახელმწფო მუზეუმში დაიწყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გამოფენის მოწყობის სამზადისი, რომელიც თითქმის ორ წელს გრძელდებოდა.

მუზეუმის დირექციის გადაწყვეტილებით „შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის“ გამოფენის მოსაწყობად გამოიყო კომისია შემდეგი შემადგენლობით: პ. ინგოროყვა (თავმჯდომარე), ივ. ჯავახიშვილი, ალ. ბარამიძე, ნ. ბერძენიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ს. ჯანაშია [ჭილაშვილი 2002: 50]. ამავე მიზნით 1936 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბაზაზე ჩამოყალიბდა, „შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი“, რომლის დირექტორად ივ. ჯავახიშვილი დაინიშნა. მუზეუმის უპირველესი მოვალეობა სადღესასწაულო გამოფენის მოწყობა იყო, რომელიც სრულ წარმოდგენას შექმნიდა ამ ეპოქაზე.

საგამოფენო მუშაობა სამად დანაწილდა – სალიტერატურო (ხელმძღვანელი პ. ინგოროყვა), ხელოვნების (ხელმძღვანელი პროფ. გ. ჩუბინაშვილი) და ყოფაცხოვრება-მეურნეობის სექტორთა შორის, ამ უკანასკნელს ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა [ჯავახიშვილი 1953: 5]. შემუშავდა გამოფენის გეგმა. დაიწყო დარბაზების დაგეგმვა, კარების დაგეგმვა, დგინდებოდა საგამოფენო ავეჯის ფორმა, ეტიკეტები და სხვა.

გამოფენაზე ნაჩვენები უნდა ყოფილიყო, საქართველოს ყოფა-ცხოვრება XI-XIII სს-ში, როგორი იყო მისი სახელმწიფოებრიობა. მნახველს უნდა წარმოედგინა რაინდობის წესები, სცოდნოდა რას იცვამდნენ, რა ავეჯი და ჭურჭლეულობა, სამეურნეო და საბრძოლო იარაღი ჰქონდათ, რა დონეზე იყო სოფლის მეურნეობა, როგორ იყო მოწყობილი საქალაქო ცხოვრება, ვაჭრობა, მრეწველობა და ა.შ. იმდროინდელი სურათის აღსადგენად და გამოფენის მოსაწყობად არ იყო საკმარისი წერილობითი წყაროების ცნობები. აუცილებელი იყო იმ პერიოდის ამსახველი ნივთები. სწორედ ამიტომ დაიწყო სამეცნიერო-საკვლევი, საძიებო-შემკრებლობითი სამუშაოების განხორციელება. ამისათვის 1936 წლიდან აქტიური საველე არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო. გათხრები ჩატარდა დმანისში, ბოლნისში, გუდარეხში, სამშვილდეში, გეგუთში, სხალტბა-შიომღვიმეში, ალაზნის ველზე [აფაქიძე 1972: 109]. ჩატარდა ძველი ანაგის, კოლოთოს ჯერ დაზვერვითი და შემდეგ გათხრითი სამუშაოები. ხდებოდა ნაქალაქარების, ციხე-დარბაზების, სასახლეების, სამონასტრო კომპლექსების, წყალსადენების, გზების, ქარვასლების თუ აბანოების გათხრა-შესწავლა. გათხრით სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ: ივ. ჯავახიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ლ. მუსხელიშვილი, ს. მენთეშაშ-

ვილი, შ. ხიდაშელი, ვ. ჯაფარიძე, ი. ქასრაშვილი და სხვები.

ყოფაცხოვრება-მეურნეობის სექტორის გამოფენის გეგმა რომელიც შეიმუშავა ივ. ჯავახიშვილმა, დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ – წერილში „შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა“. აქ ივ. ჯავახიშვილი წერს: - „ყოფაცხოვრებისა და მეურნეობის სექტორის გამოფენა მთელი მაშინდელი მატერიალური კულტურის ამსახველი უნდა იყოს. ამის აღსადგენად, მისი დონის გასათვალისწინებლად .... რა თქმა უნდა მარტო წერილობითი წყაროების ცნობები საკმარისი არ არის, არამედ ამ კულტურის თვით იმდროინდელი ნივთებიც არის აუცილებლად საჭირო. ვისაც მატერიალური კულტურის ისტორია თუნდაც მარტო გადაკითხული აქვს, ეცოდინება, რომ უძველესი ხანის საყოფაცხოვრებო ნივთები და საგნები, ტანისამოსი, თავსაბურავი, ფეხსაცმელი, ქსოვილები, ავეჯი, ჭურჭელი და იარაღი მეტად ცოტაა გადარჩენილი და იშვიათად თუ სადმე მოიპოვება, ისიც თითო-ოროლა. პოლიტიკური ცხოვრების უკუღმართობამ, დროისა და ჰავა-ნიადაგის ულმობელობამ და წარსულ თაობათა შეუგნებლობა-დაუდევრობამ ასეთი საგნების უმეტესობა იმსხვერპლა და ხშირად უკვალოდაც კი დაუკარგა მეცნიერებას... ძველ საქართველოზე მრავალგზის თავდამტყდარმა უბედურებამ ქართული მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი იმსხვერპლა, ხოლო რაც გადარჩა, იმათგანაც ბევრი რამ რომანოვების ხანაში მთავრობის მოხელეთა უკულტურო ბატონობისა და ჩვენ წარსულ თაობათა შეუგნებლობა-დაუდევრობის გამო გაჩანაგდა და განადგურდა. ამიტომ გასაკვირველიც არაფერია, თუ ჩვენ XI-XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ნივთიერ ნაშთთაგან ძალიან ცოტა-ღა გვაქვს გადარჩენილი. ცნობილია, რომ ვაჭრობა-მრეწველობისა და ხელობა-ხელოსნობის კერა უმთავრესად ქალაქებში იყო, ამიტომაც მაშინდელი საქართველოს ქალაქის გეგმისა და ყოფა-ცხოვრების ცოდნა და წარმოდგენა იყო საჭირო. რაკი საქართველოს ჩვენს დრომდის არსებული ძველი ქალაქებიდან არცერთს ძველი საქალაქო კულტურის აღარავითარი ძეგლი შემორჩენილი არა აქვს, ამისათვის ნაქალაქარი დმანისის არქეოლოგიურ გათხრას შევუდექით. იმედი გვქონდა იქ ქალაქის იმდროინდელ გეგმას მაინც გამოვარკვევდით, მოწყობილობას ვნახავდით და საყოფაცხოვრებო საგნებს ვიპოვიდით“ [ჯავახიშვილი 1937].

1936-37 წწ-ში დაიწყო გათხრები დმანისის ნაქალაქარზე. აღნიშნულ სამუშაოებში შოთა რუსთაველის მუზეუმთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ისტორიის განყოფილება. გათხრებს საერთო ხელმძღვანელობას ივ. ჯავახიშვილი უწევდა. ადგილზე საველე სამუშაოებს აწარმოებდა ექსპედიცია ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით.

გაითხარა და შესწავლილ იქნა ციხის აბანო, ზემო და ქვემო აბანო, ბეღელი, მარნები, შენობები, ქალაქის ჭიშკარი, გაიწმინდა შიდაციხე. გამოვლინდა ქვაფენილი ქუჩა. აიზომა სიონი, სამრეკლო. აღმოჩნდა – სპილენძის, რკინის, თიხის, ძვლის, რქის, მინის ნივთები, გამდიდრდა ქართული ნუმიზმატიკა [მუსხელიშვილი ლ. 1938: 319-348]. გათხრებმა ცხადყო, რომ დმანისი XI-XIII სს-ში ტიპიური ქალაქია და მისი აყვავების ხანა სწორედ ეს პერიოდი იყო.

1936 წელსვე დამანისში გათხრების დაწყებამდე საიუბილეო კომიტეტის და „ენიმკი“-ს დავალებით ექსპედიცია მუშაობდა ბოლნისში ივ. ჯავახიშვილის საერთო ხელმძღვანელობით. გათხრებს აწარმოებდნენ ლ. მუსხელიშვილი და კონსულტანტი გ. ჩუბინაშვილი. კვლევის მიზანი იყო ბოლნისის ძველი საეპისკოპოსო ტაძრის თავდაპირველი სახის გამორკვევა და გალავნის შიგნით მდებარე სამარხთა გათხრა და შესწავლა. გათხრების შედეგად მოხერხდა ტაძრის პირვანდელი გეგმის აღდგენა. აღმოჩნდა ახალი, მდიდარი ეპიგრაფიკული მასალა, განსაკუთრებით კი საყურადღებო და მნიშვნელოვანი იყო დიდი სამშენებლო წარწერა, რომელიც ამოჭრილია „პეროზ სასანიდის“ ზეობაში 459-483 წწ [ჯანაშია 1939: XXXIV].

საგამოფენო გეგმაში შედიოდა ასევე გეგუთის სამეფო სასახლის ნაშთის გათხრა. საიუბილეო კომიტეტმა გეგუთში გათხრები დაიწყო 1937 წელს. გათხრებს აწარმოებდნენ ლ. მუსხელიშვილი და ლ. წილოსანი. ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „თუ დმანისმა საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო ნაგებობათა მხრივ უკვე ზოგი რამ შეგვძინა ..... იქ სასახლეების, მეტადრე სამეფო დარბაზების აღმოჩენის იმედი არ შეიძლებოდა გვქონოდაო“. ერთ-ერთი ადგილი, სადაც რუსთაველის ხანის (გიორგი III-ის მიერ 1150-იან წლებში აგებული, შემდეგ შეკეთებული და მხოლოდ XIX ს-ის პირველ მესამედში ძალით დანგრეული) სამეფო სასახლის ნაშთი ეგულებოდათ, იყო გეგუთი.

1937 წელს ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები შიომღვიმის მონასტერში გაყვანილ წყალსადენზე. იგი აშენდა თამარ მეფის მწიგნობარ-

თუხუცესის ანტონ ჭყონდიდელის ბრძანებით 1199-1202 წწ. წყალსადენი ამარაგებდა წყლით სოფ. სხალტბასა და შიომღვიმის მონასტერს. გათხრებით გამოკვლეული იქნა, რომ წყაროს წყალი სოფელს და მონასტერს მიეწოდებოდა 2 კმ-ის მანძილზე სპეციალური კერამიკული მილებით. აღმოჩნდა ამ მილების სამი ტრასა. წყალსადენის ტრასა გადიოდა რთული რელიეფის მქონე ადგილას სპეციალურად გათხრილ თხრილებსა და გვირაბებში. განსაზღვრულ მანძილზე ერთიმეორისაგან მოთავსებული იყო თიხის ქილები – თანგირები და საკონტროლო ჭები, რომლებიც იძლევა დაზიანების ადგილის სწრაფი პოვნისა და მისი შეკეთების საშუალებას. ეს ყოველივე იმდროინდელი ტექნიკის მაღალ დონეს, ოსტატობას და საქმის ცოდნის ასახავს [ჯავახიშვილი 1953: 17]. არქეოლოგიურ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა შ. ხიდაშელი.

ამავე წელს აკად. ივ. ჯავახიშვილის საერთო ხელმძღვანელობით არქეოლოგიური და ტოპოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლილ იქნა ალაზნის არხი. ეს არხი გაყვანილი იყო მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ 119 კმ სიგრძეზე და განკუთვნილი იყო დიდი ტერიტორიის სახნავი მიწების (53000 ჰა) მოსარწყავად [ჯავახიშვილი 1953: 16]. ამ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალის საფუძველზე 1937 წელს გაიხსნა მასშტაბური გამოფენა სახელწოდებით „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო იმ დროის მრავალი დარგი. ეს ყოველივე განთავსდა ორ დარბაზში. ექსპოზიცია იწყებოდა XI-XIII სს-ის საქართველოს ეკონომიკის ამსახველი მასალით, კერძოდ, სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების – მემინდვრეობის, მევენახეობის, მეცხვარეობის.

პირველი დარბაზის შესავალი კარის მარჯვნივ კედელზე, სქემატურ ნახაზზე წარმოდგენილი იყო მინდვრის უმთავრესი კულტურები და სახნავ იარაღთა მრავალსახეობა. ვიტრინებში გამოფენილი იყო მასალა ქართული ცხვრის, და ქართული ვაზის ძველებური ჯიშების შესახებ, ასევე ქვევრები და ამ პერიოდის თიხის საღვინე ჭურჭელი [ჯავახიშვილი 1953: 7-12]. აქვე მოთავსებული იყო თამარის მეფობაში გაყვანილი ალაზნის სარწყავი არხის გეგმა და ჭრილი, დარბაზის მარცხენა მხარეს სტენდებზე სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენის ნაწილები იყო წარმოდგენილი – გეგმა და ჭრილი, გათხრების ამსახველი ფოტოსურათები [ჯავახიშვილი 1953:17].

მეორე დარბაზში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ქსოვილებსა და ტანსაცმელს. ტანსაცმელი ნაჩვენები იყო მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის მიხედვით. ვიტრინებში ცალ-ცალკე გამოფენილი იყო სამეფო ტანსაცმლის დეტალები, დიდგვაროვანთა სამოსელი და საშუალო ფენის სამოსელი. წარმოდგენილი იყო ასევე მეფეთა და წარჩინებულთა პორტრეტების პირები, რომლებიც გადმოღებული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ძეგლებიდან [ჯავახიშვილი 1953: 20-23]. გამოფენილი იყო სამკაულები და საპირფარეშო ნივთები, ზოგადად ნაჩვენები იყო შეიარაღება – მძიმე და მსუბუქი. დარბაზის ბოლო დათმობილი ჰქონდა ქართულ ავეჯს და ჭურჭლს. აქვე იყო დმანისის არქეოლოგიური გათხრების ამსახველი მასალა: ნაქალაქარის ფოტოსურათები, აბანოების გეგმა, ქალაქის კარიბჭის გეგმა, დმანისის ეკლესიის კარიბჭის ნახატი. დარბაზის უკანა კედელი გეგუთის სამეფო ციხე-დარბაზის ცალკეულ ნაწილებს, გეგმას, ნახაზებს და ფოტოსურათებს ეკავა. წარმოდგენილი იყო XI-XIII სს. ეკონომიკური რუკა. დახასიათებული იყო სავაჭრო გზების, ხიდების მნიშვნელობა, ფულის მიმოქცევა და სხვა. აქვე გამოფენილი იყო ამ პერიოდის სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ჭურჭელი, როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული. შედარებით მცირე ადგილი ჰქონდა დათმობილი სამშენებლო კერამიკას [ბოლქვაძე 1974: 168]. შუა დარბაზში ორივე მხარეს იდგა ორი დიდი ქვაბი – მთლიანად ჩამოსხმული [ჯავახიშვილი 1953: 51]. დარბაზის ბოლოს, კედელზე გაკრული იყო XI-XIII სს. საქართველოს დიდი ზომის პოლიტიკური რუკა, რომელზედაც ნაჩვენები იყო ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი, ციხე-ქალაქი, სიმაგრეები და სხვა. ორიგინალების გვერდით წარმოდგენილი იყო ისტორიული ხასიათის კედლის მხატვრობის და მინიატურების პირები, აგრეთვე ნახაზები და ნახატები [ბოლქვაძე 1974: 168]. გამოფენამ მნიშვნელოვნად წარმოაჩინა XI-XIII სს. საქართველოს უმნიშვნელოვანესი როლი ამ ხანის საერთაშორისო ცხოვრებაში. ეს დიდი საიუბილეო წამოწყება იქცა საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიის დაფუძვნებად, რაც თავისებურად სცილდება შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქისადმი მიძღვნილი გამოფენისათვის ნივთების მოპოვების ამოცანას. დაიწყო შუასაუკუნეების საქართველოს ქალაქებისა და ძეგლების კვლევა და შუა საუკუნეების ხანის საქართველოს არქეოლოგთა კადრების აღზრდა.

შეიქმნა დმანისის, ბოლნისის, გუდარეხის და სხალტბის წყალსადენის შემსწავლელი ექსპედიციები. გათხრებმა გამოამზეურა ქართული შუა საუკუნეების ერთ-ერთი უმთავრესი სავაჭრო ქალაქი დმანისი, რომელიც ტიპიურია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ საზოგადოდ ამიერკავკასიისათვის და ამავე დროს იგი არის ტიპიური ახლოაღმოსავლური, მუსლიმანურ-ქრისტიანული ქალაქი, რომლის აყვავების ხანა ემთხვევა ქართული ისტორიის ე.წ. კლასიკურ პერიოდს, XI-XIII საუკუნეებს. ამ აყვავებას დიდად უწყობდა ხელს მისი მდებარობა სომხეთის, კერძოდ, ანისის გზაზე.

გათხრებიდან მოპოვებული მასალა გადაეცა შოთა რუსთაველის და მისი ეპოქის მუზეუმს, ასევე არქეოლოგიური კოლექციები მიეწოდა ერმიტაჟს და მოსკოვის ისტორიულ მუზეუმს [ჯორბენაძე 1974: 458]. გამოიცა კრებულები, რომლებშიც XI-XIII სს-ის საქართველოს ნივთიერი კულტურა მრავალმხრივ არის წარმოდგენილი. ამის შემდეგ შოთა რუსთაველის მუზეუმმა სულ ორ წელიწადს იარსება, უკანასკნელი საველე სამუშაოები 1938 წელს (უკვე იუბილეს შემდეგ) ჩაატარა თეთრიწყაროს რაიონში მდებარე გუდარეხის XIII ს-ის სამონასტრო კომპლექსზე. გათხრებს ლ. მუსხელიშვილი ხელმძღვანელობდა. შემდგომში ეს მუზეუმი შეერწყა მთელი თავისი აპარატურით საქართველოს აკადემიაში გ. ჩუბინაშვილის მეთაურობით შექმნილ ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორს, შემდეგ კი ინსტიტუტს, ხოლო მისი კოლექციების მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. ყოფა-ცხოვრების და მეურნეობის სექტორი 1938 წლიდან დატოვებულ იქნა საქართველოს მუზეუმში, როგორც სტაციონარული ექსპოზიცია, სახელწოდებით „XI-XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურა“. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის გაუქმების შემდეგ „მიწისზედა“ ძეგლების შესწავლა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს დაევალა, ხოლო საველე სამუშაოები ჯერ „ენიმკი“-ს, ხოლო შემდეგ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტს [ბოლქვაძე 1974: 168]. ამ გამოფენამ მრავალი ძვირფასი ცნობა მისცა დაინტერესებულ მნახველს.

ამდენად, 1937 წელს მოწყობილი გამოფენა იყო მაგალითი იმ იდეოლოგიური ცვლილებისა, რაც მოხდა საბჭოთა კავშირში გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში.

T. Abulashvili

Shota Rustaveli and an Exhibition Reflecting His Time

Summary

In 1937 the Georgian National Museum held a large-scale exhibition: "The Material Culture of Shota Rustaveli's Epoch". It showed Georgian life in the 11th-13th centuries. To organize this exhibition archaeological excavations were carried out at Dmanisi, Bolnisi, Gudarekhi, Samshvilde, Geguti, Skhaltba-Shiomghvime, and the Alazani plain. The excavations were directed by I. Javakhishvili, G. Chubinashvili, L. Muskhelishvili, S. Menteshashvili, Sh. Khidasheli, V. Japaridze, I. Kasrashvili and others. Preparations for opening the exhibition continued for almost two years. Many fields of that period were represented at the exhibition, occupying two halls. It demonstrated the major role of 11th-13th cent. Georgia in the international life of the period. This major anniversary undertaking turned into the founding of Medieval Georgian archaeology, for it exceeded the task of gathering exhibits for an exhibition dedicated to Rustaveli and his time.

ლიტერატურა

აბულაშვილი თ., ახვლედიანი დ., გურული ვ. 2010: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1934 და 1941 წლებში მოწყობილი არქეოლოგიური გამოფენები. – კულტურულ-საისტორიო ძიებანი, სამეცნიერო კრებული მიძღვნილი საქ. მეც. აკად. წევრ-კორესპონდენტის გ. ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი. თბილისი, 253-269.

აფაქიძე ა. 1972: ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა. თბილისი.

ბოლქვაძე ს. 1974: აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატები. – სსმმ, XXX-B, 154-184.

მუსხელიშვილი ლ. 1938: დმანისი. ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა – შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი, 319-348.

ჭილაშვილი ლ. 2002: საუკუნე-ნახევრის გადასახედიდან. – სსმმ, 44, 29-70.

ჯორბენაძე ს. 1974: ცხოვრება და ღვაწლი ივ. ჯავახიშვილისა. თბილისი.

ჯანაშია ს. 1937: საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლის თავზე. – ენიმკის მოამბე, I, XI-XL.

ჯავახიშვილი ალ., ბაქრაძე ა., კაპანაძე დ., შოშიაშვილი ი., ჯაფარიძე ვ. 1953: XI-XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურა, გამოფენის გზამკვლევი. თბილისი.

ჯავახიშვილი ივ. 1937: შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა, გაზეთი კომუნისტი, № 55.

ბესარიონ მაისურაძე



ქართულმა არქეოლოგიამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 63 წლის ასაკში, მოულოდნელად, გარდაიცვალა ცნობილი არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მოადგილე, ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ბესარიონ მაისურაძე.

ბესარიონ მაისურაძე დაიბადა 1948 წლის 21 აგვისტოს ქ. თბილისში. 1963 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1972 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერ—თანამშრომლად. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჩამოყალიბების შემდეგ ბ. მაისურაძის სამეცნიერო მოღვაწეობა მთლიანად უკავშირდება ამ ორგანიზაციას. იყო შუა ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ენეოლით—ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის განყოფილების გამგე, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 2006 წელს არჩეული იქნა ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად, ხოლო 2007 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მოადგილე და არქეოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი.

ბ. მაისურაძე ეწეოდა ნაყოფიერ საველე-არქეოლოგიურ საქმიანობას. 1972-1984 წლებში იყო კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე, ხოლო 1984-1999 წლებში ხელმძღვანელობდა შირაქის არქეოლოგიურ ექსპედიციას. დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი მშობლიური რაჭის პალეომეტალურგიული ძეგლების კვლევაში.

ბ. მაისურაძის სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებული იყო საქართველოსა და კავკასიის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის პრობლემატიკის კვლევასთან. 1986 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „იორ-ალაზნის ზემოდინების გვიანბრინჯაო—ადრერკინის ხანის ძეგლები“, ხოლო 1997 წელს — სადოქტორო დისერტაცია „ცენტრალური ამიერკავკასია ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში (ლითონის ნაწარმი)“. აღნიშნული პრობლემების ირგვლივ გამოქვეყნებული ჰქონდა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები. სისტემატურად მონაწილებდა ადგილობრივ და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში.

ნაყოფიერი სამეცნიერო, არქეოლოგიური და ორგანიზაციული საქმიანობის პარალელურად ბ. მაისურაძე აქტიურად ზრუნავდა ახალი თაობის არქეოლოგთა აღზრდაზე. მისი ხელმძღვანელობით დაცული იქნა საკანდიდატო დისერტაციები, იყო არაერთი საკანდიდატო და სადოქ-

ტორო დისერტაციის ექსპერტი და ოფიციალური ოპონენტი. იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, რომლის პროფესორად აირჩიეს 2000 წელს.

საქართველოს არქეოლოგიის განვითარებაში შეტანილი წვლილის გამო ბატონი ბესარიონი საყოველთაო აღიარებით სარგებლობდა კოლეგებში. შთამბეჭდავია ბატონი ბესარიონის მიერ გავლილი საველე-არქეოლოგიური და პედაგოგიური საქმიანობის გზა. მის მეცნიერულ მემკვიდრეობაში რელიეფურად იკვეთება მაღალი პროფესიონალიზმი. ბატონი ბესარიონი ორგანიზატორულ-ადმინისტრაციული უნარით დაჯილდოებული ადამიანი იყო. იგი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა მეგობრების და კოლეგების წრეში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ბატონი ბესარიონის ღირსეული მამულიშვილობა, პიროვნული ხიბლი, საქმისადმი პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობა, მისი ხსოვნის არდავიწყების უდავო საწინდარია. ბესარიონ მაისურაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და კოლეგების გულში.

შემოკლებათა განმარტება

ABBREVIATIONS

აკ - არქეოლოგიური კრებული

გსმ – გორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.

დმმნ – დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი.

დსმ – დუშეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.

ენიმკის მოამბე – აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, თბილისი.

თამბ – თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის ბიულეტენი, თბილისი

თსუ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კაეშ – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, თბილისი.

კაკ - კავკასიის არქეოლოგიური კრებული, თბილისი.

მაცნე – ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.

მსკა – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისთვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.

მსკი – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი.

მსმ – მცხეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმი.

საკძ – საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წწ. მოკლე ანგარიშები. თბილისი.

სემ – საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

სემმ – საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, თბილისი.

სემხმ – საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი.

სმამ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბილისი.

სსმაე – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

სსმმ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბილისი.

სსხმნ – საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები, თბილისი

სხ – საბჭოთა ხელოვნება, თბილისი.

ფსაძ – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბილისი.

ქაკ – ქრისტიანული არქეოლოგიის კონფერენცია.

ქც – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ.

ძიებანი – ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში. ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.

ძმ – ძეგლის მეგობარი.

АЭФК – Археология, этнология, фольклористика Кавказа.

ИГАИМК – Известия Государственной академии истории материальной культуры.

ИКОИМАО – Известия кавказского отделения Императорского Московского археологического общества.

КСИА - Краткие сообщения института археологии. Москва.

МАК – Материалы по археологии Кавказа, Москва.

МИА – Материалы и исследования по Археологии СССР. Институт археологии АН СССР. Москва.

ПАИ - Полевые археологические исследования. Центр археологических исследований. Тбилиси.

СА – Советская археология. Институт археологии АН СССР. Москва.

САНГ – Сообщения академии наук Грузии, Тбилиси.

СЭ – Советская этнография. Институт этнографии АН СССР. Москва.

ТАИЯЛИ – Труды Абхазского института языка, литературы и истории. Сухуми

AJA – American Journal of Archaeology.

AE – Arhaologie in Eurasian, Berlin.

AS – Anatolian studies. Journal of the British Institute of Archaeology at Ankara.

ESA – Eurasia Septentrionalis Antiqua, Helsinki.

MAVA – Materialien zur Allgemeinen und Vergleichenden Arhaeologie, Muenchen.

ავტორთა საყურადღებოდ

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ჟურნალში „ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში“ დაიბეჭდება მუზეუმის თანამშრომელთა სამეცნიერო ხასიათის სტატიები და ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიშები, რომლებშიც ასახული იქნება ჩატარებული კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები. ამდენად, გაგრძელებული იქნება რუსულენოვან ПАИ-ის ტომებში და 2004 წელს დაბეჭდილ „საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში“ დამკვიდრებული ტრადიცია. მოკლე ანგარიშის შედგენისას გასათვალისწინებელია ინსტრუქცია, რომელიც ინახება არქეოლოგიის ცენტრში.

ჟურნალში გათვალისწინებულია შემდეგი რუბრიკები: სტატიები, არქეოლოგიის თეორია, არქეოლოგიის ისტორია, კრიტიკა, ქრონიკა და სხვ.

რედაქცია იღებს სტატიებს 16 გვერდამდე. გვერდების ამ მოცულობაში შედის: სტატია 10-12 გვერდამდე, ლიტერატურის სია, საილუსტრაციო მასალა, გრაფიკული ტაბულების და ფოტოების აღწერილობა. რედაქციას უნდა ჩაბარდეს სტატიების ელექტრონული ვერსიები და მათი ამონაბეჭდები.

გვერდის ზომა – A4; შრიფტი – LitNusx, შრიფტის ზომა – 12, ერთი ინტერვალით.

დამოწმებული ლიტერატურის მითითების წესი:

მითითება ხდება ტექსტში კვადრატულ ფრჩხილებში [კვირკველია 1985: 119, სურ. 5, ტაბ; I_{6-7}].

ლიტერატურის სია დალაგებული უნდა იყოს ანბანის რიგით, ჯერ ქართული, შემდეგ რუსული და შემდეგ ევროპული შრიფტით; თუ აუცილებელია, სხვა შრიფტებზე წარმოდგენილი ლიტერატურის დასახელება (მაგ. ბერძნული, არაბული და ა.შ. შრიფტით), ის სიას ერთვის ბოლოში.

ავტორის გვარი, ინიციალები, გამოცემის წელი, სახელწოდება, გამოცემის ადგილი:

ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

პერიოდული გამოცემის ან კრებულის მითითებისას მათი სახელწოდება უნდა გამოიყოს დეფისით. აუცილებელია გვერდების სრული მითითება:

Lordkipanidze, O. 2001: The Akhalgori Hoard (An attemppt at dating and historical interpretation). – Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, 33, 143-190.

კრებულების მითითების შემთხვევაში აუცილებელია კრებულის რედაქტორის მითითება:

ლორთქიფანიძე ო., გიგოლაშვილი ე., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა. 1981: ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან (ტიპოლოგია, დათარიღება, კატალოგი) (ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), ვანი V). თბილისი.

ან: **ჯალაბაძე მ. 2003:** ჭურჭლის ერთი ტიპის შესახებ ბერიკლდეების ნამოსახლარიდან. – ბ. მა-ისურაძე, ნ. ახვლედიანი (რედ.), კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები (ძიებანი, დამატებანი, X), 45-47. თბილისი.

ПАИ-ის მითითებისას დასაცავია შემდეგი წესი:

Рамишвили Р. и др. 1980: Археологические исследования в Арагвском ущелье. – ПАИ, 1977, 169-187.

თუ ერთსა და იმავე ავტორს ერთ წელიწადში ორი ან მეტი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, ისინი უნდა დალაგდეს სათაურების ანბანური რიგის მიხედვით და დაინომროს ლათინური ასოებით:

Шелов Д. Б. 1956a: Керамические клейма из раскопок Фанагории. – МИА, 57, 128-154

Шелов Д. Б. 1956b: Монетное дело Боспора VII-II вв. до н.э. Москва.

ცალკე გვერდზე უნდა იყოს წარმოდგენილი გამოყენებულ შემოკლებათა განმარტების სია.

მოთხოვნები ილუსტრაციული მასალის მიმართ:

ფოტოების ელექტრონული ვერსია, მაღალი ხარისხის, არანაკლებ 300 რეზოლუციის, მკვეთრი გამოსახულებით.

გრაფიკული ტაბულები კომპიუტერულად შესრულებული, tiff ფორმატში, არანაკლებ 600 რეზოლუციის.

ილუსტრაციულ მასალას თან უნდა ახლდეს სურათებისა და ტაბულების აღწერა.

თუ დაცული არ იქნება ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები, რედაქცია სტატიას არ განიხილავს.

რედაქციას აქვს უფლება გადასცეს სტატია სარეცენზიოდ.

სტატია უნდა ჩაბარდეს რედაქციის მდივანს მ. ჩარკვიანს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Georgian National Museum

ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი
OTAR LORDKIPANIDZE CENTRE OF ARCHAEOLOGY